მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების
კავკასიური ინსტიტუტი

საზოგადოება
და
პოლიტიკა

6

CIPDD
თბილისი
2007

მთავარი რედაქტორი გია ნოდია

რედაქტორი ზეინაბ სარაძე

საზოგადოება და პოლიტიკა VI

წიგნი გამოცემულია ფონდ *კორდეიდის* (ჰოლანდია) და *ღია საზოგადოების ინსტიტუტის კვლევითი ცენტრების ფონდის* (ბუდაპეშტი, უნგრეთი) ფინანსური მხარდაჭერით.

© მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2007

ISBN 978-99928-37-41-2

Society and Politics VI

Supported by the *Cordaid* (the Netherlands) and the *Open Society Institute Think Tank Fund* (Budapest, Hungary).

© The Caucasus Institute for Peace, Democracy and Development, 2007

გამომცემელი – მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

თბილისი, მერაბ ალექსიძის 1, ტელ. 334081, ფაქსი 334163
ვებ-გვერდი: http://www.cipdd.org

შინაარსი

პოლიტიკური ფორუმი

პოლიტიკური ფორუმი:

ათი შეკითხვა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე 7

არჩილ აბაშიძე 10

დავით აფრასიძე 24

ლევან გიგინეიშვილი 37

დავით დარჩიაშვილი 53

გიგა ზედანია 71

ლევან თარხნიშვილი 80

გიგი თევზაძე 99

კობა თურმანიძე 109

კახა კაციტაძე 129

ნოდარ ლადარია 143

დავით ლოსაბერიძე 153

ნანი მაჭარაშვილი 170

გია ნოდია 209

მალხაზ სალდაძე 240

გიორგი ხელაშვილი 253

ავთო ჯოხაძე 268

დემოკრატიის თეორია

შერი ბერმანი. როგორ წარმოიშვა დემოკრატიები 291

თომას ქაროდერზი. თანმიმდევრული საფეხურების ილუზია 311

ჩარლზ ჰ. ფერბენკსი. რევოლუციების გადააზრება 335

რელიგია და სახელმწიფო

ლევან აბაშიძე. საქართველო 2003-2006:
რელიგია, საზოგადოება, სახელმწიფო 361

წიგნების მიმოხილვა

გიორგი ბაბუნაშვილი. რეცენზია წიგნზე: გია ნოდია,
ალვარო პინტო სქოლტბახი. „საქართველოს
პოლიტიკური ლანდშაფტი“ 377

გიგა ზედანია. სოციალური კაპიტალის მრავალგანზომილებიანობა.
რეცენზია წიგნზე: რობერტ დ. პატნემი. „როგორ ვამუშაოთ
დემოკრატია“ 386

პოლიტიკური ფორუმი

პოლიტიკური ფორუმი: ათი შეკითხვა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე

საქართველოს ახალი სახელმწიფო დაახლოებით 15 წლისაა (გააჩნია, რას ჩავთვლით მისი დაბადების მომენტად). ამ პერიოდში საქართველოში სამჯერ შეიცვალა ხელისუფლება, მათ შორის ორჯერ – არაკონსტიტუციური გზით. სამივეჯერ ეს ცვლილება რევოლუციური გარდაქმნის, პრინციპულად ახალი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების დროშით მოხდა. ხელისუფლების ბოლო ცვლილებიდან – „ვარდების რევოლუციიდან" – სამი წელი გავიდა. ეს დრო და გამოცდილება საკმარისად დიდია საიმისოდ, რომ გარკვეული ზოგადი დასკვნების გამოტანა ვცადოთ: როგორია საქართველოს პოლიტიკური ევოლუციის თუ პოლიტიკური სისტემის ძირითადი ნიშნები? როგორ შეიძლება მათი კატეგორიზაცია პოლიტიკური მეცნიერების ძირითადი ცნებებით? როგორია პოლიტიკური სისტემის განვითარების სამომავლო პერსპექტივები?

მიუხედავად მრავალი პოლიტიკური დისკუსიისა, ასე ფართოდ ეს საკითხები ჯერ არ დასმულა – ყოველ შემთხვევაში, პროფესიული დისკუსია ამ პრობლემებზე არ გამართულა. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად გამოდის ინიციატივით ამგვარი დისკუსიის დასაწყებად. იმისათვის, რომ მსჯელობა უფრო სტრუქტურირებული ყოფილიყო, მის მონაწილეებს ვთხოვეთ, ათ შეკითხვაზე გაეცათ პასუხი. პასუხების პირველი ვარიანტები 8-9 დეკემბერს 2006 წლის ავტორთა კონფერენციაზე იქნა განხილული, რის შემდეგაც მონაწილეებს ტექსტების საბოლოო რედაქტირების საშუალება ჰქონდათ.

მიღებული ტექსტები საკმაოდ განსხვავდება თავისი მოცულობით და ხასიათით. ზოგიერთმა ავტორმა შედარებით მოკლე პასუხი გასცა დასმულ ათ კითხვას, სხვები უშუალოდ არ გაჰყვნენ შემოთავაზებულ ფორმატს და იმავე თემატიკაზე ერთიანი ანალიტიკური სტატიები წარმოადგინეს. ნებისმიერ შემთხვევაში, იმედი გვაქვს, რომ წარმოდგენილი მასალა საინტერესო იქნება მკითხველისთვის: ის განვლილი

გზის მეტ-ნაკლებად სისტემური შეფასების მცდელობაა სხვადასხვა ადამიანის პოზიციიდან.

ქვემოთ მოცემულია ჩვენ მიერ დასმული ათი შეკითხვა. იმ ავტორთა ტექსტებში, ვინც უშუალოდ შეკითხვებს მიჰყვება, მხოლოდ კითხვების ნომრებია მოცემული ქვეთავების სათაურებად; სხვა შემთხვევებში ქვეთავების ავტორისეული დასათაურება შევინარჩუნეთ.

1. რას მიაღწია და რას ვერ მიაღწია საქართველომ დამოუკიდებლობის პერიოდში? როგორ შეიცვალა (თუ შეიცვალა) ამ პერიოდში ქართული საზოგადოება და კულტურა? საზოგადოების (კულტურის) რა ნიშნებმა (ან ცვლილებებმა) მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე?
2. მოკლედ შეაფასეთ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდი: როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს მისი პოლიტიკური პროგრამა (მრწამსი)? რა იყო მისი ძირითადი მიღწევა, რა იყო ძირითადი წარუმატებლობა? თუკი შეიძლება მისი პერიოდის პოლიტიკური რეჟიმის კატეგორიზაცია, რა სიახლე მოიტანა მან წინამორბედ რეჟიმთან შედარებით? რა იყო მისი რეჟიმის დასასრულის (1991-92 წლის საშობაო გადატრიალების თუ სახალხო ავჯანყების) ძირითადი მიზეზი?
3. მოკლედ შეაფასეთ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდი: როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს მისი პოლიტიკური პროგრამა (მრწამსი)? რა იყო მისი ძირითადი მიღწევა, რა იყო ძირითადი წარუმატებლობა? თუკი შეიძლება მისი პერიოდის პოლიტიკური რეჟიმის კატეგორიზაცია, რა სიახლე მოიტანა მან წინამორბედ რეჟიმთან შედარებით? რა იყო მისი რეჟიმის დასასრულის (“ვარდების რევოლუციის“) ძირითადი მიზეზი?
4. მოკლედ შეაფასეთ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდი: როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს მისი პოლიტიკური პროგრამა (მრწამსი)? რა არის მისი ძირითადი მიღწევა(ები), რა არის ძირითადი წარუმატებლობა(ები)? თუკი შეიძლება მისი პერიოდის პოლიტიკური რეჟიმის კატეგორიზაცია, რა სიახლე მოიტანა მან წინამორბედ რეჟიმთან შედარებით?
5. დღეს საქართველოში პოლიტიკური ოპოზიცია ობიექტურად ვერ უწევს კონკურენციას ხელისუფლებას. რა არის ამის ძირითადი მი-

ზეზი (ხელისუფლების მხრიდან რეპრესია? ხელისუფლების ობიექტური წარმატებულობა? ქარიზმატული ოპოზიციური ლიდერების არარსებობა? ობიექტური სისტემური პრობლემები? რაიმე სხვა?).

6. თუკი მომავალში ოპოზიცია გაძლიერდა, რა ღირებულებების /ლოზუნგების/ გზავნილების გარშემო მოხდება ეს (კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების, სოციალური უფლებების დაცვის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების, კორუფციის დაძლევის და ა. შ.)?

7. ეს გაძლიერებული ოპოზიცია არსებული ოპოზიციური პარტიების ბაზაზე იარსებებს თუ სრულიად ახალი ჯგუფების? თუ ამ უკანასკნელ ვარიანტს მიიჩნევთ სავარაუდოდ, საიდან მოვლენ ეს ახალი ჯგუფები (გახლეჩილი ხელისუფლებიდან? რომელიმე სოციალური ჯგუფიდან, რომელიც აქამდე არ ჩანდა პოლიტიკურ სარბიელზე? რაიმე სხვა?).

8. რამდენად სტაბილურია ის პოლიტიკური სისტემა, რომელიც დღეს არის საქართველოში? როგორია თქვენი პროგნოზი პოლიტიკური სისტემის განვითარების თვალსაზრისით (მექსიკური თუ იაპონური სტილის დომინანტური პოლიტიკური პარტიის სისტემის ჩამოყალიბება? ლიბერალურ-დემოკრატიული პლურალიზმის თანდათანობითი განვითარება? ციკლური რევოლუციები ლათინურ-ამერიკულ სტილში? და ა. შ.).

9. რამდენად მნიშვნელოვანია საგარეო ფაქტორების გავლენა საქართველოს პოლიტიკურ ევოლუციაზე და კონკრეტულად რაში გამოიხატა/გამოიხატება ეს გავლენა? როგორ იცვლებოდა ეს გავლენები ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე და რა ტიპის გავლენებს მოელით უახლოეს პერსპექტივაში (3-5 წლის მანძილზე)?

10. თუკი წარმოიდგენთ, რომ საქართველოში თქვენთვის მაქსიმალურად მისაღები ხელისუფლებაა, თქვენი აზრით, რა უნდა იყოს მისი საპროგრამო პრიორიტეტები და რა ძირითადი ნაბიჯები უნდა გადადგას მან?

არჩილ აბაშიძე

1.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ საქართველოში იმდენად სერიოზული ცვლილებების გატარება იყო აუცილებელი, რომ მოკლე დროში რაიმე დიდი მიღწევების მოლოდინი ძალზე არარეალური ჩანდა. ჩამოსაყალიბებელი იყო (და არის) სრულიად განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, რაც მცირე დროის საქმე არაა, განსაკუთრებით, დაბალი პოლიტიკური კულტურის საზოგადოებაში. თუ ბოლო 15 წელს თვალს გადავავლებთ, პირველ რიგში, ალბათ, სინანულით მოგვიწევს იმის აღნიშვნა, რომ 90-იანი წლების დასაწყისში საქართველომ ვერ მოახერხა არ აჰყოლოდა პროვოკაციებს და გაერთიანებულიყო ერთი იდეის – სახელმწიფოს შენების – გარშემო. მაშინდელმა პოლიტიკურმა ლიდერებმა ვერ შეძლეს საზოგადო ინტერესი პირადულზე მაღლა დაეყენებინათ. ვერ მოხერხდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების იმ დონეზე შექმნა მაინც (დაინგრა ძველი და არ შეიქმნა ახალი), რომ ქვეყანა ხელში არ ჩავარდნოდა ჯერ საძმოებს, შეიარაღებულ ბანდ-ფორმირებებს და შემდეგ კორუმპირებულ კლანებს. შეიძლება ითქვას, რომ ბევრ ისეთ შეცდომაზე მოგვიწია სწავლა (თუნდაც სამოქალაქო ომი), რომლის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო.

ქვეყანაში გაჩაღებული კონფლიქტების, სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე წინსვლასა და განვითარებაზე საუბარი ზედმეტი იყო. დაკარგული ტერიტორიების და ათასობით დაღუპული ადამიანის გარდა, ქვეყანას კონფლიქტები დაკარგულ წლებად დაუჯდა; წლებად, რომლებიც საზოგადოებას ქვეყნის განვითარების იდეის ჩამოსაყალიბებლად უნდა გამოეყენებინა (ანუ, რა გვინდა, რომ ავაშენოთ ამ ქვეყანაში, როგორ უნდა გამოიყურებოდეს საქართველო, რომელსაც ვაშენებთ?) და არა რაღაც წვრილმანებზე დაუსრულებელი დავისა და კინკლაობისათვის.

მნიშვნელოვან მიღწევებზე უკანასკნელი რამდენიმე წლის გამოცდილების გათვალისწინებით თუ ვისაუბრებთ. ამ თემას ცოტა მოგვიანებით შევეხები. ახლა მხოლოდ ერთს აღვნიშნავ: ბოლოდროინდელი მოვლენებიდან მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ის, რომ ქართულმა საზოგადოებამ

განახორციელა ფრიად სარისკო წამოწყება: ხელისუფლების ცვლილება, მართალია, არა არჩევნების გზით, მაგრამ ძალადობის, სისხლის და შემდგომი დესტაბილიზაციის გარეშე. საქართველოსნაირი ქვეყნისთვის ასეთი მასშტაბის ცვლილების მშვიდობიანი გზით განხორცილება დიდი მიღწევაა, რაც იმის იმედს იძლევა, რომ მოსახლეობა აღარაა პოლიტიკურად ინერტული და ფატალისტურად განწყობილი, როგორც ადრე (ანუ უკეთ აცნობიერებს საკუთარ როლს სახელმწიფოს მართვის პროცესში და უსასრულოდ ვერ მოითმენს ხელისუფლების მხრიდან აშკარა დაცინვას), თანაც, ხალხმა სათანადო დასკვნები გამოიტანა განვლილი 15 წლიდან და ძალადობის შედეგები კარგად გააცნობიერა; ასე რომ, შეიძლება ვისაუბროთ პოლიტიკური კულტურის ამაღლებაზე და სოციალური მოქმედების ემოციური, აფექტური ტიპიდან რაციონალურ ტიპზე გადასვლაზე.

გარდა ამისა, საზოგადოება გამოდის იმ კარჩაკეტილი და შეზღუდული მდგომარეობიდან, რომელშიც 90-იან წლებში იმყოფებოდა. ნელ-ნელა იმსხვრევა მითები, რომლებიც შექმნილი იყო ყველაფერი ქართულის შესახებ. დასავლურ კულტურასთან უშუალო შეხებამ (ქართველების სასწავლად თუ სამუშაოდ გასვლამ, უცხოელების გამოჩენამ საქართველოში) ხელი შეუწყო საკუთარი შესაძლებლობების უფრო ობიექტურ შეფასებას და გარკვეული ცრურწმენების გაქარწყლებას. კონკურენციულ გარემოში მოხვედრა (რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება საბჭოთა კავშირში არსებული მდგომარეობისაგან, როცა ხარისხს ყურადღება ნაკლებად ექცეოდა, – ყოველთვის მოიძებნებოდა ქართული კულტურის/კოლორიტის/ღვინის დამფასებელი) აიძულებს *კონკურენტუნარიანობის* და *პროფესიონალიზმის* ამაღლებას. გასაგებია, რომ ეს გარკვეულ შოკს იწვევს საზოგადოებაში. აქედან მოდის იმის შიშიც, რომ უცხომ შეიძლება წალეკოს რაღაც ფასეული და მნიშვნელოვანი, მაგრამ ეს დიდი სტიმულიცაა იმისა, რომ მოხდება გამოცოცხლება და რაღაც ახალიც შეიქმნება. ეს გამოწვევა საზოგადოებამ უნდა მიიღოს; მან უნდა დაამტკიცოს, რომ არსებობის ღირსია. ბოლო წლების მოვლენები გვაძლევს იმედს, რომ, ყველა სირთულის მიუხედავად, საქართველო ამას შეძლებს. თუმცა, მოკლე ხანში ყველაფრის მიღწევის ილუზია არ უნდა შევიქმნათ.

2.

გამსახურდიას მმართველობის პერიოდის ყველაზე უარყოფით მახასიათებელს ქართული საზოგადოების არნახული გათიშულობა წარმოადგენდა. შეთანხმების მიღწევის, კომპრომისის უუნარობა ახასიათებდა

არა მარტო ხელისუფლებას, არამედ პოლიტიკაში ჩართულ ყველა მონაწილეს (პოლიტიკაში ჩართული კი მაშინ ლამის ყველა იყო). ამას განაპირობებდა, ერთი მხრივ, პოლიტიკური ლიდერების არნახული პიროვნული ამბიციები და, მეორე მხრივ, მათივე პოლიტიკური გამოუცდელობა, რაც (ამბიციებთან ერთად) მათ საშუალებას არ აძლევდა დაენახათ, რომ ასეთი უთავბოლო და სასტიკი დაპირისპირება სავალალო შედეგებს გამოიღებდა და ავნებდა იმ საერთო საქმეს, რომლისაც ბევრ მათგანს, ალბათ, გულწრფელად სჯეროდა. რაც შეეხება გამოუცდელობას, უნდა ითქვას, რომ არც ერთ მაშინდელ პოლიტიკურ ლიდერს არ ჰქონდა მართვის (მით უმეტეს, სახელმწიფოს მართვის) გამოცდილება და ბევრ მათგანს, როგორც ჩანს, ეს საკმაოდ მარტივ საქმედ წარმოედგინა (მაშინ გავრცელებული მოსაზრებით, მთავარია, დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ და ჩვენ თავს ჩვენვე ვუპატრონებთ). მაგრამ, ლოზუნგებიდან საქმის კეთებაზე გადასვლა არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა: ერთია საბჭოთა რეჟიმთან ბრძოლა და მეორე, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს შენება.

ამ დაპირისპირებათა შედეგად ჩამოყალიბდა ის დაძაბული და აგრესიული გარემო, რომელშიც ყველა ერთმანეთს რაღაცას ედავებოდა და ყველგან მტრები ელანდებოდათ. დემოკრატია ამ პერიოდის ერთ-ერთი ძირითადი ლოზუნგი იყო, მაგრამ, სინამდვილეში, განსხვავებულ აზრს პატივს არავინ სცემდა და მისი შეზღუდვასაც არ თაკილობდნენ. ბუნებრივია, რომ საზოგადოებას, რომელმაც ვერ შეძლო ცივილური ფორმა მოენახა პოლიტიკურ მონაწილეებს შორის დიალოგისათვის, ცუდი იმიჯი შეექმნა საერთაშორისო ასპარეზზე. აფხაზეთსა და ოსეთში კონფლიქტების გაღვივებას ამანაც შეუწყო ხელი და, საერთოდ, სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერსპექტივაც საეჭვო გახადა.

საინტერესოა, როგორ აფასებენ მოვლენებს მაშინდელ პოლიტიკაში აქტიურად ჩართული პირები (მათგან ყველას პოლიტიკოსად მოხსენიება არასწორი იქნებოდა). ზოგი დღესაც დარწმუნებულია, რომ მოლაპარაკება შეუძლებელი იყო, ხოლო სხვები აღიარებენ, რომ ბევრი შეცდომა გამოუცდელობით და ახალგაზრდული უკომპრომისობით დაუშვეს. შეცდომების აღიარება მხოლოდ მისასალმებელი ფაქტია. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ემოციებს აყოლილი ადამიანების მიერ დაშვებული შეცდომების საფასურის გადახდა მთელ ქვეყანას მოუწია.

3.

შევარდნაძის მმართველობის პირველი პერიოდი, ძირითადად, ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევაზე დაიხარჯა, რამაც, ისევ და ისევ, დრო და ენერგია წაიღო. საგარეო პოლიტიკაში კურსი დასავლეთზე იქნა აღებული და გარკვეული წარმატებები მიღწეულ იქნა კიდეც, რისი დაგვირგვინებაც საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება იყო. ამავე დროს, საუბარი დაიწყო ისეთ პერსპექტივებზეც, რომლებზეც საქართველო, ალბათ, მხოლოდ თუ იოცნებებდა (ევროკავშირის წევრობა, მართალია, შორეულ პერპექტივად ისახებოდა, მაგრამ ქვეყნისთვის ძლიერ სტიმულს წარმოადგენდა). ეს კია, საშინაო მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო იყო.

სამწუხაროდ, შევარდნაძის მმართველობის მეორე ნახევარიც არ იყო ლაჟვარდოვანი: რეჟიმი იყო ძალზე ჩაკეტილი, ყველაფერი წყდებოდა სადღაც კულუარებში (კომუნიზმის საუკეთესო ტრადიციებში), გადაწყვეტილების მიღებისას წამყვან პრინციპს კლანური ინტერესები წარმოადგენდა. გაუთავებელმა ფარულმა, მიჩქმალულმა ძალაუფლების განაწილებამ კლანებს შორის და ხალხის უფლებების აშკარა იგნორირებამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ მრავლის მომთმენი და შემგუებლობის მდიდარი გამოცდილების მქონე ქართული საზოგადოებისათვისაც კი გაუსაძლისი გახდა ასეთ ქვეყანაში ცხოვრება. სახელმწიფო აღარ (ან არ) ასრულებდა სახელმწიფოს ძირეულ, ელემენტარულ მოვალეობებსაც კი: წესრიგის დაცვა, განათლების მიცემა, ელექტროენერგიის მიწოდება. მეტიც, ხელისუფლებას არ აინტერესებდა, რამდენი მოქალაქე ჰყავდა. საქართველოს მოსახლეობას „ოთხი-ოთხნახევარი მილიონით“, მათ რაოდენობას კი, ვინც საქართველო დატოვა, „დაახლოებით ერთი მილიონით“ განსაზღვრავდნენ. გასაგებია, რამდენად სამართლიანი და დემოკრატიული იქნებოდა არჩევნები ქვეყანაში, სადაც ამომრჩეველთა ზუსტი რაოდენობა ცნობილი არ იყო.

მეტიც, სახელმწიფო მოქალაქეს დაუპირისპირდა და ხშირ შემთხვევაში მის წინააღმდეგ მოქმედებდა: პოლიციელები იტაცებდნენ მოქალაქეებს, ენერგომამები მდიდრდებოდნენ იმ ელექტროენერგიის ხარჯზე, რომელიც მოსახლეობას უნდა მიეღო. ქვეყანა რამდენიმე კლანის ოჯახურ ბიზნესს უფრო დაემსგავსა, ვიდრე სახელმწიფოს. ხალხის დამოკიდებულებაც შესაბამისად იცვლებოდა. იგივე განწყობა იყო საერთაშორისო ორგანიზაციებში და დასავლურ ქვეყნებში, რომლებიც აქტიურად ეხმარებოდნენ საქართველოს რუსეთის გავლენისგან თავის დაღწე-

ვაში (ყველა ხვდებოდა, რომ სუსტი და მუდამ ხელგაწვდილი საქართველო ამას ვერასოდეს მოახერხებდა).

შევარნდაძის პერიოდის ძირითად წარუმატებლობად შეიძლება კლანური მმართველობის დამკვიდრება ჩაითვალოს: კლანები მდიდრდებოდნენ და ძლიერდებოდნენ სახელმწიფოს ბიუჯეტის და გრანტების მითვისების გზით. არანაკლები უარყოფითი მნიშვნელობის იყო კონფორმიზის და ფარისევლობის მასშტაბების უსაზღვრო ზრდა. კორუფციასა და უკანონობაზე თვალის დახუჭვის და შეგუების ასეთმა დონემ სრულიად კანონიერად გააჩინა კიდეც აზრი, შეძლებს კი ასეთი საზოგადოება დემოკრატიულ პრინციპებთან შეგუებას ან, უფრო სწორად, ამ პრინციპების დამკვიდრებას?

შევარდნაძის მმართველობის უკანასკნელი პერიოდი ხასიათდებოდა იმითაც, რომ მოხდა ძალაუფლების კონცენტრაცია ცალკეული მინისტრების ხელში, რომლებიც პრეზიდენტის კონტროლს აღარ ექვემდებარებოდნენ. თავად შევარდნაძის ამოსავალი პოლიტიკური პრინციპი მდგომარეობდა იმაში, რომ ნებისმიერ სიტუაციაში გადარჩენილიყო როგორც პოლიტიკური ფიგურა. „დაბალანსების პოლიტიკამ", მართალია, პირადად მას ბევრი წარმატება მოუტანა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში შექმნა ყოველმხრივი სტაგნაცია.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ძირითადი მიღწევა თუ დადებითი მხარე შევარდნაძის რეჟიმისა იყო ის, რომ არ მოხდა მედიის ჩახშობა (თუმცა ამას ზოგიერთი ძალოვანი მინისტრი ცდილობდა) და ხელი არ ან ვერ შეეშალა არასახელმწიფო სექტორის გაძლიერებას, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა „ვარდების რევოლუციის" მომზადება.

4.

სააკაშვილმა მოსვლისთანავე აქტიურად მიჰყო ხელი რეფორმებს და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია. საშინაო პოლიტიკაში ესაა აქტიურად დაწყებული სამხედრო რეფორმა, რისი შედეგიცაა ქართული ჯარის შექმნა, მისი აღმშენებლობა. საქართველო არავისთან (ანუ რუსეთთან) ომს არ აპირებს და არსებული კონფლიქტების მოგვარებაშიც დიპლომატიურ მოლაპარაკებას ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ნებისმიერი სახელმწიფოსათვის აუცილებელია გარკვეული რაოდენობის პროფესიული არმიის ყოლა, რომელსაც თუნდაც საგანგებო ვითარებაში გამოიყენებს (არაა აუცილებელი საომარი ვითარება იყოს, ხშირად სამხედრო დანაყოფები ბუნებრივ კატაკლიზმებთან გასამკლავებლად ან გამ-

წვავებულ კრიმინოგენულ ვითარებაში პოლიციის ძალების დასახმარებლადაა საჭირო).

განსაკუთრებით აღსანიშნავი და დასაფასებელია, რომ ქართულმა სახელმწიფომ მოახერხა და დაიწყო სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის შესრულება: წესრიგის დაცვა. შევარდნაძის პერიოდში უსაზღვროდ გაძლიერებული კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ ახალმა ხელისუფლებამ სამართალდამცავ სტრუქტურებში მომხდარი რეფორმის საფუძველზე გაატარა ქმედითი ღონისძიებები. სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები ამ მიმართულებით, განსაკუთრებით, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლაში, მხოლოდ მისასალმებელია (განათლების სისტემის რეფორმასთან ერთად, სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმა საზოგადოებას აძლევს მომავლის იმედს, კერძოდ, იმის იმედს, რომ რამდენიმე წელიწადში მოვა თაობა, რომელსაც ექნება ცოდნა და ჯანსაღი ცხოვრებისეული მიზნები). საგზაო პოლიციის გაუქმება და პატრულის შემოღება შეიძლება ზოგს აღიზიანებდეს კიდეც მთავრობის მხრიდან ხშირი შეხსენების გამო, მაგრამ ამან რეალურად შეამსუბუქა რიგითი მოქალაქის ცხოვრება.

გატარდა რეფორმა განათლების სისტემაში, რომელშიც კორუფციამ ყოვლისმომცველი მასშტაბები მიიღო 90-იანი წლების ბოლოს და სერიოზულად შეარყია და ძირი გამოუთხარა საზოგადოების ზნეობრივ ფასეულობებს. წლების განმავლობაში უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა დაუსჯელობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საზოგადოებაში ნიჰილიზმის გავრცელებას.

მნიშვნელოვანი წარმატებაა აჭარაში განვითარებული მოვლენები. შეინიშნება გარკვეული დადებითი ძვრები გაყინულ კონფლიქტებთან მიმართებაში, რაც გამოიხატება საერთაშორისო ასპარეზზე ამ საკითხების აქტიურად გატანით. გაჩნდა ნატო-ში შესვლის რეალური პერსპექტივა, წარმოებს ინტენსიური მოლაპარაკებები. მართალია, ერთობ გამწვავდა ურთიერთობა რუსეთთან, მაგრამ დიდწილად ამას განაპირობებს რუსეთის გაღიზიანება და რეაქცია საქართველოს წარმატებებსა და პროდასავლურ პოზიციაზე.

მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა, რჩება საკითხები, რომლებიც მთავრობამ ჯერჯერობით არ ან ვერ გადაწყვიტა, ზოგ შემთხვევაში კი არასასურველი ცვლილებებიც განახორციელა. გამოვყოფ რამდენიმე საკითხს:

I. კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად გაიზარდა პრეზიდენტის ძალაუფლება; სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სუსტი

ხარისხის და პრეზიდენტის პარტიის წევრებით დაკომპლექტებული უმრავლესობის პარლამენტის ფონზე ეს ხელისუფლების დანაწილების ბალანსის მნიშვნელოვან დარღვევას იწვევს.

II. კვლავაც პრობლემურია არჩევნების საკითხი. აქ ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ დაუზუსტებელი საარჩევნო სიები (დარღვევები და გაყალბებები უშუალოდ არჩევნების დღეს უკანასკნელ არჩევნებზე გაცილებით ნაკლები იყო. ეს იმედს გვაძლევს, რომ მომავალშიც ასე იქნება), არამედ მოქმედი საარჩევნო კოდექსიც, რომლის მიხედვითაც საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებაზე ხელისუფლებას შენარჩუნებული აქვს მნიშვნელოვანი გავლენა. გაუმჭვირვალეა ყველა დონის კომისიების დაკომპლექტების პროცედურები, რაც სერიოზულ ეჭვს ბადებს საზოგადოებაში საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ. საარჩევნო კომისიების ფორმირების პარტიული პრინციპიდან პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებაზე გადასვლა საკანონმდებლო ცვლილებებით უკვე განხორციელდა, მაგრამ ამან დღის წესრიგიდან ვერ მოხსნა ბევრი საკითხი. უკანასკნელ არჩევნებზე არ გამოჩნდა ის ნაკლოვანებები, რაც კოდექსშია, ერთი მხრივ, საპრეზიდენტო პარტიის პოპულარობის და, მეორე მხრივ, ოპოზიციური პარტიების საზოგადოებაში ნდობის სუსტი ხარისხის გამო. მაგრამ მომავალში არჩევნების გარშემო კვლავაც მოსალოდნელია სიტუაციის გამწვავება კოდექსში არსებული ხარვეზების საფუძველზე.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ კოდექსში შესული ცვლილებებით პარტიული პრინციპი ფორმალურად მოიშალა, მაგრამ რეალურად საარჩევნო კომისიების მიმართ ეჭვის საბაბი ამან ვერ მოსპო. კომისიების დაკომპლექტების პარტიული პრინციპიდან პროფესიულ პრინციპზე ფორმალური გადასვლაც ვერ მოიტანს სასურველ შედეგს, თუ ობიექტურად არ იქნა დაცული კანდიდატურების შერჩევის (კონკურსის) პროცესი და, პირველ რიგში – გამჭვირვალობა. ჩვენთან მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობით, საარჩევნო ადმინისტრაციის სამივე რგოლი ზემოდან დანიშნული ორგანოებისაგან შედგება: ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და დანარჩენ ექვს წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტი ირჩევს; საოლქო კომისიებს, რომლებიც ხუთი წევრისაგან შედგება, ირჩევს ცსკო სრული შემადგენლობის უმრავლესობით; საუბნო კომისიების სამ წევრს ზემდგომი კო-

მისია ირჩევს, ორ-ორ წევრს კი ნიშნავს ბოლო არჩევნებში პირველ სამ ადგილზე გასული პარტია. კომისიების დაკომპლექტების ასეთი წესი იმის ეჭვს ბადებს, რომ ასეთი კომისიები ვერ იქნება დაცული ზემდგომი კომისიების გავლენისაგან, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ არჩევნებზე კვლავაც დიდ უპირატესობას ინარჩუნებს მმართველი პარტია, რომელსაც, ფაქტობრივ, კომისიების სასურველი კანდიდატებით დაკომპლექტების საშუალება ექნება.

ის, რომ საარჩევნო მოხელეს სერტიფიკატი უნდა ჰქონდეს, საარჩევნო კოდექსის გარკვეული დადებითი სიახლეა. მოქმედი კანონმდებლობით, საარჩევნო კომისიაში წევრად მოსახვედრად აუცილებელი პირობაა სერტიფიკატის ქონა, თუმც, გარკვეული მიზეზის გამო ვერც სერტიფიცირება ჩაითვლება განსაკუთრებით ქმედითად. სერტიფიკატის აღება არ არის გარანტია იმისა, რომ კანდიდატი კომისიაში მოხვდება (სერტიფიცირება წარმატებით შეიძლება გაიაროს ბევრმა კანდიდატმა, ხოლო ვაკანტური ადგილი კომისიებში იყოს გაცილებით ნაკლები). სერტიფიცირებული კანდიდატებიდან კომისიების წევრებს უკვე ცსკო ირჩევს. ის, თუ რა კრიტერიუმებით ირჩევს ცსკო კანდიდატებს, საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ ბუნდოვანი რჩება. ცნობილია, რომ საოლქო კომისიების წევრთა კანდიდატურების შესარჩევად ცსკო-ს არათუ არ დაუდგენია კონკრეტული კრიტერიუმები, რომლითაც იხელმძღვანელებდა, არამედ სერტიფიცირებულ საარჩევნო მოხელეთა მიერ დაგროვილ ქულათა რაოდენობაც არ უღიარებია შერჩევის თუნდაც ერთ-ერთ კრიტერიუმად, რაც თავისთავად აზრს უკარგავს სერტიფიცირებას.

საზოგადოებას, ასევე, არ მიუღია პასუხი ძალიან ბევრ მნიშვნელოვან შეკითხვაზე: რა ნიშნით აირჩიეს ცსკო-ს წევრები და რა ნიშნით შეარჩია თვითონ ცსკო-მ საოლქო კომისიების წევრები? როგორ ახერხებს კომისია ძალზე მცირე ვადებში რამდენიმე ასეული განცხადების განხილვას და, კონკრეტულად, რა პრინციპებით და კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს კომისია? საზოგადოებისთვის ეს უცნობია და ჩნდება ეჭვი, რომ კანდიდატების შერჩევისას კვლავაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერთგულების პრინციპი. ცნობილია, რომ არ ჩატარებულა კანდიდატებთან გასაუბრება, ე.ი. წარმოდგენილი დოკუმეტაცია იძლეოდა ცალსახა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მსგავსი გაუმჭვირვალე გადაწყვეტილებები კი ბადებს ჭორებს. შესაბამისად, უნდობლობას იწვევს ამ კომისიების მიერ ქვედა დონეზე დაკომპლექტებული კომისიების მიუკერძოებლობა.

III. ჯერაც ძალზე სუსტია და განუვითარებელი თვითმმართველობა. დეცენტრალიზაციის პროცესს მნიშვნელოვნად უშლის ხელს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი. გაყინული კონფლიქტების თუ პოლიტიკურ წრეებში ამ მხრივ არსებული არასაკმარისი პოლიტიკური ნების გამო ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება წინ ღრჭიალით მიიწევს. ასე რომ, ამ მიმართულებით სერიოზული და ინტენსიური მუშაობის განხორციელებაა საჭირო (პირველ რიგში, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის კუთხით) და, რაც მთავარია, საკითხის კიდევ სამომავლოდ გადადება არასასურველი და სარისკოა. რა თქმა უნდა, იმის ილუზია, რომ ცენტრალურ და რეგიონულ დონეებს შორის კომპეტენციების გამიჯვნა და რეგიონული თუ ადგილობრივი დონეების ბიუჯეტების შევსება ადვილად და სწრაფად მოხდება, არავის უნდა ჰქონდეს, მაგრამ სახელმწოფო კომპეტენციების თანდათანობით რეგიონების დონეზე გადაცემის პროცესი უკვე დასაწყებია.

ზოგადად კი შეინიშნება, რომ გაიზარდა ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. მმართველი პარტიის წევრთა ხალხში გამოჩენა, რასაც ოპოზიცია ხშირად პიარ-კამპანიად ნათლავს, იმის ნიშანიცაა, რომ ხელისუფლება ხშირ შემთხვევაში მზადაა საზოგადოებასთან დიალოგისათვის. ქვეყანაში კულუარული პოლიტიკიდან უფრო ღია, გახსნილ პოლიტიკაზე გადასვლაც, ალბათ, სააკაშვილის პოლიტიკის სტილის დამსახურებაა და რადიკალურად განსხვავდება შევარდნაძის სტილისაგან.

5.

აშკარაა, რომ ოპოზიციურ პარტიებს დღეს ძალზე სუსტი პოზიციები აქვთ ქართულ პოლიტიკაში. ოპოზიციას, ერთი მხრივ, უჭირს ამომრჩევლის გულის (ხმების) მოგება, რადგან პოსტრევოლუციურ გარემოში, მით უმეტეს, წარმატებული, ძლიერი და აქტიური პრეზიდენტის ფონზე რთულია მოქმედება. მეორე მხრივ, თვითონ ოპოზიციაა ძალზე დაქსაქსული; ოპოზიციური ძალები ვერ ახერხებენ გაერთიანებას (საარჩევნო ბლოკების შექმნას) საერთო მოწინააღმდეგის წინააღმდეგაც კი. მესამე, საპარლამენტო ოპოზიცია ხშირად მოქმედებს დილეტანტურად და არაადეკვატურად (მაგალითისთვის გამოდგება ზოგიერთი პარტიის ლიდერის განცხადებები იმის შესახებ, რომ ხელისუფლება აგონიაშია;

დავა პარლამენტში შეღებილი ფასადების ფერზე და ქალაქის მერიის ჩინოვნიკების გემოვნებაზე; პირადი შეურაცხყოფა და ჩხუბი პარლამენტში; სხდომების არაფრის მომცემი ბოიკოტი). ოპოზიცია არ საუბრობს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის ალტერნატივებზე, აკნინებს ისეთ მიღწევებს, რომლებიც, წესით, ამ ქვეყნის ყველა მოქალაქეს უნდა ახარებდეს და ხანდახან საკუთარ თავს მეტად ვნებს, ვიდრე ხელისუფლებას (მაგ. მოჭიდავეების ცნობილი საქმე, როდესაც ოპოზიციის ზოგიერთმა ლიდერმა საკუთარი დეპუტატის ხელშეუხებლობა დაუყენა კანონის დამრღვევებს ფარად).

6-7.

ოპოზიციამ, ალბათ, უნდა იპოვოს ძალა ერთმანეთთან შესაკავშირებლად. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ოპოზიცია თანმიმდევრული იყოს. მაგრამ თუ ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერს (და მეორეხარისხოვან ლიდერსაც კი) კვლავაც ექნება ამბიცია, რომ სწორედ მის გარშემო უნდა შეკავშირდეს ყველა დანარჩენი ოპოზიციური ძალა (''ყველაზე ჭკვიანი/ფულიანი მე ვარ'' პრინციპით), მაშინ ქართულ ოპოზიციას მომავალშიც არაფერი გამოუვა და რაიმე სერიოზულ წარმატებებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია შეძლებს მომგებიანი თემების წინ წამოწევას (მაგ. გამოუძიებელი მკვლელობები) და ხელისუფლება სერიოზულ შეცდომებს დაუშვებს, შეიძლება შემდეგ არჩევნებზე მან რაიმე წარმატება მოიპოვოს. ოპოზიცია დღეს არსებული ძალების განლაგებით ვერაფერს მიაღწევს და ისიც ნაკლებ სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში მოახერხოს ძალების გადანაწილება. საეჭვოა ისიც, რომ უახლოეს მომავალში ოპოზიციის რიგები მნიშვნელოვნად შეივსოს მთავრობიდან წამოსულები ფიგურებით (რანაირი დაპირისპირებაც არ უნდა იყოს მთავრობის ცალკეულ წევრებს შორის, ძალზე საეჭვოა, რომ რომელიმე ,,მძიმეწონიანი პოლიტიკოსი'' მთავრობიდან წავიდეს და დღევანდელი ოპოზიციონერების გვერდით დადგეს).

ოპოზიციის კიდევ ერთი ნაკლი ახალი სახეების ნაკლებობაა. ყველა ოპოზიციონერი კარგადაა ნაცნობი საზოგადოებისათვის. შესაბამისად, ხალხს ახსოვს, რა პოზიციები ეკავათ მათ შევარდნაძის პერიოდში ან უფრო ადრეც. დანარჩენები არ წარმოადგენენ ისეთი წონის პოლიტიკურ ფიგურებს, რომ რაიმე სერიოზული განაცხადი გააკეთონ ამ ეტაპზე და, რაც მთავარია, არ ჰყავთ გუნდი, რაც ასევე კარგად გამოჩნდა უკანასკნელ არჩევნებზე.

მომავალში ოპოზიცია ეცდება ლოზუნგებად გამოიყენოს არსებული ხელისუფლების თუნდაც ის სისუსტეები, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი (სუსტი სასამართლო სისტემა, თვითმმართველობის რეფორმის ნელი ტემპი, პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების გაზრდა, გახმაურებული მკვლელობები). რამდენად შეძლებენ პარტიები ამ ლოზუნგების მეშვეობით საზოგადოებაში საკუთარი პოზიციების გაძლიერებას, სხვა საკითხია. არსებული აქტიური ხელისუფლებისაგან არაა მოსალოდნელი, რომ მშვიდად დაუწყოს ყურება, თუ როგორ ძლიერდება ოპოზიცია და არ გამოიყენოს ოპოზიციის სისუსტეები თავის სასარგებლოდ.

არანაირი გამართლება არა აქვს ოპოციზიის მხრიდან ხელისუფლებასთან დიალოგზე უარის თქმას. ოპოზიციის როლი ხელისუფლებასთან მწვავე, მაგრამ საქმიანი დიალოგი, შეცდომების და უკეთესი ალტერნატივის წინ წამოწევა და არა მმართველი პარტიის წევრთა პირად ნაკლოვანებებზე საუბარია. საქმიანი ოპოზიცია საკუთარ თავსაც სასარგებლო საქმეს გაუკეთებს და საზოგადოებასაც.

8.

დღევანდელი პოლიტიკური სისტემა ხასიათდება ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობით, რაც საკონსტიტუციო ცვლილების შემდეგ მივიღეთ. ქვეყანაში არსებული ძალზე სუსტი სასამართლო სისტემის, პრეზიდენტის პარტიის წევრებით დაკომპლექტებული პარლამენტის და დაქსაქსული და არაორგანიზებული ოპოზიციის პირობებში, ეს მოდელი ვერ ჩაითვლება საუკეთესო ვარიანტად. არგუმენტი, რომ გარდამავალ ეტაპზე ქვეყანას ესაჭირეობა მტკიცე ხელით მართვა, ნაწილობრივ სწორია, მაგრამ ჩნდება შეკითხვა, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს გარდამავალი, პოსტრევოლუციური პერიოდი და როდის დაიწყება ძალაუფლების გადანაწილების პროცესი? განსაკუთრებული სიმწვავე ახლავს ამ საკითხს იმის გამო, რომ საქართველოში პრეზიდენტების იძულებითი გზით შეცვლის საკმაოდ მძიმე გამოცდილება დაგროვდა და პრეზიდენტის ხელში მეტი ძალაუფლების თავმოყრის ტენდენცია შეშფოთებას იწვევს. თანაც, საქართველოში კვლავაც მხოლოდ ლიდერის გარშემო თავმოყრილი პოლიტიკური გაერთიანებები (პარტიები) არსებობენ. არჩევნების გზით მმართველი პარტიის შეცვლა თუნდაც იმიტომ იქნება რთული, რომ ეს პოლიტიკური პარტიები გამართულ პოლიტიკურ პროგრამას არ გვთავაზობენ და აქცენტს,

ტრადიციულად, ლიდერების პიროვნულ ღირსებებზე აკეთებენ. შესაბამისად, ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლილება რომელიმე ძლიერი პოლიტიკური პარტიის მიერ მმართველი პარტიის დამარცხების შედეგად, ნაკლებ სავარაუდოა.

საკონსტიტუციო ცვლილების შემდეგ, რომლის შედეგადაც მოხდა პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების კიდევ უფრო დიდი დოზით თავმოყრა (მაგ. პარლამენტის დათხოვნის ფართო უფლება ბიუჯეტის სამი თვის განმავლობაში არდამტკიცების ან მთავრობის არდამტკიცების შემთხვევაში), ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ბალანსი ხელისუფლების შტოებს შორის თანაბრადაა გადანაწილებული. პარლამენტის კიდევ უფრო დასუსტება განსაკუთრებით არასასურველია მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ჯერ კიდევ ფეხზე დადგომის პროცესშია და, როგორც ვხედავთ, ეს პროცესიც არც თუ ისე ადვილად მიმდინარეობს. სისტემის სტაბილურობაზე საუბარი ჯერ, ალბათ, ძალიან ნაადრევია. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება მოვლენები მომავალ რამდენიმე წელიწადში: თუ გაგრძელდება რეფორმების ის კურსი და ტემპი, რომლითაც ბოლო სამი წელი ხასიათდებოდა და მოძლიერდება დემოკრატიული ინსტიტუტები, მაშინ შესაძლებელი იქნება სტაბილურობის გარანტიებზეც საუბარი. დღეს ამის თქმა, სამწუხაროდ, უფრო სასურველის რეალობად გასაღება იქნება.

9.

საგარეო ფაქტორების გავლენა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი და ინტენსიური იყო. შევარდნაძის მოსვლასთან ერთად, დასავლეთის ინტერესი საქართველოს მიმართ ერთიორად გაიზარდა. მივაწერთ ამ ინტერესს დასავლეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს (რომელზეც ქართველებს გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდათ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ეს ინტერესი გაცილებით მცირე იყო, ვიდრე დღესაა: 90-იან წლებში გავრცელებული გულუბრყვილო აზრით, დასავლეთი, ჩვენი განსაკუთრებით ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, სულ ხელის გულზე გვატარებდა), თუ დემოკრატიის იდეით ანთებული პატარა ქვეყნის მიმართ სიმპათიასა და მხარდაჭერის სურვილს, ფაქტია, რომ დასავლეთის ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ფინანსური და ტექნიკური დახმარება გაუწიეს საქართველოს ყველაზე მძიმე პერიოდში. ისეთი მნიშვნელოვანი საკით-

ხები, როგორიცაა მედიის და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, რაც დემოკრატიული პროცესების საწინდარი გახდა საქართველოში, ბევრწილად, სწორედ დასავლური ქვეყნების დახმარების წყალობით გახდა შესაძლებელი (თუმცა, შევარდნაძის დროს ამ დახმარებებს ისიც მოჰყვა, რომ ჩამოყალიბდა და გამდიდრდა მაფიოზური კლანები). საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება და სამომავლო პერსპექტივებიც ხომ სწორედ ამ მხარდაჭერის ნიშანია და არა ჩვენ მიერ განხორციელებული, არნახული წარმატებების შედეგი.

უახლოეს რამდენიმე წელიწადში საგარეო ფაქტორების მნიშვნელოვანი ზრდაა მოსალოდნელი, ვინაიდან „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველო თვითონვე გამოდის დასავლეთთან დიალოგის უფრო ინტენსიურ ფაზაში გადაყვანის ინიციატივით. საქართველოს ამბიცია – გახდეს ნატო-ს წევრი, გარდაუვლად გამოიწვევს იმას, რომ დაინტერესება საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესით კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიიქცევს დასავლურ ქვეყნებში (უკვე გაგვაჩნია რეკომენდაციები და მითითებები, თუ რა ცვლილებები უნდა მოხდეს ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში, რომ გაწევრიანებაზე ვიფიქროთ). ისეთი რეკომენდაციები, როგორიც სასამართლო სისტემის საფუძვლიანი რეფორმაა, უკვე გაისმა დასავლური ქვეყნებიდან და ეჭვი, ალბათ, არავის ეპარება, რომ მას კიდევ მრავალი მოჰყვება. მიუხედავად ბოლო სამი წლის განმავლობაში მომხდარი დადებითი ცვლილებებისა, კვლავაც ბევრი რამაა გასაკეთებელი (თუნდაც რელიგიური უმცირესობის უფლებების დაცვის თვალსაზრისით). ამიტომ მოსალოდნელია, რომ დასავლეთი უფრო მკაცრი და მომთხოვნიც გახდება საქართველოს ხელისუფლების მიმართ, რადგან საქართველოც ამბიციური მოთხოვნებით გამოდის: ნატო-ში გაწევრიანება და ევროკავშირის წევრობის კანდიდატთა სიაში მოხვედრა თამამი განაცხადია ისეთი ქვეყნისაგან, რომელიც ახლახან დაადგა დემოკრატიზაციის გზას და ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს, რომ საკმარისად სტაბილურია და ამ გზიდან გადახვევას აღარ აპირებს.

10.

უახლოეს მომავალში (რამდენიმე წელში), ალბათ, შემდეგ საკითხებს უნდა მიექცეს ძირითადი ყურადღება:

1. დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. ამ მხრივ ხელისუფლების მონდომება, რომ პროცესში ჩართონ საერთაშორისო ორგანიზაციები

და დასავლური ქვეყნები და მოხდეს რუსი ცისფერჩაფხუტიანების ჩანაცვლება, მისასალმებელია.

2. სასამართლო რეფორმის გატარება. საზოგადოება უნდა ენდობოდეს სასამართლოს. თუკი უნდობლობა, რომელიც დღეს ქართული სასამართლო სისტემის მიმართ არსებობს, უსამართლოა, ხელისუფლებამ უნდა წარმოადგონის ამის დამაჯერებელი საბუთი.

3. სოციალურად დაუცველი ფენებისთვის სახელმწიფო დახმარების პროგრამების გაძლიერება, ვინაიდან სიღარიბის დონე კვლავაც ძალზე მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა ნაბიჯები, უმუშევართა და ღარიბთა იმ არმიის მოვლა, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას წინამორბედისგან ერგო, ადვილი საქმე არაა და უდავოა, რომ ბიუჯეტს სერიოზულ ტვირთად დააწვება, მაგრამ ეს ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს, რადგან იგი სისტემის სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

4. არსებული მიღწევების შენარჩუნება. პირველ რიგში, ეს შეეხება წესრიგის დაცვას, რაც მნიშვნელოვანია თუნდაც იმისათვის, რომ ამ ბოლო დროს მოპოვებული სტაბილური ქვეყნის იმიჯი არ დაიმსხვრეს. მიღწევების შენარჩუნება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა; უნდა შევძლოთ იმის შენარჩუნება და გაღრმავება, რაც უკვე გვაქვს (აქ ისევ გაუმჯობესებული განათლების სისტემა, გამოსწორებული ენერგეტიკული მდგომარეობა და კრიმინოგენული სიტუაცია შეიძლება გავიხსენოთ). წარსულში უკვე იყო შემთხვევები, როდესაც კარგად დაწყებული სასიკეთო საქმეებისაგან არანაირი შედეგი არ მიგვიღია (შევარდნაძის პერიოდის ანტიკორუფციული ინიციატივები და რეფორმები). მსგავსის გამეორება არ უნდა დავუშვათ.

დავით აფრასიძე

სტატიას არა აქვს სამეცნიერო გამოკვლევის პრეტენზია. თუმცა, იგი არანაკლებ პრეტენზიულია, რადგან წარმოადგენს ჩემს სუბიექტურ მოსაზრებებს დამოუკიდებელი საქართველოს განვითარებასთან დაკავშირებით. მართალია, სტატიის მსჯელობა მხოლოდ საქართველოს შემთხვევას შეეხება, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოს შემთხვევა არ არის ერთადერთი და უნიკალური.

1. სახელმწიფო და საზოგადოება საქართველოში: თვალის ერთი გადავლება

საქართველოში განვლილი 15 წელი შეიძლება დავინახოთ როგორც „სუსტი სახელმწიფოსა“ და „ძლიერი საზოგადოების“ ჭიდილი.[1] ამასთან, საზოგადოება აქ მოხსენიებულია არა იმდენად „Gesellschaft“-ის, რამდენადაც ტრადიციის, პოლიტიკური კულტურის მნიშვნელობით. მიუხედავად გავრცელებული მოსაზრებისა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000-წლიანი ისტორია აქვს, ფაქტია, რომ საქართველოს ხალხს არასდროს ჰქონია თანამედროვე სახელმწიფოებრიობის გამოცდილება. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ საქართველო, ისე როგორც ყველა პოსტსაბჭოური ქვეყანა, მეტ-ნაკლებად, ბალტიისპირეთის გამოკლებით, ურთულესი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა:

1. პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების გარდაქმნა (დემოკრატიზაცია და ლიბერალიზაცია) მთავარი განმსაზღვრელის – სახელმწიფოს – არარსებობის გარეშე;
2. სახელმწიფოს შენება ამ საკითხზე ეროვნული (საერთო სახალხო და არა ეთნიკური) თანხმობის გარეშე;
3. და ეს გარდაქმნა და შენება არასახარბიელო გარემო პირობებში – რუსეთის ნეგატიური გავლენა, ხოლო დასავლეთის მხრიდან (აშშ, დასავლეთ ევროპა), ფაქტობრივ, ნულოვანი ინტერესი.

ამგვარ პირობებში საქართველოში პოლიტიკური პროცესის თხუთმეტწლიანი პერიოდის მთავარ თემებად იქცა:

1. კონფლიქტები და სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები, ანუ რა გეოგრაფიულ სივრცეში მიმდინარეობს პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა პროცესები;
2. სახელმწიფოსა (ძალაუფლების ეფექტიანობისა) და დემოკრატიის (ძალაუფლების განაწილების) ურთიერთმიმართება, ანუ შეიძლება თუ არა პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმაცია ერთდროულად მოხდეს როგორც ეფექტიანობის, ისე მონაწილეობის გზით;
3. საგარეო ორიენტაცია – მეტწილად, როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება, ნაკლებ – როგორც ღირებულებითი თვითიდენტიფიკაცია.

თუ კარგად დავაკვირდებით, სწორედ ამ საკითხების ირგვლივ მიმდინარეობს დღემდე ძირითადი პოლიტიკური პროცესი: მის მიმართებაში იზომება მმართველობის ეფექტიანობა და ამ საკითხების ირგვლივაა გაშლილი საზოგადოების ძირითადი დისკურსი. შესაბამისად, სამი თემის ირგვლივ მიმდინარეობდა სახელმწიფოსა და საზოგადოების ჭიდილიც, რაც საშუალებას გვაძლევს, დამოუკიდებლობის შემდგომი ხანა სამ ეტაპად დავყოთ:

1. სახელმწიფო ეს მე ვარ – გამსახურდია და შევარდნაძე, 1995 წელს კონსტიტუციის მიღებამდე;
2. სახელმწიფო ფასადია – შევარდნაძის მმართველობა 1995-2003;
3. სახელმწიფო ძლიერია? ძირს სახელმწიფო?! – 2003 წლის შემდეგ.

აღნიშნული ფაზები ერთმანეთისაგან განსხვავდება სწორედ ზემოჩამოთვლილ თემებზე სახელმწიფოსა და საზოგადოების გავლენით: თუ დასაწყისში არარსებულ სახელმწიფოს, უფრო სწორად, მის ჩანასახს საზოგადოება (ტრადიცია, კულტურა) კარნახობს თამაშის წესებს, ანუ საზოგადოებრივი ღირებულებები აყალიბებს პოლიტიკურ ინსტიტუტებს, შემდგომ ხანაში სახელმწიფო (ინსტიტუტები) იწყებს ღირებულებათა სისტემის (პოლიტიკური კულტურის) გარდაქმნას, რაც, განსაკუთრებით, მესამე ფაზაში სახელმწიფოს სასარგებლოდ ცვლის ძალთა ბალანსს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს თხუთმეტწლიანი ისტორია არის გზა ინსტიტუტებზე პოლიტიკური კულტურის გავლენიდან პოლიტიკური კულტურის ინსტიტუციურ გენერირებამდე.

ამ მოსაზრების გასამყარებლად შემოგთავაზებთ სამი ფაზის მოკლე ანალიზს. რადგან პროცესი, განსაკუთრებით, მესამე ფაზა ჯერ კიდევ არ დასრულებულა, დღევანდელ ვითარებაზე მსჯელობა უფრო პროგნოზულ-სპეკულაციური ხასიათის იქნება.

2. სახელმწიფო ეს მე ვარ: გამსახურდია, როგორც სახალხო პროდუქტი

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის დროისათვის საქართველოში საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართება განპირობებული იყო ე.წ. „საბჭოთა მემკვიდრეობით“ – სსრკ არ იყო „ჩვენი“ სახელმწიფო, რეპრესია იყო სახელმწიფოს ფუნქცია და არა მისი ერთ-ერთი მექანიზმი, ინდივიდი საკუთარი კეთილდღეობისათვის ან უნდა „დაპატრონებოდა“ სახელმწიფოს (გამხდარიყო ნომენკლატურის ნაწილი) ან შეექმნა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი საკუთარი მიკროსამყარო („საქმოსნობა“ და „ქურდობა“). რეალურად, ორივე სივრცე ქმნიდა არაფორმალურ ქსელს, რომელიც ფლობდა პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების ბერკეტებს. ამასთან, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში (1980-იანებიდან მოყოლებული) არაფორმალური ქსელები სულ უფრო გამოკვეთილად ეთნიკურ ხასიათს იძენდა – პოლიტიკური თუ ეკონომიკური კავშირები სულ უფრო იკეტებოდა ეთნიკურ-ტერიტორიულ წარმონაქმნებსა თუ ეთნიკურ ჯგუფებში.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ საქართველოში სახელმწიფოს ჩაენაცვლა საზოგადოება, თანაც ეთნიკურ ნიადაგზე განვითარებული პოლიტიკური სუბკულტურების სახით, რაც განსაკუთრებით ფორმალიზებული და, შესაბამისად, მოქმედების სტრუქტურული რესურსის მქონე აღმოჩნდა საქართველოს ეთნიკურ ავტონომიებში. გამსახურდიას სახელმწიფო იყო ქართული პოლიტიკური სუბკულტურის ფორმალიზაცია გარდაცვლილი საბჭოთა სახელმწიფოს ფუტლიარში[2] – ქართველთა ხედვები მმართველობაზე, ძალაუფლებასა და მის ლეგიტიმაციაზე ხასიათდებოდა ტრადიციული პოლიტიკური კულტურის ნიშნებით: ძლიერი ლიდერი, რომელიც განასახიერებდა მამის მმართველობას, რომელიც „გადაფარებოდა ოჯახის უზნეობას“.[3] ხელისუფლების დაყოფის პრინციპი და ინდივიდუალური თავისუფლებანი სრულიად უცხო იყო ქართული პოლიტიკური კულტურისათვის. შესაბამისად, გამსახურდია სახალხო პროდუქტი იყო იმ გაგებით, რომ იგი საკუთარ თავში განასახიერებდა „ქართულ ოჯახზე მზრუნველ მამას“.

სწორედ ამგვარ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება პიროვნების როლი, რომელსაც შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს სოციალურ რეალობაზე. გამსახურდია პიროვნულად არ იყო „განმანათლებელი ლიდერი". მისი საბჭოურ-დისიდენტური წარსული შეუძლებელს ხდიდა იგი ისეთ წინამძღოლად ქცეულიყო, როგორიც ვაცლავ ჰაველი ან, თუნდაც, ლეხ ვალესა იყვნენ. ღირებულებების თვალსაზრისით, გამსახურდია თავისი ხალხის ერთი რიგითი წევრი იყო, რომელმაც მის ხელთ თავმოყრილი ძალაუფლება საზოგადოებრივი განვითარებისთვის ვერ გამოიყენა.

გამსახურდიას მმართველობის დადებით მიღწევებზე საუბარი თითქმის შეუძლებელია: ამ მმართველობის ლოგიკური შედეგი იყო, ზოგადად, ეროვნული სახელმწიფოს შენების პერსპექტივის სერიოზული საფრთხის ქვეშ დაყენება, ხოლო კონკრეტულად – ეთნიკური კონფლიქტები, ე.წ. „საშობაო პუტჩი" და საერთაშორისო იზოლაცია. „საშობაო პუტჩის" მთავარი მიზეზი, გარდა საბჭოთა კავშირის ინერციული მემკვიდრეობისა ადგილობრივი საბჭოთა სამხედროების სახით, ისევ საზოგადოებრივ დაკვეთაში უნდა ვეძიოთ. ეს პუტჩი იყო საზოგადოებაში გაჩენილი ახალი სუბკულტურული დაპირისპირების გამოვლინება – ამჯერად არა ეთნიკური, არამედ სოციალური სტატუსის საფუძველზე: თბილისის „ელიტარული" საზოგადოება, რომელსაც გამსახურდიამ „მასებზე მიმართული პოპულიზმი" დაუპირისპირა, თავად მოითხოვდა „სახელმწიფოს გაკონტროლებას", ანუ ოჯახის უფროსის შეცვლას.

3. სახელმწიფო à la შევარდნაძე: ჰიბრიდული ეპოქა

შევარდნაძის დაბრუნებას ნელ-ნელა საბჭოური მმართველობის დაბრუნება მოჰყვა. პირველ წლებში იგი „გამსახურდიას მემკვიდრეობის" ტყვე იყო, თუმცა, მისგან განსხვავებით, შეძლო საზოგადოებას უფრო წარმატებით გამკლავებოდა და მისთვის მმართველობის ნაცნობი სისტემა მოეხვია თავს. 1990-იანი წლების შუა ხანებიდან მნიშვნელოვანია საგარეო ვითარების შეცვლა – დასავლეთი უფრო აქტიური გახდა რეგიონში როგორც უსაფრთხოებისა და ენერგეტიკის, ისე დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობის სფეროში. შევარდნაძისთვის პოლიტიკური სტაბილურობა მისი ძალაუფლების კონსოლიდაციას ნიშნავდა. ეს უკანასკნელი კი ორ მთავარ სვეტს ეყრდნობოდა: აღორძინებული საბჭოთა არაფორმალური ქსელი (რა

თქმა უნდა, არა მხოლოდ და არა იმდენად პიროვნებების, არამედ მმართველობის ტიპის მიხედვით) და საერთაშორისო (განსაკუთრებით, დასავლური) მხარდაჭერა. პირველისა და მეორეს შერწყმა გამოხატული იყო თუნდაც შევარდნაძის პარტიის – მოქალაქეთა კავშირის ანატომიაში. ის გამოჭვიოდა პოლიტიკური სისტემის მოწყობის ზოგად პრინციპშიც: კანონმდებლობაზე უფრო დიდი იყო ე.წ. რეფორმატორთა გავლენა, მაშინ, როცა აღმასრულებელი ბერკეტები უფრო კონსერვატორთა ხელში იყო თავმოყრილი. ეს პირდაპირ მიუთითებდა, რომ შევარდნაძისათვის, როგორც საბჭოთა პოლიტიკის ბოლო ათწლეულების კარგი მცოდნისათვის, არსებობდა არაფორმალური პრაქტიკის ფორმალურზე პრიმატის პრინციპი. მისთვის (სამართლებრივ-)სახელმწიფოებრივი პრაქტიკა მხოლოდ ფასადი იყო, რომლის მიღმაც მმართველობის საბჭოთა მანქანა ძველებურად განაგრძობდა არსებობას.[4]

ამასთან, უნდა ითქვას, რომ სიმულაციას უკვალოდ არ ჩაუვლია. 2001 წელს, როცა უშიშროების სამსახური ფინანსური დარღვევების საბაბით ტელეკომპანია რუსთავი 2-ის შენობაში შევიდა, აღმოჩნდა, რომ სიმულაციას რეალური შედეგი ჰქონდა – ფასადურმა ინსტიტუტებმა მაინც მოახდინეს პოლიტიკური კულტურის ცვლილება, განსაკუთრებით, პოლიტიკურ პროცესებში უშუალო მონაწილეობის თვალსაზრისით. რეფორმატორთა ფრთა, რომელიც, ძირითადად, ფასადად სჭირდებოდათ, რეალურ ძალად იქცა. ეს ჯგუფი, მათ შორის, საერთაშორისო საგრანტო დახმარებების წყალობით, ეკონომიკური თვალსაზრისითაც ანგარიშგასაწევი გახდა.

შევარდნაძის რეჟიმის დასუსტების კიდევ ერთი მიზეზი მისი უკიდურესი არაეფექტიანობა იყო: როგორც ეს მსგავს რეჟიმებში ხშირად ხდება ხოლმე, რეჟიმის ლეგიტიმაცია სოციალურ (ვიწრო მნიშვნელობით) წარმატებაზეა დამყარებული. ამგვარი ეფექტიანობა შევარდნაძეს მხოლოდ 1990-იანი წლების ბოლომდე ჰქონდა. რეჟიმის შიდა სიმყარე მხოლოდ იმ დრომდე ძლებს, ვიდრე წამყვანი აქტორები დარწმუნებულნი არიან ლიდერის წარმატებაში. სწორედ ამ დრომდე იზიდავს რეჟიმი ახალ ძალებსაც. შევარდნაძე კი 2000 წლიდან მხოლოდ ინტელექტუალურად უაღრესად ღარიბი ძალების მიზიდვის წერტილად იქცა.

ვარდების რევოლუციის დინამიკა, უპირატესად, ამ ფაქტორებმა განაპირობეს: რეალურ ძალად ქცეული რეფორმატორთა ფრთა, რეჟიმის

სოციალური წარუმატებლობით „გაბრაზებული“ მასები, რეჟიმის სარგებლობაში დაეჭვებული საკვანძო ფიგურები ქმნიდნენ იმ სიტუაციას, როდესაც სულ მცირე საგარეო თანადგომა პოლიტიკურ ცვლილებას გარდაუვალს გახდიდა.

4. სახელმწიფო ძლიერია? ძირს სახელმწიფო?!

ახალი ჭიდილი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის 2003 წლიდან იწყება. სახელმწიფო ინსტიტუტები საქართველოს ისტორიაში პირველად ასრულებენ რეალურ და არა ფასადურ ფუნქციას. ახალი ხელისუფლების განსხვავება წინამორბედთაგან სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, თუ გამსახურდია, საერთოდ, ვერ ხედავდა სახელმწიფოს პოლიტიკური ინსტიტუტების საჭიროებას, ხოლო შევარდნაძეს ეს უკანასკნელნი მარტოოდენ ფასადის ფუნქციის შემსრულებლებად წარმოედგინა, ახალმა ხელისუფლებამ ინსტიტუტების ეფექტიანობა ირწმუნა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ინსტიტუციური მშენებლობის მაღალი ტემპი, რომელიც ხშირ სტრუქტურულ ცვლილებებსა და საკადრო გადახალისებებშიც გამოიხატება. განსხვავებით წინა ხელისუფლებისა, ახალ მთავრობას „აღარ ეშინია“ ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტებისა.

ახლა ხელისუფლებაში სწორედ ის ძალაა მოსული, რომელიც (განათლებისა თუ დასავლურ სამყაროსთან სხვა სახის ხშირი კონტაქტების შედეგად) საზოგადოებაში ყველაზე მეტად დაშორდა ტრადიციული პოლიტიკური კულტურის ძირითად ინდიკატორებს. პირველ ყოვლისა, ესაა ძალაუფლების ლეგიტიმაციის არა იმდენად იდეოლოგიური, არამედ ეფექტიანობითი და მონაწილეობითი აღქმა. ახალმა ხელისუფლებამ იცის ხალხის, როგორც ძალაუფლების წყაროს, არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა. შედარებისათვის, შევარდნაძის ხელისუფლებისათვის სულერთი იყო საზოგადოებრივი აზრი და მის ჩამოსაყალიბებლად ან შესაცვლელად არაფერი კეთდებოდა. ახალი ხელისუფლება კი მნიშვნელოვან მაჯისცემად აღიქვამს ამ აზრს და ცდილობს, საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის განაწყოს იგი.

ახალი ხელისუფლების პირობებში სახელმწიფოს გაძლიერებამ წარმოაჩინა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა სახელმწიფო-საზოგადოების ურთიერთობის კუთხით. აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო საზოგადოება, სინამდვილეში, საკმაოდ სუსტია და მისი „მითური“ ძლიერება

მხოლოდ შევარდნაძის სუსტი სახელმწიფოს ფონზე არსებობდა. იგივე შეიძლება ითქვას მას-მედიაზე. მმართველი პოლიტიკური რეჟიმი დღეს უფრო წარმატებით იზიდავს კვალიფიციურ ადამიანებს, რაც ადამიანური რესურსების საზოგადო დეფიციტის პირობებში, სახელმწიფოს საპირწონეებს ძალიან რთულ ვითარებაში აქცევს.

ამითაა განპირობებული „დემოკრატიულობის კრიზისი", რომელიც საქართველოში ერთი შეხედვით შეიმჩნევა. ამ კრიზისის აღმოფხვრის უსწრაფესი გზა, თეორიულად, ისევ სახელმწიფოს დასუსტებაშია. თუმცა, ეს დემოკრატიულ კონსოლიდაციას ნამდვილად არ გამოიწვევს. საქართველოს ახლანდელი ვითარება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეფექტიანი სახელმწიფო დემოკრატიის აუცილებელი წინაპირობაა.

5-6-7 ფასადური პოლიტიკური ინსტიტუტები: პარტიების „გარდაცვალება"

დღევანდელ საქართველოში პოლიტიკური ინსტიტუტებიდან თუ რაიმე ისევ ასრულებს მხოლოდ ფასადის ფუნქციას – ეს პოლიტიკური პარტიებია. პოლიტიკური სისტემისათვის, განსაკუთრებით, მისი ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, ოპოზიციის ფაქტობრივი გაქრობა ერთ-ერთი რთული გამოწვევაა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის ეს არაა საბედისწერო ნაკლი. პირიქით, ცალკეული კვლევები აჩვენებს, რომ აღმოსავლეთი ევროპის ბევრ ქვეყანაში სწრაფი და წარმატებული ტრანსფორმაცია სწორედ იქ განხორციელდა, სადაც რეფორმატორებს საწყის ეტაპზე აბსოლუტური ძალაუფლება ჰქონდათ.[5]

საქართველოში ოპოზიციის სისუსტე განპირობებულია იმით, რომ პოლიტიკური პარტიის ინსტიტუტი არ გასცდა განვითარების ფასადურ ეტაპს. ამის ობიექტური საფუძველი, დიდწილად, საზოგადოებაში დევს, სადაც პოლიტიკურ პარტიებზე, როგორც პოლიტიკური პარტიციპაციის არხებზე, მოთხოვნილება თითქმის არ არსებობს. პოლიტიკური პარტიები ან ცალკეული ლიდერების, საძმოების გაერთიანებებია, ან ნასაზრდოებია დასავლური ტრენინგებითა და დახმარებებით, ან ორივეთი ერთად. ანუ ეს სტრუქტურული მანკი მათი წარუმატებლობის ძირში დევს.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ვერც პოლიტიკურმა პარტიებმა შეძლეს საკუთარი მნიშვნელობა ეჩვენებინათ საზოგადოებისათვის. სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობაში დარწმუნებულმა ახალმა ხელისუფლებამ ამ ინსტიტუტებთან მიმართებაში პოლიტიკური კულტურის

შეცვლა შეძლო – საზოგადოებაში მათ მიმართ ნდობა გაჩნდა. უკიდურესად უტოპიური იქნება, ხელისუფლებას პარტიების, განსაკუთრებით, ოპოზიციურის, ინსტიტუციური გაძლიერება მოვთხოვოთ (თუმცა, პარტიების საბიუჯეტო დაფინანსება, ნაწილობრივ, ამგვარ ნაბიჯადაც უნდა განვიხილოთ), რადგან ნებისმიერი ხელისუფლების ბუნებაა, ეწინააღმდეგებოდეს ოპოზიციის გაძლიერებას. მით უფრო, თუ ხელისუფლებას ფუნდამენტური ცვლილებების ამბიცია ამოძრავებს. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების სისუსტე მათი ლიდერების ტაქტიკურ შეცდომებში უნდა ვეძებოთ: ძირითადად, ესაა პოლიტიკური თემებისა და ტაქტიკის არაადეკვატური შერჩევა, პრაგმატიზმის ნაკლი და მაქსიმალიზმი. არაადეკვატურია, ხელისუფლებას მოუწოდო უფრო მეტი კომპრომისისაკენ, ხოლო თავად იყო უკომპრომისო, როცა ხელისუფლების ელექტორალური უპირატესობა ცალსახაა.

პოლიტიკური სისტემის სტაბილური განვითარება, განსაკუთრებით, პოლიტიკური პროცესის შემდგომი ლიბერალიზაცია ოპოზიციის ინსტიტუტს ავტომატურად გააძლიერებს. თუმცა, ნაკლებად წარმოსადგენია, რომ საქართველოში კლასიკური იდეოლოგიური პარტიები გაჩნდეს. ნაწილობრივ, ეს იმითაცაა განპირობებული, რომ კლასიკური პარტიების ეპოქა, ფაქტობრივ, ისე დასრულდა, რომ მისი ბუნებრივი განვითარება საქართველოში არ მომხდარა და ვერც მოხდებოდა.

ძნელი სათქმელია, რა თემებს წამოსწევს მომავალი ოპოზიცია. ეს, ალბათ, დიდწილად თავად პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის საშინაო და საგარეო გამოწვევებით იქნება განპირობებული. მაგალითად, შესაძლებელია, ევროკავშირთან საქართველოს უფრო დაახლოების პარალელურად წინ წამოიწიოს როგორც ეროვნული თვითმყოფადობის, ისე ეკონომიკური ინტეგრაციის ავკარგიანობის თემებმა. სავარაუდოდ, იმ დროისათვის საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემასაც სტაბილურობის მეტი ხარისხი ექნება.

დღეს, ალბათ, შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ მომავალი ოპოზიცია პერსონალურად სრულიად გადახალისდება. დღევანდელი ოპოზიციის პოლიტიკური სპექტრი ვერ აღმოჩნდა სწრაფი საზოგადოებრივი და ინსტიტუციური ცვლილებების ადეკვატური. შესაბამისად, დღევანდელი ოპოზიციის „გარდაცვალებას", ალბათ, ვერც გაერთიანება შეაჩერებს და ვერც ახალი გადაჯგუფება. დღევანდელი ოპოზიციიდან პოლიტიკურ სივრცეში დარჩენის შანსი აქვს ოპოზიციის ახალი თაობის იმ ნაწილს, რომელსაც ინსტიტუტების სარგებლიანობის

ერთგვარი ცოდნა დაუგროვდა და რომელთა ურთიერთკავშირი მხოლოდ არაფორმალური ხასიათით არ შემოიფარგლება. ამასთან, ამ ჯგუფმა ცალსახად უარი უნდა თქვას ამჟამინდელ ლიდერებსა და მათ პოლიტიკურ ტაქტიკაზე.

მომავლის ოპოზიციის ძირითადი წყარო დღევანდელი სახელისუფლებო პარტია და ეკონომიკასა და განათლების სფეროში მიმდინარე თუ მოსახდენი ცვლილებების შედეგად გაჩენილი პოლიტიკოსთა ახალი თაობა იქნება. ამასთან, სახელისუფლებო პარტიიდან ასეთი ჯგუფები არა „ძველი" პარტიებისა ან ჯგუფების რესტრუქტურირების გზით წარმოიშვება, არამედ მთლიანად ნაციონალური მოძრაობის ფრაქციებად დაშლის შედეგი იქნება. სავარაუდოდ, ამგვარი განვითარება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვისაა მოსალოდნელი, როდესაც ახალი პარლამენტი ერთი წლით გაუსწრებს ახალი პრეზიდენტის არჩევას.[6] რაც შეეხება ახალ ძალებს, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სისტემის რეფორმას, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა ფენას გზას უხსნის განათლებისა და პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობისაკენ. ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკის ლიბერალიზაცია და კაპიტალის დივერსიფიკაცია, რაც შეუძლებელს გახდის ეკონომიკის ერთი პოლიტიკური ცენტრიდან კონტროლს, ანუ ხელს შეუწყობს პოლიტიკურ დივერსიფიკაციასაც.

8. პოლიტიკური სისტემა

ახალგაზრდა პოლიტიკური სისტემა კლასიკური სახით სტაბილური ვერ იქნება. ამდენად, საქართველოს შემთხვევაში პოლიტიკურის სისტემის სტაბილურობის მინიმალურ დეფინიციას დავეყრდნობი, რომლის მიხედვითაც, სტაბილურია სისტემა, თუ იგი პოლიტიკურ კონფლიქტს სამოქალაქო სივრცეში წყვეტს, ანუ სამხედრო-შეიარაღებულ დაპირისპირებას არ უშვებს. შესაბამისად, ამგვარ სისტემაში რყევები და ძირეული ინსტიტუციური ცვლილებები გამორიცხული არაა.

თუ საქართველოს პოლიტიკურ სისტემას შევხედავთ გლობალურად როგორც მმართველობის ფორმალიზებულ გამოხატულებას, ცხადია, რომ 1990-იანი წლების შემდეგ ნაბიჯები აშკარა სტაბილურობისაკენაა გადადგმული. კერძოდ, აშკარაა სახელმწიფოს პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერება არამყარი ტრადიციული ინსტიტუტების ხარჯზე. მეორე, თუ პოლიტიკურ სისტემას შევხედავთ როგორც მხოლოდ პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პროცესის ერთობლიობას,

მაშინ, 2003 წლის შემდეგ, ასევე სტაბილიზაციის ელემენტებს დავინახავთ. ინსტიტუციური მოდუსის ძებნა, რომელიც სტრუქტურულ ცვლილებებსა და საკადრო გადახალისებებში გამოიხატებოდა, უკვე, ფაქტობრივ, სრულდება. 2006 წელს მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები (მაგალითად, თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის წასვლა მთავრობიდან) არა ინსტიტუტების კრიზისზე, არამედ უფრო მათ სიმყარეზე მიუთითებს, რადგან იგი არსებითი პოლიტიკური რყევების გარეშე განხორციელდა.

პოლიტიკური სისტემის განვითარება, თუ გარემო პირობები ხელსაყრელი იქნება, მომავალში შემდგომი ლიბერალიზაციის გზით განვითარდება. ნაწილობრივ, ამის წინაპირობაა განათლების სისტემის რეფორმა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის კურსი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გამართლდება ის პროგნოზიც, რომელიც წინა თავში პოლიტიკურ პარტიებს შეეხებოდა. შესაბამისად, საქართველოში რთული წარმოსადგენია როგორც იაპონური, ისე მექსიკური ან ლათინოამერიკული გზა. სავარაუდოდ, საქართველოს განვითარების გზა ამიერიდან უფრო აღმოსავლეთევროპული იქნება. მით უფრო, თუ გაგრძელდება საქართველოს დაახლოება ნატო-სა და ევროკავშირთან.

9. საგარეო ფაქტორები

საგარეო ფაქტორებზე ტექსტში არაერთხელ იყო საუბარი. ეს შემთხვევით არ მომხდარა. საგარეო პირობები და საგარეო აქტორები ერთობ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საქართველოს განვითარებაზე და ეს გავლენა გარკვეულ ეტაპებზე საკვანძოც კი იყო.

გამსახურდიას მარცხი ნაწილობრივ იმითაცაა განპირობებული, რომ საქართველოზე მხოლოდ რუსეთის ნეგატიური გავლენა მოქმედებდა – როგორც კონკრეტულად კონფლიქტების, ისე, ზოგადად, პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით.

შევარდნაძის ხანის ფასადური ცვლილებები, რომელსაც საკმაოდ რეალური გარდაქმნები მოჰყვა – მნიშვნელოვანწილად, დასავლეთის დაინტერესებისა და პოლიტიკის შედეგი იყო. მან, მართალია, ბოლომდე ვერ გამოთიშა, მაგრამ მნიშვნელოვნად დააბალანსა რუსეთის ნეგატიური როლი.

განვითარების დღევანდელ ეტაპზე საგარეო ფაქტორს საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება ინსტიტუციური მშენებლობის წარმატებისა და პოლიტიკური სისტემის კონსოლიდაციისათვის. ნატო-ში გაწევრიანება გა-

დამწყვეტია სწორედ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სტაბილური გარემოს შესაქმნელად. უსაფრთხოების ქოლგა ამ შემთხვევაში არა მხოლოდ სტრუქტურულად გამორიცხავს რუსეთის ნეგატიურ გავლენას, არამედ შეუქცევადს გახდის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლიბერალიზაციას. ნატო-ში ინტეგრაციის შემდეგ შეუძლებელი იქნება უსაფრთხოების მიზეზით ხელისუფლების მიერ „ტაბუდადებული“ თემების არსებობაც.

10. დასკვნის მაგიერ: „არ შეაჩერო შენება?“

“არ შეაჩერო შენება“ – ხელისუფლების ეს წინასაარჩევნო სლოგანი, პირველ რიგში, სწორედ ხელისუფლების სამოქმედო დევიზად უნდა იქცეს. იგი დღეს წარმატებით ართმევს თავს სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას. ამასთან, მას ყოველთვის უწევს პოლიტიკური კულტურის ფაქტორის გათვალისწინება. გარკვეულწილად, ამითაა განპირობებული ხელისუფლების არცთუ იშვიათი მემარცხენე პოპულიზმი. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ გონივრული ბალანსი დაიცვას საზოგადოების მიმართ ტაქტიკურ დათმობებსა და სტრატეგიულ მიზნებს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ამგვარმა პოპულიზმმა პირიქით, ტრადიციული პოლიტიკური კულტურის გაძლიერება მოახდინოს.

ხელისუფლების მთავარი გამოწვევა ისეთი პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერებაა, რომლებიც მოკლევადიან პერსპექტივაში მისი ძალაუფლების გამყარებას არ ემსახურება – ესაა ადგილობრივი თვითმმართველობა და სასამართლო სისტემა. ამასთან, ამ ინსტიტუტების განვითარება ხელს შეუწყობს პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაციას და, აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფს არსებული ხელისუფლების როგორც წარმატებას, ისე ლეგიტიმური ჩანაცვლების შემდეგ მის პოლიტიკურ არენაზე დარჩენას. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში (განსაკუთრებით, ადგილობრივი თვითთმმართველობის დროს) ხელისუფლება ისევ პოლიტიკურ კულტურას უფრთხის, თუმცა, ამ შემთხვევაშიც ინსტიტუტების მასოციალიზებელი გავლენის მიმართ უფრო მეტი ნდობაა საჭირო, რადგან პოლიტიკური კულტურის შეცვლა მხოლოდ მოქმედების გზითაა შესაძლებელი.

უკვე ითქვა, რომ ხელისუფლება არაა ვალდებული იზრუნოს ოპოზიციის ინსტიტუციურ გაძლიერებაზე. პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაცია, ეკონომიკური და განათლების სისტემების გახსნა თავისთა-

ვად შეუწყობს ხელს ოპოზიციის ინსტიტუტის ფორმირებას. ამასთან, ხელისუფლება არ უნდა ეცადოს არსებული ოპოზიციის მარგინალიზაციას, რათა ამას ისევ პოლიტიკურ კულტურაზე არ ჰქონდეს უარყოფითი გავლენა. საქართველოს პოლიტიკურ კულტურას დღესაც სუსტად აქვს განვითარებული მონაწილეობითი კულტურის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი – პრაგმატიზმი, რომელიც კონფლიქტების ცივილიზებულ განხილვას და სხვადასხვა ჯგუფს შორის ინფორმაციის გაცვლას შესაძლებელს ხდის. დღეს ხელისუფლებას და ოპოზიციას, ფაქტობრივ, ე.წ. groupthink-ის სინდრომი განუვითარდათ.

ხელისუფლების მთავარი გამოწვევაა არ „ჩაიკეტოს" და შეინარჩუნოს განახლების უნარი. ამისთვის, სასურველია, უკეთ გამოიკვეთოს ახალი ხელისუფლების მთავარი პოლიტიკური ღირებულებები (მაგ. სახელმწიფოს როლი, ინდივიდუალური უფლებები, ტერიტორიული მოწყობა, სასამართლო სისტემა) და ახალი რესურსების რეკრუტირება სწორედ ამ ღირებულებითი ღერძისა და არა მხოლოდ პიროვნული ლოიალობის ან ხშირად გაურკვეველი „პროფესიონალიზმის" კუთხით მოხდეს. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება სახელმწიფო ბიუროკრატიის მშენებლობას, თუმცა, ასევე პარტიულ საკადრო პოლიტიკასაც.

ურთულესი იქნება ამ დისკურსში კონფლიქტური რეგიონების ჩართვა, რადგან აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა ბოლო 15 წლის განმავლობაში განვითარების სხვა გზა განვლეს. აშკარაა ხელისუფლების მცდელობა, კონფლიქტებში ახალი დინამიკა შემოიტანოს. ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ისევ დარჩება ინკლუზიური ერის მშენებლობა და ამ კუთხით პოლიტიკური კულტურის ცვლილება.

ხელისუფლების საქმიანობა დღემდე პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაციისა და სტაბილურობისაკენაა მიმართული. ამასთან, სასურველია, ხელისუფლებამ არ დაივიწყოს გარდამავალ ქვეყნებში კარგად ცნობილი ძალაუფლება-რეფორმის დილემა. ნებისმიერ რეფორმას (აქ რეფორმას შეიძლება მოდერნიზაციაც დავარქვათ) სჭირდება პოლიტიკური ძალაუფლება, ხოლო ძალაუფლების შენარჩუნება ხშირად რეფორმების პრინციპების ხარჯზე ხდება. ახალგაზრდა ხელისუფლებას უნდა ესმოდეს, რომ, თუნდაც ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობის შემდეგ აუცილებლად დადგება ხელისუფლების შეცვლის დრო და სწორედ სტაბილური პოლიტიკური სისტემაა იქნება გარანტი, რომ ეს ამ ხელისუფლების პოლიტიკური არენიდან სრული გაქრობის გზით არ მოხდეს.

შენიშვნები:

[1] John Migdal, *Strong Societies and Weak States: State-Society Relations and State Capabilities in the Third World* (Princeton University Press, 1988).

[2] იგულისხმება, რომ გამსახურდიას სახელმწიფო მანქანის არსებითი ცვლილება არც კი უცდია.

[3] *შდრ. "amoral familism"* – Edward C. Banfield, *The Moral Basis of Backward Society* (The University of Chicago, 1958), ტერმინის ქართული თარგმანი იხ. ალექსანდრე რონდელი, *პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში* (თბილისი, 2003), 254.

[4] გიგი თევზაძე, *ძალაუფლების სიმულაციები* (თბილისი, 1999).

[5] Micael McFaul, "The Fourth Wave of Democracy and Dictatorship", *World Politics*, Vol. 54, (იანვარი-2002): 212-244.

[6] ეს სპეკულაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პოლიტიკური მეცნიერება უნდა ერიდოს პროგნოზს. საკონსტიტუციო ცვლილებებმა, რომლებიც ახლა, 2006 წლის ბოლოს იგეგმება და მომავალშიც არაა გამორიცხული, შეიძლება სრულიად სხვა განვითარება შესძინოს მოვლენებს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა, ნაკლებად მოსალოდნელ თუ მოულოდნელ ცვლადებზე.

ლევან გიგინეიშვილი

1. პრობლემები და მიღწევები დამოუკიდებლობის შემდეგ

საქართველოში დამოუკიდებლობის შემდეგ წარმომდგარი მთავარი პრობლემა და სირთულეები სახელწიფოებრივი მენტალიტეტის ჩამოყალიბებას უკავშირდება.

საბჭოთა კავშირის პერიოდის საქართველოში თითქმის არ არსებობდა სახელმწიფოებრივი შეგნება: საქართველო არ იყო პოლიტიკური სუბიექტი; ის იყო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა მარიონეტული მთავრობით. ის, რაც აერთიანებდა მოსახლეობას, იყო უფრო კულტურა, ლიტერატურა, ისტორია თავისი გმირული წარსულის ნარატივით, სხვათა შორის, სპორტიც (ყველას ახსოვს, ალბათ, რომ თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრობა გადაზრდილი იყო გულწრფელ პატრიოტულ განცდებში). არსებობდა დისიდენტური მოძრაობაც, მაგრამ „პერესტროიკამდე“ მისი პოპულარობა მოსახლეობაში საყოველთაო არ ყოფილა. ყოველი მცდელობა კულტურული პატრიოტიზმის გადაზრდისა პოლიტიკურში დიდ რისკს უკავშირდებოდა. ასეთ მცდელობას 1956 წელს დემონსტრაციის დახვრეტა მოჰყვა. 1978 წლის სტუდენტების გამოსვლა ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად წარმატებით დასრულდა, მაგრამ უზარმაზარი რისკის ფასად. ასეთი ნაბიჯები უფრო წესიდან გადახვევა იყო და არა ჩვეულებრივი რამ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რასაც სათავეში რომანტიკოსი და ყოველგვარ პოლიტიკურ კულტურას და გამოცდილებას მოკლებული დისიდენტები ედგნენ (დისიდენტობა და პირადი გმირობა არ ხდის ადამიანს ავტომატურად პოლიტიკოსად), საქართველო აღმოჩნდა ყოვლად მოუმზადებელი მოთამაშე მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში, მყარი ორიენტაციებისა და საღი პოლიტიკური ხედვის გარეშე. ცხადი გახდა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვება (მაგრამ მოპოვებაზე მეტად ეს იყო სსრკ-ის ნგრევის ობიექტური პროცესი და 9 აპრილის ტრაგედია სულაც არ იყო აუცილებელი დამოუკიდებლობისათვის)

არ ყოფილა თვითმკმარი მიზანი და ქვეყანა გაცილებით უფრო რთული ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. მოსახლეობის პოლიტიკური პასიურობა ინერციით დამოუკიდებელ საქართველოსაც გადმოეცა. ამის მაჩვენებელია, მაგალითად ის, რომ ყოველ ახალ მეთაურს, ძველით გაწბილების შემდეგ, უდიდესი უმრავლესობა აძლევდა ხმას (გამსახურდიას 90%-ზე მეტმა მისცა ხმა და შემდეგ შევარდნაძეს, რომელსაც სრულიად განსხვავებული ხედვები ჰქონდა, ამდენივემ, იგივე იყო სააკაშვილის შემთხვევაშიც). ეს იმას აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობა ძალიან ადვილად ამყარებს იმედებს და უფრო ემოციით ხელმძღვანელობს, ვიდრე გონებით და უფრო მეტად ქარიზმატულ პიროვნებაზეა ორიენტირებული (გავიხსენოთ, მაგალითად, გამსახურდიას დროს აქცენტი ჰაბიტუსზე) და არა პოლიტიკურ პროგრამაზე, რომელსაც ეს ლიდერი და მისი გუნდი წარმოადგენს. (თუმცა, ძალიან ზოგად პოლიტიკურ ინტუიციას რაც შეეხება, საქართველომ გააკეთა არჩევანი ევროპისა და დასავლური ღირებულებებისაკენ, რაც გამსახურდიას რეჟიმის შეცვლამაც აჩვენა.) ვფიქრობ, მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რომ გაჩნდა ქართველების პოლიტიკური შეგნება, რომელიც თითქმის არ არსებობდა. ცხადია, როგორც ყველა ახალშობილი, ის ძალიან სუსტია. მიღწევებისა და ვერმიღწევების კრიტერიუმი, ჩემი აზრით, არის სწორედ ის, თუ რა ტემპებში ხდება სახელმწიფოებრივი შეგნების ზრდა. გაერო-ში საკუთარი დროშის ქონას დიდი დატვირთვა აქვს, როგორც სიმბოლურად, ისე რეალურად, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ შემდგარი სახელმწიფო. საქართველომ უნდა გაიაზროს, რომ ჯერ კიდევ, ცნობილი იგავი რომ მოვიშველიოთ, არაჟანში ჩავარდნილი ბაყაყია, რომელმაც უნდა თავგანწირვით იფართხალოს იმისათვის, რომ ფეხქვეშ კარაქის სიმყარე, ანუ შემდგარი სახელმწიფოებრიობა იგრძნოს. სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მიღწევად უნდა ჩაითვალოს პოლიციის რეფორმა, და ეს მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულთა რიცხვმა არ იკლო და ზოგი მონაცემით იმატა კიდეც. საქმე არა მარტო დანაშაულის სტატისტიკაა, არამედ პოლიციის იმიჯი. ის, რომ ყულაბა-ინსპექტორები აღარ დგანან ქუჩაში და პოლიციელისთვის ქრთამის მიცემა აღარ აღიქმება რუტინად, უკვე დიდი წარმატებაა. კანონისადმი პატივისცემის გარეშე წარმოუდგენელია სახელმწიფოს მშენებლობა. დამოუკიდებლობამდე საქართველოში კანონი აღიქმებოდა როგორც უცხო, სხვისი,

ამდენად მისი დარღვევაც ლამის სიქველედ შეიძლება ჩათვლილიყო. პირადი სივრცე და სახელმწიფო სივრცე უფსკრულით იყო გამიჯნული (ამის ერთი შედეგი თუნდაც ის სიბინძურე იყო, რასაც ქუჩებში და საზოგადო ადგილებში ვხვდებოდით). ამგვარი დამოკიდებულება დღესაც არსებითად არ შეცვლილა, თუმცა რაღაც სასიკეთო ძვრები არის. მაგალითად, გადასახადების გადახდაზე უფრო მკაცრი კონტროლის დაწესება, სალარო აპარატების შემოღება, მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯები იყო. გადასახადების აკრეფის დარეგულირების გარეშე ისევ მანკიერი წრე იკვრება – ბიუჯეტი არ ივსება, ხელფასები არ რიგდება, რახან ხელფასი არ მეძლევა, რატომ ვიხადო გადასახადი და ა.შ.

პოლიტიკურ პლანში, საქართველომ ჯერ-ჯერობით ვერ მიაღწია მდგრად სტატუსს უსაფრთხოების დამაკმაყოფილებელი ხარისხით. დაკარგულია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები; ნატო-ში გაწევრიანებამდე მუდამ იქნება დაუცველობის განცდა დიდი ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან; ეს გაწევრიანება კი საკმაოდ პრობლემური ჩანს; ერთგვარი „დაწყევლილი წრეა“: ჩვენ ვართ არასტაბილურები, ტერიტორიადაკარგულები, შიდა კონფლიქტები მოსაგვარებელი გვაქვს და ამის გამო ნატო არ გვიღებს; არადა, ნატო-ში გაწევრიანების გარეშე ამ კონფლიქტების მოგვარება თითქმის შეუძლებელი ჩანს.

მაინც წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ საქართველომ მკაფიო, არაორაზროვანი გეზი აიღო დასავლეთზე, რაც ჯერ კიდევ ედვარდ შევარდნაძის პრეზიდენტობაში დაიწყო. ორიენტაციის სიცხადე, თუნდაც ეს მეტ რისკთან იყოს დაკავშირებული, მაინც უკეთესია, ვიდრე პოლიტიკური ლაბილურობა და უნიათობა. დიდი პოლიტიკური ძალების ჭიდილში, მსოფლიო პოლიტიკის ტენდენციებში საქართველო ჩაურთველი ვერ დარჩება. საქართველოს უხდება რისკიანი სვლების გაკეთება ამ მსოფლიო პოლიტიკის „პოკერში“. ამიტომ ძალიან კარგია, რომ საქართველო გაერთიანდა ანტიტერორისტულ ალიანსში და თავისი კონტინგენტი გაუშვა ერაყში. ამგვარი ნაბიჯები აუცილებელია იმისათვის, რომ ვაჩვენოთ: საერთაშორისო სივრცეში ჩვენ ვართ პატარა, ნაკლებმნიშვნელოვანი, მაგრამ აქტიური მოთამაშე, რომელსაც შნო აქვს პასუხისმგებლობა იკისროს.

განათლების რეფორმა და ბოლონიის პროცესთან შეერთებაც ამ აუცილებელ ნაბიჯად მესახება, რაც, მართალია, დეტალებში ხარვეზე-

ბით შესრულდა და გადამეტებულად მკაცრი გამოდგა მრავალი პროფესორისთვის, მაგრამ სტრატეგიულად გამართლებული ნაბიჯი იყო. ამას ჯერ წარმატებას ვერ დავარქმევ, არამედ წარმატებისკენ გადადგმულ ნაბიჯს, რადგან ყოველგვარ წარმატებაზე ლაპარაკი ზედმეტია, თუ არ მოხდა ერთი მთავარი რამ: სტუდენტებს გაუჩნდეთ სწავლის მოტივაცია იმ რწმენის გამო, რომ უმაღლესში თანამედროვე დასავლურ სტანდარტებს მიახლოვებულ განათლებას იღებენ, ხოლო ასეთი განათლებით იშოვიან სამსახურს, რაც დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალებას მისცემთ. ამის გარეშე რეფორმა ვერ შეძლებს იმ აპათიის დაძლევას, რაც მრავალი წლის მანძილზე დამკვიდრებული იყო თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში.

სამუშაო ადგილების შექმნის მხრივ კი საქართველოში ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაა; ამის გამოა, რომ უამრავი ჩვენი თანამემამულე ახლა უცხოეთში ცხოვრობს და ლეგალური თუ არალეგალური საშუალებებით ეხმარება თავიანთ ოჯახებს. ამ პრობლემის მოგვარებას ჯერჯერობით პირი არ უჩანს.

2. სამი პრეზიდენტი *გამსახურდია*

ზვიად გამსახურდიას მმართველობის ერთადერთი წარმატება შეიძლება იყო ის, რომ საქართველო გახდა დამოუკიდებელი[1] და დაიწყო ქვეყნის პოლიტიკურ სუბიექტად ჩამოყალიბების პროცესი. ფორმალურად მაინც, საქართველოში დაარსდა დემოკრატიული ინსტიტუტები, მიღებულ იქნა დემოკრატიული კონსტიტუცია. ფორმალურს რომ ვამბობ, ვგულისხმობ, რომ დემოკრატია რეალურად არ მუშაობდა და საქართველოს მართავდა პარტია *მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო* (რომელსაც ხუმრობით როკ-ჯგუფი „დიქტატურაც“ შეარქვეს). ავტორიტარიზმი იყო გამეფებული ყველგან: არ იყო თავისუფალი პრესა და ტელევიზია; იდევნებოდა თავისუფალი აზრი პარლამენტშიც; ხდებოდა ავტორიტარული დანიშვნები ისეთ პოსტებზე, რომლებზეც დანიშვნა ამ დაწესებულებების შიგნით უნდა მომხდარიყო: მაგალითად, კინოსტუდიაში და ტელევიზიაში.

მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი რეჟიმის რღვევისა და პოპულარობის დაცემისა იყო ხელისუფლების გამიჯვნა ინტელიგენციისაგან. ქვეყანა თავისთავად სუსტი იყო და ღია რეპრესიებსაც მასიური

ხასიათი არ ჰქონდა (იყვნენ ერთეული პოლიტიკური პატიმრები, მაგალითად, ჯაბა იოსელიანი და გია ჭანტურია). იმ სიტუაციისთვის შეიძლებოდა კომიკური დიქტატურა დაგერქვა. ვინაიდან ინტელიგენცია ქმნიდა არაოფიციალურ იდეოლოგიურ ამინდს, ხელისუფლებამ დაკარგა იდეოლოგიური მედროშეობა. იმ იდეოლოგიას, რასაც ხელისუფლება და მისი იდეოლოგები – მაგალითად, გურამ პეტრიაშვილი და მზია ბაქრაძე – ამტკიცებდნენ, არ იღებდა ელიტარული საზოგადოება.

რა იყო ეს იდეოლოგია? ეს იყო ნეო-ეროვნულობა. რატომ „ნეო“? იმიტომ, რომ მსგავსი ეროვნული იდეოლოგია არასდროს ყოფილა მთავარი ხმა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მაშინაც სიტყვით დასავლეთზე იყო ორიენტირებული, საქმით მტკიცდებოდა დასავლურისაგან სრულიად განსხვავებული მოდელი: საქართველო განსაკუთრებულია, მას აქვს განსაკუთრებული სულიერი მისია მთელი მსოფლიოსთვის, ქართულ სულს უნდა ჩავაცვათ ქართული ჩოხა ა.შ. ილია ჭავჭავაძე დაფასებული და რეკლამირებული იყო გამსახურდიას იდეოლოგიის მიხედვით, მაგრამ აქცენტი იყო უფრო მის ეროვნულობაზე, ვიდრე მისი ცნობიერების არანაკლებ მნიშვნელოვან ნაკადზე – ევროპელობაზე და ლიბერალიზმზე. ქართული ეროვნება გამოცხადდა ერთგვარად უფრო მნიშვნელოვან, მისტიკურ ფენომენად, ვიდრე დასავლური ცივილიზაცია თავისი ლიბერალიზმითა და პიროვნების უფლებების დისკურსით.[2] ყველას ახსოვს, როგორ უსტვინეს ეროვნული ფორუმის შეკრებაზე ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილს, როდესაც მან თქვა: „ეროვნება დიდი ფასეულობაა, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი ფასეულობაა“. ეს მან თქვა იმ ეროვნული ისტერიის პირობებში, რომელიც აზავთდა სსრკ-ის დაშლის შემდეგ საქართველოში. გამსახურდიას მთავრობა სწორედ ამ ფსევდომისტიკურ ეროვნულ ისტერიას უწყობდა ხელს. ამით შეშფოთებამ ათქმევინა მამარდაშვილს ცნობილი ფრაზა: „თუ ჩემი ხალხი აირჩევს გამსახურდიას, მე წავალ ჩემი ხალხის წინააღმდეგ“. მართლაც ევროპულმა იდეამ უკან დაიხია გამსახურდიას მმართველობის პერიოდში. ხელოვნურად ხდებოდა ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია ტელევიზიით მისი ზომაზე მეტი დროით ჩვენებით. გაუქმდა ისეთი პოპულარული გადაცემა, როგორიც იყო „ილუზიონი“, რომელიც სსრკ-ის პერიოდში ევროპული ცივილიზაციის მოდელების ერთ-ერთი მძლავრი 'წარმდგენი' იყო საზოგადოებისათვის. ის, არსებითად,

ანტიევროპული ეროვნული პროგრამა, რომელსაც ამკვიდრებდა გამსახურდია, ვერ იგუა ქართული საზოგადოების უმეტესობამ და უკვე გადატრიალებამდე გამსახურდიას ხელისუფლებას იდეოლოგიური საფუძველი მორყეული ჰქონდა.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ეროვნულობასთან დაკავშირებით: გამსახურდიას ეროვნულ პროგრამას ჰქონდა მკვეთრად ეთნოცენტრული ხასიათი. „საქართველო ქართველებისთვის“ იყო ის ლოზუნგი, რომელიც კარგად ასახავს ამ პროგრამას: ანუ, საქართველოში მასპინძლები არიან მხოლოდ ეთნიკურად ქართველები. ასეთ მიდგომას შედეგად ის მოჰყვა, რომ საქართველო დატოვა მრავალმა ეთნიკურად არაქართველმა გაუსაძლისი იდეოლოგიური ფონის გამო. სწორედ ამ ტალღაზე მოხდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება და მისი სახელის შეცვლა „სამაჩაბლოთი“. ამას კი მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტი, რომელმაც გადაამტერა ქართველები და ოსები, როცა ამის საფუძველი არ ყოფილა (განსხვავებით აფხაზეთის შემთხვევისაგან, სადაც ეთნიკური შუღლი გაცილებით უფრო დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდა). ამ შეიარაღებულ კონფლიქტს მოჰყვა ეთნიკური ოსების განდევნა ბაკურიანიდან, ქარელიდან ა.შ. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში რუსული გაზეთისათვის გამსახურდიამ ოსებს უწოდა „дикий, необразованный народ“. ამგვარმა პოლიტიკამ აფხაზეთში გამოიწვია აფხაზური სეპარატიზმის კიდევ უფრო გამტკიცება. სეპარატისტებს კარგი შანსი მიეცათ გამხდარიყვნენ მთავარი ხმა აფხაზეთში ამ ლოგიკით: „რად გვინდა ინტეგრაცია ისეთ ქვეყანასთან, სადაც ჩვენ გვთვლიან სტუმრებად და მეორეხარისხოვნებად“. ერთ-ერთ მიტინგზე გამსახურდია ამტკიცებდა, რომ აფსუა და აფხაზი სხვადასხვა რამაა; რომ აფხაზები ქართველები არიან, ხოლო აფსუები გვიან ჩამოსახლებულები. ეთნოცენტრიზმი იყო მიზეზი, რამაც ანდრეი სახაროვს ათქმევინა, რომ საქართველო არის „მცირე იმპერია“. ეს შეცდომა იყო, მაგრამ მხოლოდ იმ აზრით, რომ იმპერიის იდეა, რომიდან მოყოლებული, ზეეთნიკურ კატეგორიებს ეფუძნება; ასე რომ, „ეთნოცენტრიზმი“ და „იმპერია“ ტერმინების კონტრადიქცია გამოდის.

ახლა, რაც შეეხება გამსახურდიას რეჟიმის დაცემას და მის მიზეზებს; მთავარი მიზეზი უკვე ვთქვი – ინტელიგენციის და საზოგადოების დიდი ნაწილის გაუცხოება იმ პოლიტიკურ პროგრამასთან (თავის ისტერიული რუსოფობიით და ჯოხარ დუდაევთან რაინდულ-რომანტიკული

ჩახუტებით) და ნეო-ეროვნულ იდეოლოგიასთან, რომელსაც ხელისუფლება სთავაზობდა საქართველოს მოქალაქეებს. კონკრეტული მიზეზი კი იყო იანაევის პუტჩის დღეებში პრეზიდენტის ბრძანებით ქართული ჯარის, ეროვნული გვარდიის გაუქმების მცდელობა და მისი დაყვანა პოლიციურ შენაერთამდე – რაც გამოწვეული იყო, ვფიქრობ, დიდი განგაშით, რომ სსრკ ბრუნდებოდა და დამოუკიდებელი ქართული ჯარის შემთხვევაში უფრო დიდი შანსი იყო, რომ რესტავრირებული კომუნისტური რუსეთი ტანკებით შემოჯლიგინდებოდა საქართველოში. პუტჩი დამარცხდა. მაგრამ მას დამღუპველი შედეგი ჰქონდა პრეზიდენტის იმიჯისათვის ჯარში: „აი, თურმე რა ადვილად თმობდა დამოუკიდებელ ქართულ არმიას, მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზორში პუტჩის შესახებ ამბობდა, როგორც წვიმს, ისე არ ქუხსო.“ გვარდიის ნაწილი კიტოვანის მეთაურობით არ დაემორჩილა პრეზიდენტის ბრძანებას და თბილისის ზღვაზე დაბანაკდა, შემდეგ კი, თითქოს თენგიზ სიგუას პირობის შესასრულებლად, ჩამოვიდა რუსთაველზე და პრეზიდენტს ახალი წელი აღარ მოალოცინა. რა იყო ეს? ახლად ჩამოსული შევარდნაძის ფორმულირებით, ეს იყო დემოკრატიული რევოლუცია, ზვიად გამსახურდიას მომხრეებისთვის კი ავანტიურისტული სამხედრო გადატრიალება. ვერ ვიტყვი, რომ სიმართლე ამათ შუაშია, მაგრამ ორივე ამ მომენტს კი შეიცავს: იყო დემოკრატიული რევოლუცია, რადგან მიმართული იყო ანტიდემოკრატიული, ავტორიტარული ხელისუფლების წინააღმდეგ. ინტელიგენციის უმეტესობა მას მერე, რაც შეიარაღებული შეტაკება დაიწყო და ან-ან-ზე მიდგა საქმე, მხარს უჭერდა კიტოვან-სიგუა-იოსელიანის ტრიუმვირატს – ანუ სამხედრო გადატრიალებას; მას ახლდა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერაც. ამ მხარდაჭერის ერთ-ერთი მიზეზი, ცხადია, იყო შიში, რომ გამსახურდიას გამარჯვების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო რეჟიმის კიდევ უფრო გამკაცრება და რეპრესიების დაწყება. მეორე საკითხია, უნდოდა თუ არა საზოგადოებას ეს ან-ან? ვფიქრობ, რომ არა! საზოგადოება ძალით დააყენეს ამ არჩევნის წინაშე. ეს იყო დიდი ტრაგედია საქართველოს ცხოვრებაში. ვფიქრობ, გამსახურდიას რეჟიმი და მისი იდეოლოგია მოსაცილებელი იყო, მაგრამ არა სისხლისღვრით. როგორც ძველი ბერძნები ამბობდნენ, „ძალადობა ძალადობას შობს“, და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი აფხაზეთის ომში საქართველოს წარუმატებლობისა იყო ის, რომ ქართველი ჯარისკაცების ზურგში გადამტერებული გამსახურდიას მომხრე მათი თანამემამულეები იდგნენ.

შევარდნაძე

ედუარდ შევარდნაძის მმართველობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში. მისი პოპულარობა და იმიჯი მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში, სიახლოვე და მეგობრობაც რუსეთის, ევროპისა და ამერიკის წონიან პოლიტიკურ ფიგურებთან საქართველოს აქტივი იყო მრავალი წლის განმავლობაში. შევარდნაძე იყო ერთადერთი ფიგურა, რომლის პრეზიდენტობას თანხმდებოდნენ მისი მოწინააღმდეგეებიც კი. ამან ქვეყანაში სტაბილურობის დამყარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

ედუარდ შევარდნაძე ხელისუფლების სათავეში მოვიდა ძალიან რთულ, აწეწილ დროს, როცა რეალურ ძალაუფლებას ფლობდნენ თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი (ნაკლებად, თენგიზ სიგუა). ჯაბა იოსელიანის პირადი ინიციატივა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო იმისა, რომ შევარდნაძე ჩამოეყვანათ და ამ უკანასკნელსაც, უნდოდა თუ არა, ანგარიში უნდა გაეწია მისთვის და „დემოკრატიული რევოლუციის“ სხვა გმირებისთვის. შევარდნაძე მოვიდა დემოკრატის სახით. ეს ძალიან კარგ შანსს ქმნიდა საქართველოს გამთლიანებისთვის, რადგან ეთნოცენტრული დისკურსის ადგილს ლიბერალური ფასეულობების დისკურსი იკავებდა. ასეთ შემთხვევაში სეპარატიზმის იდეოლოგებს აფხაზეთსა თუ ოსეთში, ესპობოდათ მთავარი „კოზირი“ – რომ ქართველები არიან შოვინისტები და სურთ ჩვენი გამეორეხარისხოვნება საქართველოში. სამწუხაროდ, კიტოვანის შეჭრამ სოხუმში და ამის შედეგად ომის დაწყებამ ყველაფერი ჩაშალა. მე არ ვფიქრობ, რომ კიტოვანი ასრულებდა კრემლის დაკვეთას და ამაში ფულს იღებდა, არამედ ვფიქრობ, რომ ეს მისი პირადი უპასუხისმგებლობის და თავქარიანობის შედეგი იყო; მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, მიღებული შედეგი საქართველოს სტრატეგიული ინტერესების საზარელი ღალატი გამოვიდა.[3] არ ვიზიარებ იმ ვარაუდს, რომ კიტოვანი შევარდნაძის დავალებით და უფლებამოსილებით მოქმედებდა და არა პირადი ინიციატივით. შევარდნაძეს ბევრი რამე შეიძლება დააბრალო, მაგრამ ექსტრემიზმი არა. თითქმის შეუძლებლად მიმაჩნია მას ასეთი ექსტრემისტული ნაბიჯი გადაედგა, თან მაშინ, როდესაც თავისი პოზიცია პრეზიდენტის პოსტზე ჯერ გამყარებული არ ჰქონდა.

შევარდნაძის მმართველობის საწყისი ეტაპის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს აფხაზეთის წაგებული ომის შემდეგ წესრიგის დამყარება ქვეყანაში და არასახელმწიფო სამხედრო დაჯგუფებების, განსაკუთრებით კი „მხედრიონის“ ალაგმვა. ჯაბა იოსელიანს ვერ წაართმევ ღირსეულ თვისებებს – ვაჟკაცობას, განათლებას, ჭკუას, იუმორს (თუ იუმორი ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს) – მაგრამ იგი იყო არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი. ეს იქაც გამოჩნდა, რომ მან არ დაშალა „მხედრიონი“ და არ მიუერთა თავისი შენაერთი ოფიციალურ ქართულ ჯარს, მაშინაც კი, როცა გამსახურდიას ხელისუფლება შევარდნაძისამ შეცვალა. „მხედრიონი“ იქცა კლანური ინტერესის მატარებელ შეიარაღებულ ბანდად. ჯაბა იოსელიანი არანაირად არ იყო, ასე ვთქვათ, „მონანიე ავაზაკი“, რადგან მიუხედავად პროფესორად გახდომისა, მან შეინარჩუნა ძველი, კრიმინალური იმიჯის ელემენტებიც და როგორც ჩანს, ძალიანაც ეძვირფასებოდა ისინი. „მხედრიონმა“, მართალია, შეზღუდა კანონიერი ქურდების ძალაუფლება, მაგრამ თავადაც იმავე მენტალიტეტით იყო ინფიცირებული. „მხედრიონის“ და სხვა ბანდფორმირებების ალაგმვა და კანონის დამყარება შევარდნაძის დიდი დამსახურება და მნიშვნელოვანი ნაბიჯია სახელმწიფოებრიობის გზაზე.

პროგრესად უნდა ჩაითვალოს საგარეო პოლიტიკაში სიცხადის შეტანა, გამსახურდიასეული რომანტიზმისაგან გათავისუფლება და მყარი გეზის აღება დასავლეთზე, ამასთან, რუსეთთან ზედმეტი გამწვავების გარეშე. ევროპულ ფასეულობებზე ორიენტირებული „მოქალაქეთა კავშირის“ შექმნაც ჯანსაღი მოვლენა იყო თავიდან, მიუხედავად იმისა, თუ რა მოხდა შემდგომში.

შევარდნაძის ხელისუფლების რღვევის მთავარი მიზეზები არის კორუფცია და მოსახლეობის უკიდურესი სოციალური გაჭირვება. ხელისუფლება არა მარტო უნიათო აღმოჩნდა აელაგმა კორუფცია, არამედ, რაც შეეძლო, ხელს უწყობდა მას. შევარდნაძემ დაუშვა რადიკალური შეცდომა, როცა შემოიკრიბა თავის გარშემო არა პროფესიონალი და გამბედავი ადამიანები, არამედ მორჩილი, მისი ნების გამტარები. შეიზღუდა დემოკრატიაც: ერთ-ერთი დასამახსოვრებელი მომენტი ამ მხრივ იყო არჩევნების გაყალბება იმისათვის, რომ მოქალაქეთა კავშირს უმრავლესობა მოეპოვებინა პარლამენტში. შევარდნაძემ არჩევნების წინ აბაშიძის კარტიც გაითამაშა: ასლან აბაშიძეს, როგორც პრეზიდენტმა ქვეშევრდომს, მოსთხოვა ასანიძის გათა-

ვისუფლება იმის გათვლით, რომ ამას აბაშიძე არ დათანხმდებოდა. ამან მოსახლეობაში შექმნა განგაში ასლანის პარტიის მიმართ. ამ განგაშის გამო, მოსახლეობამ არაკეთილგონივრულად „ჩაყლაპა“ დემოკრატიისთვის ასეთი საგრძნობი დარტყმის მიყენება – არჩევნების პირწმინდად გაყალბება. შევარდნაძის დროს დემოკრატია იყო სიტყვისა და მას-მედიის დონეზე; და ეს დასაფასებელია! სწორედ მედიის თავისუფლება, ეს ცხადი დემოკრატიული ღირსება, გახდა რეჟიმის რღვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი. რაც პუტინმა გააკეთა რუსეთში, შევარდნაძემ ვერ გააკეთა საქართველოში. ამის მცდელობა ჰქონდა – გავიხსენოთ „რუსთავი 2“-ში უშიშროების შესვლა, მაგრამ პუბლიკამ აქტიურად დაიცვა ეს დემოკრატიული ღირებულება. „დარდუბალა“-მ მნიშვნელოვნად იმოქმედა პრეზიდენტის იმიჯის მოცვეთაზე (სხვათა შორის, მიუხედავად დიდი ნიჭიერებისა და მართლაც ხალასი იუმორისა, მე მაინცდამაინც არ მომწონდა ეს შოუ, ვინაიდან ზოგჯერ აშკარად დესტრუქციულ და ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს ატარებდა), და ის, რომ პრეზიდენტმა ვერ შეძლო თავისი საქმიანობით განემტკიცებინა ეს იმიჯი, მეტყველებს მისი და მისი მთავრობის უნიათობაზე. „ვარდების რევოლუციას“ წარმატება სწორედ ამის ფონზე ჰქონდა – დარდუბალა ხელისუფლება, რომელიც რაიმის რადიკალურად შეცვლის აღარანაირ იმედს აღარ იძლევა, არც უყვართ და მისი არც ეშინიათ.

ვფიქრობ, შევარდნაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი ნებაყოფლობითი გადადგომა და „სახლში წასვლა“. კიდევ კარგი, არ განმეორდა ჩაუშესკუს ისტორია – ეს ცოდვა რუმინელ ხალხს დღესაც ვერ მოუნელებია; მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ აგვცდა.

საკაშვილი

მიხეილ საკაშვილის პოლიტიკური მრწამსი არსებითად არ განსხვავდება შევარდნაძის მრწამსისაგან. ამ მხრივ, შევარდნაძის გადაგდება კარდინალურად განსხვავდება გამსახურდიას გადაგდებისაგან, რადგან გამსახურდიასთან მოსახლეობას ჰქონდა ზოგადიდეოლოგიური პრობლემები, შევარდნაძესთან კი ის, რომ იგი თავად არღვევდა იმ დემოკრატიულ ღირებულებებს (ყველაზე აშკარად, ბოლო არჩევნების გაყალბებით), რომლებსაც ქადაგებდა და რომელთა დამკვიდრებაც დაიწყო. გამსახურდიასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნე,

საზოგადოების კონფლიქტი სწორედ „მრწამსის“ და მსოფლმხედველობითი მოდელის დონეზე იყო. (თემიდან ოდნავ გადავუხვევ და ვიტყვი, რომ „ვარდების რევოლუციის“ მთავარ მიზეზად არა სოციალური, არამედ სწორედ ეს ზე-სოციალური მოტივი – პოლიტიკური შეგნება და დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულება გამოცხადდა. ძალიან კარგი, თუ ასეა, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ხელისუფლების მხრიდან უკეთესი სოციალური ფონის შექმნის შემთხვევაში არჩევნების გაყალბებას რევოლუცია მოჰყოლოდა). საგარეო პოლიტიკაშიც იგივე გეზი დარჩა – დასავლეთი და ნატო, თუმცა უფრო გამოიკვეთა დაპირისპირება რუსეთთან; კარგია ეს თუ ცუდი, ამას დრო გვიჩვენებს.

სააკაშვილის ხელისუფლების ზოგიერთ მიღწევაზე ზემოთ უკვე მქონდა ლაპარაკი, კერძოდ, პოლიციის და განათლების რეფორმა, სალარო აპარატების შემოღება და გადასახადების შედარებით მოწესრიგება. ასეთივე შთამბეჭდავი მიღწევაა აჭარაზე ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის რეალური გავრცელება ვარდების რევოლუციის შედეგად. კორუფციასთან აქტიური ბრძოლა, თავისთავად, კარგია, მაგრამ პრობლემაა, თუ ეს ხდება კანონიერი მექანიზმების გვერდის ავლით, რისი ნიშნებიც არის. საბაზრო ეკონომიკის ღირებულებებზე ორიენტირებული ხელისუფლება იაფი პოპულარობის გამო არ უნდა მოქმედებდეს ლოგიკით: „მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ“ თუ „грабь награбленное“. ჯერ ერთი, თუ არ მოხდა სოციალური მდგომარეობის შთამბეჭდავი გაუმჯობესება, სამუშაო ადგილების შექმნა ა.შ. ამგვარი ნაბიჯებით, ასე ვთქვათ, „დაყაჭვინებით“, ხალხი გულს მოიფხანს, მაგრამ მისი მდგომარეობა არ გამოსწორდება. ამავე დროს, დაფრთხებიან ბიზნესმენები და მოერიდებიან მნიშვნელოვანი ინვესტიციების გაკეთებას (იქნებ სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ უმდიდრესი ქართველი ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ საქველმოქმედო საქმეებს აფინანსებს საქართველოში, ხოლო თავის სამშობლოში ბიზნესის განვითარებით არ არის მოტივირებული).

ვფიქრობ, სააკაშვილის ხელისუფლებამ ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმე წამოიწყო კანონიერ ქურდებთან დაპირისპირებით. ძალაუფლების ამ ანტისახელმწიფოებრივი სტრუქტურის დანგრევა ასე მკაფიოდ არ ჰქონდა დასახული წინა მთავრობას.

სასამართლო რეფორმას ამბივალენტური ხასიათი აქვს: ერთი მხრივ, წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ძველი, ბევრწილად, კო-

რუმპირებული მოსამართლეების გადაყენება, მაგრამ, მეორე მხრივ, სასამართლო ხელისუფლების თავისუფლებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, რადგან აქ კადრების შეცვლა ხდება ხელისუფლებისადმი ერთგულების მახასიათებლის მიხედვით. თანაც, ახალი დანიშვნებისთვის სპეციალურად ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა კანონში (კერძოდ, მოსამართლეთა მინიმალური ასაკის შესახებ). კონიუნქტურის გამო კანონის ამგვარი შეცვლები ავტორიტარიზმის ნიშანს ატარებს.

უფრო მცირე წარმატებები – გზების რემონტი, სახლების შეღებვა, შადრევნები, ისედაც თვალსაჩინოა. რაც შეეხება თავისუფლების მოედანზე წმინდა გიორგის ძეგლის დადგმას (არ შევეხები ესთეტიკურ მხარეს): ვფიქრობ, მოტივი, ანუ ძეგლის აღქმა როგორც გამარჯვების სიმბოლოსი, მისაღებია, რამდენადაც მოწოდებულია იმისკენ, რომ ნებისმიერი კონფესიის საქართველოს მოქალაქეს იმედის დამატებითი მუხტი მისცეს. მაგრამ თუ ძეგლით ხდება იმის ინსინუაცია, რომ ვარდების რევოლუცია წმინდა გიორგის დღეს მოხდა და აჭარის გადატრიალებაც წმინდა გიორგისვე დღეს და რომ, მაშასადამე, რევოლუციას ზეციური მფარველი ჰყავს წმინდანის სახით – ეს სახიფათო ტენდენციაა და უფრო ხელისუფლების თავის თავში დაურწმუნებლობაზე მეტყველებს, ვიდრე პირიქით.

3. ოპოზიცია

ოპოზიციის გაძლიერება დემოკრატიული სტრუქტურის გამყარებისა და, საბოლოო ჯამში, ქვეყნის წარმატებისთვის არის მნიშვნელოვანი. ამიტომ ვფიქრობ, პრეზიდენტი გულწრფელი იყო, როდესაც გამოხატა სინანული ოპოზიციის „გაფარჩაკების“ გამო. იმისათვის, რომ გაძლიერდეს, რის გარშემო უნდა გაერთიანდეს ოპოზიცია? რა თქმა უნდა, იმ იდეების გარშემო, რომლებიც პოპულარულია მოსახლეობაში.

- პირველ რიგში, ეს არის სახელმწიფოებრიობის განმტკიცების იდეა. ამისათვის ოპოზიციამ უნდა აჩვენოს, რომ ის ძაღლი-კატასავით კი არ არის გადაკიდებული ხელისუფლებას, არამედ აზროვნებს და მოქმედებს კონსტრუქციულად. ოპოზიციამ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი ხელისუფლებას იმ ინიციატივებში, რომლებიც კარგია ობიექტურად, ანუ, შეიძლება ძალიან უტო-

პისტურად კი ჟღერს, მაგრამ დააყენოს საქართველოს ინტერესი ძალაუფლების ხელში ჩაგდების ინტერესზე მაღლა. მაგალითად, მე თუ მასწავლებელი ვარ და ვხედავ, რომ ჩემს შესაფერის პოსტზე სხვა, უფრო ცუდი მასწავლებელია, მე არ უნდა მიხაროდეს, რომ ეს მასწავლებელი ერთმანეთზე უარეს გაკვეთილებს ატარებს, რადგან მისი წასვლის შემდეგ მე უვიც ბავშვებთან მომიწევს ურთიერთობა. ასე რომ, ოპოზიცია საკუთარ თავს უკეთებს დისკრედიტაციას, როდესაც ყველანაირ შემთხვევას იყენებს იმისათვის, რომ მოუგოს ხელისუფლებას. მაგალითისთვის გავიხსენოთ კვიციანის ბუნტი, ანდა მოჭიდავეთა აქცია. სანდრო გირგვლიანის მხარდაჭერისასაც ოპოზიციის გამოსვლებში იკვეთებოდა სწორედ პირადი შუღლის მოტივი და ემოციების გამოყენება პოლიტიკური დივიდენდებისთვის. ამის გამო აქცენტი ემოციურ, ვნებათაღელვის გამომწვევ მომენტებზე იყო გადატანილი და არა, მაგალითად, ისეთ სამართლებრივ დარღვევებზე, როგორიც იყო სპეციალურად ახალი კანონის შემოღება, რომლის მიხედვითაც ერთ საქმეზე გასამართლებულებს შეუძლიათ ერთსა და იმავე საკანში ყოფნა.

- ის, რაზეც ოპოზიციამ უმთავრესი აქცენტი უნდა გააკეთოს პოპულარობის მოსაპოვებლად, არის ორიენტაცია ზნეობაზე და მსახურებაზე. ოპოზიციამ უნდა დააგროვოს ზნეობრივი კაპიტალი: დაანახოს ხალხს, რომ ქვეყნისთვის ზრუნავს და არ აქვს კლანური ინტერესები, არ იყენებს ძალაუფლებას გასამდიდრებლად. ეს უპირველესია და არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე თვით ლიბერალური დემოკრატიის და თავისუფალი ბაზრის მოწინავე იდეების მატარებლობა, რადგან მომხვეჭელობის პირობებში თვით ამ იდეებმა შეიძლება განიცადონ დევალვაცია, და პირიქით – მოსახლეობაში პოპულარობა მოიპოვონ რეტროგრადული იდეების მატარებლებმა ან დემაგოგებმა. შუა საუკუნეების მაგალითი რომ მოვიყვანოთ, მე-13-14 საუკუნეების ევროპაში ერეტიკული სექტების პოპულარობას კათოლიკე მღვდელმსახურების კორუმპირებულობამაც შეუწყო ხელი, ეს მაშინ, როცა მიუხედავად არატრადიციული დოქტრინებისა, ერეტიკოსი მქადაგებლები გულწრფელობის და უანგარობის მაღალ ხარისხს ავლენდნენ. განა არ შეიძლება ადამიანი იყოს მონარქისტი და მაღალზნეობრივი, და პირიქით, ლიბერალ-დემოკრატი იყოს გარეწარი? საუკეთესო ამ ორივეს – მოწინავე

იდეებისა და მაღალზნეობრიობის – შეხამებაა იმიტომ, რომ გონიერი მონაწილეობა იდეების განვითარების ჰეგელიანურ დიალექტიკაში და ადეკვატური ორიენტირება თანამედროვე იდეოლოგიურ კლიმატში ზნეობასთან არის კავშირში.[4] მოწინავე იდეებს თავისთავადი ძალა აქვთ. შეიძლება ეს იდეები გამოიყენონ მათაც, რომელთა ერთადერთი იდეა ძალაუფლების ხელში ჩაგდებაა. ამიტომ, მოსახლეობაში წარმატების საწინდარი იქნება პოლიტიკოსის პიროვნება – მისი ზნეობრივი მხარე და არა იმდენად იდეები, რადგან იდეები შეიძლება ერთმანეთის მსგავსი იყოს.

- ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზნეობის შემდეგ ოპოზიციისათვის წარმატების მისაღწევად აუცილებელი იქნება ყველაზე პოპულარული იდეოლოგიის მომხრეობა: დღეს ეს არის ლიბერალური დემოკრატია, კანონის უზენაესობის აღიარება ა.შ. აქვე, აუცილებელია აქცენტის გაკეთება ტრადიციულ ქრისტიანობაზე: ეკლესიისადმი ლოიალობა და მისი მხარდაჭერა, ოჯახის ქართული ტრადიციებისადმი ერთგულება. ეს მომენტები აუცილებელია, რადგანაც ლიბერალიზმი ევროპაში არის, ფაქტობრივ, პოსტქრისტიანული, ჩვენთან კი ორივე ორგანულ კავშირში მოიაზრება. ლიბერალიზმი ქართულ პოლიტიკურ დისკურსში უნდა დაკავშირდეს ერის მსახურების იდეასთან, როგორც ეს იყო ილიას შემთხვევაში, რიტორიკის დონეზე მაინც. ერთი სიტყვით, ევროპაზე ორიენტირება, მაგრამ გააზრებული და კრიტიკული. თუ ასე არ მოხდა, შეიძლება მოსახლეობას გული აუცრუვდეს ლიბერალურ ფასეულობებზე და მოხდეს მათგან, როგორც მასონობისა და „სოროსის დივერსიისაგან“, სახიფათო გაუცხოება.

- ოპოზიციამ აქცენტი უნდა გააკეთოს სამოქალაქო საზოგადოებაზე. ეთნოცენტრიზმი თანდათანობით უნდა დაბალანსდეს ზეეთნიკური მოქალაქეობის გაგებით, და პოლიტიკურ პროგრამაში უნდა იყოს გარანტიები იმისა, რომ ყველა ეთნოსის წარმომადგენელი თანასწორად მიიღებს მონაწილეობას ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; უმცირესობების ხმების მისაღებად ოპოზიციამ უნდა წარმოადგინოს ქვეყნის ცხოვრებაში უმცირესობათა სრულყოფილი ინტეგრაციის რეალური პროგრამა. ზეეთნიკური სამოქალაქო იდეის გამტკიცების დისკურსთან ერთად, ოპოზიციის რიტორიკაში არ უნდა გაუქმდეს აქცენტი ტრადიციულ ეროვნულ ფასეულობებზე: რომ

ეს ფასეულობები უნდა შენარჩუნდეს, გამტკიცდეს, თანაც მეტი შემოქმედებითი გახსნილობით სხვა ეთნოსების მიმართ. ეს ილიას ტრადიციებშია, ვისი სიტყვებითაც „არაფერს ეროვნულს არ აქვს ფასეულობა, თუ იგი ამავე დროს ფასეული არ არის ზოგადად კაცობრიობისთვის“.

- ოპოზიციას უნდა ჰქონდეს მკაფიო საგარეო პოლიტიკა, თუნდაც რისკის ფასად. სჯობს რისკი, ვიდრე განუსაზღვრელობა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია ძალების გამოზომვა: რეალპოლიტიკაში ძალას მაინც მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სამართლიანობას: რამდენადაც სამწუხარო არ იყოს, „შენ ზევითა ხარ, მე ქვევით“ პრინციპი დღესაც მოქმედებს. ეს განსაკუთრებით ეხება რუსეთთან ურთიერთობას: წავა დასავლეთი რუსეთთან რამე სახის კონფრონტაციაზე საქართველოსთვის? მტრის ხატის შექმნა რუსეთისგან თუ აქამდე არ გამოდიოდა, დღეს ეს მეტ-ნაკლები წარმატებით ხორციელდება, მაგრამ არ ვიცი, რამდენად მომგებიანად. რუსეთიდან გამოდევნილმა ქართველებმა აჩვენეს დიდი პოლიტიკური შეგნება, როცა თავისი ბრაზი არ გადაიტანეს საქართველოს ხელისუფლებაზე, როგორც ამას რუსეთი იმედოვნებდა, არამედ პუტინზე. მიუხედავად ამისა, რუსეთთან მიმართებაში საჭიროა ნაკლები ისტერია და გამოზომილობა.
- კიდევ ერთი აუცილებელი ფაქტორი ოპოზიციისათვის არის ქარიზმატული ლიდერი. ასეთი ლიდერის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევ ქართულ რეალობაში, რისი მიზეზიც, შესაძლოა, ჩვენი მოსახლეობის პოლიტიკური უმწიფარობაა, ანუ „ბაზალეთის ტბის“ კომპლექსის გაგრძელება.
- მნიშვნელოვანია ორიენტაციის აღება პროფესიონალებზე და არა უვიც ერთგულებზე; კავშირი ინტელიგენციასთან და განათლებულ ხალხთან, რომლებიც საუკეთესო კონტროლს წარმოადგენენ.
- ბიზნესის ხელის შეწყობა – შიშის ფაქტორის მოხსნა ადგილობრივი ბიზნესმენებისა და, რაც უმნიშვნელოვანესია, უცხოელი ინვესტორებისთვის. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს ოპოზიცია სწორედ ამაზე აკეთებს აქცენტს: რომ ხელისუფლება ზღუდავს ბიზნეზმენებს და რომ ისინი მზად არიან, მათ მხარში ამოუდგნენ.

შენიშვნები:

[1] თუმცა, მისი მიღების აქტზე პრეზიდენტის ცოლის ხელმოწერა სკანდალური და მიუღებელი ფაქტი იყო.

[2] მისტიკაზე რაკი ჩამოვარდა საუბარი, უნდა აღვნიშნო გამსახურდიას და ასევე მერაბ კოსტავას სერიოზული გატაცება გერმანელი მისტიკოსით რუდოლფ შტაინერით; არანაირ ლოგიკაში არ ჯდება, თუ როგორ ახამებდნენ ამ მოაზროვნის სისტემას საკუთარ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ მრწამსთან. მარტივი მაგალითისთვის, ქრისტიანობა (ყოველ შემთხვევაში სამი ძირითადი კონფესიის: მართლმადიდებლური, კათოლიკური და პროტესტანტული) რეინკარნაციას უარყოფს, შტაინერი კი ამ იდეის ადეპტი იყო და თავის თავსაც, თუ სწორად მახსოვს, თომა აქვინელის რეინკარნაციად მიიჩნევდა.

[3] ედუარდ შევარდნაძემ თავის პასუხში ჟურნალისტის შეკითხვაზე (ანდრეი კარაულოვის გადაცემაში Момент истины), შეაფასებდა თუ არა ის კიტოვანის მიერ პრეზიდენტისაგან დამოუკიდებლად სოხუმში შეჭრას სამშობლოს ღალატად, თავი აარიდა ამ ტერმინს, მაგრამ კიტოვანის საქციელი „უპასუხისმგებლო ნაბიჯად“ მონათლა. თუმცა, როდესაც კიტოვანი იმავის გამეორებას აპირებდა, იგი დაპატიმრებულ იქნა და მსგავსი ევფემიზმების საჭიროებაც აღარ იყო.

[4] კარგი მაგალითია ამ მხრივ დიმიტრი ყიფიანის პიროვნება: ზნეობრივად დახვეწილი, პატიოსნების განსახიერება, ისე, რომ მამების თაობაში ერთადერთი აღმოჩნდა, ვისაც ილია ჭავჭავაძეც უდიდეს პატივს სცემდა და ვის უანგარობაში ეჭვი არ ეპარებოდა; მაგრამ სოციო-პოლიტიკურ შეხედულებებში დიმიტრი ყიფიანი იყო რეტროგრადი: მაგალითად, ბატონყმობის გაუქმების წინააღმდეგი იყო.

დავით დარჩიაშვილი

1.

საქართველოს ჯერაც ბევრი აქვს მისაღწევი კონსოლიდირებული და, რაც მთავარია, ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. ეს უკანასკნელი საქართველოსათვის უალტერნატივოა იმიტომ, რომ ა) ადამიანის თავისუფლებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი ფორმაა და, ვფიქრობ, ქართული სოციუმის წარმომადგენლები თავისუფლების მოყვარულნი არიან; ბ) საქართველოს სახელმწიფოებრიობა დიდადაა დავალებული და დამოკიდებული სწორედ ლიბერალურ-დემოკრატიული ქვეყნების მხარდაჭერაზე.

ამ ეტაპზე შექმნილია ზემოთ ნახსენები მიზნის ფუნდამენტი – მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი გულწრფელად ინტერესდება სახელმწიფოებრიობით, აღიქვამს ამგვარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფას სერიოზულად და სასურველად მიაჩნია საკუთარი თავისათვის. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო 2003 წლის შემდეგ ხდება. 2003 წლის რევოლუცია არ მოხდებოდა, ან მას სხვა ხასიათი და ლოზუნგები ექნებოდა, სახელმწიფოებრივ-მოქალაქეობრივი განცდა ადრევე რომ არ ჩასახულიყო ქართული საზოგადოების არც თუ უმნიშვნელო ნაწილში.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინება 80-იანი წლების მიწურულს, პირველ რიგში, ეთნიკურმა ნაციონალიზმა განაპირობა. ეს განცდა, იდეოლოგია ლატენტურად, უფრო სწორად, სახელმწიფოებრივი პროექტის გარეშე, ათეული წლების მანძილზე ღვიოდა საბჭოურ-ნომენკლატურულ საფარქვეშ. მეოცე საუკუნის ბოლო ორ ათწლეულში კი მან სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის სახე მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველმა რომანტიკულმა, თუ ეთნიკურმა ნაციონალიზმმა (ერთი მეორეს არ გამორიცხავს) თავისი გულუბრყვილობაც აჩვენა, შეუმდგარობაც და, ხშირ შემთხვევაში, ანტიჰუმანიზმიც, იგი მოგვიანებით მოძლიერებული სამოქალაქო ნაციონალიზმის საფუძველი გახდა.

დღეს სამოქალაქო ნაციონალიზმი დომინირებს ოფიციალურ დისკურსში და იგი უმყარებს პოზიციებს, ავსებს პატრიოტული დუღაბით დემოკრატიული და ადამიანის უფლებათა უნივერსალური იმპერატივე-

ბის დამკვიდრებისაკენ სწრაფვას. ამ სამოქალაქო ნაციონალიზმის გარეშე კორუფციას, ორგანიზებულ დანაშაულს მეტი გასაქანი ექნებოდა. საზოგადოების ნაციონალისტური თვითიდენტიფიკაციის გარეშე დემოკრატიული კეთილდღეობისაკენ სწრაფვა არ იქნებოდა საკუთარი პოლიტეას ფორმირებაზე ორიენტირებული და, შესაბამისად, განსაკუთრებით კი, საქართველოს რთული გეოპოლიტიკის გამო ისევ არადემოკრატიულ ტენდენციებს მისცემდა გასაქანს. საქართველო სახელმწიფოებრიობის გარეშე მხოლოდ რუსეთს სურს, იქ კი, როგორც წარსულში, დემოკრატიისაგან შორს მდგომი პროცესები მიმდინარეობს.

და მაინც, სახელმწიფოდ შედგომის ქართული პროექტი სანახევროდ თუა განხორციელებული. ერთი, რასაც ქართულმა საზოგადოებამ და მისმა პოლიტიკურმა ელიტამ ვერ მიაღწია – პოლიტიკური კულტურის რადიკალური შეცვლა, მისი ევრო-ატლანტიკურ ანალოგთან დაახლოებაა. თუმცა აქ პლუსებიც შეიძლება დავინახოთ – ჩვენი პოლიტიკური კულტურა, თუ საერთოდ, თანაცხოვრების წესები და ღირებულებები სულაც არაა მოკლებული ღირსებებს. მაგრამ მთლიანობაში ეს გვაცილებს ჩვენი უსაფრთხოების მთავარი გარანტორისაგან – როგორც ევროკავშირის, ისე ამერიკის შეერთებული შტატებისაგან.

საქმე შემდეგშია:

დასავლეთში ადამიანები, განსაკუთრებით, ჩვენთვის საყურადღებო პოლიტიკოსები და საჯარო მოხელენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქცევის შემუშავებულ წესებს, ნაბიჯების დაგეგმვას, პოლიტიკურ კორექტულობას როგორც ლექსიკაში, ისე ქმედებაში. მთლიანობაში, ესაა საუკუნეობრივი გამოცდილებით დაღდასმული – ეგებ დაღლილიც კი – პოლიტიკური კულტურა. მას აეჭვებს მოულოდნელობები: შემთხვევითი არაა, რომ ავღანეთში 2001 წლიდან შესული ამერიკული სამხედრო ადმინისტრაცია საქმის დაჭერას არჩევდა უფრო წინასწარმეტყველებად „ვორლორდებთან“ თუ „სტრონგმენებთან“ (შეიარაღებული ჯგუფების მეთაურებთან), ვიდრე მისთვის ბევრად უფრო უცნობ და გაუგებარ რელიგიურ თუ ტომობრივ ლიდერებთან – იმ დაშვებითა და აღიარებით, რომ პირველნი, მორალურად, შესაძლოა ბევრად უფრო საეჭვონი ყოფილიყვნენ.

მეორე, დასავლეთმა არ იცის სამყაროს შავ-თეთრი ხედვა. რელატიურობა ყველაფერშია. დასავლურია ღია საზოგადოების კონცეფცია, რომლის თანახმად ვერც ერთი თეორია თუ ჯგუფი ვერ დაიჩემებს საყოველთაო მონოპოლიას ჭეშმარიტებაზე. ამას ეფუძნება ადამიანის უფლებე-

ბიც. გარკვეულწილად, ამის ერთგვარი მივიწყებაა ბუშის ბოლოდროინდელი დასუსტების მიზეზიც. აქ აღარაფერს ვამბობ კანონის უზენაესობის, ინტერესთა კონფლიქტის გაცხოველებულ განცდაზე დასავლეთში.

სამწუხაროდ, ეს, ზოგადად ჯანსაღი პრინციპები, რომლის სიკეთე დასავლური პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების წარმატებულობაში ჩანს, ზოგჯერ ატროფირებულად ხისტი, ბიუროკრატიული სახით ვლინდება. ეს ადამიანური სისუსტეებიდან თუ უნარშეზღუდულობიდანაც მომდინარეობს. შედეგად ხშირია, რომ დასავლური ბიუროკრატიის არც თუ ყოველთვის წარმატებული და მოწინავე ნაწილი, რომელიც საქართველოს მსგავს ქვეყნებში ახორციელებს ჰუმანიტარულ, განვითარების თუ დემოკრატიზაციის პროექტებს, ადგილობრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ნიუანსებში გარკვევას ინსტრუქციებისადმი ზედმეტად ხისტ ნდობას ამჯობინებს. იგი ცდილობს, ადგილობრივი რეალობა მოარგოს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების პრინციპებს, როგორადაც ისინი საკუთარ ცნობიერებაში გარდატეხილი ინსტრუქციებიდან წარმოუდგენია. შესაძლოა, ეს არ იყოს ყოველთვის საუკეთესო მეთოდი ლიბერალურ-დემოკრატიული სიცოცხლისუნარიანი სისტემის აშენებისა. საპირისპიროს დაჯერება ხომ სწორედ დასავლური რელატიურობისაგან, ღია საზოგადოების პრინციპებისაგან გადახვევა და შავ-თეთრი აზროვნება იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის დამკვიდრების ტემპები ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების იმპერატივებთან მისადაგებით უნდა გადიოდეს შემოწმებას.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენი პოლიტიკური კულტურის შუქ-ჩრდილებს: ჩვენთან დღეს შემოდის დასავლური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური კულტურის გაგება, მაგრამ გულუბრყვილობა, ინფანტილიზმი, მოუთმენლობა დაძლეული არაა. იგი აირეკლება „კარგი“ და „ცუდი“, „სწორი“ და „არასწორი“ კატეგორიებით ოპერირების პოპულარობაში, რასაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ზოგიერთი საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენელის სიხისტეც უწყობს ხელს.

საქართველოში ჯერ კიდევ დომინირებს მსოფლაღქმა, რომ კარგი ისაა, რაც მის განმცდელ სუბიექტს კარგი და სწორი ჰგონია. შედეგად, პოლიტიკაში ვიღებთ ხოლმე იმის რეციდივებს, რასაც რუსული ხალხური სიბრძნე შემდეგი გამოთქმით გამოხატავს: „ია ნაჩალნიკ, ტი დურაკ, ტი ნაჩალნიკ, ია დურაკ“. თუმცა, რუსეთისას აქ არ ვიტყვი, მაგრამ ქართული პრობლემა (ან ეგებ შანსიც) იმაშია, რომ „ნაჩალნი-

კი“ პირობითი ცნებაა, უშუალო თანამდებობრივ სიმაღლეს არ უკავშირდება და ძალიან ბევრს, მიუხედავად სტატუსისა, თავი ჭეშმარიტების და სიბრძნის განსახიერებად მიაჩნია.

შედეგად, პოლიტიკურ წრეებში კვლავაც პრევალირებს გაუტანლობა, კომპრომისის მიღწევის უსურველობა და უუნარობა, ძალის დემონსტრირების, დაშინება-დაშანტაჟების ტაქტიკა და ყოველივე ამით სულაც არაა გამორჩეული მარტო ხელისუფლების მავანი და მავანი წარმომადგენელი. თანაც, ხელისუფლებაში აქვთ მეტი ინფორმაცია, უკეთესი სიმაღლე საერთო სურათის დასანახად და ეგებ მეტსაც ფიქრობენ დიალოგის საჭიროებაზე ოპონენტთა ნაწილთან მაინც. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ასეთი რამ მეტად ნელა და მტკივნეულად თუ ხდება. უნდობლობა პრევალირებს.

შედეგი კი ისაა, რომ დასავლური სამყაროს განსაკუთრებულად დაღლილი და ფრთხილი ნაწილი, ან ისინი, ვისაც მსოფლიო მოვლენები ზოგადი ინსტრუქციების და სახელმძღვანელოების ენით ესმის, საქართველოში საკუთარი ეჭვებისა და ურთიერთობის უსურველობის გამამართლებელ არგუმენტებს ეძებენ და პოულობენ კიდეც.

სხვა, გეოპოლიტიკურ, თუ დემოკრატიზაციის ნაკლოვანებათაგან მომდინარე მიზეზებთან ერთად, ეს სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზი მნიშვნელოვანი მგონია იმის ასახსნელად, რომ არ ვიცით, 2008 წლისათვის ნატო-ს კარს მივუკაკუნებთ, თუ რუსეთი წარმატებით შეგვიხსნის ჯერ კიდევ დარჩენილ რომელიღაც კარს.

გამოსავალი ერთია: სოციალურ ანთროპოლოგიაში, ისტორიკოსთა თუ სოციალურ დარგთა სხვა განშტოებების წარმომადგენელთა შორის ცნობილია – ღირებულებები, სიმბოლოები, სიტყვები ისტორიულად და კულტურულადაა დეტერმინირებული. ერთი და იგივე მოვლენები, ფაქტები, სიტყვებში გამოთქმული ცნებები და პრინციპები სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში განსხვავებულ მნიშვნელობებს იძენს. შესაბამისად, საზოგადოებრივი კულტურის, სოციალური ფსიქოლოგიის სიღრმეებია „დასალაშქრი“, რათა როგორც ქართულ-ევროპულ, ისე შიდა ქართულ დიალოგსა და ურთიერთგაგებას სოლიდური საფუძველი ჩაეყაროს.

2.

ზვიად გამსახურდია ნამდვილად არ იყო გაუნათლებელი ან სრულიად მოკლებული პოლიტიკურ ალღოსა და ლოგიკას. სხვაგვარად იგი პოპულარული კი შეიძლება გამხდარიყო (პრეინდუსტრიულ, და არა

მარტო პრეინდუსტრიულ კულტურებში მასობრივი ფსიქოზები არ გამოირიცხება), მაგრამ საარჩევნო ბლოკ *მრგვალ მაგიდას* ვერ შექმნიდა და ჯერაც საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, არჩევნებში მონაწილეობასა და მოგებას ვერ თუ არ მოახერხებდა. რიგი მოგონებები, ანგარიშები თუ რეპორტაჟები აჩვენებს, რომ მისთვის უცხო არ იყო ფიქრი შემდგომი თაობის პოლიტიკოსთათვის სანუკვარ ევრაზიულ ენერგო-საკომუნიკაციო დერეფანზეც. მან მოახერხა ქართული ეთნონაციონალისტური ენერგიის აკუმულირება და წარმართვა როგორც საბჭოური ნომენკლატურის წინააღმდეგ, ისე დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, ეთნიკური უმცირესობების ინტერესებისა თუ აღქმების იგნორირებამ, შიდაპოლიტიკური და სოციალური დიალოგის უსურველობა/უუნარობამ და საბჭოთა ცენტრის ჯერაც გაუხუნარმა გავლენებმა გამსახურდიას რეჟიმი კრახით დაასრულა.

გამსახურდიას რეჟიმმა რაიმე მკაფიო სახით ჩამოყალიბება ვერ მოასწრო. მოგვიანებით დადიოდა ხუმრობა – კითხვა: რა განსხვავებაა გამსახურდიას და შევარდნაძის მმართველობებს შორის? პასუხი: პირველს არ აცალეს, მეორეს კი აცალეს. მაგრამ გამოკვეთილი ტენდენციებით, იგი პოპულისტური და ინფანტილური, შესაბამისად, მეტად არამყარი პოლიტიკური სისტემის კონტურებს იძენდა.

გამსახურდიას არ აღმოაჩნდა უნარი, შეექმნა და გაეკონტროლებინა ლოიალური და ქმედუნარიანი უშიშროებისა და სამართალდამცავი სტრუქტურები. იმავდროულად, ეთნოსოციალისტური პოპულიზმის მომძლავრების ფონზე, მან გაიუცხოვა არა მხოლოდ გვიანსაბჭოური, ბურჟუაზიულობის ელემენტშეპარული ნომენკლატურა და კრიმინალური სამყარო, არამედ ინდივიდუალური თავისუფლების გამომხატველი აკადემიურ-სტუდენტური წრეებიც. ამ ფონზე რიგი პოლიტიკური პარტიების განაწყენება, რომელნიც უფრო რამდენიმე ლიდერის ირგვლივ დარაზმული კლიენტელისაგან შედგებოდა, ვიდრე ჩამოყალიბებული ელექტორატის სოლიდური სეგმენტებისაგან, შედარებით მეორეხარისხოვან პრობლემას წარმოადგენდა.

მნიშვნელოვნად ნეგატიური როლი შეასრულა გამსახურდიას უახლოესმა, ძირითადად, არაკომპეტენტურმა ან/და ანგარებიანმა გარემოცვამაც.

მოკლედ, გამსახურდიამ რამდენიმე თვეში მოახერხა, საკუთარი სოციალური დასაყრდენი სახიფათოდ დაევიწროებინა. იგი, ძირითადად, დაეყრდნო მხოლოდ „კარის კამარილიას“ და ნაკლებად გათვითცნობიერებული, დაბალი სოციალური კლასების ამბივალენტურ მასას. მის

წინააღმდეგ კი გამოვიდა შიდაპოლიტიკური ოპოზიცია, ლიბერალურად განწყობილი ინტელექტუალური ფენები, კომერციით დაკავებული ნაირფერი წრე, ძველი ნომენკლატურა, ახალგაზრდა „ქუჩის ელიტა“, კრიმინალური სამყარო და ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზებული ნაწილი. ამ ძალებს არც ერთმანეთთან ჰქონდათ საერთო და არც კრემლთან იყვნენ დაკავშირებულნი. მაგრამ ის, რომ გამსახურდიას რეჟიმი რუსეთიდან ზურგშემაგრებულმა შეიარაღებულმა ხალხმა დაამხო, თავად გამსახურდიას არაადეკვატური საშინაო პოლიტიკის შედეგი უფროა, ვიდრე კონსპირატორთა პროფესიონალიზმის.

არც ისაა დასავიწყებელი, რომ გამსახურდიას დრამა თამაშდებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისათვის არც თუ ხელსაყრელ გარემოში: არც ევროპის კავშირი და არც აშშ არ იყო მომართული იმაზე, რომ სსრკ-ის დაშლისთვის ხელი შეეწყო. ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობის აქტიური მხარდაჭერა ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა.

3.

შევარდნაძის მეორე ეპოქა – საქართველოში მისი „მეორედ მოსვლა“ – რომელიც 1992-2003 წლებს მოიცავს, განსხვავებული ეტაპებით ხასიათდებოდა. დასაწყისში, დაახლოებით 1995 წლის შუახანებამდე იგი ძალაუფლების კონსოლიდაციის პრობლემით იყო დაკავებული. ამ დროს შევარდნაძე ათავსებდა „ვორლორდებთან“ თანამშრომლობისა და მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიისათვის თანაბარი შანსის მიცემის დემოკრატიულ იმპულსებს. შესაბამისად, გამსახურდიას დამამხობელ ნაირფერ ძალთათვის იგი მეტ-ნაკლებად მისაღები ფიგურა რჩებოდა. მაგრამ თითოეულ ამ ძალას თავისი ინტერესები და ხედვა ჰქონდა, რისი დაბალანსებაც დაუსრულებლად ვერ გაგრძელდებოდა. როგორც ისტორიამ აჩვენა, საკუთარი ინტერესი და ხედვა ჰქონდა შევარდნაძესაც.

ამ დროს შევარდნაძე ითვლებოდა შეუცვლელ ალტერნატივად, რადგან მოქალაქეთა უმეტესობას არც სამოქალქო ომში ჩაბმული გამსახურდიას მომხრეები და არც მეორე მხარეს მდგომი კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის რაზმები ეხატებოდა გულზე; არც ერთი და არც მეორე არ იძლეოდა სტაბილურობის, დემოკრატიის და ნაციონალური ამოცანების გადაწყვეტის იმედებს. პოლიტიკური პარტიების მირიადებში გარკვევა კი ობიექტურად იყო რთული. არსებობდა რამდენიმე მეტ-ნაკლებად რესპექტაბელური პოლიტიკური ჯგუფი, მაგრამ მათი პრო-

ფესიული და ელექტოლარული შესაძლებლობები არასოდეს იყო დამაიმედებელი.

შევარდნაძეს ჰქონდა საგარეო პოლიტიკური ხიბლიც; მის მოსვლას დაერთო საქართველოს აღიარება საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, რაც სსრკ-ის ფორმალურ დაშლას მოჰყვა. შევარდნაძეს იცნობდნენ საერთაშორისო წრეებში, როგორც სსრკ-ის გარდაქმნის დროინდელ ლიბერალ საგარეო საქმეთა მინისტრს. ეს იძლეოდა როგორც მატერიალურ დივიდენდებს საგარეო პოლიტიკური დახმარების სახით, ისე საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიურ კომფორტსა და დაიმედებას, რომ ეთნიკურ და სამოქალაქო კონფლიქტებში გახვეულ ქვეყანას ადრე თუ გვიან იგი ფონს გაიყვანდა.

1995 წელს ეს დროც თითქოს დადგა; მართალია, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის რუსეთისათვის გადაცემის და დსთ-ში შესვლის ფონზე, რაც რუსულ ორბიტაზე ნაწილობრივ დაბრუნებად აღიქმებოდა, მაგრამ შევარდნაძემ მოახერხა სამოქალაქო ომის დასრულება და უკონტროლო შეიარაღებული ფორმირებების ალაგმვა.

ახალი კონსტიტუცია პრეზიდენტს, ანუ შევარდნაძეს, საპარლამენტო კონტროლისაგან საკმაოდ დაცულს ხდიდა. მაგრამ არც მას შეეძლო პარლამენტის დათხოვა და ვერც პოლიტიკური სპექტრის სრულ გაკონტროლებასა თუ უნიფიცირებას ახერხებდა. არსებითი იყო ბიზნესისათვის აქამდე არნახულად ხელშემწყობი გარემოს ფორმირება, რაც რიგი კანონებით და პოლიციისათვის ფუნქციის დაბრუნებით იქნა მიღწეული.

მაგრამ დაახლოებით 1999 წლიდან ქვეყანაში კიდევ ერთი ეტაპი დაიწყო. იგიც არ იყო თავისუფალი პარადოქსებისაგან. ამ წელს საქართველო დსთ-ის კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებიდან გამოვიდა და ევროპის საბჭოს წევრი გახდა, რასაც სამართალდაცვის სისტემაში რიგი რეფორმები უძღოდა წინ. თავდაცვის უწყებაში რუსი გენერლები პროდასავლურმა ხელმძღვანელობამ ჩაანაცვლა. ოდნავ ადრე აღსრულდა სანუკვარი ოცნებაც – საქართველო აზერბაიჯანული ნავთისა და გაზის დასავლეთისაკენ ტრანსპორტირების დერეფნად გამოცხადდა.

მაგრამ, იმავდროულად დაიწყო ახალი კონსტიტუციური სისტემის რყევა, ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს სასიცოცხლო ფუნქციების ატროფია. თვალში საცემი გახდა პარლამენტის ჩამოყალიბება კერძო ბიზნესისა თუ სახელმწიფო საწარმოების აქციათა არაფორმალურ ბირჟად. პარალელურად, მომძლავრებულმა პოლიციამ თავზე აიღო ბიზნესის რეკეტისა, თუ „მფარველობის“ ფუნქცია, რასაც ადრე უკონტრო-

ლო შეიარაღებული ფორმირებები ახორციელებდნენ. რეფორმადაწყებული სასამართლო და ადვოკატურა აგრეთვე გაეხვა კორუფციული გარიგებების ქსელში. რაც მთავარია, კლანური მმართველობის ფორმირების პროცესში ჩაერთო ორგანიზებული დამნაშავეობის სამყაროც, რაც ბუნებრივად ხდება მყიფე და კორუმპირებულ პოლიტიკურ სისტემებში. თანდათან გაუგებარი ხდებოდა, პოლიციის მაღალჩინოსნები და გავლენიანი პოლიტიკოსები იყენებდნენ ზოგჯერ კრიმინალური სამყაროს სამსახურს თუ პირიქით. 21-ე საუკუნის დამდეგს ბიზნესის ორი მესამედიდან ოთხ მეხუთედამდე ჩრდილში აღმოჩნდა მოქცეული. ქვეყანა მიუახლოვდა პოლიტიკურ მეცნიერებებში ცნობილ „მაფიის მიერ დომინირებული სახელმწიფოს“ მოდელს, სადაც მოქალაქეები, სახელმწიფო ორგანოების ნაცვლად, კრიმინალებს მიმართავენ გარკვეული დაცვისა და გარანტიებისათვის.

პარადოქსი კი სავარაუდოდ უნდა აიხსნას შემდეგი გარემოებებით:

ა) საზოგადოებას სახელმწიფოებრივი ცხოვრების მხოლოდ სურვილი ჰქონდა, გამოცდილება კი არა. თუ ასეთ ვითარებაში თავად მმართველი ელიტა არ აიღებდა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, არ გამოიჩენდა ურყევ ნებას შესაბამისი ინსტიტუტების არა მხოლოდ ქაღალდზე შენებისათვის, ყოველივე იოლად დაბრუნდებოდა ქაოსისა და კორუფციის მორევში;

ბ) შევარდნაძე არ აღმოჩნდა სტრატეგიული ხედვის მქონე და ხანგრძლივვადიანი გეგმების განმახორციელებელი პოლიტიკოსი. მას არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, თუ დემოკრატიული სტაბილურობა თავისით აიდგამდა საქართველოში ფეხს. მაგრამ ასეთი რამ თავისით არ ხდება. საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდაციის შემდეგ შევარდნაძემ თითქოს დაკარგა შემდგომი მოღვაწეობის და ბრძოლის ინტერესი. მისი ოჯახის წევრები ახლად ფორმირებული კლანების განუყოფელ ნაწილად იქცნენ.

რჩებოდა კიდევ ერთი, არსებითი გადაუწყვეტელი პრობლემა, რომელიც შევარდნაძეს არ აძლევდა საშუალებას ჩამოყალიბებულიყო თავის ხედვებში ქართული სახელმწიფოს ძირითადი მომხმარებელისა და შემოქმედის – ქართველი ერის რაობის თაობაზე. დაურეგულირებელი აფხაზური და სამხრეთოსური კონფლიქტების ფონზე შევარდნაძე მერყეობდა როგორც ერის სამოქალაქო და ეთნიკურ კონცეფციებს, ისე პრო-

რუსულსა და პროდასავლურ საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციებს შორის. რამდენადაც დასავლეთიდან იზრდებოდა უკმაყოფილება საქართველოს სახელმწიფოს შეუმდგარობის გამო, იმდენად თავად შევარდნაძე, რომელსაც არ აღმოაჩნდა ნეგატიური დინამიკის კიდევ ერთხელ შემობრუნების უნარი, ინსტიქტურად რუსეთისაკენ იხრებოდა.

და მაინც, წლებს მოჰქონდა საზოგადოებაში სამოქალაქო შეგნების ზრდა, პრობლემების გაცნობიერების უნარი. ამას ხელს უწყობდა პოლიტიკური და მედია-პლურალიზმი, ასევე სამოქალაქო ორგანიზაციების ფორმირება და გამრავლება – შევარდნაძის რეჟიმის კიდევ ერთი, ამჯერად უკვე დადებითი მახასიათებელი. შედეგად, ამ ფაქტორებმა თუ ძალებმა, რომელთა ფორმირებას თავად შევარდნაძემაც შეუწყო ხელი, მათივე იდეალებისაგან განმდგარი ხანდაზმული პრეზიდენტი დაამხო.

4.

2003 წლის ნოემბრის მოვლენათა ოფიციალური, უკვე საერთაშორისოდაც, აღიარებული დეფინიციით, ეს იყო მშვიდობიანი, დემოკრატიული, ე.წ. ფერადი რევოლუცია, როგორი სახელითაც ზოგიერთი კომუნისტური/ავტორიტარული რეჟიმების ტრანსფორმაციის პროცესს აღნიშნავენ. რა თქმა უნდა, არიან ამ დეფინიციათა ოპონენტებიც – ძირითადად, შეთქმულებათა თეორიის მიმდევართა, ან/და ძველი რეჟიმის მომხრეთა შორის. არსებითად, შეფასება მრავალგვარი შეიძლება იყოს, რადგან სოციალური მოვლენები, ძირითადად, გონებაში, ცნობიერებაში ხდება ან აირეკლება. პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიებისაგან განდგომის მაქსიმალურად შესაძლებელი ზღვრიდან, მე მაინც რევოლუციად შევაფასებდი ამ მოვლენებს.

რევოლუციების თეორიათა განმარტებების თანახმად, მსგავსი მოვლენისათვის დამახასიათებელია მასობრივი ფრუსტრაცია არსებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციით; რევოლუცია დაკავშირებულია სოციალური სისტემის შემადგენელი ნაწილების – პოლიტიკური, კულტურული და სხვა ქვესისტემების, რესურსებისა და მოთხოვნილებების – დისბალანსთან; რევოლუცია ნიშნავს პოლიტიკური რეჟიმის დამხობას მასობრივი მოძრაობის მიერ ექსტრაკონსტიტუციური გზით; რევოლუცია გულისხმობს არა მხოლოდ მასობრივ მობილიზაციასა და რეჟიმის ცვლას, არამედ თანამდევ ფუნდამენტურ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცვლილებებს; რევოლუციას აგრეთვე აკავშირებენ საზოგადოების სახელმწიფო და კლასობრივი სტრუქტურის სწრაფ გარდაქმ-

ნებთან, რაც ელიტათა და დაბალ კლასთა კონფლიქტების ფონზე ხორციელდება. თანამედროვე მკვლევარები გაზრდილ ყურადღებას აქცევენ რვოლუციების იდეოლოგიურ-კულტურულ შემადგენელსაც.

რევოლუციები შეიძლება იყოს შედარებით მშვიდობიანი ან სისხლიანი. აჯანყებები თუ გადატრიალებანი იმითაა განსხვავებული, რომ ეს უკანასკნელნი არ გარდაქმნიან ინსტიტუტებს და არც ცდილობენ ძალაუფლების შეცვლის სპეციალურ სამართლებრივ-იდეოლოგიურ გამართლებას.

რა თქმა უნდა, არც ერთი კონკრეტულ-ისტორიული მოვლენა სრულად არ იმეორებს რომელიმე თეორიას, აბსტრაქტულ-იდეალურ ტიპს. ქართული „ვარდების რევოლუცია“ უნიკალურია როგორც საერთოდ რევოლუციების, ისე ე.წ. ფერადი რევოლუციების რიგში. მაგრამ იგი რევოლუციაა, რადგან შევარდნაძის რეჟიმმა საბოლოოდ მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია; მის ოპონენტებს აღმოაჩნდათ იმის ძალა და უნარი, რომ ათეული ათასობით მოქალაქის მობილიზაცია მოეხდინათ დღეების განმავლობაში; ხელისუფლების ცვლა ვერ ჩაეტია კონსტიტუციურ ფარგლებში; დაიწყო და გრძელდება როგორც ინსტიტუტების, ისე საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ტრანსფორმაცია: შეიცვალა როგორც კონსტიტუციური ბალანსი სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, ისე ელიტათა შემადგენლობაც. ის ფაქტი, რომ როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ელიტაში არიან ძველი რეჟიმის წარმომადგენლებიც, ამ ცვლილებას არ ეწინააღმდეგება: სხვა თუ არაფერი, ამ კონკრეტულ ადამიანთა როლებიც საკმაოდაა სახეცვლილი. დაბოლოს, ოფიციალურ რიტორიკაში, სიმბოლოებსა თუ განათლების სისტემაში მომხდარი ცვლილებები აშკარად მიანიშნებს კულტურულ-იდეოლოგიურ ტრანსფორმაციაზე.

აღსანიშნავია ის, რომ, გარდა პოლიტიკური ოპოზიციისა, რევოლუციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რამდენიმე სამოქალაქო ორგანიზაციამ. პროცესს ჰყავდა არა, უბრალოდ, ორგანიზაციული, არამედ იდეოლოგიური ხელმძღვანელობა, რომელსაც გააჩნდა ხედვა და იცოდა, რა ფუნდამენტურ გარდაქმნას უნდა ჩაყროდა საფუძველი ქვეყანაში და როგორ.

ახალი ქართული პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც სამართლიანად ასოცირდება, უპირველეს ყოვლისა, სააკაშვილთან, რევოლუციურიცაა და გარდამავალიც. კანონის უზენაესობის პრინციპი არაა უარყოფილი – მმართველ ელიტაში ძლიერია კონსენსუსი ლიბერალური დემოკრატიის

მშენებლობასა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციაზე, კანონის უზენაესობა კი ამის წინაპირობაა. მაგრამ პრაქტიკული გარდაქმნა შეფერილია რევოლუციური პროცესებით და განიცდის ეროვნული უსაფრთხოების, კონტრრევოლუციასა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის იმპერატივთა პრობლემურ ზეგავლენას. ეს ჩანს ცალკეულ ინსტიტუტთა და კონკრეტულ ფიგურათა პოლიტიკური წონის არაპროპორციულ ზრდაშიც და ექსტრა-სამართლებრივ ქმედებებშიც.

სადავოა რევოლუციური რეჟიმის ოპონენტთა მტკიცება, რომ ყოველივე ეს ახალი ელიტის წარმომადგენელთა ძალაუფლების თუ სიმდიდრის მოყვარეობით ხდება მხოლოდ. ხშირ შემთხვევებში ქართული კანონმდებლობა, უბრალოდ, უძლური აღმოჩნდა უზრუნველეყო კორუფციული თუ კრიმინალური გარიგებებით ბიუჯეტისათვის მიყენებული ზარალის გამოსწორება – ამ გარიგებათა უკან არსებული ქსელების თუ „სამკუთხედების" დაშლა. შედეგად, უკანონობასთან ბრძოლის სიმძიმე გადავიდა არა სასამართლოს, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრებზე.

რა თქმა უნდა, ეს სარისკოა. ისევე როგორც რისკის შემცველია სააკაშვილის ოპოზიციის უმნიშვნელო წარმომადგენლობა პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ცნობილია, ძალაუფლება „რყვნის". სამართლიანობის დასაცავად საკმარისი არასოდეს ყოფილა სამართლიან ადამიანთა მმართველობა: საჭიროა შესაბამისი ინსტიტუტები. მაგრამ არანაკლებ საშიშია ინსტიტუტთა და პოლიტიკურ ძალთა ისეთი ბალანსი, რომელიც გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობას იწვევს ან კრიმინალურ და ქსენოფობიურ ძალთა რევანშს; სწორედ ეს ძალები იყვნენ გავლენიანნი შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში.

ეს პრობლემატიკა – ავტორიტარიზმისა და კანონის უზენაესობის, ლიბერალიზმის და დემოკრატიის ბალანსი – სააკაშვილის ხელისუფლების მთავარი დილემაა. კიდევ უფრო მძიმდება სიტუაცია იმით, რომ ეს დილემა მოქმედებაშია საკმაოდ რთულ საგარეო პოლიტიკურ ფონზე. რუსული ხელისუფლება არ მალავს სააკაშვილის რეჟიმის დამხობის სურვილს. ისიც ცხადია, რომ კრემლის სურვილი დემოკრატიის უანგარო ერთგულებიდან არ მოდის; და თუ ამას მიაღწია, საქართველოში სტაბილური ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს შენების პროექტი, რომელიც ამჟამად მეტ-ნაკლებად ხორციელდება, დიდი ხნით გადაიდება.

სააკაშვილის მმართველობის წარმატებები შემდეგია: მან საზოგადოებას დაუბრუნა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარისა და შესაძლებლობის რწმენა. კრიმინალი, კორუფცია აღარაა დაუსჯელი და ძნელია ამ ფაქტის არა მხოლოდ სტრუქტურული, არამედ კულტურული მნიშვნელობის გადაფასება. სარისკო, მაგრამ ახალი შესაძლებლობების მომტანი დინამიკა შეიძინა ქართულ-აფხაზურმა და ქართულ-ოსურმა ურთიერთობებმა. მოხერხდა ნატო-სთან ინტენსიური დიალოგის დაწყება, ახალი, მრავალმილიონიანი დახმარებებისა და ინვესტიციების მიღება. რა თქმა უნდა, პროცესი არც დასრულებულია და არც შეუქცევადი, რის მიზეზებზეც ზემოთ მქონდა საუბარი. იმედია, რომ ზემოთ ნახსენები დილემის საშიში ხასიათი სწორადაა გაცნობიერებული მმართველ ელიტაში და უახლოესი ორი წელი კანონის უზენაესობის პრინციპის განმტკიცებასაც მოხმარდება.

განსაკუთრებით ხაზგასასმელი კი განათლებასა და კულტურულ-იდეოლოგიურ სფეროში მიმდინარე სიახლეებია. პირველად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, განათლების სახელმწიფოებრივი სისტემა და ახლად შექმნილი საზოგადოებრივი მაუწყებელი იწყებს სამოქალაქო, ღია საზოგადოების პრინციპების დანერგვას. ამის დადასტურებაა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთიკის კოდექსი, განახლებული ფაკულტეტები ორ წამყვან უნივერსიტეტში და ახალ გადაცემათა ციკლი საზოგადოებრივი მაუწყებლის არხზე.

5.

ოპოზიციის სისუსტე, რაც სახეზეა, ნაწილობრივ, თავად რევოლუციის შედეგია. დაუჭირა რა მხარი რევოლუციას და მის ლიდერს, საზოგადოების დიდმა ნაწილმა უარყო რევოლუციის უარისმყოფელები. მაგრამ ეს არ და ვერ იქნება ერთადერთი მიზეზი. თანაც რევოლუციიდან სამი წელი გავიდა. თავად რევოლუციონერთა შორის ჩაისახა ახალი ოპოზიცია. იზრდება უკმაყოფილო რიგით მოქალაქეთა რაოდენობაც, რადგან არც ერთი რევოლუცია თუ ჩვეულებრივი სახელისუფლო ცვლილება არ და ვერ აკმაყოფილებს ყველას მოლოდინებს.

ასეთ ფონზე, წესით, სავარაუდოა ოპოზიციის რეიტინგის თანდათანობითი ზრდა. მაგრამ ქვეყნის პოლიტიკურ საზოგადოებაში ძალთა ამჟამინდელი ბალანსის სერიოზული ცვლილება მოსალოდნელი არ არის, თუ თავად ხელისუფლების მხრიდან არ იქნა დაშვებული დრამატული შეცდომები. ამის მიზეზები შემდეგია:

ა) სააკაშვილი ქარიზმატულ ლიდერად ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ მას ზოგჯერ ახასიათებს ემოციური ტონი და კრიტიკის მიუღებლობა, იგი რჩება ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსად. მას აღმოაჩნდა უნარი ნაჩქარევი ნაბიჯებისა თუ განცხადებების შემობრუნება/შეცვლისა; კრიტიკულ ვითარებებში სიტუაციიდან მინიმალური დანაკარგებით გამოსვლისა. ბოლო დრომდე იგი ახერხებდა პოპულიზმის, ნაციონალიზმის და სამართლებრივი სახელმწიფოს შენებისათვის შესაფერისი რიტორიკის იმდაგვარ ბალანსს, როგორიც უნარჩუნებდა მხარდაჭერას განსხვავებული ინტერესებისა და მსოფლმხედველობის საზოგადოებრივ წრეებში. მოსალოდნელი არაა, რომ მან უახლოეს თვალსაწიერში დაკარგოს ეს უნარები.

ბ) ქართულ საზოგადოებას, ჩანს, სურს ამ გარდამავალ ეტაპზე ძლიერი და პოპულარული ლიდერი. მოსახლეობის დიდი ნაწილის სოციალური შეკვეთა წესრიგი და ეკონომიკური ზრდაა. მიუხედავად ორივე სფეროში არსებული პრობლემებისა, საზოგადოება ამჩნევს პოზიტიურ ცვლილებებს შევარდნაძის „უჟამობასთან“ შედარებით.

ც) ამჟამინდელი კონსტიტუციური მოდელი და საარჩევნო სისტემა ხელს უწყობს პრინციპის – გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი – დამკვიდრებას. მმართველი პარტიის ლიდერის პოპულარობასთან ერთად, დემოკრატიული არჩევნების ქართული სისტემა და პრეზიდენტის უფლებამოსილებათა სიფართოვე ოპოზიციის შანსებს ამცირებს.

დ) ოპოზიციას უჭირს ჩამოაყალიბოს მკაფიო და მოსახლეობის დიდი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნილებებზე ადეკვატურად მოპასუხე საარჩევნო პროგრამას. ცალკეული ოპოზიციური პარტიები ამას მეტ-ნაკლებად ახერხებენ, მაგრამ ცალ-ცალკე მათი ძალები მეტად მცირეა. გასაერთიანებლად საჭირო პლატფორმა კი არ არსებობს. თანაც ოპოზიცია ირჩევს ხელისუფლების უკიდურესად რადიკალური კრიტიკის გზას. ამით იგი თითქოს ბაძავს სააკაშვილს, რომელიც შეურიგებელი იყო შევარდნაძესთან დაპირისპირების დროს. მაგრამ ასეთი ტაქტიკა მხოლოდ უკიდურესად წარუმატებელი და არაპოპულარული ხელისუფლების დროს თუ ამართლებს. ოპოზიციის დიდი ნაწილი ძველი, საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი სახეებისაგან შედგება და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ სახეებმა შეძლონ იმაზე მეტი პოპულარობის მოპოვება, რაც აქამდე შეძლეს. ახალი

სახეები, რომლებიც ოპოზიციონერთა რიგებში დრო და დრო ჩნდებიან, ვერ ახერხებენ სერიოზული კონკურენცია გაუწიონ არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ ოპოზიციის ტრადიციულ სახეებსაც.

ოპოზიცია საკუთარ წარუმატებლობებს, როგორც წესი, ხსნის მისი მომხრეების (განსაკუთრებით, ბიზნესის წრიდან) დაშინებით, საარჩევნო სისტემით, რომელიც ძლიერის კიდევ უფრო გაძლიერებას ემსახურება, და არჩევნების გაყალბებებით. ეს უკანასკნელი არგუმენტი ყველაზე უფრო ნაკლებ სარწმუნოა: მას არ იზიარებს რევოლუციის შემდგომი არჩევნების საერთაშორისო თუ ადგილობრივი დამკვირვებლების არც ერთი ანგარიში. რა თქმა უნდა, ცალკეული დარღვევები არჩევნების დროს ხდებოდა და ხდება. მაგრამ ისინი ნამდვილად ვერ თამაშობენ გადამწყვეტ როლს ოპოზიციის სისუსტეში.

რაც შეეხება მეორე მიზეზს, იგი გასათვალისწინებელია. არც საპარლამენტო არჩევნების 7%-იანი ბარიერი და არც თბილისის საკრებულოს არჩევნების შერეული სისტემა არ უწყობს ხელს პლურალიზმის კულტივირებას არჩევით ორგანოებში. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ეს სისტემები ცალსახად არადემოკრატიულია. როგორც ითქვა, მსგავსი წესები ოპოზიციისაგან მეტ ძალისხმევასა და გაერთიანებას ითხოვს.

რაც შეეხება ოპოზიციის მომხრე ბიზნეს-წრეების დაშინებას ხელისუფლების მხრიდან, მსგავსი ბრალდება უდავოდ იმსახურებს სპეციალურ კვლევას. თუ დადასტურდება დაშინების/შანტაჟის კონკრეტული მაგალითები, რასაც თავად ბიზნესმენთა სამოქალაქო გამბედაობა და სასამართლოსთან თანამშრომლობა სჭირდება, ხელისუფლება ვერ აარიდებს თავს პასუხისმგებლობას. მაგრამ აქ საქმე შეიძლება იყოს არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ სისტემურ სოციალურ- პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ პრობლემასთან: ქართული ბიზნესის დიდი ნაწილი ჩრდილოვანი წარსულიდან მოდის. შესაბამისად, იგი ინსტიტუციურად არის დაინტერესებული ხელისუფლებასთან სიახლოვით, ლოიალურობით, რათა არ დაკარგოს არც თუ კანონიერი გზით ნაშოვნი პოზიციები. ასეთ ვითარებაში ნებისმიერ ხელისუფლებას უჩნდება დიდი ცდუნება – ისარგებლოს თვითმიზნურად ბიზნესის პოლიტიკური სისუსტით. ეს ქვეყნის ლიბერალურ-დემოკრატიული განვითარებისათვის სერიოზული პრობლემაა, მაგრამ საეჭვოა, რომ მაქსიმალური მონდომების შემთხვევაშიც კი, მის აღმოფხვრას წლები არ დასჭირდეს.

მსგავსი პრობლემაა სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს ურთიერთობაშიც. ეს უკანასკნელი ბოლო დრომდე კორუმპირებუ-

ლი და არაკომპეტენტური კადრებით იყო დაკომპლექტებული. გამონაკლისები იყვნენ, მაგრამ მათი არსებობა ისევ კანონზომიერებას ადასტურებდა. აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსულმა ახალგაზრდა ელიტამ სწრაფად გაწმინდა სამართალდამცავი სტრუქტურები და დაიწყო ორგანიზებულ კრიმინალთან ბრძოლა. გამოვლენილ იქნა რამოდენიმე დამნაშავე მოსამართლეც. სასამართლო სისტემაში ამან გამოიწვია დაბნეულობა, შიში და, შედეგად, პოლიტიკური ხელისუფლების არაფორმალური ზეგავლენა სასამართლო შტოზე. 2006 წელი აღინიშნა როგორც დებატებით ამ პრობლემის ირგვლივ, ისე ახალი სისტემური ცვლილებებით, რამაც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა უნდა უზრუნველყოს. ეს ცვლილებები აჩვენებს, რომ ხელისუფლებაში ბევრს ესმის სასამართლო სისტემის სისუსტიდან მომდინარე რისკი ლიბერალურ-დემოკრატიული საქართველოს მშენებლობისათვის. თუმცა ვითარების რადიკალურად შესაცვლელად დროა საჭირო და 2007 წელი ამ მხრივ გადამწყვეტი იქნება.

6-7.

ოპოზიციის გაძლიერება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ვერ აღმოფხვრის კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებაში არსებულ ხარვეზებს და, იმავდროულად, ვერ აამუშავებს სოციალური დაცვის ეფექტურ საბაზრო მექანიზმებს. პირველი აშფოთებს დასავლეთს, ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ ადგილობრივ ორგანიზაციებს, საზოგადოების მოქალაქეობრივი შეგნების მქონე ნაწილს, მეორე – მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენებს, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია ქვეყანაში. ოპოზიციამ, ბუნებრივია, ამ პრობლემებზე ფოკუსირება უნდა განაგრძოს. მაგრამ იგი ჯერჯერობით წამგებიან მდგომარეობაშია, რადგან ხელისუფლება აჩვენებს ამ პრობლემებზე ზრუნვის მაგალითებს, იგი კვლავინდებურად პოპულარულია, ოპოზიცია კი რადიკალური დაპირისპირების, ხელისუფლების სრული დისკრედიტაციის ტაქტიკას ირჩევს. მსგავსი ოპოზიციური ტაქტიკა შეუსაბამობაშია მისავე დეკლარირებულ ღირებულებებთან, რადგან ხელისუფლება ნაკლულად, ხარვეზებით, მაგრამ სწორედ ამ ღირებულებათა განმახორციელებლად მიიჩნევა. სწორედ მას უნდა შეეშალოს დრამატულად, მან უნდა თქვას უარი სოციალური და სამართლებრივი პრობლემების გამოსწორებაზე და თვითმიზნურ, ჩაკეტილ ელიტად ჩამოყალიბდეს, რომ ოპოზიციის ხმა ასეულ ათასებს მისწვდეს.

არის სხვაგვარი ოპოზიციის ზრდის თეორიული შანსიც – ეს უკანასკნელი „წითელ-ყავისფერი“ ანუ ნაციონალურ-სოციალისტური შეფერილობისა უნდა იყოს. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არის ამგვარი პოლიტიკური ჯგუფების მხარდაჭერის პოტენციალი. მით უმეტეს, თუ ამ ჯგუფებს უცხოეთიდან, გნებავთ, ადგილობრივი კრიმინალური სამყაროდან ფინანსურ-პოლიტიკური მხარდაჭერაც ექნება. მაგრამ 2006 წლის მოვლენებმა, გიორგაძის მომხრეთა დაპატიმრებამ აჩვენა, რომ მსგავსი პოლიტიკური ოპოზიციის ჩამოყალიბება-გაძლიერების პრაქტიკული შესაძლებლობები შეზღუდულია: ხელისუფლების სიძლიერე და საზოგადოების დიდი ნაწილის პრაგმატულობაა ნაციონალ-სოციალიზმის მთავარი მეხამრიდი.

თუ პოლიტიკური პროცესები მოულოდნელი რყევებით არ წარიმართა, გარდა მმართველი ძალისა, საქართველოში იქნებიან შედარებით მარგინალური პოლიტიკური ჯგუფები. შესაძლოა, თანდათანობით ჩამოყალიბდეს მეორე სერიოზული პოლიტიკური ძალა – დღევანდელი ოპოზიციის ნაწილისა და ხელისუფლებაში მყოფი ძალის რომელიმე დაჯგუფების ბაზაზე. მაგრამ მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებამდე მაინც, ასეთი რამ ნაკლებ სავარაუდოა, რადგან ამას, ან თავად სააკაშვილის ნება და ხელშეწყობა დასჭირდება, ან მისი რეიტინგის სერიოზული ვარდნა.

8-10.

საქართველოში არსებული პოლიტიკური სისტემა არაა სტაბილური, თუ სტაბილურობის საწინდრად კანონის უზენაესობისა და ლიბერალური დემოკრატიის სხვა პრინციპებს მივიჩნევთ. ჯერ-ჯერობით ქვეყანა მაქსიმალურადაა დამოკიდებული ლიბერალურად მოაზროვნე რამდენიმე ლიდერზე, თავად სააკაშვილის მეთაურობით. მათ გააჩნიათ სოციალური ბაზა – განსაკუთრებით საყურადღებოა დინამიური ახალგაზრდობა, რომლის მსოფლხედვა ათავსებს პატრიოტიზმსა და გლობალიზაციის გარდაუვალი რეალობისადმი გახსნილობას. ლიდერების მხარდამჭერია მსოფლმხედველობრივად უფრო ამორფული საშუალო თუ უფროსი თაობებიც. თუმცა ახალგაზრდებშიც და მოსახლეობის დანარჩენ ნაწილშიც არიან როგორც დემოკრატიული გარდაქმნების უფრო სწრაფი ტემპის მომხრეები, ისე ნაციონალისტურ-ქსენოფობიური წრეებიც. ამ უკანასკნელის აქტიურობას ზღუდავს ხელისუფლების სიძლიერეც და საკუთარი, ობივატელური ინერტულობაც. მაგრამ ლიბერა-

ლურ-დემოკრატიული პროცესების შეუქცევადობას სჭირდება მყარი ინ-სტიტუტები: სტაბილური და ძლიერი ლიბერალური პარტიები, რო-გორც სამოქალაქო შეგნების მქონე მოსახლეობის მაორგანიზებელი ძა-ლა, სასამართლო, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კორპუსი, სა-თემო ორგანიზაციათა ქსელი, ძლიერი და დამოუკიდებელი მედია.

რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით ბევრი ნაბიჯი უკვე გადადგმუ-ლია. დღეს სხვაგვარია პოლიცია, უმაღლესი სასწავლებლები, ტელევი-ზიის საზოგადოებრივი მაუწყებელი, სკოლები. მაგრამ ამ თუ სხვა ინ-სტიტუტებს ჯერ არ ჩაუბარებიათ გამოცდა – რამდენად შეუძლიათ განაგრძონ განვითარება და საზოგადოების მოდერნიზაციის სამსახური პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში.

როგორც ითქვა, უახლოეს მომავალში არ ჩანს სტაბილური მრა-ვალპარტიული სისტემის ჩამოყალიბების პერსპექტივა. თუ ხელისუფ-ლებამ შეძლო ქვეყნის მოდერნიზების კურსის ეფექტური გაგრძელება, ქვეყანა დომინანტური პარტიის მიერ იქნება მართული. საუკეთესო შემ-თხვევაში, მისი მმართველი ნაწილი დარჩება კონსოლიდირებული და მკაფიოდ რეფორმატორული ხედვის მქონე, მაგრამ ადგილებზე – საშუ-ალო და დაბალ რგოლებში – პარტიაში გზა გაეხსნება კარიერიზმსა და ფავორიტიზმს. ეს საშიშია და ამაშია ქართული პოლიტიკური პროექ-ტის პარადოქსი – რეფორმები ძნელია დომინანტური პოლიტიკური ძა-ლის არსებობის გარეშე, მაგრამ დომინანტური პოლიტიკური ძალის არსებობა სისტემურადაა ანტირეფორმატორული სოციალური ფენის წარ-მომშობი. გამოსავალი ამ პარადოქსისა თუ დილემისაგან ძლიერი და დამოუკიდებელი სოციალური ინსტიტუტების – უნივერსიტეტების, მე-დიის, არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა-ფუნქციოობაა. პოლი-ტიკურმა ელიტამ კი, რომელიც ვერანაირად ვერ და არ შეეცდება (ალბათ, არც უნდა შეეცადოს) საკუთარი პოლიტიკური პოზიციების ხელოვნურ შესუსტებას, კანონის უზენაესობის პრინციპისა და სულის-კვეთების დასანერგად მთელი ყურადღება სასამართლო სისტემის რე-ფორმას და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას უნდა შეალიოს. თუ ეს მოხერხდა, თუ საკაშვილის და მისი გუნდის დომინანტური მმართ-ველობა არ გადაიზარდა მაინცდამაინც მრავალპარტიულ პლურალიზმ-ში, მაგრამ მოიტანა ძლიერი და ავტორიტეტული სასამართლო, სამო-ქალაქო ორგანიზაციების და კერძო ბიზნეს-სტრუქტურების მძლავრი ქსელი, წამყვან დასავლურ აკადემიურ წრეებთან ინტეგრირებული უმაღ-ლესი განათლებისა და კრიტიკული აზროვნების ხელშემწყობი საშუა-

ლო განათლების სისტემები, ქვეყანას ექნება შანსი, დარჩეს ცივილიზებულ ერთა თანამეგობრობაში სააკაშვილის მმართველობის შემდეგ.

ამგვარ, სასურველ პერსპექტივას შიგნიდან ემუქრება „ძალაუფლებით ტკბობის“ მარადიული ინსტინქტი, რომელიც, განსაკუთრებით საგრძნობი ხელისუფლების დაბალ და საშუალო საფეხურებზეა – მანამდე მაინც, სანამ ზედაფენა გულწრფელად (თუნდაც ზედმეტად თავდაჯერებულად) რეფორმატორული რჩება. მაგრამ არანაკლებ საშიში და ანგარიშგასაწევი საფრთხე გარედან მომდინარეობს – მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ საქართველოს კრახი რუსული საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. საეჭვოა, რომ უახლოეს სამ წელიწადში ამ მხრივ რაიმე შეიცვალოს. ეს ძალზე ართულებს ქართული პოლიტიკური სისტემის წინაშე მდგომ ამოცანებს; ერთი მხრივ, რუსული საფრთხის წინაშე აუცილებელი ხდება ხელისუფლების შემდგომი კონსოლიდაცია და გავლენის ზრდა, მეორე მხრივ, ეს იწვევს საქართველოს კრიტიკას თავად მისი მოკავშირეებისაგან დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტის გამო.

შეძლებს სააკაშვილის ხელისუფლება დაუმტკიცოს საკუთარ მოქალაქეებსაც და საერთაშორისო თანამეგობრობასაც, რომ ძლიერი პრეზიდენტი, ძლიერი სამართალდამცავი სისტემა, „გამარჯვებული იღებს ყველაფერს“ პრინციპის ხელშემწყობი საარჩევნო სისტემა სწორედ ქვეყნის მოდერნიზაციას და დემოკრატიზაციას სჭირდება ამ რთულ, გარდამავალ ეტაპზე? კიდევ ერთი პარადოქსი ისაა, რომ ამ კითხვაზე პასუხი მარტო პრეზიდენტს არ და ვერ ექნება – ქვეყნის მოდერნიზაციის ეტაპის წარმატებით ჩასავლელად ერთი შეხედვით მარგინალიზებული ოპოზიციის, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების, მონიტორინგით და ადვოკატირებით დაკავებული არასამთავრობო სექტორისა და მედიის თანადგომაც საჭიროა. იმისათვის, რომ ქვეყნის მოდერნიზაციის პროექტი შედგეს და ლიბერალურ-დემოკრატიულ არჩევანს არ გადავუხვიოთ, მეტი ენერგიაა დასახარჯი ურთიერთგაგებისათვის, „თამაშის წესებზე“ თანხმობისათვის ძლიერ ხელისუფლებასა და ხელისუფლების გარეთ მყოფ, ბევრად უფრო სუსტ დემოკრატიულ წრეებს შორის. ამ უკანასკნელთა სისუსტე არც უკიდეგანოა და არც თუ მაინცდამაინც სასურველი.

გიგა ზედანია

1.

ორი ძირითადი მიზანი, რომელთა დასახვაც მოხდა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე, იყო:

ა) სუვერენულობა,

ბ) დემოკრატია.

საინტერესოა, რომ თავიდანვე გაჩნდა ცნობიერება იმისა, რომ ამ ორ მიზანს შორის შეიძლება სულაც არ ყოფილიყო ჰარმონიული ურთიერთმიმართება (აქედან 90-იანი წლების დასაწყისის ლოზუნგი – ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია), მაგრამ ბევრად უფრო გვიან გაჩნდა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც არ შეიძლებოდა არც ერთის და არც მეორის დათმობა. დემოკრატია აქ, რასაკვირველია, გაგებული იყო ძალზე ფართო აზრით, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ხელისუფლების არჩევითობის პრინციპს, არამედ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას (ლიბერალიზმი), თავისუფალ ბაზარს (კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა), ხოლო ეს ყოველივე, თავის მხრივ, უნდა გამხდარიყო საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის (დასავლური ორიენტაცია) გარანტია.

რაც შეეხება კულტურულ ფაქტორებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს პოლიტიკურ პროცესებზე, აქ უნდა დავასახელოთ ნეგატიური სოციალური კაპიტალი და არასამოქალაქო პოლიტიკური კულტურა, რომლებმაც დაღი დაასვეს ბოლო 15 წლის ქართულ პოლიტიკას. ის ფამილიზმი, რამაც ქვეყნის მოსახლეობას შედარებით ადვილად გადაატანინა ტოტალიტარული რეჟიმი (თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ამ უკანასკნელის მიერ საჯაროსა და პრივატულს შორის საზღვრის წაშლა ბევრად ნაკლები წარმატებით მოხდა საქართველოს ტიპის სამხრეთულ კულტურაში, ვიდრე რუსეთის ტიპის ჩრდილოურში; შედარებისათვის: იტალია მუსოლინის რეჟიმის ქვეშ და გერმანია ჰიტლერის რეჟიმის ქვეშ, სადაც იმავე ტიპის განსხვავებას ჰქონდა ადგილი), რო-

გორც მოსალოდნელი იყო, ხელისშემშლელი აღმოჩნდა ლიბერალური დემოკრატიის დასამკვიდრებლად.

ამ კულტურულ ფაქტორებს ნოემბრის რევოლუციის შემდეგ დაემატა ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ცვლილება – ახალი პოლიტიკური ელიტის გამოჩენა, რომელმაც საკუთარ ექსპლიციტურ მიზნად დაისახა ზემოთ მოყვანილი კულტურული ფაქტორების წინააღმდეგ ბრძოლა. ასე რომ, შეიძლება ითქვას: მეორე და მესამე კითხვებზე გაცემული პასუხები ურთიერთშემავსებელია, რადგან ძირითად შეჯახებას დღეს ადგილი აქვს, ერთი მხრივ, ახალ პოლიტიკურ ელიტას, ხოლო, მეორე მხრივ, ძველ სოციალურ პრაქტიკებსა და დისკურსებს (თუ თანამედროვე სოციალური თეორიის ენით ვიტყვით) ანუ ძველ პოლიტიკურ კულტურას (თუ თანამედროვე პოლიტიკური თეორიის ენით ვისაუბრებთ, რომელიც, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ნაკლებადაა რეფლექტირებული, მაგრამ უფრო გავრცელებულია) შორის.

2.

ძირითად მიღწევას წარმოადგენდა დემოკრატიის – ამ სიტყვის ძალზე შეზღუდული გაგებით – დამკვიდრება. როდესაც დემოკრატიაზეა საუბარი, ვგულისხმობ ხელისუფლების არჩევითობას, რაც მანამდე საბჭოთა კავშირში მხოლოდ ფასადის სახეს ატარებდა. ეს, რასაკვირველია, არ ყოფილა ლიბერალური დემოკრატია. მეტიც, შეიძლება გამსახურდიას რეჟიმი არალიბერალური დემოკრატიის ტიპურ შემთხვევადაც მოვნათლოთ – ეს იყო რეჟიმი, რომელშიც ხალხის ნება კანონის უზენაესობის პრინციპითა და კონსტიტუციით კი არ იზღუდებოდა, არამედ ქარიზმატული ლიდერის რიტორიკით იმართებოდა.

გამსახურდიას ხელისუფლებამ საკუთარი ისტორიით სრულად აჩვენა, რომ დამოუკიდებლობის ლოგიკა შესაძლოა არ თანხვდებოდეს დემოკრატიის ლოგიკას,[1] განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს შიგნით მცხოვრები დემოსის იდენტიფიკაცია მოხდება ერთ-ერთ ეროვნებასთან და უგულებელყოფილი იქნება სხვა ეროვნების წარმომადგენელთა უფლებები. სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული გამსახურდიას რეჟიმის ძირითადი წარუმატებლობა – ეთნიკურ-ნაციონალისტური პოლიტიკური ხედვით გამოწვეული ეთნიკური კონფლიქტების გაღვივება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

3.

პოლიტიკურ მეცნიერებაში შევარდნაძის ტიპის რეჟიმებს შეჯიბრებით ავტორიტარიზმს ან ნახევრად ავტოკრატიულს უწოდებენ.[2] ესაა რეჟიმები, რომლებშიც გადაწყვეტილებების მიღება ვიწრო ჯგუფების მიერ ხდება, მაგრამ რომლებიც, მიუხედავად ამისა, იძლევიან ოპონირების შესაძლებლობას რეპრესიების გარეშე. შევარდნაძეს პერიოდში გაჩნდა ასეთი ოპონირების სტრუქტურული შესაძლებლობები სამოქალაქო საზოგადოებისა და თავისუფალი მედიის სახით. საყოველთაო კორუფცია და არჩევნების სულ უფრო დიდი მასშტაბებით გაყალბება ამ სისტემის აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენდა.

მიზეზი, რომელმაც გამოიწვია რევოლუცია, გაყალბებული საპარლამენტო არჩევნები იყო. მაგრამ ცნობილია, რომ რევოლუციისათვის არაა საკმარისი ერთი მიზეზი. საჭირო იყო რამდენიმე ფაქტორის კომბინაცია, რათა რევოლუცია წარმატებული ყოფილიყო: თავისუფალი მედია და არასამთავრობო სექტორი, რომელიც არჩევნებზე დამოუკიდებელ მონიტორინგსა და მისი შედეგების ხალხამდე მიწვდენას უზრუნველყოფდა, ხელისუფლების ლიდერის (შევარდნაძის) არაპოპულარობა, გაერთიანებული ოპოზიცია, მასების წარმატებული მობილიზაცია და ა.შ.[3]

მაგრამ ძირითადი მეთოდოლოგიური პრობლემა, რომელიც დგას დღევანდელი მკვლევარის წინაშე, რომელიც ცდილობს პასუხი გასცეს ნოემბრის რევოლუციის გამომწვევი მიზეზების შესახებ კითხვას, კარგადაა ცნობილი გასული საუკუნის სოციალურ მეცნიერებებში. ესაა დილემა სტრუქტურასა და აგენტობას (agency) შორის. ერთი მხრივ, არსებობს სურვილი, ანალიზისას დავერყდნოთ ობიექტურ სტრუქტურებს, რომელთა არსებობიდანაც ავტომატურად შევძლებდით რევოლუციური სიტუაციის დედუცირებას, მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს არანაკლები სურვილი, თითოეული რევოლუცია დავუკავშიროთ ამ თუ იმ ხალხის ნებას, რომლის მეცნიერული რეიფიცირებაც პრობლემური წამოწყება იქნებოდა და რომელიც შემთხვევიდან შემთხვევამდე სხვადასხვა შედეგს იძლევა. ამ შემთხვევაში პასუხი კითხვაზე, თუ რატომ მოხდა ნოემბრის რევოლუცია, უნდა ვეძებოთ არა სტრუქტურულ პირობებში, რომლებიც წარმოადგენდა მის წინაპირობებს, არამედ მოსახლეობის რეაქციაში ამ სტრუქტურულ პირობებზე. თავად ეს ნება კი მხოლოდ ისტორიული ანალიზის შედეგად შეიძლება აიხსნას, ანალიზისა, რომელიც მიმართული იქნებოდა

ქართველი ხალხის მიერ საკუთარი თავისუფლების მნიშვნელოვან ღირებულებად აღქმასა და მის ერთგულებაზე დასავლური ორიენტაციის მიმართ.

4.

მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდის მთავარ პროექტს სახელმწიფოს მშენებლობა წარმოადგენს. ძირითადი, რაც დაადასტურა შევარდნაძის ხელისუფლებამ საქართველოში (და, მეორე მაგალითი რომ მოვიყვანოთ, ელცინის ხელისუფლებამ რუსეთში), იყო ინტუიცია, რომელიც პოლიტიკის მეცნიერებაში კარგა ხანია ცნობილია. ფუნდამენტური განსხვავება სახელმწიფოებს შორის გადის არა იდეოლოგიურ მიჯნაზე, ან თუნდაც მიჯნაზე დიქტატურასა და დემოკრატიას შორის, არამედ განსხვავებაზე ეფექტიანობასა და არაეფექტიანობას შორის.[4] სახელმწიფომ საკუთარი ძირითადი ფუნქცია, რომელიც, მაქს ვებერის მიხედვით, ფიზიკურ ძალადობაზე ლეგიტიმური მონოპოლიის დამყარებაში მდგომარეობს,[5] საქართველოში სრული სახით მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლების დროს შეიძინა. არაა შემთხვევითი, რომ პირველ ნაბიჯებს შორის, რომელიც ამ ხელისუფლებამ გადადგა, სწორედ პოლიციისა და ჯარის რეფორმა იყო. როგორც ცნობილია, ვებერის ზემოთ მოყვანილ დეფინიციასთან სრულ შესაბამისობაში იწყება სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი.[6]

სხვა კონკრეტული მიღწევებიდან უნდა აღინიშნოს აჭარისა და ზემო აფხაზეთის ტერიტორიებზე ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის აღდგენა, რაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. გარდა ამისა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის საზოგადოებრივ-კულტურულ მოვლენას გამოვყოფდი განათლების რეფორმას, რომელიც მოიცავს როგორც ზოგად, ისე უმაღლეს განათლებას და რომელსაც ეკისრება არა მხოლოდ თანამედროვე შრომის ბაზრის ადეკვატური ადამიანური კაპიტალის წარმოება, არამედ დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეობისათვის საჭირო ღირებულებათა პროდუცირება. ასევე, აღსანიშნავია კორუფციასთან რეალური (და, განსხვავებით შევარდნაძის რეჟიმისაგან, არა მხოლოდ დეკლარირებული) ბრძოლა, რომლის პირველი წარმატებებიც სახეზეა, და თვითმმართველობის სისტემის შექმნა.

5.

ძირითადი პრობლემა ოპოზიციისათვის, რომელიც არც ქარიზმატული ლიდერების გაჩენით გადაიჭრებოდა, მდგომარეობს ალტერნატიული პოლიტიკური პროექტის არარსებობაში, რომლის გარშემოც მოხდებოდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის კონსოლიდაცია. ოპოზიციის ერთი ნაწილის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა ატარებს რაფსოდიულ და არა სისტემურ ხასიათს, მეორე ნაწილის იდეოლოგიური პოზიციები კი იმდენად თანხვდება ხელისუფლებისას, რომ ერთადერთი განსხვავება ამ იდეოლოგიის მატარებელ სახეებს შორის უნდა ვეძებოთ და არა რაიმე ღირებულებით თუ იდეურ პრობლემებს შორის. ოპოზიციის გაძლიერებას ხელს უშლის ხელისუფლების ობიექტური წარმატებულობაც იმ აზრით, რომ დღეს ქვეყანაში არსებულ პრობლემათაგან, იმ პრიორიტეტების მიხედვით, რომლებიც კარგა ხანია დასახულ იქნა ელიტის მიერ და რომელთაც მხარს უჭერს ამომრჩეველთა უმრავლესობა, ბევრია ისეთი საკითხი, სადაც გადამწყვეტია არა იდეოლოგიური პოზიციების გამიჯვნა (მაგალითად, მემარჯვენე და მემარცხენე პოლუსებს შორის), არამედ ერთმნიშვნელოვანი პროგრესი (მაგალითად, კორუფციის აღმოფხვრა განათლების სისტემაში, გადასახადების ეფექტიანი ამოღება და ა. შ.).

ძლიერი ოპოზიციის გაჩენას უნდა ველოდეთ:

ა) არსებული ხელისუფლების სტაგნაციის შემთხვევაში, რაც შესაძლებელს გახდიდა იმავე პოლიტიკური პროექტის სხვა ძალის მიერ ატაცებას;

ბ) სახელმწიფოს წინაშე მდგარი ელემენტარული პრობლემების გადაჭრის შემთხვევაში, რომელთა შემდეგაც გამოჩნდება ნაკლებად ბაზისური პრობლემების წყება, სადაც მნიშვნელობას შეიძენს იდეოლოგიური განსხვავებები. ამ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას ალტერნატიული სახის პოლიტიკური ხედვა, რომელსაც მოსახლეობაში მეტ-ნაკლებად ფართო საყრდენი ექნება.

6-7.

არსებული სიტუაციის ლოგიკიდან გამომდინარე, ვერ ვხედავ ოპოზიციის გაძლიერების პერსპექტივას უახლოეს მომავალში და ამიტომ გამიჭირდება სპეკულირება იმ შესაძლებელი თემების შესახებ, რომელთა ირგვლივაც შეიძლება მოხდეს მისი კონცენტრაცია. მომავალში

კი ოპოზიციაში, სავარაუდოდ, შევა როგორც არსებული პარტიების გარკვეული ნაწილი, ისე დღევანდელი ხელისუფლების წიაღიდან აღმოცენებული ჯგუფი. ოპოზიციის ძირითადი გზავნილი მთლიანად იქნება დამოკიდებული იმ დროისათვის ქვეყანაში არსებულ სიტუაციასა და ხელისუფლების წარმატების ხარისხზე.

8.

დომინანტური პოლიტიკური პარტიის სისტემის ჩამოყალიბება საინტერესო პერსპექტივა იქნებოდა, მაგრამ, როგორც წინა ორი პარტიის (მრგვალი მაგიდა, მოქალაქეთა კავშირი) ისტორია გვიჩვენებს, საქართველოში დომინანტური პარტიის საარსებოდ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არ არსებობს: ხანგრძლივობა. საქართველოში პარტიები იქმნება ლიდერებისა და მათი უახლოესი გარემოცვის ირგვლივ, რომლებზედაც მათი არსებობა მთლიანადაა დამოკიდებული.[7] შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, არ არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მსგავსად იაპონიაში, ანდა რევოლუციური პარტიის მსგავსად მექსიკაში,[8] რამდენიმე ათწლეულს გაუძლოს როგორც სტრუქტურამ, რომელიც მოახდენს ახალი ლიდერების გენერაციას. უფრო სავარაუდოა, რომ ამ პარტიის ბედი უშუალოდ იყოს დამოკიდებული მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ ტრაექტორიაზე.

9.

წინა კითხვებზე გაცემული პასუხები ცალმხრივი იყო იმ აზრით, რომ იქ საუბარი იყო პოლიტიკური პროცესების მხოლოდ ენდოგენურ, თავად ქვეყნის შიგნით მიმდინარე ასპექტებზე იმის გარეშე, რომ ისინი დაგვეკავშირებინა ქვეყნის გარეთ არსებულ აქტორებთან და პროცესებთან. არადა, ცხადია, რომ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა – ეთნოკონფლიქტები – სრულიად სხვა სახეს მიიღებდა, რომ არა რუსეთის აქტიური როლი მათი გაჩაღებისა და შენარჩუნების საქმეში. ასევე, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესები მნიშვნელოვანწილად იყო და არის დამოკიდებული დახმარებაზე აშშ-ისა და ევროპის მხრიდან.

ამ მხრივ, განსაკუთრებულ ცვლილებებს არ ველი რუსეთთან დაკავშირებით. პოსტიმპერიულ სინდრომს ყოფილ კოლონიებთან მიმართებაში იმდენად ირაციონალური სახე ჰქონდა ხოლმე ბევრად უფრო მო-

დერნიზებულ სახელმწიფოებშიც კი (როგორებიცაა, მაგალითად, ჰოლანდია ან დიდი ბრიტანეთი),[9] რომ არაა გასაკვირი, რუსეთის პოლიტიკისათვის საქართველოსადმი უაღრესად ნეგატიური დამოკიდებულება კიდევ კარგა ხანს დარჩეს განმსაზღვრელად.

მთავარი სიახლე, რომელიც სამი-ხუთი წლის მანძილზეა მოსალოდნელი, არის საქართველოს ნატო-ს წევრად გახდომა. ამ პროცესს საქართველოში მხარს უჭერს მოსახლეობის დიდი ნაწილი (განსხვავებით, მაგალითად, უკრაინისაგან). როგორც 2006 წლის აგვისტოში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვა აჩვენებს,[10] მოსახლეობის 59,2% სურს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება, ხოლო წინააღმდეგია მხოლოდ 7,1%. გაწევრიანებისაგან მოსახლეობის 47,5% ელის უსაფრთხოების გარანტიებს, ხოლო 29,5% – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ეჭვგარეშეა, რომ პირველი მოლოდინი მართლაც ადეკვატურია, ხოლო რაც შეეხება ეთნოკონფლიქტების გადაწყვეტის საკითხს, ნატო-ში შესვლა, როგორც მინიმუმ, ხელს შეუწყობს ამ მხრივ არსებული სტატუს-კვოს გადასინჯვას, რაც საქართველოს ინტერესებშია.

10.

ნაბიჯი, რომლის გადადგმის აუცილებლობაზე დღევანდელ საქართველოში სრული კონსენსუსი არსებობს, ესაა სასამართლო სისტემის ძირეული რეფორმა, სისტემისა, რომელიც დღემდე რჩება ყველაზე მოწყვლად პუნქტად ქვეყანაში ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრების პროცესში. უმუშევრობის პრობლემის დაძლევა და სოცუზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება ასევე მოითხოვს სერიოზულ ძალისხმევას. აღსანიშნავია, რომ სახელისუფლებო პარტია სამივე ამ პრობლემას აღიქვამს როგორც პრიორიტეტულს.

მაგრამ აქ ორი სიტყვით მინდა შევეხო არა ამ პრიორიტეტებს, არამედ იმ ადამიანებს, რომლებმაც უნდა დააკომპლექტონ ჩემთვის სრულიად მისაღები ხელისუფლება. როგორც გვახსოვს, აღთქმულ ქვეყანაში მხოლოდ ის თაობა შედის, რომელიც ეგვიპტურ მონობაში არ დაბადებულა. სოციოლოგიის ენაზე თუ ვთარგმნით, აღთქმულ ქვეყანაში აკრძალული აქვთ შესვლა იმ ადამიანებს, რომელთა სოციალიზაციაც მონობის პირობებში მოხდა. ბიბლიური ამბავი იმ გადამწყვეტ მნიშვნელობაზე მიგვითითებს, რომელიც ენიჭება სოციალიზაციის პროცესს (ამ შემთხვევაში პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესს ანუ ღირებუ-

ლებების, რწმენებისა და შეხედულებების ჩამოყალიბებას, რომლებიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, მხარი დაუჭირონ ამა თუ იმ პოლიტიკურ სისტემას), უნდა ითქვას, რომ თაობის გამოცვლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა იმისა, რომ დემოკრატია საქართველოში გახდეს სტაბილური. თვით ლიპსეტის ცნობილი თეზისიც[11] კი, რომელიც გვეუბნება, რომ სტაბილური დემოკრატია მხოლოდ იმ ქვეყანაშია შესაძლებელი, რომელთა მშპ გარკვეულ ზღვარს მაღლაა, არ უნდა აღვიქვათ ცალსახად – მატერიალური დოვლათის გავლენა არაა უშუალო, არამედ გადის სწორედ სოციალიზაციის პროცესზე – ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბებისას ადამიანებში გადამწყვეტი არის ის, თუ რა პირობებში მოხდა მათი ამა თუ იმ საზოგადოებაში სოციალიზაცია.[12] სწორედ ამ სოციალიზაციის პერიოდში არსებული მატერიალური პირობები შედის როგორც გავლენის ფაქტორი ღირებულებითი სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესში, რომლებსაც ეფუძნება სამოქალაქო კულტურა, რაც, თავის მხრივ, სტაბილური დემოკრატიის წინაპირობას წარმოადგენს.

შენიშვნები:

[1] ამ კონფლიქტის აღწერისათვის იხ. Juan J. Linz, Alfred Stepan, *Problems of Democratic Transition and Consolidation* (Baltimore, 1996).

[2] Larry Diamond, "Thinking about Hybrid Regimes", *Journal of Democracy,* 13 (აპრილი 2003): 21-35; Stephen Levitsky, Lucan Way, "The Rise of Competetive Authoritarianism", *Journal of Democracy* 13 (აპრილი 2003): 51-56; Michael McFaul, "Transitions from Postcommunism", *Journal of Democracy* 16 (July 2005): 5-19; გია ნოდია/ ალვარო პ. სქოლტბახი, *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი*, (თბილისი, 2006): 19-20.

[3] Michael McFaul, "Transitions from Postcommunism", *Journal of Democracy* 16 (ივლისი 2005), განსაკუთრებით გვერდები 7-15.

[4] Samuel Huntigton, *Political Order in Changing Societies* (New Haven, 1968).

[5] Max Weber, *Wirtschaft und Gesellschaft* (Zweitausendeins, 2005), 39.

[6] Francis Fukuyama, "Stateness First", *Journal of Democracy* 16 (იანვარი 2005), 87.

[7] ამის კარგი მაგალითია მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების თარიღების წანაცვლება მათი დამთხვევის მიზნით, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მმართველი პარტიისა და მისი ლიდერის დაშორიშორების შეუძლებლობა საქართველოში.

[8] იხ. მაგ., Brian Roger Hamnett, *A Concise History of Mexico* (Cambridge, 1999): 234-306. მიუხედავად სახელის ორგზის შეცვლისა, პარტია ინარჩუნებდა სა-

კუთარ იდენტობასა და მონოპოლიას 70 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა პოზიტიური ფუნქციისა, რომელიც ამ პარტიას ეკისრებოდა პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში, სახეზე იყო რიგი ნეგატიური მოვლენებისა, როგორებიცაა კორუფციის მაღალი დონე, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი და ხშირად არაპროდუქტიული გავლენა ეკონომიკაზე და დაძაბული ურთიერთობები სახელმწიფოსა და ბიზნეს-სექტორს შორის.

[9] მაგალითისათვის: ჰოლანდიამ მხოლოდ 2005 (!) წელს აღიარა ინდონეზიის დამოუკიდებლობის თარიღად 1945 წელი 1949 წლის ნაცვლად, გამოთქვა რა მწუხარება ამ ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარე ომში დაღუპულ ინდონეზიელთა შესახებ. სავარაუდოდ, გაჭირდება პოსტკოლონიალიზმის ისტორიის დაწერა რაციონალური არჩევანის თეორიის საფუძვლებზე.

[10] ქართული საზოგადოების ღირებულებები, თბილისი, 2006.

[11] Seymour Martin Lipset, "Some Social Requisites of Democracy: Economic Development and Political Legitimacy", *American Political Sciences Review* 53 (მარტი 1959).

[12] Ronald Inglehart, *Culture Shift in Advanced Industrial Society* (Princeton, 1989).

ლევან თარხნიშვილი

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჰქონდა როგორც წარმატებული, ისე წარუმატებელი პერიოდები. შესაბამისად, დღეს დამოუკიდებლობის 15 წლისთავზე შეიძლება ვისაუბროთ ორივეზე – წარმატებებზე და მარცხებზე. წარუმატებლობებზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა **მმართველობის სტაბილური ინსტიტუტები**. როდესაც ვლაპარაკობთ ინსტიტუტებზე, ვგულისხმობთ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და აგრეთვე ბიზნეს-სტრუქტურებს. ამ მხრივ, ანუ ინსტიტუტების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, საქართველოში სამივე სექტორში დაახლოებით ერთნაირი მდგომარეობაა – სტრუქტურები, მეტწილად, კონკრეტულ ადამიანზე არის მორგებული და, შესამაბისად, ამ ადამიანის წასვლის შემდეგ ახალი მმართველის პიროვნებასთან უწევს ადაპტირება. ეს, ერთი მხრივ, გარდამავალი პერიოდისთვის აუცილებელ მოქნილობისა და ლავირების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, პრობლემებს ქმნის გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგან არ ქმნის სტაბილური და მდგრადი განვითარების ინსტიტუციურ ჩარჩოებს და წინაპირობებს. როგორც ვთქვით, ასეთი მდგომარეობა ნორმალურია გარდაქმნის პირველ პერიოდში, მაგრამ ნამდვილად ვერ ჩაითვლება ნორმის მაჩვენებლად რამდენიმე წლის შემდეგ. აქ მივადექით საქართველოს სახელმწიფოებრიობის მეორე მთავარ პრობლემას – საქართველოში დღემდე არც ერთხელ არ მომხდარა მმართველის არჩევნების გზით ჩანაცვლება. ანუ შეიძლება ითქვას, რომ ადგილი არ აქვს **მმართველების თანმიმდევრულ ადგილმონაცვლეობას**, როდესაც ყოველი შემდეგი ლიდერი თუ პარტია თავის საქმიანობას წინამორბედის აშენებულზე აგრძელებს. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ანალიზისას ექსპერტების ნაწილი აღნიშნავდა ლიდერების ცვლილებაში ერთგვარ ქანქარას პრინციპს – მემარჯვენე

ლიდერს (პარტიას) მემარცხენე, ხშირ შემთხვევაში ყოფილი კომუნისტური პარტიის წევრი ან მიმდევარი, ცვლიდა. ეს ცვლილებები რეფორმების მიმართ გარკვეულ ცვალებადობას იწვევდა, მაგრამ მთლიანად რეფორმის მაკრო-მიმართულებას, ისე როგორც ქვეყნის განვითარების მთლიან ვექტორს იმავეს ტოვებდა. სამწუხაროდ, საქართველოს შემთხვევაში ამ ფენომენს ადგილი არ ჰქონია. საქართველოში ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება რევოლუციური ხასიათის იყო და ძალთა გადანაწილებაში რადიკალურ ცვლილებებს იწვევდა. ჩემი ღრმა რწმენით, თითოეული მმართველობის ფორმა წინამორბედს სჯობდა, მაგრამ ეს ხელს არ უწყობდა მოქალაქის მიერ საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, და ამ სახელმწიფოს შექმნის პროცესის მონაწილედ საკუთარი თავის აღქმას.

დაბოლოს, რას ვერ მიაღწია საქართველომ: **ჩვენმა საზოგადოებამ ვერ შეძლო თავისი თავის ერთ მთლიანობად აღქმა**. დღემდე ვერ მოხერხდა სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური ჯგუფის კონსოლიდაცია/ინტეგრაცია და ერთიან საზოგადოებად ჩამოყალიბება. საქართველოში მცხოვრები სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი თავს ვერ აღიქვამს საქართველოს მოქალაქედ. უფრო მეტიც, დომინანტური ერი, ანუ ქართველებიც, მუდმივად იყოფა ჩვენიანებად და სხვებად – წყალგამყოფი შეიძლება გადიოდეს რელიგიურ მიკუთვნებულობაზე, პოლიტიკურ შეხედულებებზე, კუთხურ წარმოშობაზე, შემოსავლების ოდენობაზე ან სხვა რაიმე ფორმალურ ნიშანზე, მაგრამ ამით დაქსაქსულობის ხარისხი არ მცირდება. ჩემი აზრით, ეს ფენომენი უფრო მეტ თავსატეხს უჩენს საქართველოს, ვიდრე მეოთხე ყველაზე დიდი წარუმატებლობა – **საქართველოს ტერიტორიების დაკარგვა**. მოვლენების განვითარების ყველაზე არარსასურველი, ცუდი სცენარის – დაკარგული ტერიტორიების ვერდაბრუნების – შემთხვევაშიც კი არსებობს დარჩენილი ქვეყნის განვითარებისა და დასავლური ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერსპექტივა; მაგრამ ძირითად ფასეულობათა ერთიანი სისტემის მქონე საზოგადოებისა და საქართველოს მოქალაქის ინსტიტუტის ჩამოყალიბების გარეშე სახელმწიფოს განვითარება შეუძლებლად მეჩვენება.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მთავარ მიღწევებად შეიძლება მივიჩნიოთ:

ა) **საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება და დამოუკიდებელი სახელმწიფო პოლიტიკის არსებობა**. 15 წლის განმავლობაში

საქართველო არაერთხელ იდგა დამოუკიდებლობის ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგვის საფრთხის წინაშე. მიუხედავად ამისა, დღეისათვის ქვეყანამ მოახერხა, რომ რომელიმე ქვეყნის ნაწილი ან, რაც უფრო რეალური იყო, სატელიტი და დანამატი არ გამხდარიყო. პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარების ანალიზისას უხვად შეგვიძლია მოვიძიოთ შემთხვევები, როდესაც ქვეყნის დამოუკიდებლობისგან, რეალურად, მხოლოდ მთავრობის არსებობა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა არის დარჩენილი.

ბ) მეორე, რაზეც აუცილებელად ღირს ყურადღების გამახვილება, **ეს ქვეყნის განვითარებაში საზოგადოების ჩართულობა და ამ პროცესებში მისი როლის გაზრდაა**. რა თქმა უნდა, საზოგადოების ჩართულობის კოეფიციენტი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, რომ აღარაფერი ვთქვათ, დასავლური სახელმწიფოების შესაბამის მაჩვენებლებს. მაგრამ, თუ ლაპარაკია პოსტსაბჭოთა სივრცეზე, აქ საქართველოს რეალურად შეუძლია იამაყოს თავისი წარმატებებით დამოუკიდებელი მედიის, არასამთავრობო სექტორისა და ბიზნესსექტორის განვითარების საქმეში. მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, საკმაოდ მაღალია საზოგადოების ჩართულობა ადგილობრივი და კომუნალური დონის პრობლემების გადაწყვეტაში. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1991-94 წლებმა, როდესაც თითქმის გაქრა სახელმწიფო და სახელმწიფო ინსტიტუტები. საბჭოთა კავშირში აღზრდილმა თაობამ პირველად იგრძნო, რომ მის მაგივრად სახელმწიფო აღარც ფიქრობს და აღარც მისი (საზოგადოების მთლიანად და ცალკეული ინდივიდების) პრობლემების გადაწყვეტა შეუძლია. შედეგად, ხალხმა საკუთარ მომავალზე ზრუნვა თავის ხელში აიღო. ხშირ შემთხვევაში ამას სპონტანური, ზოგჯერ კი ველური ფორმა ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ამან ხელი შეუწყო არასახელმწიფო ინიციატივების ჩამოყალიბებას. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში სახელმწიფომ თავის გაძლიერებასთან ერთად შეძლო ფუნქციებისა და გავლენის სფეროების ნაწილის დაბრუნება, მაგრამ მდგომარეობის კარდინალურად შეცვლა ვეღარ მოახერხა.

გ) მესამე დიდი მიღწევა **ჩამოყალიბებული და განვითარებული საერთაშორისო ურთიერთობებია**. შევარდნაძემ თავისი მმართველობის

პირველ ეტაპზე პიროვნული კავშირების გამოყენებით საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოაქცია. ქვეყანა გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, გარკვეულწილად, მისით დაინტერესდნენ როგორც ცალკეული ინვესტორები, ისე სამეცნიერო წრეები. 1998 წლიდან ეს ინტერესი მინელდა და საქართველოზე ალაპარაკდნენ როგორც არშემდგარ სახელმწიფოზე. 2003 წლის ვარდების რევოლუციამ კიდევ ერთხელ მოაქცია საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. კვლავ გაიზარდა ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ. მეორე მხრივ, საქართველოს კვლავ გაუჩნდა ერთიანი საგარეო პოლიტიკა და განვითარების ვექტორი. ახალმა მთავრობამ ცალსახად დააფიქსირა პროდასავლური პოლიტიკის პრიორიტეტულობა და უახლოესი წლების ამოცანად ნატო-სა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაცია გამოაცხადა. უნდა ითქვას, რომ პირველად მოხერხდა საქართველოს საგარეო ურთიერთოებების ინსტიტუციურ ფარგლებში მოქცევა და მისთვის სისტემური ხასიათის მიცემა. სწორედ ამის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ საქართველომ პირველად შეძლო საინფორმაციო ომში რუსეთის დამარცხება. ახლა მთავარია, საბოლოოდ დასრულდეს საგარეო პოლიტიკის ერთიანი სახით ჩამოყალიბებისა და მისი ინსტიტუციონალიზაციის პროცესი.

დამოუკიდებლობის პერიოდის მთლიანობითი შეფასებიდან გადავიდეთ ცალკეული მმართველობების შეფასებაზე. 1990 წლის შემდეგ საქართველოს სამი ლიდერი ხელმძღვანელობდა: ზვიად გამსახურდია (1990-92), ედუარდ შევარდნაძე (1992-2003) და მიხეილ სააკაშვილი (2003-იდან დღემდე).

ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდი

ზვიად გამსახურდია მმართველობაში მოვიდა ეროვნული მოძრაობის ტალღაზე, 80-იანი წლების ბოლოს განვითარებული მოვლენების შედეგად. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მასში ხედავდა ლიდერს, რომელიც შეძლებდა საზოგადოების მთავარი მოთხოვნების დაკმაყოფილებას – დამოუკიდებლობის მოპოვებას და კომუნისტური რეჟიმის შეცვლას. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გამსახურდიას პიროვნებას უკავშირებდა რეალური ცვლილებების მოლოდინს. გამსახურდიას თითქმის ყველა წინაპირობა ჰქონდა საიმისოდ, რომ ქვეყანაში რეფორმები განეხორცი-

ელებინა. მოსახლეობის მხრიდან მისი ნდობის ხარისხი და, შესაბამისად, ნდობის ვოტუმიც, მაღალი იყო. საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველო ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან რესპუბლიკად ითვლებოდა. მოსახლეობას დაგროვილი ჰქონდა მატერიალური დოვლათი და მზად იყო გაეძლო რეფორმების მძიმე დასაწყისისთვის, როგორც მორალურად, ისე მატერიალურად.

საქართველოს შემდგომმა ისტორიამ დაადასტურა ამ დაშვებათა სიმართლე. გამსახურდიას რეიტინგი 1990 წლიდან 1992 წლამდე შემცირდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად მაღალი რჩებოდა. თეორიულად დავუშვათ, რომ ზვიად გამსახურდია დათანხმებულიყო ოპოზიციის პირველად მოთხოვნას და ჩაეტარებინა რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. ვერავინ იტყვის სრული დარწმუნებით, რომ იგი ამ არჩევნებში დამარცხდებოდა. უფრო მეტიც, თუ გავაანალიზებთ წლების განმავლობაში შეურიგებელ ოპოზიციაში მდგომ ადამიანთა რიცხვს, რომელიც ყველა არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდა, სამართლიანი არჩევნების შემთხვევაში გამორიცხული სულაც არ იყო სტატუსკვოს ანუ გამსახურდიას რეჟიმის შენარჩუნება.

საქართველოს ეკონომიკის გაჩერებისა და ხალხის ტოტალური გაღარიბების პერიოდში სწორედ საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილმა დოვლათმა გადაატანინა მოსახლეობას ეს მძიმე პერიოდი. ასე რომ, ჩვენ მიერ აღნიშნული ორივე დაშვების სისწორე ისტორიამ დაადასტურა. სამწუხაროდ, ორივე ეს რესურსი ფუჭად დაიკარგა და დღეს დამოუკიდებლობის 15 წლისთავზე ბევრად უფრო მცირე რესურსების პირობებში გვიხდება იმ რეფორმების გაკეთება და იმისთვის ბრძოლა, რაც გამსახურდიას პერიოდში და შემდგომ წლებში უნდა გაკეთებულიყო. რუსეთთან ურთიერთობა ამის ერთ-ერთი მაგალითია. დღეს საქართველო-რუსეთს შორის მიმდინარე მოვლენები მნიშვნელოვნად იმეორებს იმას, რაც ხდებოდა რუსეთსა და ბალტიის ქვეყნებს შორის 90-იანი წლების დასაწყისში.

სწორედ, გაფლანგული დროისა და ვერგამოყენებული შესაძლებლობების გამო შეიძლება უარყოფითად შეფასდეს გამსახურდიას მმართველობა. გამსახურდიას პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბება რთულია მისი არარსებობის გამო. გამსახურდიას არ გააჩნდა მწყობრი პროგრამა, ძნელია ჩამოაყალიბო მისი ფასეულობათა სისტემა და ამ სისტემიდან გამომდინარე მის მოქმედებაში გარკვეული ლოგიკა დაინახო. გამსახურდიას მმართველობის მთელი პერიოდი ხასიათდებო-

და ურთიერთსაწინააღმდეგო ნაბიჯების მთელი კასკადით, როდესაც შემდეგი მოქმედება სრულად გამორიცხავდა ან ეწინააღმდეგობოდა წინას. ამ მხრივ, კარგ მაგალითს პრივატიზაციის არჩატარება და ეკონომიკური რეფორმების გაჩერება წარმოადგენს. გამსახურდიას გუნდი განსხვავებული აზრების და, ნაწილობრივ, განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა ნაკრები იყო, რომელსაც ძნელად თუ უწოდებდი გუნდს.

გამსახურდიას მმართველობის პერიოდის ყველაზე დიდ მიღწევად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ რეალურად დამოუკიდებლობა მოვიდა არ იმ მხრიდან, საიდანაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მოელოდა; დამოუკიდებლობის მოპოვება, რეალურად, საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა. საქართველოსთან ერთად დამოუკიდებლობა მოიპოვეს იმ ქვეყნებმაც, რომლებიც სულაც არ ესწრაფვოდნენ ამას (მაგ. შუა აზიის ქვეყნები). სამწუხაროდ, გამსახურდიამ ვერ მოახერხა 1991 წელს მის მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის ლეგალიზაცია და საერთაშორისო აღიარების მოპოვება. ცოტა უხეში შედარება რომ გავაკეთოთ, საქართველოს დამოუკიდებლობის მაშინდელი რეალური დონე არ აღემატებოდა დღეს ოსეთისა და აფხაზეთის მიერ თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობის დონეს. ორივე შემთხვევაში გამოცხადებულ დამოუკიდებლობას, ასევე არაღიარებული ქვეყნების გარდა, ფაქტობრივ, არავინ ცნობს (1991 წლის საქართველოს შემთხვევაში გამონაკლისი მხოლოდ რუმინეთი იყო); ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებსაც ასევე არავინ სცნობს. ამავე დროს, ცენტრის (პირველ შემთხვევაში მოსკოვის, ხოლო მეორე შემთხვევაში თბილისის) გავლენა ამ რეგიონების ცხოვრებაზე მინიმალურია.

გამსახურდიას რეჟიმის ძირითად წარუმატებლობად სწორედ აღიარების ვერმოპოვება და საზოგადოების ფრაგმენტაციის დასაწყისი უნდა მივიჩნიოთ. შეიძლება ითქვას, სტატიის დასაწყისში განხილული ოთხი ძირითადი წარუმატებლობის წინაპირობები სწორედ გამსახურდიას პერიოდიდან მოდის.

ამავე დროს, გამსახურდიას პერიოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლეც შეინიშნებოდა: ა) ჩატარდა არჩევნები და პირველად თანამედროვე საქართველოში ადგილი ჰქონდა წინასაარჩევნო კამპანიას, პოლიტიკურ განცხადებებსა და დებატებს; ბ) იყო პირველი მცდელობა იმისა,

რომ პოლიტიკური დებატები საკანონმდებლო ორგანოში გადასულიყო და მეტ-ნაკლებად თანამედროვე სახე მიეღო. ამავე პერიოდში დაიწყო საპარლამენტო ცხოვრება თავისი ყველა ნიშნით; გ) ჩატარდა პირველი ადგილობრივი არჩევნები.

გამსახურდიას მმართველობის პერიოდის უეცარი დასასრულის მიზეზები, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი მარცხებია: ა) საერთაშორისო აღიარების ვერმოპოვება. არამარტო მის მიერ გამოცხადებულმა დამოუკიდებლობამ, არამედ მთლიანად მისმა პოლიტიკამ და გუნდმა ვერ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება და მხარდაჭერა. გამსახურდიამ ვერ გამონახა საერთო ენა ვერც დასავლეთთან და ვერც რუსეთთან; ბ) საქართველოს მთავრობის მხრიდან ჩამოყალიბებული, ერთიანი ხედვის არქონა. როგორც აღვნიშნეთ, გამსახურდიას მთელი პერიოდის დახასიათება ერთი ფრაზით შეიძლება: *ურთიერთგამომრიცხავი ნაბიჯების ერთობლიობა*. ამის გამო ვერ მოხერხდა არა თუ მთლიანად ქვეყნის მმართველობისა და სისტემის რეფორმირება, არამედ ვერც ერთ სფეროში ვერ გატარდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. მაგალითად, იმავე ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შემდეგ შემოიღეს პრეფექტების დანიშვნითი ინსტიტუტი, რომელთა ხელშიც აღმოჩნდა, ფაქტობრივ, მთელი ძალაუფლება. ამ ორ პრობლემას უნდა დავამატოთ კვალიფიციური კადრების სიმცირე, საკადრო შეცდომები, საზოგადოების „*ჩვენ მომხრეებად*“ და „*სხვებად*“ დაყოფა და მათ შორის ურთიერთგაუგებრობის ხაზის გავლება, საკუთარ გუნდში აშლილობა. ყოველივე ამან გამოიწვია გამსახურდიას რეჟიმის დასასრული 1991-92 წლის საშობაო გადატრიალების/სახალხო აჯანყების გზით.

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდი

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდი შესაძლებელია რამდენიმე ძირითად ქვეპერიოდად დავყოთ: ა) ჩამოყალიბება (1992-96), ბ) აღმავლობა (1997-99) და გ)სტაგნაცია (1999-2003). პირველი პერიოდის განმავლობაში ედუარდ შევარდნაძე იძულებული იყო, თავისი ძალაუფლება გაენაწილებინა საქართველოს სახელმწიფოს სხვა ლიდერებისთვის. საწყის ეტაპზე ეს იყო სამხედრო საბჭო (კიტოვანი, სიგუა, იოსელიანი), შემდგომში, ერთი მხრივ, მხედრიონი და მისი ლიდერი ჯაბა იოსელიანი, ხოლო, მეორე მხრივ, პრორუსული ძალები და მათი სახე იგორ გიორგაძე. ამ პერიოდში შევარდნაძის მიერ მიღებუ-

ლი გადაწყვეტილების ანალიზისას ამ პიროვნებათა ფაქტორიც არ უნდა დაგვავიწყდეს. ჩამოყალიბების პერიოდის ძირითადი მიღწევა, უდავოდ, ქვეყანაში დამყარებული გარკვეული სტაბილურობა იყო. ამის მიღწევა შევარდნაძემ ოპონენტების შევიწროებით შეძლო. საწყის ეტაპზე რუსეთის დახმარებით განადგურდა გამსახურდიას მომხრეების საომარი ფორმირებები და მათი გავლენა პოლიტიკურ მოვლენებზე მინიმუმამდე დავიდა. შემდგომ იოსელიანზე დაყრდნობით შევიწროებულ იქნენ სიგუა და კიტოვანი, მოგვიანებით კი ასეთივე ბედი თავად იოსელიანს და მის მხედრიონს ეწია. ამით დამთავრდა ქვეყანაში არალეგიტიმური, სამხედრო შენაერთების თარეში. ეს, რაღა თქმა უნდა, შევარდნაძის პერიოდის მეორე დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. შემდგომში პარამილიტარული ფორმირებები პოლიტიკურ და ბიზნეს-ფრონტზე მთლიანად ჩაანაცვლა კახა თარგამაძემ და მისმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. შევარდნაძემ ნელ-ნელა დაიწყო თავისთვის ნაცნობი სქემის ჩამოყალიბება. სქემა აგებული იყო ძლიერ და კორუმპირებულ შსს-ზე, ქვეყანაში სხვადასხვა მცირე დაჯგუფების არსებობაზე, კორუფციაში მეტ-ნაკლებად ყველას ჩართვაზე და ამ გზით მათზე გავლენის მოპოვებაზე. ამავე პერიოდს უკავშირდება მმართველი პარტიის – მოქალაქეთა კავშირის ჩამოყალიბების დასაწყისიც, რომელსაც შევარდნაძისათვის პოლიტიკური დასაყრდენი უნდა შეექმნა. პირველი პერიოდის ძირითად უარყოფით მაჩვენებლად აფხაზეთში დაწყებული საომარი მოქმედებები და შემდგომში ამ რეგიონის დაკარგვა და დსთ-ში შესვლა უნდა მივიჩნიოთ. ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდში მომძლავრდა აჭარაში ასლან აბაშიძის მმართველობა. მიღწევებს უნდა მივათვალოთ აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო აღიარება და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამის წამოწყება.

ჩამოყალიბების პერიოდს მოჰყვა აღმავლობა, რომლის დროსაც დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიაში პირველად იწყო ზრდა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა. 1996 წელს ინფლაცია თვეში 2-3%-ამდე შემცირდა; წინა წელთან შედარებით ქვეყნის შიდა პროდუქტი გაიზარდა 14%-ით. ამავე პერიოდში, ფაქტობრივ, დასრულდა მცირე პრივატიზაცია. ქვეყანაში დაიწყო არასამთავრობო სექტორისა და დამოუკიდებელი მედიის ნამდვილი ბუმი. საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს მთავარ მიღწევად სწორედ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სწრაფ ტემპებს მიიჩნევდა. საქართველო ჩაება მნიშვნე-

ლოვან საერთაშორისო პროექტებში (ტრასეკა, ბაქო-ჯეიხანი ა.შ.), რომლებსაც, ექსპერტების აზრით, შეეძლოთ სტაბილურობისა და განვითარებისთვის ნოყიერი ნიადაგის მომზადება. საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ იმ პერიოდში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. პირველად საქართველოს ისტორიაში ადგილი ჰქონდა რამდენიმე მსხვილ უცხოურ ინვესტიციას. საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში გამოჩნდნენ ახალი სახეები, რომლებსაც ქვეყნის განვითარების დასავლური ვექტორის ჩამოყალიბება და მისი სტაბილურობის უზრუნველყოფა შეეძლოთ.

მაგრამ ამ მიღწევების პარალელურად, ქვეყნის წინაშე იდგა უმძიმესი პრობლემები, რომლებიც შევარდნაძის მმართველობის მთელ პერიოდს წითელ ხაზად გასდევდა: ა) ყველა დონეზე კორუფციის არსებობა; ბ) შსს-ს, ფაქტობრივ, მაფიოზურ და დამსჯელ ორგანოდ ჩამოყალიბება; გ) ქვეყნისა და საზოგადოების ფრაგმენტაცია, რომლის ყველაზე ნათელი და აშკარა გამოვლინება ასლან აბაშიძე და აჭარაში მისი მმართველობა იყო; დ) არათანმიმდევრული საგარეო პოლიტიკა. პროდასავლურ მოქმედებებს რუსეთის მიმართ უაზრო დათმობები და რევერანსები ცვლიდა.

თუ 1996-99 წლებში შეგვიძლია ვილაპარაკოთ დადებითი და უარყოფითი ფაქტორებისა და შედეგების მეტ-ნაკლებ ბალანსზე, შემდგომი წლები უკვე ცალსახად უარყოფითად შეიძლება შევაფასოთ. უარყოფითი ცვლილებების პირველი, ნათელი სიგნალი 2000 წლის ტოტალურად გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნები იყო. არჩევნებმა ნათლად აჩვენა, რომ მოსახლეობა შევარდნაძის შესაძლებლობებს ამოწურულად მიიჩნევდა – შევარდნაძის ალტერნატივის არარსებობის გამო მოსახლეობა, უბრალოდ, არ წავიდა არჩევნებზე. არჩევნების მონაწილეთა სავალდებულო კვოტის შეუსრულებლობამ შევარდნაძე და მისი მომხრეები დილემის წინაშე დააყენა: ან უნდა ეღიარებინათ არჩევნების ჩაშლა და შესაბამისი დასკვნების გამოტანის შემდეგ ახალი არჩევნები დაენიშნათ ან „ჩაყრით“ უზრუნველეყოთ კვოტის შესრულება. მათ მეორე გზა აირჩიეს. თანდათან გამოჩნდა, რომ შევარდნაძის მმართველობას აღარ გააჩნია დადებითი მუხტი. აღმავლობის პერიოდში მომხდარი პოზიტიური ცვლილებები მინიმუმამდე დავიდა: ა) მთავრობიდან და შევარდნაძის გუნდიდან გაქრა ახალი სახეები, მათი ადგილი რეტროგრადებმა დაიკავეს; ბ) გახშირდა შეტევები არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე; გ) ეკონომიკური ზრდა შეჩერდა. ნათელი გახდა, რომ საერ-

თაშორისო ენერგეტიკულ პროექტებს სასურველი ეკონომიკური ფონის შექმნა შეუძლიათ, მაგრამ ქვეყნის შიგნით ბიზნესის განვითარების გარეშე ვერ უზრუნველყოფენ საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობას. ბიზნესი კი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მცირე და საშუალო ბიზნესი ვეღარ უძლებდა მაკონტროლებელი ორგანოების ზეწოლას: ან ქრებოდა, ანდაც ორი მესამედით არალეგალურ მდგომარეობაში გადადიოდა. სხვადასხვა შეფასებით, ჩრდილოვანი ეკონომიკა ქვეყნის ეკონომიკის 50-60%-ს შეადგენდა; დ) ქვეყნის საგარეო ვექტორი სულ უფრო იხრებოდა რუსეთისკენ.

დადებითი ფაქტორების განეიტრალებასთან ერთად წინა პლანზე უარყოფითი ფაქტორები გადმოვიდა: ა) შსს-მ, ფაქტობრივ, დანაშაულთან ბრძოლის ნაცვლად, დანაშაულის ჩადენისა და ხელშეწყობის ექსკლუზიური ფუნქცია აიღო; ბ) აჭარა, სინამდვილეში, საქართველოს მმართველობიდან გამოვიდა; გ) კორუფცია საქართველოს სავიზიტო ბარათად იქცა. საერთაშორისო საზოგადოება უკვე ალაპარაკდა საქართველოზე, როგორც არშემდგარ სახელმწიფოზე. მოსახლეობის მხრიდან მთავრობის, სამთავრობო ინსტიტუტების და პიროვნებების მიმართ ნდობა მინიმუმამდე დავიდა. სწორედ ამ პირობებში ჩატარდა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომლებმაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი შევარდნაძის მმართველობას. ვარდების რევოლუციის საბაზო წინაპირობად ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები და ხალხის დამოკიდებულება უნდა მივიჩნიოთ. აქვე აღსანიშნავია, რომ მოსახლეობამ პირველად დაინახა რეალური ალტერნატივა მიხეილ სააკაშვილის და მისი გუნდის სახით. ამან არასამათვარობო სექტორისა და მედიის კონსოლიდაციასა და ორგანიზაბულ მუშაობასთან ერთად მოიტანა ის, რომ მოსახლეობამ პოპულარობადაკარგულ მთავრობას აღარ აპატია კიდევ ერთი გაყალბებული არჩევნები, ხოლო საერთაშორისო საზოგადოებამ, არათუ მხარი არ დაუჭირა შევარდნაძის მმართველობას, არამედ, შეიძლება ითქვას, ბოლო ლურსმანი ჩააჭედა ამ სისტემის კუბოს სახურავში.

მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდი

მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი მმართველობაში უდიდესი ნდობის ვოტუმით მოვიდნენ. ამით სააკაშვილი ნამდვილად ჰგავს საქართველოს პირველ პრეზიდენტს. მაგრამ, გამსახურდიას მთავრობისგან განსხვავებით, სააკაშვილი თავის პოპულარობასა და მოსახლეობის მიერ

გამოცხადებულ ნდობას რეფორმების სწრაფი ტემპით ჩატარებისა და მათი შეუქცევადობის უზრუნველსაყოფად იყენებს. დღევანდელმა ხელისუფლებამ პოლიტიკურ ცხოვრებაში რამდენიმე სიახლე შეიტანა, რომელთაგან გუნდური თამაში, რეფორმების ერთიანი ხედვა და პროცესის საჯაროობა უნდა აღინიშნოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამსახურდიასა და შევარდნაძის დროს არ ჩამოყალიბებულა ერთიანი ხედვა იმისა, თუ რისთვის იღწვის ქვეყნის მმართველი ელიტა. გარდა ამისა, თავად მმართველი ჯგუფი უაღრესად დაქსაქსული და არაერთგვაროვანი იყო. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ გადაიდგა პირველი ნაბიჯები ამ პრობლემების აღმოფხვრის გზაზე. ქვეყნის ლიდერთა განცხადებებში აღარ შეინიშნება აზრთა შეუთავსებლობის ის ხარისხი, რაც წინა მმართველობის დროს იგრძნობოდა. მმართველ პარტიაში ჩამოყალიბებულია გუნდი, რომელსაც მეტ-ნაკლებად ფასეულობათა ერთიანი საბაზისო პრინციპები და ქვეყნის განვითარების ერთნაირი ხედვა აქვს. ამავე დროს, მთელ რიგ სექტორებში მიმდინარეობს გაზრებული, ჩამოყალიბებული და ინსტიტუციურად სტრუქტურირებული რეფორმები. რაც მთავარია, სხვადასხვა სექტორში მიმდინარე ეს რეფორმები ერთ ძირითად ვექტორს იმეორებს და ერთ ძირითად მიზანს ემსახურება. ამავე დროს, დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს მაქსიმალურად გამჭვირვალე გახადოს, როგორც გადაწყვეტილების მიღების, ისე იმპლიმენტაციის პროცესი. ალბათ, არც ერთ წინა მმართველ ელიტას არ გაუმართავს იმდენი პრეს-კონფერენცია, ბრიფინგი, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან შეხვედრა, რამდენიც დღევანდელ მმართველ ჯგუფს. ისიც სათქმელია, რომ მინიმუმამდეა დასული ე.წ. „შეხვედრები შეხვედრებისთვის“, ანუ ის შეხვედრები, რომელთაც რეალური დატვირთვა არ გააჩნიათ და მხოლოდ ვინმეს საამებლად ან პროტოკოლისთვის ტარდება. ასეთი შეხვედრები ძალზედ პოპულარული იყო შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, მაგრამ არც ერთ მათგანს რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

ახლებური მიდგომის დადებით შედეგებად უნდა მივიჩნიოთ შემდეგ სექტორებში მიმდინარე რეფორმები:

ა) განათლების რეფორმა. განათლების სისტემაში დაიწყო ფუნდამენტური რეფორმა, რომელიც მოიცავს მის ყველა რგოლს. სასკოლო რეფორმა თვისებრივად ცვლის სკოლას, როგორც ინსტიტუტს. სკოლების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბებით და მათთვის საბიუჯეტო ინსტრუმენტის გადაცემით

იზრდება ამ ინსტიტუტების ორგანიზაციული დამოუკიდებლობა, მოქნილობა და ამავე დროს პასუხისმგებლობა. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების კუთხითაც სკოლები მეტ დამოუკიდებლობას იძენენ. სამეურვეო საბჭოების შექმნით მინიმუმამდე უნდა დავიდეს ის გაუცხოება, რომელიც არსებობდა პედაგოგს, მშობელსა და მოსწავლეებს შორის. ვეღარ ექნება ადგილი ურთიერთგადაბრალებას და თვითიზოლაციას, რაც აქამდე სკოლების ყოველდღიურობას შეადგენდა. იცვლება დირექტორის და მისი ადმინისტრაციის ფუნქციაც. ეს იქნება წმინდა მმართველობითი რგოლი, რომელიც განთავისუფლდება იდეოლოგიური თუ სხვა სახის დატვირთვებისგან. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ჩამოყალიბდება იმ ინსტიტუტად, სადაც მოხდება მიკრო დონეზე თვითმმართველობისა და მმართველობის უნარების განვითარება, ანუ იმ ორი მაჩვენებლისა, რომელიც ასე აკლია დღევანდელ ქართულ საზოგადოებას.

ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა დაანგრია მისაღები გამოცდების კორუფციული და მანკიერი სისტემა. ამ სისტემის დამარცხებას სამი წლის წინ ვერავინ ივარაუდებდა. მნიშვნელოვანია, რომ ამ ტიპის გამოცდების გზით უმაღლესში მოხვედრილ ახალგაზრდას, უმაღლეს სასწავლებელშიც ახლებული გარემო და მიდგომები დახვდეს. ამ მხრივ, საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, თუმცა კანონმა უკვე მოხაზა ის საკანონმდებლო და ორგანიზაციული ჩარჩოები, რომლებიც ამ პროცესს ხელს შეუწყობს. ის, რაც ზემოთ სკოლებზე ვთქვით, შეიძლება ითქვას უმაღლეს სასწავლებლებზეც. პირველად საქართველოს ისტორიაში გვეძლევა საშუალება, ევროპულ პროცესებში თავიდანვე ჩავერთოთ და არ მოვახდინოთ ჩვენი ინტეგრაცია უკვე ჩამოყალიბებულ სტრუქტურებში. საუბარია საქართველოს ჩართვაზე ბოლონიის პროცესში და იმ დადებით მხარეებზე, რასაც ეს მოუტანს ქართველ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

მეცნიერების განვითარების ფონდის შექმნითა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებერებიდან გამოსვლით დამთავრდა საქართველოს მეცნიერების სექტორის გარდაქმნის პირველი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი. პარალელურად დაიწყო პროფესიული განათლების რეფორმის პროცესი. ამით შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბდა თანამედროვე საქართველოს განათლების სის-

ტემის ის ჩარჩოები, რომელიც დაფუძნებულია პროფესიონალიზმზე, საჯაროობაზე, საბაზრო მოთხოვნაზე, დასავლურ ფასეულობებზე და უწყვეტი განათლების პრინციპებზე. სწორედ განათლების ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი.

ბ) პოლიციის რეფორმა. განათლების სექტორთან ერთად პოლიცია წლების განმავლობაში ყველაზე კორუპურებული სისტემა იყო საქართველოში. შევარდნაძის მმართველობის პერიოდის ბოლო წლებში მან ძალადობისა და დანაშაულის, ფაქტობრივ, სრული მონოპოლიზაცია მოახდინა. არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დანაშაული არ სრულდებოდა შსს-ს მაღალი ჩინოვნიკების უშუალო მონაწილეობის თუ მდუმარე თანხმობის გარეშე. ქვედა დონეზე გამეფებული იყო წვრილი, ყოველდღიური მექრთამეობა და გამოძალვა. განხორციელებულმა რეფორმამ სერიოზულად შეარყია ეს სისტემა. მოსახლეობისთვის ყველაზე თვალნათელი ამ რეფორმის ის ნაწილია, რომელიც უშუალოდ მას ეხება ანუ საპატრულო პოლიცია. დღეს უკვე ზედმეტია იმაზე დავა, რომ ამ ექსპერიმენტმა გაამართლა და შეუქცევადი ხასიათი მიიღო. საზოგადოებისთვის ნაკლებად საგრძნობია, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა შსს-ს სხვა განაყოფებშიც.

გ) სამხედრო რეფორმა. წლების განმავლობაში ქართული ჯარი ჰგავდა ძირგავარდნილ კასრს, რომელშიც საბიუჯეტო თანხები თუ უცხოური დახმარებები იკარგებოდა. მიუხედავად წლების განმავლობაში გაწეული დანახარჯებისა, ჯარისკაცი კვლავ მშიერი და ჩაუცმელი რჩებოდა, ყაზარმები და შეიარაღება გაუმართავი იყო, ოფიცრები წლების განმავლობაში ხელფასს არ იღებდნენ. ამას თან ერთოდა უდისციპლინობა და განუკითხაობა. პროფესიონალიზმის მაღალი დონით ვერც ერთი რანგის ხელმძღვანელობა ვერ გამოირჩეოდა. ბოლო წლებში განხორციელებულმა რეფორმამ ან შეამცირა ან მინიმუმამდე დაიყვანა ეს პრობლემები. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჯარი ბრძოლისუნარიან წარმონაქმნს წარმოადგენს. დიდი ნაბიჯები გადაიდგა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მიმართულებითაც, რისი ნათელი მაგალითიცაა ინტენსიურ დიალოგზე გადასვლის ფაქტი და ნატო-ს ხელმძღვანელობის ბოლო პერიოდში გაკეთებული განცხადებები.

დ) საერთაშორისო ურთიერთობები. პირველად გახდა შესაძლებელი საუბარი საქართველოს ერთიან საგარეო კურსზე. ჩვენმა ქვეყანამ ნათლად ჩამოაყალიბა პროდასავლური ვექტორი და მიზანმიმართულად მისდევს მას. სწორედ ამის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ საქართველომ პირველად მოახერხა საინფორმაციო ომში რუსეთის დამარცხება. ახლა მთავარია, საბოლოოდ დასრულდეს საგარეო პოლიტიკის ერთიანი სახით ჩამოყალიბებისა და მისი ინსტიტუციონალიზაციის პროცესი, შემუშავდეს საგარეო დახმარებათა გამოყენების პრიორიტეტები. პირველად საქართველოს ისტორიაში, მთელ რიგ შემთხვევაში მთავრობამ უარი თქვა უცხოურ დახმარებაზე, რადგან ის არ შეესაბამებოდა ზემოაღნიშნულ პრიორიტეტებს.

ე) ინფრასტრუქტურა. პირველად 80-იანი წლების დასაწყისის შემდეგ საქართველოს მთავრობამ დაიწყო ზრუნვა ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი ეხება ყველა სფეროს – სატრანსპორტოს, განათლების, ტურისტულს, კომუნალურს, ფინანსურს და ა.შ.

მიღწევებთან ერთად პრობლემებსაც უნდა შევეხოთ. ზემოთ ნახსენები გუნდური პრინციპის მიუხედავად, ყველა სფეროში ერთიანი, მაღალი ტემპით ვერ ხორციელდება რეფორმები. უფრო მეტიც, ზოგიერთ სფეროში (მაგ. ჯანდაცვა) ეს პროცესი, პრაქტიკულად, არც დაწყებულა. გასაგებია, რომ შეუძლებელია ყველაფრის ერთდროულად კეთება, მაგრამ არის სფეროები, რომელთა განვითარების გარეშე შეუძლებელი იქნება ქვეყნის წინსვლა. სწორედ ასეთ სფეროებს მიეკუთვნება სასამართლო სისტემის რეფორმა. ჩატარებული ცვლილებების მიუხედავად, ვერ მოხერხდა ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლოს ჩამოყალიბება. ეს კი მნიშვნელოვნად აფერხებს სხვა სფეროების წინსვლას და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

ოპოზიცია და სახელმწიფო

ექსპერტების აზრით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ძლიერი და კონკურენტუნარიანი ოპოზიციის არარსებობა წარმოადგენს. დღევანდელი მდგომარეობის მიზეზები სამ ჯგუფად შეიძლება დავაჯგუფოთ: ა) „ისტორიული“ მიზეზი – საქართველოში არასოდეს უარსებია ძლიერ პოლიტიკურ პარტიას. უმეტეს შემთხვევაში ეს იყო თანამოაზრეთა კლუბური გაერთიანება, რომლის გავლენაც ის ნაცნობ-ნათესა-

ვების წრეზე შორს არ მიდიოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა ქარიზმატულ ლიდერთა ირგვლივ გაერთიანებული პარტიები. ამ შემთხვევაში სტრუქტურების განუვითარებლობასა და იდეოლოგიის არქონას პარტიის ლიდერის თაყვანისმცემლების სიმრავლე და ამის შედეგად მიღებული რეიტინგი ავსებდა. მეორე გამონკლისს წარმოადგენდა ე.წ. ხელისუფლების პარტია, რომელიც ქვეყნის მმართველის გარშემო იგებოდა და, შესაბამისად, მმართველის სიძლიერის პირობებში მყარი ფინანსური ბაზით, მრავალრიცხოვნებითა და ორგანიზებულობით გამოირჩეოდა. ამას თუ დავამატებთ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესაძლებლობას, მივხვდებით, რომ ამ ტიპის პარტიები შინაგანი განხეთქილების არარსებობის შემთხვევაში, რეალურად, კონკურენციის გარეშე რჩებოდნენ. დღევანდელ ოპოზიციას არც ქარიზმატული ლიდერები ჰყავს და არც ხელისუფლებაში ჰყავს მხარდამჭერი. ასე რომ, თითქმის ყველა პარტია, ფაქტობრივ, კლუბის დონეზე დადის. ბ) მეორე მნიშვნელოვანი მიზეზია **იდეების სიმწირე**. ადგილობრივი არჩევნები ამ მხრივ ნიშანდობლივი იყო. ყველა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის საარჩევნო კამპანია ნეგატივზე იყო აგებული. ისინი აკრიტიკებდნენ მმართველ პარტიას, მაგრამ ამომრჩეველს ალტერნატივას არ სთავაზობდნენ. მმართველი პარტიისა და მისი ლიდერების მყარი და სტაბილური რეიტინგის პირობებში ოპოზიციის ნეგატივზე აგებული კამპანია წარუმატებლობისთვის არის განწირული. ისიცაა, რომ ყველაფრის გაუთავებელი კრიტიკა მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს. ისმის ლოგიკური კითხვა: ნუთუ ყველაფერი შეცდომით კეთდება, მათ შორიც ისიც, რასაც მოსახლეობა დადებითად აფასებს – ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლების რეფორმა, საპატრულო პოლიცია და ა.შ. ამ კითხვაზე პასუხის მიუღებლობა მოსახლების მხრიდან ოპოზიციის მიმართ გაუცხოებას იწვევს. ამ დაშვების სამართლიანობაზე ისიც მიგვითითებს, რომ მიუხედავად სამთავრობო რეიტინგის პერიოდული ცვლილებებისა (რომელიც ხან ეცემა, ხან იზრდება) ოპოზიციური პარტიების რეიტინგები სამი წლის განმავლობაში თითქმის უცვლელი რჩება. მოქალაქეები ხელისუფლების შეცდომებისა და კრიზისის დროს ხელისუფლების მომხრეთა ბანაკს ტოვებდნენ, მაგრამ არ ჩქარობდნენ შეერთებოდნენ ოპოზიციის ბანაკს. ხელისუფლების ყოველი ახალი წარმატება ამ ჯგუფს ისევ ხელისუფლების ბანაკში აბრუნებს. 2003 წლის შემდეგ ეს პროცესი რამდენჯერმე განმეორდა. გ) ოპოზიციის არაპოპულარობის მესამე მი-

ზეზი **ძლიერი მმართველი პარტიაა**. ამ წლების განმავლობაში მმართველმა პარტიამ შეძლო ერთიანობის შენარჩუნება. ფაქტობრივ, არც ერთ ლიდერს არ დაუტოვებია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და არ გამოსულა მისი კრიტიკით. ერთადერთი გამონაკლისი ირაკლი ოქრუაშვილის მოულოდნელი გადადგომა იყო. თუმცა საეჭვოა, რომ ამ გადადგომით ოპოზიციამ რაიმე ხეირი ნახოს – ოქრუაშვილი დემონსტრატიულად გაერიდა პოლიტიკას და, როგორც ჩანს, პრეზიდენტთან (ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით) დაპირისპირებას არ აპირებს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალებმა პოსტრევოლუციური სამი წელი ადამიანური რესურსების დანაკარგის გარეშე განვლეს.[1] ამ ერთიანობის ფონზე მოსახლეობისთვის კიდევ უფრო მიმზიდველად გამოიყურება ის წარმატებები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. მთავრობის სიძლიერისა და ოპოზიციის სისუსტის შეგრძნებას კიდევ უფრო აძლიერების ის ფაქტი, რომ ოპოზიცია აშკარად არ აღმოჩნდა მზად, რომ გაერთიანებაზე ეზრუნა.

ისიც სათქმელია, რომ რეფორმების გაგრძელების პირობებში მოსალოდნელია უკმაყოფილო ადამიანთა რიცხვის ზრდა; რადგან რეფორმები უეცარ ეფექტს ვერ მოგვცემს და თანდათან წინა პლანზე გადმოიწევს ეკონომიკური და სოციალური საკითხები. სწორედ ამ საკითხების წინ წამოწევა მისცემს ოპოზიციას წარმატების შანსს. მაგრამ ოპოზიციის დღევანდელი შემადგენლობისა და ზემოთ აღწერილი სტატუს-კვოს პირობებში ცოტა არალეარულად მიმაჩნია, რომ დღევანდელმა ოპოზიციამ შეძლოს ამ შანსის გამოყენება. უფრო მოსალოდნელია, რომ დღევანდელი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის უკმაყოფილო ლიდერებისა და აქტივისტების წიაღში ჩამოყალიბდეს ახალი გაერთიანება. როგორც ვთქვით, ნაციონალებმა ჯერ-ჯერობით მოახერხეს მონოლითურობის შენარჩუნება, და ძნელად წარმოსადგენია, რომ უახლოეს 3-4 წელიწადში ამ ერთიანობას რაიმე საფრთხე შეექმნას.

თეორიულად შესაძლებელია, რომ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების, სკოლის სამეურვეო საბჭოებისა და სხვა ლოკალური ინიციატივების ამოქმედების შედეგად ახალი სახეები გამოჩნდეს. თუმც, იოლად ვერ წარმომიდგენია, რომ მათ გაერთიანება შეძლონ. უფრო სავარაუდოა, რომ ისინი მათთვის უფრო მისაღებ არსებულ დაჯგუფებებს შეურთდნენ. აქ კი ისევ იმ ლოგიკასთან მივდივართ, რითიც დავიწყეთ – ოპოზიცია სუსტია და ძნელი წარმო-

სადგენია, რომ ის ვინმესთვის საინტერესო ბაზისს წარმოადგენდეს. ასე რომ, თუ მმართველ ელიტას არ გამოეყოფა რაიმე დაჯგუფება, ახალი სახეები ისევ ნაციონალების რიგებს შეავსებენ.

სისტემის სტაბილურობა

რაღა თქმა უნდა, ზემოთ ნათქვამი არ ნიშნავს, რომ საქართველომ გადაკვეთა ის კრიტიკული ზღვარი, რომლის შემდეგაც უკან დაბრუნება შეუძლებელია.

დღეს მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმები კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, რომ საქართველოს პოლიტიკური სისტემა ჯერ კიდევ შორს არის საბოლოო სტაბილურობისგან. თავისთავად ის ფაქტი, რომ ამ მოკლე დროის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი კანონი ამდენ ცვლილებას განიცდის, უკვე მეტყველებს ძველი კონსტიტუციისა და ახალი პოლიტიკური სისტემის შეუთავსებლობაზე. იმისათვის, რომ მოხდეს ამ ორი რეალობის ურთიერთშეთავსება, უნდა გაგრძელდეს ძირეული პოლიტიკური და საკანონმდებლო რეფორმები, რასაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება თვისებრივად ახალი კონსტიტუციის მიღება მოჰყვეს. ასეთი პროგნოზების არსებობის შემთხვევაში ჯერ-ჯერობით შეუძლებელია სისტემის სტაბილურობაზე საუბარი.

ვიტყვი იმასაც, რომ თავისთავად ეს რეფორმები აუცილებელი სახით არ შეიცავს დესტაბილიზაციის საფრთხეს. საუბარია უფრო სისტემის რეალობასთან კავშირში მოყვანასა და მის გაუმჯობესებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითმმართველობის ინსტიტუტების ჩამოყალიბება მხოლოდ ახლა დაიწყო და, ალბათ, კიდევ არაერთ რევიზიას განიცდის რეფორმის პროცესის განმავლობაში. ასევე არ არის დასრულებული სასამართლო სისტემის რეფორმა. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე გადასვლას შეუძლია რადიკალური ცვლილებები გამოიწვიოს არა მარტო საკუთრივ სასამართლო სისტემაში, არამედ მთლიანად ქართულ საზოგადოებაში და, შესაბამისად, მის პოლიტიკურ ინსტიტუტებშიც.

საქართველომ ჯერ ვერ გადაკვეთა ის კრიტიკული ზღვარი, რომლის შემდეგაც უკან დაბრუნება შეუძლებელია. უფრო მეტიც, არც ერთ სფეროში მიმდინარე რეფორმა არ არის საბოლოოდ გამტკიცებული ინსტიტუციური ბაზისით. თითქმის ყველა რეფორმა ამ ეტაპზე გარკვეულ პიროვნებას უკავშირდება და ძნელია იმის თქმა, თუ რა მოხდება ამა თუ იმ რეფორმატორის სხვა პიროვნებით ჩანაცვლების

შემთხვევაში. სისტემის სტაბილურობისთვის აუცილებელია, რომ ინსტიტუციონალიზაციის პარალელურად მოხდეს რამდენიმე სიმძიმის ცენტრის ჩამოყალიბება, რომლებიც, ერთი მხრივ, საკმარისად ავტონომიურები იქნებიან და, მეორე მხრივ, განვითარების თანხვედრი ვექტორი ექნებათ. ყველაზე შორს ამ მხრივ საქმე განათლების სისტემის რეფორმის შემთხვევაშია წასული. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, პროცესი არც აქ დასრულებულა.

საქართველოს განვითარების საგარეო ფაქტორები

საგარეო ფაქტორები ყოველთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საქართველოს შიდა პროცესებზე. უახლოეს მომავალში არ უნდა მოველოდეთ ამ ტენდენციის ცვლილებას. ამის ახსნა რამდენიმე მიზეზით არის შესაძლებელი: ა) რუსეთის მხრიდან საქართველოსკენ მიმართული შეტევების გაგრძელებამ უნდა გამოიწვიოს პოლიტიკური სპექტრის თვითლუსტრირება. რუსეთის მიმართ დამოკიდებულება ის წყალგამყოფი ხაზი იქნება, რომელიც გამოიწვევს ძალთა გადაჯგუფებას საქართველოში; ბ) რუსეთის ზეწოლასთან ერთად გაძლიერდება საქართველოს დასავლური ვექტორი. დასავლეთი ამ შემთხვევაში პოლიტიკოსებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის არის სტაბილურობის და უსაფრთხოების გარანტია. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ დასავლეთიდან ადეკვატური დახმარება მიიღოს. ამ დახმარების მიღება-არმიღება ძირეულად შეცვლის ძალთა თანაფარდობას ქვეყნის შიგნით; გ) ნატო-ს წარმომადგენლების განცხადებამ ამ ორგანიზაციის 2008 წლისთვის შესაძლო გაფართოების შესახებ, საქართველოს ლიდერებისთვის მიმდინარე ორი წლის უმნიშვნელოვანესი ამოცანა დასახა. ნატო-ში ინტეგრაცია იქნება ის სასინჯი ქვა, რომლითაც საზოგადოება შეაფასებს მთავრობას ორი წლის თავზე. წარმატების შემთხვევაში ნატო-ში ინტეგრაციამ შეიძლება გადაწონოს ის რეალური ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემები, რომლებიც საქართველოში დღეს არსებობს და ხვალ გამოჩნდება. ამავე დროს, ნატო-ში ინტეგრაცია იქნება იმის მაჩვენებელი, რომ რეფორმები, და არა მხოლოდ სამხედრო რეფორმა, საქართველოში მიდის სწორი მიმართულებით. ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი იქნება ლაკმუსი, რომელიც მთავრობის გეზის სისწორეს შეამოწმებს.

თუ ჩვენი დაშვებები სწორია და არსებული კურსის შენარჩუნება მოხერხდა, მაშინ საქართველო ლიბერალურ-დემოკრატიული პლუ-

რალიზმის თანდათანობით განვითარებას შეძლებს. მომავალი სამიხუთი წელი მნიშვნელოვანი იქნება დღეს მიმდინარე რეფორმების ლოგიკურ დაბოლოებამდე მისაყვანად. საბოლოო ჯამში, საქართველოს საპროგრამო პრიორიტეტები უახლოესი წლებისთვის შემდეგი უნდა იყოს:

1. სასამართლო რეფორმის გატარება;
2. თვითმმართველობის ხელშეწყობა;
3. განათლების რეფორმის დასრულება;
4. ცოდნაზე არსებული ეკონომიკის ჩამოყალიბება;
5. სამხედრო რეფორმის დასრულება;
6. ნატო-ში ინტეგრაცია.

შენიშვნები:

[1] აქ, რაღა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ ტრაგიკულად დაღუპულ ზურა ჟვანიას და ჟანი კალანდიას.

გიგი თევზაძე

როდესაც ბატონმა გია ნოდიამ მომმართა წინადადებით, ათ შეკითხვაზე მეპასუხა, ძალიან დავინტერესდი. კითხვებს რომ გადავხედე, მივხვდი – რამდენიმე კითხვის ფორმულირებას არ ვეთანხმები. ჯერ გადავწყვიტე დამეწერა ტექსტი, რომელიც შეეხებოდა კითხვების მიერ მოცულ სფეროებს, მაგრამ ისე, როგორც მე მიმაჩნდა სწორად. მაგრამ, ამ შემთხვევაში ჩემი მონაწილეობა დისკუსიაში შეიძლება ორი გზით წასულიყო: 1. ჩემი დაწერილი ტექსტი იმდენად ამოვარდნილიყო დისკუსიის საერთო დისკურსიდან, რომ ის არავის წაეკითხა (რაც უფრო შესაძლებელია), ან 2. ჩემ დაწერილ ტექსტს იმდენად გადმოებირებინა დისკუსიაში მონაწილეები, რომ დისკუსიის მომწყობების კითხვებზე არავის ეპასუხა (ეს ნაკლებად შესაძლებელია, მაგრამ შესაძლებლობების სამყაროში თავისი ადგილი, მართალია, განუხორციელებლობასთან მაქსიმალურად მიახლოებული, მაგრამ მაინც, უჭირავს). ამიტომ, როგორც ინტელექტუალურად, ისე აკადემიურად, ამ საინტერსო პროცესში ჩაბმის გადაწყვეტილებას ამ პროცესის წესების უპირობო მიღება უნდა მოჰყოლოდა. ამიტომ, კითხვებზე პასუხების კითხვისას მკითხველი აღმოაჩენს როგორც კითხვის დასმის მართებულობის ანალიზს, ასევე, კითხვის ფორმულირების ოდნავ ცვლილებებსაც.

და კიდევ ერთი: სქემა, რომელსაც ამ კითხვეზე პასუხისას მივყვები, არის სოციოლოგიური სქემა. ანუ, მე არ ვმსჯელობ მოტივებზე და სურვილებზე, მე ვმსჯელობ მხოლოდ სტრუქტურებზე. შესაბამისად, ჩემი პასუხებიდან მკითხველი ნაკლებად უნდა ელოდოს პოლიტიკური მოვლენების შეფასებას ან საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების ანალიზს. სამაგიეროდ, ბევრს წაიკითხავს არსებული, აღარარსებული თუ ქმნადობადაწყებული პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების სტრუქტურების შესახებ.

1.

შეკითხვის ფორმა და ინტენცია ყოველთვის მიუთითებს პასუხის ფორმასა და ინტენციაზე. ამ შეკითხვის მოსალოდნელი პასუხი უნდა

იყოს მიღწევების და დანაკარგების ჩამოთვლა. მაგრამ, ამავე დროს, ეს შეკითხვა გულისხმობს, რომ საქართველოში ვიღაცას (ან ვიღაცეებს) ჰქონდათ რაღაც გეგმა ან ხედვა (ან გეგმები და ხედვები), როგორც დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტში, ისე ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე – სხვადასხვა მომენტში და პოლიტიკურ ვითარებაში. საქმე ისაა, რომ ეს გეგმები და ხედვები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ყოველთვის ცხადად არ ყოფილა ჩამოყალიბებული და თუ შევეცდებით გარკვევას, რომელი გეგმის რა მიზანი შესრულდა, საკმაოდ რთულ ტიპოლოგიურ ლაბირინთში აღმოვჩნდებით. მაგრამ მაინც, თუ შევეცდებით ამ გეგმების თუ მოლოდინების ძალიან ზოგადი ტიპოლოგიის შემუშავებას, უნდა ვთქვათ, რომ მოლოდინები საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ მოძრაობს (და მოძრაობდა) შკალაზე, რომლის ერთ ბოლოში პოლიტიკური რომანტიზმია განთავსებულიი, ხოლო მეორე ბოლოში – პოლიტიკური პრაგმატიზმი. თუმცა ასეთი, თითქოსდა გასაგები, დალაგებაც ვერ იძლევა ცხად პასუხს ვერც ამ მოლოდინების თუ გეგმების მატარებლებზე და ვერც მათ პოლიტიკურ წარმატებულობაზე და წარუმატებლობაზე: ამ შკალის წერტილებზე პოლიტიკური მოძრაობების და პოლიტიკოსების განლაგებისას შკალის საპირისპირო ბოლოებზე მოხვედრილი პოლიტიკოსები მოკავშირეები აღმოჩნდებიან, ხოლო ერთ ბოლოზე – რადიკალურად დაპირისპირებულნი.[1] ამიტომ, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს მიღწევებზე ვლაპარაკობთ, ჯობია ავირჩიოთ ისრაც-არ-იყო-და-რაც-მოხდა დისკურსი.[2] ალბათ, ამ სივრცეში უფრო შესაძლებელია დისკუსიის დასაწყებად რაიმე კონსენსუსის მიღწევა.

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებამდე არ იყო:

1. პოლიტიკური სისტემა, რომლიც უშვებს მრავალპარტიულობას და თავისუფალ არჩევნებს;
2. ეთნოკონფლიქტები და განდგომილი რეგიონები;
3. თავისუფალი მედია;
4. თვითმმართველობა;
5. დამოუკიდებელი საფინანსო-ფულადი პოლიტიკა;
6. დამოუკიდებელი მეწარმეობა;
7. სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სამოქალაქო ინსტიტუტები;
8. დამოუკიდებელი სამხედრო ძალები;
9. განათლების დამოუკიდებელი სისტემა.

შესაბამისად, ქართული კულტურა შეიცვალა იმდენად, რამდენადაც ეს ახალი ელემენტები აღმოჩნდა მის სისტემაში. ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტებიდან ყველაზე უფრო დიდი გავლენა მოახდინა, ალბათ, იმან, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად პირველად გამოჩნდა ჩვენს კულტურულ და სოციალურ სივრცეში, ანუ, მრავალპარტიულობამ, თავისუფალი არჩევნების შესაძლებლობამ, ეთნოკონფლიქტებმა და თავისუფალმა მედიამ. თავის მხრივ, და როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ, დღემდე პოლიტიკური პროგრამები და ორიენტირები, ძირითადად, ამ ოთხი სისტემის (თუ ქვესისტემის) მიმართ ჯგუფდება და უპირისპირდება ერთმანეთს.

2.

საქართველოს პოლიტიკური სისტემა ამ ბოლო 15 წლის მანძილზე (ყოველ შემთხვევაში 2004 წლამდე) შეიძლება დახასიათდეს როგორც პოლიტიკური მმართველობის ბრძოლა იმ სისტემების და სტრუქტურების წინააღმდეგ, რომლის დანერგვასაც უახლოეს წარსულში თვითონვე შეუწყო ხელი. ეს ე.წ. სტრუქტურული დილემა დაიწყო ზვიად გამსახურდიას დროს. ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში თავისუფალი არჩევნების გზით მოვიდა, თუმცა, მისი ხელისუფლების განვითარებამ სწორედ მრავალპარტიულობის და თავისუფალი არჩევნების წინააღმდეგობა წარმოშვა. იგივე შეიძლება ითქვას ეთნოკონფლიქტებზე მიუხედავად იმისა, რომ ეთნოკონფლიქტი უარყოფითი კონოტაციის მატარებელია, ისიც ისევე ჯდება შექმნა-წინაამღდეგობის ჩემ მიერ შემოთავაზებულ სქემაში, როგორც მრავალპარტიულობა და თავისუფალი არჩევნები.

მეორე დილემა, რამაც გამოიწვია ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების კრახი, იყო უკუღმა ჩინეთის სინდრომი: გამსახურდიას გარემოცვა ცდილობდა შეენარჩუნებინა საბჭოთა სისიტემისათვის დამახასიათებელი ეკონომიკა[3] და მართვა, ისე, რომ იდეოლოგია ჩანაცვლებულიყო პატრიოტული და ნაციონალისტური რომანტიზმით.

3.

სტრუქტურულად დიდი განსხვავება გამსახურდიას მმართველობასა და შევარდნაძის ხელისუფლებას შორის არ იყო. ერთმა შექმნა, მეორემ შეინარჩუნა ეთნოკონფლიქტები, საზოგადოება რადიკალურად იყო გაყოფილი და ერთმანეთს დაპირისპირებული. სისტემური განსხვავება იყო დროში – შევარდნაძის მმართველობამ ათ წელიწადზე მეტი გასტანა,

როდესაც გამსახურდიას მმართველობამ, პრაქტიკულად, სამი წელიც ვერ გაძლო. შევარდნაძის მმართველობის პერიოდის უპირობო შედეგია:

1. დამოუკიდებელი საფინანსო-ფულადი პოლიტიკა;
2. დამოუკიდებელი მეწარმეობა;
3. სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სამოქალაქო ინსტიტუტები.

გარდა ამისა, შევარდნაძის ხელისუფლების მიერ გამსახურდიას მმართველობის დროს წარმოშობილი სტრუქტურების მეტ-ნაკლებად სტაბილურად შენარჩუნება (ეთნოკონფლიქტების ჩათვლით) ასევე ამ მმართველობის შედეგად უნდა ჩაითვალოს.

თუ შევარდნაძის და გამსახურდიას მმართველობებს შედეგების ეფექტურობის თვალსაზრისით შევადარებთ, ვნახავთ, რომ 10-12-წლიანი რეალური მმართველობის პერიოდში საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ სინამდვილეში შევარდნაძის მმართველობის სისტემური წვლილი ისეთივეა, როგორც გამსახურდიას მმართველობის დროინდელი: ორივე ქმნის (ან ორივეს დროს იქმნება სამ-სამი სისტემა/ქვესისტემა, რომელიც შემდეგ მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც სამოქალაქო, ისე ყოველდღიურ ყოფაში. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამსახურდიას დროს შექმნილი სისტემები (დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, თავისუფალი მედია, ეთნოკონფლიქტები) დღესაც ბევრად უფრო გავლენიანია, ვიდრე შევარდნაძის დროს შექმნილი. თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სამი პირველი სისტემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლება არ შექმნილიყო და ნებისმიერი პრეზიდენტის დროს შეიქმნებოდა შიდა და საგარეო პოლიტიკის რეალიების გათვალისწინებით. პირადად გამსახურდიას და მისი გუნდის მონაწილეობა (პოზიტიური და ნეგატიური) დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის (კულტურის), თავისუფალი მედიის და ეთნოკონფლიქტების წარმოშობაში აშკარაა.

4.

წინამორბედ მმართველობებთან (მე მოვერიდებოდი რეჟიმების გამოყენებას) შედარებით, სააკაშვილის მმართველობას იმდენივე ახალი სისტემა აქვს შექმნილი, რამდენიც შევარდენაძემ და გამსახურდიამ შექმნეს. კონკრეტულად:

1. თვითმმართველობა,
2. დამოუკიდებელი სამხედრო ძალები,
3. განათლების დამოუკიდებელი სისტემა.

სისტემების შექმნის რაოდენობრივი მაჩვენებლით სააკაშვილი აშკარად ლიდერობს მის წინამორბედებთან შედარებით: მან შექმნა იმდენივე ახალი სისტემა 2003-2006 წლებში,[4] რამდენიც მისმა წინამორბედებმა თავ-თავისი მმართველობის პერიოდებში. განსხვავება სისტემების შექმნა-შენარჩუნებაში ისაა, რომ სააკაშვილი აშკარად ცდილობს არა მარტო შექმნას ახალი სისტემები (რაც მას წარმატებით გამოსდის), როგორც ამას მისი წინამორბედები სჩადიოდნენ, არამედ, თავისი წინამორბედების შექმნილ სისტემებშიც შეიტანოს კორექტივი,[5] მაგალითად, ეთნოკონფლიქტებს ბოლო მოუღოს. რა ძვრებს და შეფასებებს გამოიწვევს ეს პროცესი სხვა საქმეა, მაგრამ სააკაშვილი პირველია სამ პრეზიდენტს შორის, ვინც უარი თქვა მისი წინამორბედების დანერგილ ერთ-ერთ სისტემაზე მაინც.[6]

5.

ისევ და ისევ სოციოლოგის ხედვით, და ახალი-სისტემების-შემოტანის-თეორიაზე დაყრდნობით: ოპოზიცია ვერაფერს სთავაზობს დღეს საზოგადოებას, რაც განსხვავებული იქნებოდა ამ ცხრა სისტემისაგან. მას მხოლოდ კორექტივების შეტანა შეუძლია არსებულ და ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ სისტემებში. ამიტომაცაა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ოპოზიციის წარმომადგენლები ეთნოკონფლიქტის მეორე სუბიექტს უწევენ პოლიტიკურ მხარდაჭერას,[7] ან გაუგებარ წინააღმდეგობას უწევენ სისტემების მოწყობის გონივრულ პრიციპებს. ოპოზიციის დისკურსში ეთნოკონფლიქტის მოგვარებისადმი წინაამდეგობაც კი ჩანს.

6.

მე ვფიქრობ, რომ ერთადერთი გამოსავალი ოპოზიციისათვის არის ახალი სისტემის მონახვა-დანერგვა. ეს უნდა იყოს ან ადამიანის უფლებების რადიკალური დაცვა, მაგრამ საეჭვოა, რომ ასეთმა ქცევამ საზოგადოების კონსოლიდაცია გამოიწვიოს ოპოზიციის გარშემო, ან – ძლიერი ეკონომიკური პროგრამები, რომლებიც სისტემურ დონეზე დაანახებენ საზოგადოებას ცოდნის ეკონომიკის სიკეთეს. თუმცა, ამ უკანასკნელში ოპოზიციას შეიძლება ხელისუფლებამ დაასწროს.

7.

როგორც დღევანდელი ოპოზიციური პარტიების მოქმედებებიდან და პრიორიტეტებიდან ჩანს, საეჭვოა, რომ ისინი შეთანხმდნენ რაიმე გრძელ-

ვადიან პროექტზე, რომლის მიზანიც ახალი სისტემების დამკვიდრება იქნება. ამიტომ, უფრო სავარაუდოა, რომ ძლიერი ოპოზიცია არსებულ მმართველ პარტიას ჯერ კიდევ კარგა ხანი არ ეყოლება. ძლიერი და ადეკვატური ოპოზიციის გაჩენა დამოკიდებულია ორ მდგენელზე: 1. ამ ოპოზიციურ ძალას უნდა ჰქონდეს ცხადი წარმოდგენა, თუ რა სისტემების დანერგვაზეა მიმართული 2. მათ უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო და პოლიტიკური ვადები თავისი მიზნების მისაღწევად – ანუ, უნდა დათანხმდნენ გრძელვადიან მუშაობას, და ამ მუშაობის ბოლოს – როგორც შესრულებული სამუშაოს ფინალი – მიიღონ ხელისუფლებაში მოსვლა. ასე რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე არსებული ოპოზიციური პარტია მოძებნის თავის თვში ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, გახდეს ახალი სისტემების ინიციატორი, მაინც არსებულ მმართველ პარტიას კიდევ კარგა ხანს არ ეყოლება სერიოზული ოპონენტი, რომელსაც შეეძლება არჩევნებში უმრავლესობის მოპოვება.

8.

წინა შეკითხვაზე პასუხიდან გამომდინარე, თუ მმართველი პარტია შეინარჩუნებს ლიბერალურ-დემოკრატიულ ბალანსს და არ გაიმეორებს წინამორბედთა შეცდომას,[8] ჩვენი პოლიტიკური მომავალი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გარკვეულ პერიოდში (დავუშვათ, კიდევ ორი საპარლამენტო არჩევნები) დომინანტური პარტიის მმართველობა, შემდეგ კი – ლიბერალურ-დემოკრატიული პლურალიზმის განვითარება.[9] ბუნებრივია, ამ სქემაში მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითრების და საგარეო ფაქტორების გათვალისწინება. თითოეული მათგანი ამ სქემის განხორციელებისათვის როგორც ხელის შემწყობი, ისე ხელის შემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს.

9.

ამ კითხვაზე პასუხად უნდა ჩამოვწეროთ ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში შექმნილი სოციალ-პოლიტიკური ახალი სისტემები და ვთქვათ, რამდენად ძლიერი იყო მათ შექმნაში საგარეო და საშინაო ფაქტორების როლი და რამდენად ძლიერი იყო ამავე ფაქტორების როლი პოლიტიკური მმართველობის მიმართ წინაამღდეგობაში:

1. პოლიტიკური სისტემა, რომლიც უშვებს მრავალპარტიულობას და თავისუფალ არჩევნებს, არ შეიქმნებოდა, რომ არა საგარეო ფაქტორი – საბჭოთა კავშირის დაშლა;

2. ეთნოკონფლიქტები და განდგომილი რეგიონები გარე ფაქტორებით ინიცირებული (თავისუფალი მედია – შიდა და გარე ფაქტორები, თვითმმართველობა – გარე და შიდა ფაქტორები);
3. დამოუკიდებელი საფინანსო-ფულადი პოლიტიკა – გარე ფაქტორები (საერთაშორისო და საფინანსო ინსიტუტების ძლიერი ჩარევა);
4. დამოუკიდებელი მეწარმეობა – გარე ფაქტორები;
5. სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სამოქალაქო ინსტიტუტები – გარე ფაქტორები;
6. დამოუკიდებელი სამხედრო ძალები – შიდა ფაქტორები. რა თქმა უნდა, სამხედრო მშენებლობა მიმდინარეობს უცხოური ტექნიკური დახმარებით, თუმცა პოლიტიკური მოკავშირეების მხრიდან ამ სისტემის გაძლიერება ყოველთვის აღიქმებოდა ამბივალენტურად და პასუხიმგებლობას ყოველთვის ხელისუფლება იღებდა;
7. განათლების დამოუკიდებელი სისტემა – შიდა ფაქტორები.

ეს აღწერა შესაძლებელია ცხრილის სახით წარმოვადგინოთ და დავუმატოთ ამ სისტემების დამნერგავების მხრიდან ამ სისტემების დაშლაზე მიმართული მოქმედებების გრაფა: (იხ. შემდეგ გვერდზე)

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ამ ბოლო დროს საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველოს ცნობადობის გაზრდისა, ახალი სისტემების შექმნაზე გარე ფაქტორების გავლენა ბევრად უფრო დიდი იყო წინა ორი მმართველობის დროს; ანუ, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის, ეთნოკონფლიქტების, თავისუფალი მედიის, დამოუკიდებელი საფინანსო-ფულადი პოლიტიკის, თავისუფალი მეწარმეობის და დამოუკიდებელი სამოქალაქო ინსიტუტების შექმნაში გადამწყვეტ როლს საგარეო ფაქტორი თამაშობდა; მაშინ, როდესაც თვითმმართველობის, სამხედრო მშენებლობის და განათლების რეფორმაში საშინაო ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ ის ძირითადი იმპულსები და აქტივობები, რომლებიც მათ განხორციელებას დაედო საფუძვლად. თუმცა თვითმმართველობის მიმართ შეიძლება ეს დებულება საკამათოც იყოს.

ამ ცხრილიდან კიდევ ერთი ჰიპოთეზის გამოთქმა შეიძლება: მმართველობის იძულებითი დასრულება ხდება მას შემდეგ, რაც მმართველობა იწყებს მის მიერ (ან მისი დახმარებით) დანერგილი სისტემების წი-

ახალი სისტემები	შექმნის განმსაზღვრელი საგარეო ფაქტორი	შექმნის განმსაზღ-ვრელი საშინაო ფაქტორი	წინააღმდეგობა ახალი სისტემის დამნერგავი ხელისუფლების მხრიდან	შენიშვნა
პოლიტიკური სისტემა, რომელიც უშვებს მრავალპარტიულობას და თავისუფალ არჩევნებს ეთნოკონფლიქტები და განდგომილი რეგიონები				წინააღმდეგობა იყო როგორც გამსახურდიას, ისე შევარდნაძის ხელისუფლების მხრიდან, რაც. საბოლოო ჯამში მათი მმართველობის იძულებით დასრულებაში გამოიხატა. 2004 წლამდე კონფლიქტების დარეგულირების სერიოზული და მნიშვნელოვანი მცდელობები არ არსებობდა.
თავისუფალი მედია თვითმმართველობა				თავისუფალი მედიისადმი წინაამღდეგობამაც გამსახურდიას ხელისუფლების დასრულებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. თვითმმართველობის დანერგვა, საბოლოო ჯამში საკაშვილის მმართველობისას დაიწყო. ჯერ-ჯერობით, ხელისუფლების მხირიდან თვითმართ-ველობის მიმართ წინაამღდეგობა არ შეიმჩნევა.
დამოუკიდებელი საფინანსო-ფულადი პოლიტიკა				ვაუჩერიზაციის კრახმა გამოიწვია საგარეო სა-ფინანსო ინსტიტუტების ჩართვის აუცილებლო-ბა და ვითარების გამოსწორება.
დამოუკიდებელი მეწარმეობა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სამოქალაქო ინსტიტუტები				შევარდნაძის ხელისუფლება, ერთი მხრივ. გვევ-ლინება ამ სისტემის დამნერავად, მეორე მხრივ კი – კლანური ბიზნეს-ერთობების შექმნით ამ სისტემის წინაამღდეგ მებრძოლად. სამოქალაქო ინსიტუტების არსებობა მთლიანად შეიძლება ჩამოვიდოთ საგარეო გავლენაზე. ამა-ვე დროს, შევარდნაძის მმართველობა მას აღიქ-ვამდა როგორც მნიშვნელოვან საფრთხეს.
დამოუკიდებელი სამხედრო ძალები განათლების დამოუკიდებელი სისტემა				ამ სისტემის განვითარება მთლიანად ემყარებოდა მმართველობის პოლიტიკურ ნებას. არც ძლიერი სამხედრო ძალები, და არც წარმა-ტებული განათლების სისტემა, ჯერ ჯერობით, საერთაშორისო პოლიტიკის მიერ არ არის უპი-რობოდ აღიარებული როგორც დემოკრატიულო-ბის და სტაბილურობის გარანტი. ასე რომ, საგა-რეო გავლენა ამ ორი სისტემის განვითარების შემთხვევაში მინიმალური იყო.

ნაამღდეგ ბრძოლას. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, სისტემურ დონეზე, საქმე გვაქვს ძლიერი მოწინააღმდეგეების გაჩენასთან: ანუ, მმართველობას უპირისპირდებიან ისინი ან ის მხარე, რომელმაც შექმნა კონკრეტული სისტემა და რომელსაც, მოცემულ მომენტში, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელისუფლება უწყებს ბრძოლას. ანუ, სქემა მარტივია: ჯერ ხელისუფლება იწყებს სისტემის შექმნას, ქმნის ამ სისტემის ინფრასტრუქტურას, ადამიანურ რესურსებს, ადამიანურ და სოციალურ კაპიტალს და შემდეგ უწყებს ამ ყველაფერს ბრძოლას. თუ სისტემის დანერგვა წარმატებული იყო, ხელისუფლებას ამ ბრძოლაში შანსი აღარ რჩება.

აქვე შეგვიძლია წარმოვადგინოთ სქემა, რომელიც ამ ვითარებას ასახავს:

მმართველობის სისტემა	**სისტემები, რომლებიც დანერგეს და შემდეგ თვითონვე ცდილობდნენ მათ გაუქმებას**	**შედეგი**
გამსახურდია	დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, თავისუფალი მედია	იძულებითი გადაყენება
შევარდნაძე	დამოუკიდებელი მეწარმეობა, სამოქალაქო ორგანიზაციები	იძულებითი გადაყენება
სააკაშვილი	სამხედრო ძალები, განათლების სისტემა, თვითმმართველობა	

ეს ჰიპოთეზა სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ, შემდეგნაირად ითარგმნება: თუ მმართველი პარტია არ დაიწყებს სამხედრო ძალების, განათლების სისტემის და თვითმმართველობის დამშლელ აქტივობებს, მისი მშვიდობიანი ჩანაცვლება და მანამდე შედარებით ხანგძლივი მმართველობა გარანტირებულია.

10.

მომდევნო წლებში, როგორც ამას მოვლენათა განვითარების ლოგიკა მიგვითითებს, საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს:

1. დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა,
2. ცოდნის ეკონომიკა.

შეიძლება არსებობდეს ერთი დიდი პროგრამა, რომელიც შეძლებს საზოგადოების შემდგომ კონსოლიდაციას ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების გარშემო. ვინ განახორციელებს ამ პროგრამას თუ მის ნაწილებს, ამას უახლოეს მომავალში დავინახავთ. ამაზევე (ვინ და როგორ) იქნება დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკური მომავალიც.

შენიშვნები:

[1] მაგალითად, გამსახურდია და მისი იდეოლოგია პოლიტიკური რომანტიზმის უკიდურესი გამოვლინებაა, მაგრამ მისი გუნდის წევრები, რომლებმაც, ფაქტობრივ, მოახერხეს საბჭოთა სისტემის რეანიმაცია, აშკარა პრაგმატული გეგმებით ხელმძღვანელობდნენ. იმავე სახის წინაამღდეგობას შევხვდებით შევარდნაძის და სააკაშვილის იდეოლოგიების დახასიათებისას: ორივე მათგანი შეიძლება დახასიათდეს როგორც რადიკალური პრაგმატიზმი. ამავე დროს, 2004-2005 წლებში სააკაშვილის პრაგმატიზმი კარგად ეწყობოდა კობა დავითაშვილის და ზვიად ძიძიგურის პოლიტიკურ რომანტიზმს.

[2] მიღწევის ბუნდოვანი დისკურსი თეორიულად არამდგრადია: ამ შემთხვევაში ავტორმა უნდა აირჩიოს რაღაც სისტემა (თუნდაც ლიბერალურ-დემოკრატიული) და მისი მახასიათებლების მიღწევა/არმიღწევის გაზომვა უნდა დაიწყოს. თუმცა, ამ შემთხვევაში ჯერ თვითონ არჩეული ან ასარჩევი სისტემის შესახებ, და შემდეგ მათ მახასიათებლებზე სერიოზული (და შეიძლება დაუმთავრებელი) დისკუსიაა მოსალოდნელი.

[3] ამის ცხადი მაგალითია გამსახურდიას მიერ მიწის პრივატიზაციაზე უარის თქმა, თუმცა ამჯერად არა საერთო საკუთრების საბჭოთა არგუმენტის, არამედ, მიწის უცხოელებზე გაყიდვის ნაციონალისტური არგუმენტის მოშველიებით.

[4] სამი წლის განმავლობაში – 2003 წლის დეკემბრიდან 2006 წლის დეკემბრამდე.

[5] რაც, თავის მხრივ, ინოვაციაა უკვე კულტურის დონეზე საქართველოში. როგორც ამას უახლოესი გამოკვლევები აჩვენებს, ჯერ კიდევ ძლიერია ტრადიციული საზოგადოებების სტრუქტურები, შესაბამისად, წინამორბედების შემოქმედება კულტურულად ჯერ კიდევ ხელშეუხებელია. სააკაშვილის მოქმედება პოლიტიკური აქტივობის დონეზე ასეთი ხელშეხების პრეცედენტს და პერსპექტივას ქმნის.

[6] თუმცა, 2005 წელს სამხრეთ ოსეთში ფარდობითად წარუმატებელი სამხედრო კამპანიის შემდეგ, სააკაშვილს შანსი ჰქონდა, ისევე გაეგრძელებინა ყველა სისტემის შენარჩუნება, ეთნოკონფლიქტების ჩათვლით, მაგრამ სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებმა და საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარების შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობამ (განსაკუთრებით, ნატო-სთან და ევროკავშირთან მიმართებაში) კონკრეტულად ეთნოკონფლიქტების შენარჩუნების რუტინული პოლიტიკა შეუძლებელი გახადა.

[7] მაგალითად, ოპოზიციის სიფრთხილე კოდორის ხეობაში წესრიგის დამყარების მიმართ და წინაამღდეგობა (ან სიჩუმე) სამხრეთ ოსეთში ალტერნატიული, პროქართული მმართველობის წარმოშობის მიმართ.

[8] ეს, ძირითადად, გამოიხატება მისავე შექმნილ სისტემებთან ბრძოლაში.

[9] თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან ეს განვითარება პოლიტიკურ არენაზე შეიძლება დამატებით მხოლოდ ერთი ან ორი ძლიერი პარტიის გამოსვლით გამოიხატოს.

კობა თურმანიძე

შესავალი

საქართველოში ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე განვითარებული პოლიტიკური პროცესების აღწერა და ანალიზი მრავალგვარად შეიძლება. ანალიზის ერთი შესაძლებლობაა, თეორიები გვერდზე გადადო და მოვლენები განიხილო ცალკეული ხდომილებების გამომწვევი ყველა შესაძლო ცვლადის აღწერის გზით. სხვა მიდგომით, სხვადასხვა მოვლენას შეიძლება სხვადასხვა თეორია მიესადაგოს და შესაბამისი ცვლადები გამოენახოს. მიდგომა, რომელსაც ამ ტექსტში ვიყენებ ჩამოთვლილთაგან იმით განსხვავდება, რომ მასში გამოყენებული დამოუკიდებელი ცვლადების შერჩევას საფუძვლად უდევს ერთი კონკრეტული, ქსელური (ურთიერთობითი) თეორია. ამ თეორიის თანახმად, სოციალური ურთიერთობებით აგებული სტრუქტურა (ქსელი) აქტორების ქმედებას ჩარჩოებში აქცევს და, ამდენად, პოლიტიკურ შედეგებსაც განსაზღვრავს. ამრიგად, შემდგომი მსჯელობა ემყარება დაშვებას, რომ აქტორის ქმედებაზე და ამ ქმედებიდან გამომდინარე პოლიტიკურ შედეგებზე ქსელის სტრუქტურაც ახდენს გავლენას და ამ აქტორის სტრუქტურული პოზიციაც.

დამოკიდებული ცვლადები შერჩეულია შესაბამის კითხვებში ჩამოყალიბებული საკითხებიდან გამომდინარე. ამასთან, ისინი ზოგჯერ უკავშირდებიან კრიტერიუმებს, რომელთა მიმართებაშიც უნდა შეფასდეს განსახილველი პოლიტიკური პროცესები და ხდომილებები. რასაკვირველია, განსახილველ პროცესებზე მრავალმა ცვლადმა მოახდინა გავლენა, მაგრამ ამ ცვლადებიდან გამოყოფილი მაქვს ერთი ან ორი ცვლადი, რომელთაც ძირითადი ახსნითი ღირებულება მიეწერება. ეს არ ნიშნავს სხვა ცვლადების მნიშვნელობის დაკნინებას, მაგრამ ქსელური თეორიის თანახმად, აღწერილი ცვლადების გავლენა მიჩნეულია ყველაზე ხელშესახებად. ამის დადასტურებას ემპირიული კვლევა და მონაცემები სჭირდება. ამიტომ წარმოდგენილი მსჯელობა, ძირითადად, ჰიპოთეზის

ფორმისაა, რომლის ემპირიული დასტური ან უარყოფა მომავალმა კვლევებმა უნდა მოგვცეს.

ქსელის სტრუქტურასაც და აქტორების პოზიციურ მახასიათებლებსაც თავ-თავიანთი განზომილებები აქვთ, რომლებიც, უმეტესად, რაოდენობრივად გამოისახება. რასაკვირველია, ქსელური ანალიზის ყველა საზომი განსახილველ პოლიტიკურ პროცესებს ვერ მიუდგება და კიდეც რომ მიუდგეს, ამას ემპირიული მონაცემების მოპოვება სჭირდება. ამიტომ შემოვიფარგლები სამი ძირითადი ქსელური ცნების გამოყენებით, რომლებიც ქსელის სტრუქტურული მახასიათებლებისა და აქტორების პოზიციის აღსაწერად გამოდგება: (1) ქსელის სტრუქტურის აღსაწერად საინტერესოა ე.წ. „მცირე სამყაროს“ ცნების გამოყენება, რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერი ორი ინდივიდის ერთმანეთთან დაკავშირება არა თუ შესაძლებელია, არამედ სასრული რაოდენობის ბიჯით შეიძლება; (2) ქსელში აქტორების პოზიციების შესადარებლად გამოდგება „სტრუქტურული ნაპრალების“ ცნება, რაც აქტორის არაზედმეტი კავშირების რაოდენობის სინონიმად გამოიყენება; (3) სოციალური კაპიტალის ცნება ქსელის სტრუქტურასაც ეხება და აქტორის პოზიციასაც. სოციალური კაპიტალი განისაზღვრება როგორც ქსელში ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობა, რომელთაც აქტორები ქმედებებისას მოიხმარენ.

სუსტი კავშირების სარგებელი

უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე საქართველოში მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვან პროცესად დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების აშენება უნდა მივიჩნიოთ. ცნობილია, რომ ეს პროცესი განსაკუთრებით რთულდებოდა და დროში იწელებოდა ისეთ საზოგადოებაში, სადაც სახელმწიფოებრიობის ტრადიციები არ არსებობდა ან ხანგრძლივი ვადით იყო შეწყვეტილი. ამრიგად, ქვეყნის მიღწევათა და წარუმატებლობათა შესაფასებლად უმნიშვნელოვანესი დამოკიდებული ცვლადი დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობაა, რომელიც ორ კომპონენტს მოიცავს: ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და ინსტიტუტების ქმედითობას. ახალი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ძველი და ახლად აღმოცენებული ელიტური ჯგუფები ერთმანეთს ძალაუფლების მოსაპოვებლად ეჯიბრებიან. ინსტიტუტების მშენებლობა სწორედ ამ შეჯიბრის პროცესში მიმდინარეობს და ამიტომაც ინსტიტუციური მოწყობის კონტურების წინასწარ მო-

ხაზვა თითქმის შეუძლებელი ხდება.[1] ინსტიტუტების ჩამოყალიბების შემდეგ დგება მათი სრულფასოვანი ამოქმედების ამოცანა, რაც მრავალი რაციონალური აქტორის მიერ კოლექტიური ქმედების დილემების დაძლევას მოითხოვს. რადგან ინსტიტუტები სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების აქტორებს შორის გაბმული მენტალური ქსელი თამაშის რაღაც წესებზე შეთანხმების შესახებ, ინსტიტუტების ქმედითობისათვის მნიშვნელოვანი ხდება საზოგადოების ჯგუფთაშორისი კავშირების ტიპების შესწავლა. ქმედითი ინსტიტუტების ჩამოყალიბების მთავარ განმაპირობებელ ცვლადად ისეთი ცვლადი უნდა შეირჩეს, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ურთიერთქმედების საზომადაც გამოდგება. ამგვარი ცვლადია სოციალური კაპიტალი, რომელიც ინსტიტუციური ქმედითობის უმთავრეს განმსაზღვრელად მიმაჩნია. კერძოდ, სავარაუდოა სოციალური კაპიტალის დონესა და ინსტიტუტების ქმედითობას შორის დადებითი კორელაცია.[2] სოციალური კაპიტალის ცნებით სოციალური ქსელის სტრუქტურაც შეიძლება დახასიათდეს და ქსელში აქტორის მიერ დაკავებული პოზიციაც. აქტორის დონეზე სოციალურ კაპიტალს შეადგენს ქსელში ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობა, რომელთაც აქტორი ქმედებებისას მოიხმარს.[3] კოლექტიურ დონეზე მიჩნეულია, რომ სოციალურ კაპიტალს საზოგადოებრივი სიკეთის ნიშან-თვისება აქვს, ანუ არაგამორიცხვადი და არამეტოქეობისუნარიანია – თუ ქსელის ერთი წევრისათვის ხელმისაწვდომია, მეორესაც არ დაუკავდება, თუნდაც მისი საფასურის გადახდას არც აპირებდეს. ამ თვალსაზრისით, სოციალური კაპიტალის წყაროა განმეორებითი ურთიერთობების შედეგად ჩამოყალიბებული განზოგადებული ნდობა, რომელიც კოლექტიური ქმედებების დილემების დაძლევის ალბათობას ზრდის.[4]

ქსელში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობა ცალკეული აქტორის სტრუქტურულ პოზიციაზეა დამოკიდებული. აქტორების პოზიციების შესადარებლად გამოდგება ე.წ. „სტრუქტურული ნაპრალის“ ცნება, რაც აქტორის არაზედმეტი კავშირების რაოდენობას აღნიშნავს. მიჩნეულია, რომ არაზედმეტი კავშირების სიუხვე აქტორს კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს.[5] სტრუქტურული ნაპრალის ცნება კავშირების სიძლიერე-სისუსტის განზომილებასაც უკავშირდება. კავშირების სიძლიერე კონტექსტის მიხედვით განისაზღვრება; ზოგადად, სუსტ კავშირებად ჩაითვლება აქტორებს შორის არარეგულარული ურთიერთობანი, რომელთაც ვალდებულებითი ფორმა არ გააჩნიათ; ინ-

ტენსიური და ვალდებულებითი ურთიერთობები კავშირების სიძლიერეზე მიუთითებს. სუსტი კავშირები ინფორმაციისა და ინოვაციების გაცვლის კარგი საშუალებაა, რადგან სწორედ სუსტი კავშირები ქმნიან რესურსების გაცვლა-გამოცვლის არხებს შედარებით ჩაკეტილ ქვეჯგუფებს შორის.[6] ამრიგად, ინდივიდუალურ დონეზე მაღალი დონის სოციალური კაპიტალის წყაროდ არაზედმეტი და სუსტი კავშირების სიჭარბე უნდა ჩაითვალოს.

დამოუკიდებლობის მშენებლობის პროცესში მყოფ ქართულ სახელმწიფოს მემკვიდრეობით მეტ-ნაკლებად ჩაკეტილ ჯგუფებად ორგანიზებული საზოგადოება ერგო. პოლიტიკური ელიტა და საზოგადოების სხვა ჯგუფები, მეტწილად, ჩაკეტილ, თვითკმარ ერთეულებს წარმოადგენდა. ჯგუფებს შიგნით კავშირები ძლიერი იყო და, უმეტესად, ვალდებულებით (ნათესაურ ან სხვა სახის ძლიერ კავშირებს) ძაფებს ემყარებოდა. პოლიტიკური ელიტის ქსელი იერარქიულად იყო ორგანიზებული და კიბის სათავეში მდგომი აქტორები ქვემდგომებს რესურსებს უწილადებდნენ, სამაგიეროდ, ლოიალობას იღებდნენ. ფორმალური ინსტიტუტებისადმი საზოგადოების გაუცხოებამ არაფორმალური ქსელების გაძლიერებას შეუწყო ხელი. მაგრამ, რადგან საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფერო ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ კონტროლდებოდა, არაფორმალური კავშირების საშუალებით ფართომასშტაბიანი არასახელმწიფო ქსელის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდებოდა. შედეგად, საზოგადოება ძლიერ კავშირებზე დამყარებულ წვრილ-წვრილ არაფორმალურ ჯგუფებად დაიქსელა. ჯგუფთაშორისი კავშირების შეზღუდულობა (სუსტი კავშირების ნაკლებობა) ხელს უშლიდა ქსელში არსებული ინფორმაციისა და ინოვაციების გაცვლა-გამოცვლას და რესურსების მობილიზაციას. ამგვარ საზოგადოებაში განზოგადებული ნდობის ჩამოყალიბება ბრკოლდება, რადგან სოციალური კაპიტალის წარმოება არ ხდება. რასაკვირველია, ჯგუფებს შიგნით ცალკეულ აქტორებს სხვებზე მეტ სტრუქტურულ ნაპრალზე მიუწვდებოდათ ხელი, მაგრამ ასეთი აქტორების ძალაუფლება ჯგუფებს გარეთ ძნელად თუ გავრცელდებოდა.

დამოუკიდებლობის პერიოდის ძირითადი სარგებელი ის იყო, რომ გახშირდა სუსტი კავშირები, რამაც ინფორმაციისა და რესურსების ჯგუფთაშორისი გაცვლა გაადვილა. მართალია, ტოტალიტარული სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის მოშლამ საზოგადოებაში ერთხანს ქაოსი გამოიწვია, მაგრამ ქსელები მალე ახალი მიმართულებით გადა-

ლაგდა. საზღვრების გახსნამ, სამოქალაქო სექტორისა და კერძო ბიზნესის განვითარებამ მოამრავლა ჰორიზონტალური კავშირები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე, რაც სოციალური კაპიტალის ზრდის საფუძველი შეიქნა. სწორედ სოციალური კაპიტალის დონე არის, ჩემი აზრით, მთავარი ცვლადი, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობაში წარმატებებსა და წარუმატებლობებს აგვისხნის. ამავე დროს, მზარდი სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს საზოგადოების მოქნილობას ცვალებად გარემო პირობებზე რეაგირების თვალსაზრისით.

რაც შეეხება ჯერ კიდევ მისაღწევ შედეგებს, ასეთად მიმაჩნია პოლიტიკური ელიტის სტრუქტურული აგებულების მემკვიდრეობის შენარჩუნება. სახელისუფლო ელიტა, ბოლო 15 წლის მანძილზე ძველებურად ძლიერი, ვალდებულებითი კავშირებით იყო შეკრული. ვერ ჩამოყალიბდა სახელმწიფოს ბიუროკრატია, რომელიც თავის ქმედებებისას მხოლოდ კანონს და მიღებულ თამაშის წესებს დაეყრდნობა და არა სოციალურ ქსელებს. თუმცა, ახლანდელი პოლიტიკური ელიტა შედარებით უფრო მეტ აქტორს მოიცავს, ვიდრე ადრინდელი ელიტები. ამჟამად პოლიტიკურ ელიტას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან პროპორციულად მეტი სტრუქტურული ნაპრალი აკავშირებს, ვიდრე თავად ამ ჯგუფებს ერთმანეთთან. ეს კი შესაძლებლობას იძლევა, რომ ელიტის აქტორებმა მრავალფეროვანი რესურსების გაცვლა-გამოცვლა აკონტროლონ.

საქართველოს პოლიტიკურ პროცესებზე სწორედ ეს ორი ქსელური მახასიათებელი ახდენს ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას: საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის შედარებით მაღალი დონე კოლექტიური ქმედების დილემების დაძლევის შესაძლებლობას ბადებს და ქმედითი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას უქმნის საფუძველს. მაგრამ მმართველი ელიტის შიგნით სტრუქტურული ნაპრალების სიჭარბე სოციალურ კაპიტალს თავისკენ ექაჩება. შედეგად, ხელისუფლებას შეუძლია რესურსების მობილიზაცია, რათა კოლექტიური ქმედებების საკუთარი შეხედულების მიხედვით წარმართოს, ხელისუფლების გარეთ მყოფებისათვის კი ეს გაძნელებულია. ამით შეიძლება აიხსნას, რომ ინსტიტუტების მშენებლობისას ხელისუფლებაში მყოფები ნაკლებად გრძნობენ იმის საჭიროებას, რომ საზოგადოების დაინტერესებული ჯგუფების ინტერესები გაითვალისწინონ.

სიმბოლური კაპიტალის სიიაფე

გამსახურდიას პოლიტიკური პროგრამა შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც საზოგადოების კონსოლიდაციისა და დაუმორჩილებლობის გზით დამოუკიდებლობის მოპოვება. საზოგადოების კონსოლიდაციის საუკეთესო საშუალებად გამსახურდიას ეროვნული სიმბოლოების რიტორიკა მიაჩნდა. მისი ძალაუფლების წყაროც სიმბოლოებში უნდა ვეძებოთ; ადამიანები, რომელთათვისაც ეს სიმბოლოები მნიშვნელობის მქონე იყო, მას ერის წინამძღოლად მიიჩნევდნენ. სოციალიზმის შემდეგ პირველი არჩეული ხელისუფლების პერიოდში საინტერესო ჰიპოთეზის შემოწმება მოხდა: თუ როგორ რეაგირებდა ქართველი ამომრჩეველი სიმბოლური კაპიტალით მდიდარ პოლიტიკოსზე. ამ ჰიპოთეზაზე დადებითი პასუხი გახდა გამსახურდიას რეჟიმის ყველაზე დიდი მიღწევაც და გამოწვევაც: ერთი მხრივ, მან შეძლო საზოგადოების დიდი ნაწილი ხანმოკლე ვადით მენტალურ ქსელად გაეერთიანებინა, მაგრამ, მეორე მხრივ, მან ვერ მოახერხა მობილიზებული სიმბოლური რესურსების მატერიალურ რესურსებად გარდაქმნა.

ამრიგად, გამსახურდიას პერიოდის დასახასიათებლად ყველაზე მნიშვნელოვანი დამოკიდებული ცვლადია საზოგადოების კონსოლიდაცია. დამოუკიდებელი ცვლადებიდან მნიშვნელოვანია საზოგადოების ჯგუფებს შორის გაბმული ძაფების (ურთიერთობების) სიძლიერე და გადაფარვადობა. სავარაუდოა, რომ ჯგუფების გადაფარვადობის მაჩვენებელი და ჯგუფებს შორის სუსტი კავშირების პროპორციის ზრდა საზოგადოების კონსოლიდაციაზე დადებით გავლენას ახდენს. მეორე მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ცვლადია პოლიტიკის თანამიმდევრულობის მაჩვენებელი, რომლისათვისაც სავარაუდოა კონსოლიდაციის მაჩვენებელზე დადებითი გავლენის მოხდენა.

პატარ-პატარა ქსელების საარჩევნო ყუთთან გაერთიანებამ და წინააღმდეგობის გარეშე კომუნისტური ხელისუფლების გაუჩინარებამ გამსახურდიას საზოგადოების კონსოლიდაციის შესაძლებლობის ილუზია შეუქმნა, ხოლო ილუზიის დამსხვრევამ მას განსხვავებული აზრის შეუწყნარებლობისა და ნაციონალიზმისაკენ უბიძგა. მისმა ხელისუფლებამ არა მარტო მძიმე ინსტიტუციური მემკვიდრეობა, არამედ პოლიტიკური ელიტის ორგანიზების სტრუქტურაც მიიღო – სახელისუფლო ელიტა ვალდებულებითი კავშირებით შეკრულ იერარქიულ ქსელად დარჩა. თუ კომუნისტების დროს ვალდებულებით კავშირებში მთავარი იყო ერთგულების გადაცვლა მატერიალურ სარგებელზე, გამსახურდიას მმართვე-

ლობისას ჯილდომაც და სანქციამაც სიმბოლური ხასიათი მიიღო: ერთგული პატრიოტის რეპუტაციით ჯილდოვდებოდა, ხოლო მოწინააღმდეგე – სუკის აგენტის.

გამსახურდიას რეჟიმი, როგორც პოლიტიკური ქსელი, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც პირამიდა, რომლის წვერში სიმბოლური კაპიტალით მდიდარი ადამიანი იდგა, ხოლო პირამიდის შუაში და ძირში არც ადამიანური კაპიტალი მოიპოვებოდა და არც სოციალური. ხელისუფლების ძირითადი სისუსტე სწორედ მის სტრუქტურულ აგებულებაში უნდა ვეძიოთ; საზოგადოების სხვა ჯგუფებთან სუსტი კავშირების გამოუყენებლობამ და აქტორების მიერ სტრუქტურული ნაპრალების აუთვისებლობამ იგი ინფორმაციულ იზოლაციაში მოაქცია, რაც მალე ფიზიკურ იზოლაციად იქცა. რასაკვირველია, გამსახურდიას ხელისუფლებაში მრავალი სოციალური ჯგუფის წარმომადგენელმა მოიყარა თავი. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ხელისუფლებაში მოხვედრილი აქტორები საკუთარი ჯგუფების მარგინალური წევრები იყვნენ. შედეგად, რომელიმე ჯგუფის წარმომადგენლის გამსახურდიას წრეში მოხვედრა ხელისუფლებისათვის ამ ჯგუფის რესურსების დაკარგვას უფრო ნიშნავდა, ვიდრე მოპოვებას.

გამსახურდიას ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა კავშირისაგან მოწყვეტა საკმარისი პირობა იყო. პოლიტიკური დამოუკიდებლობის ეკონომიკური შედეგები და სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის აუცილებლობა საერთოდ არ იყო გააზრებული. ეს კარგად გამოჩნდა საჯარო პოლიტიკის არათანმიმდევრულობაში. მაგალითად, ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელი იყო საბჭოთა წყობილებასთან დაპირისპირება და 1991 წლის აგვისტოს პუტჩის მიმართ საკმაოდ რბილი პოზიციის დაკავება. იგივე შეიძლება ითქვას თვითმმართველობის ჩამოყალიბებასა და მოგვიანებით ადგილობრივი ავტონომიის პრეფექტის ინსტიტუტით შეზღუდვაზე. ასევე არათანმიმდევრული იყო ძლიერი ნაციონალისტური რიტორიკის ფონზე აფხაზეთის მიმართ დამთმობი პოლიტიკა, როცა აფხაზეთის წარმომადგენლობითი ორგანო ეთნიკური კვოტების მიხედვით აირჩა. თუმცა, მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისი იყო, როცა პოლიტიკა სიმბოლოებს კი არ დაეფუძნა, არამედ – რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე კომპრომისს. ამ შეთანხმებამ არა მარტო ეთნიკური კონფლიქტი ჩააწყნარა, არამედ ზიარი ძალაუფლების ინსტიტუციური ინოვაციაც შემოიტანა საქართველოში.[7]

ძნელია ითქვას, გაცნობიერებული იყო თუ არა „სუსტი კავშირების სიძლიერის“ თეზისი, მაგრამ სავარაუდოა, რომ 1991-92 წლების გადატრიალების წარმატება ჯგუფთაშორის ჰორიზონტალურმა კავშირებმა განაპირობა. აჯანყებულთა და მათ მხარდამჭერთა რიგში ნახავდით სრულიად განსხვავებული ჯგუფის წარმომადგენლებს, რომელთაგან ზოგი ძველ კომუნისტურ ელიტას ეკუთვნოდა, ზოგი – ეროვნულს, ზოგიც – კრიმინალურს. ამასთან, გამსახურდიას მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩენილი აქტორები საკუთარი ჯგუფების ლიდერებს წარმოადგენდნენ. მათ შორის ჰორიზონტალური კავშირების დამყარება, რომელიც ურთიერთდახმარებას ეფუძნებოდა და არა ურთიერთვალდებულებას, ჯგუფებს შორის კავშირების გაბმასაც ნიშნავდა. თუ დეკემბერ-იანვრის გადატრიალებას ორი სხვადასხვაგვარად ორგანიზებული ქსელის შეჯიბრად მივიჩნევთ, ნათლად გამოჩნდება იერარქიული, ერთცენტრიანი ქსელის არაკონკურენტუნარიანობა. საკმარისი იყო ცენტრალიზებული ქსელის ძირითადი კვანძის იზოლირება, რომ მის ირგვლივ შემოკრებილ აქტორებს შორის ძლიერი კავშირების დაწყვეტა მომხდარიყო. შედეგად დარჩა პირველი პრეზიდენტის მხარდამჭერთაგან შედგენილი ერთმანეთისაგან იზოლირებული რამდენიმე მიკროქსელი, რომელთაგან ზოგი თანდათან შეერწყა სხვა პოლიტიკურ მოძრაობებს, ზოგი დაიშალა, ზოგიც დღემდე არსებობს.

დაუბალანსებელი ბალანსი

შევარდნაძის ხელისუფლების შეფასება ორგვარად შეიძლება. თუ მას წინა რეჟიმს შევადარებთ, მრავალი წარმატება მოგვხვდება თვალში, როგორიცაა ქვეყანაში სამართალდაცვის გაუმჯობესება, ეკონომიკური ვარდნის შეჩერება, რეფორმების დაწყება, ქვეყნის საერთაშორისო თანამეგობრობაში სრულუფლებიან წევრად ჩართვა და სხვა. მაგრამ თუ ხელისუფლებას შევაფასებთ საზოგადოების მოლოდინებთან და ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებთან მიმართებაში, წარმატებებს წარუმატებლობა გადაწონის.

შევარდნაძის ხელისუფლების შეფასებისას აუცილებელია, სულ ცოტა, ორი პერიოდის ერთმანეთისაგან განცალკევება, რადგან რეჟიმს სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი. 1992-1995 წლებში შევარდნაძის ძირითადი ამოცანა ძალაუფლების საკუთარ ხელში კონცენტრაცია იყო. ამიტომ ამ პერიოდის შესაფასებლად ძირითად დამოკიდებულ ცვლადს ძალაუფლების ცენტრალიზაცია წარ-

მოადგენს, ხოლო დამოუკიდებელ ცვლადებს – საზოგადოების ელიტებს შიგნით არსებული კავშირების ტიპები. შევარდნაძეს მუშაობის დაწყება მოუხდა საზოგადოებაში, რომელიც უკვე არა მარტო ძლიერი კავშირებით შეკრული მცირე ჯგუფებისაგან შედგებოდა, არამედ დაპირისპირებული ჯგუფებისგანაც. შევარდნაძემ დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის „ბროკერის“ როლი იტვირთა და წარმატებით შეასრულა კიდეც. საზოგადოების ჯგუფებს შორის ურთიერთობების გზა შევარდნაძეზე გადიოდა, რამაც მას სტრუქტურულ ნაპრალებზე ექსკლუზიური ხელმისაწვდომობა მოუპოვა.[8] ეს ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო გაზარდა მრავალცენტრიანი ხელისუფლების კვანძების (კიტოვანი, იოსელიანი, სიგუა) იზოლაციამ. პოლიტიკური ქსელი კვლავ ვალდებულებითი კავშირებით შეკრული აღმოჩნდა, მაგრამ შეიცვალა აქტორებს შორის გაცვლის ობიექტი: მმართველი ელიტის წევრებს, რომელთაგან ბევრი პოლიტიკური კარიერის საწყის საფეხურზე იდგა, პოლიტიკური აქტივობისას შევარდნაძის რეპუტაციის გამოყენება შეეძლოთ, სანაცვლოდ კი ერთგულება არჩევნების დროს ხმების მოზიდვით უნდა დაედასტურებინათ. რესურსების ასეთი მანკიერი გაცვლის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს შევარდნაძის პერიოდში ჩატარებული რამდენიმე არჩევნების გაყალბება წარმოადგენს. სხვათა შორის, ჩემი აზრით, არჩევნების გაყალბების პრაქტიკა მაშინდელი პოლიტიკური ქსელის სტრუქტურული მახასიათებლებით უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე ბიუროკრატიის მიერ ადმინისტრაციული რესურსების თვითნებური გამოყენებით.

შევარდნაძის რეჟიმის მეორე ეტაპის (1996-2003) წარმატებებისა და წარუმატებლობების შეფასება საინტერესოა ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ფონზე. გარდამავალ საფეხურზე მყოფი სახელმწიფო ორი ძირითადი გამოწვევის წინაშე დგას: ბიზნესი სახელმწიფოს ზეწოლისაგან გაათავისუფლოს და თავად არ მოექცეს კერძო ინტერესების გავლენის ქვეშ.[9] ამრიგად, შევარდნაძის ხელისუფლების შეფასებისას დამოკიდებულ ცვლადებად გამოდგება ეკონომიკის თავისუფლების ხარისხი და ე.წ. „სახელმწიფოს მიტაცების“ მაჩვენებელი.[10] რაც შეეხება დამოუკიდებელ ცვლადებს, ისინი სახელმწიფო-კერძო აქტორებს შორის კავშირების სტრუქტურაში უნდა მოინახოს.

შევარდნაძის ხელისუფლებას, ერთი მხრივ, შეეზარდა მსხვილი ბიზნეს-ინტერესები, მეორე მხრივ, წვრილი ბიზნესი სახელმწიფოს მარ-

წუხებში მოექცა. ამგვარი მდგომარეობა მანკიერი წრის საფუძველი გახდა: მტაცებლური სახელმწიფოსგან თავის დასაღწევად ბიზნესი მზად იყო, ქრთამი გადაეხადა და საგადასახადო შეღავათი მიეღო, რაც ბიუჯეტის ნაკლებ შემოსავლებს და შეუსრულებელ სოციალურ ვალდებულებებს ნიშნავდა; ეს ყველაფერი კი სახელმწიფოს ახალი მტაცებლური პოლიტიკისაკენ უბიძგებდა. მსხვილი ბიზნესის დაწყებისა და წარმატების მთავარი წინაპირობა პოლიტიკური ელიტის ან სახელმწიფო ბიუროკრატიის წევრობა იყო. მსხვილი ბიზნესი ჩინოვნიკებისაგან შეღავათიან პირობებს „ყიდულობდა", ხოლო ხელისუფლება ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობაზე თვალს ხუჭავდა ერთგულების სანაცვლოდ. ამგვარი ურთიერთობებით აგებული ბიზნესი არაფრით განსხვავდებოდა ცენტრალიზებული სახელისუფლო ქსელისაგან, სადაც პირამიდის თავში მდგომი აქტორი რესურსების განაწილებას მართავდა.

მმართველი გუნდის სტრუქტურა, ასევე ნეგატიურ გავლენას ახდენდა სახელმწიფოსა და კერძო ინტერესებს შორის ურთიერთობებზე. შევარდნაძის გუნდში ერთიანობა, ალბათ, არც არასდროს ყოფილა. თავად პრეზიდენტს ხელისუფლებაში რაც შეიძლება მეტხანს დარჩენა ჰქონდა მიზნად, ხოლო მისი გუნდის ახალგაზრდა წევრებს – შევარდნაძის სახელის გამოყენებით თვითდამკვიდრება და მემკვიდრეობის გადაბარება. მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ ხელისუფლების მათთვის გადაბარებას არავინ აპირებდა. პრეზიდენტი სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ბიზნეს-დაჯგუფებასთან ბალანსის პოლიტიკას ატარებდა და, ალბათ, იმაზე ზრუნავდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე, თუ პრეზიდენტად არა, ქვეყნის არაფორმალურ ლიდერად მაინც დარჩენილიყო.

ხელისუფლების ახალი თაობის წარმომადგენლებმა კარგად შეამჩნიეს, რომ შევარდნაძესთან კონკურენცია მმართველი ელიტის შიგნით სტრუქტურული ნაპრალების დასაკავებლად უთანასწორო და წარუმატებლობისთვის განწირული იყო. ამიტომ ახალი კავშირების გაბმა იქ დაიწყეს, სადაც შევარდნაძის თვალსაწიერი, მისი წარსულიდან გამომდინარე, მათ ვერ მისწვდებოდა; ასეთი იყო საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი და მედია-კომპანიები. ამ სტრუქტურული ნაპრალების ათვისება შევარდნაძეზე მეტი სოციალური კაპიტალის დასაგროვებლად მეტად რაციონალური გათვლა გამოდგა, რადგან იგი ორმხრივ ინტერესებს ემსახურებოდა. მედია და არასამთავრობო სექტორი ახალგაზრდა პოლიტიკოსებს

ამომრჩევლებთან მიახლოების შესაძლებლობას აძლევდა. თავის მხრივ, არასამთავრობოები და მედიაც მტაცებლური სახელმწიფოსაგან თავის დასაცავად ხელისუფლებაში მხარდამჭერების ყოლით იყვნენ დაინტერესებულნი. ორმხრივ ინტერესებზე აგებული ალიანსი საკმაოდ მტკიცე გამოდგა და ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის საფუძველი გახდა.

„სოციალური კაპიტალისტების“ რევოლუცია

2003 წლის ნოემბრის არჩევნებში ერთმანეთს არა იმდენად ორი პოლიტიკური პროგრამა, რამდენადაც ორი სხვადასხვა სტრუქტურის პოლიტიკური ქსელი დაუპირისპირდა. შევარდნაძის ირგვლივ შეგროვილი პოლიტიკური ელიტა, როგორც უკვე ითქვა, ურთიერთვალდებულებითი მტკიცე კავშირებით შეკრული და იერარქიულად ორგანიზებული იყო. ამგვარი სისტემა მოწყვლადია, რადგან ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხის გამო პირამიდის წვერის მოშლა ვალდებულებებისაგან თავის დაღწევის სტიმულს ქმნის და ქსელის დესტაბილიზაციას იწვევს. შევარდნაძის მეტოქე პოლიტიკური ქსელი მრავალცენტრიანობითა და ჰორიზონტალური კავშირების სიმტკიცით ხასიათდებოდა, რამაც მას სტაბილურობა შესძინა. ქსელის აქტორთა მრავალფეროვნებამ (საერთაშორისო აქტორები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მედია-ჯგუფები, ბიზნესის წარმომადგენლები) რესურსებისა და იდეების მრავალფეროვნება განაპირობა. ქსელის ეგალიტარულობამ გააიოლა ერთიანი მიზნის მისაღწევად რესურსების მობილიზაციაც.

რევოლუციის ორგანიზატორი პოლიტიკური ძალების წარმატების კიდევ ერთი ფაქტორია ლიდერების სოციალური კაპიტალი, რამაც პოლიტიკოსებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის ნდობა და ურთიერთდახმარების ნორმები ჩამოაყალიბა. სამოქალაქო ორგანიზაციები 2003 წლის ნოემბრის მოვლენებისას მიკრომობილიზაციის მამოძრავებელი ძალები შეიქნენ. შევარდნაძის ხელისუფლების რეალურად არსებულ ნაკლოვანებებს მედიის ეფექტური კამპანიები დაემატა და არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტი სოციალურად მისაღები გახდა (თუმცა უამისობა საქართველოში არც არასოდეს ყოფილა).

ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ რეჟიმში ორივე წინამორბედი რეჟიმის დადებითი და უარყოფითი ნიშან-

თვისებების ამოცნობა შეიძლება. საზოგადოების კონსოლიდაციისაკენ სწრაფვა, საკანონმდებლო თვითნებობა და ნაციონალისტური რიტორიკა არსებულ ხელისუფლებას გამსახურდიას რეჟიმს ამსგავსებს, ხოლო მოსახლეობის ლოიალობის არათანმიმდევრული პოლიტიკით მოპოვების მცდელობები – შევარდნაძის რეჟიმს. მაგრამ წინა რეჟიმებისაგან ძირითადი განსხვავება ის არის, რომ ახლანდელ ხელისუფლებას, ძირითადად, მტკიცედ აქვს არჩეული მემარჯვენე კურსი. ხელისუფლების მიერ, ფაქტობრივ, ახლა ხორციელდება ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსის" ათი პრინციპი, რომელსაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მთელი ათწლეულის მანძილზე გვიქადაგებდნენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.[11] ამრიგად, პრივატიზაცია, სტრატეგიულ სფეროებში ინვესტიციები, ბიუჯეტის დაბალანსება და ექსპორტზე ორიენტაცია ის ძირითადი პრინციპებია, რასაც ჯერ კიდევ ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საფუძვლად მიიჩნევდნენ ნეოლიბერალი ეკონომისტები. მაგრამ ნეოლიბერალები საბაზრო ეკონომიკის მხარდამჭერი ინსტიტუტების მიმართ არასერიოზული დამოკიდებულებისათვის არაერთხელ გაუკრიტიკებიათ.[12]

ახალმა ხელისუფლებამ გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოს ზემოხსენებული ორი გამოწვევიდან ერთს არცთუ სამართლიანი, მაგრამ ეფექტური პასუხი გასცა – სახელმწიფოსთან შეზრდილ ბიზნესს ბიუჯეტის ვალები აზღვევინა და ხშირ შემთხვევაში ქონების დათმობის ფასად თავისუფლება აყიდვინა. მაგრამ ეკონომიკის რეგულირებისაგან თავის არიდება მარეგულირებელი ინსტიტუტების კორუმპირებულობის მომიზეზებით, მაგალითად, ანტიმონოპოლიური ინსტიტუტის გაუქმება გრძელვადიან პერიოდში, იმის ალბათობას ზრდის, რომ სახელმწიფო კერძო ინტერესების გავლენის ქვეშ მოექცევა. ამავე დროს, კვლავ პრობლემურია ბიზნესის სახელმწიფოს მარწუხებიდან გათავისუფლების საკითხი, რისი სიმპტომებიც მრავლად მოინახება: ფინანსური პოლიციის თავნებობა, კერძო ინვესტორების ქონების დაუსაბუთებელი განადგურება და, რაც ყველაზე საშიშია, კერძო საკუთრების უფლების გადასინჯვის მცდელობები.

ზოგადად, რეფორმების სწრაფი დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით, სააკაშვილის ხელისუფლება ძალიან წარმატებულია. მაგალითად გამოდგება ეკონომიკის ლიბერალიზაციისაკენ მიმართული რეფორმები, განათლების რეფორმა, სამართალდამცავ ორგანოებში კორუფციის შემცირება. სახელმწიფო ინსტიტუტების ქმედითობის შესა-

ფასებლად წარმატებული ტესტი გამოდგა აჭარისა და კოდორის ხეობის კრიზისები. მაგრამ ხელისუფლებამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა დამოუკიდებელი სასამართლოს სისტემის აშენება, რომლის გარეშეც კერძო სექტორის განვითარება ძალიან გაჭირდება. მეორე ხარვეზი პოლიტიკის შემუშავების სტილს უკავშირდება: რეფორმების მიმართულება ვიწრო პოლიტიკური წრის მიერ მუშავდება და საზოგადოების დაინტერესებული ჯგუფების განხილვის საგანი არ ხდება. ის, რომ ხელისუფლებასთან შეზრდილია სამოქალაქო სექტორის ნაწილი, საზოგადოებრივი მონაწილეობის საკმარის დონედ მიიჩნევა.

წყვეტილი წონასწორობა

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფოს ინსტიტუციური განვითარება წყვეტილი წონასწორობის ლოგიკით ვითარდება – ინსტიტუტების მუშაობის სტაბილურ პერიოდებს უეცარი მღელვარება და ხელისუფლების არასაარჩევნო გზით შეცვლა მოსდევს, რასაც ახალი ინსტიტუციური მოწყობა მოჰყვება ხოლმე.[13] ამჟამად არსებულ ინსტიტუციურ სისტემას, ერთი შეხედვით, ასეთი ბედი არ ემუქრება. მის სტაბილურობას რამდენიმე წყარო აქვს: მოსახლეობის მხარდაჭერა სააკაშვილს საშუალებას აძლევს მმართველ ძალაში არსებული მცირე დაპირისპირებები უმტკივნეულოდ მოაგვაროს, ძირითადად, „ურჩთა“ ხელისუფლებისაგან ჩამოშორების გზით. ხელისუფლების ობიექტური წარმატებები (განსაკუთრებით, წინა ხელისუფლების ქმედებების ფონზე) და ოპოზიციის მიერ კამპანიის მომგებიანად წარმართვის უუნარობა ამ მხარდაჭერის დამატებითი მასაზრდოებელია. მოქმედი სისტემის სტაბილურობის კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორი საქართველოს ამომრჩევლის პოლიტიკური კულტურაა, რომელიც ჯერ კიდევ განუვითარებელია საიმისოდ, რომ შეთქმულების თეორიები არ დაიჯეროს. შედეგად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ჩრდილოელი მეზობლის ინტრიგებზე საკადრისი პასუხის რიტორიკა ისევ მომგებიანად რჩება.

ახლანდელი ოპოზიციური პარტიების ინსტიტუციური სისუსტის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სოციალური კაპიტალის სიმწირეა, ხოლო ამ სიმწირეს ჯგუფთაშორისი კავშირების შეზღუდულობა განაპირობებს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ მცირე ზომის საზოგადოებაში სასრული რაოდენობის სტრუქტურული ნაპრალი არსებობს, რაც, ძირითადად, ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ არის ათვისებუ-

ლი. ოპოზიციაში სოციალური კაპიტალის წარმოების კარგი საშუალება განმეორებითი და მრავალმხრივი სოციალური ურთიერთობები იქნებოდა. მაგრამ, ამგვარი ურთიერთობების შედეგად უკვე ჩამოყალიბდა დღევანდელი მმართველი ელიტა. ახალი ძაფების გაბმას კი ახალი ჯგუფების ორგანიზება სჭირდება, მაგრამ ეს ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცესია.

ამჟამად ოპოზიციისათვის ყველაზე რეალურად გამოიყურება ხელისუფლების პოლიტიკის შედეგებზე ყურადღების გამახვილება; ანუ, ოპოზიციამ ამომრჩეველს კონკრეტული პროგრამების ეფექტიანობის ანალიზი უნდა შესთავაზოს, ხარვეზები გამოავლინოს და უკეთესი განხორციელების გზები დასახოს. როცა ხელისუფლება ხალხს ეუბნება, რამდენი თანხა დაიხარჯა ცალკეული პროგრამის განხორციელებაზე, ოპოზიციამ თანხების ხარჯვის ეფექტიანობა უნდა შეაფასოს და შესაბამისი კამპანია წარმართოს. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულების წარმატებას სულ ცოტა ორი წინაპირობა სჭირდება: პირველია დამოუკიდებელი, ისე პარტიებთან ასოცირებული „ვონთსაცავების“ (Think Tanks) არსებობა, რომლებიც პოლიტიკურ ჯგუფებს პოლიტიკის ანალიზში დაეხმარებიან. მეორე, ამომრჩევლის პოლიტიკური კულტურა, რომელიც შედარებით აკადემიურ პოლიტიკურ დებატებს უნდა გუობდეს. ამ წინაპირობების არარსებობა ოპოზიციის შეზღუდული კონკურენტუნარიანობის კიდევ ერთი მიზეზია.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ საქართველო დომინანტური პარტიული სისტემის ჩამოყალიბების გზით მიდის, მაგრამ რამდენიმე ფაქტორი მავარაუდებინებს, რომ ოპოზიციის მოძლიერება მაინც მოსალოდნელია. საქართველოს საგარეო ორიენტაცია ქვეყანაში ყველაზე ნაკლებ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. შორს არ არის ის დრო, როცა რუსეთთან ურთიერთობაც ნაკლებად აქტუალური გახდება პოლიტიკური დებატებისათვის. ამიტომ ოპოზიციას, არსებითად, საშინაო პოლიტიკურ ასპარეზზე მოუწევს ახალი გზავნილების ძიება. ახლანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება კორუფციის შემცირებაა, ამიტომ ძნელია ამ ლოზუნგით ოპოზიციამ წარმატებაზე იფიქროს. ხელისუფლება ახერხებს, არც ეროვნული თვითმყოფადობა შელახოს და არც ადამიანის უფლებების დარღვევას მისცეს მასიური სახე. ოპოზიციისათვის შედარებით მომგებიანად გამოიყურება სოციალურ უფლებათა დაცვაზე ორიენტაცია, მით უმეტეს, რომ მასიურ პრივატიზაციას, საჯარო სამსახურის შემცირებას, უცხო-

ური ინვესტიციების მოძალებას და სახელმწიფოს როლის შეკვეცას მოსალოდნელია, სოციალური უკმაყოფილების ზრდა მოჰყვეს. ეს გაზრდის მემარცხენე ტიპის პარტიებზე მოთხოვნას პოლიტიკურ ბაზარზე, ხოლო თუ ამომრჩევლის მხრიდან მოთხოვნა იქნება, მიმწოდებელი ყოველთვის მოინახება. მაგრამ აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართული პოლიტიკური კულტურა ეგალიტარიზმით არ გამოირჩევა და სოციალურ საკითხებზე ორიენტირებული გზავნილის წარმატება მხოლოდ მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, თუ ქონებრივი უთანასწორობა უკიდურეს ზღვარს მიაღწევს.

ვთქვათ, მემარცხენე ორიენტაციის პარტიაზე მოთხოვნა გაჩნდა, საიდან მოხდება ახალი პოლიტიკური ძალის მიწოდება? სავარაუდოა, რომ პრეზიდენტის მეორე ვადის დასასრულისთვის ოპოზიციური ძალა არსებული სახელისუფლო ელიტიდან ამოიზარდოს. ეს ვარაუდი ორ დაკვირვებას ემყარება: პირველია მმართველი პარტიის გახლეჩის ინსტიტუციური მემკვიდრეობა, რასაც ემატება პრეზიდენტის პიროვნული თვისებები. მისი გუნდის მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი მოთამაშეების მოშორების ტრადიციამ შეუძლებელია პარტიის შიგნით ბზარი არ გააჩინოს. ბოლოს და ბოლოს, ამგვარი პოლიტიკით პარტიის მიერ წლობით ნაგროვები სოციალური კაპიტალი პარტიის გარეთ შეიძლება აღმოჩნდეს. მეორე ფაქტორია მმართველი ქსელის სტრუქტურა, რომელიც „მცირე სამყაროს“ მოდელის მსგავსად არის აგებული. „მცირე სამყარო“ გულისხმობს, რომ პოლიტიკურ სივრცეში ნებისმიერი ორი ინდივიდის ერთმანეთთან დაკავშირება არა თუ შესაძლებელია, არამედ სასრული რაოდენობის ბიჯით არის შესაძლებელი. ამის ერთ-ერთ მიზეზად ის მოინახა, რომ შეზღუდული რაოდენობის აქტორებს უამრავი კავშირი აქვთ, ხოლო აქტორების უმეტესობას, მხოლოდ რამდენიმე კავშირი მოეძებნებათ. ამის გამო, კავშირების დიდი რაოდენობის მქონე კვანძთან დაკავშირებისას იზრდება სასურველ აქტორთან დაკავშირების ალბათობა. პოლიტიკური პროცესისათვის ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ, როგორც ქსელური თეორეტიკოსები ამბობენ, „მდიდარი უფრო მდიდრდება, ხოლო ღარიბი ღატაკდება“, ანუ მნიშვნელოვანი რაოდენობის კავშირების მქონე კვანძი კიდევ მეტ კავშირებს იძენს და სხვებისაგან კიდევ უფრო მეტად განისხვავებს თავს.[14]

თუ მმართველ პარტიას „მცირე სამყაროს“ მსგავს ქსელად წარმოვიდგენთ, აღმოჩნდება, რომ ქსელის რამდენიმე აქტორს თანაბრად მი-

უწვდება ხელი სტრუქტურულ ნაპრალებზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. რასაკვირველია, გამონაკლისია პრეზიდენტი, რომლის სტრუქტურული პოზიცია სხვებისაგან შეუდარებლად მომგებიანია, მაგრამ, რადგან ვუშვებ, რომ მეორე ვადის დასასრული მისი ფორმალური ხელისუფლების დასასრულიცაა, ამიტომ მმართველი პარტიის ქსელს ამ მნიშვნელოვანი აქტორის გარეშე განვიხილავ. მრავალცენტრიანი ქსელის ლოგიკის თანახმად, სტრუქტურული ნაპრალებით მდიდარი აქტორების მიერ დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მეტი ურთიერთობითი ძაფი დაგროვდება. მოსალოდნელია, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობის დასასრულს პოლიტიკურ ელიტაში რამდენიმე თანაბრად კონკურენტუნარიანი კვანძი აღმოჩნდეს. ნატო-სთან და ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავება, ალბათ, იმას განაპირობებს, რომ გარე აქტორები ახალი რევოლუციის მხარდამჭერები ვერ გახდებიან, რაც იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ ახლანდელი მმართველი გუნდის გახლეჩით წარმოქმნილი პოლიტიკური ძალები ერთმანეთის ძალას არჩევნებში გამოცდიან.

საგარეო ფაქტორები

პატარა ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაზე ყოველთვის განსაკუთრებულ გავლენას ახდენს საგარეო ფაქტორები. მით უფრო, თუ ამ ქვეყანას ურთიერთობათა ძაფები მრავალ ქვეყანასთან აქვს გაბმული. საერთაშორისო ფაქტორები საქართველოს შემთხვევაში ორი რიგად შეიძლება დაჯგუფდეს: პირველია ფაქტორები, რომელთა გავლენაც რეალურად საგრძნობია პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებზე. ამგვარ ფაქტორებს განეკუთვნება დასავლეთის განვითარებული დემოკრატიების მიერ გაწეული დახმარება როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის, ისე არასამთავრობო სექტორისა და ბიზნესის განსავითარებლად. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნატო-სთან და ევროკავშირთან თანამშრომლობას, რომელიც ხელისუფლებას რეფორმების გატარების სტიმულებს აძლევს. მაგალითად, სამუდამოდ რომ ევროკავშირის მეზობლად დავრჩეთ, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება სახელმწიფოს მაინც დიდ სარგებელს მოუტანს, რადგან იგი სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებისა და ანგარიშგების მექანიზმების დახვეწისკენ არის მიმართული. ამავე რიგის გავლენაა მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური კრიზისი და ემბარგო, რომლის შედეგებიც ადამიანების

ცხოვრებაზე რეალურად აისახება. მაგრამ ეს უკანასკნელი გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ეკონომიკას დადებითადაც შეიძლება წაადგეს. ახალი ბაზრების მოძიება და ათვისება ეკონომიკას ორმაგ სტიმულს მისცემს: მოხდება წარმოების გამრავალფეროვნება და გააუმჯობესდება ნაწარმის ხარისხი. ეკონომიკის განვითარება გაცილებით მეტ დროს წაიღებდა (თუ საერთოდ მიიღწეოდა), თუ ქვეყანა მხოლოდ ჩრდილოეთის ბაზრის იმედად დარჩებოდა.

მეორე რიგის ფაქტორები წარმოსახვითია და მხოლოდ იმიტომ ახდენს გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე, რომ პოლიტიკურ აქტორებს ასე ჰგონიათ. ამ თვალსაზრისით, „შეძახილმა ხე გაახმო-ს“ პრინციპი პოლიტიკაშიც ისევე მოქმედებს, როგორც ეკონომიკაში – თუ ცუდის მოლოდინი გაქვს, იზრდება ალბათობა, რომ საქმე ცუდად წავა. წარმოსახვითი ფაქტორები მხოლოდ უარყოფითი აზრით არ უნდა გავიგოთ. ამგვარსავე წარმოსახვას მიეკუთვნება მტკიცება, რომ საქართველო დასავლეთში რეფორმების სამოთხედ და დემოკრატიის მოდელად არის აღიარებული. რაოდენ წარმოსახვითიც არ უნდა იყოს ეს ფაქტორი, იგი ეკონომიკურ და პოლიტიკურ აქტორებში დადებით მოლოდინებს აღძრავს, რაც მოლოდინის რეალობად ქცევის ალბათობას ზრდის.

დამოუკიდებლობის 15 წლის მანძილზე საერთაშორისო ფაქტორების გავლენის დინამიკას თუ გავყვებით, ეს გავლენა დახმარების ობიექტიდან პარტნიორობამდე განვითარდა. ადვილი სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში თანამშრომლობა უფრო გაღრმავდება. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება სახელმწიფოს ინსტიტუტებს განვითარებული დემოკრატიის ინსტიტუტებთან უფრო მეტად დაახლოებს. ნატო-სთან თანამშრომლობის გაღრმავება ქვეყნის უსაფრთოების გარანტიებს შექმნის. პროგნოზირებადი პოლიტიკური და საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძალება უნდა მოჰყვეს. ამრიგად, გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელია, რომ პრივატიზებული ქონება სტრატეგიული მფლობელების ხელში აღმოჩნდება, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა. მაგრამ ამისათვის აუცილებელია საინვესტიციო გარემოს კიდევ მეტი ლიბერალიზაცია, საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის დამკვიდრება და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება.

იდეალური ხელისუფლების პრიორიტეტები

დღევანდელი ხელისუფლების ძირითადი პრიორიტეტი მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევაა. მაგრამ ეკონომიკური ზრდის განტოლებაში, რომელიც, სავარაუდოდ, ხელისუფლების ლიდერებს თავში უტრიალებთ, მთელი რიგი გამოტოვებული ცვლადების მონახვა შეიძლება. რასაკვირველია, პრივატიზაცია, საგადასახადო კანონმდებლობის რეფორმა, სამართალდამცავ სისტემაში კორუფციის დაძლევა და განათლების სისტემის მშენებლობა გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. მაგრამ სახელისუფლებო წრეებში მიიჩნევა, რომ წარმატებული რეფორმებისა და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი აღმასრულებელი ხელისუფლების სტაბილურობაა.

ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის გამოცდილება კი საპირისპირო მოვლენაზე მიგვანიშნებს: მდგრად ეკონომიკურ ზრდას სწორედ იმ ქვეყნებმა მიაღწიეს, სადაც პოლიტიკური კონკურენციის მაღალი დონე იყო უზრუნველყოფილი.[15] აქედან გამომდინარე, გრძელვადიანი განვითარებისათვის მთავარ პრიორიტეტად ისეთი ინსტიტუტების შენება უნდა იქცეს, რომლებიც პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონკურენციას უზრუნველყოფენ. ეკონომიკის სფეროში კონკურენციის ხელშემწყობმა ინსტიტუტებმა ასევე უნდა მოთოკონ სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ეკონომიკაში ჩარევის სურვილი. ამავე დროს, კარგი ინსტიტუციური გარემო არა მარტო ეკონომიკაში უნდა უზრუნველყოფდეს კონკურენციას, არამედ პოლიტიკაშიც.

პოლიტიკური კონკურენციის განმტკიცების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ძალაუფლების ვერტიკალური და ჰორიზონტალური დანაწილების უზრუნველყოფა. ჰორიზონტალურ დონეზე გასატარებელია სასამართლოს რეფორმა, რაც მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველსაყოფად. პოლიტიკური კონკურენციის გარემოს გასაუმჯობესებლად აუცილებელია წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლობითობის გაზრდა საარჩევნო ბარიერის დაწევისა და ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედების გზით.

ვერტიკალურ დონეზე მნიშვნელოვანია ფისკალური დეცენტრალიზაცია, რაც ფინანსურად წელგამართული თვითმმართველობების ამოქმედების საშუალებას შექმნის. ფისკალური უფლებამოსილებების მქონე თვითმმართველობები ეკონომიკური განვითარების შედარებით თანაბარ

პირობებს შექმნის, რადგან შეღავათიანი ფისკალური პოლიტიკის მოშველიებით მძიმე სასტარტო პირობებში მყოფ ერთეულებსაც ექნებათ ინვესტიციების მოზიდვის საშუალება. ძლიერი თვითმმართველობა გაზრდის პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობასაც.

გრძელვადიან პერიოდში სამართლიანი კონკურენცია ხელს შეუწყობს აქტორებს შორის ურთიერთობების მრავალჯერადობას და ურთიერთგადაფარვადი ქსელების წარმოქმნას, რაც სოციალური კაპიტალის და ქმედითი სახელმწიფო ინსტიტუტების აშენების წინაპირობებს შექმნის.

შენიშვნები:

[1] Anna Gryzmala-Busse, "Pauline Jones Luong, Reconceptualizing the State: Lessons from Post-Communism", *Politics & Society* 30 (დეკემბერი 2002): 529-554.

[2] ინსტიტუტების ქმედითობასა და სოციალურ კაპიტალს შორის ურთიერთდამოკიდებულებისათვის იტალიის მაგალითზე იხ. რობერტ პატნემი, *როგორ ვამუშაოთ დემოკრატია. სამოქალაქო ტრადიციები თანამედროვე იტალიაში* (თბილისი: ლოგოს პრესი, 2005).

[3] Nan Lin, *Social Capital. A Theory of Social Structure and Action* (Cambridge: Cambridge University Press, 2001).

[4] *რობერტ პატნემი, როგორ ვამუშაოთ დემოკრატია. სამოქალაქო ტრადიციები თანამედროვე იტალიაში* (თბილისი: ლოგოს პრესი, 2005).

[5] მაგალითად, თუ ოთხაქტორიან ქსელში აქტორი A უკავშირდება B, C და D აქტორებს და, ამასთან, ბოლო სამ აქტორს ერთმანეთთან უშუალო კავშირი არ აქვს, მაშინ პირველ აქტორს ქსელში არსებული ინფორმაციისა და რესურსების კონტროლის შესაძლებლობა ეძლევა (მისი სტრუქტურული ნაპრალების მაჩვენებელი სამს უდრის). სტრუქტურული ნაპრალების მნიშვნელობის შესახებ იხ. Ronald S. Burt, *Structural Holes. The Social Structure of Competition* (Cambridge, MA: Harvard University Press, 1992).

[6] Mark Granovetter, The Strength of Weak Ties, *American Journal of Sociology* 78 (1973): 1360-1380.

[7] დანაწევრებულ საზოგადოებებში ინსტიტუციური მოწყობის მოდელებისათვის იხ. Arend Lijphart, *Democracy in Plural Societies: A Comparative Exploration* (New Haven, CT: Yale University Press, 1977).

[8] სოციალურ ქსელებში ბროკერობის ტიპებისათვის იხ. David Knoke, *Political Networks. The Structural Perspective* (Cambridge: Cambridge University Press, 1990), 145. შევარდნაძის როლი ყველაზე მეტად „მეკავშირე ბროკერის" ტიპს ჰგავს, რომელიც გათიშულ სოციალურ ჯგუფებს აკავშირებს და მათ შორის რესურსების მოძრაობას აკონტროლებს.

[9] Laszlo Bruszt, "Market Making as State Making: Constitutions and Economic Development in Post-Communist Eastern Europe", *Constitutional Political Economy* 13 (მარტი 2002): 53-72.

[10] „სახელმწიფოს მიტაცების" მიზეზებისა და ეკონომიკური შედეგებისათვის იხ. Joel S. Hellman, Geraint Jones, Daniel Kaufmann. "Seize the state Seize the Day: An Empirical Analysis of the State Capture and Corruption in Transition", Paper Prepared for the ABCDE 2000 Conference, Washington, DC, April 18th-20th, 2000.

[11] „ვაშინგტონის კონსენსუსის" პრინციპებისა და ისტორიის მიმოხილვისათვის იხ. John Williamson, "The Strange History of the Washington Consensus", *Journal of Post Keynesian Economics* 27, 2 (ზამთარი 2004-05): 195-206.

[12] საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი საფეხურის მიმართ ნეოლიბერალური მიდგომის კრიტიკისათვის იხ. Grzegorz W. Kolodko, "Ten Years of Post-socialist Transition: The Lessons for Policy Reforms". *The World Bank Development Economics Research Group* (აპრილი 1999): 2-27.

[13] წყვეტილი წონასწორობის ცნების გამოყენებისათვის ინსტიტუციური ცვლილებების ასახსნელად იხ. Stephen D. Krasner, "Approaches to the State: Alternative Conceptions and Historical Dynamics", *Comparative Politics* 16 (იანვარი 1984): 223-246, 240.

[14] Duncan J. Watts, *Six Degrees. The Science of A Connected Age* (New York, NY: W.W Norton & Company, 2004): 107-108.

[15] The World Bank, *Transition: The First Ten Years. Analysis and Lessons for Eastern Europe and the Former Soviet Union* (Washington, DC, 2002): 98-102. პოლიტიკური მონაწილეობა გამოხატულია როგორც პოლიტიკური აქტორების მიერ ვეტოს უფლების ქონა და აღმასრულებელი ხელისუფლების ცვლილების სიხშირე.

კახა კაციტაძე

1.

დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველომ მიაღწია იმას, რომ ის არის აღიარებული სამართალსუბიექტი და ისეთი ორგანიზაციების წევრი (ვთქვათ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია), რომლის წევრობისათვის უკრაინასა და რუსეთსაც კი ჯერ ვერ მიუღწევიათ. გადაიდგა გარკვეული, თუმცა, ვფიქრობ, არასაკმარისი ნაბიჯები ევროატლანტიკურ სივცეში ინტეგრაციისათვის. შემოღებულ იქნა მეტ-ნაკლებად მყარი ეროვნული ვალუტა და გატარდა რიგი რეფორმებისა, რამაც, პრინციპში, საფუძველი უნდა ჩაუყაროს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

წარუმატებლობები შეუდარებლად ბევრია; მე მათ ჩამოვთვლი პოლიტიკური, სოციალ-ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ასპექტების თანმიმდევრობით.

პოლიტიკური სფერო:

- ვერა და ვერ მოხერხდა ხელისუფლებათა შტოების რეალურად დანაწევრება და ავტორიტარული ტენდენციების გაქრობა.
- ვერა და ვერ მოხერხდა ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით.
- საქართველო რჩება ტიპურ განვითარებად სახელმწიფოდ, ასეთი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ყველა ნეგატიური ნიშნით (ადგილობრივი თვითმართველობის სისტემის განუვითარებლობა, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არარსებობა და ა.შ).
- ვერ აღდგა ტერიტორიული მთლიანობა.
- ვერა და ვერ ხერხდება ხელისუფლების სრული დაკომპლექტება კომპეტენტური კადრებით, რომლებიც სათანადო სფეროებში შეიმუშავებენ სტრატეგიულ კურსს.
- საზოგადოებამ ვერა და ვერ გაიაზრა, რომ მისი პრობლემები მისივე გადასაწყვეტია და არა ვიღაც მესიასი, რომელიც ერთი იტვირთებს საზოგადოების გასაკეთებელ საქმეს.

- საზოგადოებამ ვერ დაძლია ერთგვარი ფროიდისტული ხასიათის ამბივალენტური კომპლექსი რუსეთის მიმართ; რუსეთი ერთდროულად გვევლინება როგორც, თუგინდ პოტენციურად, კეთილი მამა (მასზეა დამოკიდებული ტერიტორიული პრობლემების მოგვარება, მისი ბაზარი აუცილებელია ჩვენი ეკონომიკისათვის, იძლევა გაზსა და სინათლეს) და ამავე დროს როგორც ბოროტი მამინაცვალი.
- მოსახლეობა ინფანტილურია; საზოგადოებას ჯერ კიდევ არ გაუაზრებია, თუ რას ნიშნავს დამოუკიდებლად არსებობა.
- ეკონომიკური ზრდა, რომელიც ფიქსირდება ოფიციალურ სტატისტიკაში, არავითარ გავლენას არ ახდენს მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების დონეზე.
- ვერა და ვერ დაიძლია ენერგომატარებლების სფეროში რუსეთზე დამოკიდებულება.
- ეკონომიკაში რჩება „კრიშების“ სისტემა და კლანურობა. მიუხედავად გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, დასავლური ყაიდის საბაზრო ეკონომიკა შორეულ ოცნებად რჩება.

ყველა ამ მომენტმა დიდი გავლენა (როგორც წესი, ერთმანეთის ტოლფარდი) მოახდინა საქართველოში პოლიტიკურ პროცესებზე. აქედან გამომდინარეობს პასუხი პირველ კითხვაზეც: ქართული საზოგადოება და კულტურა (როგორც ვხვდები, კითხვაში უპირატესად პოლიტიკურ კულტურაზეა ლაპარაკი) არსობრივად არ შეცვლილა უკეთესობისაკენ. არის მცირე წინსვლა, მაგალითად თავისუფალი (თუმცა, როგორც წესი, დაბალი კვალიფიკაციის და ანალიზის უნარს მოკლებული) მედიის ან არასამთავრობო სექტორის სფეროში. მაგრამ ლაპარაკი ჩვენი საზოგადების რაიმე მნიშვნელოვან განვითარებაზე და პოლიტიკური კულტურის არსებით ზრდაზე უსაფუძვლოდ მეჩვენება.

2.

ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მრწამსი შეიძლება დახასიათდეს როგორც მცდელობა საქართველოში შუასაუკუნებრივი (იმ ტიპის, ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში რომაა აღწერილი) ტიპის პოლიტიკური სისტემის აღდგენისა. აქედან მომდინარეობდა მისი ტრადიციონალიზმი და კლასიკური დასავლურ-ლიბერალური ღირებულებების მიმართ სკეპტიციზმი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მათი უბრა-

ლოდ არმიღება. მის ძირითად მიღწევებს შორის აღსანიშნავია მოსახლეობის უაღრესად ფართო მასების ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში (საეჭვოა, საქართველოს ისტორიაში ვინმეს მოეხერხებინოს ამ ოდენობით მასების მობილიზება პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად). თუმცა ეს ასპექტი, გარდა პოზიტივისა, გარკვეულ რისკსაც შეიცავდა. შემდეგი წარმატება, ეჭვგარეშეა, იყო დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ჩათვლით, რაც თვით საქართველოს დღევანდელ მოძულეებს (ზატულინი და კომპანია) ხელს უშლის იმის მტკიცებაში, თითქოს ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი საქართველოს ჯერ კიდევ სსრ კავშირის დაშლამდე გამოეყვნენ. შემდეგი პოზიტიური მიღწევა, რომელსაც გამსახურდიას რეჟიმმა მიაღწია, იყო აფხაზეთში დაპირისპირების არგადაზრდა კონფლიქტში. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ „აპარტეიდულ კანონზე", ნათელია, რომ ამ სისტემამ თავიდან აგვაცილა ის, რაც მოგვიანებით შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მოხდა. შემდეგი სიახლე წინამორბედ რეჟიმთან შედარებით, ცხადია, გამსახურდიას ანტიკომუნიზმი იყო. ეს იყო პირველი ანტიკომუნისტური ხელისუფლება საქართველოს ახალ ისტორიაში (პირველი რესპუბლიკის მთავრობა ასეთად ვერ ჩაითვლება). თანაც, ეს ანტიკომუნიზმი იყო იმდენად ქმედითი, რომ მან რიგი სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისგან განსხვავებით (რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა) სამუდამოდ დაასამარა კომუნიზმი, როგორც მეტ-ნაკლებად გავლენიანი პოლიტიკური ძალა. ამას გარდა, ხაზგასასმელია გამსახურდიას ანტიდასავლური ან ყოველ შემთხვევაში არადასავლური განწყობები. ის იყო ერთადერთი გავლენიანი პოლიტიკოსი საქართველოში, რომელიც არ დაუშვებდა რეგიონში დასავლეთის დომინირებას. ამ ასპექტით გამსახურდიას დამხობა რუსეთის მიერ ერთგვარად ჰარაკირის გაკეთებას ნიშნავდა; აქ კარგად გამოჩნდა, რომ რუსეთს აღარ შეუძლია საკუთარი იმპერიალისტური პოლიტიკის არც დაგეგმვა და არც განხორციელება.

ახლა გამსახურდიას პოლიტიკური საქმიანობის ნეგატიურ მომენტებზე. მათ შორის უნდა გამოიყოს:

- პოლიტიკური მეთოდების რადიკალიზმი;
- სრული საზოგადოებრივი კონსენსუსის ვერმიღწევა, რომელიც აუცილებელი იყო იმ პერიოდში. მართალია, ამგვარი კონსენსუსის ვერმიღწევაში გამსახურდია ოპონენტებს არანაკლები „წვლილი" მიუძღვით, მაგრამ, რამდენადაც გამსახურდია ხელისუფლებაში იმყო-

ფებოდა, მისი პასუხისმგებლობის ხარისხი შეუდარებლად მაღალი იყო, ვიდრე, ვთქვათ, ირაკლი წერეთლისა;

- არაადეკვატური საკადრო პოლიტიკა, რასაც ადასტურებს თუ-გინდ ის გარემოება, რომ გამსახურდია მისი კადრების აბსოლუ-ტურმა უმრავლესობამ, უბრალოდ, გაწირა. რასაკვირველია, აბ-სურდული იყო მტკიცება, თითქოს გამსახურდიას კომუნისტე-ბის დროინდელი „პროფესიული“ კადრები უნდა დაეტოვებინა. შევარდნაძის რეჟიმისას გამოჩნდა ამ კადრების „პროფესიონა-ლიზმის“ ხარისხი. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გამსახურდიას პერიოდში არაფერი ან თითქმის არაფერი გაკეთებულა დამოუ-კიდებელი საქართველოს მართვისათვის აუცილებელი კადრების კორპუსის შესაქმნელად;
- არავითარი სახალხო რევოლუცია არ ყოფილა. ვფიქრობ, თქვენ მი-ერ ნახსენები ტერმინი „საშობაო გადატრიალება“ ბევრად უფრო ადეკვატურად ასახავს საქმის ვითარებას. გადატრიალების მიზეზი მდგომარეობდა იმ წინააღმდეგობებში, რომელიც ლოგიკურად გროვ-დება ახლად დამოუკიდებლობამიღებულ სახელმწიფოში, თუ ეს უკა-ნასკნელი ვერ ახერხებს დაადგეს ლიბერალური დემოკრატიის გზას. ამის უამრავი მაგალითი არსებობს. რომ არაფერი ვთქვათ ტიპურ კოლონიურ (აზიურ ან აფრიკულ) ქვეყნებზე, შეგვიძლია ავიღოთ მე-19 საუკუნის 20-30-იანი წლების საბერძნეთი და მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების ირლანდია. ორივე ქვეყანაში დამოუკიდებლო-ბის მოპოვებას არ მოჰყოლია ლიბერალური დემოკრატიის რეჟიმის შექმნა. სამაგიეროდ, დამოუკიდებლობას ორივეგან მოჰყვა სისხლი-ანი სამოქალაქო ომების მთელი სერია.

3.

ედუარდ შევარდნაძეს, განსხვავებით ზვიად გამსახურდიასგან, არა-ვითარი პოლიტიკური მრწამსი (გნებავთ, რეალური, გნებავთ უტოპიუ-რი) არ ჰქონია. მისი ამოცანა იყო ხელისუფლება ხელისუფლებისთვის და არა რაიმე პოზიტიური მიზნისათვის. ალბათ, ბატონ შევარდნაძეს ძალიან გაუკვირდებოდა, თუ ვინმე ჰკითხავდა, რაში სჭირდებოდა ქვეყ-ნის პირველი პირობა. მისი ამოცანა ხელისუფლებაში მოსვლა და ხე-ლისუფლების შენარჩუნება იყო. მისი ნებისმიერი წარმატება თუ წაუ-მატებლობა ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

წარმატებებს შორის უნდა აღინიშნოს შედარებითი წესრიგის დამყარება და საძმოების თარეშის აღკვეთა, საქართველოს საერთაშორისო აღიარება, მმართველობის ბოლო პერიოდში ევრო-ატლანტიკური კურსის დეკლარირება და მისი განხორციელების გზაზე თუგინდ მინიმალური ნაბიჯების გადადგმა. ასევე აღანიშნავია ეროვნული ვალუტის და არცთუ ვარგისი კონსტიტუციის შემოღება. პოზიტიურ მომენტად მიმაჩნია მისი მმართველობის საწყის პერიოდში ახალი კადრების დაწინაურება. თუმცა აღვნიშნავ, რომ მმართველობის ბოლო ხანებში შევარდნაძემ მთლიანად კომუნისტურ კადრებზე გააკეთა აქცენტი. უნდა აღინიშნოს მედიის შედარებითი თავისუფლებაც. წარმატება იყო ვაზიანის ბაზის ევაკუაცია რუსების მიერ. რაც შეეხება ნეგატივებს, მათი ოდენობა შეუდარებლად მეტია. სახელდობრ:

- ცხინვალის კრიზისის მოუგვარებლობა და მისი ისე „გაყინვა“, რომ დღემდე ვერ ხერხდება მისი „გათბობა“;
- აფხაზეთში ომის დაწყება, მასში კრახი და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ხელშეკრულებების ხელმოწერა;
- გამსახურდიასთან კონსენსუსის შეგნებული არმიღწევა. არსებობს ვერსია, რომ ოჩამჩირე და გალი შევარდნაძემ არძინბას იმიტომ ჩააბარა, რომ გამსახურდიას პოზიციები არ გაძლიერებულიყო (ხაზს ვუსვავ, რომ ეს მხოლოდ ვერსიაა, რომელიც უპირატესად სამხედროებს შორის ფიგურირებს);
- რუსების, სახელდობრ, ბალტინის ჩართვა შიდაქართული კონფლიქტის დასარეგულირებლად;
- მმართველობის კომუნისტური სისტემის დამკვიდრება, განსაკუთრებით, მმართველობის ბოლო პერიოდში;
- სტაგნაციური, ე.წ. „ზასტოის“ ტიპის რეჟიმის შექმნა (ესეც მისი მმართველობის ბოლო პერიოდს ეხება, თუმცა, ვფიქრობ, ეს ტენდენცია თავიდანვე არსებობდა);
- სიცრუის, როგორც პოლიტიკის მეთოდის, დამკვიდრება;
- პათოლოგიური მემკვიდრეობის დატოვება შემდეგი რეჟიმისათვის; კადრების მოუმზადებლობა იმ პერიოდისათვის, როდესაც ის ხელისუფლებაში აღარ იქნებოდა;
- გაურკვეველი საგარეო პოლიტიკა, ე.წ. ბალანსირება, რომელიც არავითარ პოზიტიურ შინაარსს არ შეიცავდა.

ეს მხოლოდ შევარდნაძის მმართველობის ნეგატივების მცირე ფიქსირებაა. წინამორბედ რეჟიმთან შედარებით მან მოიტანა სიყალბე, სრული პოლიტიკური უპრინციპობა და ყოველივე ის, რასაც (სხვათა შორის, სრულიად გაუმართლებლად) მაკიაველიზმს ეძახიან. ამას გარდა შევარდნაძეს არ ჰქონდა არავითარი სტრატეგია; ყველა ამოცანას ის წყვეტდა პრინციპით, „ახლა გადავაგოროთ და მერე ვნახოთ". ამ ვითომც სტრატეგიის და სინამდვილეში სტრატეგიის რანგში აყვანილი ტაქტიკის შედეგი „ვარდების რევოლუცია" იყო. შევარდნაძეს გაუნათლებლობის გამო, უბრალოდ, არ ეყო ინტელექტუალური პოტენციალი, რათა შეემუშავებინა მისი მიზნების ადეკვატური სტრატეგია. ის დარჩა კომუნისტური გამოცდილების ტაქტიკოსად და სწორედ ამიტომ წააგო ორთაბრძოლა მისსავე გაზრდილ ადამიანებთან, რომლებიც შესაძლოა ცუდი, მაგრამ სტრატეგები იყვნენ.

4.

სააკაშვილის მრწამსი შეიძლება დახასიათდეს, როგორც მოდერნიზატორული პროექტი ნაციონალიზმის და პოპულიზმის ელემენტების გამოყენებით. მისი ძირითად მიღწევებს შორის უნდა ჩამოვთვალოთ „ვარდების რევოლუციის" უსისხლოდ დამთავრება, ასლან აბაშიძის სისტემის უსისხლო დამხობა აჭარაში, კოდორის კონფლიქტის უსისხლოდ მოგვარება. პოზიტივად უნდა ჩაითვალოს პოლიტიკური ნების გაჩენა და შევარდნაძის მმართველობისათვის დამახასიათებელი კორუფციის სტილის ნეიტრალიზაცია, აგრეთვე რეფორმების გატარება რიგ სფეროში. მან წინა რეჟიმთან შედარებით მოიტანა მართვის უფრო ენერგიული სტილი, პიარ-ტექნოლოგიების უფრო ეფექტიანი და ინტენსიური გამოყენება. წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს, აგრეთვე, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისაკენ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ საჭირო რეფორმების სრული სისტემური ბლოკის არშექმნას შედეგად მოჰყვა ის, რომ საქართველოს მიღება ნატო-ს წევრობის კანდიდატად 2008 წლამდე გადაიდო. ასევე პოზიტიური პროცესია შიდაპოლიტიკური ცხოვრების შედარებითი სტაბილიზაცია და მისი გადაყვანა რუტინულ რეჟიმში. ახლა რაც შეეხება წარუმატებლობებს. როგორც გამსახურდიასა და შევარდნაძის მმართველობის პერიოდში სააკაშვილის მმართველობის დროსაც პოზიტივს ნეგატივი ჭარბობს. სახელდობრ:

- ვერ გადაიჭრა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა;
- პოლიტიკური სისტემის არამდგრადი ხასიათი, ვგულისხმობ ე.წ. სამთავრობო კარუსელების სისტემას, რომლის დროსაც გამუდმებით და დროის ძალიან მოკლე მონაკვეთებში ხდება მინისტრების ცვლა, რაც ხელს უშლის სახელმწიფოს მდგრად განვითარებას. მაგალითად, 2003 წლიდან მოყოლებული მე-5(!) თავდაცვის მინისტრი და მე-3 გენშტაბის უფროსი გვყავს. ხშირად ასეთივე სისწრაფით იცვლებიან სხვა მინისტრები, რაც ნამდვილად არ არის კარგი ქვეყნისათვის;
- კადრების არაკომპეტენტურობა. წინა ორი რეჟიმის მსგავსად, არაფრით არ ხერხდება მმართველობაში კომპეტენტური კადრების მასობივად ინტეგრირება. კადრების გაახალგაზრდავება კარგია, მაგრამ არ შეიცავს კომპეტენტურობის არავითარ გარანტიას (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ ბევრი რამ შეიძლება იყოს დამოკიდებული კონკრეტულ მინისტრზე, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეზე და ა.შ);
- რუსეთთან ურთიერთობების დაურეგულირებლობა, რომელიც გარდა რუსების იმპერიული მისწრაფებებისა, ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკითაც არის განპირობებული;
- სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, პრაქტიკულად, ნულოვანი ხარისხი. იგივე ითქმის ადგილობრივი თვითმმართველობის სისუსტეზე, ოღონდ ეს უკანასკნელი არა მხოლოდ ხელისუფლებაში არსებული ტენდენციითაა განპირობებული, არამედ ოპოზიციის სისუსტითაც, რაც შემდეგი კითხვის თემაა;
- აღმასრულებელი ხელისუფლების სრული დომინირება ყველა დანარჩენ სფეროზე;
- კონკრეტულ სფეროებში სახელმწიფოს სტრატეგიის განუსაზღვრელობა. მაგალითად, გაუთავებელი ლაპარაკია, რომ უნდა გვყავდეს ნატო-ს სტანდარტის ჯარი, მაგრამ, სახელდობრ, როგორი უნდა იყოს ეს ჯარი (ანგლოსაქსონური, გერმანული, ფრანგული, თურქული და ა.შ ტიპისა, უნდა იყოს რაღაც მათი ჰიბრიდი თუ სულაც ორიგინალური რამ) მთლიანად განუსაზღვრელია. და აი ამ ვითარებაში, როდესაც არ ვიცით, როგორ ჯარს ვაშენებთ, ვიღებთ კანონს რეზერვზე, რაც თავისთავად ნონსენსია, ვინაიდან რეზერვის ტიპი

განისაზღვრება ჯარის ტიპით. ხშირად სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში სახურავის მშენებლობა იწყება ისე, რომ ჯერ კედლები არ არის ამოყვანილი.

5.

ოპოზიციის სისუსტე, უპირველეს ყოვლისა, თავად ოპოზიციის ბრალია. საერთოდ, ჩვენს ოპოზიციას აქვს ნიჭი, გაღიზიანება გამოიწვიოს მოსახლეობაში. ეს როგორც საზოგადოების დაბალი კულტურის ბრალია (რომელსაც ვერ გაუგია, რომ ოპოზიცია იმისთვის არსებობს, რომ ხელისუფლების ნაკლზე მიუთითოს და ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს „ოპოზიცია ხელს უშლის მთავრობას საქმის კეთებაში“), ისე პოლიტიკოსების დაბალი კულტურით, რომლებიც ვერ ახერხებენ, მოსახლეობას გასაგებად უთხრან თავიანთი სათქმელი. გავიხსენოთ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში 1993-95 წლებში მოსახლეობის გაღიზიანება ოპოზიციის ქმედებებით. არა გვგონია, ამჟამად მოსახლეობას ბევრად მეტი სიმპათია ჰქონდეს ოპოზიციის მიმართ, ვიდრე მაშინ. ისიც ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლების ცვლას ახდენდნენ მმართველი ძალისაგან გამიჯნული სუბიექტები (სიგუა და კიტოვანი „მრგვალი მაგიდიდან“, „ნაციონალების“ დიდი ნაწილი – „მოქკავშირიდან“). ამიტომ ოპოზიციის წარუმატებლობის მიზეზად ვერ დავასახელებთ რეპრესიებს ხელისუფლების მხრიდან. ამგვარი რეპრესიების ცალკეული ფაქტები ნამდვილად გვხვდება, მაგრამ ისინი აშკარად არ ატარებენ ისეთ მასობრივ ხასიათს, რომ ისინი ოპოზიციის სისუსტის მიზეზად წარმოვაჩინოთ.

ოპოზიციის წარუმატებლობას ვერ ავხსნით ვერც ხელისუფლების წარმატებებით. არავინ დაიწყებს იმაზე დავას, რომ საზოგადოებაში არსებობს ხელისუფლების ქმედებებით უკმაყოფილოთა დიდი ფენა, მაგრამ ეს ფენა არ არის დასაყრდენი ოპოზიციისათვის. ეს არცაა გასაკვირი, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკა არ არის თამაში ნულოვანი შედეგით და ერთი მხარის გავლენის შესუსტება მაინცადამაინც არ მოასწავებს მეორე მხარის პოზიციების გაძლიერებას.

ქარიზმატული ლიდერის არარსებობა ოპოზიციის თვალსაჩინოდ გამოხატული ნაკლია, მაგრამ აქ საქმე არა მხოლოდ ქარიზმას ეხება, არამედ ამ ლიდერის უნარს, დაარწმუნოს მოსახლეობა, რომ ისინი ოპოზიციის პირობებში უკეთ იცხოვრებენ, ვიდრე დღეს არსებული ხელისუფლების პირობებში.

ამიტომ ოპოზიციის სისუსტის უმთავრესი მიზეზი თავად ოპოზიციაში და ობიექტურ პირობებშია საძიებელი. ოპოზიციამ ვერ მოახერხა გაერთიანებულიყო თვითმმართველობის არჩევნებისათვის, რაც საზოგადოების მოზრდილი ნაწილის შეკვეთა იყო. ოპოზიციამ ვერ დაარწმუნა მოსახლეობა, რომ ის ხელისუფლებაზე უკეთესია („ყველანი ერთნაირები არიან“ – აი, საშუალო სტატისტიკური ქართველის განწყობა). ოპოზიციამ ვერ შეიმუშავა ერთიანი პროგრამა, თანაც ისეთი, რომელიც მოსახლეობას დაარწმუნებდა ამ პროგრამის რეალიზაციის შესაძლებლობაში და იმაში, რომ ამგვარი რეალიზაცია საზოგადოებას სიკეთეს მოუტანს. ოპოზიციამ ვერ მოახერხა წარმოეშვა ლიდერები, რომლებიც ქარიზმატულობის ხარისხით წინააღმდეგობას გაუწევდნენ ხელისუფლებას. ასეთი გახლავთ ჩამონათვალი იმ ძირითადი მიზეზებისა, რომელთა გამო ოპოზიცია კონკურენციას ვერ უწევს ხელისუფლებას.

6.

მომავალში ოპოზიციის გაძლიერება, თუ ამას ადგილი ექნა, საეჭვოა, ერთი რომელიმე ლოზუნგის გარშემო მოხდეს. ჩვენი საზოგადოება მის დღევანდელ მდგომარეობაში შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევს ლოზუნგებსა და საპროგრამო დოკუმენტებს. როგორც წინა პასუხიდან ჩანს, ოპოზიციის სისუსტე ლოზუნგების უქონლობით კი არ არის გამოწვეული, არამედ სულ სხვა მიზეზებით. ოპოზიციის გაძლიერების მთავარი წინაპირობაა მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ ის ხელისუფლებაზე უკეთესია და შეასრულებს იმ დაპირებებს, რასაც მოსახლეობას აძლევს. ამას გარდა, აუცილებელია ოპოზიციის ქარიზმატული ლიდერი. ოპოზიციამ მოსახლეობა უნდა დაარწმუნოს იმაში, რომ გააგრძელებს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კურსს, რომელსაც მხარს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უჭერს და ამავე დროს დაარეგულიროს ურთიერთობა რუსეთთან და რაღაც ფორმით დაიბრუნოს მისი ბაზარი (იაფი გაზის იმედი თვით ყველაზე დიდ ოპტიმისტებსაც არა აქვთ). რასაკვირველია, ხელისუფლებაში მოსვლისას ოპოზიციამ უნდა დაარწმუნოს მოსახლეობა, რომ გადაწყვეტს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებს, არსებითად აამაღლებს ცხოვრების დონეს, შეამცირებს უმუშევრობას და ა.შ. რაც შეეხება ლოზუნგებს, ოპოზიცია შეეცდება მათი მთელი პაკეტი გამოიყენოს. ლაპარაკი იქნება ხელისუფლების ავტორიტარულ ტენდენციებზე, ხელისუფლების დაუნაწევრებლობაზე, ადამიანის უფლებების დარღვევებზე, სოციალურ უფლებებზეც და

ეროვნულ თვითმყოფადობაზე. ოღონდ აქ პრიორიტეტი უფრო მიენიჭება მოდალობას ანუ იმას, როგორ აღიქვამს მოსახლეობა პოლიტიკოსების დანაპირებს და არა კონკრეტული ლოზუნგების შინაარსს. თუმცა ისიც ნათელია, რომ ეს მოდალობა კონკრეტული ლოზუნგებით და გზავნილებებითაც განისაზღვრება.

7.

გაძლიერებული ოპოზიცია გაჩნდება მხოლოდ მაშინ, იქნება მასზე ძალიან მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივი მოთხოვნა და ეს ოპოზიცია დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებზეც წინა კითხვაზე პასუხისას მქონდა ლაპარაკი. ეს იქნება პროცესი, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავად შექმნის თავის თავს და ამიტომ ზუსტი პროგნოზის გაკეთება ძლიერი ოპოზიციის შექნის ფორმების და მეთოდების შესახებ პრაქტიკულად შეუძლებელია. ის, რომ ხელისუფლების დამამხობელი ოპოზიცია აქამდე ხელისუფლებისავე წიაღში იბადებოდა, თავისთავად არ არის ლოგიკური არგუმენტი იმისათვის, რომ მომავალშიც ასე იქნება. ერთადერთი, რაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, არის ის, რომ ამგვარი ოპოზიცია მხოლოდ ხელისუფლებაში ბიფურკაციული პროცესების ზრდასთან ერთად დაიბადება (ხსენებული პირობების დაცვის შემთხვევაში) და დიდი ალბათობაა იმისა, რომ მას კოალიციის სახე ექნება. ამგვარი ოპოზიციის რიგებში შეიძლება მოხდვნენ მეტ-ნაკლებად გავლენიანი ტრადიციული ოპოზიციური ძალები (ასეთებში ვგულისხმობ იმათ, ვისი საერთოეროვნული რეიტინგი 5%-ის ფარგლებში მაინც მერყეობს), ხელისუფლებისგან გახლეჩილი გარკვეული ჯგუფები, აგრეთვე, ახალი პოტენციური ძალები, რომელთა ერთადერთი წყარო შეიძლება იყოს მზარდად უკმაყოფილო მზარდი ახალი საშუალო კლასი (თუ, რასაკვირველია, ჩვენში ასეთი რამ იარსებებს). თუმცა ამ პირობების შემთხვევაშიც ოპოზიციას გაუჭირდება გაერთიანება, რადგან ხელს შეუშლის იდეოლოგიური განსხვავება, ამბიციები, ტექნიკური პრობლემები და ა.შ.

თეორიულად არ არის გამორიცხული სხვა ვარიანტიც, როდესაც შედარებით მცირე ოდენობის პოლიტიკური ძალა ერთიანდება ქარიზმატული ლიდერის გამო და თუმცა ვერ იმარჯვებს არჩევნებში, მაგრამ იმდენად დამაჯერებელ მეორე პოზიციას აჩვენებს, რომ სხვა პოლიტიკური პარტიები, უბრალოდ, იძირებიან. ამ შემთხვევაში ვიღებთ კლასიკურ ორპარტიულ სისტემას. ოღონდ, ამისათვის გარღვევა მეორე და

მესამე ადგილებზე გასულ პოლიტიკურ ძალებს შორის პროცენტების მეათედები კი არ უნდა იყოს (როგორც ამას თვითმმართველობის არჩევნებისას ჰქონდა ადგილი), არამედ 15-20%-ამდე.

8.

ადრე კავკასიური ინსტიტუტის ერთ-ერთ გამოცემაში შევარდნაძის რეჟიმის დასახასიათებლად (მორიგ არჩევნებში მისი გამარჯვების შემდეგ) გამოვიყენე ტერმინები „სტაბილურად არასტაბილური“ და „არასტაბილურად სტაბილური“. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეჟიმს შევარდნაძის რეჟიმისაგან ბევრი რამ განასხვავებს (რაზეც ზემოთაც გვქონდა საუბარი), მაგალითად, შეუდარებლად ძლიერი პოლიტიკური ნება ან შეუდარებლად ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები, ეს დახასიათება მასზეც ვრცელდება. ვრცელდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სტაბილურები, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, არიან მხოლოდ ლიბერალური დემოკრატიის რეჟიმები. ჰენრი კისინჯერმა ერთ-ერთ სტატიაში აღნიშნა, რომ პოსტსაბჭოთა პოლიტიკური სისტემის თავისებურება იმაშია, რომ იქ ხელისუფლება ან მხოლოდ ხელისუფლებაში შეიძლება იჯდეს ან ციხეშიო. ხელისუფლება საქართველოში მხოლოდ მაშინ გახდება სტაბილური, როდესაც ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ციხეში წასვლის აღარ შეეშინდება. ამისათვის კი აუცილებელია, მან ლიბერალური დემოკრატიის სახე მიიღოს და ამისათვის სათანადო ნაბიჯები გადადგას, რომლებზეც ამდენი ვილაპარაკე.

ახლა რაც შეეხება პოლიტიკური განვითარების მოდელს. მართალია, ტიპოლოგიურად შეიძლება დაინახო რაღაც მსგავსება მექსიკაში ათწლეულობით არსებულ ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის დომინირებასა და იაპონიაში ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ათწლეულობით დომინირებას შორის, მაგრამ მათ შორის არსობრივი განსხვავებაა. იაპონიაში ლიბერალ-დემოკრატების დომინირება განპირობებული იყო მათი მმართველობის პერიოდში მიღწეული წარმატებებით: ეკონომიკური წინსვლით, ცხოვრების დონის ამაღლებით, საერთაშორისო სარბიელზე პოზიციების გაძლიერებით. ერთი სიტყვით, იმით, რითაც ამ პარტიამ შეძლო საზოგადოება გამოეყვანა ომისშემდგომი შოკიდან. სულ სხვა მიზეზებმა განაპირობეს ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის დომინირება მექსიკაში. მისი წყარო იყო მოსახლეობის სურვილი, მრავალწლიანი რევოლუციების, სამოქალაქო ომების და საგარეო პოლიტიკური წარუმატებლობების შემდეგ ეხილა რაღაც სტაბი-

ლური (ამ მხრივ, საწყის ეტაპზე მექსიკელებს ისეთივე მოლოდინი ჰქონდათ ამ პარტიის მიმართ, როგორც ქართველებს შევარდნაძის მიმართ), ამას ემატებოდა ამ პარტიის ანტიამერიკანიზმი და დეკლარირებული სოციალიზმი (მარტო ტროცკისათვის თავშესაფრის მიცემა რად ღირს), რაც კარგად შეესაბამებოდა იმდროინდელი მექსიკის (ვგულისხმობ მე-20 საუკუნის საზოგადოებრივ განწყობებს). შემდეგ ამ პარტიამ იმდენად განიმტკიცა პოზიცია, რომ საზოგადოებას თავისი განუვითარებლობის გამო აღარ ეყო რესურსი საიმისოდ, რომ ის სხვა პოლიტიკური ძალით ჩაენაცვლებინა. ამასთან, მთელ რიგ გარემოებათა გამო ასეთი პოლიტიკური ძალა ბოლო ათწლეულებამდე არ გამოჩენილა (შდრ. ჩვენი ოპოზიციის სისუსტეს). თუ ჩვენი სახელისუფლებო პარტიის ქმედებების ეფექტიანობას შევადარებთ ორი ხსენებული პარტიისას, არავითარი ეჭვი აღარ გვექნება, რომ ოპოზიციის სისუსტის პირობებში საქართველოს მექსიკური გზა ელის და არა იაპონური.

ციკლური რევოლუციები ლათინურ-ამერიკულ სტილში საქართველოში, პრაქტიკულად, გამორიცხულია. ამისათვის არ არსებობს არც საზოგადოებრივი და არც ძალისმიერი რესურსი. ასეთი სცენარის პირობებში საქართველო, უბრალოდ, დაიშლება შემადგენელ ნაწილებად (ლათინური ამერიკის ციკლური რევოლიციების პირობებში ეს არ ხდებოდა იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ სახელმწიფოთა საზღვრები (ყოველ შემთხვევაში მე-19 საუკუნის 80-იანი წლებისათვის, პარაგვაის და წყნაროკეანური ომების დასრულების შემდეგ) სტრუქტურირებული იყო, ხოლო სახელმწიფოები, მათი პოლიტიკური სისტემის ნაკლოვანებების მიუხედავად, ჩამოყალიბებული (ერთადერთი გამონაკლისი იყო ბოლივიასა და პარაგვაის შორის ტერიტორიული დავა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში). გარდა ამისა, აქ არ იყო ისეთი დიდი ბრძოლა გეოპოლიტიკური დომინირებისათვის. ამ და რიგი სხვა ფაქტორების გამო ციკლური რევოლუციები საქართველოში მოსალოდნელი არ არის. მათ ხელს შეუშლის ზემოხსენებული ფაქტორებიც და საზოგადოებრივი ცნობიერების ის მინიმალური დონე, რომელიც დაინახავს ამგვარი რევოლუციებიდან მომავალ საფრთხეს. თანაც, „ვარდების რევოლუციის“ მიმართ გაჩენილი ზემოლოდინების გაქარწყლების ფონზე საეჭვოა, რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ მოახერხოს მოსახლეობის დარწმუნება რევოლუციის (მით უფრო რევოლუციების) საჭიროებაში.

ყველაზე რეალისტურ სცენარად მიმაჩნია ლიბერალური დემოკრატიის თანდათანობითი დამკვიდრება ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცე-

ში ინტეგრაციის პარალელურად. მაგრამ ამისათვის ორი საშინაო ფაქტორია საჭირო (საგარეო ფაქტორზე შემდეგ კითხვაზე პასუხისას ვილაპარაკებთ). ესენია ხელისუფლების კეთილი ნება და ძლიერი და პასუხისმგებელი ოპოზიციის არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ მექსიკურ სცენარს, რომელიც, საქართველოს გეოპოლიტიკური, სოციოკულტურული, ეკონომიკური და სტრატეგიული რეალიებიდან გამომდინარე, დამღუპველი იქნება საქართველოსთვის. უკეთეს შემთხვევაში ვიქცევით ევროპულ ვენესუელად (არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ითამაშებს ჩავესის როლს) ან კუბის შერბილებულ ვარიანტად (ეკონომიკური სირთულეები, დიდ მეზობელთან ურთიერთობების მოუგვარებლობა და ა.შ. ოღონდ, ევროპასთან სიახლოვის გამო ადგილი არ ექნება ისეთი ხასიათის დიქტატურას, როგორსაც კუბაში აქვს ადგილი).

9.

საგარეო ფაქტორების გავლენა საქართველოს პოლიტიკურ ევოლუციაზე ძალიან დიდია. ის გამოიხატება აშშ-ის მზარდი გავლენით და რუსეთის გავლენის მზარდი შესუსტებით (გავიხსენოთ ათიოდე წლის წინ საქართველოში მინისტრები ჯერ კიდევ რუსეთის განკარგულებით ინიშნებოდნენ, ხოლო ათი წელი, ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით, დროის მიზერული მონაკვეთია). ჩვენ, ბუნებრივია, არ გვჯერა, თითქოს ყოველივე, რაც ხდება საქართველოში, საზღვარგარეთის რომელიმე ცენტრში იწერება. მაგრამ ნათელია, რომ დასავლეთს, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საქართველოში მიმდინარე პროცესების ევოლუციაზე. ამასთან, დასავლეთს ორი ალტერნატივა აქვს: საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო თვალი დახუჭოს, რბილად რომ ვთქვათ, დემოკრატიიდან იმ გადახვევებზე, რომლებსაც ჩვენთან აქვს ადგილი ან გამოიყენოს თავისი გავლენა და ხელისუფლება აიძულოს, მაქსიმალურად სწრაფად გადადგას ნაბიჯები ლიბერალური დემოკრატიის ასაშენებლად. ბოლო დროის პროცესები, მაგალითად, დენიელ ფრიდის მიერ რიგის სამიტზე პრეზიდენტ ბუშის სიტყვაზე გაკეთებული კომენტარი, აჩვენებს რომ დასავლეთი თანდათან დგება მეორე პოზიციაზე. შემდგომ სამ-ხუთ წელიწადში ველი საქართველოში მიმდინარე პროცესებში აშშ-ის პოლიტიკის უფრო აქტივიზაციას ლიბერალური დემოკრატიისაკენ გადადგმული რეალური ნაბიჯების სტიმულირების თვალსაზრისით, ევროკავშირის პოლიტიკის ინტენსიფიკაციას (როგორც დემოკრატიზაციის მხარ-

დაჭერის, ისე ეკონომიკური მხარდაჭერის და კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირებისათვის მხარდაჭერის თვალსაზრისით) და რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის გაგრძელებას.

10.

იდეალურ ვარიანტში საქართველო წარმომიდგენია ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნად, ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრირებულად, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- ხელისუფლებათა შტოების რეალურად დანაწევრება და ავტორიტარული ტენდენციების გაქრობა;
- ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით;
- ძლიერი პოლიტიკური პარტიების სისტემა;
- განვითარებული სახელმწიფოს რანგში გადასვლა და „ოქროს მილიარდში“ შესვლა. საშუალო კლასის რეალურად ჩამოყალიბება;
- აღდგენილი ტერიტორიული მთლიანობა;
- პასუხისმგებელი და კომპეტენტური ხელისუფლება და პასუხისმგებელი საზოგადოება;
- განვითარებული სამოქალაქო სექტორი. თავისუფალი მედია და რეალური არასამთავრობო სექტორი, ნაცვლად თვითცენზურის რეჟიმში მომუშავე მედიისა და კვაზიარასამთავრობო ორგანიზაციებისა;
- დასავლურის იდენტური საბაზრო ეკონომიკა.

ნოდარ ლადარია

1.

პასუხი კითხვაზე „რას *ვერ* მიაღწია საქართველომ დამოუკიდებლობის პერიოდში?“ უფრო რესპონდენტის შინაგან სამყაროს შეეხება, ვიდრე საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ ვითარებას. რადგან ქრისტიანულმა ეკლესიამაც კი რამდენიმე წლის წინ მიატოვა საჯარო აღსარებების პრაქტიკა, თავს ნებას მივცემ ვიმსჯელო მხოლოდ ქართულ საზოგადოებასა და კულტურაში მომხდარ ცვლილებებზე...

უნდა ითქვას, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა არა მარტო და არა იმდენად საზოგადოება ან კულტურა, რამდენადაც მათი განვითარების მიმართულება. ამავე დროს, არც ერთი მიმართულებით ჩვენს საზოგადოებას არ უვლია საკმარისად შორს იმისათვის, რომ ეს საგრძნობლად დასტყობოდა გარემომცველ რეალობას. მეორე მნიშვნელოვანი თვისება არის ის, რომ კულტურულ მიმართულებათა ცვლა, პრაქტიკულად, ემთხვევა ხელისუფლებათა ცვლას. როგორც ეტყობა, ეს უკანასკნელი გარემოება ჩვენი საზოგადოების ფუნდამენტურ თვისებას ასახავს. ახლა კი შეიძლება გადავიდეთ თვით მიმართულებათა დახასიათებაზე.

პირველი მათგანი შეიძლება აღიწეროს როგორც გულუბრყვილო ეკლექტიზმის პერიოდი. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს საზოგადოებრივი ცნობიერება წარმოადგენდა სხვადასხვა და ხშირად ურთიერთსაპირისპირო მსოფლმხედველობის, მენტალობის, განწყობის ნაფლეთებს, რომელთაგან არც ერთი არ იყო მთლიანი და რომლებიც ქაოსურად ცურავდნენ ისტორიული პროცესის მღელვარე ზედაპირზე. ამ ნიადაგზე, რა თქმა უნდა, ვერავითარი სახელმწიფოს მშენებლობა ვერ განვითარდებოდა, რადგან ამისათვის საჭირო დისკურსები არ იყო ერთმანეთისგან გამოყოფილი და ჩამოყალიბებული.

მეორე პერიოდი (ედუარდ შევარდნაძის მმართველობა) გაცილებით უფრო ძნელად ექვემდებარება ცალსახა აღწერას. ამ პერიოდში, ძირითადად, მოხდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განვითარება. საქართველო წარდგა საერთაშორისო არენაზე როგორც

სახელმწიფო, მაგრამ ქვეყნის შიგნით სახელწიფოებრივი ინსტიტუტები ძალიან სუსტი იყო. ამ ვითარების ერთგვარ დადებით ეფექტად შეიძლება მივიჩნიოთ სამოქალაქო სექტორის სწრაფი წინსვლა და ისიც, რომ საქართველოში ვერ მოხერხდა ოლიგარქიული სტრუქტურების წარმოქმნა. შევარდნაძის პერიოდში საქართველოში საგრძნობლად განვითარდა ლიბერალურ-დემოკრატიული დისკურსი, რომელმაც დაიწყო გავრცელება მოსახლეობის ფართო მასებში. თუმცა ეს გავრცელება მოგვიანებით შეჩერდა.

ვარდების რევოლუციის შემდგომ საქართველოს ხელისუფლება გაცნობიერებულად დაადგა შევარდნაძის პერიოდის ნაკლოვანებათა გამოსწორების გზას. ამის დამადასტურებელია არა მარტო ლოზუნგი – საქართველო შევარდნაძის გარეშე, – რომელიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ დევიზად იქცა, არამედ ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებში ლაიტმოტივის სიხშირით გვხვდება შედარებები წინამორბედ პერიოდთან. აქ შეინიშნება ერთი პარადოქსული ვითარება: სახელმწიფო სტრუქტურების გამყარებაზე აღებული ურყევი კურსი იწვევს იმას, რომ მოსახლეობის ფართო მასებში ლიბერალურ-დემოკრატიულ დისკურსის მიერ მოპოვებულ საწყის პოზიციებს ენაცვლება ნაციონალისტური დისკურსი, რომელიც თანდათანობით სულ უფრო რელიგიურ შეფერილობას იძენს. განსაკუთრებით, საგრძნობია ეს გარემოება ახალგაზრდა თაობაში.

სავარაუდოა, რომ ეს უკანასკნელი ცვლილება საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უახლოესი მომავლისათვის განმსაზღვრელ მნიშვნელობას მიიღებს.

2.

ზვიად გამსახურდიას, ჩემი აზრით, არავითარი პოლიტიკური პროგრამა ან მრწამსი არ ჰქონია. ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად ლოზუნგთა სიმრავლისა, არასოდეს გამოუხატავს რაციონალურად ეს პროგრამა და არც მისი მმართველობისას გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯები იძლევა იმის საშუალებას, ვივარაუდოთ ამგვარი პროგრამის არსებობა.

ძირითადი მიღწევაც და წარუმატებლობაც ერთმანეთს პარადოქსულად ემთხვევა: ესაა საქართველოს მოსახლეობაში იდეოლოგიური კრიტერიუმების საკმაოდ მყარი დანერგვა. დროთა განმავლობაში ეს კრიტერიუმები კარგავს ეფექტურობას პოლიტიკური არჩევანის სფეროში, მაგრამ ჯერ კიდევ მყარია ყოფით ცნობიერებაში და განსაზღვრავს ქარ-

თველებისათვის დამახასიათებელ სოციალურ შიზოფრენიას: ადამიანები, რომლებიც არჩევნებზე თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ ნებას, არ გამოირჩევიან ამ ნების შესაბამისი ღირებულებებით.

წინამორბედ, ანუ საბჭოთა ხელისუფლების რეჟიმისაგან ზვიად გამსახურდიას პერიოდი განსხვავდებოდა, ძირითადად, ემოციურ სფეროში: საყოველთაო გულგრილი ფარისევლობა შეიცვალა თითქმის ასეთივე საყოველთაო ეგზალტაციით. ეკონომიკის თვალსაზრისით, გამსახურდიას პერიოდს არ შემოუტანია არაფერი, რაც პრინციპულად განასხვავებდა მას იმ ზედაპირული ინოვაციებისაგან, რაც საზოგადოებრივ ყოფაში შემოიტანა გორბაჩოვისეულმა „პერესტროიკამ". მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი გარემოება: დამოუკიდებლობის შემდგომი ვერც ერთი მმართველობა ვერ დაიკვეხნის ამგვარი ქარიზმატულობით – ეს ერთადერთი მთავრობა იყო, რომლის ლიდერმა მიაღწია იმას, რომ ქართველები იდეური განწყობისთვის თმობდნენ პირად უსაფრთხოებას, კეთილდღეობას, თავისუფლებასა და ზოგჯერ სიცოცხლესაც კი. რა თქმა უნდა, თვით იდეის შინაარსი ერთობ საეჭვოა, მაგრამ მისი ეფექტურობა ჯერ კიდევ შეიძლება იყოს ღრმა რეფლექსიისათვის ღირსეული ობიექტი.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ძირითადი თვისებები იმ პერიოდში განპირობებული იყო ორი ფაქტორით:

1) საზოგადოებრივი ცნობიერების უკიდურესი პოლარიზაციით „სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლის" ტერმინებში: ყოველივე, რაც აკრძალული ან არასასურველი იყო, საბჭოთა იდეოლოგიის ბატონობისას უპირობოდ იყო მიღებული როგორც ვარგისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ასაშენებლად. აღმოჩნდა, რომ საზოგადოებას არ გააჩნია არავითარი პოზიტიური რესურსი გარდა სამზარეულოში გამოსადეგი დისიდენტური ან მითოლოგიური დისკურსისა. მოხდა ცნობიერების თითქმის უცვლელი გადატანა სამზარეულოდან უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში;

2) საკუთარი პოტენციალის ადეკვატური შეფასების სრული უუნარობა.

რაც შეეხება 1991-92 წლების ზამთრის მოვლენებს, რომლებმაც გამსახურდიას რეჟიმის დამხობა გამოიწვიეს, მათი მიზეზების გაანალიზება, სწორედ რომ, არ წარმოადგენს ღრმა რეფლექსიისათვის ღირსეულ ობიექტს: გამსახურდიას ხელისუფლება განწირული იყო და მის აღსასრულში წვლილი შეიტანა საზოგადოებაში არსებულმა ყველა ფენამ და სოციალურმა ჯგუფმა, თვით ეგრეთ წოდებული „ზვიადისტების" ჩათვლით.

3.

ედუარდ შევარდნაძის მმართველობა ვერ განისაზღვრება როგორც რომელიმე პოლიტიკური პროგრამის ან მრწამსის განხორციელება. ეს უფრო ჰგავდა მუდმივ კინკლაობას, რომელშიც მონაწილეობდა, ერთი მხრივ, პოლიტიკური ლიდერის უსაზღვრო ნდობა საკუთარი ბუნებრივი და საბჭოთა პერიოდში შეძენილი უნარებისადმი, მეორე მხრივ კი, მისი უახლოესი გარემოცვის წიაღში სტიქიურად წარმოქმნილი მოძრაობები. აქედან მომდინარეობს ის ყბადაღებული შეფასება, რომლის თანახმად, ედუარდ შევარდნაძე განსაზღვრულია როგორც „დამბალანსებელი“.

შევარდნაძის რეჟიმის დამახასიათებელ საკვანძო სიტყვად შეიძლება მივიჩნიოთ „კორუფცია“. სწორედ ამ სიტყვასთან (მოვლენასთან) დაკავშირებული უარყოფითი განცდები იქცა მოსახლეობაში დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების საუკეთესო საბაბად. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები გამოირჩეოდა ორი თვისებით: 1) იყო ხილული და იდენტიფიცირებისათვის ადვილი; 2) არ არსებობდა საკმარისად ღირებული ფაქტორი ამ დარღვევების გასამართლებლად ან თუნდაც შესარბილებლად.

ყოველივე ამის გამო, შევარდნაძის პერიოდი შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოში ე. წ. „მესამე სექტორისათვის“ სასათბურე პირობების ხანად. ამ პირობებს კიდევ უფრო აადვილებდა და ხელსაყრელს ხდიდა მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციის პირდაპირი კავშირი ხელისუფლების ოპოზიციურ ფრთასთან. ამგვარი ტაქტიკის პირდაპირი შედეგი იყო ის, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები საზოგადოებაში აღქმული იყო არა მათი შინაარსის წყალობით, არამედ ისინი შეფასდა როგორც კონკრეტული იარაღი შევარდნაძის რეჟიმთან დაკავშირებული სოციალური უკმაყოფილებების დასაძლევად. სწორედ ასეთი, კონკრეტულად, სწორი, მაგრამ, არსებითად, ზერელე მსოფლმხედველობის უმაღლესი გამოვლინება იყო „ვარდების რევოლუციის“ სახელით ცნობილი მოვლენები.

ბოლოს, შეიძლება გამოვყოთ ერთი დადებითი მომენტიც, რომლის გადმოსაცემად გამოვიყენებ დრამატურგიულ მეტაფორას. ზვიად გამსახურდიას პერიოდი შეიძლება შევადაროთ ბერძნულ ტრაგედიას, სადაც ადამიანი ერთდროულად არის ფორმალური მმართველი და მოქმედების პროტაგონისტი: ის პიროვნულად უპირისპირდება მტრულ ძალებს და მარცხდება მათთან ბრძოლაში. ამ პერიოდს უყოყმანოდ შეიძლება დავარქვათ „ზვიად გამსახურდია“. ედუარდ შევარდნაძის პერიოდში უკვე ვერ

ვილაპარაკებთ ფორმალური მმართველისა და აქტუალური პროტაგონისტის ერთპიროვნულობაზე: ეს იგივეა, შექსპირის ცნობილი ტრაგედიისთვის სათაურად შეგვერჩია „კლავდიუსი“ და არა „ჰამლეტი“. შევარდნაძის პერიოდში პროტაგონისტები უკვე სხვები იყვნენ, მაგალითად, ზურაბ ჟვანია, რომლის წვლილი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებდა. საზოგადოებრივ ვითარებაში მრავალცენტრიანობის შემოსვლა დაკავშირებულია შევარდნაძის პერიოდთან.

4.

მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, ერთადერთია საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელიც შეიძლება დავაკავშიროთ გარკვეულ პოლიტიკურ პროგრამასთან. ამ პროგრამის შინაარსი გამოიხატება საკმაოდ მოკლედ: სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება.

პროგრამის განხორციელებას აქვს ორი ნაკლი: 1) პროგრამა არაა მკაფიოდ გამოხატული; 2) მისი მოქმედება დაბრკოლებულია.

ორივე ნაკლს აქვს როგორც გარეგანი (ობიექტური), ისე შინაგანი (სუბიექტური) მიზეზები. ობიექტურ მიზეზებს განეკუთვნება საგარეო პოლიტიკის ფაქტორები, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ადამიანური რესურსების შეზღუდულობა, სამოქალაქო განათლების დეფიციტი, წინა რეჟიმების მემკვიდრეობა და ა. შ. განხილვისათვის საინტერესოა შინაგანი (სუბიექტური) მიზეზები.

მიხეილ სააკაშვილის მმართველობას ზვიად გამსახურდიას პერიოდთან აკავშირებს ორი მომენტი: ლიდერის ქარიზმატული ხასიათი (რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო ნაკლებად ახდენს გავლენას რეალობაზე) და საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ასახსნელად ფსიქოანალიზის გამოყენების შესაძლებლობა. ამ უკანასკნელ გარემოებას ამტკიცებს, მაგალითად, ორი საწინააღმდეგო ტენდენცია: ერთი მხრივ, ხელისუფლების ყველა რგოლსა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების უმრავლესობაში მიმდინარე აშკარა იუვენტიზაცია, მეორე მხრივ კი, ხშირი მიმართვა ისტორიული წარსულისადმი.

მიუხედავად ზემოთქმულისა, სააკაშვილის მმართველობის პერიოდი გამოირჩევა პოლიტიკური და საზოგადოებრივი რეალობის არნახული მრავალფეროვნებით. აქ წინა პერიოდებთან შედარებით შეუდარებლად ძნელია დაპირისპირებათა „ფრონტის ხაზების“ გავლება. ასეთ პირობებში სამოქალაქო საზოგადოებას უჭირს მოქმედება, რადგან ძველი „სა-

სათბურე პირობები“ აღარ მოქმედებს, ხოლო ახალი რეალობის სირთულეში გასარკვევად ძველ სამოქალაქო ლიდერებს (ყოველ შემთხვევაში, მათ უმრავლესობას) კვალიფიკაცია და გამოცილება არ ჰყოფნით.

აქ იქმნება საკმაოდ სახიფათო ვითარება: ადამიანის უფლებათა დარღვევებს აღარა აქვს ძველებურად ცხადი და ადვილად შესამჩნევი სახე, მეორე მხრივ, არსებობს და აქტიურად მკვიდრდება ღირებულება, რომლის სახელით ამგვარ დარღვევებს უჩნდება გამართლება – ეს არის სახელმწიფოს გაძლიერების იდეა.

სააკაშვილის პერიოდის ყველაზე უცნაურ და სახიფათო ტენდენციად მიმაჩნია შემდეგი თვალსაზრისი: ჯერ განვამტკიცოთ სახელმწიფო, შემდეგ უზრუნველვყოთ დემოკრატია. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ტენდენცია აშკარად ჩანდა მხოლოდ ვარდების რევოლუციის შემდგომ პირველ პერიოდში. თანდათანობით ვითარებას აკლდება ეიფორიული ხასიათი და დღეს უკვე აღარ შეიძლება ცალსახად მტკიცება, რომ ზემოხსენებული ტენდენცია მართლაც რელევანტურია.

5.

არსებობს თუ არა ხელისუფლების მხრიდან რეპრესია, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ეს ვერ იქნება ოპოზიციის უუნარობის ძირითადი მიზეზი. ვერც ხელისუფლების ობიექტური წარმატებულობა შეიძლება დავასახელოთ ოპოზიციის ნაკლები ეფექტურობის მიზეზად, რადგან ეს „ობიექტური წარმატებულობა“ განპირობებულია შეფასების დაბალი კრიტერიუმით. ძირითადი მიზეზი, ალბათ, ორია:

1) საზოგადოებრივი და პოლიტიკური რეალობის გამრავალფეროვნება: ოპოზიციური პარტიები ისეთსავე მდგომარეობაში არიან, როგორც სამოქალაქო საზოგადოება – ძველი ხერხები არ მოქმედებს, ახალი კი ჯერ არ შეუმუშავებიათ. ამიტომ პოლიტიკური პარტიის ლიდერები ისეთსავე სტრატეგიას იყენებენ, როგორსაც რომელიმე რეალიტი-შოუს მონაწილეები (ჩოხა-ახალუხით გამოჩენა, ხატების წინ სანთლების ანთება და ა. შ.).

2) საზოგადოების განუვითარებლობა: ოპოზიციური პარტიები არ გამოხატავენ დიდი სოციალური ჯგუფების ინტერესებს. პოლიტიკურ უმრავლესობაში ყოფნა საქართველოში ერთადერთი სტიმულია უნარიანი ადამიანური რესურსების მოსაზიდად, რადგან პოლიტიკური პრინციპებისადმი ერთგულება და ინტელექტუალური ელიტის შესა-

ბამისი სოციალური ჯგუფების მიმართ ორგანულობა საქართველოში ჯერ ვერ დამკვიდრდა.

3) მძიმე ტაქტიკური ნაკლოვანებები: ოპოზიცია თავის პოლიტიკურ ბრძოლას აფუძნებს ხელისუფლების სუსტ მხარეებზე, უფრო სწორად, უარყოფით მოვლენებზე, რომელთა განსაკუთრებით გამძაფრებას ცდილობს. ამ პროცესში შიშვლდება მისი ინტენცია, რომელიც, ჩვეულებრივ, გარკვეული დისკურსით უნდა იყოს დაფარული, სხვა სიტყვებით, აშკარად ჩანს, რომ ოპოზიციურ პარტიებს არ აინტერესებთ არაფერი გარდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა.

6.

ამ მომავალი ლოზუნგის შინაარსი არ იქნება დაკავშირებული ხელისუფლების „შეცდომებთან" – ასე იყო ადრე და ეს გარემობა შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში ხელისუფლების ცვლის უმთავრეს ნაკლოვანებად. ამგვარი ვითარების განმეორების საშუალებას სოციალურ-პოლიტიკური რეალობის გართულება უკვე აღარ იძლევა. სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ საქართველოში შეიქმნება დიდი სოციალური ჯგუფი, რომელსაც ექნება თავისი განსაზღვრული ინტერესები. ახალი „გაძლიერებული" ოპოზიციის ლოზუნგი სწორედ ამ სოციალური ჯგუფის კონკრეტული ინტერესით იქნება დეტერმინირებული.

რა სოციალური ჯგუფი შეიძლება იყოს ეს? ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი შემდეგია: საშუალო ბიზნესის ინტერესები, რომლებსაც ინტელექტუალურად გააფორმებს ახალი აკადემიური ელიტა.

7.

ზემოთ ნაწილობრივ უკვე ვუპასუხე ამ კითხვას. გავიმეორებ, რომ ყველაზე ალბათური და, შესაძლოა, ყველაზე სასურველი კომბინაცია იქნება საშუალო ბიზნესისა და ახალი აკადემიური ელიტის კავშირი (სახელმწიფო სისტემით უზრუნველყოფილი მაღალი ანაზღაურება, შრომის ბაზრის პირობებით განპირობებული ურთიერთდამოკიდებულება და სხვა ფაქტორები უზრუნველყოფს ამგვარ ალიანსს, მის მიზნებსა და მოტივაციას). ამ შემთხვევაში საინტერესო იქნება კავშირის დამყარების კონკრეტული პროცესი. უპირველეს ყოვლისა, მომავალი ალიანსის ორივე მხარე უნდა მომაგრდეს და შეიძინოს მყარი სოციალური იდენტობა.

კულტურული თვალსაზრისითაც ამ ორ მონაწილეს ურთიერთობის საკმაოდ ფართო პერსპექტივა აქვთ. ეს გასაგებია, მაგრამ მნიშვნელოვანია მენტალური ზღურბლის დაძლევა: ახალმა აკადემიურმა ელიტამ უნდა აღზარდოს ისეთი ადამიანური რესურსები, რომლებისთვისაც არარელევანტური იქნება საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი, ბიზნესის სფეროში გავრცელებული სტერეოტიპები, მაგალითად, უნდა დამკვიდრდეს აზრი, რომ პერსონალის განათლებასა და საწარმოს განვითარებაში ჩადებული თანხები გაცილებით უფრო დიდ გავლენას მოახდენს ცხოვრების დონის ამაღლებაზე, ვიდრე საეპარქიო მღვდელმთავრის ანგარიშზე ჩარიცხული ფული.

8.

პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა განსაზღვრულია მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ინტელექტუალურად თუ პოლიტიკურად გაფორმებული ინტერესების მქონე დიდი სოციალური ჯგუფების არსებობით. თუ სახელმწიფო დააბრკოლებს ამგვარი ჯგუფების შექმნას, ამით ძირს გამოუთხრის საკუთარ თავს. ამ შემთხვევაში უკვე აღარ ექნება მნიშვნელობა მოვლენათა კონკრეტულ განვითარებას, რადგან საქართველოში არც დომინანტური პარტიის სისტემა იქნება მექსიკური ან იაპონური და არც ციკლურ რევოლუციებს ექნება ლათინურ-ამერიკული ხასიათი.

კულტურული თვალსაზრისით, საქართველოში არსებობს პირობები ლიბერალურ-დემოკრატიული პლურალიზმის თანდათანობითი განვითარებისთვის, ოღონდ საჭიროა მეტი გემოვნება განუვითარდეთ მათ, ვისაც მიეცა გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

გარდა ამისა, პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა არის ისეთი მონაპოვარი, რომელსაც საზოგადოებამ არა მარტო ეკონომიკური ზრდის ან ხელსაყრელი საგარეო ფაქტორების საშუალებით, არამედ შინაგანი მსოფლმხედველობრივი განვითარებით უნდა მიაღწიოს. ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვნად მეჩვენება ისეთი ცვლილებები, რომლებიც ადამიანებს „აიძულებენ“ მიიღონ სამართლიანი გადაწყვეტილება, აიღონ თავიანთ თავზე პასუხისმგებლობა და ა. შ. უმნიშვნელოვანესი კონკრეტული მაგალითებია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და საჯარო სკოლებში თვითმმართველობის შემოღება. ორივე ეს სიახლე ძლიერი საზოგადოებრივი პოტენციალის მატარებელია, რომლის განვითარებასა და რეალიზაციას გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პირველ ეტაპზე შესაძლებელ წარუმატებლობას ან ლოკალურ მარცხებს.

9.

საქართველოს პოლიტიკურ ევოლუციაზე საგარეო ფაქტორების გავლენაში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი არხი: 1) საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება; 2) თვით საქართველოს საზოგადოებაში არსებული განწყობები.

პირველი არხით შემოსული გავლენა დროთა განმავლობაში გაიზრდება, რადგან საქართველო სულ უფრო მჭიდროდ ინტეგრირდება საერთაშორისო თანამეგობრობაში. აქედან გამომდინარე, სულ უფრო მცირდება იზოლაციონიზმის პერსპექტივა. თუ ამ არხით შემოსული გავლენების რეტროსპექტივას გადავხედავთ, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ეტაპი:

ა) პასიური: საბჭოთა კავშირის დაშლა და მისი პოლიტიკური შედეგები, პრაქტიკულად, სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისთვის. საკამათოდ მიმაჩნია თვალსაზრისი, თითქოს „ეროვნულ მოძრაობას“ რაიმე აქტიური წვლილი ჰქონოდა ამ პროცესებში. მიტინგებზე განცხადებული ლოზუნგები უფრო ზოგადი კონტროლის დასუსტების შედეგი იყო, ვიდრე რაიმე ქმედითი პოლიტიკური ნების გამოხატულება;

ბ) ფორმალური: შევარდნაძის პერიოდში საქართველოს კანონშემოქმედებაზე საგრძნობი იყო დასავლური ნიმუშების პირდაპირი გავლენა. მიუხედავად იმისა, რომ კანონების შესრულება არ იყო უზრუნველყოფილი, მაინც შეიქმნა სერიოზული ფორმალური საფუძველი ქართული სახელმწიფოებრიობისთვის, რამაც განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის რეალური კურსი;

გ) პარტნიორული: თუმცა საგარეო პოლიტიკა ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდიდან საქართველოს ყველაზე ძლიერ, უფრო სწორად, ნაკლებად სუსტ მხარედ მიიჩნეოდა, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სფეროშიც შეინიშნება საკმაო ძვრები. საქართველო უკვე არა მხოლოდ რეაგირებს საერთაშორისო ვითარების ცვლილებაზე, არამედ გარკვეულ ნაბიჯებსაც დგამს. ამ მხრივ, ბოლო დროის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთის ჯაშუშების დაპატიმრება. მიუხედავად არაერთი უარყოფითი შედეგისა, აშკარაა დადებითი ეფექტი: საქართველო საკმაოდ წარმატებით იყენებს დიპლომატიურ საშუალებებს მდგომარეობის თავის სასარგებლოდ წარსამართად. ბოლო დროს საქართველოს გამოსვლა საგარეო ასპარეზზე არა

მხოლოდ ყველაზე წარმატებული ნაწილია ქართული სახელმწიფო საქმიანობის სხვა სფეროებს შორის, არამედ თავისთავად დაემსგავსა იმას, რასაც მთელ მსოფლიოში პოლიტიკას უწოდებენ.

გაცილებით უფრო ძნელი შესამჩნევია მეორე არხი, თუმცა აქ საგარეო ფაქტორი მხოლოდ რუსეთის ზეგავლენით შემოიფარგლება. ნელნელა უკან იწევს საზოგადოების იმ ფენათა და ცალკეულ წარმომადგენლობათა რელევანტობა, რომლებიც კულტურულად და ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან რუსეთზე. მეორე მხრივ, რჩება ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტი – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის დამოკიდებულება მოსკოვის საპატრიარქოსთან და, შესაბამისად, რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებთან ყურადღებით შესწავლას მოითხოვს.

10.

ჩემი აზრით, მთავარი საპროგრამო პრიორიტეტი უნდა იყოს სასკოლო განათლების რადიკალური რეფორმა საქართველოში. ბოლო დროს ყველაზე ქმედითი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო სკოლებში თვითმმართველობის ამოქმედება. თუმცა საჭიროა ამ მხრივ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი კონტროლი, რომ სასკოლო თვითმმართველობამ დემოკრატიული ხერხებით არ მიანიჭოს უპირატესობა ყოველივე იმას, რაც თანამედროვე საზოგადოების განვითარებას აფერხებს, ხელს უწყობს იზოლაციონიზმს და ა. შ.

რა თქმა უნდა, ეს კონტროლი არ უნდა იყოს პირდაპირი და სწორხაზოვანი. მაგრამ აუცილებლად უნდა ამაღლდეს ლიბერალური ღირებულებების საზოგადოებრივი პრესტიჟი. ამ მხრივ, ფასდაუდებელია მედიის როლი. დღეს იგებს არა ის, ვინც დემოკრატიისთვის „იბრძვის“, არამედ ის, ვინც დემოკრატიას ქადაგებს.

დავით ლოსაბერიძე

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ 15 წელზე მეტი გავიდა. ამ პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ სერიოზული რყევებისა და კრიზისების პერიოდი განვლო. ბუნებრივია, დგება განვლილი გზის გაანალიზების და, გარკვეულწილად, მომავლის პროგნოზირების მცდელობის ხანა.

ახალი გამოწვევების ფონზე წამოიჭრა ახალი კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა აუცილებელია, თუ ნამდვილად გვინდა თანამედროვეობის, ყველა თუ არა, უმთავრეს მოთხოვნებზე ადეკვატური რეაგირება.

ამავე დროს, დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა იოლიცაა და რთულიც.

იოლია იმიტომ, რომ ამ საკითხებზე ყველას გვიფიქრია და გარკვეული ხედვები (თუნდაც გადაუმოწმებელი და რეფლექსიის დონეზე) მაინც გაგვაჩნია.

რთულია იმიტომ, რომ მცირე ფორმატში შეუძლებელია ამომწურავი პასუხი გავცეთ ყველა შეკითხვას და თავი მოვუყაროთ ჩვენი შეხედულებების დამასაბუთებელ ყველა არგუმენტს.

იმის გათვალისწინებით, რომ შემოთავაზებული კითხვარი კატალიზატორს წარმოადგენს დისკუსიის დასაწყებად, შევეცადე ძირითადი პოსტულატები თეზისების სახით წარმომედგინა.

1.

უმთავრესი მიღწევები:

- სახელმწიფო დამოუკიდებლობა. ქართული საზოგადოებისათვის ეს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენაა, საერთაშორისო საზოგადოებისათვის – საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტის გაჩენა. ასეა თუ ისე, დღეს საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულია როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო;
- დამოუკიდებლობის წლებში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელი ისტებლიშმენტი. საქართ-

ველოს პოლიტიკური ელიტა, მართალია, დიდ (და ზოგჯერ გადაჭარბებულ) ყურადღებას უთმობს დიდი ქვეყნების ინტერესებსა თუ მოთხოვნებს, მაგრამ იგი მაინც აღარ წარმოადგენს ამა თუ იმ ზესახელმწიფოს ადგილობრივ ადმინისტრაციას. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს ხელისუფლებამ (ვგულისხმობ სამივე ხელისუფლებას) შეიგრძნო რეალური ძალაუფლების გემო და, მიუხედავად იმისა, სახელმწიფო ძლიერი იქნება, სუსტი თუ, საერთოდ, შეუმდგარი, ქართული პოლიტიკური ელიტა ამ პრივილეგიას ძნელად თუ შეელევა.

უმთავრესი ჩავარდნები:

- დამოუკიდებლობის პერიოდში არც ერთ ხელისუფლებას საზოგადოებისათვის არ წარმოუდგენია განვითარების სახელმწიფო სტრატეგია. ან ხელისუფლებას არ გააჩნდა ასეთი ხედვა (გამსახურდია), ან სახეზეა ზოგადი ხედვა, მაგრამ არ არსებობს ზუსტი სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული გადაწყვეტილებები მუშა რეჟიმში მიიღება (სააკაშვილი);
- მითოპოლიტიკური აზროვნების მაღალი ხარისხი და სხვადასხვა მიზეზით (ეკონომიკური, მენტალური, პოლიტიკური) განპირობებული საზოგადოებრივი აქტივობის დაბალი დონე გამორიცხავდა სერიოზულ და პრაგმატულ საზოგადოებრივ დაკვეთას. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი რთულად, ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს.

რამ მოახდინა უმთავრესი გავლენა აღნიშნულ პროცესებზე:

- საქართველოს სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა (თუ აღდგენა), ძირითადად, მსოფლიო გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე მიმდინარეობდა (მსოფლიოს ბიპოლარული ბალანსის დარღვევა და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება). ამ პროცესში შიდა ფაქტორები შედარებით ნაკლებ როლს თამაშობდნენ; ქვეყნები, რომელთაც არ „უბრძოლიათ“ დამოუკიდებლობისათვის (შუა აზია), ისევე გახდნენ დამოუკიდებელნი, როგორც „მებრძოლები“ (ბალტია, კავკასია). ამავე დროს, შიდა ფაქტორები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება თუნდაც იმიტომ, რომ სახელმწიფოებრივი მოწყობა და მთელი რიგი სფეროების (განათლება, სოციალური სფერო

და ა.შ.) გარდაქმნა ბევრად უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე.

2.

უმთავრესი ცვლილება:

- გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, შემდეგ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ქართულ საზოგადოებაში სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა მეტად პოპულარული გახდა. მართალია, ეს პროექტი საკმაოდ მითოლოგიზირებული და ეთნოცენტრული ნაციონალიზმით იყო შეფერილი და პოლიტიკური რეალობისაგან შორს იდგა, მაგრამ საკუთარი სახელმწიფოს მშენებლობის სურვილი გასცდა ინტელექტუალთა და დისიდენტთა ვიწრო წრეს და მასობრივი ხასიათი მიიღო.

გამსახურდიას მიღწევები:

- სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება საერთო ნაციონალური რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით;
- საზოგადოების (თუნდაც ინფანტილური) გააქტიურება და სოციალური კაპიტალის მაღალი დონის მიღწევა.

გამსახურდიას წარუმატებლობები:

- საზოგადოებაში და ახლად წარმოქმნილ პოლიტიკურ ელიტაში ინფანტილური და ზომაზე მეტი პოლიტიზაციის პროცესის წარმოშობა და გაძლიერება;
- სახელმწიფო მართვის გამოცდილების დაბალი დონე და/ან მისი არარსებობა;
- სოციალურ, კლანურ და ეთნიკურ ჯგუფთა შირის ურთიერთ- და ხელისუფლებასთან დაპირისპირების მკვეთრი ზრდა, რასაც ხშირად თვით სახელმწიფო უწყობდა ხელს.

რა იყო სიახლე:

- საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლა დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის სასარგებლოდ. მოსახლეობაში გაქრა შიშის სინდრომი დამოუკიდებლობის მიმართ. ის, რაც ჯერ კიდევ ათი წლის წინ ოცნებად მიიჩნეოდა, საზოგადოების თვალში მიღწევად რეალობად იქცა.

გამსახურდიას ხელისუფლების დაცემის მიზეზები:

- ხელისუფლებამ „მოახერხა“ მისადმი ყველა დაპირისპირებული საშინაო თუ საგარეო მხარის (რუსეთი, საბჭოთა ინტელიგენცია, კრიმინალური სამყარო, ახალგაზრდობისა და საბჭოურ-ნომენკლატურული ბიზნესის დიდი ნაწილი) გაერთიანება და კონსოლიდაცია სხვა აქტორების ნეიტრალობის პირობებში (დასავლეთი) ან სწრაფი იმედგაცრუების (საზოგადოების ფართო ფენები) ფონზე;
- შიდა რესურსების (უპირველეს ყოვლისა, ადამიანურის) სიმცირე.

3.

უმთავრესი ცვლილება:

- ახალი ხელისუფლება დემოკრატიული და მოდერნიზებული სახელმწიფოს მშენებლობის იდეით მოვიდა და დაუპირისპირდა წინა ხელისუფლების ეთნოცენტრულ და იზოლაციონისტურ კურსს. სუსტი სახელმწიფოს პირობებში განხორციელდა რეალური პოლიტიკური ძალაუფლების შექმნა და საერთაშორისო აღიარება, ხოლო მიღწეული სტატუს კვო-ს შენარჩუნება თვითმიზანი გახდა.

შევარდნაძის მიღწევები:

- უმთავრეს მიღწევად იქცა ცვლილებები საგარეო პოლიტიკაში – საქართველოს საერთაშორისო აღიარება;
- პოლიტიკური რომანტიზმი შეიცვალა რეალური ინტერესების პრიმატით, რაც საგარეო და საშინაო ძალთა დაბალანსების გზით იქნა მიღწეული;
- საფუძველი ჩაეყარა დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროექტებს (ევრაზიული კორიდორი, ნავთობ- და გაზსადენები და ა.შ.).

შევარდნაძის წარუმატებლობები:

- როგორც გარე, ისე (განსაკუთრებით) შიდა დაბალანსების პოლიტიკამ სხვადასხვა, ძველ თუ ახლად წარმოქმნილ პოლიტიკურ (საგარეო ორიენტაცია), სოციალურ (მარგინალიზებული მოსახლეობის წილის მკვეთრი ზრდა), სამოქალაქო (სამოქალაქო საზოგადოების სეგმენტები და ძველი, პარტიულ-მაფიოზური ნომენკლატურა) ინტერესთა ჯგუფებს შორის ურთიერთდაპირისპირების გაძლიერება გამოიწვია;

- სუპერსაპრეზიდენტო მოდელისაკენ სწრაფვამ შევარდნაძე ყველა დაპირისპირების ზემდგომად აქცია და მთელი უარყოფითი მუხტი მისკენ იქნა მიმართული;
- სახელმწიფო გადატრიალებამ, სამოქალაქო ომმა და წაგებულმა ეთნიკურმა კონფლიქტებმა, ეკონომიკის კოლაფსთან ერთად, საზოგადოების ფრუსტრირება, უნდობლობა და სახელმწიფოებრიობისადმი ნიჰილიზმი გამოიწვია.

რა იყო სიახლე:

- გამსახურდიასეული იდეალიზმისაგან განსხვავებით, ქვეყნის მართვის პროცესში გაბატონდა რეალისტური და პრაგმატული ხედვა. უფრო მეტიც, ეს იყო მეტისმეტად მერკანტილური (ამ სიტყვის უარყოფითი გაგებით) ხედვის ზეობის პერიოდი; პოლიტიკური ელიტისათვის სახელმწიფო საკუთარი მატერიალური თუ სხვა სახის სარგებლის მიღების საშუალებად იქნა აღქმული.

შევარდნაძის ხელისუფლების დაცემის მიზეზები:

- მიუხედავად მართვის ავტორიტარული მეთოდებისა, საქართველოს არ გააჩნდა (და არ გააჩნია) დიქტატურის დასამყარებლად აუცილებელი რესურსები (ბუნებრივი რესურსების, ძლიერი სადამსჯელო მექანიზმებისა და საგარეო დასაყრდენის არსებობა). ბელორუსის, აზერბაიჯანისა და შუა აზიის რეჟიმებისაგან განსხვავებით, შევარდნაძე იძულებული იყო ქვეყანაში ნახევრად ლიბერალური კურსი გაეტარებინა;
- ქვეყნის შიგნით შეიქმნა ძალთა ახალი ბალანსი. ხელისუფლებით უკმაყოფილო მასებსა და ახალ სოციალურ ძალებზე (სამოქალაქო საზოგადოება, ბიუროკრატიისა და ბიზნენის ნაწილი) დაყრდნობით შევარდნაძის გუნდიდან გამოსულმა „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ შევარდნაძეს კრონოსის ბედი მოუმზადეს.
- არსებული ბალანსის ცვლა მოხდა საგარეო პოლიტიკაშიც. გაძლიერებული დასავლეთი უკვე აღარ კმაყოფილდება საქართველოს მიერ წარმოებული ლავირების პოლიტიკით და შევარდნაძის უფრო პროდასავლურ შემცვლელს ეძებს.

4.

უმთავრესი ცვლილება

- სახეზეა წინამორბედზე უფრო ძლიერი, ეფექტური სახელმწიფო სისტემის შექმნის მცდელობა. ცვლილებები მიმდინარეობს დაჩქარებული ვესტერნიზაციისა და სისტემათა სრული განახლების ლოზუნგით. ცალკეულ სფეროებში წარმატების მიუხედავად, სტრატეგიული ხედვის (იდეის) გარდა არ არსებობს ამ იდეათა ტაქტიკური განხორციელების სამოქმედო გეგმა.

სააკაშვილის მიღწევები:

- პოსტშევარდნაძისეული საქართველოსათვის დამახასიათებელია საზოგადოების გააქტიურება. ვარდების რევოლუციამ გამოიწვია ფრუსტრირებული საზოგადოების ლეტარგიული ძილისაგან გამოფხიზლება. მართალია, საკმაოდ მალე მოსახლეობაში იმედგაცრუებაც გაჩნდა, მაგრამ საკუთარი უფლებების დაცვისა და რეალური ქმედების სურვილი ეიფორიული განწყობებიდან თანდათან პრაგმატულ ფორმებში გადადის;
- ახალი ხელისუფლების უცილობელ მიღწევებად უნდა ჩაითვალოს სერიოზული წარმატებები ერთიანი სამოქალაქო სივრცის შექმნის (აჭარის მოვლენები) და სახელმწიფო სისტემის ადმინისტრირების გაუმჯობების (ბიუჯეტი 6-7-ჯერ გაიზარდა სამი წლის განმავლობაში) მიმართულებით;
- გარკვეულ სფეროებში სახეზეა პოზიტიური ძვრები (განათლებისა და სოციალური დაცვის სისტემაში რიგი პროგრამების განხორციელება), თუმცა ამ ცვლილებების შედეგი ბევრად გვიან, წლების შემდეგ იჩენს თავს.

სააკაშვილის წარუმატებლობები:

- მასობრივი კორუფციის კარდინალურ შემცირებასთან ერთად გაჩნდა ელიტარული კორუფციის მაღალი ალბათობა;
- მიუხედევად გაძლიერებული (ხშირად მდარე ხარისხისა და კანონის უზენაესობის უხეში დარღვევით წარმოებული) პროპაგანდისა, მიმდინარეობს საზოგადოებაში ხელისუფლების რეიტინგის სწრაფი დაცემა;
- სახეზეა სტრატეგიული ხედვების სიმცირე და ტაქტიკური გადაჭრის გზების არარსებობა. თუ შევარდნაძის დროს ხელისუფლება

ფორმალურად იღებდა რჩევებს საექსპერტო წრეებისაგან და არ ასრულებდა მათ, ამჟამად ფორმალური მოსმენის ხარისხიც დაეცა და, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების პროცესის ხელშეწყობისაკენ მოწოდებებით შემოიფარგლება;

- სახეზეა ხელისუფლების ზეცენტრალიზაციის ტენდენცია. თვითმმართველობის გაძლიერების ნაცვლად მოხდა შევარდნაძის დროს არსებული მიზერული უფლებამოსილებების შეკვეცა. ცენტრალურ ხელისუფლებაში დარღვეულია ძალთა ბალანსი ძალაუფლების შტოებს შორის. გადაწყვეტილებები, რეალურად, მხოლოდ ადამიანთა ვიწრო ჯგუფის მიერ მიიღება.

რა იყო სიახლე:

- წინამორბედი ხელისუფლებისაგან არსებულ ხელისუფლებას პიარის სიძლიერე განასხვავებს. ამავე დროს სახეზეა სიტუაციის ხშირად არაადეკვატური შეფასებები. არის „პოტიომკინის სოფლების“ არსებობის შემთხვევებიც.

5.

ოპოზიციის სისუსტის მიზეზები:

- ხელისუფლება, მიუხედავად რეიტინგის მკვეთრი შემცირებისა, მაინც ბევრად პოპულარულია, ვიდრე მთელი ოპოზიციური სპექტრი, ერთად აღებული;
- ოპოზიციასთან მიმართებაში სახეზეა არაპირდაპირი და, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირი რეპრესიები ხელისუფლების მხრიდან (განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდებში და, განსაკუთრებით, რეგიონებში):
- ოპოზიციურ სპექტრს არ ჰყავს სააკაშვილის დონის ქარიზმატული ლიდერი, რომლის არსებობა საქართველოს პირობებში მეტად მნიშვნელოვანია. სახეზეა ხელისუფლების სურვილიც, არ დაუშვას ასეთი სახის ლიდერის გამოჩენა (კობა დავითაშვილის შემთხვევა);
- პოლიტიკური დივერსიფიკაციისათვის აუცილებელი საშუალო ფენა საქართველოში მეტად მცირეა, ხოლო ბიზნესი დაშინებულია მათ წინააღმდეგ ხელისუფლების ხელთ რეალურად არსებული თუ მოგონილი კომპრომატების გამო;

- პოსტტოტალიტარული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მენტალობა, ყოველთვის მოქმედ ხელისუფალს დაუჭირონ მხარი (პრინციპით: „ეგ თუ არა, აბა, ვინ“), ასევე არ მუშაობს ოპოზიციის სასარგებლოდ (გამსახურდიას, შევარდნაძეს და სააკაშვილს, დიამეტრალურად განსხვავებული ხედვების მიუხედავად, საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა უჭერდა მხარს);
- ოპოზიციური პარტიები (მათი აბსოლუტური უმრავლესობა მაინც), კლასიკური გაგებით, არ წარმოადგენენ პოლიტიკურ პარტიებს (ალბათ, ლეიბორისტული პარტიის გარდა). მათ არ ჰყავთ მუდმივი, ინტერესებზე ორიენტირებული ელექტორატი და არ გააჩნიათ დემოკრატიული შიდაპარტიული სტრუქტურები;
- ოპოზიციის მთელი საქმიანობა ხელისუფლების კრიტიკისკენაა მიმართული. საკუთარი პროგრამების და ხედვების წარმოჩენას (თუკი ასეთი გააჩნიათ) და პოპულარიზაციას არავითარი ყურადღება არ ეთმობა.

6.

ოპოზიციურ ძალებს შეუძლიათ იმ ღირებულებებზე (კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, სოციალური საკითხები, რადიკალური და იზოლაციონისტური ნაციონალიზმი) მოახდინონ აპელირება, რომლებსაც ხელისუფლება შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევს ან უპირისპირდება.

იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილებას გავითვალისწინებთ, საკმაოდ პერსპექტიულია:

- სოციალური (და, გარკვეულწილად, სოციალ-რევანშისტული) ლოზუნგების გარშემო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მობილიზაცია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკური პრობლემების სიმწვავეს და საზოგადოების მკვეთრ ქონებრივ პოლარიზაციას;
- ნაციონალისტური და ნაწილობრივ იზოლაციონისტური განწყობების გამოყენება უფრო და უფრო ძლიერდება საზოგადოების ქვედა ფენებში, რომლებიც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ;
- კანონის უზენაესობის პრინციპების დასამკვიდრებლად ბრძოლა იმ შეცდომათა თუ დანაშაულთა შუქზე, რასაც არსებული ხელისუფ-

ლების ქმედებაში აქვს ადგილი სწრაფი რეფორმირების აუცილებლობის მოტივით.

შედარებით ნაკლებ პერსპექტიულად გამოიყურება ისეთი სფეროები, როგორიცაა:

- ადამიანის უფლებების დაცვა, რაც ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობის ალტერნატივად მოიაზრება და აღიქმება როგორც უმცირესობათა (განსაკუთრებით, რელიგიური და სექსუალური) უფლებების დაცვა უმრავლესობის (მართლმადიდებელი, „ძირძველი“ ქართველების) ხარჯზე;
- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, რამაც გახმაურებული პიარ-დაჭერებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის უხეში დარღვევის წყალობით საკმაო დისკრედიტაცია განიცადა;
- დემოკრატიის პრინციპებისა და, განსაკუთრებით, ლიბერალური ღირებულებების პრიმატი, რაც არსებულ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სიძნელეებთან ასოცირდება. სწორედ ამის გამო მიმდინარეობს ამ იდეათა სერიოზული დევალვაცია საზოგადოების თვალში.

ნებისმიერ შემთხვევაში, ოპოზიციის რეიტინგის ამაღლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩამოყალიბებულ და საზოგადოებისათვის იოლად გასაგებ პროგრამებს უნდა მიენიჭოს.

7.

მომავალში რეალურად ქმედითი ოპოზიციის ფუნქციის დაკისრება სხვადასხვა ალბათობითაა შესაძლებელი განსხვავებული წარმოშობის პოლიტიკურ ძალებზე:

- დღეისათვის არსებულ ოპოზიციურ პარტიებს, თუ რადიკალურად არ შეცვალეს საკუთარი სტრატეგიები, გადარჩენის ნაკლები შანსი აქვთ. საუკეთესო შემთხვევაში, ისინი ახალი პოლიტიკური წარმონაქმნების ნაწილად უნდა იქცნენ (შესაძლოა ახალი წარმონაქმნების სახელწოდებებიც ძველი ლექსიკონიდან იქნეს აღებული);
- გარდაუვალია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაშლა. ხელისუფლების სტრუქტურებთან მჭიდროდ შერწყმული ასეთი ტიპის მმართველი პარტიების (მრგვალი მაგიდა, მოქალაქეთა კავშირი) რეიტინგი, როგორც წესი, მალე ეცემა და, რიგითი პოლიტიკური კრიზისისა თუ „ორთქმავლის“ (ხელისუფლების მეთაურის) პოლი-

ტიკის შეცვლის შემთხვევაში, საერთოდ ქრება. ამავე დროს, სწორედ მმართველი პარტიის რიგებიდან გამოდის მომავალი ოპოზიცია, რომელიც ემიჯნება წინა ხელისუფლების და, განსაკუთრებით, მისი ლიდერის პოლიტიკურ კურსს, მიუხედავად ახალი ლიდერების პოლიტიკური მრწამსისა და უნარისა (სიგუა და კიტოვანი მრგვალი მაგიდიდან, ჟვანია და სააკაშვილი მოქალაქეთა კავშირიდან);

- დიდი ალბათობაა იმისა, რომ წარმოიქმნება ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებშიც შევლენ როგორც „ნაციონალურ მოძრაობას“ ჩამოშორებული ძალების, ისე დღეს მოქმედი ოპოზიციის ნაწილი. მართალია, ამ შემთხვევაში ახალი პარტიები მიიღებენ ახალ სისხლსაც (ახალი წევრები), მაგრამ უმთავრესად მაინც „ძველი სახეებით“ იქნებიან დაკომპლექტებულნი, რომელთაც უკვე ეკავათ გარკვეული თანამდებობები, გარკვეულნი იყვნენ სახელისუფლებო კულუარულ ინტრიგებში და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, „იციან თავიანთი საქმე“.

ასეთ პირობებში სახელისუფლებო ეშელონებში მიმდინარე გადაადგილებები მრავალ კითხვას, ეჭვს თუ პროგნოზს ბადებს. დღეს მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საქართველოს პოლიტიკური სპექტრის განვითარების საკითხი.

მიხეილ სააკაშვილის გუნდში, მიუხედავად ერთიანობის არაერთგზის დეკლარირებისა, მაინც არსებობენ დაჯგუფებები, რომლებიც ხშირად უპირისპირდებიან ერთმანეთს. თავად პრეზიდენტი საკმაოდ კარგად ლავირებს თავისსავე გარემოცვაში, რომელიც, პირობითად, სამი ტიპის პოლიტიკურ ფიგურათაგან შედგება:

- მმართველი პარტიის – ნაციონალური მოძრაობის – სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებიც პრეზიდენტის დასაყრდენს წარმოადგენენ როგორც პარლამენტში, ისე ხელისუფლების შუა და ქვედა დონის ეშელონებში;
- აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი მოხელენი, მინისტრები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც არ წარმოადგენს მმართველი პარტიის ლიდერებს და არც მათ უკან მოიაზრება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა თუ საზოგადოებრივი იმიჯი. შესაბამისად, ისინი მთლიანად პრეზიდენტზე არიან დამოკიდებულნი;

- ადამიანთა ვიწრო წრე, თუ გნებავთ, კამარილია, რომელთა წევრებს, როგორც წესი, არ უკავიათ მნიშვნელოვანი თანამდებობები, მაგრამ დიდ გავლენას ახდენენ ქვეყნის პოლიტიკური კურსის განსაზღვრის პროცესში.

8.

არსებული რეჟიმის სტაბილობის ხარისხის შეფასება, მით უმეტეს პროგნოზირება, საკმაოდ რთული პრობლემაა და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, თუმცა რამდენიმე ძირეული პოსტულატის გამოყოფა მაინც შესაძლებელია:

- წინა ხელისუფლებასთან შედარებით, ხელისუფლება ნაკლებ სტაბილურია, ხოლო გამსახურდიას ხელისუფლებასთან შედარებით, მეტად სტაბილური;
- დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ხელისუფლების არასტაბილური გარემოსაგან სააკაშვილს განასხვავებს, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც რეალურად არსებული მისი მხარდამჭერი ინტერესთა ჯგუფის/სოციალური ფენის (დაახ. 5%) არსებობა;
- შევარდნაძის ხელისუფლება უფრო სტაბილური იყო ორი მიზეზის გამო: ერთი რომ, კორუფციული მექანიზმების წყალობით, მეტი ადამიანის ინტერესი იყო დაკმაყოფილებული და მეორეც, არ მიმდინარეობდა არავითარი, ხშირად მტკივნეული რეფორმა (მუშაობდა პრინციპი: „ჭაობი ყოველთვის სტაბილურია“).

ბოლო ხანების მოვლენებმა ნათლად დაგვანახა რამდენიმე ცენტრალური პოლიტიკური ფიგურის დამცრობის პროცესი. ოქრუაშვილისა და არველაძის პოზიციების შესუსტებისა თუ გაქრობის შემდეგ, ერთადერთ რეალურ ძალას, აღნიშნულ ეტაპზე ე.წ. ბოკერია-მერაბიშვილის ფრთა ქმნის. ასეთ პირობებში შეიძლება ვისაუბროთ განვითარების სამ შესაძლო სცენარზე:

1. ეს დაჯგუფება რეალურად მართავს სიტუაციას და საბოლოოდ მოიპოვა დიდი გავლენა პრეზიდენტზე;
2. პრეზიდენტი სააკაშვილი ვერ ხედავს შესაძლო საფრთხეს შიდა ბალანსის დარღვევის გამო და ფიქრობს, რომ ეს ჯგუფი ყველა შემთხვევაში მისი ერთგული იქნება;

3. გარკვეული ხნის შემდეგ მოხდება ამ ჯგუფის დასუსტება და მათი ჩანაცვლება სხვა, ნაკლებად ცნობილი და ნაკლები პოლიტიკური წონის მქონე, ადამიანებით.

სავარაუდოდ, ბოლო ორ ხედვას (განსაკუთრებით, მესამეს) უფრო აქვს პრეტენზია რეალობაზე.

პროგნოზები

- არასტაბილური ფონი მომავალში კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთება. მიმდინარე ცვლილებები ხელს უწყობს ახალი ინტერესების და ამ ინტერესთა მატარებელი ჯგუფების გაჩენას, რომლებიც ბუნებრივად დაჯგუფდებიან და მათი ნაწილი მკვეთრად დაუპირისპირდება ერთმანეთს და/ან ხელისუფლებას;
- ხელისუფლების ინტელექტუალური წარმომადგენლების და მათი იდეოლოგიური თანამოაზრეების აზრით, საქართველოში მექსიკური ან იაპონური მოდელი გათამაშდება: დომინანტური პარტიის მრავალწლიანი პრიმატი ეკონომიკური ზრდისა და მართვადი დემოკრატიზაციის თანდათანობით განვითარების პირობებში. მათ შორის კამათი მხოლოდ ვადებმა შეიძლება გამოიწვიოს (10 თუ 30 წელი). ჩემი აზრით, ნაციონალური მოძრაობის, როგორც პოლიტიკური ძალის, სიმყიფის პირობებში ეს სცენარი ნაკლებ სავარაუდოა;
- უფრო მოსალოდნელია, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში რეალურად ორი მიმდინარეობა – ლიბერალური და რევანშისტული – დაუპირისპირდება ერთმანეთს, ხოლო მათი მხარდამჭერების რიგები ორივე მხრიდან (მმართველი ძალა და ოპოზიცია), პროპორციულობის პრინციპის მეტ-ნაკლები დაცვით, შეივსება;
- შესაბამისად, საქართველოს წინაშე განვითარების ორი გზა ისახება: ლიბერალურ-პროგრესული (რეფორმირების გზით მოდერნული თუ პოსტმოდერნული, ვესტერნიზებული საზოგადოების ჩამოყალიბება) და პრონუნსიამენტოების (ხშირი გადატრიალებები ლათინური ამერიკის ან აფრიკის ქვეყნების მსგავსად, სამხედრო და ეკონომიკური ელიტების მზარდი გავლენის ფონზე);
- მხოლოდ შიდა ფაქტორების გათვალისწინების პირობებში, თავისთავად ორივე ამ მიდგომას, ცალკე აღებულს, წარმატების ნაკლები შანსი აქვს. მოვლენათა განვითარება, მნიშვნელოვანწილად, გარე

ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული: ნატო-ში შესვლა და, განსაკუთრებით, ევროპული ინტეგრაციის პროცესი პირველ ვარიანტს გააძლიერებს, ხოლო რუსეთის პოლიტიკური გავლენის ზრდა – მეორეს (მე ამ შემთხვევაში უფრო ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და პერსპექტივაში რუსეთის პოლიტიკური წონის შემცირება გარდაუვალ აუცილებლობად მესახება).

9.

საგარეო ფაქტორი საქართველოსათვის იყო და რჩება უმნიშვნელოვანეს (თუმცა, არა ერთადერთ) ფაქტორად. თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს განვითარების დინამიკას ბოლო 15 წლის მანძილზე და პერსპექტივებსაც გავიაზრებთ, შესაძლებელი გახდება რამდენიმე ეტაპის გამოყოფა:

- I ეტაპი (1991-1995): რუსული ვექტორის ძლიერი დომინანტი. გამსახურდიასეული „ჯანყი", საბოლოო ჯამში, ორი ავტონომიის დაკარგვითა და დსთ-ში შესვლით დასრულდა. რუსეთი აკონტროლებს როგორც საქართველოს ეკონომიკას, ისე საშინაო და საგარეო პოლიტიკას;
- II ეტაპი (1995-2003): კავკასიაში რუსეთის პოზიციების შესუსტება და დასავლეთის შემოსვლის დასაწყისი. რუსეთში ელცინისეული დემოკრატიისა და ქაოსისა და საქართველოში შედარებითი სტაბილიზაციის პირობებში იწყება დასავლური (ეკონომიკურად მონათლული, სინამდვილეში, პოლიტიკური) პროექტების განხორციელება (ტრასეკა და ა.შ.);
- III ეტაპი (2003-დღემდე): დასავლური და ჩრდილოური ვექტორების დაბალანსება, თუმცა დასავლური ვექტორი უკვე რეალურ კონკურენციას უწევს რუსეთს. შევარდნაძის დამბალანსებელი ხელისუფლების შეცვლა უფრო პროდასავლური იმიჯის მქონე ხელისუფლებით;
- IV ეტაპი (უახლესი პერსპექტივა): დასავლეთის დომინირების დასაწყისი. რუსული გავლენა მინიმუმამდე დადის დასავლური და საერთაშორისო ინსტიტუტების (უპირველეს ყოვლისა, ნატო-ს) გაძლიერების ფონზე;
- V ეტაპი (შორეული პერსპექტივა): საქართველოს სრული ინტეგრაცია დასავლურ გარემოში.

თუ რამდენ ხანს გასტანს ეს პროცესი, დამოკიდებულია:

- მსოფლიო ბაზარზე ნავთობის და სხვა ამოწურვადი ენერგომატარებლების ფასზე;
- რუსეთის შიდა პოლიტიკაში მოსალოდნელ ცვლილებებზე (პოლიტიკური კრიზისი სოციალური და ნაციონალისტური რყევების შედეგად), ვინაიდან რუსეთის პოლიტიკური სპექტრის რადიკალიზაცია გააძლიერებს დასავლეთთან დაპირისპირებისა და, შესაბამისად, დასუსტების პროცესს;
- საზოგადოების მზაობაზე, თუ რამდენად მოახერსებს საქართველო, ნაწილობრივ მაინც გადაჭრას მის წინაშე მდგარი პრობლემები.

ერთი რამ უცილობლად უნდა აღინიშნოს. რაც უფრო მეტი დრო გადის, საგარეო ფაქტორების გავლენა თანდათან მცირდება. შესაბამისად იზრდება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე საშინაო ფაქტორების ზეგავლენის ხარისხი.

10.

მოვლენების იდეალური სცენარით განვითარების პირობებში აუცილებელი გახდება არსებული სახელმწიფო სისტემის მნიშვნელოვანი რევიზია. საგარეო ფაქტორებზე წინა ბლოკში გვქონდა საუბარი. ფაქტია, რომ საერთაშორისო გარემოცვა საქართველოსათვის თანდათან უფრო პოზიტიური ხდება. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ძველი საფრთხეები გაქრება, ხოლო ახალი აღარ წარმოდგება (რუსეთში ეტატისტური პოლიტიკით გამყარებული რადიკალური ნაციონალიზმის გაძლიერება, თურქეთის გადახრა ფუნდამენტალური ისლამის ბანაკისაკენ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეყოვნების ან შეწყვეტის გამო, ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპების შემცირება და საზოგადოების დაბერების შედეგად წარმომდგარი სოციალური პრობლემები და ა.შ.), მაგრამ ახალ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირება ოპტიმალური შიდასახელმწიფოებრივი განვითარების პროცესით შეიძლება იქნეს მიღწეული.

ასეთ აუცილებელ ცვლილებებთან დაკავშირებით შესაძლოა ხუთი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულების გამოყოფა:

1. სახელმწიფო მოწყობა: საქართველო წარმოადგენს საპარლამენტო რესპუბლიკას. დასაბუთება:

- შენელდება საპრეზიდენტო ხელისუფლების ავტორიტარიზმის ბუნებრივი საფრთხე, რაც პოსტოტალიტარული მენტალობის მქონე საზოგადოების მოთხოვნილებას წარმოადგენს;
- საქართველოს შეზღუდული რესურსებისა და ძლიერი საგარეო ჩარევის პირობებში ჩვენში ერთპიროვნული ავტორიტარიზმი ვერასოდეს იქცევა დიქტატურად და შედეგად ახალ რევოლუციურ რყევებს გამოიწვევს (პინოჩეტის აპოლოგეტთა გულის გასატეხად);
- პოლიტიკური დივერსიფიკაცია (საპარლამენტო დაჯგუფებების როლის ზრდა), მართალია, შეანელებს რეფორმების პროცესს, მაგრამ საპრეზიდენტო მოდელის არსებობის პირობებშიც ეს გარდაუვალია: მმართველი ელიტის წიაღში გაჩენილი ახალი დაჯგუფებები და შიდაპარტიული ბრძოლა მოვლენათა ასეთ განვითარებას გარდაუვალს ხდის.

2. სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობა. დასაბუთება:
   - რეალური მედიატორის და დამბალანსებლის (თუნდაც საკმაოდ არაკომპეტენტურის, მაგრამ მეტ-ნაკლებად მიუკერძოებლის) გაჩენა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის გაზრდის სახელმწიფოს სოციალურ კაპიტალს და იმავე ხელისუფლებას საზოგადოების თვალში გაუქრობს ჟანდარმისა და დამსჯელის იმიჯს.

3. დეცენტრალიზაცია (დეკონცენტრაციის პარალელურად) და რეგიონალიზმი. დასაბუთება:
   - მოსახლეობასთან სიახლოვე გააძლიერებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხს და სახელმწიფოს ჩამოაშორებს პოლიტიკური თუ სოციალური დაძაბულობის ერთადერთი გადამჭრელი ძალის იმიჯს.
   - საზოგადოებრივი სერვისების მიწოდების გაუმჯობესება ადგილობრივ დონეზე სახელმწიფოს თავიდან ააცილებს ზედმეტ საზრუნავს და საშუალებას მისცემს, მის ხელთ არსებული რესურსები უფრო ეფექტურად მოახმაროს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელების პროცესს.

- რეგიონების (და არა ფედერალური სუბიექტების!) შექმნით ხელი შეეწყობა ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების ჩამოყალიბების პროცესს, რომლებიც ჩაანაცვლებენ ამჟამად არსებულ კლანურ-კრიმინალურ წარმონაქმნებს.
- რეალური დეცენტრალიზაცია დაუპირისპირდება დეზინტეგრაციულ პროცესებს, ვინაიდან მოხდება ადგილობრივი პრობლემების ადგილზე გადაჭრა და ცენტრი (ოფიციალური თბილისი) აღარ იქნება საზოგადოების (მათ შორის, ეთნიკურ ანკლავებში) კრიტიკის სამიზნე.

4. ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება გააზრებული მაკრო- და მიკროეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არსებობის პირობებში. დასაბუთება:
   - სახელმწიფოს მიერ ქვეყნის კონკურენტუნარიანი ეკონომიკური სტრატეგიის (და არა ეკონომიკის მართვის მცდელობის) შემუშავება და პროგნოზირება. ამჟამად საპირსპირო სურათთან გვაქვს საქმე: სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკას განსაზღვრავს სახელმწიფო სტრატეგიის შექმნის პრინციპულად მოწინააღმდეგე ჯგუფი, ხოლო ყოველდღიურ პრაქტიკაში სახეზეა სახელმწიფო სტრუქტურების უხეში, პოპულისტური და ზოგჯერ არაკანონიერი ჩარევა კერძო ბიზნესის საქმეებში (კახა ბენდუქიძის ხედვები ვერსუს ფინანსური პოლიციის საქმიანობა).

5. სოციალური სფერო და განათლება შესულია სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტების ჩამონათვალში. დასაბუთება:
   - უახლოეს ათწლეულებში, სანამ ეკონომიკა გაძლიერედება და საზოგადოების მენტალობაში ძირეული ძვრები მოხდება, ნაკლებ სავარაუდოა განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის გარანტიების ისეთი სისტემების ჩამოყალიბება, რომელიც მხოლოდ ბაზარზე იქნება ორიენტირებული და შეძლებს რეალურად დააკმაყოფილოს საზოგადოების მზარდი მოთხოვნები ერის სწრაფი დაბერების პირობებში.

სამოქმედო გეგმა:

ქვეყნის განვითარების გზების ხედვის ჩამოყალიბება უნდა მიმდინარეობდეს მაქსიმალური გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა თანამონაწილეობის პირობებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების მაქსიმალური მხარდაჭერა მძიმე, და ხშირად არაპოპულარული, რეფორმების გატარების პროცესში.

ნებისმიერი ქმედების განხორციელება აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

I. სახელმწიფოს მიერ სტრატეგიული ხედვების შემუშავება სხვადასხვა სფეროში ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით;

II. ჩამოყალიბებული ხედვებისა და სტრატეგიების გავრცელება საზოგადოებაში, იდეების ურთიერთგაზიარება და შესაბამისი ცვლილებების შეტანა; საზოგადოების მომზადება საერთო ეროვნული კონსენსუსის მიღწევის გზით (თუ ეს შეუძლებელია, მაშინ კონსენსუსის მიღწევა უმთავრეს აქტორებს შორის მაინც);

III. სტრატეგიებზე დაფუძნებული განხორციელების სამოქმედო გეგმების შედგენა (რასაც თან უნდა ახლდეს მარტივი, ადვილად გასაგები, გაწერილი პროცედურების ჩამოყალიბება);

IV. იმპლიმენტაციის პროცესში საზოგადოების ჩართვა და ამ უკანასკნელის მოტივაციათა გაზრდა გარანტირებული წარმატების მისაღწევად (კადრების დემოკრატიული და გამჭვირვალე პრინციპით შერჩევა და სხვ.).

ნანი მაჭარაშვილი

თანამედროვეთა მიერ მიმდინარე პროცესების შეფასება, მართალია, საინტერესო, მაგრამ, არცთუ იოლი ამოცანაა. საინტერესოა იმდენად, რამდენადაც თანამედროვეობის რეფლექსია შესანიშნავი წყაროა საიმისოდ, რომ უფრო შორეული გადასახედიდან განვლილი სოციალური და პოლიტიკური მოვლენები უკეთ გაანალიზდეს, რთული კი თუნდაც იმის გამოა, რომ უახლეს ისტორიაზე დაკვირვება შეიძლება მოვლენათა აღქმის ცალმხრივ და ვიწრო კონტექსტში განხილვას ეფუძნებოდეს. სწორედ ასეთი, რთული ამოცანის წინაშე გვაყენებს ეს *პოლიტიკური ფორუმი*, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს მიერ განვლილი გზის შეფასებას ისახავს მიზნად. წინამდებარე სტატიას არ აქვს სამეცნიერო კვლევის პრეტენზია და ვერც ექნება, გამომდინარე პროექტის მიზნებიდან. აქ თავმოყრილი მოსაზრებები საქართველოს უახლესი ისტორიის შეფასებისა და მომავლის პროგნოზირების მცდელობაა მხოლოდ და ცალკეული თეზისებისა და ჰიპოთეზების სახით უფროა წარმოდგენილი, ვიდრე მტკიცებულებების. თუმცა, უკეთესი იქნებოდა თითოეულ აქ მოცემულ კითხვაზე პასუხი კონკრეტულ კვლევას დაფუძნებოდა. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნულ ფორუმს ჩვენს საზოგადოებაში შედეგის სახით სწორედ კონკრეტული კვლევების ჩატარებისაკენ გააქტიურება მოჰყვება.

შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან გასული თხუთმეტწლიანი პერიოდი, ზოგადად თუ შევაფასებთ, სახელმწიფოებრიობის მშენებლობის მცდელობების ერთობლიობაა, რომელიც ხელისუფლების სამჯერადი შეცვლის შემდეგ ქართულ რეალობაში ყოველ ჯერზე ხელახლა იწყება. შესაბამისად, საქართველოს პოლიტიკური განვითარება შესაძლებელია წარმოვიდგინოთ სპირალისებური მოდელის სახით (იხ.სქემა 1), რომელშიც სამი ციკლი გამოიყოფა.



სქემა 1. საქართველოს ბოლო თხუთმეტი წლის განვითარების სპირალისებური მოდელი.

პირველი ციკლი ზ.გამსახურდიას, მეორე ე.შევარდნაძის, მესამე კი მ.სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდს ემთხვევა. თითოეული ციკლისთვის დამახასიათებელია მძლავრი სოციალური ტრანსფორმაციები, რაც, ერთი მხრივ, წინა ხელისუფლების ლეგიტიმაციის კრიზისიდან გამოსვლის, მეორე მხრივ კი, ახალ ციკლზე გადასვლის საშუალებად გვევლინება. შესაბამისად, თითოეულ ახალ ციკლზე გადასვლა უკავშირდება ქვეყნის უახლესი ისტორიის კრიზისულ ეპიზოდებს: პირველ შემთხვევაში ესაა 1989 წლის აპრილის მოვლენები, მეორე შემთხვევაში – 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის გადატრიალება, მესამე შემთხვევაში კი – 2003 წლის ვარდების რევოლუცია. თითოეული ციკლისთვის საერთოა სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესის ხელახლა დაწყება, თუმცა სასტარტო პოზიციები, რომლის პირობებშიც ხელახალი აღმშენებლობის პროცესი ხორციელდება, ყოველ ჯერზე განსხვავებულია და დამოკიდებულია წინამორბედი ციკლის შედეგებზე. გარკვეულწილად, სწორედ ამ უკანასკნელით განისაზღვრება მომდევნო ციკლის პირობებში განხორციელებული აღმშენებ-



სქემა 2. ციკლური განვითარების მოდელი.

ლობის პროცესის წარმატებაც, თუმცა მომდევნო ხელისუფლება ყოველთვის როდი ითვალისწინებს ამას და ცდილობს წინამორბედისგან დისტანციის დაკავებას.

ჩვენს მიმოხილვაში მოცემულია საქართველოს ციკლური განვითარების ზოგადი დახასიათება და მომავლის პერსპექტივები. აქვე აღვნიშნავთ, რომ, ქვეყნის მომავალ განვითარებაზე მსჯელობისას პირველი რიგის ამოცანად მსგავსი სპირალისებური განვითარების დაძლევა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესის სწორხაზოვანი განვითარების რეჟიმში გადაყვანა მიგვაჩნია.

1.

განვითარების სპირალისებურმა ხასიათმა და ერთგვარ ჩაკეტილ წრეში მოძრაობამ განაპირობა ის, რომ პოსტსაბჭოური სივრცის ყველაზე წარმატებული ბალტიის ქვეყნების გამოცდილებასთან შედარებით, ქართულ რეალობაში წარმატებების მიღწევის პროცესი დროში გაიწელა.[1] საქართველო დიდი ხნის განმავლობაში იყო ნეგატიური მაგალითი იმისა, თუ რა არ უნდა გააკეთოს ქვეყანამ, რომელსაც დამოუკიდებლობა და დემოკრატიის შენება უნდა.[2]

ჩვენი ქვეყნის განვითარების ბოლო თხუთმეტწლიანი პერიოდის შეფასება აქ მოცემულია ზოგადი ტენდენციების სახით, რომელიც უფრო დეტალურად წარმოდგენილია უკვე ცალკეულ ციკლებზე მსჯელობისას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითოეულ ამ ტენდენციაზე, როგორც დასრულებულ პროცესზე, მსჯელობა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგან ისინი ჯერ კიდევ მიუღწეველ ამოცანებს წარმოადგენენ, თუმცა, თითოეულ პარამეტრში წინსვლა თვალშისაცემია.

არშემდგარი სახელმწიფოს იარლიყისაგან გათავისუფლება. ზოგადად, საქართველოს უახლესი ისტორია ესაა დღევანდელი ხელისუფლების მიერ თანმიმდევრული დაძლევა არშემდგარი სახელმწიფოს სინდრომისა, რომელსაც განაპირობებდა, ერთი მხრივ, 90-იანი წლების სამოქალაქო დაპირისპირება, მეორე მხრივ, შევარდნაძის პერიოდში ჩამოყალიბებული კლანური მმართველობა.

საერთაშორისო არენაზე საქართველოს ცნობადობისა და, ზოგადად, საქართველოსადმი ინტერესის ზრდა. იზრდება საქართველოს საერთაშორისო იმიჯი. სსრკ-ის ყოფილი ნაწილი – უცნობი საქართველო – იქცევა დამოუკიდებელ, სუვერენულ ქვეყნად და საერთაშორისო საზოგადოებრიობის სრულუფლებიან წევრად.

გადასვლა ეთნიკური ნაციონალიზმიდან სამოქალაქო ნაციონალიზმზე. თხუთმეტწლიანი განვითარების რადიკალურად ნაციონალისტურ განცხადებებს თანდათან ცვლის და საბოლოოდ ანაცვლებს ე.წ. სამოქალაქო ნაციონალიზმი. თუმცა, ტერიტორიული და სამოქალაქო ფრაგმენტაციის ხარისხი კვლავ მაღალი რჩება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ვერ ხერხდება; ისევ პრობლემად რჩება სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი საქართველოს საზღვრისპირა ეთინკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზეც.

ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდების შეცვლა არაძალისმიერი მეთოდებით (ხელისუფლების შეცვლის ძალისმიერი მეთოდებიდან არაძალისმიერი გზით ხელისუფლების შეცვლისაკენ). ამ მხრივ, ნიშანდობლივია განსხვავება 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებასა და 2003 წლის ვარდების რევოლუციას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ვარდების რევოლუციის უსისხლოდ დასრულებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თავად შევარდნაძის გადაწყვეტილებამ, დაეტოვებინა ხელისუფლება, რიგით მესამე ტრანზიციის უსისხლო დასასრული იმანაც განსაზღვრა, რომ საქართველოს მოსახლეობას ჰქონდა ხელისუფლების შეცვლის სისხლიანი გამოცდილება, რამაც შემაკავებელი ფაქტორის როლი ითამაშა. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური თვითშეგნებაც გაიზარდა.

რუსეთის გავლენის შესუსტება დასავლეთის გავლენის სასარგებლოდ. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში საქართველოს საგარეო პოლიტიკური ავანსცენა მთლიანად რუსეთს ეკავა. თანდათან, ვარდების რევოლუციის შემდეგ კი თითქმის მთლიანად, ის დასავლეთმა ჩაანაცვლა.[3] 90-იანი წლების დასაწყისში საქართველო საერთაშორისო პოლიტიკის პასიური აქტორიდან თანდათან აქტიური მოთამაშის პოზიციაზე გადადის. პოსტრევოლუციური საქართველო შავი ზღვის რეგიონული აქტორობისათვის იბრძვის და გამოდის დემოკრატიული ტრანსფორმაციების ახალი ტალღის განვრცობის იდეით პოსტსაბჭოური სივრცის სხვა ქვეყნებზე.

მიუხედავად ამ პოზიტიური ცვლილებებისა, საქართველოში არჩევნები ჯერ-ჯერობით ვერ ასრულებს ხელისუფლების შეცვლის ინსტრუმენტის ფუნქციას და **საქართველო ვერ ჩაითვლება ე.წ. ელექტორალური დემოკრატიის ქვეყნად**. სწორედ ამიტომ, ხელისუფლების შეცვლა ჩვენში ხორციელდება არაკონსტიტუციურ ჩარჩოებში. ერთადერთი გამონაკლისია 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო

არჩევნები, რომლის პირობებშიც ძველი რეჟიმის ტრანსფორმაცია და ახალ რეჟიმზე გადასვლა, შემდგომი ორი ტრანსფორმაციისგან განსხვავებით, კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოხდა.[4] შესაბამისად, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებმა შექმნა არჩევნების როგორც ხელისუფლების შეცვლის ინსტრუმენტის პირველი პრეცედენტი. შემდგომ პერიოდში ეს ინსტიტუტი ფასადურ სახეს იღებს და როგორც 1992 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო და 2004 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევებში, ეკისრება სოციალური ტრანსფორმაციის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებულისათვის დაფნის გვირგვინის დადგმის სიმბოლური ფუნქცია. არჩევნები გამოდის არა როგორც ხელისუფლების შეცვლის ინსტრუმენტი, არამედ სოციალური ტრანსფორმაციების დროს გამარჯვებული მხარის გამარჯვების გაფორმების საშუალება.[5]

ბოლომდე არაა აღმოფხვრილი ლეგიტიმურობის კრიზისის საარჩევნო მანიპულაციებით დაძლევის პრაქტიკაც. შევარდნაძის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა არჩევნების თავის სასარგებლოდ გამოყენებას და ამომრჩეველთა პრეფერენციების იგნორირებას, განსაკუთრებით, მისი მმართველობის ბოლო წლებში, როცა ხელისუფლების მიმართ საზოგადოებაში არსებულ ნეგატიურ დამოკიდებულებასა და არჩევნების შედეგებს შორის აშკარა შეუსაბამობა ფიქსირდებოდა. თავის აპოგეას ამ მოვლენამ 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებზე მიაღწია. ასეთივე ცდუნების წინაშეა დღევანდელი ხელისუფლებაც: ხელისუფების დანაწილების თვალსაზრისით, არსებული დისბალანსის პირობებში მას შეიძლება ჰქონდეს ცდუნება, გამოიყენოს ადმინისტრაციული რესურსი არჩევნების შედეგების სამანიპულაციოდ. შესაბამისად, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დიდი გამოწვევაა, სამართლიანად წარმართოს საარჩევნო პროცესი.

რაც შეეხება კითხვას, როგორ შეიცვალა დამოუკიდებლობის თხუთმეტწლიან პერიოდში ქართული საზოგადოება და კულტურა, საზოგადოების რა ნიშნებმა მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე, შეიძლება შემდეგი ითქვას: **საქართველოს მოსახლეობის ნეგატიურ აქტიურობას** უმთავრესი ზეგავლენა აქვს სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე.[6] ამ ფაქტორის მნიშვნელობა გაცილებით დიდია მკვეთრი გარდაქმნების დროს, ვიდრე საზოგადოების განვითარების ჩვეულ რიტმში მოძრაობისას. საქართველოს მოსახლეობა გამოირჩევა მონაწილეობითი კულტურითა და პოლიტიკურ პროცესებში

ჩართულობის მაღალი ხარისხით სოციალური გარდაქმნების დროს, მაგრამ არა გარდაქმნებს შორის პერიოდებში. ეს აიხსნება საქართველოს მოსახლეობის სოციალური ფრაგმენტაციის მაღალი ხარისხით, რის გამოც სტაბილური განვითარების პირობებში ერის კონსოლიდაციის შესაძლებლობები და, შესაბამისად, სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობათა წარმატება მცირეა. ხელისუფლება კი ნაკლებად თვლის თავს ვალდებულად, გაითვალისწინოს მცირერიცხოვანი ჯგუფების მოთხოვნები. სოციალური ფრაგმენტაციის ასეთი მაღალი ხარისხით არსებობის პირობებში ერის კონსოლიდაციისთვის საჭირო ხდება ისეთი ლოზუნგები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის რაც შეიძლება ფართო ნაწილს მოიცავდნენ და გაერთიანებდნენ. საქართველოში კი, როგორც ეს არაერთხელ დადასტურდა, უფრო ადვილია მოსახლეობის მობილიზაცია ნეგატიური ლოზუნგების გარშემო, როგორებიცაა, მაგალითად: საქართველო სსრკ-ის (იგულისხმებოდა რუსეთის) გარეშე, საქართველო გამსახურდიას გარეშე, საქართველო ედუარდ შევარდნაძის გარეშე, აჭარა ასლან აბაშიძის გარეშე და ა.შ. შესაბამისად, პროტესტი, რომელსაც კონსტიტუციურ ჩარჩოებში გამოხატვის საშუალება არ ეძლევა, გადადის ქუჩაში და სოციალური ტრანსფორმაციის ახალ ციკლს უდებს საფუძველს.

საქართველოს ბოლო თხუთმეტწლიან პოლიტიკურ პროცესებზე დაკვირვება საფუძველს გვაძლევს ეს პერიოდი დავახასიათოთ როგორც **ქარიზმატული ლიდერების ეპოქა**. ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდს, როგორც წესი, ვყოფთ ქვეყნის პირველი პირების და არა რომელიმე სხვა კრიტერიუმის მიხედვით, ადასტურებს ქარიზმატულ ლიდერებზე ჩვენს საზოგადოებაში არსებულ მოთხოვნილებას. ეს შეიძლება აიხსნას სსრკ-ის დროინდელი ბელადისადმი რწმენის კულტივირების პრაქტიკითაც და ქვეყნის არაერთჯერადი კრიზისული პერიოდებითაც, რაც ქარიზმატული ლიდერის მოთხოვნილების გაჩენას განაპირობებს.

ქარიზმის სოციალური კაპიტალი და მისგან გამომდინარე ლეგიტიმაცია არამუდმივია. საკმარისია ქარიზმატული ლიდერის შესაძლებლობებსა და წარმატებებში იმედგაცრუება, რომ მაშინვე გაჩნდეს ახალ ლიდერზე მოთხოვნილება. ქარიზმატული ლიდერების მკვეთრი ცვლა ამის საუკეთესო გამოხატულებაა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ზვიად გამსახურდიასგან განსხვავებით, ედუარდ შევარდნაძის ქარიზმის გამოსაცდელი პერიოდი უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა. არ არის გამორიც-

ხული, რომ სააკაშვილის შემთხვევაშიც ქარიზმატული ლიდერის ზედმეტად მაღალი მხარდაჭერა რევოლუციური ეიფორიის ფონზე მკვეთრად დაეცეს. ის, რომ რევოლუციიდან სამ წელიწადში მიხეილ სააკაშვილმა, სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგების მიხედვით, ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი რაოდენობა დაკარგა, ვინძლო ამ სცენარის სასარგებლოდ მეტყველებდეს. მაგრამ, უმთავრესი მაინც ისაა, რომ თავად ხელისუფლება არ აღმოჩნდეს ამ პატრიმონიალური პოლიტიკური კულტურის მსხვერპლი და არ დაიწყოს დასაწყისში მისდამი არსებული თავბრუდამხვევი მხარდაჭერის საარჩევნო მანიპულაციებით შენარჩუნება.

ზოგადად, საქართველოს პოლიტიკური სივრცე **პერსონოფიცირებულია.** დღეს იგი უფრო პიროვნებას ეფუძნება, ვიდრე – სისტემას, ლიდერს, ვიდრე – ინსტიტუტს. ეს დამახასიათებელია როგორც საჯარო სფეროსა და მმართველობისათვის, ისე სხვადასხვა, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების სისტემისათვის როგორც ნაციონალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. შესაბამისად, უმთავრეს ამოცანად და გადასაწყვეტ პრობლემათა შორის სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე სწორედ **სისტემისა და ინსტიტუტების მშენებლობა** რჩება.

თხუთმეტწლიანი განვითარების მიღწევებისა და არსებული პრობლემების გააზრებისას, ცხადია, გათვალისწინებული უნდა იყოს ის სასტარტო პოზიციები და ობიექტური პირობები, რაშიც აღმშენებლობის თითოეული ციკლი ვითარდებოდა. თუმცა, მთავარი კითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში უნდა დაისვას, შემდეგია: განვითარების რა გზით მიემართება ჩვენი ქვეყანა. კრიტერიუმებად ამ შემთხვევაში უნდა მივიჩნიოთ, როგორც დემოკრატიული მმართველობის სისტემისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, ისე დასავლურ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე მოპოვებული წარმატებები. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად შევეცდებით, ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული ციკლის მიღწევები და ჩავარდნები და ასე ფრაგმენტ-ფრაგმენტ ავაწყოთ მთლიანი სურათი, რასაც საქართველოს ბოლო თხუთმეტწლიანი განვითარება ჰქვია.

2.

ზვიად გამსახურდიას მმართველობა საქართველოს ბოლო თხუთმეტწლიანი განვითარების გზაზე ყველაზე წინააღმდეგობრივი მონაკვეთია. მისი ხელისუფლების პერიოდში ნებისმიერი წარმატება სულ მცი-

რე ხანში წარუმატებლად შემოტრიალდა. ამის დასადასტურებლად რამდენიმე მაგალითის მოყვანაც საკმარისია. მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდიამ შეძლო ერის კონსოლიდაცია[7] იმ მასშტაბებით, რომელიც საქართველოს უახლოეს ისტორიაში მხოლოდ ვარდების რევოლუციის დროს განმეორდა, ერის კონსოლიდაციის ეს ხარისხი სულ მალე დავიწყებას მიეცა და ქვეყანა ღრმა გახლეჩილობამ მოიცვა.[8] მისი მმართველობის პერიოდში მოხდა ქვეყნის ორ ბანაკად ზვიადისტებად და ანტიზვიადისტებად დაყოფა, რასაც სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირება და 1991-1992 წლის გადატრიალება მოჰყვა. 90-იანი წლების დამდეგს ერთ მუშტად შეკრული ერის ფენომენი ვარდების რევოლუციამდე დავიწყებას მიეცა.

ზვიად გამსახურდიას დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს 1921 წელს დარღვეული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად საფუძვლების შექმნაც, რისი მიღწევაც მას არცთუ ხელსაყრელ პირობებში უხდებოდა.[9] მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის დე-იურე აღიარებამ გამსახურდიას პუტჩის დღეებში მოუსწრო, მან თავისი მმართველობის ხანმოკლე პერიოდში შეძლო ქვეყნისათვის დე-ფაქტო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. მეტიც, საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში იყო პირველი რესპუბლიკა, სადაც საყოველთაო, დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად საქართველო იმ პერიოდში ქვეყნის სუვერენიტეტის აღსადგენად ბრძოლის ავანგარდში იდგა. გასათვალისწინებელია, ისიც, რომ ზვიად გამსახურდია ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს დსთ-ში გაწევრიანებას, რადგან ის საბჭოთა კავშირის რეანიმაციად მიაჩნდა.[10] ქვეყნის სახელმწიფოებრიობას 1991-1992 წლების გადატრიალებისა და 1992-1995 წლების სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად სერიოზული საფრთხე შეექმნა.

გამსახურდიას პერიოდის წარუმატებლობად უნდა დასახელდეს: ხელისუფლების ნაციონალისტური რიტორიკა, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე თუ წარმატებით იქნა აპრობირებული და სსრკ-ის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა, უკვე თავად საქართველოს პოლიეთნიკური საზოგადოებრივი სივრცისთვის არაადეკვატური აღმოჩნდა. ზვიად გამსახურდიამ ვერ შეძლო ნაციონალისტური დისკურსის საგარეო და საშინაო სივრცეში სწორი კონტექსტუალიზაცია; *მან ვერ გაატარა სათანადო საკადრო პოლიტიკა და, შესაბამისად, შექმნა მართვის უუნარო აპარატი*, რომელიც ვერ

უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტას.[11] ზვიად გამსახურდია ვერ გამოვიდა 90-იანი წლების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიტინგების ეპოქიდან და სახელმწიფო მართვის სტილზე გადაწყობა ვერ შეძლო. ამისათვის მას არც გამოცდილება ჰქონდა და არც საკმარისი ალღო აღმოაჩნდა[12] *დაშვებულ იქნა შეცდომები ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობაში*: ზვიად გამსახურდიას პოლიტიკას ოპოზიციურ პარტიებთან მიმართებაში პრაგმატულობა აკლდა. ბრალდება, რომ გამსახურდიას ხელისუფლებამ ისინი პოლიტიკური თამაშიდან გააქრო, მართებულად შეიძლება მივიჩნიოთ. ზვიად გამსახურდიას არ აღმოაჩნდა პოლიტიკური ლავირების ნიჭი, ესოდენ აუცილებელი კრიზისული სიტუაციების დასარეგულირებლად; *უმართებლო იყო ე.წ. წითელი ინტელიგენციის წინააღმდეგ გალაშქრება*: შავი სიებისა და საბჭოურ პერიოდში მათი საჩოთირო მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებით დამუქრება; *არ მოხდა რუსეთისაგან საკმარისი დისტანცირება*: ცხინვალის კონფლიქტში ჩართული საქართველოს პრეზიდენტი 1991 წლების აგვისტოში, როცა გეკაჩეპე მოსკოვში პერესტროიკის შეჩერებას და წესრიგის დამყარებას შეეცადა, აქტიურად არ გამოსულა პუტჩისტების წინააღმდეგ; *გამსახურდიას მთავრობა წამოეგო სამხრეთ ოსეთის პროვოკაციაზე და კონფლიქტში ჩაება. რა თქმა უნდა, შეცდომად უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო დაპირისპირების დროს უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთების გამოყენება, პირადი ამბიციების წინა პლანზე წამოწევა და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პროვოცირებაში მონაწილეობა*.

ზვიად გამსახურდიას მმართველობის დასასრულის ძირითადი მიზეზია დემოკრატიული პოლიტიკური კულტურისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების დაბალი დონე. ამით შეიძლება აიხსნას როგორც მაშინდელი დაპირისპირებული პოლიტიკური ჯგუფების (ხელისუფლება-ოპოზიცია), ისე მთლიანად საზოგადოების მიერ დაშვებული შეცდომები. კომპრომისებისადმი მზადყოფნის არარსებობა, პრობლემების მარტოოდენ კონფრონტაციული გზებით გადაწყვეტის ტენდენცია, სიტუაციის კრიზისამდე დაძაბვა – ესაა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშნები. პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიერ ბრძოლის საშუალებათა არჩევის დროს რადიკალიზმსა და სიმწვავეს შედეგად ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ძალის გამოყენება მოჰყვა. იმ პერიოდის პოლიტიკური პროცესის ასეთი სიმწვავე შესაძლებელია რამდენიმე მიზეზით აიხსნას:

პირველ მიზეზად თავად გარდამავალი პერიოდის სპეციფიკა შეიძლება იქნეს მიჩნეული. აქ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ზვიად გამსახურდიას მთავრობა შეეჯახა დიდ მოლოდინს საზოგადოების მხრიდან. საზოგადოება სწრაფ ეკონომიკურ ზრდასა და საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ელოდა. თუმცა, თავად მთავრობას არ გააჩნდა არც რესურსები, არც საკმარისი გამოცდილება ამ მოლოდინის გასამართლებლად. საზოგადოების მოლოდინებსა და მთავრობის რეალურ ქმედებებს შორის ასეთმა სხვაობამ განსაზღვრა ქვეყნის მოსახლეობის ნაწილის უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება მოქმედი ხელისუფლების მიმართ. გარდა ამისა, საზოგადოებაში ასევე გადაჭარბებულად დიდი მოლოდინი იყო იმისა, რომ ქვეყანაში დემოკრატია დამკვიდრდებოდა. შესაბამისად, დემოკრატიული პროცედურებისგან ნებისმიერი გადახვევა ფასდებოდა როგორც უკიდურესად ნეგატიური ფაქტი. მოწინააღმდეგე ბანაკში საქართველოს მოქმედ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხშირად უწოდებდნენ მეორე ჩაუშესკუს. რიტორიკულად ჟღერდა კითხვა: რა უფრო მნიშვნელოვანია დემოკრატიის მშენებლობა თუ ქვეყნის მოწყობა, რომელი უნდა უსწრებდეს დროში რომელს ან, თუ შესაძლებელია, ორივე ამოცანის ერთდროული გადაწყვეტა. თავდაპირველად დამოუკიდებელი ქვეყნის მოწყობისა და განმტკიცებისკენ იხრებოდა თავად ზვიად გამსახურდიაც. რადიკალურმა ოპოზიციამ და რუსულმა მედიამ კი იზრუნა, რომ მისთვის დიქტატორის იმიჯი შეექმნა.

მაშინდელი ქართული საზოგადოება, რომელსაც სამოქალაქო დაპირისპირების გამოცდილება არ ჰქონია, შედეგებზე, სინამდვილეში, არ ფიქრობდა და მთელი სიმწვავით აყენებდა საკუთარ მოთხოვნებს. შემდგომში წარსულის ქაოსისა და განუკითხაობის გამეორების შიშმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვარდების რევოლუციის უსისხლოდ განხორციელებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აცხადებდა რა ფაქტობრივ თანხმობას ძალის გამოყენებაზე, იმ პერიოდის ქართული საზოგადობის არცთუ მცირე ნაწილს ბოლომდე არ ჰქონდა გაცნობიერებული მოსალოდნელი შედეგები.

საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების მიზეზებზე მსჯელობისას საჭიროა მხედველობაში მივიღოთ კრემლის პოზიციაც, რომელიც დაინტერესებული იყო ქვეყანაში არსებული სიტუაციის უკიდურესი ესკალაციით. საქმე ისაა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადე-

ბიდან ვიდრე 1993 წლის დასაწყისამდე საქართველოში რუსეთის პერსპექტივები საკმაოდ ბუნდოვანი ჩანდა. საქართველო, ისევე როგორც აზერბაიჯანი, არ შეერთებია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას და ყველანაირად ცდილობდა რუსეთის გავლენისაგან თავის დაღწევას. რუსეთისთვის კი საქართველოზე, როგორც შავ ზღვაზე გასასვლელის მქონეზე და თურქეთთან მოსაზღვრე ტერიტორიაზე, კონტროლის შენარჩუნება სტრატეგიულ ამოცანად იქცა. იმ პირობებში, როცა საქართველოს ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით ვერ შეძლო პოლიტიკური მოკავშირის გამოძებნა დასავლეთში, ქვეყნის შიდაპოლიტიკურ პროცესებსა და კონფლიქტებში რუსეთის ჩარევა გარდაუვალი აღმოჩნდა. რუსეთი ამისათვის აქტიურად იყენებდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს როგორც 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებში, ისე ეთნიკური სეპარატიზმის კერებში სიტუაციის ესკალაციისთვის. ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფო გადატრიალების ანალოგიურ პროცესს ადგილი ჰქონდა პოსტსაბჭოური სივრცის სხვა ქვეყნებში, ამყარებს ვარაუდს სახელმწიფო გადატრიალებაში კრემლის მონაწილეობის შესახებ.[13] შესაბამისად, სახეზე იყო სახელმწიფოს პირველი ჩავარდნა.

3.

საქართველოს პოლიტიკურ ავანსცენაზე დაბრუნებული სსრკ-ის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრისა და დასავლეთის თვალში დიდი პოლიტიკური კაპიტალის მქონე ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობის თერთმეტწლიანი პერიოდი შეიძლება შეფასდეს როგორც გზა კრიმინალურიდან კლანურ მმართველობამდე.

საქართველოში დაბრუნებულ შევარდნაძეს მოუხდა სახელმწიფოებრიობის ხელახალი მშენებლობა, რადგან ერთადერთი, რაც იმ პერიოდის საქართველოს გააჩნდა, ეს სსრკ-ის დაშლის შემდეგ მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ მისი დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარება და ედუარდ შევარდნაძის პერსონიდან გამომდინარე საგარეო პოლიტიკური დახმარებების მიღების იმედი იყო. სხვა პარამეტრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარება სერიოზული საფრთხის ქვეშ იდგა: საზოგადოება ორ ბანაკად იყო გაყოფილი – ზვიადისტებად და შევარდნაძისტებად; სამოქალაქო წინააღმდეგობის ერთ მხარეს წარმოადგენდა 1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილე კიტოვანისა და სიგუას ტან-

დემი, რომელთაც ეროვნული გვარდიის ნაწილი და კრიმინალური ავტორიტეტები უმაგრებდნენ ზურგს, მეორე მხარეს კი – ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები ეროვნული გვარდიის სამხედრო შენაერთების ნაწილით. ამას ემატებოდა ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონი.

1992-1995 წლები შევარდნაძემ სწორედ სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელებას მოანდომა და ეს მისი მმართველობის, მართლაც, უმნიშვნელოვანეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, ამ პერიოდშივე მოხდა აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილის დაკარგვა, უცხო ქვეყნის, რუსეთის სამხედრო ფორმირებების (ბალტინის ჯარების) გამოყენება ხელისუფლების განსამტკიცებლად,[14] ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტებთან მიმართებაში წამგებიან სამშვიდობო შეთანხმებებზე წასვლა, დსთ-ში გაწევრიანება და რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე 25 წლის ვადით დატოვება.

შევარდნაძის ერთ-ერთ დამსახურებად, განსაკუთრებით კი, მისი საქართველოში დაბრუნების პირველ წლებში, უნდა ჩაითვალოს დაპირისპირებულ ძალთა შორის ბალანსირება. ედუარდ შევარდნაძე მოწინააღმდეგეთა შორის მედიატორის როლში გამოდიოდა. იგი თავის გარშემო იკრებდა დროებით დაჯგუფებებს, რომელთაც გარკვეული მიზნით გამოყენების შემდეგ უპრობლემოდ იცილებდა. პოლიტიკური ლავირების შევარდნაძისეულ ნიჭის დამსახურებაა ჯაბა იოსელიანის გასამხედროებული ფორმირებების უმტკივნეულო დაშლა და იგორ გიორგაძის ჩამოცილებაც.

შევარდნაძემ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და, ზოგადად, ქვეყნის ინსტიტუციურ მშენებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ მის პერიოდში შექმნილ ინსტიტუტებს, მეტწილად, ფიქტიური სახე ჰქონდა და ფასადის როლს ასრულებდა, სახელმწიფო აპარატის 90-იანი წლების დასაწყისში არსებული გაუმართაობის პირობებში, ესეც მნიშვნელოვან წინსვლად შეიძლება შეფასდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორედ შევარდნაძის მმართველობის პირობებში მოხდა სსრკ-ის დროინდელი საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ტრანსფორმაცია და დასავლურ ფასეულობებთან მისი მიახლოება. აქვე, აღნიშვნის ღირსია კონსტიტუციის მიღებაც და სიკვდილით დასჯის გაუქმებაც.[15] შევარდნაძის სახელს უკავშირდება თავისუფალი მედიისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისათვის პირობების შექმნაც. უნდა ითქვას, რომ შევარდნაძის ყვე-

ლაზე თავგამოდებული კრიტიკოსებიც კი ვერ გაურბიან ამ დამსახურებაზე მსჯელობას.

ედუარდ შევარდნაძის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ხელისუფლებიდან ნებაყოფლობითი წასვლაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვარდების რევოლუციის ზეწოლის შედეგი იყო, რომ არა შევარდნაძის პოზიცია, გამორიცხული არ იყო, ვარდების რევოლუციას სისხლისღვრა მოჰყოლოდა. ისიც სათქმელია, რომ საზოგადოებაში შევადნაძისტ-ანტიშევარდნაძისტად დაყოფა არ მომხდარა. საზოგადოება მთლიანად იქცა ანტიშევარდნაძისტულ მოძრაობად, ანუ ვარდების რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოებრივი განვითარების ახალ ციკლზე გადასვლა მოხდა არა ისეთი გახლეჩილობის პირობებში, როგორც მეორე ტრანსფორმაციის, შევარდნაძის დაბრუნების დროს, არამედ ერის კონსოლიდაციის საფუძველზე. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, უნდა ითქვას, რომ 90-იან წლებში გახლეჩილ საზოგადოებაში დაბრუნებულმა შევარდნაძემ ერი მისი პიროვნების წინააღმდეგ გაერთიანა.

შევარდნაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს პროდასავლურ ორიენტაციაზე ეტაპობრივი გადასვლა და საქართველოს ევროპულ სივრცეში გაწევრიანების პროცესის დაწყებაც, რის გამოხატულებადაც იქცა 1999 წელს ქვეყნის ევროსაბჭოში გაერთიანება, რუსეთის სამხედრო ბაზების გასაყვანად საფუძვლების მომზადება, საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საფუძვლების შექმნაც, რის დადასტურებასაც ქართული არმიის წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში მონაწილეობის პროცესის დაწყება წარმოადგენდა და ა.შ.

შესაბამისად, 1993-1995 წლების ცალმხრივად რუსეთზე ორიენტირებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს, მას შემდეგ, რაც რუსეთის დახმარებით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედები გაქრა, ორპოლუსიანი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია ჩაენაცვლა. თუმცა, შევარდნაძე საგარეო პოლიტიკაში ოქროს შუალედის დაცვასა და რუსეთსა და დასავლეთს შორის ბალანსირების პოლიტიკის გატარებას ბოლომდე ცდილობდა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავი ბალანსირების პოლიტიკა არაეფექტური გამოდგა, რადგან რუსეთი ვერ შეეგუა თავისად მიჩნეულ გეოპოლიტიკურ სივრცეში დასავლეთის გამოჩენას, დასავლეთს კი საქართველოში რუსეთის არსებობის პირობებში სრული სამოქმედო კარტ-ბლანში არ ეძლეოდა.

რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძის პერიოდში დაშვებულ შეცდომებსა და წარუმატებლობებს, გარდა უკვე ზემოთ დასახელებულისა,

აღსანიშნავია მისი მართვის სტილის რეტროგრადიულობა და საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების მხოლოდ მცირედი გაუმჯობესების (ინკრიმენტალური) გზით მოგვარება, რაც სტაგნაციას უფრო წააგავდა, ვიდრე წინსვლას. საბოლოო ჯამში, საჯარო ადმინისტრირების ასეთი სტილით მუშაობამ, დღის წესრიგში არსებულმა უამრავმა პრობლემამ, რომელიც უფრო სტრატეგიულ გადაწყვეტას საჭიროებდა, ვიდრე მცირედ გაუმჯობესებას, სისტემა შთანთქა. მისი მმართველობის პირობებში ვერ მოხერხდა მძიმე სოციალური ფონის გამოსწორება, რასაც დაერთო ენერგეტიკული კრიზისიც. საზოგადოებრივი უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა, ხოლო ლეგიტიმაციის ხარისხი ეცემოდა.

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დამახასიათებელი ნიშანი იყო კლანური, კორუფციული მმართველობა, ნეპოტიზმი, კერძო ბიზნესში სახელმწიფო წილების არსებობა, ქრონიკულად დეფიციტური ბიუჯეტი, საგადასახადო მოსაკრებლების შეგროვებასთან დაკავშირებული მუდმივი პრობლემები, არასახარბიელო საინვესტიციო გარემო, რაც საქართველოში უცხოური კაპიტალდაბანდებების განხორციელებისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის შესაძლებლობას სპობდა. შესაბამისად, სწორია, როდესაც ამ პერიოდის საქართველოს ახასიათებენ როგორც ფეოდალურს. სახეზე იყო სახელმწიფოს რიგით მეორე ჩავარდნა. ეს გახდა კიდეც ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების მიუღებლობისა და ლეგიტიმურობის კრიზისის საფუძველი, რომლის გამოსავალსაც წარმოადგენდა ვარდების რევოლუცია.

4.

ვარდების რევოლუციის და ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლის შემდეგ საქართველოს უახლეს ისტორიაში დაიწყო სახელმწიფოს მშენებლობის კიდევ ერთი, რიგით მესამე პროცესი, რომელიც წინამორბედი ციკლებისგან რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლებით მნიშვნელოვნად განსხვავდება. პოსტრევოლუციური საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება გახდა გაცილებით დინამიკური და მიზანზე ორიენტირებული, ფასეულობით კატეგორიებზე მსჯელობიდან გადავიდა უფრო საჯარო საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტაზე. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, საზოგადოება გრძნობს ხელისუფლების მუშაობის შედეგებს (პოზიტიურს თუ ნეგატიურს, ეს უკვე სხვა საკითხია), რაც მისი მოღვაწეობის დამადასტურებელია.[16] წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, სააკაშვილის ხელისუფლება თავის მისიად ქვეყა-

ნაში სისტემური ცვლილებების განხორციელებასა და სწრაფი რეფორმების გატარებას აცხადებს. შესაბამისად, თუკი ზვიად გამსახურდიას ქვეყნის სახელმწიფოებრიობის საფუძველჩამყრელად, ედუარდ შევარდნაძეს კი მის ინსტიტუციურ დიზაინერად მივიჩნევთ, მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფოებრიობის სისტემაში მომყვანად და მის ფუნქციურ გამმართველად უნდა აღვიქვათ. წინა პერიოდებისგან განსხვავებით, სააკაშვილის ხელისუფლება დაკავებულია დასავლური სტანდარტების სახელმწიფოს მშენებლობით, რაც ადვილ ამოცანას არ წარმოადგენს და როგორც პროცესი საკმაოდ მტკივნეულია, რადგან საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ბევრი არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღებას და პრაქტიკაში დანერეგვას[17], რაც საბჭოური, უპირატესად კი, შევარდნაძის კლანურ-კორპორაციული და პიროვნულ ინტერესზე გათვლილ საზოგადოებაში დაკავშირებულია მენტალიტეტის შეცვლის არცთუ იოლ ამოცანასთან. შესაბამისად, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას საზოგადოებრივი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად და ლეგიტიმაციის შესანარჩუნებლად უწევს საკუთარი წარმატებების გაპიარება[18], ზოგიერთ შემთხვევაში კი – დათმობებზე წასვლა და საზოგადოებისათვის პოპულისტური ალტერნატიული გადაწყვეტილებების შეთავაზება. ასე რომ, სახეზე გვაქვს სახელმწიფოებრიობის მშენებლობასა და პოპულიზმს შორის არსებული დუალიზმი, რომლის ტყვედაც ხშირად სააკაშვილის ხელისუფლება გვევლინება.

მიხეილ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების დამსახურებათა შორის უპირველეს აღნიშვნას საჭიროებს ვარდების რევოლუციის უსისხლოდ განხორციელება, რითაც დაიძლია ჩვენში არსებული სისხლიანი ტრანსფორმაციების მოდელი და შეიქმნა ხელისუფლების, თუნდაც არაკონსტიტუციური გზით, მაგრამ სისხლისღვრის გარეშე შეცვლის პირველი პრეცედენტი. აქვე, უნდა აღინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კვლავ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მოქცევა, რითაც მნიშვნელოვნად შეიკვეცა საქართველოს ტერიტორიული ფრაგმენტაცია.

სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით, დღევანდელი ხელისუფლების უდავო დამსახურებაა სახელმწიფოს სიმბოლიკისადმი (ჰიმნი, დროშა, გერბი) საზოგადოებაში სიყვარულისა და პიტივისცემის კულტურის დამკვიდრება, სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით კი – სამოქალაქო ნაციონალიზმზე დაფუძნებული მულტიკულტურული ერთობის მშენებლობა, რაზეც, პირადად, მიხეილ სააკშვილის

საჯარო გამოსვლებსა და სიტყვებში არაერთხელ გაკეთებულა განსაკუთრებული აქცენტი.[19] საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სამწლიანი მოღვაწეობის შედეგებს შორის განსაკუთრებულად უნდა გაესვას ხაზი ედუარდ შევარდნაძის მმართველობისათვის დამახასიათებელი ბიუჯეტის მუდმივი დეფიციტის, საგადასახადო მოსაკრებლების შეგროვებასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევას და ეკონომიკური მაჩვენებლების წლიდან-წლამდე გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის შევსება ხშირად ასოცირდება სახელმწიფო რეკეტთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დამკვიდრებული სახელმწიფოსათვის გადასახადების დამალვის პრაქტიკის დაძლევა დღეს მხოლოდ მკაცრი ადმინისტრირების გზით არის შესაძლებელი, რაც ძალაუნებურად კრიტიკოსთა თვალში სახელმწიფო რეკეტთან იგივდება.[20] საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას უწევს შევარდნაძის დროინდელი არასახარბიელო საინვერსტიციო გარემოს გამოსწორებაც, თუმცა, დღემდე ჯერ კიდევ სადავოა საპრივატიზაციო ობიექტთა გაყიდვის შერჩევის კრიტერიუმები, ამ პროცესში ხელისუფლების ობიექტურობა და შემსყიდველ კომპანიებში სახელმწიფოს წილის არსებობა-არარსებობის საკითხი. ფაქტია, რომ დღევანდელი ხელისუფლება დგას ისეთივე საფრთხის წინაშე, როგორის წინაშეც იდგა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება – არ მოექცეს კერძო ბიზნესის ზეგავლენის ქვეშ და ბოლომდე დაიცვას შუამავლის როლი სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის.

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დამსახურებაა რუსეთთან მიმართებაში პრინციპული პოზიციის დაკავება და რუსეთის იძულება, აღიაროს საქართველოს სახელმწიფოებრიობა არა მხოლოდ დე-იურე, არამედ დე-ფაქტო.[21] ღირსსაცნობია ისიც, რომ ხდება რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა ქვეყნის ტერიტორიიდან; დაიწყო ღია საუბარი რუსეთზე, როგორც მონაწილე მხარეზე ქართულ-აფახურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტში, განსხვავებით ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებისგან. ჩანს ზრუნვა კონფლიქტურ რეგიონებში დსთ-ის სამშვიდობოების ეგიდით მოქმედი რუსი ცისფერჩაფხუტიანების სხვა ალტერნატიული სამშვიდობოებით ჩანაცვლებაზე. კონფლიქტებზე საუბრისას აუცილებელ აღნიშვნას საჭიროებს ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების ვლადიმირ სანაკოევის სახით ალტერნატიული პროქართულად განწყობილი ხელისუფლების შექმნა და მხარდაჭერა, რომე-

ლიც სამხრეთ ოსეთის საქართველოს იურისდიქციაში მშვიდობიანი დაბრუნების ფორპოსტად განიხილება, ისევე როგორც კოდორი აფხაზეთთან მიმართებაში.

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებშივე საქართველოს ნატო-სა და, ზოგადად, ევროინტეგრაციის საკითხი სურვილიდან რეალური განხორციელების რეჟიმში გადავიდა. მიხეილ სააკაშვილის მიერ განხორციელებულ წარმატებულ ინიციატივათა ჩამონათვალში ასევე ხვდება საპატრულო პოლიციის და ერთიანი ეროვნული გამოცდების პროექტები.

მიხეილ სააკაშვილის მმართველობის უარყოფით მხარეებზე საუბრისას მხედველობაში, უპირველეს ყოვლისა, მისაღებია ხელისუფლების შტოებს შორის თუნდაც, შევარდნაძის დროინდელი განაწილების სისტემის აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ დარღვევა და საპარლამენტო ხელისუფლების როლისა და ფუნქციების დაკნინება, რაც ზოგიერთ მკვლევარს სუპერსაპრეზიდენტო მმართველობის თაობაზე მსჯელობის საფუძველს აძლევს. ხელისუფლება ამას სწრაფი რეფორმების გატარების აუცილებლობითა და საჭიროებით ხსნის.

ამავე მიზნით აიხსნება საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ, ერთი მხრივ, კანონის საკუთარ თარგზე მორგების არაერთჯერადი პრაქტიკის გამოყენება,[22] მეორე მხრივ კი – საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის ზევიდან ქვევით მიმართულებით მოძრაობაც და საჯარო პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა თუნდაც განხილვის ეტაპზე არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენელთა აზრის გაუთვალისწინებლობაც. ცნობილია, რომ ამ მიზნის (რეფორმების გატარება) მიღწევა დემოკრატიული მეთოდებით ერთობ რთულია, შედარებით იოლია ავტოკრატიული მეთოდების გამოყენებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს დღევანდელ მოსახლეობაში საკმაოდ დიდია მკაცრი ხელის მოთხოვნილება, რაც სააკაშვილის ხელისუფლების ავტოკრატიული გადაწყვეტილებებისაკენ გადახრას საზოგადოების მიერ ადვილად მისაღებს ხდის, ხოლოდ თავად ხელისუფლებას თვითშეზღუდვაზე ზრუნვას არ ავალდებულებს. ანტიკორუფციული პოლიტიკის დროს ყოფილ მაღალჩინოსანთა ქონების ჩამორთმევის პროცესში დაშვებული უხეში საკანონმდებლო დარღვევები, ისევე როგორც პოლიტოპონენტთა დაპატიმრების პროცესში მტკიცებულებათა არასაკმარისობის მიღება პროტესტის გარეშე ამის დასტურად მესახება. ეს კი

იმაზე მიუთითებს, რომ კანონის უზენაესობა ჩვენი საზოგადოებისთვის უზენაესი პრინციპი ჯერ კიდევ არ არის.

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების სამწლიანი მოღვაწეობის პირობებში ვერ მოხერხდა სოციალური სისტემის გაუმჯობესება. მძიმე სოციალური ფონი კვლევ რჩება როგორც ერთ-ერთი მტკივნეული და ხელისუფლების სტაბილურობისათვის ყველაზე საშიში ფაქტორი. ინფლაციისა და უმუშევრობის მაღალი დონის შენარჩუნების პირობებში პენსიონერთათვის ათლარიანი დანამატის დაწესება არსებულ სიტუაციას ვერანაირად ვერ ცვლის. სოციალური დაცვის სისტემა კვლავ დოტაციურ სოციალურ დახმარებაზეა აგებული და გათვლილია მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების დახმარებაზე, როცა სოციალური დახმარების სისტემის რედისტრიბუციული სამართლიანობის საფუძველზე აგება უფრო ეფექტურად გამოიყურება. დღევანდელი ხელისუფლების წარუმატებლობათა შორის უნდა დასახელდეს: 2004 წლის ზაფხულის სამხედრო ოპერაცია სამხრეთ ოსეთში, პენიტენციარულ სისტემაში არსებული მძიმე მდგომარეობა, სიტყვის თავისუფლების ხარისხის შემცირება, სასამართლო ხელისუფლების დამოკიდებულება ხელისუფლების სხვა შტოებზე.

ზოგადად, მიხეილ სააკაშვილის სამწლიანი მოღვაწეობა შესაძლებელია შეფასდეს როგორც სახელმწიფოს ორჯერადი ჩავარდნის შემდეგ აღორძინების პროცესი, რომელიც თითქოს რადიკალური ეტატისტური იდეოლოგიის საფუძველზე იგება. სინამდვილეში კი, სახეზეა სახელმწიფოებრიობის აღორძინება და წინა პერიოდებთან შედარებით სახელმწიფოს რეალური ფუნქციობის რეჟიმში გადაყვანა. სწორედ ეს ქმნის სახელმწიფოს მაღალი მონაწილეობის შთაბეჭდილებას. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ავტოკრატიული რეჟიმის ხანგრძლივ არსებობას, როგორც ამას საქართველოს ბოლო 15 წლის გამოცდილება გვიჩვენებს, დიდი ხნის არსებობა არ უწერია და სააკაშვილის ხელისუფლებას, თუ მას ხელისუფლების შენარჩუნება უნდა, თვითტრანსფორმაციაზე, ადრე თუ გვიან, სერიოზული დაფიქრება მოუწევს.

5.

ოპოზიციის სისუსტე საქართველოს ბოლო 15 წლის პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთი თვალშისაცემი ფენომენია. ამ მხრივ, ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც ზვიად გამსახურდიას, ისე ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პე-

რიოდები. გასათვალისწინებელია, რომ ოპოზიციის სისუსტეზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, განმსაზღვრელ კრიტერიუმად ვიღებთ ოპიზიციური პარტიების ხელისუფლებაში მოსვლის შესაძლებლობას, რაც ოპოზიციური პარტიისათვის, გარდა იმ პარტიებისა, რომლებიც წარსულში სახელისუფლებო პარტიის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ, ფაქტობრივ, ნულს უტოლდება. საქმე ისაა, რომ საქართველოში სახელისუფლებო პარტიის როტაცია ხდება არა იმდენად ოპოზიციური ძალებისა, რამდენადაც თავად ამავე სახელისუფლებო პარტიის წიაღიდან გასული ოპოზიციური ნაწილისა, რომელსაც ქარიზმატული ლიდერი უდგას სათავეში. შესაბამისად, ხელისუფების როტაცია სახელისუფლებო პარტიის შიდა დაპირისპირებასა და განხეთქილებას უკავშირდება, რაც საქართველოს ბოლო თხუთმეტი წლის განვითარებას არა ცალკეული ციკლების, არამედ სპირალის სახით წარმოადგენს. გამსახურდიას, ერთი შეხედვით, უკონკურენტო ხელისუფლების ჩანაცვლება, ერთი მხრივ, მისი რიგებიდან გამდგარი კიტოვანისა და სიგუას, მეორე მხრივ კი, ყოფილი საბჭოური ნომენკლატურის მეშვეობით გახდა შესაძლებელი.[23] ასევე, ედუარდ შევარდნაძის ჩანაცვლებაც ერთ დროს მისი პარტიის – საქართველოს მოქალაქეთა კავშირის – რიგებიდან გასული ოპოზიციური დაჯგუფების საშუალებით მოხდა.[24] ასეთივე ტენდენციების გაგრძელების ალბათობაზე მიუთითებენ დღესაც, როცა გვთავაზობენ პროგნოზს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მომავალზე. ამჟამად საქართველოში ნაკლებად განიხილება რომელიმე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის (ყოველ შემთხვევაში, დღეს არსებული პოლიტიკური სპექტრიდან) ხელისუფლებაში მოსვლის ალბათობა. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ დღეს, სააკაშვილის სახელისუფლებო პარტიის რეიტინგის დაცემის მიუხედავად, არ შეინიშნება გარე ოპოზიციური პარტიების რეიტინგის შესაბამისი ზრდა.[25] უფრო მეტი ალბათობით გამოირჩევა სცენარი, რომელიც მომავალ სახელისუფლებო ძალას კვლავ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას უკავშირებს. შესაბამისად, საქართველოს პირობებში პოლიტიკური ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლის შესაძლებლობებზე საუბრისას უნდა მოვახდინით სახელისუფლებო პარტიული წარსულის მქონე და არმქონე (შიდა და გარე) ოპოზიციას შორის დიფერენცირება: პირველში სახელისუფლებო პარტიიდან (და არა კოალიციიდან) გასული ოპოზიციური დაჯგუფება, მეორეში კი სახელისუფლებო პარტიასთან ასეთი კავშირის არმქონე პოლიტიკური სპექტრი იგულისხმება.

როცა ვმსჯელობთ გარე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების სისუსტეებზე, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ობიექტური სისტემური პრობლემები და საქართველოს ბოლო 15 წლის პოლიტიკური კულტურის სპეციფიკა, რომელიც ქარიზმატული ლიდერის გარშემო ფორმირებული პოლიტიკური პარტიების მაღალი მხარდაჭერით გამოირჩევა. რა ფაქტორები განსაზღვრავს ქარიზმატული ლიდერების გარშემო ფორმირებული პოლიტიკური პარტიის ასეთ მაღალ მხარდაჭერას, ცალკე კვლევის საგანია. ფაქტია, რომ მხარდაჭერის გაცხადება ხდება არა იმდენად პარტიის, როგორც მისი ლიდერის მიმართ. გამსახურდიას *მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს*, შევარდნაძის *საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა* და სააკაშვილის *ერთიანი ნაციონალური მოძრაობის* თავბრუდამხვევი გამარჯვებები ამის ცხადი დადასტურებაა. პოლიტიკური კულტურის ამ სპეციფიკით უნდა აიხსნას სწორედ ერთგვარ მონოპოლისტურ მდგომარეობაში სახელისუფლებო პარტიის ჩაყენება და გარე ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრისთვის ბრძოლის ასპარეზის წართმევა. აღნიშნული ოპოზიციურ პარტიებს პოლიტიკური პროცესიდან გათიშულობის შთაბეჭდილებას უქმნის და ქვეყანაში ექსკლუზიურ პოლიტიკურ გარემოზე, პოლიტიკური ვერტიკალიზაციის მაღალ ხარისხზე საუბრის საფუძველს აძლევს. სახელისუფლებო პარტიის უალტერნატივობის განცდა, საბოლოო ჯამში, საკმაოდ წამგებიანია თავად იმავე სახელისუფლებო პარტიისთვისაც: რადგან მსგავსი მხარდაჭერით ხელისუფლებაში მოსული მთავრობა, როგორც წესი, მის მიმართ გამოცხადებულ ნდობის მანდატს უყურებს როგორც სტატიკურ რესურსს, რომელიც არასოდეს ამოიწურება. არადა, საქართველოს მოსახლეობას სახელისუფლებო პარტიის მიმართ ასეთი უალტერნატივობის განცდა უნარჩუნდება იმდენად, რამდენადაც ლიდერის ქარიზმა ამის საშუალებას იძლევა.[26] ქარიზმატული ლიდერის შესაძლებლობებში დაეჭვება და იმედგაცრუება ავტომატურად იწვევს სახელისუფლებო პარტიისადმი დამოკიდებულების შეცვლას, თუმცა, საქართველოს მოსახლეობას, როგორც ამას ედუარდ შევარდნაძისადმი იმედგაცრუების პირობებში ჰქონდა ადგილი, ახალი ქარიზმატული ლიდერის გამოჩენამდე კიდევ დიდხანს შეიძლება მოუხდეს ყოფილი ქარიზმიანი ლიდერის უალტერნატივობის ფორმალური აღიარება.[27]

კიდევ რა ფაქტორები შეიძლება განსაზღვრავდეს გარე პოლიტიკური ოპოზიციის სისუსტეს?

პარტიული სისტემისა და სტრუქუტურის გაუმართაობა: ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი მათი სტრუქტურული ერთეულების მცირერიცხოვნება და რეალური ადგილობრივი ორგანიზაციების არქონაა. ეს უკანასკნელნი, უმთავრესად, არჩევნების წინა პერიოდში აქტიურდებიან მხოლოდ. ამის ახსნა კვალიფიციური კადრების დეფიციტითაც შეიძლება. პარტიული სისტემისა და სტრუქტურის გაუმართაობაზე მეტყველებს ისიც, რომ ოპოზიცია არ იცნობს საკუთარ ამომრჩეველს. ოპოზიციას არ გააჩნია ბაზარზე ადეკვატური წარმოდგენა და ამის შესაბამი სწორი სტარატეგიის დასახვა მეტი რაოდენობის ამომრჩევლის მოსაზიდად. ამ უნარის ზრდა შესაძლებელია პარტიულ სტრუქტურებში ანალიტიკური კომპონენტის ზრდითა და თვისებრივი გაუმჯობესებით. სახელისუფლებო პარტია პარტიული სტრუქტურის გამართულობის თვალსაზრისით უკეთეს სურათს იძლევა, თუმცა, ზოგადად, პარტიული ინსტიტუტი ჩვენთან ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება.

პარტიისადმი, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტისადმი, ნდობის დაბალი ხარისხი საქართველოში არსებულ სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან, თუნდაც იმავე მედიასა და ეკლესიასთან, შედარებით[28] თანამედროვე საზოგადოებრივი განწყობის დამახასიათებელი ნიშანია. ერთია, მაღალი მხარდაჭერა ქარიზმიანი ლიდერის გარშემო ფორმირებული სახელისუფლებო პარტიისადმი, ისიც ხელისუფლებაში მოსვლის საწყის ეტაპზე, და მეორე – ზოგადად, ქარიზმიანი ლიდერის არმოქონე პოლიტიკური პარტიებისადმი მხარდაჭერის ნაკლებობა.

„შამათავას სინდრომი“[29] – გრძელვადიანი სამოქმედო სტრატეგიის არქონა და მხოლოდ ხელისუფლების შეცდომებზე იმედის დამყარება: ოპოზიციური პარტიები ნაკლებად სთავაზობენ მოსახლეობას საჯარო პრობლემების ხელისუფლებისგან განსხვავებულ გადაწყვეტას, ალტერნატიულ ხედვას. ეს მათ მიმართ, როგორც ქმედუნარიანი პოლიტიკური გაერთიანებებისადმი, ნდობას მოსახლეობაში ამცირებს და ამკვიდრებს მიდგომას, რომლის მიხედვითაც, თუ ოპოზიცია ახლა ვერ იძლევა პრობლემების გადაწყვეტის ალტერნატიულ მოდელებს, ვერც ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში შეძლებს ამას. შესაბამისად, გარე ოპოზიციური სპექტრი გვევლინება პრობლემის მხოლოდ არტიკულატორისა და ფიქსატორის და არა გადამწყვეტის როლში.[30] ამ პირობებში ოპოზიციას უხდება ხელისუფლების შეცდომებისა და წარუმატებლობების მოიმედედ ყოფ-

ნა. ძველი თემების გაცოცხლება და ორიენტაცია წარსულზე და არა მომავალზე, რასაც ოპოზიცია არაერთხელ მიმართავს, ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის გრძელვადიანი სამოქმედო სტრატეგიისა და პოლიტიკის ანალიზის არქონის კიდევ ერთი დადასტურებაა. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ რიგით მოქალაქეს კერძო და საჯარო ხასიათის პრობლემების გადასაწყვეტად ურჩევნია მიმართოს ხელისუფლებასა და მედიას და არა რომელიმე პოლიტიკურ დაჯგუფებას. ხელისუფლების ობიექტური წარმატებების პირობებში, განსაკუთრებით კი შევარდნაძის ხელისუფლების უმოქმედობის ფონზე, ოპოზიციის ასეთი პასიური აქტიურობა, წამგებიანია.

მოცემულ ეტაპზე ქარიზმატული ოპოზიციური ლიდერების არარსებობა: ხელისუფლებაზე გულაცრუებული „პროტესტული ელექტორატი“ ახალი ქარიზმატული ლიდერისა და ახალი პოლიტიკური პარტიის გაჩენას უცდის, რაც კარგად გამოჩნდა სალომე ზურაბიშვილის ოპოზიციაში გადასვლის პირველ ხანებში ან ოქრუაშვილის ოპოზიციაში გადასვლის ხანმოკლე მოლოდინის პერიოდში.

პარტიული კოორდინაციის დაბალი ხარისხი: აშკარად თვალშისაცემია „მთავარი ოპოზიციური ძალის“ სტატუსზე მოცილეობა, განსაკუთრებით კი, საპარლამენტო და არასასაპარლამერნტო ოპოზიციას შორის, რაც აფერხებს ოპოზიციური ალიანსის ჩამოყალიბების პროცესს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისათვის გაერთიანება ერთადერთი საშუალებაა ხელისუფლებაში მოსასვლელად და მხარდამჭერთა რაოდენობის გასაზრდელად. ამავე დროს, გაერთიანებული ოპოზიციის პოლიტიკური წონა უფრო გასათვალისწინებელი გახდება ხელისუფლებისთვისაც.

რეგიონული სახელისუფლებო ცენტრის ოპოზიციის ხელში არარსებობა: ადგილობრივი მმართველობა, ისევე როგორც ცენტრალური, დღეს მთლიანად სახელისუფლებო პარტიის მიერ კონტროლდება. შესაბამისად, საქართველოს ოპოზიციური სპექტრი დღეს მოკლებულია ისეთ ბერკეტს, რომელსაც ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის ასლან აბაშიძის პარტია *აღორძინება* ასრულებდა.

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შეზღუდული შესაძლებლობები საარჩევნო მარათონში, სადაც მეისინგის და ტოლ-გეიტინგის პრაქტიკის პირობებში მაღალი ალბათობაა იმისა, რომ გამოყენებული იქნება სახელისუფლებო ბერკეტები.[31]

ოპოზიციური პარტიული სპექტრის სისუსტე განპირობებული შეიძლება იყოს ისეთი გარე ფაქტორითაც, როგორიცაა ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა, ანუ საარჩევნო პროცესის მანიპულირება და უსამართლოდ წარმოება, მასში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება,[32] ასევე პოლიტიკური პარტიებისათვის მაღალი საარჩევნო ბარიერის დაწესება.

6.

ასეთი ლოზუნგების სახით შესაძლებელია გამოვიდეს დღევანდელი ხელისუფლების ნებისმიერი წარუმატებელი ნაბიჯი და დაშვებული შეცდომა. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო ხდება ორი მომენტის გათვალისწინება: პირველი, საქართველოს ბოლო 15 წლის განვითარება გვიჩვენებს, რომ ამა თუ იმ ხელისუფლების ლეგიტიმურობა ბევრადაა დამოკიდებული წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებაზე. ამასვე ადასტურებს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევაც, რომლის მიხედვით, მოსახლეობა პოლიტიკოსებისა და პარტიებისთვის დამახასიათებელ ყველაზე მიუღებელ თვისებათა შორის პირველ ადგილზე ცრუ დაპირებების გაცემას ასახელებს.[33] აღნიშნული თვისების მიუღებლობა თანაბრად ეხება როგორც დღევანდელ მმართველ პარტიას, ასევე ოპოზიციასაც, თუმცა, ცხადია, რომ დღეს ეს ტესტი, ოპოზიციაზე მეტად სწორედ ხელისუფლებას ეხება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საჯარო პოლიტიკის წარმართვაზე დღეს სწორედ ის აგებს პასუხს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა იმ დაპირების შეუსრულებლობა, რომელიც ვარდების რევოლუციის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსულ ხელისუფლებას უკავშირდება, პოტენციურად, ოპოზიციის მიერ ხელისუფლების წინააღმდეგ შეიძლება იქნეს გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ოპოზიცია სწორედ ამ საქმიანობითაა დაკავებული და აქცენტს სწორედ ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებსა და სხვადასხვა დაპირების შეუსრულებლობაზე ამახვილებს, რაიმე სახის წინსვლას ოპოზიციურ პარტიათა რეიტინგში ვერ ვხედავთ. ხელისუფლებისადმი იმედგაცრუება შედეგად ჯერ-ჯერობით მხოლოდ თავად ხელისუფლების რეიტინგის დაცემას იწვევს, რაც ოპოზიციური პარტიების რეიტინგის ზრდაზე არ აისახება. შესაბამისად, ვიღებთ დღევანდელი ხელისუფლებით უკმაყოფილო მოსახლეობის ნაწილს, რომელიც ვერც მისთვის კარგად ნაცნობ ოპოზიციაში ხედავს გამოსავალს.

სახეზეა ხელისუფლების საწინააღმდეგო მუხტის არამიზნობრივი გაფანტვა. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ რაიმე სერიოზული ხასიათის მოძრაობის ამოქმედება დღეს მოკლევადიან პერსპექტივაში ნაკლებად მოსალოდნელია.[34] სწორედ ეს გვაძლევს დღევანდელი ხელისუფლების მეორე ვადით არჩევის შესაძლებლობაზე საუბრის საშუალებასაც, თუმცა, ამ საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია მეორე, არც თუ ისე უმნიშვნელო, მომენტიც: კერძოდ, ის, რომ სახელისუფლებო პარტიისადმი არსებული იმედგაცრუება და უკმაყოფილება ადვილად შეიძლება გადაიზარდოს ახალი ქარიზმიანი ლიდერის გარშემო ფორმირებული ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანების მხარდაჭერაში, თუკი ასეთი ლიდერი გაჩნდება. შესაბამისად, ახალი ქარიზმატული ოპოზიციური ლიდერის ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გაჩენის შემთხვევაში ადვილად შესაძლებელია არსებული უკმაყოფილების მუხტი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ წარიმართოს და ამოქმედდეს.

რაც შეეხება იმ ღირებულებებს, ლოზუნგებსა თუ გზავნილებს, რომელიც სააკაშვილი ხელისუფლების საწინააღმდეგო სოციალური თუ პოლიტიკური მოძრაობის საფუძველი შეიძლება გახდეს, ასეთებად შეიძლება დასახელდეს კერძო საკუთრების ხელყოფა, ადამიანის უფლებათა დარღვევა, მძიმე სოციალური ფონის შენარჩუნება, დასაქმების პრობლემის მოუგვარებლობა, კომუნალური გადასახადებისა და ფასების ზრდა, ინფლაცია, თუმცა, ცხადია, რომ მეტი მობილიზაციური შესაძლებლობები, ალბათ, უფრო რადიკალური პრივატიზაციის საწინააღმდეგო და ეროვნული წარმოების მხარდასაჭერ ლოზუნგებს ექნებათ. გამორიცხული არაა, ფართო წინააღმდეგობა გამოიწვიოს ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების დროს ევროსაბჭოში გაწევრიანების სანაცვლოდ აღებული თურქი-მესხების ჩამოსახლების წინაპირობას, რომლის განხორციელებაც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას მოუწევს, თუმცა, ამ შემთხვევაში, სააკაშვილი მის წინააღდმეგ აგორებულ ამ კამპანიას, სავარაუდოდ, შევარდნაძეზე მითითებით აიცილებს.[35]

ოპოზიციის ლოზუნგებზე საუბრისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომავალში პოლიტიკური ოპონირება უფრო საჯარო პრობლემებისა და კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებზე მსჯელობასა და პაექრობაში გადაიზრდება და გაცილებით მეტი დატვირთვა ექნება იმაზე კამათს, თუ რა საშუალებებით უნდა მოხდეს ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტა.

რაც შეეხება ნიშას, რომელიც დღეს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არსებობს, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს სოციალურად უმძიმესი ფონის არსებობისა და სოციალური ლოზუნგების პოპულარობის მიუხედავად, მემარცხენე ფლანგი შედარებით თავისუფალია. სწორედ ამიტომ ახალი ოპოზიციური პარტიული წარმონაქმნი სწორედ ამ ნიშის დაკავებასა და უმძიმესი სოციალური სიტუაციის თავის სასარგებლოდ გამოყენებას უნდა შეეცადოს.

7.

დღევანდელი გადასახედიდან, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ გაძლიერებული ოპოზიცია ამ ეტაპზე საქართველოში არსებულ ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს დაეყრდნოს. დღევანდელ ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს ამისათვის სათანადო სოციალური კაპიტალი არ გააჩნია.[36] რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა, დღევანდელი ოპოზიციის რიგებში ახალი პარტია გაჩნდეს, მაგრამ ცხადია, რომ ასეთ პარტიულ წარმონაქმნს ახალი ქარიზმატული ლიდერის გარშემო ძალების კონცენტრაცია დასჭირდება, რადგან ჩვენში მოსახლეობის პარტიული პრეფერენციები კვლავ ლიდერის გარშემო იგება და აიგება გრძელვადიან პერსპექტივაშიც. თუმცა, მსგავსი პარტიის გაჩენის შემთხვევაშიც კი ძნელად წარმოსადგენია, დღევანდელმა ხელისუფლებამ მას თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცეს. საქმე ისაა, რომ ასეთი ოპოზიციური პარტიის წარმატება შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას მას სახელისუფლებო პარტია თავისი წარუმატებლობებითა და ამომრჩევლებისადმი მიცემული დაპირებების შეუსრულებლობით მისცემს.[37]

დღეს გაცილებით უფრო პერსპექტიულად გამოიყურება სცენარი, რომელიც სახელისუფლებო პარტიის შიდა დაპირისპირებისა და განხეთქილების ბაზაზე დღემდე ჩვენში ხელისუფლების როტაციის აპრობირებულ პრაქტიკაზე იგება. ის ფაქტი, რომ სწორედ სახელისუფლებო წიაღიდან ხდება მაინც მომდევნო სახელისუფლებო პარტიის ფორმირება და არა რომელიმე გარე ოპოზიციური პარტიიდან, როგორც ამას ზვიად გამსახურდიას *მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოსა* და ედუარდ შევარდნაძის საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მაგალითზე ჰქონდა ადგილი, მიუთითებს სახელისუფლებო პარტიის მაღალ იმუნიტეტზე, რაც ავტომატურად ამ სცენარის სასარგებლოდ მეტყველებს. თუმცა, წინა ტრანსფორმაციებისგან განსხვავებით, ეს პროცესი,

უფრო მოსალოდნელია, თვითინკუბაციას და გახლეჩილობის სიმულაციას დაემსგავსოს, ვიდრე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რიგებში რეალურ დაპირისპირებაზე აიგოს. ამ შემთხვევაში ძირითად არგუმენტად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ არჩევნების გაყალბების შევარდნაძისეული გზით სიარულს სააკაშვილის ხელისუფლება სასიცოცხლო ფაზის გასახანგრძლივებლად პარტიისთვის ახალი სისხლის გადასხმას ამჯობინებს. შესაბამისად, უფრო მეტი ალბათობით გამოირჩევა სცენარი, რომელიც მომავალ სახელისუფლებო ძალას ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში ახალი, წარმატებული სახეების ინკორპორირებას ეყრდნობა. გამორიცხული არაა, ეს პროცესი პარტიული წმენდისა და სახელისუფლებო პარტიის ოპტიმიზაციის ლოზუნგის ქვეშ განხორციელდეს. შესაძლებელია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბაზაზე ახალი ოპოზიციური პარტიული გაერთიანების ჩამოყალიბებაც, თუმცა, სავარაუდოდ, დღევანდელი ხელისუფლება ვარდების რევოლუციასთან ასოცირებული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სიმბოლურ კაპიტალს არ დათმობს და უფრო შიდა რეორგანიზაციის გზას დაადგება.

8.

დღევანდელი პოლიტიკური სისტემის სტაბილურობაზე მსჯელობა საკმაოდ ძნელია, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ჩვენში ხელისუფლების არაკონსტიტუციური გზით შეცვლის გამოცდილებას, რომლის ექსტრაპოლაციაც ჩვენში, ძალაუნებურად, ლათინურამერიკულ სტილში ციკლური რევოლუციების პერსპექტიულობაზე მსჯელობის საარგებლოდ მეტყველებს. თუმცა, მსგავსი მოლოდინის გამართლება, როგორც ეს წარსული მმართველობის პირობებში არაერთხელ დადასტურებულა, ბევრადაა დამოკიდებული თავად ხელისუფლებაზე: რამდენად შეძლებს ის საზოგადოებისათვის მიცემული დაპირებების შესრულებას, ლეგიტიმურობის შენარჩუნებას და რა შედეგებს გამოიღებს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები. თუმცა, სიტუაციის ყველაზე პესიმისტური სცენარით განვითარების შემთხვევაშიც კი, ძნელი განსასაზღვრია, რამდენად შეძლებს რომელიმე ოპოზიციური პოლიტიკური ძალა, ქართული საზოგადოება დაარწმუნოს რევოლუციის გზით მორიგი ტრანსფორმაციის განხორციელების აუცილებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ხელისუფლების მოღვაწეობის შედეგად ჩაგრულთა კატეგორია (უმუშევრად დარჩენილი საჯარო მოსამსახურეები, პროფესორ-მასწავლებელთა კატეგორია, უკმაყოფილო გარემოვაჭ-

რეები, საკუთრებაჩამორთმეული მოქალაქეები და ა.შ.) საკმაოდ მრავალფეროვანია, ხოლო მათში რევანშისტული განწყობა საკმაოდ მაღალი, უნდა ვაღიაროთ, რომ მათი ნეგატიური აქტიურობა, ნაკლებ სავარაუდოა, მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, რევოლუციურ მოძრაობაში გადაიზარდოს. რაც შეეხება ჩვენ მიერ ზევით დასახელებულ რადიკალური პრივატიზაციის საწინააღმდეგო და ეროვნული წარმოების მხარდამჭერ ლოზუნგებს, მათ გარშემო მოსახლეობის მობილიზაციის შესაძლებლობა გაცილებით მაღალია, თუმცა მხარდაჭერის ეს რესურსი ოპოზიციური პარტიული მხარდაჭერის ზრდას უფრო უზრუნველყოფს, ვიდრე ხელისუფლების რევოლუციის გზით შეცვლას. ამავე დროს, დღევანდელი ხელისუფლების ხელში ჯერ კიდევ რჩება სხვადასხვა შესაძლებლობა, თუნდაც 90-იანი წლებში საბანკო ანაბრების თემის გააქტიურებით, სოციალური უკმაყოფილების გასაბათილებლად. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში არც ეს სცენარია გამოსარიცხი როგორც ერთ-ერთი სავარაუდო.[38]

რაც შეეხება დღევანდელი სახელისუფლებო პარტიის საფუძველზე საქართველოს პარტიული სისტემის დომინანტურ პარტიულ სისტემად ტრანსფორმაციის შესაძლებლობას, ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ სცენარს განსახილველ, თუმცა, რთულად განსახორციელებელ სცენართა კატეგორიაში მოხვედრის სტატუსი უნდა მიენიჭოს, რადგან მექსიკური ან თუნდაც იაპონური შემთხვევების ქართულ რეალობაში გასამეორებლად საქართველოს დღევანდელი სახელისუფლებო პარტია უნდა აკმაყოფილებდეს გამართული პარტიული ინსტიტუტის მინიმალურ მოთხოვნებს მაინც, რაზეც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, როგორც ქარიზმატული ლიდერის გარშემო ფორმირებულ პარტიულ გაერთიანებას, ჯერ კიდევ სერიოზული სამუშაო აქვს ჩასატარებელი. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვერც მექსიკის ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია და ვერც იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია ვერ დაიკვეხნის ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულებით და მსგავსი ინსტიტუტის დამკვიდრება ქართულ რეალობაში, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, უკანგადადგმულ ნაბიჯად იქნება მიჩნეული, თუმცა, მსგავსი პერსპექტივის შექმნით დღევანდელი ხელისუფლება უზრუნველყოფს მის მიერ დაწყებული რეფორმების ბოლომდე მისაყვანად საჭირო სტაბილურ რეჟიმში მუშაობას. გამორიცხული არაა, დემოკრატიული უკუსვლისა და პოლიტიკური სისტემის ლიბერალურ-დემოკრატიული პლურალიზმის მიმარ-

თულებაზე უარის თქმის გასამართლებლად და საკომპენსაციოდ ხელისუფლება უფრო იაპონურ მოდელს დაეყრდნოს, რადგან იაპონიის მსგავსად ქართული პოლიტიკური კულტურისათვისაც დამახასიათებელია ერთი პარტიული ორგანიზაციის დომინანტური პოზიცია. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ ახალ კონსტიტუციაზე მსჯელობა და საპრეზიდენტოდან საპარლამენტო რესპუბლიკურ მმართველობაზე გადასვლასთან დაკავშირებული პროგნოზები იაპონური ტიპის დომინანტური პარტიული სისტემის ჩამოყალიბების სასარგებლოდ მეტყველებს. ამასთან, ვარდების ხელისუფლება ისტორიაში შევა როგორც საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე გადასვლის ისტორიული გადაწყვეტილების ინიციატორი და უარმყოფელი საპრეზიდენტო მმართველობის სისტემის, რომელიც ჩვენში ავტოკრატიული მმართველობის ინსტიტუციურ საფუძვლად იყო ყოველთვის მიჩნეული. საპარლამენტო სისტემის პირობებში კი დღევანდელ სახელისუფლებო პარტიას გაცილებით გაუადვილდება პრემიერ-მინისტრის შესაძლო კანდიდატურების დამტკიცება.[39]

9.

საგარეო ფაქტორის ზეგავლენა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე, ისე როგორც ნებისმიერ პატარა სახელმწიფოზე, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის შიდა პოლიტიკური წარმატება, მეტწილად, სწორედ საგარეო პოლიტიკურ სივრცეში ჩვენი ქვეყნისადმი მხარდაჭერის ხარისხზეა დამოკიდებული.

საგარეო პოლიტიკური მხარდაჭერის არსებობა ხელისუფლების სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტია. ზვიად გამსახურდიას ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მისი მმართველობის პირობებში ვერ მოხერხდა ქვეყნის საერთაშორისო აღიარება. მიუხედავად იმისა, რომ ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა,[40] საგარეო პოლიტიკური მხარდაჭერის დეფიციტმა ბევრად განსაზღვრა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიუღებლობა და, პირიქით – ედუარდ შევარდნაძის მსგავსი პოლიტიკური ფიგურის აღიარება, რადგან საგარეო პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას სწორედ მის სახელს უკავშირებდნენ. ედუარდ შევარდნაძემ, შეიძლება ითქვას, რომ მოლოდინი გაამართლა. მისი მმართველობის პირველი პერიოდის უმთავრეს დამსახურებად სწორედ ზვიად გამსახურდიას დროინდელი დეფიციტური საგარეო პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნ-

ველყოფა იყო. ანალოგიური დამოკიდებულებაა მიხეილ სააკაშვილის მმართველობის მიმართაც. ამ უკანასკნელს კორუმპირებული და კლანური მმართველობის შედეგად შელახული საგარეო პოლიტიკური იმიჯის გამოსწორების მისია დაეკისრა და, ასევე, საქართველოთი ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში დასავლეთის იმედგაცრუების გაქარწყლება.

დასავლეთი ქვეყნის დემოკრატიული მიმართულებით განვითარების ბერკეტია. საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ზეგავლენაზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია: საგარეო პოლიტიკაში მიღწეული წარმატებების ფონზე იკვეთება საშინაო პოლიტიკის წარუმატებლობა, რასაც ადგილი ჰქონდა შევარდნაძის მმართველობის დროს და ბევრი სწორედ ასეთ მომავალს უწინასწარმეტყველებდა სააკაშვილსაც. თუმცა, დღევანდელი ხელისუფლება შეეცადა ეს ორი რამ გაერთიანებინა და დაეძლია წინამორბედი მმართველობის ნაკლოვანება იმით, რომ დღეს საგარეო პოლიტიკური წარმატებები განიხილება საშინაო პოლიტიკური წარმატებების საწინდრად და პირიქით, ნებისმიერ ევროსტრუქტურაში გაწევრიანება საქართველოსგან მოითხოვს კონკრეტული სამოქმედო პროგრამების შესრულებას, რაც სწორედ საქართველოს შიდა პოლიტიკურ სივრცეში კონკრეტულ პარამეტრებში წინსვლასა და დასავლეთის ფასეულობებთან მიახლოებას გულისხმობს. თავის დროზე, სიკვდილით დასჯის გაუქმება და ეკონომიკის ლიბერალიზაციისთვის მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება გახდა ისეთ სტრუქტურებში გაწევრიანების წინაპირობა, როგორიცაა ევროპის საბჭო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ა.შ. დღეს სწორედ დასავლეთი გვევლინება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფისა და ჩვენში ავტორიტარიზმის შემაკავებელ ფაქტორად. საქართველოში checks and balances სისტემის არარსებობის პირობებში დასავლეთი გამოდის როგორც გარე მაკონტროლებელი ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებაზე. შესაბამისად, ჩვენთან დემოკრატიისკენ სვლა დასავლური სტრქუტურების კარნახითა და რეკომენდაციით ხდება ან დასავლეთის სტრუქტურებში ინტეგრაციის წინაპირობაა.

საქართველოს განვითარებაში საგარეო პოლიტიკური ფაქტორის გავლენაზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ გავლენა არაერთგავროვანია. კერძოდ, საგარეო პოლიტიკური ფაქტორის ზეგავლენა შეინიშნება ქვეყნის პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა

სფეროში. შესაძლებელია გამოიყოს საგარეო პოლიტიკური ფაქტორის ზეგავლენის რამდენიმე დონე: პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი.

პოლიტიკურ დონეზე საგარეო პოლიტიკური ფაქტორის ზეგავლენა ერთგვარ დუალისტურ ხასიათს ატარებს და, რედუცირების სახით, კავკასიის რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირებაში გამოიხატება. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი დუალიზმი საკმაოდ მარტივ დონეზე დაიყვანება, მას უდიდესი მნიშვნელობა დაეკისრა საქართველოს უახლეს ისტორიაში. თხუთმეტწლიანი გადასახედიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდი წარმოადგენს ამ დაპირისპირებაში საკუთარი მოკავშირის ძიების პროცესსა და პრორუსული ორიენტაციის პროდასავლურით საბოლოოდ ჩანაცვლების მიმართულებით სვლას.[41] აღსანიშნავია, რომ, თუ რუსეთის მიმართ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა, დასავლეთთან მიმართებაში ჩვენს საზოგადოებაში გაცილებით მეტი ერთსულოვნება შეინიშნება. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის პოლიტიკური მხარდაჭერა თხუთმეტწლიანი განვითარების მანძილზე საქართველოს პოლიტიკურ ელიტას, ოპოზიციას და მთლიანად საზოგადოებას ეჭვქვეშ არასოდეს დაუყენებია. სწორედ ამიტომ, დასავლეთის სტრუქტურებში ინტეგრირება ერის კონსოლიდაციის მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება. რაც შეეხება პრორუსულ ორიენტაციას, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არსებული კონფრონტაციული მოდელის პირობებში, როცა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს რუსეთი ხელიდან არ უშვებს, ჩვენში პრორუსული ორიენტაციის მატარებელ დაჯგუფებებს მარგინალურ დაჯგუფებებად ქცევის პერსპექტივა აქვთ.[42]

ეკონომიკურ დონეზე საგარეო ფაქტორის ზეგავლენა გამოიხატა სხვადასხვა სახის პროექტების ამუშავებასა და საქართველოს ხელისუფლებისადმი გაწეულ ეკონომიკურ დახმარებაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის ამუშავებას, ისევე როგორც ტრასეკა-ს პროექტს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური დატვირთვა აქვს და საქართველოს დასავლურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრაციისა და რუსეთის ეკონომიკური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების მისია აკისრია.

რაც შეეხება საგარეო ფაქტორის ზეგავლენის საზოგადოებრივ განზომილებას, სწორედ დასავლეთის მხრიდან გაწეული დახმარებების საფუძველზე მოხდა როგორც არასამთავრობო სექტორის, ისე სახელისუფლებო პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარება.

რაც შეეხება კითხვას, თუ როგორ იცვლებოდა საგარეო პოლიტიკური ფაქტორები ბოლო 15 წლის განმავლობაში, შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს ეტაპიზაციის შემდეგი სქემა: <u>უძრაობის ხანა – 1991-1992 დეკემბერი</u>. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ვიდრე სსრკ-ის დაშლამდე და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარებამდე პერიოდში საქართველოს არ გააჩნდა დასავლეთის მხრიდან რამე სახის მხარდაჭერა.[43] ამან განსაზღვრა კიდეც რუსეთის სცენარის მიხედვით აქ სიტუაციის განვითარება: ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა და ეთნიკური სეპარატიზმის კერებში სიტუაციის ესკალაცია; <u>დე-იურე აღიარების ხანა – 1992-1993 წლები</u>. ამ პერიოდში საქართველომ მოიპოვა საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა, მაგრამ ეთნოკონფლიქტების გადაწყვეტაში რუსეთის საგარეო პოლიტიკური ფაქტორის დიდი მნიშვნელობის გამო პრორუსული ორიენტაცია იქნა აღებული (<u>1993-1995</u>). რუსეთთან დაკავშირებული ილუზიური მოლოდინებისა და რუსეთის დახმარებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პროექტის გაუმართლებლობის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში (<u>1995-2003) საქართველო რუსეთსა და დასავლეთს შორის ბალანსირების პოლიტიკას დაადგა</u>. ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის გუნდის მოსვლას რუსეთისგან დისტანცირება და გამოკვეთილი პროდასავლურობა მოჰყვა; ამას კი უხლოეს პერსპექტივაში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანება, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნად აღიარება შეიძლება მოჰყვეს.

10.

საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ეკისრება ქვეყნის სპირალისებური განვითარების დაძლევის ისტორიული მისია. მისი მოღვაწეობის უდიდეს წარმატებად ჩაითვლება კონსტიტუციური გზით ხელისუფლების შეცვლის პრეცედენტის დამკვიდრება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ეკისრება იმას, თუ როგორ მოხდება ხელისუფლების შეცვლა

დღევანდელი ხელისუფლების პირობებში. დიდია მოლოდინი, რომ ვარდების რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლება, რომელიც, ზოგადად, საერთაშორისო საზოგადოებრიობის, კერძოდ კი, დასავლეთის წამყვანი ქვეყნების აზრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, საარჩევნო ინსინუაციებზე არ წავა, თუმცა, არსებობს საფრთხე, და ეს 2006 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე ნაწილობრივ კიდეც დადასტურდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება შეეცდება, კანონის საკუთარ თარგზე გამოჭრის პრაქტიკითა და ადმინისტრაციული ბერკეტის გამოყენებით საარჩევნო პროცესი თავის სასარგებლოდ წარმართოს. შესაბამისად, საარჩევნო პროცესის სამართლიანად ჩატარების უზრუნველყოფა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება.

ამ ისტორიული მისიის გარდა, დღევანდელი ხელისუფლების საპროგრამო პრიორიტეტებად უნდა იქცეს:

სოციალური ფონის რადიკალური გაუმჯობესება ეკონომიკის ლიბერალიზაციის გზით: საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ დღის წესრიგში უნდა ჩასვას სოციალური სისტემის გაუმჯობესების პროგრამა როგორც ყველაზე პრიორიტეტული და შესთავაზოს საკუთარ მოსახლეობას სოციალური დაცვის გაუმჯობესებული სერვისი. ამით ხელისუფლება სოციალურად დაუცველი ფენის მხრიდან მხარდაჭერასაც მოიპოვებს და ოპოზიციასაც ამ თემაზე კრიტიკის საფუძველს გამოაცლის. მეორე საკითხია, რა საშუალებებით მოხდება მსგავსი სერვისის პრაქტიკაში რეალიზება ეკონომიკური სასწაულების არარეალურობის პირობებში; ძირითადი აქცენტი მაინც სოციალური ფონის ირიბი ფორმით გამოსწორებაზე უნდა გაკეთდეს. ეს კი მხოლოდ ეკონომიკური სფეროს რადიკალური ლიბერალიზაციით იქნება შესაძლებელი. სოციალური დაცვის სისტემა ამ შემთხვევაში თავად შეძლებს სოციალურად დაუცველი ფენის დაკმაყოფილებას. მიუხედავად წინასაარჩევნო დაპირებებისა, დღევანდელ ხელისუფლებას ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და ადგილობრივი საშუალო და მცირე წარმოების ხელშეწყობის თვალსაზრისით, რეალური ნაბიჯები ჯერ კიდევ გადასადგმელი აქვს.

პოლიტიკური კონკურენციის თანასწორი პირობების შექმნა. დამოუკიდებელი საქართველოს თხუთმეტწლიანი არსებობის განმავლობაში არც ერთ ხელისუფლებას რეალურად არ უზრუნია პოლიტიკური კონკურენციის თანასწორი პირობების შექმნაზე. პარტიებმა ვერ შეძ-

ლეს თამაშის ელემენტარულ წესებზე შეთანხმება. ბევრი სხვა ქვეყნის, მათ შორის, ესპანეთისგან განსხვავებით, საქართველოში დემოკრატიზაციაზე გადასვლის პირობებში არ მომხდარა პოლიტიკურ პარტიათა შორის კონსენსუსის მიღწევა, რომელიც დროში წინ გაუსწრებდა ქვეყნის ძირითადი კანონის მიღებას.[44] ეს შესაძლებელია საქართველოს უახლესი ისტორიის სპირალისებური განვითარების ერთ-ერთ მიზეზადაც კი მივიჩნიოთ: პოლიტიკური ბრძოლის პროცედურულ საკითხებზე კონსენსუსის არარსებობის, რიგ შემთხვევაში კი, იგნორირების პირობებში, პოტენციურ ელიტას ხელისუფლებაში მოსვლის სხვა საშუალება, გარდა არაკონსტიტუციურისა, აღარ რჩება. შესაბამისად, დღევანდელი ხელისუფლების ინტერესში უნდა იყოს პოლიტიკური კონკურენციის თანასწორი პირობების შექმნა და პოლიტიკურ სივრცეში თამაშის წესების განსაზღვრა. მართალია, ხელისუფლებას ვერ დავავალდებულებთ იზრუნოს ოპოზიციის გაძლიერებაზე, მაგრამ ქვეყანაში პოლიტიკური კონკურენციის თანასწორი პირობების შექმნა, ნამდვილად, ხელისუფლების ზრუნვის საგანია. ეს უზრუნველყოფს პოლიტიკურ სივრცეში ინკლუზიურობას და ექსკლუზიურობის დაძლევას.[45] ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო ბარიერის დაწევა და სხვა ინიციატივების გატარებაც; ასეთი შეიძლება იყოს თუნდაც, საპარლამენტო ოპოზიციასთან იმავე კანონშემოქმედებით პროცესში მეტი ჩართულობა და თანამშრომლობა. ოპოზიციას არ უნდა უჩნდებოდეს შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ დასავლეთის საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების, საპარლამენტო იქნება ეს თუ სხვა სახის, განხილვებში მონაწილეობის პირობებშია შესაძლებელი ხელისუფლების კომპრომისებზე დათანხმება.

სახელისუფლებო ინიციატივების შედეგიანობის უზრუნველყოფა. ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში წარმატების მისაღწევად აუცილებელია ხელისუფლებამ პოლიტიკური კურსების განხორციელებაზე აწარმოოს პერმანენტული მონიტორინგი და მოახდინოს მიღებული შედეგების შეფასება. საჭიროა ნებისმიერი სახელისუფლებო ინიციატივის განხორციელებისას გამოიყოს თანხები ამა თუ იმ პროექტის მოსალოდნელ და მიღებულ შედეგებს შორის თანხვედრის ხარისხის ასამაღლებლად.

საჯარო პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. ხელისუფლების მხრიდან შემოთავაზებულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობის შემუშავება

ხორციელდება ვიწრო პოლიტიკურ წრეში ან, უკიდურეს შემთხვევაში, მასში მხოლოდ ხელისუფლებასთან დაახლოებული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით. შესაბამისად, საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური სისტემა ტოვებს მაქსიმალურად ჩაკეტილი სისტემის შთაბეჭდილებას, რომელიც არაა ღია საიმისოდ, რომ გაითვალისწინოს იმათი აზრი, ვისაც აღნიშნული გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხება. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ნაკლებად მგრძნობიარეა საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლების აზრისადმი და საჯარო პოლიტიკურ პროცესს ზევიდან ქვევით მიმართულებით წარმართავს. ეს საზოგადოებაში დღევანდელი ხელისუფლების მართვის დირექტიულ სტილზე მსჯელობის სამართლიან საფუძველს იძლევა და დიდ უკმაყოფილებას იწვევს. სწორედ ამის გამო, დღევანდელი ხელისუფლებისათვის უკეთესი იქნება, თუ საჯარო პროცესს უფრო ღიასა და გამჭვირვალეს გახდის, თუმცა, ამ პროცესში აუცილებელი იქნება თავად არასამთავრობო სექტორის გააქტიურება და გაძლიერება, ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბება.

სწრაფი გარდაქმნებისა და რეფორმირების პროცესში დღევანდელი ხელისუფლების უმთავრესი საზრუნავი მაინც დემოკრატიული გზიდან გადახვევისა და მართვის ავტოკრატიული მეთოდების გამოყენების თავიდან აცილება უნდა იყოს, განსაკუთრებით კი იმ პირობებში, როცა ქვეყნის უსაფრთხოების საკითხმა, დიდი ალბათობაა, რომ შეიწიროს საქართველოს დემოკრატიული განვითარების შესაძლებლობა და ქვეყანა ნახევრად დემოკრატიულ სამხედრო ტიპის სახელმწიფოდ ჩამოაყალიბოს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უახლესი განვითარების უმთავრეს საფრთხეს სწორედ ავტორიტარიზმი წარმოადგენს, რომლის გამართლებაც სწრაფი რეფორმირების აუცილებლობით ხდება. მსგავსი განვითარების საპირწონედ და საქართველოში დემოკრატიის დამკვირების გარანტად ქართულ კონტექსტში მხოლოდ დასავლეთი გვევლინება. საქმე ისაა, რომ ბოლო 15 წლის განვითარების მსგავსად, უახლოეს მომავალში სწორედ დასავლური ინსტიტუტები და ევროსტრუქტურები წარმოგვიდგენია იმ რესურსად, რომელიც ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე მუდმივ მონიტორინგს აწარმოებს და ეცდება, ქვეყანაში პროცესები სწორედ ამ მიმართულებით წარიმართოს. ნეგატიური კი ამ მოლოდინში ისაა, რომ თავად საქართველოს ისტებ-

ლიშმენტში არაა ამისათვის საკმარისი ნება და საჭირო ხდება გარე ფაქტორის მოშველიება ჩვენში დემოკრატიული განვითარების უზრუნველსაყოფად.

შენიშვნები:

[1] დავა იმაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელია 90-იანი წლების საქართველოსა და ბალტიის ზღვის ქვეყნებს შორის პარალელების გავლება, დღემდე არ წყდება, თუმცა, ისიც ცხადი ხდება, რომ, სახელმწიფოებრიობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოს ბალტიის ქვეყნების მიერ განვლილი გზის გამეორება უხდება.

[2] მალხაზ მაცაბერიძე, (2006) *ქართული პოლიტიკა: ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი.* სოციალურ მეცნიერებათა სერია. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. გვ.12.

[3] ის, თუ რამდენად მომგებიანია საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაში ცალმხრივობა და რუსეთთან ურთიერთობების კონფრონტაციული მოდელის საფუძველზე აგება, ამას დრო გვიჩვენებს, თუმცა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება უნდა ეცადოს ამ ურთიერთობების გაუმჯობესებას.

[4] მართალია, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები ჩატარდა საქართველოს სსრკ-ის კონსტიტუციის საფუძველზე, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მასში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დაშვებულ იქნა მრავალპარტიული არჩევნები.

[5] არავინ დავობს იმაზე, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ საკაშვილი სახელისუფლებო რესურსის გარეშეც გაიმარჯვებდა, მაგრამ მისი ხელისუფლებაში მოსვლა შესაძლებელი გახდა, არა იმდენად არჩევნების, რამდენადაც ვარდების რევოლუციის შედეგად. შესაბამისად, ხელისუფლების როტაციას ჩვენში ქუჩა უფრო მეტად განსაზღვრავს, ვიდრე არჩევნები.

[6] საქართველოს მოსახლეობისათვის ჯერაც გამოუყენებლი რჩება აქტიურობის პოზიტიური საშუალებები.

[7] გამსახურდიას მმართველობის პერიოდში ერის კონსოლიდაციაზე საუბრისას მხედველობაშია ეთნიკურად ქართული მოსახლეობის კონსოლიდაცია, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ საყოვლთაო სახალხო რეფერენდუმზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხარი საქართველოს მაშინდელი მოსახლეობის 98 პროცენტმა, მათ შორის ეთნიკურად არაქართველმაც, დაუჭირა.

[8] 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ორკვირიანი მოვლენების შესაფასებლად სახალხო აჯანყების დეფინიციის გამოყენება გადაჭარბებულად მიგვაჩნია, რადგან ამ დროს ადგილი უფრო სამხედრო გადატრიალებას ჰქონდა, ზვიადისტებად და ანტიზვიადისტებად დაყოფა სიმართლეს შეესაბამება. საქართველოს პირობებში მართლაც გვქონდა რეალური სამოქალაქო დაპირისპირება და ოჯახების დაყოფაც კი ზვიად გამსახურდიას პერსონის მიმართ დამოკიდებულების საფუძველზე.

[9] ქართული სახელმწიფოებრიობის შენება ხორციელდებოდა იმ პირობებში, როცა სსრკ ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი. შესაბამისად, გამსახურდიას, როგორც საბჭოთა მანქანასთან მებრძოლ ყოფილ დისიდენტს, რამდენადაც ეს გასაკვირი არ უნდა

იყოს, სსრკ-სთან ბრძოლა მოუხდა ამ მანქანის პირობებში არსებული საშუალებებით. გარდაქმნები სახელმწიფოებრიობის რღვევის წყვეტილის აღსადგენად მიმდინარეობდა ძველი სისტემის ბაზაზე. 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც დამაჯერებელი გამარჯვება ზვიად გამსახურდიას საარჩევნო ბლოკმა *მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო* მოიპოვა, ჩატარდა საქართველოს სსრკ-ის კონსტიტუციის საფუძველზე. ზ.გამსახურდიაზე, როგორც ხისტ პოლიტიკოსზე, მსჯელობისას ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, თუმცა, ისიც ცხადია, რომ ეს ოპოზიციას გამსახურდიას ფიგურის მიმართ ნდობის ნაკლებობასა და მის სსრკ-ის ხელმძღვანელობასთან კავშირზე მსჯელობის საფუძველს აძლევდა. პირველი საპარლამენტო არჩევნების სსრკ-ის კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარება გახდა პირველი წყალგამყოფი გაერთიანებულ ოპოზიციაში. ეროვნულ ფორუმში გამსახურდიასაგან დისტანცირებული ოპოზიციის ნაწილი სწორედ ამ პრეტენზიას უყენებდა მომავალ პრეზიდენტს.

[10] სწორედ ასეთი მკვეთრი წინააღმდეგობა გახდა, ერთ-ერთი ვერსიით, კრემლის მხრიდან ზვიად გამსახუდიას მოშორების მიზეზი. აღნიშნული ვერსიის თანახმად, ამ გზით კრემლი ცდილობდა კავკასიის რეგიონში გავლენის შენარჩუნებას და ხელს უწყობდა ხელისუფლებაში კრემლის მაშინდელი ხედვით პოლიტიკურად ლოიალური მოთამაშის ე.შევარდნაძის მოსვლას.

[11] ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ ვერ უპასუხა იმ პერიოდის ვერც ერთ გამოწვევას.

[12] გამსახურდია ვერ დახასიათდება როგორც პოლიტიკოსი, ის ვერ გამოვიდა დისიდენტის როლიდან, რითაც შესაძლებელია აიხსნას მუდმივი შიში და ერთგვარი აგენტომანიაც. შესაბამისად, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკის მოუქნელობა და დისიდენტური ხასიათი დამღუპველი აღმოჩნდა მისი მომავალი კარიერისათვის.

[13] მხედველობაში გვაქვს აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთში განვითარებული მოვლენები.

[14] ეს აისახა კიდეც 2004 წელს ქაშვეთის ეკლესიაში ხელმოწერილ დოკუმენტში და დაიგმო ქვეყნის საშინაო საქამეებში უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთების მონაწილეობის მცდელობა.

[15] მსგავსი ინიციატივები უმრავლეს შემთხვევაში დასავლეთის კარნახითა და მოთხოვნით ტარდებოდა, თუმცა, ზოგადად, საქართველოს საკანონმდებლო სივრცის მოდერნიზაციის თვალსაზრისით, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

[16] პრობლემათა გადაწყვეტის პროცესში დაძლეულია ედუარდ შევარდნაძის დროინდელი მხოლოდ მცირედი გაუმჯობესების მეთოდის გამოყენებით ხელმძღვანელობა. ხელისუფლება ამ მეთოდთან ერთად, რომელიც სწრაფი რეაგირებისათვის გამოიყენება, ხელმძღვანელობს პრობლემების არა ევოლუციური, არამედ რევოლუციური გადაწყვეტით და საზოგადოებას პირველად, საქართველოს უახლესი თხუთმეტწლიანი განვითარების ისტორიაში, სთავაზობს სტრატეგიული გადაწყვეტის სისტემებს პრობლემებთან მიმართებაში.

[17] ეს იწვევს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის, უკიდურესად ნაგატიურ განწყობასა და დამოკიდებულებას. ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას აქვს ობიექტური საფუძველიც, რადგან სწრაფი რეფორმირების პროცესში პროცედურული სამართლიანობის დაცვა ხშირად ძნელდება.

[18] სწორედ ამით აიხსნება საქართველოს, როგორც სატელევიზიო სახელმწიფოს, დახასიათება.

[19] თუმცა, დეკლარირებასა და პრაქტიკულ მოქმედებებს შორის აქ უმცირესობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი ინტეგრაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

[20] გამოსარიცხი არაა ასეთი შემთხვევების არსებობაც. სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორისათვის შეწერილ თანხებს, სინამდვილეში, ადგილი წინასაარჩევნო კამპანიის დროს, სახელისუფლებო პარტიის მხარდასაჭერი კამპანიის წარმოებისას აქვს.

[21] ამან რუსეთის გაღიზიანება და ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების მიუღებლობა გამოიწვია, თუმცა, რუსეთი იძულებული ხდება დათმობებზე წავიდეს და იმპერიალისტურ ამბიციებზე უარი თქვას. ამის დადასტურებაა 2006 წლის შემოდგომაზე რამდენიმე თვით შეწყვეტილი რუსეთის დიპლომატიური მისიის 2007 წლის იანვარში აღდგენაც.

[22] ამის მაგალითად გამოდგება პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღება, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთ დღეს ჩატარების ინიციატივით გამოსვლა და ბევრი სხვა.

[23] ამ შემთხვევაში შესაძლებელია ვისაუბროთ ხელისუფლების ორმაგ როტაციაზე. ახალ ხელისუფლებაში შევიდნენ როგორც გამსახურდიას ყოფილი მომხრეები, ისე ყოფილი საბჭოური ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას მიმართ საბჭოთა ხელისუფლების დემონატაჟის გამო რევანშისტულად იყვნენ განწყობილი.

[24] ვარდების რევოლუციის პერიოდში შევარდნაძის შიდა ოპოზიციურ ფრთას უმაგრებდა ზვიადისტთა ნაწილიც ზვიად ძიძიგურისა და გურამ აბსნაძის მეთაურობით, რომელიც თავის მოვალეობად აცხადებდა საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და მისი მომხრეების მიმართ ჩადენილი უსამართლობის გამო შევარდნაძის წინააღმდეგ ბრძოლას. შესაბამისად, მეორე ტრანზიციის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ვისაუბროთ ორმაგ როტაციაზე. თუმცა, მეორე ტრანზიციისგან განსხვავებით, ხელისუფლებაში ზვიადისტების ყოფნა დიდხანს არ გაგრძელებულა.

[25] ეს გამოწვეული შეიძლება იყოს არსებული ოპოზიციური პარტიების ცნობადობისა და მხარდაჭერის ზრდის ნაკლები ალბათობით. არსებული ოპოზიციური პარტიების წარმატების შანსს ისიც ამცირებს, რომ ელექტორატი მათ კარგად იცნობს და მათ მიმართ პოზიტიური განწყობის სწრაფი ზრდა მოსალოდნელი არ არის.

[26] სახელისუფლებო პარტიის უალტერნატივობის განცდაც პარტიული ლიდერის ქარიზმასთანაა დაკავშირებული.

[27] პროტესტული ელექტორატის მაღალი ხარისხი და არჩევნებზე გამოუცხადებლობა, რაც ხელისუფლებას არჩევნების შედეგების გაყალბების შესაძლებლობას აძლევს, ასეთ ფორმალურ აღიარებას საფუძველს უმყარებს.

[28] გია ნოდია, ალვარო პინტო სქოლტბახი, (რედ). – *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი. პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები*. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2006, გვ.115.

[29] შამათავას საქმე უკავშირდება ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის დროს ქალაქ თბილისის მერიის საკუთრებაში მყოფი კორუფციული გარიგებების შედეგად კერძო პირებზე უკანონოდ გაყიდულ ტერიტორიებს. ამ უკანასკნელთ დღევანდელი ხელისუფლება კვლავ მერიის საკუთრებაში აბრუნებს. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი კერძო მესაკუთრე შამათავას პრობლემის არტიკულაციაში დაეხმარა, თუმცა, საქმის დეტა-

ლების მოძიებისა და შამათავას საკუთრებაში ტერიტორიების დატოვებისათვის კანონიერი საფუძვლების დაუდასტურებლობის პირობებში იძულებული გახდა მის დაცვაზე დროებით უარი ეთქვა, რადგან ვერ შეძლო ამ პრობლემის ხელისუფლებისეული გადაწყვეტის ალტერნატიული პროექტის შეთავაზება.

[30] სწორედ ამით აიხსნება ოპოზიციის მზადყოფნა, დადგეს ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული, ნებისმიერი, თუნდაც ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, საპროტესტო აქციის გვერდით.

[31] მეისინგი (Macing) პრაქტიკა, რომელიც თანამდებობების შენარჩუნების ან კარიერული წინსვლის მიზნით, საჯარო მოხელეებს უყენებს მმართველი პარტიის დაფინანსების მოთხოვნას. ტოლ-გეიტინგი (Toll-gating) – ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის სანაცვლოდ პარტიისადმი ფინანსური შემოწირულობის მოთხოვნის პრაქტიკა.

[32] პოლიტიკური კულტურისათვის დამახასიათებელი რადიკალიზმის პირობებში საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნების დამაჯერებელი გამარჯვებისადმი თუ დასაწყისში ნაკლებად ჩნდება პრეტენზიები, შემდგომი ვადით ჩატარებული არჩევნების ობიექტურობა საფუძვლიან ეჭვებს იწვევს, რადგან ხელისუფლების მხრიდან ცდუნება კვლავ თავბრუდამხვევი გამარჯვებით წარუდგეს საზოგადოებას და გააყალბოს ოპოზიციის მხადამჭერთა რაოდენობა, საკმაოდ დიდია. შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში აპრობირებული საარჩევნო ბიულეტინების „პირდაპირ ჩაყრისა“ თუ ტოტალური გაყალბების პრაქტიკის პირობებში ნებისმიერი ოპოზიციური დაჯგუფება უკონკურენტოდ გამოიყურებოდა თუმცა, რეალობა სულ სხვა იყო.

[33] ვია ნოდია, ალვარო პინტო სქოლტბახი, (რედ). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი. პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები.* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2006, გვ.115.

[34] ეს, რა თქმა უნდა, დღევანდელი ოპოზიციური სპექტრის შენარჩუნების შემთხვევაში, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, უახლოეს პერსპექტივაში რაიმე სერიოზული ხასიათის ოპოზიციური გაერთიანება შეიქმნას.

[35] აქტუალური პოლემიკა შეიძლება გაიშალოს საქართველოს კონსტიტუციური წყობის (საპრეზიდენტო-საპარლამენტო) თაობაზეც.

[36] მისი დაკარგვა მოხდა ვარდების რევოლუციის დროს: დღევადელი ოპოზიციის ნაწილმა მაშინ უარი განაცხადა, ვარდების რევოლუციისას საქართველოს მოსახლეობის გვერდით მდგარიყო.

[37] ასევე არაა გამოსარიცხი, სააკაშვილის ხელისუფლებამ საარჩევნო მანიპულაციების შევარდნაძისეულ პრაქტიკას მიმართოს.

[38] პროგნოზირების აღნიშნული მეთოდი, გათვლილი გრძელვადიან პერსპექტივაზე, რომლის სიზუსტის შესაძლებლობებიც საკმაოდ დაბალია, ფართოდ აპრობირებული მეთოდია შესაძლო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და პრევენციული ზომების გასატარებლად. შესაბამისად, დღევანდელი ხელისუფლებისათვის ასეთი, თუნდაც მცირე შესაძლებლობების მქონე, სცენარის არსებობა უნდა იყოს ერთგვარი ნიშანი შეცდომების გამოსასწორებლად.

[39] საპრეზიდენტო სისტემის შენარჩუნების პირობებში პარტია დადგება სააკაშვილის მსგავსი ქარიზმატული ლიდერების ძიების რთული ამოცანის წინაშე.

[40] ზვიად გამსახურდიას მმართველობის პირობებში ქვეყნის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, არაღიარება განპირობებული იყო იმით, რომ სსრკ ჯერ

კიდევ არ იყო დაშლილი და ქვეყანა კვლავ სსრკ-ის პოლიტიკური სივრცის ნაწილად აღიქმებოდა.

[41] პრორუსულ ორიენტაციაზე მსჯელობისას, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს არასოდეს ჰქონია სომხეთის მსგავსი ცალმხრივად რუსეთზე ორიენტირებული (Russian-First) საგარეო პოლიტიკური კურსი. რაც შეეხება 1993-1994 წლებში ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში სტრატეგიულ პარტნიორად რუსეთის გამოცხადებას, ეს ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობისთვის იძულებითი ნაბიჯი უფრო იყო, რომელიც ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტში რუსეთის მხრიდან დახმარის გაწევასა და სწრაფ მოგვარებაზე იყო გათვლილი.

[42] რუსეთმა უარი თქვა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებაზე და ამ პოლიტიკას აგრძელებს დღემდე. ამ პოლიტიკამ მძიმე ზიანი მიაყენა საქართველოს, მაგრამ მას შემდეგად, რუსეთის მოლოდინის მიუხედავად, არ მოჰყოლია რუსეთის გავლენის აღდგენა საქართველოზე. პირიქით, საქართველო სულ უფრო მეტად ცდილობს რუსეთისგან დისტანციის დაკავებას. შესაბამისად, ქართულ-რუსულ ურთიერთობების გამოსწორებას ერთადერთ ალტერნატივად რუსეთის მიერ თავის იმპერიალისტურ ამბიციებზე უარის თქმა და საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღიარებაა.

[43] დასავლეთის მხრიდან ჩაურევლობა გამოწვეული იყო სსრკ-ის ინსტიტუციური დიზაინის შენარჩუნებითა და იმით, რომ დასავლეთს სსრკ-ის დაშლის შემთხვევაში არ გააჩნდა რაიმე სახის პოლიტიკური კურსი.

[44] შესაძლებელია, დღევანდელმა ხელისუფლებამ გამოიყენოს ეს შანსი და ახალი კონსტიტუციის მიღებამდე დარჩენილი დრო სწორედ პოლიტიკური კონკურენციის თანასწორი პირობების შექმნას მოახმაროს.

[45] პოლიტიკურ პარტიათა შორის არსებული უთანასწორობისა და ვერტიკალიზაციის დაძლევას ისახავდა მიზნად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეთავაზება საპარლამენტო ოპოზიციისთვის: დაეწყოთ დიალოგი და უშიშროების საბჭოში ოპოზიციის წარმომადგენლებიც ჩართულიყვნენ, მაგრამ, ცხადია, თუ არ მოხდა პროცედურულ საკითხებზე შეთანხმება, ნებისმიერი მსგავსი ინიციატივა ეფექტური არ იქნება.

გია ნოდია

1.

ამ კითხვაზე პასუხი პირველ რიგში მოითხოვს ფორმულირებას იმ მიზნისა თუ მიზნებისა, რისთვისაც დამოუკიდებელ საქართველოს *უნდა მიეღწია*, და რაც თხუთმეტი წლის წინანდელ საქართველოს რეტროსპექტულად უნდა მივაწეროთ (მიუხედავად იმისა, როგორ იაზრებდა მათ საქართველოს იმდროინდელი ელიტა). მე ორ ასეთ მიზანს გამოვყოფ: ერთია სახელმწიფოობა, მეორე – სოციალური მოდერნიზაცია. ორივე ასე შეგვიძლია გავაერთიანოთ: საქართველოს მიზნად ჰქონდა ქცეულიყო თანამედროვე ქვეყნად, რაც ერთდროულად თანამედროვე (მოდერნულ) სახელმწიფოდ ყოფნასაც ნიშნავს და თანამედროვე საზოგადოებად ყოფნასაც.

ამით იგულისხმება, რომ თხუთმეტი წლის წინ საქართველო არა მარტო სახელმწიფო არ იყო (რაც ტრივიალურია), არამედ მას არც თანამედროვე საზოგადოება ეთქმოდა. მართალია, რუსეთთან ორასწლიანი ყოფნით საქართველომ მთელ რიგ განზომილებებში განიცადა მოდერნიზაცია: მოხდა მისი ურბანიზაცია, წერა-კითხვის საყოველთაო გავრცელება, ქალის საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჩვეულებრივი ამბავი გახდა და ა. შ. მაგრამ კომუნიზმის სამოცდაათწლიანმა ბატონობამ მისი სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტები და ღირებულებები ერთობ დაეშორა მოდერნულობის იმ მოდელს, რასაც დასავლეთის ქვეყნები განასახიერებდნენ.

განვლილი ასე შეიძლება შევაფასოთ: თხუთმეტი წლის მანძილზე საქართველო, არსებითად, მიუახლოვდა თანამედროვე საზოგადოების და სახელმწიფოს იდეალურ ტიპებს, მაგრამ არც ერთი ამ ნიშნით ჯერ კიდევ არა ვართ იქ, სადაც გვინდა, რომ ვიყოთ.

დავიწყოთ სახელმწიფოობით: არსებობს თუ არა საქართველო, როგორც სახელმწიფო? ცხადია, აქ არ იგულისხმება მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოს ფორმალური სტატუსი – ანუ ის, რაც ზუსტად თხუთმეტი წლის წინ გვიხაროდა, როცა „უკრაინამ გვაღიარა“. ეს სტადია ნამდვილად გავიარეთ. მაგრამ ამას, მკაცრი აზრით, „მიღწევას“ ვერ

ვუწოდებთ, რადგან ჩვენნაირ მდგომარეობაში მყოფმა ყირგიზეთმა ან თურქმენეთმა ეს ყოველგვარი გარჯის გარეშე მოიპოვეს. პრობლემად გვრჩება ფაქტობრივი სახელმწიფოობა, ანუ სახელწიფოს ფუნქციური კრიტერიუმების დაკმაყოფილება. აქვთ ადამიანებს, ვინც რუკაზე „საქართველოდ“ აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობს, სახელმწიფო მმართველობა? ამ კითხვაზე ნეგატიური პასუხის შემთხვევაში გვაქვს „არშემდგარი სახელმწიფო“, „კვაზი-სახელმწიფო“. ჯერჯერობით ეს ისევ რჩება ძირითად თემად იმ დრამისა, რასაც „პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორია“ ჰქვია. საქართველო კლასიკური „არშემდგარი სახელმწიფო“ იყო 1990-იანების დასაწყისში, ხოლო შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში სახელმწიფოობა ისევ ეროზიას განიცდიდა. ბოლო ხანს სინათლე გვირაბის ბოლოს აშკარად გამოჩნდა, მაგრამ ჯერ „ჰეფი ენდისთვის“ არ მიგვიღწევია.

ყველაზე თვალსაჩინო დეფიციტი ყველაზე ელემენტარულია: ტერიტორიული კონტროლი. საქართველომ ჯერ არ იცის, რომელია მისი ტერიტორია, სადამდე ვრცელდება მისი იურისდიქცია. რომელ ქვეყანაში ცხოვრობენ გაგრელი აფხაზები თუ ჯაველი ოსები, ან გალელი თუ ქურთელი ქართველები? ეს არ არის რომანტიკული ნაციონალიზმის პრობლემა: რომელია „წმინდა ქართული მიწა“ (მასე, ტაო-კლარჯეთის ნაწილიც შეიძლება მოვისაკლისოთ); ეს სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის პრობლემაა: ის ვერ იარსებებს იურისდიქციის ტერიტორიული განსაზღვრების გარეშე. ამ აზრით, თუნდაც ამ ტერიტორიების დაკარგვის გაფორმება – უმძიმესი ფსიქოლოგიური ტრამვა – სახელმწიფოობის კონსოლიდაციის გზაზე წინგადაგმული ნაბიჯი იქნებოდა.

დისკუსიის ინტერესებში დროებით დავივიწყოთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ტერიტორიის დანარჩენ 85-90 პროცენტზე გვაქვს კი სახელმწიფო? ჩემი პასუხია: ძირითადად, მაგრამ არა სრულყოფილი აზრით. მთავარია ის, რომ დღეს სახელმწიფოს აქვს მონოპოლია ძალის ლეგიტიმურ გამოყენებაზე. 12-15 წლის წინ მას ასეთი მონოპოლია თბილისშიც კი არ ჰქონდა და არც ხუთი წლის წინ ჰქონდა ყველგან, დღეს კი აქვს. დღეს არ არიან შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც ღიად ედავებიან სახელმწიფოს უფლებას, იარაღზე დაყრდნობით გააკონტროლონ ქვეყნის რომელიმე ნაწილი ან სოციალური ცხოვრების რაღაც სეგმენტი. ეს უდიდესი მიღწევაა. სხვა საკითხია, საბოლოოა თუ არა.

რატომ არა ვარ დარწმუნებული ამ მიღწევის მდგრადობაში? არა მხოლოდ გარე (რუსეთის) ფაქტორის გამო. არა მგონია, ის მთავარი

იყოს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია კონსენსუსი პოლიტიკური წყობის შესახებ. სოციოლოგიურ გამოკვლევებს თუ დავუჯერებთ, ლამის ყველა დემოკრატიის მომხრეა. მაგრამ ეს ზოგად ნორმატულ დონეზე. ახლა ჰკითხეთ ჩვენს მოქალაქეებს: „რა ჰქვია იმ პოლიტიკურ წყობას, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ?“ მე რომ სოციოლოგიურ ანკეტაში ასეთი შეკითხვა შემხვდეს, ვუპასუხებ: „მიჭირს პასუხის გაცემა“. აქ ლაპარაკია არა პრესის თავისუფლებაზე და „ენჯიოების“ რეგისტრაციის სიადვილეზე: პოლიტიკური რეჟიმის ძირითადი ნიშანია ძალაუფლების მოპოვების და შენარჩუნების წესი. რეჟიმი კონსოლიდირებულია, როცა ყველა ძირითადმა მოთამაშემ იცის, როგორ „იშოვება“ ამ ქვეყანაში ძალაუფლება. დავსვათ მარტივი საკონტროლო კითხვა: რა წესით მოხდება ძალაუფლების შემდეგი ცვლა საქართველოში? თუ ამ კითხვაზე პასუხი არ ვიცით (მე კი მგონია, რომ არ ვიცით), ესე იგი, არ გვცოდნია, როგორია ჩვენი პოლიტიკური წყობა.

მაშასადამე, რასაც საქართველომ ამ პერიოდში ვერ მიაღწია, გარდა ასპროცენტიანი ტერიტორიული კონტროლისა, არის პოლიტიკური რეჟიმის, ანუ პოლიტიკური თამაშის წესების სტაბილიზაცია. აქ მინდა დავაზუსტო: აპრიორულად არ ვამბობ, რომ ეს რეჟიმი მაინცდამაინც კონსტიტუციური დემოკრატია უნდა იყოს. მე პირადად მგონია, რომ კონსტიტუციური დემოკრატია არის საუკეთესო პოლიტიკური რეჟიმი. მეტიც, ვფიქრობ, რომ საქართველოში პოლიტიკური რეჟიმის კონსოლიდაცია მხოლოდ დემოკრატიული თამაშის წესების გარშემო მოხდება. შესაბამისად, სახელმწიფოობის გაძლიერებაზე მიმართული ძალისხმევა კონსტიტუციური დემოკრატიის ინსტიტუტების შექმნას უნდა გულისხმობდეს. მაგრამ თეორიულად, არადემოკრატიული რეჟიმიც შეიძლება იყოს სტაბილური, ანუ კონსოლიდირებული. მომეწონება თუ არა ეს პირადად მე, სხვა საკითხია.

საქართველოს პრობლემა ის კი არ არის, რომ აქ დემოკრატია არ არის კონსოლიდირებული: აქ ჯერ არანაირი პოლიტიკური რეჟიმი არ არის ჩამოყალიბებული. ხოლო თუ ეს ასეა, სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესიც არ დასრულებულა.

იმასაც დავანებოთ თავი, თუ როგორ იშოვება საქართველოში ძალაუფლება. სახელმწიფოობის კიდევ ერთი ნიშანია მართვის პროცესის მდგრადობა და ეფექტურობა. აქ საკონტროლო კითხვაა: არსებობს თუ არა სახელმწიფო მართვის ინსტიტუტების სისტემა, რომელიც შეიძლება ამა თუ იმ პოლიტიკის განხორციელების ქმედით ინსტრუმენტად გამოდგეს?

ეს კითხვა უკავშირდება კიდევ სხვას: *ვისია სახელმწიფო*? ემორჩილება სახელმწიფო აპარატი პოლიტიკურ მმართველობას, თუ რაღაც სხვა სოციალურ სუბიექტებს ემსახურება? საქართველოში ამ სხვა სუბიექტებს, რაკი უკეთესი სახელი ვერ მოვუძებნეთ, ხანდახან „კლანებს“ ვუწოდებთ. ამათი კერძო შემთხვევაა „ორგანიზებული დანაშაული“ თუ „ქურდული სამყარო“. ნებისმიერ შემთხვევაში ლაპარაკია სოციალურ ორგანიზაციებსა თუ ქსელებზე, რომლებიც ერთგულებას და ურთიერთნდობას ფორმალური სახელმწიფო ინსტიტუტების საპირისპიროდ განსაზღვრავენ და მათ სოციალური კონტროლის სფეროებისთვის ებრძვიან. თუ პასუხის ამ მეორე ვარიანტისკენ ვიხრებით, პრობლემას ერქმევა „კორუფცია“ ან „სახელმწიფოს მიტაცება“ (რამდენად ზუსტია ეს ტერმინები, სხვა საკითხია).

ეს ბევრი პოსტკოლონიური და განვითარებადი ქვეყნის (რომელთაც საქართველო ტიპოლოგიურად უახლოვდება) ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა. აქ დევს წყალგამყოფი მოდერნულ და წინამოდერნულ სახელმწიფოებს შორის: სახელმწიფო ბიუროკრატიას ან ფორმალური ინსტიტუტები აკონტროლებენ ან „კლანები“ და მისთანები. რაღაც ზომით ასეთი ბრძოლა ყველა სახელმწიფოში შეიძლება იყოს, მაგრამ თუ სახელმწიფოს კონკურენტები აშკარად მძლავრობენ, „არშემდგარი“ ან სტრუქტურულად „სუსტი“ სახელმწიფოების ტერიტორიაზე ვყოფილვართ. როგორ გვაქვს საქმე ამ მხრივ? ამ თემას შევარდნაძის და საакაშვილის მმართველობათა ანალიზისას დავუბრუნდები, აქ კი მოკლედ ვიტყვი: ამ მხრივ, ბოლო ხანს არის გარკვეული წინსვლა, მაგრამ „დამკაში“ გასვლამდე ჯერ შორია, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ წარმატებების ინსტიტუციონალიზაცია არ მომხდარა.

დაბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განზომილება: იდენტობა და აღიარება. ეს ერთი მედლის ორი მხარეა. ნაპოვნი აქვს თუ არა საქართველოს, როგორც ერს, ადგილი მსოფლიოში? საამისოდ საჭიროა, საქართველომ იცოდეს, რა ადგილი უნდა იყოს ეს („იდენტობა“), მაგრამ სხვებიც თანახმა უნდა იყვნენ, მას ეს ადგილი მიაკუთვნონ („აღიარება“). ამ მხრივ, ცოტა უკეთ გვაქვს საქმე, ვიდრე სხვა ზემოჩამოთვლილ კატეგორიებში. მეტიც: პოლიტიკური განვითარების სფეროში წარმატების შანსი თუ გვაქვს, ამის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი და იმედი შედარებით მყარი ზოგადი ორიენტაცია და საგარეო-პოლიტიკური მხარდაჭერაა. ცხადია, ჩვენს „პროდასავლურ“ ორიენტაციაზეა საუბარი. მესმის, რომ ის გარკვეულად ზედაპირულიცაა და ოპორტუ-

ნისტულიც, რადგან „დასავლურობასთან“ ასოცირებული სოციალური ინსტიტუტები და ღირებულებები ჩვენში ღრმად ფესვგადგმული არ არის. მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო წლებში ეს ორიენტაცია საკმაოდ მყარი და სტაბილური აღმოჩნდა. შეგვიძლია ვიდავოთ, რა უდევს ამა თუ იმ პოლიტიკოსს გულში და რას გააკეთებდა (ან გააკეთებს) ის სხვა ვითარებაში, მაგრამ ვერ უარვყოფთ, რომ დღეს პროდასავლურ არჩევანს ვერც ერთი პოლიტიკური ძალა აშკარად ეჭვის ქვეშ ვერ აყენებს (სიტყვა „ძალას“ თუ მინიმალურ კრიტერიუმებს მაინც მივუყენებთ). თუ ვინმე ამ არჩევანს ეწინააღმდეგება (რაც ჩვენში, პრაქტიკულად, „პრორუსულობას“ ნიშნავს), ის ამის საჯარო სივრცეში ხმამაღლა თქმას ვერ ბედავს.

ამ აზრით, ბოლო თხუთმეტი წლის *მიღწევა* იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი თუნდაც ზედაპირული პროდასავლური ორიენტაცია გამყარდა დომინანტურ პოლიტიკურ ტრადიციად. საქართველო თავისი პოლიტიკური განვითარების ვექტორს ევროპასთან სიახლოვეში ხედავს (ცხადია, ევროპაში აქ ჩრდილო ამერიკასაც ვგულისხმობ). მეორე მხრივ, თუმცა საქართველო საყოველთაოდ არ არის აღიარებული დასავლურ ქვეყნად, დასავლეთის ელიტურ წრეებშიც მკვეთრად გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც საქართველოს ევროპულ პრეტენზიას სერიოზულად აღიქვამს. დღევანდელი ლუდოვიკოები ქართველ დესპანებს, სულ მცირე, ზრდილობიანად უსმენენ, ხანდახან კი ქმედითად ეხმარებიან. საქართველოს საკმაოდ მყარად ჩამოუყალიბდა *ეროვნული პროექტი*, რომელსაც წარმატების გარანტია თუ არა, გონივრული შანსი მაინც აქვს. შესაძლოა, სწორედ ეს იყოს საქართველოს ძირითადი მიღწევა ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე.

ახლა რაც შეეხება სოციალურ მოდერნიზაციას. აქ განზომილება კიდევ უფრო მეტია და წარმატება-წარუმატებლობა უფრო რთული გასაზომი. მხოლოდ ორ მომენტზე შევჩერდები: პოლიტიკურ ელიტასა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებზე. 1980-იანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალშისაცემი ნიშანი იყო ახალი პოლიტიკური ელიტის სრული არაკომპეტენტურობა. პოლიტიკური დისკურსითაც და პრაქტიკებითაც ის სრულიად ამოვარდნილი იყო თანამედროვე სამყაროს კონტექსტიდან. ამასთან შედარებით დღეს თვალშისაცემი პროგრესია. არ მინდა, არასწორად გამიგონ: ვიცი, რომ თხუთმეტი წლის წინ ძალიან კარგი მათემატიკოსები და კინორეჟისორები გვყავდა და ამ ნიშნით, ალბათ, უკან დავიხიეთ. ლაპარაკია კომპეტენ-

ციაზე სოციალურ-პოლიტიკური ქმედების სფეროში. დღეს არსებობს სოციალური ფენა (უფრო მეტად ახალი თაობით წარმოდგენილი), რომლის წევრები ლაპარაკობენ და მოქმედებენ, როგორც თანამედროვე ადამიანები. ეს ფენა ძალიან თხელია; ამიტომაც, ადამიანური რესურსების დეფიციტი საქართველოს ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა. მაგრამ თხუთმეტი წლის წინანდელს რომ შევადაროთ, ცა და დედამიწაა.

სამოქალაქო საზოგადოება სრულიად ახალი სფეროა, რომელიც თხუთმეტი წლის წინ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა. მედია, სხვადასხვა ტიპის ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფები და ასოციაციები – ყოველივე ეს არსებობს, თუმცა არასაკმარისად განვითარებული. დღეს ის მომენტია, როცა ამ სფეროს სისუსტეზე უფრო ვამახვილებთ ყურადღებას, მაგრამ, ზოგადად, წინსვლა მნიშვნელოვანია: უკვე თავისთავად ცხადად მივიჩნევთ, რომ ღიად ვსაუბრობთ ყველაფერზე, რასაც განხილვის ღირსად მივიჩნევთ, რომ შეგვიძლია გავერთიანდეთ ჩვენი ღირებულებებისა და ინტერესების მიხედვით და დავიცვათ ისინი, თუ დაცვის ადეკვატურ ფორმებს მოვიფიქრებთ. ამ ახალმა სოციალურმა კონპეტენციებმა და პრაქტიკებმა ჯერ ადამიანთა საკმაოდ მცირე ნაწილი მოიცვა (თუ არ ჩავთვლით რევოლუციური ეიფორიის ხანმოკლე მონაკვეთებს), მაგრამ ახალი პარადიგმები არსებობს.

2.

მრგვალი მაგიდის და ზვიად გამსახურდიას ხანმოკლე მმართველობა შეიძლება დავინახოთ როგორც ეროვნული მოძრაობის პერიოდის დაგვირგვინება; ამიტომ მათ ერთად განვიხილავ. ამ დრამატულ ეპიზოდს შეიძლება ვუწოდოთ დემოკრატიის და სახელმწიფოობის ფალსტარტი საქართველოში: ეს იყო საზოგადოების რეალური გააქტიურების, ჭეშმარიტი დემოკრატიული ენთუზიაზმის ხანა, რომელიც ემყარებოდა კონსენსუსს სრულიად კონკრეტული და ლეგიტიმური მიზნის – ეროვნული სახელმწიფოს – შექმნის გარშემო. თავად ეს ფაქტი ამ პერიოდის ყველაზე დიდი მიღწევაა. მაგრამ შედეგი იყო ეროვნული კატასტროფა, რომელმაც საქართველოს პოლიტიკური განვითარება სულ მცირე ათი წლით შეაფერხა. ამ კატასტროფაზე პასუხისმგებელია როგორც, ზოგადად, ჩვენი ეროვნული მოძრაობა, ისე, კონკრეტულად, გამსახურდია და მისი პოლიტიკური გუნდი. გარე ძალებზე (ანუ რუსეთზე) როგორც ამ ფუნდამენტური მარცხის ძირითად ამხსნელ ფაქტორზე ხელის გაშვერა თავის მოტყუება და პრობლემისგან თავის არიდების მცდელობაა.

თუ უფრო ვიწრო აზრით შევაფასებთ გამსახურდიას მმართველობას, მის პოლიტიკურ რეჟიმს, ძნელია, რაიმე ხელმოსაკიდ წარმატებას მივაგნოთ. თუ საქართველოს მიერ დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსის მოპოვებას ძირითად მიზნად ჩავთვლით, 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. მაგრამ, სინამდვილეში, ეს უფრო პოლიტიკური უმწეობის გამომხატველი წმინდა სიმბოლური ნაბიჯი იყო: ბევრს არ ახსოვს, რომ ეს მოხდა სამხრეთ ოსეთში განცდილი სამხედრო წარუმატებლობის საპასუხოდ და მის მისაჩქმალად: სხვაგვარად გაუგებარია, რატომ უნდა გამოგვეცხადებინა დამოუკიდებლობა მაინცდამაინც იმ დროს. ბედის ირონიაა და, გარკვეული აზრით, ისტორიული სამართლიანობის გამოხატულებაც, რომ დამოუკიდებლობის რეალობად ქცევა (რაც მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მოხდა) გამსახურდიას გაძევებას დაემთხვა.

თუნდაც დამოუკიდებლობის გამოცხადების ეპიზოდი გვაჩვენებს, რომ გამსახურდიას (ისევე როგორც მთლიანად ეროვნულ მოძრაობას) ახასიათებდა პოლიტიკური დისკურსის და პრაქტიკის მითოპოეტური ხასიათი, რომელიც რეალურ ქმედებას სიმბოლურით ანაცვლებდა (გვაჯობეს? გავბრაზდებით და დამოუკიდებლობას გამოვაცხადებთ!). პოლიტიკური ქმედება შემოისაზღვრებოდა დეკლარაციითა და მობილიზაციით: „თქვი სიმართლე“ და ამ „სიმართლის“ გარშემო რაც შეიძლება ბევრი ადამიანი დარაზმე. გამსახურდიას თითქმის არც უცდია ნაბიჯების გადადგმა სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის მიმართულებით: ძირითადი სიახლეები შეეხებოდა სახელების გადარქმევას (მილიციისა პოლიციად, მაგალითად). ყველაზე თვალსაჩინო გამონაკლისი შეიძლება ჯარის შექმნის მცდელობა ყოფილიყო, მაგრამ პროდუქტი უფრო ჯარის კარიკატურა აღმოჩნდა, რომელმაც ხეირიანი შეიარაღებული გადატრიალებაც კი ვერ მოაწყო.

მითოპოეტური აზროვნებისთვის იდეოლოგიურად ყველაზე ახლობელი ფაშიზმია. „პროვინციული ფაშიზმის“ იარლიყი, რომელიც გამსახურდიას მმართველობას შევარდნაძის იდეოლოგებმა მიაკერეს, ნაწილობრივ სამართლიანია, მაგრამ უფრო ზუსტად მას, ალბათ, „ვერშემდგარი ფაშიზმი“ უნდა დავარქვათ. პოლიტიკური მობილიზაციის ოხლოკრატიულ-ნევროტულ-რომანტიკული ხასიათი ტიპოლოგიურად ნამდვილად ატარებდა ფაშისტური მოძრაობის ნიშნებს (უახლესი ანალოგიები ბალკანეთის ქვეყნებშია), მაგრამ ფაშისტურ დიქტატურად ჩამოყალიბება მან, უბრალოდ, ვერ შეძლო. ამის მიზეზია როგორც საერთა-

შორისო კონტექსტი: 1990-იან წლებში ფაშიზმი, მეტისმეტად, არამოდური იყო; ამიტომ, ზოგადად, ეროვნული მოძრაობაც და გამსახურდიაც ცდილობდნენ ლიბერალური ფასადის შენარჩუნებას (ლიდერებს, ალბათ, გულწრფელადაც მიაჩნდათ, რომ დემოკრატები იყვნენ). მაგრამ ძირითადი მიზეზი ვერშემდგარობისა პოლიტიკური არაკომპეტენტურობა იყო: თუ მუსოლინიმ და ჰიტლერმა დროებით მაინც შეძლეს თავიანთი სახელმწიფოების გაძლიერება, ქართული კვაზიფაშიზმი სახელმწიფოებრიობის ნგრევასთან აღმოჩნდა ასოცირებული.

ე. წ. ეთნიკური კონფლიქტები თბილისის ომთან ერთად ეროვნული მოძრაობის კატასტროფული აღსასრულის ყველაზე მკაფიო გამოხატულებებია. უსამართლობაა, მხოლოდ გამსახურდიას ან, საზოგადოდ, ქართულ ნაციონალიზმს დავაბრალოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონლიქტები, თითქოს უმცირესობის სეპარატიზმები ბუნებრივი თავდაცვითი რეაქცია იყო ქართულ ნაციონალიზმზე (ასეთი შეფასება დასავლელი ლიბერალების კლიშეა). უმცირესობის ელიტებიც იმავე რომანტიკული მითოპოეტური ნაციონალიზმის ტყვეობაში იყვნენ. გარდა ამისა, მათ და, განსაკუთრებით, მათ პატრონებს კრემლში უფრო აძლევდათ ხელს ღია კონფლიქტი, რადგან სწორედ მასში იყო წარმატების შანსი. ქართველი ლიდერების არაკომპეტენტურობა იმითაც გამომჟღავნდა, რომ ხელი შეუწყეს კონფლიქტების საქართველოსთვის მაქსიმალურად წამგებიანი სცენარით – ომით – განვითარებას, და დაეხმარნენ მოწინააღმდეგე მხარეს მათი პროგრამის ლეგიტიმაციაში.

მითოპოეტურობასთან დაკავშირებულ არაკომპეტენტურობას შეიძლება დავარქვათ პოლიტიკური იდიოტიზმი, რომელიც მთლიანად ეროვნულ მოძრაობას ახასიათებდა. სიტყვა „იდიოტიზმს“ ვხმარობ როგორც ტერმინს და არავითარ შემთხვევაში არ ვეხები იმდროინდელ ლიდერთა ინტელექტუალურ კოეფიციენტს (ზოგიერთი მათგანის შემთხვევაში ის შეიძლება საკმაოდ მაღალიც ყოფილიყო). თუნდაც ყველაზე ჭკვიან ადამიანებს ახასიათებდათ პოლიტიკური აზროვნების უუნარობა, მეტიც – აგრესიული დამოკიდებულება პოლიტიკური აზროვნებისადმი. ამ მხრივ, პირადად, გამსახურდიას მიმართ პრეტენზიები შედარებით ნაკლებია: არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბევრი მისი ამომრჩევლისთვის გადამწყვეტი არგუმენტი ის აღმოჩნდა, რომ გამსახურდია „ჭანტურიას და წერეთელს მაინც ჯობდა“ (რაც სწორი შეფასება იყო). მის ალტერნატივებად ხანდახან მოიაზრებდნენ ნოდარ ნათაძეს ან აკაკი ბაქრაძეს: უნდა ვაღიაროთ, რომ

მათთან შედარებითაც გამსახურდიას აზროვნება და ქცევა გაცილებით უფრო ადეკვატური იყო.

ამ ფონზე ლოგიკურია, რომ დეკლარირებული ანტიკომუნიზმის ფონზე გამსახურდიამ ვერც კომუნისტური ელიტის (ნომენკლატურის) ჩანაცვლება მოახერხა: მის ხელისუფლებაში ბევრი საკვანძო თანამდებობა ყოფილ კომუნისტ მაღალ- და საშუალოჩინოსნებს ეკავათ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ მისი ბრალი არ ყოფილა: მმართველობითი კომპეტენციის მქონე ადამიანები სხვა სოციალურ ჯგუფებში ნაკლებად იყვნენ. მაგრამ ამის გათვალისწინებითაც მეტის მიღწევა შეიძლებოდა: გამსახურდიამ ვერც კი მოხაზა ახალი მმართველობითი ელიტის კონტურები.

თუ მაინცდამაინც მოვინდომებ გამოვყო გამსახურდიას კონკრეტული „მიღწევა“, ასეთად 1990 წლის შემოდგომაზე აფხაზებთან დადებული შეთანხმება და იქ ეროვნული კვოტებით გამართული არჩევნები შეიძლება ჩავთვალოთ. დღევანდელი გადასახედიდან ეს უცნაური განცხადებაა: შეთანხმებას ახალმა ქართულმა რეჟიმმა „აპარტეიდული“ უწოდა, ხოლო მის კონტექსტში ძალაუფლების გადანაწილებისთვის ბრძოლა ომით დამთავრდა. მაგრამ ეს ჯერჯერობით ერთადერთი ისტორიული პრეცედენტია ქართველებსა და აფხაზებს შორის შეთანხმებისა, რომელიც ასე თუ ისე ითვალისწინებდა ორივე მხარის ინტერესებს. რომ არა თბილისში შემდეგ დატრიალებული ამბები, ეს შეთანხმება შეიძლებოდა მართლაც გამხდარიყო ისტორიული კომპრომისის საფუძველი.

დღევანდელობის გადასახედიდან, გამსახურდიას მმართველობის დამსახურება უფრო ნეგატიურია: მისი წყალობით ქართულმა საზოგადოებამ შედარებით სწრაფად (თუმცა სერიოზული დანაკარგებით) მოიხადა სახადი, რომელიც, როგორც ჩანს, მოსახდელი იყო: პოლიტიკური რომანტიზმი და მისი ბუნებრივი შედეგი – კვაზიფაშიზმი. შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ქართული საზოგადოება განიკურნა ქსენოფობიისაგან (ან სად არის ასეთი საზოგადოება), მაგრამ ეთნიკური ნაციონალიზმი ქართული პოლიტიკის ძირითადი ვექტორი, ალბათ, დიდხანს აღარ იქნება. იმუნიტეტი რაღაც დროით მაინც შემოგვრჩა (ვთქვათ, რუსეთის საზოგადოება ახლა იხდის ამ სახადს). სამოქალაქო ომმა, რითაც გამსახურდიას მმართველობა დამთავრდა, შედეგად ეკონომიკური კრახი, საზოგადოების გათიშულობა, კრიმინალური სტიქიის გაძლიერება და ტერიტორიული დანაწევრება მოგვიტანა. მაგრამ ამ ტრაგედიაშიც კი

შეიძლება რაღაც პოზიტიური დავინახოთ. ხანდახან, სამოქალაქო ომი ერის სულიერი მომწიფების ეტაპიცაა. სამოქალაქო ომი აღმოჩნდა ჩვენი „შოკური თერაპია". მან გვაიძულა, პოლიტიკური რეალობისაკენ შემოვბრუნებულიყავით. მისი ერთ-ერთი შედეგი იყოს ისიც, რომ გაჩნდა დისტანცია ლიბერალურ-დემოკრატიულსა და ნაციონალისტურ დღის წესრიგებს შორის, რომელიც მანამდე მიჩქმალული იყო.

3.

ედუარდ შევარდნაძის მმართველობა მნიშვნელოვანი გარდამავალი პერიოდი იყო, რომელიც, თუ მის კატასტროფულ წინა პერიოდს შეადარებ, შეიძლება შეაფასო მნიშვნელოვანი მიღწევების მოდუსში, მაგრამ შეიძლება დაინახო როგორც ფატალურ წარუმატებლობათა ერთობლიობა. ორივე თავისებურად სწორი იქნება.

პირველი მიღწევა, ალბათ, ის იყო, რომ შევარდნაძემ მოახდინა პოლიტიკური აზროვნების და ქცევის ლეგიტიმაცია. მითოპოეტურ და რომანტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული დეკლარაციისა და მობილიზაციის ხელოვნება, რაც ეროვნულ მოძრაობას ახასიათებდა, თავისი არსით ანტიპოლიტიკური იყო: ეს აზროვნების ის ტიპია, რისთვისაც პოლიტიკა ბინძური, სალანძღავი სიტყვაა. პრაქტიკულად, შევარდნაძემ ასწავლა ქართველებს, რომ პოლიტიკა რეალურ ინტერესთა დაპირიპირებისა და მორიგების ასპარეზია. ეს ტრივიალური ჩანს (და ბევრს დღესაც უჭირს ამასთან შეგუება), მაგრამ იმ დროს ეს კოლექტიური სიგიჟიდან საღი აზრისკენ შემობრუნების ტოლფასი იყო.

ამასთან არის დაკავშირებული ისიც, რომ შევარდნაძემ სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნის გზაზე პირველი ნაბიჯები გადადგა. ეროვნული მოძრაობა პარაზიტულად იყო განწყობილი კომუნისტებისგან დარჩენილი ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც ინერციით აგრძელებდნენ არსებობას და საშობაო გადატრიალებასთან ერთად მოიშალნენ. შევარდნაძეს ჰობსისეულ ბუნებით მდგომარეობასთან მიახლოებული ვითარება დახვდა, რომელსაც თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების ენაზე კლასიკური „არშემდგარი სახელმწიფო" ჰქვია: სახელმწიფო, რისი ძირითადი ატრიბუტი და რესურსი საერთაშორისო აღიარებაა, მაგრამ, რომელსაც არ ძალუძს ფორმალურად შემოხაზული საზღვრების შიგნით თავისი ფუნქციები შეასრულოს: პირველ რიგში, ლეგიტიმურ ძალადობაზე მონოპოლიას ვერ ამყარებს. შევარდნაძემ ვერ შეძლო ამ ამოცანის ბოლომდე გადაჭრა (ამაზე – წარუმატებლობებში), მაგრამ ვირტუ-

ოზული მაკიაველური ნაბიჯების სერიით მაინც მიაღწია სახელმწიფოობის მინიმალურ დონეს საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე. მან სახელმწიფო ძალაუფლება განსხვავებულ ინტერესთა რეგულირების და გაწონასწორების უპირატეს, თუმცა არა ერთადერთ მექანიზმად აქცია. მის სასტარტო პოზიციასთან შედარებით, ეს უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

ეს მან ისე გააკეთა, რომ ლიბერალური პლურალიზმისთვის სივრცე დაეტოვებინა. სწორედ შევარდნაძის პერიოდში შეეჩვია ხალხი იმას, რომ განსხვავებული აზრის გამოთქმა (რაც პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში ხელისუფლების კრიტიკას ნიშნავს) ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები – მედია, სამოქალაქო ასოციაციები, პოლიტიკური პარტიები – ეროვნული მოძრაობის პერიოდში გაჩნდა, მათი სტაბილიზაცია, ლეგიტიმაცია და გარკვეულ დონემდე განვითარება სწორედ შევარდნაძის პერიოდში მოხდა. არანაკლებ მნიშნელოვანი იყო ბიზნეს-ინტერესთა პლურალიზმიც: რაც არ უნდა ელაპარაკათ შევარდნაძის ნათესავების ბიზნეს-აქტივობაზე, თუნდაც ამ ოჯახური წრის შიგნით ინტერესთა სხვადასხვა ცენტრი არსებობდა. ამდენად, შევარდნაძის პერიოდი მნიშნელოვანი აღმოჩნდა საქართველოს სოციალური მოდერნიზაციისთვის.

პოლიტიკურ მხარეს რომ დავუბრუნდეთ, სწორედ შევარდნაძის პერიოდში მოხდა ქვეყნის დასავლეთზე ორიენტაციის გამოკვეთა და სტაბილიზაცია. შევარდნაძის საყვარელი პროექტი იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლის ძირითად ამოცანას რეგიონში დასავლეთის სტრატეგიული ინტერესებისთვის დასაყრდენის შექმნა წარმოადგენდა. მის დროს განაცხადა საქართველომ ნატო-ში შესვლის სურვილი. შეიძლება ვიდავოთ, რომ პირადად შევარდნაძის მხრიდან ეს არჩევანი ოპორტუნისტული იყო: 1993-94 წლებში მან სცადა რუსეთთან „სტრატეგიული პარტნიორობა“ (რაც, პრაქტიკულად, რუსეთის სატელიტობას ნიშნავდა), მაგრამ ხეირი რომ ვერ ნახა, ისევ დასავლეთისკენ იბრუნა პირი. თუნდაც ასე იყოს: რუსეთზე ორიენტაციის უპერსპექტივობა ექსპერიმენტულად რომ შემოწმდა, ესეც დიდი საქმე იყო.

დაბოლოს, შევარდნაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ახალ პოლიტიკურ ელიტას. ეროვნული მოძრაობა, ამ მხრივ, არაპროდუქტიული აღმოჩნდა: დღეს ამ წრიდან გამოსული პოლიტიკური ფიგურები თუ შემორჩა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას, ძირითადად, მარგინალურ „ნეუდაჩნიკებად“. გამონაკლისად იქცა ზურაბ ჟვანიას, შემდეგ ჟვანია-

სააკაშვილის გუნდი, რომელმაც შეძლო შევარდნაძის კალთაში თანამედროვე პოლიტიკის ანბანი ესწავლა. შორს წაგვიყვანს იმაზე მსჯელობა, რა მოტივი ამოძრავებდა შევარდნაძეს, როდესაც ახალგაზდების ამ ჯგუფს – მის მომავალ პოლიტიკურ მესაფლავეებს – ზრდის ასპარეზი შეუქმნა. მთავარია ობიექტური შედეგი: „ჟვანიას ჯგუფის“ წინ წამოწევით მან ახალ, თანამედროვეობის ენაზე მოლაპარაკე პოლიტიკურ ელიტას ჩაუყარა საფუძველი.

შევარდნაძის ყველა ეს მნიშვნელოვანი მიღწევა 1990-იან წლებს განეკუთვნება. ახლა რასაც ვიტყვი, ადამიანურად არაკორექტულია, ამიტომ დავსძენ, რომ ედუარდ შევარდნაძეს, როგორც ადამიანს, დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ. მაგრამ შევარდნაძე, როგორც პოლიტიკოსი, უკიდურესად იღბლიანი იქნებოდა, მასზე 1998 წლის თებერვალში განხორციელებული თავდასხმა წარმატებული რომ ყოფილიყო. არა მგონია, ეს საქართველოსთვის კარგი ყოფილიყო, მაგრამ შევარდნაძე ისტორიაში გმირად დარჩებოდა, როგორც ქართული სახელმწიფოობის და დემოკრატიის ფუძემდებელი. ზვიადისტებმა ვერც ამაში ივარგეს, შევარდნაძემ კი ხელმოცარულ პოლიტიკოსად დაასრულა კარიერა.

მისი ძირითადი წარუმატებლობა ის იყო, რომ ვერ შეძლო თანამედროვე სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. მისთვის სახელმწიფო უფრო თვითმიზანი იყო, ვიდრე საზოგადოებრივი სიკეთეების წარმოების ინსტრუმენტი. უფრო სწორად, მისი სახელმწიფო საზოგადო სიკეთეთა მხოლოდ მინიმალურ ოდენობას: სტაბილობას და ელემენტარულ უსაფრთხოებას იძლეოდა, რაც, როგორც ვთქვი, მიღწევა იყო სასტარტო პოზიციასთან შედარებით. მაგრამ ის მეთოდები, რითაც მან ეს გააკეთა, გამოუსადეგარს ხდიდა სახელმწიფო ინსტიტუტებს, როგორც კონკრეტული პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტს. რაღაც აზრით, ეს შუასაუკუნეობრივი ტიპის სახელმწიფო იყო, სადაც მოხელეთა ხელფასებს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა: თანამდებობა მხოლოდ ლიცენზია იყო საზოგადოებისაგან რენტის ასაკრეფად (რასაც უბრალო ენაზე „კორუფცია“ ჰქვია). უმაღლესი პოლიტიკური ძალაუფლება ერთგვარი დისპეჩერი, არბიტრი იყო კორუფციულ პირამიდათა მოსარიგებლად.

ასეთი პოლიტიკური რეჟიმებიც შეიძლება დღეგრძელი იყოს. შევხედოთ ზოგიერთ ქვეყანას ჩვენს სამეზობლოში. მაგრამ მაშინ პოლიტიკური მმართველობა უფრო თამამად უნდა იყენებდეს ავტორიტარულ მეთოდებს და ევროპულობაზე პრეტენზიას არ აცხადებდეს. მმართველს,

სულ მცირე, საკუთარი ხელისუფლების შიგნით საჩვენებელი წმენდების ჩატარება უნდა შეეძლოს. შევარდნაძეს კი დემოკრატია მეტი მოუვიდა, რაც, თვითონ მისი აზრითაც, იყო მისი ძირითადი შეცდომა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შევარდნაძემ ვერ მონახა პოლიტიკური რეჟიმის ფორმულა: ეს იყო ლიბერალური ოლიგარქია, რომელიც ცდილობდა, დემოკრატიის ფასადი შეენარჩუნებინა. ეს ის კომპონენტია, რაშიც „ბალანსის პოლიტიკის" დიდოსტატად შერაცხულმა შევარდნაძემ ბალანსი ვერ იპოვა (თუკი ეს საერთოდ შესაძლებელი იყო).

ამიტომ შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში თუნდაც მისი მოდელის სახელმწიფოობის ეროზია დაიწყო: ის აშკარად ვერ უმკლავდებოდა ინტერესთა სიმრავლეს ვერც მმართველ ელიტაში და ვერც მის გარეთ. არასახელმწიფო მოქმედი პირები: ორგანიზებული დანაშაული, სხვადასხვა „სახალხო ლაშქრები" – ისევ გამოდიოდა ასპარეზზე. თუ შევარდნაძის ყველაზე შთამბეჭდავი მიღწევა ის იყო, რომ არშემდგარი სახელმწიფო სუსტ სახელმწიფოდ აქცია, 1998 წლის შემდეგ ტენდენცია ისევ შეიქცა. პანკისი და მის გარშემო განვითარებული მოვლენები ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო.

კიდევ ერთი მემკვიდრეობა შევარდნაძის რეჟიმისა, რომელმაც მისი სამარცხვინო აღსასრული გამოიწვია, მორალური ნიჰილიზმი ანუ ცინიზმია, რასაც ისევ „კორუფციად" ვიცნობთ. ფასადური დემოკრატიების ძირითადი პრობლემა ისაა, რომ აშკარა სიყალბეზეა აგებული და სტაბილური ფუნქციობისთვის საყოველთაო ცინიზმს მოითხოვს. შევარდნაძემ ჯეროვნად ვერ შეაფასა, რომ პოლიტიკურ რეჟიმს მორალური ლეგიტიმურობაც სჭირდება – ეს რესურსი მას ბოლოს სრულებით აღარ შერჩა. როგორც ჩანს, ამის საფუძველში იდო მისი პირადი ურწმუნობაც საქართველოს და ქართული სახელმწიფოს თვით იდეის მიმართ: შევარდნაძემ ბოლომდე ვერ იწამა, რომ საქართველო შეიძლება „ნორმალური" სახელმწიფო გახდეს, ანუ თანამედროვე ტიპის კანონზე დამყარებული წესრიგი შექმნას.

4.

ამ კითხვაზე პასუხი უფრო სარისკოა, რადგან ეს მმართველობა გრძელდება და მისდამი ისტორიული დისტანცია არ გვაქვს. მაგრამ ტენდენციები, მიღწევები და გამოწვევები უკვე საკმაოდ გამოიკვეთა.

სააკაშვილის მმართველობას აქვს აშკარა, თვალსაჩინო (ამ სიტყვის ყველაზე ბუკვალური გაგებით), მეტად შთამბეჭდავი წარმატებები. ისი-

ნი შეიძლება შეჯამდეს მარტივი ფორმულით: ეფექტური სახელმწიფოობა. ამ სამ წელიწადში სააკაშვილმა მთლად ბოლომდე ვერ მოხსნა ქართული სახელმწიფოს არშემდგარობის, არანამდვილობის კომპლექსი. სანამ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სიტუაციათა სტაბილიზაცია მომხდარა, ეფექტური სახელმწიფოობის ფორმალური კრიტერიუმიც არ არის დაკმაყოფილებული. მაგრამ წინა პერიოდთან შედარებით დიდი თვისებრივი ნაბიჯია გადადგმული. ამის ინდიკატორი საკმაოდ ბევრია. ყველაზე პოპულარულია ის, რაც ყველაზე კარგად ჩანს: დაგებული გზები, შეღებილი ფასადები, განათებული ქუჩები, მიწოდებული ელექროენერგია და ა. შ. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ისწავლა საზოგადო სიკეთეების წარმოება. მაგრამ ამის უკან დგას უფრო ძირეული მიღწევა – კონტროლირებადი სახელმწიფო აპარატის შექმნა. ისეთი, ერთი შეხედვით, ტრივიალური ქმედება, როგორიცაა სახელმწიფო მოხელეებისთვის ხელფასების დანიშვნა (სააკაშვილის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი), მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა, რაც შუასაუკუნეობრივიდან მოდერნული ტიპის სახელმწიფოზე გადასვლას გულისხმობდა: სახელმწიფო მოხელე სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა იღებდეს გასამრჯელოს და არა თვითონ კრეფდეს ფულს მოსახლეობიდან. იგივე ეხება საგადასახადო ადმინისტრირების მკვეთრ გაძლიერებას: ის არა მარტო იმ თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, რომ სახელმწიფოს მეტი ფული აქვს იმავე გზების დასაგებად, არამედ იმ აზრის დასამკვიდრებლადაც, რომ მოქალაქეები და ბიზნესები სახელმწიფო ბიუჯეტს უნდა უხდიდნენ ფულს და არა ქრთამის სახით აძლევდნენ ინდივიდუალურ მოხელეებს (ეს უკანასკნელიც სახელმწიფოს შენახვის გარკვეული მეთოდია, მაგრამ ნაკლებ ეფექტური).

სახელმწიფოს გაძლიერების მეორე მხარეა იმ არასახელმწიფო მოქმედი პირების განადგურება ან დასუსტება, ვინც სახელმწიფოს სოციალური კონტროლის ფუნქციაში ეცილება. ამ მხრივ, ღონისძიებები, მიმართული ორგანიზებული დანაშაულის (ან ქურდული სამყაროს) წინააღმდეგ არის არა მხოლოდ მოქალაქეთა დაცვა კრიმინალისაგან (თუმცა, ცხადია, ესეც არის), არამედ ბრძოლა სახელმწიფოობისთვის. ორიგინალური არ არის ის აზრი, რომ მაფიები სწორედ იქ იქმნება, სადაც სახელმწიფო ვერ ასრულებს თავის ძირითად ფუნქციებს, უპირველეს ყოვლისა, სამართალდაცვის ფუნქციებს.

ამასთანაა დაკავშირებული სააკაშვილის ხელისუფლების ერთი არსებითი ნიშანი: ახალი პოლიტიკური ელიტის გაბატონება. შეგვიძლია

ვიდავოთ იმაზე, იყო თუ არა ვარდების რევოლუცია „ნამდვილი რევოლუცია“ პოლიტიკურ მეცნიერებაში მიღებული კრიტერიუმებით (ჩემი აზრით, ის არ ჯდება რევოლუციის კლასიკურ ცნებაში). მაგრამ, სულ მცირე, ერთი ნიშნით (დავარქვათ მას „პარეტოს კრიტერიუმი“), ეს ნამდვილი რევოლუცია იყო: ეს იყო ელიტების ცვლა. მასთან ერთად კომუნისტურ-კომკავშირული ნომენკლატურა თითქმის პირწმინდად განიდევნა სახელისუფლებო სტრუქტურებიდან და, აღმოსავლეთ-ევროპული რეჟიმებისაგან განსხვავებით, ჯერ პოლიტიკური რეანიმაციის ნიშნებს ვერ ავლენს. ეს არ არის სიმბოლური მნიშნელობის აქტი: ახალმა თაობამ ახალი, თანამედროვე პოლიტიკური დისკურსი მოიტანა.

სააკაშვილის მოტანილი იუნოკრატია (ბრეჟნევისეული გერონტოკრატიის, ანუ მოხუცთა ბატონობის საპირისპიროდ) საკამათო თემაა: მთელი თაობა ადამიანებისა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ოცდაათ წელს ვერმიღწეულ მინისტრებზე ბევრი ხუმრობა შეიძლება: ცხადია, ნორმალური სოციალური განვითარების პირობებში ეს აბერაციაა. მაგრამ კონკრეტულად ჩვენს კონტექსტში ეს უკეთესია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ალტერნატივა.

აშკარაა საგარეო-პოლიტიკური მიღწევებიც. ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს პრეტენზია, იყოს ევროპული ქვეყანა, გაცილებით სერიოზულად აღიქმება. ის ჯერ კიდევ არ არის ცალსახად გაზიარებული, და საქართველოს ნატო-ში წევრობის საკითხიც ჯერ გადაწყვეტილი არ არის. მაგრამ დღეს საქართველო აღარ არის მხოლოდ ჰუმანიტარული თუ სხვა სახის დახმარების ერთ-ერთი მიმღები ქვეყანა: ის ევროპული პოლიტიკის მოთამაშე გახდა – პერიფერიული, მაგრამ მაინც მოთამაშე.

ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ რუსეთთან ურთიერთობაც. გავრცელებული აზრისგან განსხვავებით, მე არ მივიჩნევ, რომ რუსეთთან ურთიერთობა ხელისუფლებას წარუმატებლობებში უნდა ჩავუთვალოთ. ვინც ასე ფიქრობს, ალბათ, იმაზეც უნდა ჰქონდეს წარმოდგენა, სახელდობრ, როგორ უნდა ყოფილიყო ეს ურთიერთობა წარმატებული. კახელი მეღვინეების პრობლემებს თანავუგრძნობ, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას თან ახლდა სტრატეგიული მოგება: ექსპერიმენტულად შემოწმდა რუსეთის ბლეფი, რომ ის საქართველოს კიდევ „არჩენს“ და, თუ მოინდომებს, მისი ეკონომიკურად მოხრჩობა შეუძლია. არ ვიცი, როდის და როგორ მოხდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაცია, მაგრამ, როგორც

ჩანს, ასეთი ექსპერიმენტის ჩატარება ერთ-ერთი აუცილებელი ეტაპი იყო მისკენ მიმავალ გზაზე.

რაც შეეხება ტერიტორიულ კონტროლს, აჭარაზე და შემდეგ კოდორის ხეობაზე ქმედითი კონტროლის დამყარება ისტორიული მიღწევებია. მაგრამ არსებობის სამი წლის თავზე აფხაზეთის და სამხეთ ოსეთის პრობლემებია ყველაზე მწვავე, რაც სააკაშვილის ხელისუფლებას უდგას. ამ მხრივ, ხელისუფლების დღემდე ნამოქმედარის შეფასება ცალსახა ვერ იქნება. ერთი მხრივ, ხელისუფლება გვპირდებოდა, რომ პრობლემას საკმაოდ მალე გადაწყვეტდა, რეალურად კი, არამცთუ პროგრესი არა გვაქვს, არამედ სიტუაცია გამწვავებულიც კია: აშკარა წარუმატებლობა გამოდის. 2004 წლის ზაფხულის სამხრეთ ოსეთის კამპანია სააკაშვილის ყველაზე დიდ მარცხად რჩება: არა მარტო მსხვერპლის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მას ზედმეტად რისკიანი, ავანტურებისკენ მიდრეკილი პოლიტიკოსის იმიჯი შეუქმნა.

მაგრამ ისევ სტრატეგიულად შევხედოთ საქმეს. მე არ ვიცი, საბოლოოდ როგორ გადაწყდება ეს პრობლემები, მაგრამ ერთი რამე ცხადია: „სამშვიდობო პროცესის“ იმიტაცია, რომელიც მანამდე გვქონდა, შედეგამდე არასოდეს მიგვიყვანდა. გამწვავება ნიშნავს პრობლემის კვლავ დღის წესრიგში დაყენებას: რაც არ გულისხმობს მის გადაწყვეტას, მაგრამ გადაწყვეტის შანსს კი იძლევა. კოდორის ხეობაში რეალური კონტროლის დამყარება და სამხრეთ ოსეთში პარალელური ხელისუფლების შექმნის ხელშეწყობა მნიშვნელოვნად ცვლის კონფლიქტური სიტუაციის ფორმატს, რაც საქართველოს ხელისუფლებას მეტი მანევრის საშუალებას აძლევს.

ხელისუფლების ყველაზე დიდი სისუსტე ისაა, რომ არ შექმნილა მისი მიღწევების მდგრადობის მექანიზმი. უპირველეს ყოვლისა, არ არსებობს კონსენსუსი პოლიტიკური შეჯიბრის პირობებზე. ეს ნიშნავს, რომ ვერ გავცემთ პასუხს კითხვას, საით მიდის საქართველო პოლიტიკურად: ახალი რევოლუციისკენ, მექსიკური სტილის ნახევრად ავტორიტარული კონსოლიდაციისკენ თუ „ნორმალური“ დემოკრატიისკენ. ქვეყანას კვლავ ჰიბრიდული, მაშასადამე, შინაგანად გაურკვეველი და არასტაბილური პოლიტიკური რეჟიმი აქვს, რომელიც დემოკრატიის და ავტოკრატიის ელემენტებს აერთიანებს. ამის გამო კი ის სტაბილურ სახელმწიფოდ ვერ მიიჩნევა.

ეს არ არის მაინცდამაინც ხელისუფლების ბრალი, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ მისი ბრალი არ არის. სააკაშვილს და ადამიანთა

მცირე ჯგუფს, ვინც მისი ხელისუფლების დღის წესრიგის შექმნაში მონაწილეობს, ნამდვილად ახასიათებს იაკობინურ-ავტორიტარული სულისკვეთება: ეს არის საზოგადოების რევოლუციური ავანგარდი, რომელსაც აქვს უკეთესი მომავლის ხედვა, მაგრამ არ თვლის თავს ვალდებულად, საზოგადოების დიდი ნაწილის აზრი მიიღოს მხედველობაში. ამ აზრით, ხელისუფლების განხორციელებულ რეფორმებს სტილის მიხედვით ავტორიტარული მოდერნიზაციის კვალიფიკაცია შეიძლება მივცეთ. ალბათ, არსებობს სერიოზული არგუმენტები საიმისოდ, რომ ასეთი მიდგომა ამ ეტაპზე გამართლებულად ჩავთვალოთ. მოგვწონს თუ არა ეს, სახელმწიფოობის შექმნა ლოგიკურად წინ უსწრებს დემოკრატიის ჩამოყალიბებას: პოლიტიკური წყობა შეიძლება არ იყოს დემოკრატიული, მაგრამ სახელმწიფოს არსებობა მაინც აუცილებელია, რადგან წესრიგი ჯობია ანარქიას. აქ გავიხსენებ უოლტერ ლიპმანის სიტყვებს, რომელთაც, თავის მხრივ, სემუელ ჰანტინგტონი აციტირებს თავის წიგნში „პოლიტიკური წესრიგი ცვალებად საზოგადოებებში“: „ადამიანებისთვის არ არსებობს უფრო დიდი აუცილებლობა, ვიდრე ის, რომ ცხოვრობდნენ საზოგადოებაში, რომელიც იმართება. თუ შესაძლებელია, ის თავის თავს უნდა მართავდეს, იღბლიან შემთხვევაში, კარგადაც იმართებოდეს, მაგრამ, რაც უნდა იყოს, უნდა იმართებოდეს.“[1] არშემდგარი სახელმწიფოს კომპლექსით დაავადებულ ქვეყანაში პირველი ამოცანა სახელმწიფოს გაძლიერებაა, ხოლო როცა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები ობიექტურად მეტად სუსტია, სახელმწიფოს გაძლიერებამ, ძნელია, რაღაც ზომით ავტორიტარული გადახრა არ გამოიწვიოს. აქ მთავარია, თავი არ მოვიტყუოთ და არსებულ მდგომარეობას „დემოკრატია“ არ დავარქვათ.

ზემონათქვამი არ ნიშნავს თანხმობას იმ აზრთან, რომ სააკაშვილის მმართველობა უფრო ავტორიტარულია, ვიდრე შევარდნაძისა. ის, უბრალოდ, სხვა ტიპის ჰიბრიდული რეჟიმია, რომელიც გაცილებით უკეთეს სასტარტო პირობებს ქმნის დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად, რადგან ამ უკანასკნელთ მხოლოდ ეფექტური სახელმწიფოს პირობებში აქვთ აზრი. ხელისუფლება, ძირითადად, იცავს დემოკრატიული თამაშის ფორმალურ წესებს, ამ მხრივ, მისი „გამოჭერა“ არც ისე იოლია. თუმცა, რაც შეეხება კონსტიტუციურ სფეროს, 2004 წლის თებერვლის ცვლილებები კონსტიტუციაში ფორმალური ნიშნითაც აშკარად ავტორიტარული იყო, რადგან პარლამენტი მკვეთრად დაასუსტა საპრეზიდენტო მმართველობასთან შედარებით.

5.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ეს შეკითხვა – უფრო სწორად, ამ შეკითხვაში ნაგულისხმევი მტკიცება – არ ეხება მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პირველ სამ წელს. ეს დამოუკიდებელი საქართველოს ზოგადი ინსტიტუციური პრობლემაა. ბოლო თხუთმეტი წლის ვითარება შეიძლება შევაჯამოთ, იმ აზრით, რომ პოლიტიკური ოპოზიცია საქართველოში, როგორც წესი, ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს, ანუ ვერ უქმნის სერიოზულ ალტერნატივას მოქმედ ხელისუფლებას. გამონაკლისი მხოლოდ წინარევოლუციური პერიოდებია, რასაც, თავის მხრივ, ხელისუფლების შიგნით განვითარებული კრიზისები ქმნის. სანამ ხელისუფლება, ასე თუ ისე, ძლიერი და პოპულარულია, სანამ შეუძლია ხალხს რაღაც მიღწევები აჩვენოს, ოპოზიცია უსუსურად გამოიყურება. ის მხოლოდ აკრიტიკებს ხელისუფლების მოღვაწეობის ცალკეულ მხარეებს (სამართლიანად თუ უსამართლოდ – ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს), მაგრამ სერიოზულ ალტერნატივას არ სთავაზობს საზოგადოებას. მდგომარეობა იცვლება მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შინაგანად სუსტდება და პოპულარობას კარგავს. ამის შემდეგ ის შინაგანად იხლიჩება, მისი მოჯანყე ნაწილი ძირითად ოპოზიციურ ძალად იქცევა, „ძველი“ ოპოზიცია კი ამ უკანასკნელს უმცროს პარტნიორად უერთდება.

ასე რომ, ოპოზიციის დღევანდელ სისუსტეში ახალი არაფერია: ის ხელისუფლების წარმატებულობის პროექციაა. მაგრამ რა არის ამ ზოგადი კანონზომიერების მიზეზი? ოპოზიციის (გასაკუთრებით, დღევანდელის) საყვარელი არგუმენტია მმართველი პარტიის „შეზრდა“ სახელისუფლებო სტრუქტურებთან, ანუ „ადმინისტრაციული რესურსის“ ბოროტად გამოყენება. ეს მოსაზრება მეტისმეტად აბსტრაქტულია და შედეგს უფრო აღწერს, ვიდრე პრობლემის მიზეზს.

აქ უფრო სტრუქტურულ პრობლემებთან გვაქვს საქმე. ერთი მათგანია პოლიტიკური პარტიის, როგორც ინსტიტუციური ფორმის, სისუსტე, რაც, თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ზოგადი სისუსტის მანიშნებელია. მოქალაქეებს უჭირთ თვითორგანიზება დიდ გაერთიანებებად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს გაერთიანებები უშუალო ხეირს არ სთავაზობენ. უფრო შორს თუ წავალთ, შეგვიძლია ვილაპარაკოთ საზოგადოების ზოგად ინფანტილურობაზე: ხელისუფლება აღიქმება როგორც მშობელი: მამა, რომელიც ბოლოს მამინაცვალი აღმოჩნდება ხოლმე. საზოგადოების საქმეა წუწუნი, უკმაყოფილება: ბავშვმაც

ხომ უნდა იღნავლოს, რომ მშობელს მეტი გამოსტყუოს. ოპოზიციის ძირითადი დანიშნულება ამ წუწუნის არტიკულაციაა. მაგრამ ოპოზიციას არარეალისტური დასკვნები გამოაქვს იმ ფაქტიდან, რომ მოქალაქეები ენთუზიაზმით უქნევენ თავს ხელისუფლების კრიტიკაზე. სულაც არ არის აუცილებელი, იმავე ხალხმა, ვისაც ოპოზიციონერები მოსწონს საწუწუნო თემების ნიჭიერი გახმოვანების გამო, მათ ხელისუფლების სადავეებიც მიანდოს: ეს ხომ სულ სხვა ფუნქციაა. არჩევნების დროს ხალხს უცებ ახსენდება, რომ ოპოზიციას „ლაპარაკის გარდა არაფერი შეუძლია“, და ისევ „შეჩვეულ ჭირს“ აძლევს ხმას. სანამ მამას ოჯახში რაღაც მოაქვს, მას ადვილად არავინ გააგდებს.

თუ ეს ასეა, საერთოდ, რატომ უნდა გაერთიანდნენ მოქალაქეები პოლიტიკურ პარტიებში (ან მათი სტაბილური მხარდამჭერები გახდნენ – რაც იგივეა)? პარტიათა პლურალიზმს ან ღირებულებათა პლურალიზმი უნდა ედოს საფუძვლად ან სოციალურ ჯგუფთა განსხვავებული ინტერესები. მაგრამ საქართველოში ჯერჯერობით არ შექმნილა ალტერნატიული პოლიტიკური პროგრამები, და არც გამოკვეთილი სოციალური ჯგუფები არსებობს. როგორც ახლახან თქვა ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის აქტივისტმა (ცხადია, არაფორმალურ გარემოში): „ჩვენ ყველას (ანუ ყველა პოლიტიკურ პარტიას) ერთი და იგივე პროგრამა გვაქვს, განსხვავება მხოლოდ ისაა, ვინ უკეთ განახორციელებს მას“. თუ ეს ასეა (როგორც ჩანს, ასეა), ოპოზიციის რეალური საჭიროება მხოლოდ ხელისუფლების აშკარა ჩავარდნის შემდეგ ჩნდება – რითაც ზემოთქმულს ვუბრუნდებით. შეიძლება ითქვას, პოლიტიკური პარტიების სისტემას საქართველოში ხელოვნურად ასულდგმულებს პროპორციული საარჩევნო სისტემა, რომელიც ერთი ან რამდენიმე ლიდერის გარშემო გაერთიანებულ პატარა ჯგუფებს პარტიათა სახეს აძლევს.

კიდევ ერთი პრობლემა შეიძლება იყოს ადამიანური რესურსის სიმცირე. პოლიტიკური აზროვნების და ქცევის შემძლე და მსურველი ადამიანი საქართველოში, უბრალოდ, ცოტაა. როგორც ჩანს, ეს რიცხვი ჯერჯერობით არ ყოფნის სრულფასოვანი სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიების არსებობას (აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის ფორმირებას რომ ეყოს ხეირიანად, ესეც ბევრია). როდესაც ხელისუფლებაში აღმოჩნდება, ასე თუ ისე, ქმედუნარიანი პოლიტიკური ჯგუფი, საღად მოაზროვნე ადამიანების დიდი ნაწილი ბუნებრივად მათ რიგებში ან მათ მომხრეთა შორის აღმოჩნდება, მათ აშკარა ჩავარდნამდე.

ამის გამო, პოლიტიკური კომპეტენცია უფრო მეტად ხელისუფლებაში გროვდება, ვიდრე ოპოზიციაში. თუ წინა შეკითხვებზე ჩემი პასუხები ცოტათი მაინც სამართლიანი იყო, საქართველოს ყოველი ახალი ხელისუფლება პოლიტიკური დისკურსის და პრაქტიკების დონით მკვეთრად აღემატებოდა თავის წინამორბედებს. სამაგიეროდ, თითქმის არ იზრდება ოპოზიციის კომპეტენცია: ის ვერ გასცდა ხელისუფლების კონტრეტულ შეცდომებზე ტაქტიკური რეაგირების რეჟიმს. სამწუხაროდ, ამ კანონზომიერების შეცვლას არც უახლოეს ხანებში უჩანს პირი.

ზემოთქმული არ უნდა გავიგოთ ოპოზიციის იგნორირებისკენ მოწოდებად: თუნდაც წმინდად ნეგატივისტური და ოპორტუნისტული ოპოზიციის არსებობა ჯობია მის არარსებობას, ხოლო მისი ინსტიტუციური შევიწროება კიდევ უფრო აკნინებს მის ხარისხს. ისიც უნდა გვახსოვდეს ჩვენი არცთუ შორეული ისტორიიდან, რომ პოლიტიკური ვითარება საქართველოში შეიძლება საკმაოდ სწრაფად შეიცვალოს. ხელისუფლება სულაც არ არის დაზღვეული შეცდომისა თუ მარცხისაგან. თუნდაც გირგვლიანის სიკვდილის ეპიზოდმა გვიჩვენა, რომ, თუ ოპოზიციას რეალური და ხალხისთვის გასაგები სათქმელი აქვს, საპროტესტო ტალღა შეიძლება საკმაოდ სწრაფად აგორდეს და ოპოზიცია რეალური მოთამაშე გახდეს. ვერ გამოვრიცხავთ ეკონომიკური კრიზისის შესაძლებლობასაც, რის ფონზეც მოსახლეობა შეიძლება უფრო მგრძნობიარე გახდეს ოპოზიციისგან მომდინარე გზავნილების მიმართ.

6.

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის მიწურულს საკვანძო სიტყვა ერთი და გამოკვეთილი იყო: „კორუფცია“. ამას ემატებოდა მთავრობის – უპირველეს ყოვლისა, პირადად შევარდნაძის – უნიათობა და არაეფექტურობა, რამაც შიგნიდან გამოხრა ხელისუფლება. დღეს, ჯერჯერობით, ასეთი ძირითადი თემა ოპოზიციას არ გამოუკვეთია. მაგრამ ხელისუფლებას აქვს მოწყვლადობის რამდენიმე ზონა, რომელიც გარკვეულ პირობებში შეიძლება საყრდენად იქცეს ოპოზიციის კონსოლიდაციისა და მობილიზაციისთვის:

(ა) *კანონის უზენაესობა*: აქ შემოდის სასამართლოს დამოუკიდებლობის დეფიციტი, ადამიანის უფლებების დარღვევები სამართალდამცავთა მიერ და ა. შ. ნახსენებმა გირგვლიანის სკანდალმა აჩვენა, რომ, თუ ხელისუფლება სერიოზულ გადაცდენებს დაუშვებს ამ სფეროში, ამ

თემას აქვს სერიოზული პოტენციალი. შეიძლება ითქვას, რომ გირგვლიანის საქმის კონტექსტში სააკაშვილის ოპოზიცია ყველაზე ძლიერი და საზოგადოებრივად ყველაზე სასარგებლო იყო. დემოკრატიის მომავალი განვითარების თვალსაზრისით, ყველაზე უკეთესია, სწორედ კანონის უზენაესობა იქცეს ოპოზიციის მთავარ თემად.

პრობლემა აქ იმაშია, რომ ამ შემთხვევაში ოპოზიცია უნდა დაელოდოს ხელისუფლების ცალკეულ გადაცდომებს. ასეთი „მთავარი თემით" ის არ უპირისპირდება სააკაშვილის ხელისუფლების ძირითად ხაზს, თუ, რა თქმა უნდა, არ დავუშვებთ, რომ ამ უკანასკნელს აშკარა დიქტატურად გადაგვარება ელის. რა უნდა ქნას ოპოზიციამ, თუ ხელისუფლებას ისე ძალიან აღარ შეეშლება, როგორც გირგვლიანის ეპიზოდში შეეშალა? კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული შედარებით სპეციფიკური საკითხები ელიტური მსჯელობის დონეზე დარჩება და ფართო მხადაჭერის მქონე ოპოზიციურ მოძრაობას ვერ „გამოკვებავს". ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში საკამათოა, კონკრეტულად სად გადის ზღვარი, ერთი მხრივ, მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ზომებს, მეორე მხრივ კი, ინდივიდის ხელშეუვალ უფლებებს შორის. უდავოა, რომ საქართველოში ამ მხრივ მეტი პრობლემაა, ვიდრე ჩამოყალიბებულ დემოკრატიებში და მდგომარეობის გამოსწორებას ყურადღება და ბრძოლა სჭირდება. მაგრამ ამას ხელისუფლებაც აღიარებს და, რაც მთავარია, სათქმელიც აქვს, რომ კანონის უზენაესობის დამკვიდრების მიმართულებით სერიოზულ ნაბიჯებს დგამს. ოპოზიციამ ხალხი იმ ნიშნით უნდა შემოიკრიბოს, რომ დღევანდელ ხელისუფლებაზე მეტადაა მოტივირებული კანონის უზენაესობის დასაცავად და ამას უკეთ შეძლებს: ეს არც ისე ადვილია.

(ბ) *„სოროსელი ხელისუფლება" ეროვნული ღირებულებების წინააღმდეგ.* ხელისუფლების ზოგადი პროგრამა ნამდვილად არის დასავლური სტილის მოდერნიზაცია. თუ ეს ასეა, მაშინ ლოგიკურია, რომ მის წინააღმდეგ ოპოზიციას სწორედ ანტიდასავლური, ანტილიბერალური, ანტიგლობალისტური, ნატივისტური ძალები ჩაუდგნენ სათავეში. ეს იმდენად ლოგიკურია, რომ შეიძლება გასაკვირიც იყოს, რატომ არ ხდება. მაგრამ ფაქტია, რომ ჯერჯერობით ვერ ხდება. ნატო-ში ან ევროკავშირში გაწევრიანების იდეასაც არავინ აკრიტიკებს. ერთი ახსნაა, რომ ჩვენი შარაძე-ჯაველიძეები, უბრალოდ, ვერ ფლობენ თანამედროვე პოლიტიკური ქმედების ტექნიკას, ანუ, თვითონ არ არიან საკმარი-

სად მოდერნიზებული: გავიხსენოთ, რომ ისლამური რადიკალიზმის ლიდერები ხშირად ჯერ ევროპასა და ამერიკაში გადიან განათლებას. ამ ლოგიკით, ქართული ნატივისტური ანტიგლობალიზმის მომავალ ლიდერს დასავლური უნივერსიტეტი უნდა ჰქონდეს დამთავრებული. დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ხელისუფლების ალღოიან ქცევასაც: მას შეგნებული აქვს ნატივისტური რეაქციის საფრთხე და მას სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმის თემებით თამაშს უპირისპირებს. ასეა თუ ისე, ოპოზიციური მობილიზაციის პოტენციალი ამ თემაში ნამდვილად არის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის ოპოზიციის ძირითად თემად იქცევა.

(გ) *მშრომელთა უფლებების დაცვა*. თუმცა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ეს არ იცის, ამ ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ხაზი უკიდურესად მემარჯვენეა (თუ პრეზიდენტის ცალკეულ სპონტანურ გადაწყვეტილებებს არ ჩავთვლით), რაც ლოგიკურად ნიშნავს, რომ მემარცხენე პარტიებს ფართო სამოქმედო ასპარეზი უნდა ჰქონდეთ. ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში ჩვენი შრომის კოდექსი მრავალათასიან საპროტესტო დემონსტრაციებს გამოიწვევდა მემარცხენე პარტიების და პროფკავშირების ლიდერობით. მაგრამ დასავლურ პოლიტიკურ გამოცდილებაზე მორგებული ლოგიკა არც აქ მუშაობს. პრეზიდენტის ხშირი გამოჩენა უფასო სასადილოებში ჯერჯერობით წარმატებით ანეიტრალებს მისი მთავრობის ეკონომიკურ მემარჯვენეობას. ეტყობა, სერიოზული მემარცხენე ოპოზიციის შექმნასაც ახალი ლიდერები დასჭირდება.

(დ) *„პატარა ბიჭების არაკომპეტენტურობა“*. ხელისუფლების წამყვანი მოთამაშეების ასაკი და გამოუცდელობა, მოქმედების ხშირად ქაოსური და არათანმიმდევრული ხასიათი კიდევ ერთი მოტივია, რითაც ამ ხელისუფლებას ხშირად აკრიტიკებენ. ეს, ძირითადად, ძველი ელიტის მოტივია: თუ ახალი ხელისუფლების წარუმატებლობები მისი გამოუცდელობით აიხსნება, პრობლემის გადაწყვეტა ძველი და გამოცდილი კადრების დაბრუნებაა. როდესაც აღმოსავლეთ ევროპაში პირველი პოსტკომუნისტური მთავრობები რეფორმირებულმა კომუნისტებმა შეცვალეს, ისინი კომუნიზმის დაბრუნების პერსპექტივით კი არ ხიბლავდნენ ამომრჩეველს, არამედ თავისი მმართველობითი კომპეტენციით. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი დღევანდელი მმართველი ელიტის ასაკს და

თანამდებობებიდან დათხოვნილი გამოცდილი კადრების სიმრავლეს, ესეც სერიოზული რესურსი უნდა იყოს ოპოზიციისთვის. მაგრამ, როგორც ჩანს, შევარდნაძის ხელისუფლებამ ბოლო წლებში იმდენად აჩვენა თავისი უნიათობა და არაეფექტურობა, რომ ნოსტალგიის საფუძველი აღარავის დაუტოვა.

(ე) *ისევ ანტიკორუფცია.* ანტიკორუფციული კამპანიები ხანდახან ზრდის კორუფციულ ცთუნებებს და ვერავინ იქნება დარწმუნებული, რომ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით, ზედა ეშელონებში, ხელი არაფერზე წაუცდებათ. გარდა ამისა, სადაც ოპოზიცია სუსტია, ხელისუფლებაც ნაკლებად ანგარიშვალდებული ხდება, ეს კი კორუფციის მნიშვნელოვანი ფაქტორია. პრობლემას აღრმავებს ერთი და იმავე ჯგუფის ხელისუფლებაში ხანგრძლივი ყოფნაც. ამიტომ ეს ხელისუფლებაც შეიძლება ისევე ჩაეფლოს კორუფციის ჭაობში, როგორც მისი წინამორბედი. ხოლო თუ ასეა, შეიძლება ოპოზიცია ისევ ანტიკორუფციული თემის გარშემო გაძლიერდეს: მით უმეტეს, გამოცდილება უკვე არსებობს.

შეიძლება, მაგრამ ამას დრო უნდა. ხელისუფლებამ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია მასობრივ კორუფციასთან ბრძოლაში; ასე რომ, მოქალაქეებს ფულს ყოველ ნაბიჯზე არავინ სძალავს. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ელიტური კორუფციაც არ არსებობს. მაგრამ ამის შესახებ ჭორების გავრცელება საკმარისი არ არის: სანამ ოპოზიციას ხელმოსაკიდებელი ფაქტები არ ექნა, კორუფცია ვერ გახდება წამყვანი თემა საპროტესტო ტალღის ასაგორებლად.

რაკი ჯერჯერობით არც ერთი ეს თემა სერიოზული პოლიტიკური მობილიზაციის იარაღად არ ქცეულა და ამას არც პირი უჩანს, ოპოზიციისგან გვესმის ყველა ან თითქმის ყველა ამ თემის ოპორტუნისტული პოპური, რაც მისი სისუსტის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ხელისუფლებასაც კარგად აქვს გაცნობიერებული მოწყვლადობის პოტენციური წერტილები და უნარიანად იცავს მათ. როგორც ჩანს, სანამ ის არ დაუშვებს სერიოზულ შეცდომებს, მდგომარეობა არსებითად არ შეიცვლება.

7.

ოპოზიციას სჭირდება არა მხოლოდ თემა, არამედ ადამიანური რესურსები. ჯერჯერობით ამ მხრივ მას უჭირს, და საეჭვოა, არსებული რესურსებით სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს. დღეს მოქმედ პო-

ლიტიკურ სახეთა უმრავლესობა წარუმატებლობასთან, დამარცხებასთან, მარგინალურობასთანაა ასოცირებული და ამ იმიჯის შეცვლა მათ გაუჭირდებათ. ის, რომ საზოგადოებას სიახლე სწყურია, და რომ ოპოზიციაც ფარულად აღიარებს ახალი ლიდერების საჭიროებას, იმაში ვლინდება, რომ ხელისუფლებიდან წამოსული ცნობილი ფიგურა ლამის ავტომატურად იქცევა ყველაზე პოპულარულ ოპოზიციურ ლიდერად, ხოლო პარტიები მისთვის შეჯიბრს იწყებენ. ეს შეეხო სალომე ზურაბიშვილს, შემდეგ, უფრო ცოტა ხნით, გოგა ხაინდრავას. ოპოზიციურ ფლანგზე კომიკური გამოცოცხლება მოჰყვა ირაკლი ოქრუაშვილის გადადგომასაც: თვალსაჩინო იყო ოპოზიციის ჯერ იმედები, მერე კი ფრუსტრაცია.

ამ მოლოდინებს წარსული გამოცდილებაც აძლიერებს: ძლიერი ოპოზიცია ხელისუფლებიდან მოდიოდა. არ არის გამორიცხული, ახლაც ასე მოხდეს, მაგრამ ჯერჯერობით ხელისუფლებაში არ ჩანს სერიოზული განხეთქილებები ან პოპულარული ფიგურები, რომლებიც ოპოზიციის რეალურ გაძლიერებას შეძლებდნენ.

არ არის გამორიცხული, რომ „ახალი სახეები“ პოლიტიკური წრეების გარედან მოვიდნენ – მაგალითად, დასავლური ქართული დიასპორებიდან. ასეთმა ადამიანებმა შეიძლება თან ჩამოიტანონ უფრო მოწინავე პოლიტიკური „ნოუ-ჰაუ“, რითაც ხელისუფლება დღეს აშკარად აღემატება ოპოზიციას.

8.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ჩვენი პოლიტიკური სისტემა კვლავ ჰიბრიდულია, ანუ, როგორც დემოკრატიის, ისე ავტოკრატიის ელემენტებს აერთიანებს, ეს კი მას შინაგანად, სტრუქტურულად არასტაბილურად აქცევს. ასეთ სისტემებში ყველაზე პრობლემურია ძალაუფლების შეცვლის მომენტი. ამას მოწმობს არა მხოლოდ ისტორიული გამოცდილება – ხელისუფლების ორჯერ არაკონსტიტუციურად შეცვლა; ჩამოყალიბდა ერთგვარი მოლოდინი, რომ პოლიტიკური შეჯიბრის არსია რევოლუციური სიტუაციის შექმნა (ოპოზიციის მხრიდან) ან მისი თავიდან აცილება (ხელისუფლების მხრიდან). ეს კი დაპირისპირების მხარეებს შორის დიალოგის და თანამშრომლობის პერსპექტივებს ამცირებს. პოლიტიკური მოთამაშეები არა მარტო შეეჩვივნენ ასეთ სიტუაციას, არამედ უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს მასში, რადგან ის მათ მოკლევადიან ინტერესებს უფრო შეეფერება. ამი-

ტომ, ორივე მხარე დაინტერესებულია კონფრონტაციული გარემოს შენარჩუნებით, თუნდაც დროდადრო საჩვენებელ ნაბიჯებს დგამდეს კონსტუქციულობის სადემონსტრაციოდ. ოპოზიციური პარტიები ერთმანეთს ეჯიბრებიან ოპოზიციურობაში, რაც ხელისუფლების მიმართ შეურიგებლობას ნიშნავს. ხელისუფლებას კი ხელს აძლევს ოპოზიციის, როგორც დესტრუქციული, ანტისისტემური ძალის, იმიჯი: ასე უფრო ადვილია მისი უგულებელყოფა.

ამიტომ ჰიბრიდული სისტემის შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ მოკლევადიან და გრძელვადიან (სტრუქტურულ) სტაბილიზაციაზე. ედუარდ შევარდნაძე მოკლევადიანი სტაბილიზაციის დიდოსტატი იყო: მაგრამ მეთოდები, რომელთაც ამ მიზნით იყენებდა, მხოლოდ აღრმავებდა სისტემის სტრუქტურულ არასტაბილურობას. რაც შეეხება გრძელვადიანი სტაბილობის მიღწევას, აქ ვითარება პარადოქსულია: სტაბილიზაცია ნიშნავს სისტემის არსებითად შეცვლას, ხოლო დღევანდელი სისტემის შენარჩუნება ნიშნავს არასტაბილობას.

მოკლევადიან სტაბილობას (ვთქვათ, 2-5 წლის მანძილზე) ამ წუთში ნაკლებად ემუქრება საფრთხე და სავსებით შესაძლებელია, უფრო დიდხანს არ დაემუქროს. მოკლევადიანი სტაბილურობა ემყარება ხელისუფლების უნარს, საზოგადოებას პერიოდულად აჩვენოს კონკრეტული ხელშესახები მიღწევები (რასაც ის ჯერჯერობით ახერხებს) და ოპოზიციის უუნარობას, რაიმე ალტერნატიული გზა შესთავაზოს საზოგადოებას. მაგრამ არსებობს კრიზისის მთვლემარე საფუძვლები: სახელისუფლებო რესურსების სიმწირე, მისი დამოკიდებულება ერთ ადამიანზე, პრეზიდენტზე, და მის გარშემო არსებულ მცირე ჯგუფზე. ნებისმიერმა სერიოზულმა შეცდომამ ამ მცირე ჯგუფის შიგნით შეიძლება სერიოზული რყევები გამოიწვიოს. ამის ალბათობა იზრდება იმის გამოც, რომ ეს მცირე ჯგუფი, ძირითადად, საკუთარ თავში იხარშება და მისი კონტაქტები გარე სამყაროსთან შედარებით შეზღუდულია. რეალობის კონტროლის (reality check) ფუნქციას მისთვის უფრო საგარეო ურთიერთობათა სისტემა შეადგენს. შესაძლებელია მის კონტროლს მიღმა არსებული ფაქტორების ამოქმედებაც: ეკონომიკური კრიზისი, გარე ძალის მიერ ინსპირირებული გამწვავება სეპარატისტულ რეგიონებში.

თუკი მოწყვლადობის წერტილი ძალაუფლების შეცვლაა, ასეთი კრიზისული მომენტი მას პრეზიდენტის მეორე ვადის დასასრულისთვის დაუდგება (ვიგულისხმოთ, რომ, ტაქტიკური სტაბილობის პი-

რობებში, მისი მეორე ვადით არჩევის პერსპექტივას არაფერი ემუქრება). დღევანდელი ტაქტიკური სტაბილობა ერთ პიროვნებაზეა დამოკიდებული, ამიტომ პიროვნების შეცვლა ავტომატურად დესტაბილიზაციის საფრთხეს შეიცავს. ამ მომენტისთვის უნდა მოხდეს სისტემის შეცვლა ან დემოკრატიზაციის ან ავტორიტარიზაციის მიმართულებით. მეორე ვარიანტი შეიძლება მოხდეს უფრო უხეში, ასე ვთქვათ, აზიური ვარიანტით, როდესაც კონსტიტუცია მოხსნის საპრეზიდენტო ვადის შეზღუდვას და საშუალებას მისცემს ჯერ კიდევ ახალგაზრდა პრეზიდენტს, განუსაზღვრელი დროით დარჩეს ხელისუფლებაში. მაგრამ ეს საქართველოს პოლიტიკურ რეჟიმს ჰიბრიდულიდან ავტორიტარულად აქცევს.

უფრო რბილი ვარიანტი იქნებოდა ის, რაზეც ხელისუფლების კეთილისმსურველთა შორის ხანდახან ლაპარაკობენ, ანუ, მექსიკური ვარიანტი. ამ შემთხვევაში, დღევანდელი მმართველი ძალა მიხეილ სააკაშვილის გუნდიდან უნდა იქცეს ნამდვილ პოლიტიკურ პარტიად, რომელიც უზრუნველყოფს სახელისუფლებო ინსტიტუტების სტაბილურობას პრეზიდენტის პერსონის შეცვლის პირობებში. მაგრამ ნაციონალური მოძრაობის მყარ, ერთი პიროვნებისგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ინსტიტუტად გარდაქმნის ტენდენცია ჯერ არ შეინიშნება. საამისოდ ხელისუფლებას თვისებრივი ცვლილება დასჭირდება: ეს უნდა იყოს არა იაკობინური სტილის მცირე ავანგარდული ჯგუფი, არამედ უფრო ფართო, კლიენტელისტური, მაშასადამე, კორუფციის მიმართ უფრო გახსნილი ქსელი.

ყველაზე ოპტიმისტური სცენარი ისაა, რომ, სანამ დღევანდელი ხელისუფლება პროდასავლურ ეროვნულ კონსენსუსზე და საკუთარ ეფექტურობაზე დაყრდნობით სტაბილობას ინარჩუნებს, ცვლილებები მოხდება საზოგადოებაში: ეკონომიკური პროგრესის კვალობაზე გაფართოვდება საშუალო კლასი, არსებითად გაძლიერდება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, რომლებიც ახალ კადრებს მიაწვდიან უფრო კომპეტენტურ პოლიტიკურ ელიტას, საზოგადოებრივი დიალოგი რეალურ პოლიტიკურ არჩევანთა გარშემო გაიმართება და მხოლოდ პიროვნულ კინკლაობაზე აღარ დაიყვანება. ამასობაში კონსტიტუციაც შეიცვლება და უფრო დემოკრატიულს დაემსგავსება (კონკრეტულ მოდელებს აქ არ შევეხები). ამაშიც არაფერია შეუძლებელი: მოვიცადოთ და ვნახოთ.

9.

ძირითადი საგარეო ფაქტორები საქართველოს პირობებში მკვეთრად იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: რუსეთი და დასავლეთი (თუმცა არიან რეგიონული ქვეყნებიც, რომელთა როლი ამ ორზე არ დაიყვანება). რუსეთი ამ წლების განმავლობაში ბრწყინვალედ ასრულებდა გარე მტრის როლს, რითაც ძალიან ეხმარებოდა ქართულ პოლიტიკურ ელიტას: ერთგული გარე მტრის ყოლა ყოველთვის სასარგებლოა, რუსეთი კი პატიოსნად იქცეოდა ისე, როგორც გარე მტერს შეეფერება. კერძოდ, (1) ის ხელს უწყობდა დეზინტეგრაციულ ტენდენციებს იქ, სადაც გასდიოდა (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, 2004 წლამდე – აჭარა, გარკვეული ზომით – ჯავახეთი), (2) ის ეხმარებოდა ერის კონსოლიდაციას გარე საფრთხის წინაშე საქართველოს დარჩენილ ნაწილში და (3) მან სხვა ალტერნატივა არ დაუტოვა საქართველოს, გარდა დასავლეთზე ორიენტაციისა: ანუ მან წარმატებით ჩაუკლა საქართველოს რუსეთზე ორიენტაციის ცდუნებაც. განსაკუთრებით, ამ ბოლო მომენტის გამო რუსეთის უაღრესად მადლიერი უნდა ვიყოთ.

დასავლეთის ძირითადი როლი ისაა, რომ (1) დაეხმარა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენარჩუნებას იმ მომენტში, როდესაც ის ყველაზე მოწყვლადი იყო, (2) შემოგვთავაზა განვითარების მოდელები, რომელსაც საქართველო, ასე თუ ისე, მისდევს და (3) ხელი შეუწყო ახალი ელიტის სოციალიზაციას და გაძლიერებას. ბოლო მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: სწორედ დასავლეთთან კონტაქტის გამოა ახალი ელიტა მართლა ახალი და არა მხოლოდ ახალგაზრდა. სოციალიზაცია ნიშნავდა იმას, რომ ბევრ ადამიანს – უმეტესწილად ახალგაზრდებს, მაგრამ არა მხოლოდ მათ, საშუალება მიეცათ, თანამედროვეობის ადეკვატური ცოდნა და სოციალური გამოცდილება მიეღოთ, რის შედეგადაც რომანტიკული ოცნებები დასავლეთზე (რაც ეროვნულ მოძრაობას ახასიათებდა) კონკრეტულ პრაქტიკებთან დაკავშირებული კომპეტენციით შეიცვალა. გარდა ამისა, კრიტიკულ მომენტებში დასავლეთმა საკვანძო მოქმედი პირების გაძლიერებას შეუწყო ხელი: დამოუკიდებელი მედიის, სამოქალაქო ორგანიზაციების, რეფორმისტულად განწყობილი პოლიტიკოსების.

დასავლეთის უნარი, არსებითად შეცვალოს ქართული პოლიტიკური ელიტის კურსი, შეზღუდულია: ვერავის გააკეთებინებ იმას, რაც ცალსახად არ უნდა. არსებითი შეცდომაა, გინდა შევარდნაძის, გინდა სააკაშვილის შედარებითი ლიბერალობა მხოლოდ დასავლეთის გავლე-

ნას მივაწეროთ: სხვა ქვეყნებში რატომ არ არის დასავლეთი ასე წარმატებული? მაგრამ ქვეყნის ზოგადი პროდასავლური ორიენტაციის პირობებში, დასავლეთის შეფასებები სერიოზულ გავლენას ახდენს როგორც შევარდნაძის, ისე სააკაშვილის პოლიტიკურ ქცევაზე. ის მნიშვნელოვნად ზღუდავდა და ზღუდავს ორივე ლიდერის ავტორიტარულ ინსტინქტებს, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური კულტურის პირობებში საკმაოდ ბუნებრივია. დღეს ეს გავლენა კიდევ უფრო გაზრდილია ნატო-ს წევრობის რეალური პერსპექტივით და ევროკავშირის წევრობის თუნდაც შორეული, მაგრამ სტრატეგიულად ცენტრალური გეზით. შედარებისთვის წარმოვიდგინოთ, რომ დღევანდელი ევროპა 1930-იანი წლებისას ჰგავს: რამდენად დიდი შანსები ექნებოდა საქართველოში დემოკრატიას (ან თუნდაც, ასე თუ ისე, ლიბერალურ ჰიბრიდულ რეჟიმს)?

დაბოლოს, რაც შეეხება მეზობელ ქეყნებს. სომხეთის და აზერბაიჯანის როლი ყველაზე მეტად ქართველ სომხებსა და აზერბაიჯანელებზე, ძირითადად, კეთილისმყოფელი გავლენით გამოიხატება. აზერბაიჯან-თურქეთის კოლექტიური გავლენა გაზ- და ნავთობსადენების მხრივ იმდენად ფართოდაა გაშუქებული, რომ დეტალებში წასვლა აქ არ ღირს: ის რუსეთისგან, ნაწილობრივ, ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასაც გვძენს და დასავლეთის თვალშიც უფრო საინტერესოს გვხდის. მაგრამ ეს ფაქტორი უფრო საწყისი კაპიტალია, რომელსაც განვითარება სჭირდება. თურქეთის სტრატეგიული გავლენა ყველაზე მეტად იმას უკავშირდება, გახდება თუ არა ის ევროკავშირის წევრი: თუ გახდა, ჩვენი წევრობაც, პრაქტიკულად, გარანტირებულია, თუ ვერ გახდა – ძალიან სათუო. რაც შეეხება უკრაინას, ნარინჯისფერი რევოლუციის ტალღაზე ისე ჩანდა, რომ ნატო-სა და ევროკავშირისკენ სულ ერთად უნდა გვევლო, უფრო სწორად, ორივე შემთხვევაში უკრაინას უნდა ავკიდებოდით. მაგრამ ნარინჯისფერი კოალიციის მარცხმა ეს პერსპექტივა – და უკრაინის ჩვენთვის მნიშვნელობა – მკვეთრად შეამცირა.

10.

მე არა მგონია, რომ ქართულ პოლიტიკას უნდა ჰქონდეს ერთი დომინანტური მიმართულება, რომელიც ყველა სხვას გადაფარავს. არასწორია ასეთი დებულებები: „როგორმე ნატო-ში შევიდეთ და ყველაფერ დანარჩენს ეშველება“; „საინვესტიციო კლიმატი გავუმჯობესოთ და

ეკონომიკური წინსვლა უზრუნველყოთ, სხვა ყველაფერს ეშველება"; ან – „ყველა რესურსი ტერიტორიული მთლიანობის გადასაწყვეტად უნდა მივმართოთ". ასეთი სიმარტივის ფუფუნება საქართველოს ხელისუფლებას ვერ ექნება: ერთდროულად რამდენიმე მიმართულებითაა საბრძოლველი.

არც ის მგონია, რომ არსებული პრიორიტეტები მკვეთრად, არსებითადაა შესაცვალელი. უკვე მიღწეულის განვითარება და კონსოლიდაციაცაა საჭირო და რაღაც სფეროებში აქცენტების შეცვლაც. რამდენიმე თეზისს ჩამოვაყალიბებ:

(ა) *გარე საფრთხეები.* ცხადია, აქ რუსეთი იგულისხმება: პუტინის ხელისუფლებას ძალიან გაუხარდება ჩვენთვის რაიმე საზიზღრობის გაკეთება. მაგრამ ჩვენ თუ რამე დიდ სისულელეს არ გავაკეთებთ, მას საქართველოსთვის სერიოზული ვნების მიყენება გაუჭირდება. ხელისუფლებას აქვს ცდუნება, გააზვიადოს რუსეთის საფრთხის აქტუალობა, რაც თავის მხრივ მისი ავტორიტარული ინსტინქტიდან გამომდინარეობს და აძლიერებს ამ ინსტინქტს. ზედმეტმა ფიქსაციამ რუსეთის საფრთხეზე შეიძლება შეასუსტოს დასავლელი პარტნიორების ნდობა ჩვენ მიმართ და, საბოლოოდ, თვითგანხორციელებად წინასწარმტყველებად იქცეს. როცა რუსეთის არჩევნების ვადიდან გამომდინარე საკუთარ კონსტიტუციას ვცვლით, ამით რუსეთის შიში უკვე პარანოიის დონეს უახლოვდება.

ცხადია, ნატო-ს წევრობაზე ორიენტაცია უნდა გავაგრძელოთ. ასევე მგონია – როგორც ჩანს, ეს ხელისუფლების აზრიცაა – რომ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება (თავისთავად აუცილებელი ამოცანა) ნატო-ს წევრობაზე გადის. ასევე უნდა გაგრძელდეს კურსი საქართველოს ცალმხრივ ევროპეიზაციაზე (ცხადია, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის რესურსების გამოყენებით), რასაც თავისი უპირატესობებიც აქვს ინტეგრაციის კონტექსტში ევროპეიზაციასთან შედარებით.

(ბ) *ტერიტორიული კონფლიქტები.* ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი შეცდომა აღმოჩნდა იმის რწმენა, რომ ამ კონფლიქტების გადაწყვეტა შედარებით სწრაფადაა შესაძლებელი. სამწუხაროდ, ასე არ ყოფილა. მაგრამ ის არც მათ გადაუწყვეტელობას უნდა შეეგუოს. მხოლოდ ნდობის აღდგენაზე და ხანგრძლივ (ფსევდო-)მოლაპარაკებებზე ორიენტაცია, ფაქტობრივ, გადაწყვეტაზე ხელის აღებას ნიშნავს. უნდა

გაგრძელდეს მცდელობები ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, მუშაობა სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობასთან მათში ნდობის გაღვივების მიმართულებით, მეორე მხრივ კი, საიმისო ძალისხმევა, რომ ეს კონფლიქტები საერთაშორიო დღის წესრიგიდან არ მოიხსნას. ცხადია, ეს ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, რომ ძალისმიერი კონფლიქტის გაღვივების საფრთხე იყოს თავიდან აცილებული. ყოველივე ამის შეხამება ძნელია, მაგრამ აუცილებელი.

(გ) *დემოკრატიის განვითარება*. რაც გინდა იყოს ხელისუფლების საჯარო რიტორიკა, მან უნდა დაიჯეროს, რომ საქართველოში დემოკრატიის სერიოზული დეფიციტია. ეს არ არის მხოლოდ მისი ბრალი (იმავე ოპოზიციის სისუსტეს – ამ დეფიციტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოხატულებას – ხელისუფლებას ვერ დავაბრალებთ), მაგრამ არის ნაბიჯები, რაც მისი გადასადგმელია. პირველ რიგში ეს ეხება კონსტიტუციურ წყობას. მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ იწყება მუშაობა ახალ კონსტიტუციაზე, რომ ხელისუფლება არა მარტო მიესალმება, არამედ აქტიურად ხელს უწყობს კონსტიტუციური დისკუსიის საერთოსახალხო ხასიათს.

(დ) *სახელმწიფო სამსახურის ინსტიტუციონალიზაცია და სტაბილიზაცია*. გასაგებია, რომ საჭირო იყო მკვეთრი ცვლილებები სახელმწიფო აპარატში, მაგრამ თუ სტაბილური და არაპოლიტიკური სახელმწიფო ბიუროკრატია არ შეიქმნა, სახელმწიფოობის სტაბილიზაციაც არ მოხდება. აქ რაღაც განსაკუთებულის მოფიქრება არაა საჭირო – უფრო მიდგომის შეცვლა და მკაფიო პოლიტიკური ნება.

(ე) *ეკონომიკური პოლიტიკა*. ლიბერალიზაციის მიმართულება, რომელიც ხელისუფლებას აღებული აქვს – რამდენადაც აქვს აღებული – მე მგონი, ერთადერთი სწორია. მაგრამ საგადასახადო და საბაჟო სამსახურების ცივილიზება და უფრო წინასწარმეტყველებადი გარემოს შექმნა, რათა ინვესტორებმა დაცულად იგრძნონ თავი, გამოწვევად რჩება. ასევე, ანტიკორუფციული ენთუზიაზმი წინააღმდეგობაში მოდის საკუთრების უფლების დაცვასთან – ამ ეტაპზე მაინც, ამ უკანასკნელის ხელყოფა არაფრითაა გამართლებული. ხელისუფლებამ მკაფიო და თანმიმდევრული პოლიტიკა უნდა გაატაროს ამ მიმართულებით.

(ვ) *სოციალური პოლიტიკა*. ის, უბრალოდ არ არსებობს და უნდა შეიქმნას – რაც უნდა დაიწყოს იმის აღიარებით, რომ აქამდე ასეთი რამე არ არსებობდა.

(ზ) *განათლება*. აქ გარდუვალი დრაკონული რეფორმების შემდეგ ერთგვარი სტაბილიზაციის პერიოდი უნდა დადგეს, რომ შესაძლებლობა მოგვეცეს იმის შეფასებისა, საბოლოოდ რა გამოვიდა და რა შემდეგი ნაბიჯები უნდა გადაიდგას. ეს შემდეგი ნაბიჯებიც, ალბათ, საჭირო იქნება. გარდა ამისა, ბანალურია, მაგრამ ნავთობის და მისთანების არმქონე ქვეყანა თავისი ბიუჯეტის უფრო დიდ წილს უნდა ხარჯავდეს განათლებაზე და მეცნიერებაზე. სხვანაირად სტრუქტურული რეფორმები ნაყოფს არ გამოიღებს.

შენიშვნები:

[1] Samuel P. Huntington, *Political order in Changing Societies* (New Haven & London: Yale University Press, 2004), 2.

მალხაზ სალდაძე

1.

1980-იანი წლების ბოლოდან ეროვნული მოძრაობის მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნა იმთავითვე მიმართული იყო საბჭოთა კავშირიდან სრულ გამოყოფაზე და საბჭოთა სახელმწიფოში მონაწილეობა კონფედერაციულ პრინციპებზეც კი მკრეხელობად აღიქმებოდა. ამ დამოკიდებულებაზე იმ პერიოდში გაბატონებული ნაციონალისტური განწყობა ახდენდა გავლენას, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ფარგლებში დემოკრატიულ და მოდერნიზაციის პროცესებში საქართველოს მონაწილეობას ნეგატიურად აღიქვამდა. 1990-იანი წლების დასაწყისის ქართული პოლიტიკური რეალობის ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ჯიუტი და უკომპრომისო დამოკიდებულება იყო (გამსახურდიას მმართველობის ბოლო პერიოდში ეს დამოკიდებულება შერბილდა, მაგრამ ამას რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობაზე ეფექტი აღარ ჰქონდა). ამასთან, დამოუკიდებლობის მოთხოვნის ნაციონალისტურ ემოციებში შეფერილი ლოზუნგები არ გამოხატავდნენ კონკრეტულ სახელმწიფოებრივ და გრძელვადიან საზოგადოებრივი განვითარების ხედვას; უფრო მეტიც: ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა საბჭოთა პერიოდში დაწყებული დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის პრინციპებთან წინააღმდეგობაშიც კი მოდიოდა. იმ პერიოდის მმართველი ელიტის ლოზუნგი „ჯერ დამოუკიდებლობა და შემდეგ დემოკრატია“ ამ სულისკვეთებას შეესაბამებოდა. შედეგად, ანტიმოდერნულობა და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების უგულებელყოფა ნორმად იქცა როგორც პოლიტიკური ელიტისთვის, ისე ნაციონალისტურად განწყობილი საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის.

აღნიშნული თვალსაზრისით, ცვლილებები 1990-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო და მათ შემდეგი ფაქტორები განაპირობებდა:

- ეთნოკონფლიქტებმა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განცდილმა სამხედრო-პოლიტიკურმა მარცხმა, ამასთან, ხანგრძლივმა ეკონომიკურმა კრიზისმა, ეთნონაციონალისტური იდეოლოგია კრიზისში შეიყვანა;

- 1990-იანი წლების შუა ხანებში დამყარებულმა შედარებითმა პოლიტიკურმა სტაბილურობამ საშუალება მისცა საზოგადოების ლიბერალურად განწყობილ ნაწილს, სამოქალაქო სექტორად ჩამოყალიბებულიყო;
- კრიზისულ პირობებში მყოფი ქვეყნის და მისი პოლიტიკური ელიტის გახსნილობამ საერთაშორისო აქტორების გავლენის მიმართ ზემოაღნიშნულ პროცესს ხელი შეუწყო;
- 1990-იანი წლების მეორე ნახევარში ეკონომიკური განვითარების აღმავალმა ტემპებმა საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია გააღრმავა, რაც, კულტურული ღირებულებების თვალსაზრისით, საზოგადოების განშრევებაშიც აისახა. ამ კუთხით სხვაობა რეგიონულ ასპექტშიც გაჩნდა (ეკონომიკურად მეტ-ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს შორის მოდერნული და ლიბერალური ღირებულებითი სხვაობაც გამოაშკარავდა).

ყოველ ამ ცვლილებას თავისი გავლენა ჰქონდა პოლიტიკურ პროცესებზე:

- ეთნონაციონალისტური იდეოლოგიის დასუსტებამ და, გარკვეული აზრით, იდეოლოგიური ვაკუუმის წარმოქმნამ, კრიზისში მყოფი საზოგადოების ანტიმოდერნული ნაციონალიზმის ნიადაგზე მობილიზაციის უნარი დაასუსტა, რამაც ხელშემწყობი ატმოსფერო შექმნა დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების დასაწყებად;
- სამოქალაქო სექტორის განვითარება დასავლურ სამყაროში ინტეგრაციის წინაპირობა შეიქნა. მოდერნიზაციის და დემოკრატიზაციის პროცესების გაზრება ამ სეგმენტში დაიწყო; ამან მხარდაჭერა 1990-იანი წლების შუა ხანებიდან მმართველ პოლიტიკურ ელიტაში, განსაკუთრებით, მის ახალგაზრდულ ნაწილში პოვა;
- პოლიტიკური რეჟიმის მმართველი ბირთვი ხვდებოდა, რომ განვითარების აუცილებელი წინაპირობაა ტექნოკრატების ახალი თაობის წახალისება; ამიტომ ხელს უწყობდა მოდერნიზაციაზე მიმართულ ინიციატივებს (თუმცა მოგვიანებით, როცა მმართველმა ელიტამ გააცნობიერა ახალი თაობის პოლიტიკური ჯგუფის პროექტებში საკუთარი ადგილის დაკნინება, განწყობა შეიცვალა. სწორედ ეს შეიქნა მიზეზი იმისა, რომ მმართველი პოლიტიკური ელიტა გაიხლიჩა);

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ გამოიკვეთა ორიენტაცია ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებებზე. ამან საზოგადოებრივი მობილიზაციის საფუძველი შეცვალა (რაც კარგად გამოჩნდა „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდში სამოქალაქო პროტესტის გამომხატავ ლოზუნგებში);
- ელიტების დონეზე დემოკრატიული პოლიტიკური პროცესების გაღრმავებას შესაბამისი საზოგადოებრივი მხარდაჭერაც გაუჩნდა.

2.

1990-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, განვითარებას თან სდევს სოციალურ-პოლიტიკური ტრავმები. სუვერენული ქართული სახელმწიფოს პროექტი იმთავითვე წინააღმდეგობაში მოდიოდა შიდა და გარე პოლიტიკურ თუ შიდა სოციო-კულტურულ ფაქტორებთან. ამ წინააღმდეგობის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, თავად ეროვნულ მოძრაობაში გამოკვეთილი ლიდერი პოლიტიკური ჯგუფის (ბლოკ *მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს* ირგვლივ დაჯგუფებული გამსახურდიას მომხრე ნაციონალისტები) სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ხედვის ბუნდოვანება-სიმწირე და ეთნო-ნაციონალიზმზე დაფუძნებული ამორფული პოლიტიკური პროექტი იყო. ამ იდეოგემის საფუძველში არსებული პოპულისტური დემოკრატიის, უნიტარიზმისა და ფსევდოსოციალისტური პრინციპები (ე.წ. სახელმწიფო კაპიტალიზმის ბუნდოვანი იდეა) გამორიცხავდა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ აქტორებად ჩამოყალიბებას, ასევე – ეთნო-ნაციონალური და რეგიონულ-პოლიტიკური მახასიათებლების მქონე მთელი რიგი ჯგუფების პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობას. ყოველივე ამის შედეგად საქართველო რიგ შიდა პოლიტიკურ კონფლიქტებში გაეხვია.

გრძელვადიანი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ხედვის არარსებობა თუნდაც იმაში გამოიხატებოდა, თუ რა სწრაფად იცვლებოდა საგარეო პოლიტიკური ზეწოლის თუ კრიტიკის კვალდაკვალ ერი-სახელმწიფოს შენების კონცეფცია გამსახურდიას ნაციონალისტურ ჯგუფში. თავდაპირველად მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ელიტა შეურიგებელ პოზიციას იჭერდა საქართველოში არსებული ავტონომიების საკითხში, რაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებითა და ამის საფუძველზე წარმომდგარი ეთნოკონფლიქტით გამოიხატა.

შემდგომში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენების ფონზე ეს პოზიცია შეიცვალა. აღნიშნული რეგიონისადმი დამოკიდებულებამ, სინამდვილეში, ანტიდემოკრატიული აპარტეიდული რეჟიმის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რაც მოგვიანებით ახალი ეთნოკონფლიქტის გაჩაღების შემამზადებელ ფაქტორად იქცა. ასევე, ქანქარისებრად ირხეოდა გამსახურდიას პოლიტიკური ჯგუფის ხედვა იმის თაობაზე, თუ რა ადგილი უნდა ჰქონოდა საქართველოს საბჭოთა პოლიტიკურ სივრცეში (გარკვეულ პერიოდში შემობრუნება მოხდა საბჭოთა პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ყოფნის იდეის მიმართ, თუმცა ამ პოლიტიკურ პოზიციას დიდ ხანს არ უცოცხლია) და როგორი უნდა ყოფილიყო ეთნიკური უმცირესობების ადგილი საქართველოს ახალ სახელმწიფოში (ამ მიმართულებით რიტორიკა პერიოდულად იცვლებოდა უკიდურესი შეურიგებლობიდან იმ აზრამდე, რომ ეთნიკურ-არეალური ჯგუფებისთვის საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე კულტურული ავტონომია მიენიჭებინათ სახელმწიფო გარანტიების მიცემით).

გამსახურდიას მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ვექტორი იმის მცდელობაში გამოიხატა, რომ დაესუსტებინა პერესტროიკის პერიოდში შემდგარი ახალი მესაკუთრეები (კოოპერატორთა სექტორი). სახელმწიფო ცდილობდა საწარმოო საშუალებებზე საკუთარი კონტროლი გაეძლიერებინა (ეს, ალბათ, ახალი პოლიტიკური ელიტის მცდელობა იყო, სახელმწიფო ქონებაზე კონტროლი თავად განეხორციელებინა და ქონების ხელახალი გადანაწილება მოეხდინა). ამით, ცხადია, აზარალებდა აღნიშნული ეკონომიკური კლასის ინტერესებს. საბჭოთა ეკონომიკური სისტემიდან გამოსვლის ხმამაღლა გაცხადებული სურვილი, თუ ამის დასტურად მივიჩნევთ საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირის მიმართ განხორციელებულ „ეკონომიკური ბლოკადის“ აქტებს (სარკინიგზო მაგისტრალების ბლოკირება), აძლიერებდნენ ახალი რეჟიმისაგან კოოპერატორების, როგორც მესაკუთრეთა კლასის, გაუცხოებას, რომელიც საბჭოთა ეკონომიკური სივრცეში, საბჭოთა სახელმწიფო ქონების ექსპლუატაციის ხარჯზე იყო ამოზრდილი. შესაბამისად, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში აკუმულირებული ჩრდილოვანი ფინანსური რესურსი ახალი რეჟიმის მიმართ ანტაგონისტურად განწყობილი ეკონომიკური კლასის კონტროლის ქვეშ რჩებოდა და რეჟიმთან დაპირისპირებული პოლიტიკური ჯგუფების სასარგებლოდ მოქმედებდა.

გაურკვეველი იყო საგარეო პოლიტიკაც; ის, რომ ახალ რეჟიმს ნაკლებ ანაღვლებდა დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების დაცვა, საერთაშორისო კრიტიკას იმსახურებდა. საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე კი ქვეყანა იზოლაციონიზმისთვის იყო განწირული. ამ პირობებში შიდა პოლიტიკური ოპოზიციის ბრძოლას გამსახურდიას კვაზიიაკობინური რეჟიმის წინააღმდეგ ლეგიტიმურობის გარკვეული ხარისხი ენიჭებოდა. მსგავსი საგარეო და შიდა განწყობის პირობებში უკიდურესი მეთოდების გამოყენებით არსებული ხელისუფლების დამხობაც კი ლეგიტიმურ ხასიათს იძენდა.

3.

ედუარდ შევარდნაძეს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჰქონდა პოლიტიკური ცვლილებებისთვის მებრძოლის იმიჯი. პერესტროიკის პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა მისი ამგვარ ლიდერად აღქმა. 1992 წელს საქართველოში შევარდნაძის დაბრუნება სწორედ ამ ჭრილში განიხილებოდა. მიუხედავად ამისა, შევარდნაძის პერიოდის საქართველოში დემოკრატიული განვითარების კონკრეტული და სისტემად ჩამოყალიბებული პროგრამა არ არსებობდა. ამ გზაზე მიღწეული სპონტანური წარმატებები რეჟიმის შიდა სისუსტის და საგარეო აქტორების გავლენის წყალობით განხორციელდა.

შევარდნაძე მულტიაქტორული პოლიტიკის პრინციპებს იცავდა (ამას, გარკვეულწილად, საბჭოთა პარტიულ-ნომენკლატურულ სისტემაში მიღებული შიდაფრაქციულ და ჯგუფურ დაპირისპირებებში მანევრირების გამოცდილება და დაბალანსების პოლიტიკის ცოდნა განაპირობებდა), რითაც გასაქანი ეძლეოდა დემოკრატიის განვითარებას. რა თქმა უნდა, იყო ძალაუფლების მონოპოლიზაციის ტენდენციაც, მაგრამ შევარდნაძე იმასაც აცნობიერებდა, რომ მხოლოდ ერთ ჯგუფზე დაყრდნობა საფრთხეს შეუქმნიდა მის ძალაუფლებას; პოლიტიკური მემკვიდრის გამორჩევა შესაძლოა პოლიტიკური სცენიდან მისი ნაადრევი წასვლით დასრულებულიყო. ამგვარი მიდგომის ნეგატიური მხარე იმაში მგომარეობდა, რომ არ ხდებოდა პოლიტიკური პროცესის ინსტიტუციონალიზაცია. ფარულ გარიგებებსა და გაუმჭვირვალე თამაშის წესებზე აგებული პოლიტიკა, მიუხედავად მულტიაქტორობისა, იმთავითვე არადემოკრატიულ ხასიათს ატარებდა. პოლიტიკური მემკვიდრის – კონკრეტული ჯგუფის თუ ლიდერის – არგამოყოფაც რეალურ საფრთხეს ნიშნავდა იმ

შემთხვევაში, თუ მის წინააღმდეგ ძლიერი ოპოზიციური ბლოკი შეიკვრებოდა. ვარდების რევოლუციის დროს ეს ასეც მოხდა. შევარდნაძის ძველმა პოლიტიკურმა გუნდმა პასიური პოზიცია დაიკავა მიმდინარე მოვლენების მიმართ; ამის მიზეზი ის იყო, რომ ვერ გარკვეულიყვნენ, თუ რა როლს ასრულებდნენ ისინი შევარდნაძის გათვლებში (შესაძლოა შევარდნაძემ ისინი უწინ ოპოზიციაში მყოფი ირინა სარიშვილისა და ვახტანგ რჩეულიშვილის გუნდების მოზიდვით დააფრთხო, რითაც მათ სტაბილობის შეგრძნება შეუმცირა და ჩანაცვლების შესაძლებლობა დაანახა).

შევარდნაძის რეჟიმის წარუმატებლობაში შეიძლება შემდეგი მომენტები გამოვყოთ:

- ეკონომიკური რეფორმების დამუხრუჭება და ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება კორუფციული ქსელის გამყარების ფონზე;
- ინსტიტუციური რეფორმების აუცილებლობის იგნორირება;
- დემოკრატიის გაგების დაყვანა სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს შორის არაფორმალურ ურთიერთობებამდე.

შევარდნაძის პოლიტიკური რეჟიმი კვაზიავტორიტარულ-ბიუროკრატიული იყო. მოცემული იყო დემოკრატიის გარკვეული ხარისხი, მაგრამ ინსტიტუციონალიზაციის დაბალი დონით; სახელმწიფო ადმინისტრაციული სისტემა მოქმედებდა საბჭოთა პრაგმატისტი „აპარატჩიკების“ სტილით (ადმინისტრაციული ფუნქცია – კერძო მატერიალური მოგება); საკუთრება და ძალაუფლება გაუმიჯნავი იყო – ძალაუფლების ქონა ხელმისაწვდომს ხდიდა ეკონომიკურ საქმიანობებზე კონტროლის დაწესებას ან საკუთრების გადანაწილების პროცესის მართვას (ძალაუფლების გამოყენება კერძო ეკონომიკური ინტერესების სარეალიზაციოდ).

ვარდების რევოლუციის წინაპირობას საზოგადოებაში მომხდარი კულტურულ-ღირებულებითი და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები განაპირობებდა. ერთი მხრივ, გაიზარდა სამოქალაქო თვითშეგნება და ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი პროტესტის მობილიზაციის სამოქალაქო ღირებულებითი მექანიზმები; მეორე მხრივ, გამოიკვეთა წინა ათწლეულის მანძილზე საზოგადოების სუსტი სტრუქტურის მქონე, მაგრამ ორგანიზებული საშუალო ფენა, რომელშიც აკუმულირებული იყო ზემოაღნიშნული ღირებულებითი კაპიტალი.

4.

სააკაშვილის პოლიტიკური პროგრამა პოლიტიკური პრაგმატიზმისა და იდეალიზმის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს. ხელისუფლებაში მისი გუნდის მოსვლა დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებებისადმი ერთგულების ნიშნით მოხდა (რის საფუძველზეც საზოგადოებრივი მხარდაჭერა მიიღო); მაგრამ რეფორმების გატარების თანმიმდევრული პოლიტიკის გზაზე ხშირად დემოკრატიული ნორმების და პროცედურების დარღვევის შემთხვევებსაც ეგუება. სწორედ პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე (რეფორმების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფა), ახალმა პოლიტიკურმა ელიტამ, ძალაუფლების მონოპოლიზაციის ხარისხის თვალსაზრისით, შევარდნაძის რეჟიმსაც კი გადააჭარბა. საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე ძალაუფლების კონცენტრაცია, ცენტრალიზაციის ხარისხის გაზრდა (ადგილობრივი ხელისუფლებების პრეროგატივების შეზღუდვა), სახელმწიფო-ადმინისტრაციული სისტემის ფუნქციობაზე კონტროლის გამკაცრება (ანტიკორუფციული პოლიტიკის მკაცრი, ცენტრალიზებული და სისტემური ხასიათი) სააკაშვილის პერიოდის მახასიათებელი ნიშნებია.

სააკაშვილის მმართველობის დასაწყისის მთავარ მიღწევას სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის მანამდე არსებული გაუცხოების მოხსნა წარმოადგენდა. ათწლიანი იმედგაცრუება და სახელმწიფოს მიმართ სკეპტიკური განწყობა სახელმწიფოს მიმართ ნდობამ და სტაბილურობის შეგრძნებამ შეცვალა; ამის საფუძველი იყო მთავრობის მიერ კრიზისული პოლიტიკური სიტუაციების (მაგ. აჭარის და კოდორის შემთხვევაში) ოპერატიული და ეფექტური გადაწყვეტა. მართალია, საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა ქვეყნის ეკონომიკა და ფასების ზრდაც სულ უფრო ასუსტებს ცხოვრების ხარისხს, ნეგატიურ საგარეო პოლიტიკურ ფონზე (რუსეთთან ურთიერთობა) კარგად გათვლილი აპელირება საზოგადოებრივ მხარდაჭერას მთავრობის მიმართ აძლიერებს და ეკონომიკური ფაქტორის ზეგავლენას ანეიტრალებს. ახალი პოლიტიკური რეჟიმის ძირითად მიღწევებად უთუოდ უნდა მივიჩნიოთ მიმდინარე სტრუქტურული რეფორმები და სახელმწიფოს ძირითადი ინსტიტუტების ეფექტურობის გაძლიერება (შსს, გენერალური პროკურატურა, განათლების სისტემა) და ქვედა დონის ადმინისტრაციულ რგოლებში (სადაც სერვისების დონეზე სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთშეხების წერტილები იკვეთება) კორუფციის მკვეთრად შემცირება. კიდევ ერთი ღირსსაცნობი მიღწევაა საზოგადო-

ებრივი თანხმობის მოპოვება ქვეყნის განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებზე (ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის თვალსაზრისით). ეს უკანასკნელი შესაძლოა იმდენად სააკაშვილის პოლიტიკური გუნდის კონკრეტული პროგრამის დამსახურება არაა, რამდენადაც მის ირგვლივ საზოგადოებრივი ნდობის მობილიზებისა.

სააკაშვილის პერიოდის წარუმატებლობად, პირველ რიგში, საგარეო პოლიტიკაში რუსეთთან ურთიერთობების უკიდურესი დაძაბვა მესახება. ეს უკანასკნელი გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებაზე, ისე თავად არსებული პოლიტიკური წესრიგის სტაბილობაზე. საქმე ისაა, რომ გაუარესებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე მოდერნიზაციასა და ეკონომიკურ ლიბერალიზაციაზე მიმართული რადიკალური რეფორმების გატარება, ალბათ, გართულდება (სოციალური რეალიების გათვალისწინების პირობებში რადიკალიზმის დონე დაიკლებს); ამასთან, აუცილებლად წააწყდება, შესაძლოა, ფრაგმენტულ და სპონტანურ, მაგრამ ორგანიზებულ პროტესტს.

რაც შეეხება სხვა წარუმატებლობებს (ალბათ, უფრო უპრიანია, მათზე, როგორც ხარვეზებზე ვისაუბროთ), მე ასეთებად მესახება შემდეგი:

- სახელმწიფოს მართვის სისტემაში ძალაუფლებითი ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაციის დაბალი ხარისხი და გადაწყვეტილებების მიღების პრეროგატივის რეფორმატორი ტექნოკრატების ვიწრო ჯგუფში ჩაკეტვა (ეს ხარვეზი, გარკვეულწილად, ადამიანური რესურსის სიმწირით აიხსნება, თუმცა არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ პოსტრევოლუციური ელიტა ნაკლები ნდობით უყურებს არსებულ რესურსებს);
- მონაწილეობითი დემოკრატიის ხარისხის დაკნინება და საპარლამენტო პოლიტიკურ პროცესებში ერთპარტიული დომინირება;
- მისიონერულ-რევოლუციური პოლიტიკის შედეგად პოლიტიკური სივრციდან არა ერთი პოლიტიკური აქტორის გარიყვა ხდება, რაც ზრდის ოპოზიციის წარმოქმნის ალბათობას (ჯერ კიდევ 2006 წლის გაზაფხულზე გირგვლიანის სასამართლო პროცესების ფონზე გამოიკვეთა სხვადასხვა იდეოლოგიურ პლატფორმაზე მყოფი ოპოზიციური სპექტრის გაერთიანების პერსპექტივა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ); ეს კი მოწყვლადს ხდის პოლიტიკური სტაბილობის ალბათობას საქართველოში;

- პოლიტიკურ სისტემაში სასამართლო სისტემის ადგილის განუსაზღვრელობა და ამ საკითხის მეორეხარისხოვან პრობლემად დატოვება;
- ანტიკორუფციული პოლიტიკის ჩარჩოების და მისი წარმმართველი ინსტიტუტების უფლებამოსილებათა საზღვრების ბუნდოვანება (ეკონომიკურ აქტორებს აშინებთ ანტიკორუფციული პოლიტიკის სახელით სახელმწიფო რეკეტის ჩამოყალიბების შესაძლებლობა).

სააკაშვილის პერიოდის პოლიტიკური წესრიგი, წინამორბედისაგან განსხვავებით, მობილიზაციის და ოპერატიული ქმედების მეტი ხარისხით გამოირჩევა. ეს, პირველ ყოვლისა, გუნდურობისა და ლიდერობის პრინციპის დანერგვით აიხსნება. რაც შეეხება რეჟიმის კატეგორიზაციას, ძნელია, რეჟიმს ვუწოდოთ მობილიზაციური, რადგან პოლიტიკური ელიტის თანმიმდევრული ლიბერალიზმი ეჭვს არ იწვევს, თუმცა გარკვეული ნიშნებით სწორედ ამ ტიპის რეჟიმის მახასიათებლებს ატარებს (სახელმწიფოს ჩარევის ზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ სივრცეში, ცენტრალიზაცია, კონტროლისა და რეპრესიული მექანიზმების გაძლიერება). ამასთან, რეჟიმს პოპულისტური პოლიტიკური წესრიგის ნიშნებიც აქვს (დომინანტური პოლიტიკური პარტია და მისი კავშირები საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობათა გამშუალებელი ინსტიტუტების დასუსტება – პარტიები, მედია, ინტერესთა ჯგუფები). ამასთან, საქართველოში ავტორიტარიზმის არსებობაზე საუბარიც რთულია, ვინაიდან აქ დემოკრატიული ინსტიტუტები არსებობენ და ფუნქციობენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, არსებული რეჟიმის კატეგორიზაცია დელეგატიური დემოკრატიის (ტერმინი შემოღებულია გილერმო ო'დონელის მიერ ლათინურ-ამერიკული დემოკრატიების აღსაწერად) ფარგლებში უფროა მისაღები (დემოკრატიის გარკვეული ხარისხი პლუს ზემოთ აღნიშნული მობილიზაციური და პოპულისტური ელემენტები).

5.

ოპოზიციის სისუსტეს ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას ვერ მივაწერთ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ზოგ შემთხვევაში, ავიღოთ თუნდაც არჩევნები, საარჩევნო სისტემა და კანონმდებლობა ადმინისტრაციული რესურსისგან დაშორებულ პარტიებს აშკარად არამომგებიან მდგომარეობაში აყენებს მმართველ პარტიასთან შედარებით. პრობლე-

მის არსი, ძირითადად, საზოგადოების პოლიტიკური კულტურისა და სამოქალაქო თვითშეგნების პრაქტიკის საკითხში უნდა ვეძიოთ. ვარდების რევოლუციამ საზოგადოების გარკვეული ნაწილში აკუმულირებული სამოქალაქო ღირებულებები მოქმედებაში აჩვენა სწორედ იმიტომ, რომ მათი პრაქტიკის სხვა არხები (არჩევნები, მედია) მანიპულირებადი ან დახშული იყო. იმ შემთხვევაშიც კი, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანად და გამჭვირვალედ რომ ტარდებოდეს, მნიშვნელოვანია მსგავს მონაწილეობით არხებში სამოქალაქო ღირებულებების პრაქტიკის სიხშირე, რომელიც პარტიებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებს, ერთი მხრივ, მეტ სისტემურობას შესძენდა, მეორე მხრივ კი, ამ ურთიერთობების ფორმალურ და არაფორმალურ წესებს ჩამოაყალიბებდა (იდეოლოგიური თუ ფინანსური მხარდაჭერა, წევრობა, კამპანიებში მონაწილეობა, თუ სხვა).

6.

ოპოზიციის გაძლიერების შემთხვევაში მთავრობასთან ოპონირების ძირითადი პროგრამა სოციალური უფლებების და კანონის უზენაესობის მოთხოვნებზე იქნება დაფუძნებული. ამჟამად მოდერნიზაციული და ლიბერალური რეფორმების გატარების მექანიზმები ნაკლებად ეფუძნება დემოკრატიულ პრინციპებს; მონაწილეობითი სივრცის შემცირების ტენდენციაც აშკარაა. გასაგებია, რომ ეს უკანასკნელი ფაქტორი რეფორმების შოკური ეფექტით გასატარებლად კარგ ნიადაგს ქმნის. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საშუალოვადიან და ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში რეფორმების შედეგები აუცილებლად გამოიწვევს ცვლილებებს საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და სოციო-კულტურულ ჭრილში, რისი ლოგიკური გაგრძელება ახალი საზოგადოებრივი ჯგუფების პოლიტიკურ სივრცეში მონაწილეობის და დამკვიდრების მოთხოვნა იქნება. შესაბამისად, საჭირო გახდება მონაწილეობითი სივრცის გაზრდა, რაც შესაძლოა მოდერნულ-ლიბერალური რეფორმების შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს. ამის კვალდაკვალ, სავარაუდოა, რომ საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური მონაწილეობის სივრცის გაფართოების მზარდი მოთხოვნა ადეკვატურად არ მიიღოს არსებულმა პოლიტიკურმა რეჟიმმა. ამიტომ ხელისუფლებას უნდა შეეძლოს ცვალებადი სოციალურ-ეკონომიკური ფონის სტაბილიზაცია; მან უნდა შექმნას მზარდი პროტესტის შეკავების სისტემა. ამ ფონზე ოპოზიციური სპექტრის გააქტიურება ლოგიკური პროცესი იქნება. დღეს მმართველი პარტიის

პოლიტიკურ პროგრამაში ნაციონალიზმ-ეტატიზმი, მემარჯვენე ლიბერალიზმი და მემარცხენე ელემენტების შემცველი სოციალური საკითხები ლამის თანაბრადაა წარმოდგენილი. შესაძლო კრიზისის შემთხვევაში მას ამ იდეოლოგიური ეკლექტიზმის დათმობა მოუწევს. გამოთავისუფლებულ ნიშებს სხვა პარტიები დაიჭერენ.

7.

არც ერთი მოცემული ვარიანტთაგანი გამორიცხული არაა, თუმცა ხელისუფლების ცვლილების საქართველოში აქამდე არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ წამყვანი ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფები ყოველთვის ხელისუფლების გახლეჩის შედეგად ჩნდებოდნენ. სააკაშვილის გუნდში ცდილობენ, გუნდის გახლეჩა თავიდან აიცილონ. ამიტომაა, რომ ლიდერი პოლიტიკოსების თანამდებობებზე გადანაცვლება ხდება და არა გუნდიდან გაშვება. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს წარმოადგენენ სალომე ზურაბიშვილი და გოგა ხაინდრავა, რომლებიც სამთავრობო გუნდში გარედან მოსული ფიგურები იყვნენ და შიგნით დასაყრდენი არ ჰყავდათ. ირაკლი ოქრუაშვილის შემთხვევა უფრო საყურადღებოა, ვინაიდან მასზეც ვრცელდებოდა აღნიშნული წესი, მაგრამ მან პირადი მოსაზრებებით სამთავრობო გუნდიდან წასვლა არჩია. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ყოფილი თავდაცვის მინისტრი ოპოზიციური სპექტრის ლიდერი გახდება, თუმცა არც ისაა ცხადი, როგორ პოლიტიკურ პოზიციას დაიკავებს შესაძლო კრიზისულ სიტუაციაში. ცხადია, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა გათვლებს გააკეთებენ ოპოზიციური სპექტრის ფიგურებზე საგარეო პოლიტიკური აქტორები (დასავლეთი და რუსეთი).

8.

ამჟამად საქართველოში არსებული სისტემის სტაბილურობა დამოკიდებულია მისი მმართველი პოლიტიკური ელიტის წარმატებებზე, ანუ კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ძალისხმევაზე. პოლიტიკური და ადმინისტრაციული პროცესები ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულია და მმართველი პოლიტიკური გუნდის წარუმატებლობის შემთხვევაში, კრიზისიდან გამოსვლის ინსტიტუციური გზების არარსებობა ელიტის ძალადობრივი ცვლილების ან მის მიერ ძალაუფლების შესანარჩუნებლად რეპრესიული მექანიზმების გამოყენების საფრთხეს ქმნის.

რთულია დიქტატურის თუ ავტორიტარიზმის დამკვიდრების ობიექტური ფაქტორების მოძებნა დღევანდელ რეალობაში. მაგრამ აშკარაა

პოლიტიკური სტაბილობის უზრუნველმყოფი სისტემის არარსებობაც, რაც ქმნის იმის ალბათობას, რომ ელიტების ცვლილება შესაძლოა ციკლური რევოლუციების საშუალებით მოხდეს. დღევანდელი პოლიტიკური რეჟიმის დღის წესრიგში ხანგრძლივვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფა დგას; ეს აუცილებელია დაწყებული რეფორმების გასაგრძელებლად და ბოლომდე მისაყვანად. აქეთკენ გადაგმული ნაბიჯები მოცემულ ეტაპზე ძალაუფლების გაძლიერებასა და კონსოლიდაციაში გამოიხატება (იხ. პასუხი მეოთხე კითხვაზე). აღნიშნული იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ საქართველო უფრო მექსიკური ტიპის დომინანტური პოლიტიკური პარტიის სისტემის ჩამოყალიბების გზას ადგას (რაც, თავის მხრივ, დემოკრატიული პროცესების დაკნინებას გულისხმობს).

9.

საგარეო ფაქტორების გავლენა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე, უდავოდ, დიდია. დემოკრატიისა და არადემოკრატიის, სტაბილური და არასტაბილური განვითარების პოლუსებს შორის საქართველოს რყევა, დაწყებული 1990-იანი წლებიდან, დასავლეთისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკური კონიუნქტურისა და რეგიონში მათი ძალთა ბალანსის ფაქტორებით იყო განპირობებული.

თუ 1990-იანი წლების დასაწყისში დესტაბილიზაციის გარე ფაქტორები კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის შედეგი იყო, 1990-იანი წლების შუა ხანებში სტაბილურობის დამყარებაში დიდი როლი ისევ რუსეთმა ითამაშა (სტაბილურობის მისთვის ხელსაყრელი ფორმა სამხედრო-პოლიტიკური ზემოქმედების მექანიზმების შექმნით დაამკვიდრა). დასავლეთის გავლენა იმთავითვე დემოკრატიული პროცესების გაღრმავებაზე იყო მიმართული, რასაც წარმატებით და თანმიმდევრულად ახორციელებს კიდეც.

ვარდების რევოლუციის შემდეგ საგარეო ფაქტორების ამ ორ ცენტრს შორის ბალანსი იცვლება. რუსეთის გავლენა უფრო იქნება მიმართული ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სისტემის დესტაბილიზაციაზე, რათა თავისი გავლენა ქვეყანაში და რეგიონში, ერთი მხრივ, შეინარჩუნოს და, მეორე მხრივ, უფრო გაზარდოს; დასავლეთი კი კიდევ უფრო მეტად დაუჭერს მხარს სახელმწიფო ინსტიტუტების (განსაკუთრებით, სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი) გაძლიერებისკენ მიმართულ პოლიტიკას. საინტერესოა დემოკრატიის ხარისხის ზემოაღნიშნული შემცირების მიმართ ამ ორი საგარეო ცენტრის

დამოკიდებულება. შეიძლება ირონიულადაც ჟღერდეს, მაგრამ დემოკრატიის ხარისხის შემცირების გამო კრიტიკა საქართველოს მთავრობის მიმართ, ალბათ, უფრო რუსეთიდან წამოვა, ვიდრე დასავლეთიდან, რადგან რუსეთი დაინტერესებულია, ეჭვქვეშ დააყენოს საქართველოში არსებული პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმურობა. აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთი დემოკრატიის გზიდან გადახვევას დაუშვებს.

10.

ხელისუფლების წინაშე მდგარი პრიორიტეტული საკითხები ქვეყანაში სტაბილურობაზე ნეგატიურად მოქმედი ფაქტორების გავლენის შერბილებაზე უნდა იყოს მიმართული:

I. დარეგულირდეს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან;

II. გაღრმავდეს მშვიდობიანი დიალოგი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ დე ფაქტო ხელისუფლებებთან;

III. მოხდეს დემოკრატიული პროცესების ინსტიტუციონალიზაცია და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობითი სივრცის გაფართოება;

IV. დაცულ იქნეს კანონის უზენაესობისა და ძალაუფლების დანაწილების პრინციპები; ამ შემთხვევაში კონტროლისა და ბალანსის მექანიზმების ეფექტური ურთიერთქმედება პოლიტიკური წესრიგის ლეგიტიმურობის ზრდის საშუალებით დესტაბილიზაციის შიდა ფაქტორებს გაანეიტრალებს.

გიორგი ხელაშვილი

1.

საქართველოს* უდიდესი მიღწევა 1990-იანი წლების დასაწყისში დამოუკიდებლობის მიღწევა და მისი შენარჩუნება იყო, თუნდაც ტერიტორიის ნაწილზე კონტროლის დროებით დაკარგვის და ეკონომიკური ვარდნის ფასად.[1]

მიღწევებიდან უმთავრესია სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ზრდა, პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება, დემოკრატიზაცია, მოდერნიზაციის გარკვეული დროის მიღწევა, საერთაშორისო თანამეგობრობაში მზარდი ინტეგრაცია, ეთნიკური ნაციონალიზმის დაძლევა.

საქართველოს წარუმატებლობებიდან ყველაზე სერიოზული აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის[2] ტერიტორიებზე ცენტრალური მთავრობის კონტროლის დაკარგვა და ეკონომიკის სისუსტეა.

ამ ქვეთავის დარჩენილ ნაწილში მიღწევებისა და წარუმატებლობების ცალ-ცალკე დახასიათებას შევეცდები.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში რამდენიმე სამოქალაქო ომის, ეკონომიკური სიდუხჭირის, სოციალური და იდეოლოგიური კრიზისების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ ეროვნული სუვერენიტეტის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აუცილებლობის აღიარება შეიძლება ისტორიულ მონაპოვრად ჩაითვალოს. სახელმწიფოს მიმართ უნდობლობის ნელ-ნელა გაქრობა (განსაკუთრებით, 2003 წლის შემდეგ) და უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის აღიარება მოსახლეობაში სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ზრდის და სამოქალაქო ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების ნიშანია. ქართული მოსახლეობის მიერ ვიწრო ეთნიკური ნაციონალისტური განწყობის დაძლევის ნიშნები იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს.

---

* ყოველი ქვეთავის დასაწყისში მოკლედ ვუპასუხებ დასმულ შეკითხვას და შემდეგ გავაანალიზებ ამ მოკლე პასუხის ძირითად პოსტულატებს.

პოლიტიკური სისტემის (თუნდაც, სუსტად განვითარებულის) ჩამოყალიბება და პოლიტიკური პროცესების ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევა, ბიუროკრატიის ბაზისური სტრუქტურის გაჩენა და მათი დეპერსონიფიკაცია ქვეყნის თანამედროვე განვითარებაზე მიგვანიშნებს, ისევე, როგორც უსაფრთხოების აპარატის ჩამოყალიბება, რომელიც არ არის რომელიმე იდეოლოგიური ძალის ინსტრუმენტი.

არჩევნების მოქცევა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ცენტრში ქართული დემოკრატიის უმთავრესი მონაპოვარია, თუმცა პოლიტიკური სისტემის (უპირველესად, პოლიტიკური პარტიული სისტემის) სუსტი განვითარება დამოუკიდებლობის 15 წლის თავზე ჯერ ისევ ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს საქართველოში დემოკრატიის შეუქცევადობის შესახებ.

მოდერნიზაციის წარმატება საქართველოში იმდენად ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე არ აისახება, რამდენადაც კონსენსუსზე დასავლეთის (უპირველესად, ევროპის) პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელის უალტერნატივობის შესახებ. ისევე, როგორც პოლიტიკური დამოუკიდებლობის შემთხვევაში, დასავლეთზე ორიენტაცია (არა მარტო გეოპოლიტიკური, არამედ ღირებულებითიც) საქართველოს სერიოზული მონაპოვარია.

ნაციონალიზმმა, როგორც პოლიტიკური კულტურის ყველაზე შესამჩნევმა ასპექტმა, ყველაზე სერიოზული როლი შეასრულა დამოუკიდებელი საქართველოს ფორმირებაში. მართალია, ეთნიკური ნაციონალიზმი ხელისშემშლელი აღმოჩნდა საერთო ეროვნულ სახელმწიფოში უმცირესობების ინტეგრაციის გზაზე, მაგრამ, იმავდროულად, ნაციონალიზმის დამსახურებაა დამოუკიდებლობის იდეის და, ნაწილობრივ, პროდასავლური ორიენტაციის არჩევაც.[3]

უმთავრესი წარუმატებლობა – ტერიტორიული მთლიანობის რღვევა – ობიექტური საერთაშორისო ვითარებისა და ქართული ეთნიკური ნაციონალისტური ექსცესების ერთობლივ შედეგად უნდა ჩაითვალოს. ეკონომიკური განუვითარებლობაც, ერთი მხრივ, ობიექტურმა პირობებმა (საბჭოთა ეკონომიკის დაშლა, საერთაშორისო ეკონომიკის მზარდი ლიბერალიზაცია და კონკურენციის ზრდა, აგრეთვე, საქართველოს მწირი სარესურსო პოტენციალი), მეორე მხრივ, 1990-იან წლებში ეკონომიკური პოლიტიკის არქონამ გამოიწვია.

2.

ზვიად გამსახურდიას მმართველობა საქართველოსთვის უამრავი პრობლემის სათავე აღმოჩნდა – მათ შორის ყველაზე მწვავე – ტერიტორიული მთლიანობის პრობლემისაც. იმავდროულად, გამსახურდიას მმართველობის დროს საბოლოოდ გაფორმდა კონსენსუსი საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქვეყნის პროდასავლური განვითარების შესახებ. გამსახურდიამ, როგორც პირველმა პრეზიდენტმა, დაუდო სათავე რუსეთთან საქართველოს პრობლემურ ურთიერთობებსაც.

გამსახურდიას ხელისუფლების მიღწევები სწორედ ამ იდეოლოგიური და საგარეო პოლიტიკური „კანონის" დამკვიდრებით ამოიწურება. მეორე მხრივ, გამსახურდიას ხელისუფლების დამსახურება მომავლის საქართველოს წინაშე არა იმდენად გამსახურდიას პოლიტიკაში, არამედ ამ პოლიტიკის თანმდევ, მეორად ეფექტში უნდა ვეძებოთ – გამსახურდიას გადაჭარბებულმა ეთნიკურმა ნაციონალიზმმა გარკვეულად „აცრა" საქართველო ამ სახადზე და მას ნაციონალიზმის უფრო სამოქალაქო და ლიბერალური გაგებისაკენ უბიძგა.

გამსახურდიას მიერ დატოვებული პრობლემების ნუსხა საკმაოდ გრძელი შეიძლება იყოს – მათგან უმთავრესი საზოგადოების რადიკალიზაცია და ეთნიკური უმცირესობების მარგინალიზაციაა. ამ ორი პრობლემის, განსაკუთრებით, მეორე პრობლემის, მოგვარებას დღემდე ვერ ახერხებს საქართველოს ვერც ერთი მთავრობა და უახლოეს მომავალში, ალბათ, ვერც მოახერებს.

გამსახურდიას დამხობაში ორმა მთავარმა ფაქტორმა შეასრულა გადამწყვეტი როლი – ნაციონალიზმზე ზედმეტმა აქცენტმა და მის წინააღმდეგ პოლიტიკური ელიტის კონსოლიდაციამ. გამსახურდია ცდებოდა, როცა ფიქრობდა, რომ ქართული ეთნიკური ნაციონალისტური მობილიზაცია საკმარისი ძალა იქნებოდა არა მარტო მისი ხელისუფლების შესანარჩუნებლად, არამედ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისთვისაც. სინამდვილეში, ქართული ნაციონალისტური მობილიზაცია საკმარისი არც ერთისთვის არ აღმოჩნდა და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, საკმარისი არ აღმოჩნდა არც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის ძალისმიერი გზით გადასაჭრელად.[4]

ქართული ელიტის მობილიზაცია გამსახურდიას წინააღმდეგ ამ უკანასკნელის პოლიტიკური კრახის მეორე მთავარი მიზეზი იყო. ქართული ელიტა 1991 წელს ჯერ კიდევ მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის მმართველ წრეებთან და საკმარისი ბერკეტები ჰქონდა გამსახურდიას

წინააღმდეგ საშინაო და საგარეო ძალების სამობილიზაციოდ. თუმცა, მე გადაჭარბებულად მივიჩნევ რუსეთის პირდაპირ როლს გამსახურდიას ჩამოგდებაში – გადამწყვეტი სიტყვა თავად ქართულმა ელიტამ (მათ შორის, ედუარდ შევარდნაძემაც) თქვა და რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო რესურსები, უბრალოდ, თავის სასარგებლოდ და გამსახურდიას წინააღმეგ ეფექტურად გამოიყენა.

3.

ედუარდ შევარდნაძის დროს შეიქმნა თანამედროვე ქართული სახელმწიფო; ეს მისი მმართველობის პერიოდის მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მისივე მმართველობის დროს საქართველომ მოძებნა საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში თავისი პირველი ნიშა. შევარდნაძის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ქართულ დემოკრატიას და პოლიტიკურ ინსტიტუტებს, საზოგადოებაში გავრცელება დაიწყო ლიბერალურმა ფასეულობებმა.

მისივე თორმეტწლიანი ეპოქის მთავარი წარუმატებლობები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვას, სახელმწიფო აპარატის სისუსტეს და უნიათობას, ეკონომიკის სტაგნაციასა და საზოგადოების დემორალიზაციას უკავშირდება.

შევარდნაძის პერიოდის ყველაზე შესამჩნევი ცვლილება წინამორბედ რეჟიმებთან შედარებით საერთაშორისო ფაქტორის მკვეთრი ზრდა გახდა. ერთი მხრივ, ეს საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების შეცვლას – რუსეთის დასუსტებას უკავშირდებოდა, მეორე მხრივ – თავად ქართული პოლიტიკური სპექტრის მზადყოფნას, გაეტარებინა ლიბერალური რეფორმები 1990-იანი წლების შუახანებიდან.

საერთაშორისო ფაქტორის ზრდის მთავარი შედეგი არ ყოფილა ის, რასაც შევარდნაძე ყველაზე მეტად იმედოვნებდა – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა. ამის ნაცვლად საქართველომ მიიღო უწინდელზე უფრო თავისუფალი მასმედია, ენერგიული სამოქალაქო საზოგადოება და ახალი იდეები სახელმწიფოს მოწყობის შესახებ. ამ საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა და იდეებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს როგორც შევარდნაძის დამხობაში, ისე მომავალი მთავრობის იდეოლოგიისა და პოლიტიკის განსაზღვრაშიც.

შევარდნაძის მმართველობა ორ ძირითად პოსტულატს ემყარებოდა – სახელმწიფოს სუვერენიტეტს და პირადად შევარდნაძის ხელისუფლების

შენარჩუნებას. შევარდნაძეს იმედი ჰქონდა, რომ მისი პროდასავლური კურსი 1995 წლის შემდეგ ამ ორივე მიზანს შეუსრულებდა. დასავლეთთან შევარდნაძის ურთიერთობისას, ძნელია, გადაჭრით ითქვას, რომელი იყო ამ ორი პრინციპიდან გადამწყვეტი. ფაქტობრივ, პროდასავლური რიტორიკით შევარდნაძემ უკან დასახევი გზა მოიჭრა. როდესაც მისი მმართველობა და ქვეყნის განვითარება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვიდა, შევარდნაძემ ვეღარ მოახერხა (ან არ მოინდომა) დასავლეთის რუსეთზე გაცვლა და ამით საკუთარი რეჟიმის გადარჩენა.

ისე, როგორც გამსახურდიას შემთხვევაში, შევარდნაძის პერიოდის ყველაზე დიდი მემკვიდრეობა – პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება, სამოქალაქო საზოგადოების შექმნა და ლიბერალური ღირებულებების გავრცელება – შევარდნაძის მთავარი მიზნის (ძალაუფლების შენარჩუნების და ამისთვის დასავლეთის დახმარების მანიპულირების) თანმდევი, მეორადი ეფექტი გახდა.

შევარდნაძეს (ალბათ, შესაბამისი დონის განათლების არქონის გამო) გაუჭირდა ჩამოეყალიბებინა სახელმწიფოს განვითარების იდეური და ეკონომიკური პრინციპები და განევითარებინა საჭირო ინსტიტუტები. შესაბამისად, მისი მმართველობის სტილი პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის წონასწორობის დამყარებით შემოიფარგლა, რაც მუდმივად ვერ გაგრძელდებოდა. ამგვარად, შევარდნაძის რეჟიმის კრახის მთავარი მიზეზი თავად შევარდნაძის იდეოლოგიურ მერყეობაში და თანამედროვე სახელმწიფოს არსის გაუცნობიერებლობაში უნდა ვეძიოთ.

4.

მიხეილ სააკაშვილმა კიდევ უფრო დაამკვიდრა ზოგიერთი ის ტენდენცია, რომლებიც გამსახურდიას და შევარდნაძის პერიოდში ჩამოყალიბდა. ამ მხრივ, სააკაშვილი არა იმდენად რევოლუციონერი, რამდენადაც წინა ორი ლიდერის მემკვიდრეა. გამსახურდიას და შევარდნაძის მიერ დამკვიდრებული ძირითადი ტენდენციები სააკაშვილმა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა – ნაციონალიზმი, სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, პროდასავლური ორიენტაცია და რუსეთისგან დისტანცირება – ეს პოლიტიკური კურსი სააკაშვილამდეც არსებობდა, მაგრამ ამან ბოლო სამ წელიწადში ბევრად უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო.

სიახლე, რომელიც ნამდვილად შემოიტანა სააკაშვილმა – ძალადობის აბსოლუტური მონოპოლიზაციაა სახელმწიფოს მხრიდან. ამგვარად,

შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მშენებლობა სააკაშვილის მმართველობის ყველაზე გამოკვეთილი ასპექტია.

მეორე მხრივ, სახელმწიფოს მშენებლობის ცნება სააკაშვილის ხელისუფლებისათვის, ძირითადად, ძალისმიერი სამინისტროების გაძლიერებასთან და ძალაუფლების ცენტრალიზაციასთან არის დაკავშირებული. მდგრადი სახელმწიფოებრიობის სხვა, უფრო გრძელვადიანი ასპექტები (ეკონომიკური განვითარება, დემოკრატია, საზოგადოებრივი თანხმობა, განდგომილი უმცირესობების ინტეგრაცია ერთიან საზოგადოებაში) ან მეორე პლანზეა გადასული, ან კიდევ ხელისუფლების იმიჯის გასაუმჯობესებლად წარმოებული პოლიტიკური კამპანიის სახეს ატარებს.

შევარდნაძის პერიოდის ყველაზე დიდი წარუმატებლობა სააკაშვილის დროსაც უცვლელია – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემა კვლავ მოუგვარებელია. თუმცა, ერთი ასპექტით პრობლემა შეიცვალა – უცხოეთის მხრიდან დახმარება აღარაა ერთადერთი ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებასაც ხელისუფლება აპირებს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადასაჭრელად.

მემკვიდრეობით მიღებული პრობლემებიდან სააკაშვილის მთავრობას ეკონომიკური კრიზისიც შეხვდა, რომლის მთავარი კომპონენტი მისი მმართველობის დროს ენერგეტიკული პრობლემა გახდა, რაც, კონფლიქტებთან ერთად, საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულებას განაპირობებს.

წინა მმართველებისგან განსხვავებით, სააკაშვილის ხელისუფლებას აქვს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მინიმალისტურია და დაჩქარებულ პრივატიზაციას ითვალისწინებს. ეკონომიკური პოლიტიკის ამგვარ მინიმალიზმს შეიძლება „ფრანკენშტეინის მეთოდი“ ვუწოდოთ – მთავრობა ქრესტომათიის მიხედვით ახორციელებს ეკონომიკის ლიბერალიზაციას პრივატიზაციის მეშვეობით და ელოდება, როდის გააცოცხლებს ჭექა-ქუხილი ეკონომიკის უსიცოცხლო სხეულს. ამგვარი მინიმალიზმის მიუხედავად, სააკაშვილმა პირველად მოახდინა ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა და, გარკვეულწილად, მისი ნაწილის შესრულებაც.

სააკაშვილმა საქართველოს უახლეს ისტორიაში პირველად სცადა სამოქალაქო ნაციონალიზმის, ეკონომიკური ლიბერალიზმისა და სახელმწიფო რესპუბლიკანიზმის იდეების გაერთიანება და, ნაწილობრივ, შეძლო კიდეც ეს. თუმცა, ეკონომიკური რესურსების შეზღუდულობის, რუ-

სეთის მხრიდან მზარდი ზეწოლის და ეფექტური მმართველი კადრების ნაკლებობის გამო ამ სამი ელემენტის სახელმწიფო ინტერესებში შერწყმა მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა.

5.

საქართველოში პოლიტიკური ოპოზიცია ყოველთვის სუსტად გამოიყურებოდა ხელისუფლებასთან შედარებით. ამიტომაც, ძალაუფლების ხელში ჩაგდება ან შეიარაღებული ამბოხის გზით ხდებოდა (გამსახურდიას გაძევება) ან მასობრივი სახალხო გამოსვლების საშუალებით (შევარდნაძის გადაყენება). არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში ოპოზიცია არ ჩანდა ისეთი ძლიერი, რომ ხელისუფლების შეცვლა შესძლებოდა.

შესაბამისად, სააკაშვილის დროს ოპოზიციის სისუსტე არ არის იმის მანიშნებელი, რომ ხელისუფლების პოზიციები ურყევია. სახელმწიფო აპარატის გაძლიერების მიუხედავად, სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ შეუძლია უსაფრთხოების სათანადო დონეზე დაცვა – არც საგარეო და არც საშინაო ასპექტით.

სააკაშვილის მმართველობის პირობებში ოპოზიციის სისუსტეს რამდენიმე ძირითადი მიზეზი აქვს: უპირველეს ყოვლისა, მყარი იდეოლოგიური ბაზის არარსებობა, აგრეთვე, ეკონომიკური და ადამიანური რესურსების სიმწირე.

ოპოზიციური პარტიების უმრავლესობას არ გააჩნია მყარი იდეოლოგიური ბაზა; პარტიების იდეოლოგიური პლატფორმა, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და პოლიტიკურ ქმედებებს არ შეესაბამება. იდეებისა და ქმედებების ეს შეუთავსებლობა მოსახლეობის მხრიდან უნდობლობას და ოპოზიციის მიმართ აპათიურ დამოკიდებულებას იწვევს, რაც არჩევნების შედეგებზეც აისახება.

ოპოზიციის ხელში რესურსების ნაკლებობა განპირობებულია როგორც ზოგადი ეკონომიკური კრიზისით, ისე ხელისუფლების მიერ ე.წ. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით. ხელისუფლების ლიბერალურ-ეკონომიკური რიტორიკის მიუხედავად, ეკონომიკური აქტორების უმრავლესობა ხელისუფლების მხრიდან რეგულაციაზეა დამოკიდებული ან ასეთად აღიქვამს თავს. ეს კი კერძო ბიზნესს ხელს უშლის დააფინანსოს ოპოზიცია იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ეს კერძო ბიზნესის ინტერესებსა და იდეებს შეესაბამება.

ხელისუფლებამ შეძლო მოსახლეობაში ყველაზე პოპულარული თემების თითქმის სრული მონოპოლიზაცია – ნაციონალიზმის, რუსეთის მიმართ მტკიცე პოზიციის, ეკონომიკური ლიბერალიზმის, სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და გაერთიანების იდეების სახით. ეს ყველა თემა სოციალური რიტორიკითაა შეზავებული, რაც ოპოზიციას ხელის ჩასაჭიდს აღარ უტოვებს. ამიტომაცაა, რომ ოპოზიციის მთელი რიტორიკა უფრო კერძო შემთხვევების კრიტიკით შემოიფარგლება და ხანდახან „პაპზე უფრო კათოლიკობის" მცდელობას არ სცილდება (მაგალითად, რუსეთის მიმართ კიდევ უფრო მკვეთრი პოზიციის დაკავება და ა. შ.).

გარდა ამისა, იდეური სიღარიბისა და არათანმიმდევრულობის გამო ოპოზიციამ ვერ შეძლო დასავლეთის (მთავრობების, დახმარების ორგანიზაციების, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების) სიმპათიების გამოწვევა, როგორც ეს შევარდნაძის დროს „ახალგაზრდა რეფორმატორთა" ჯგუფმა მოახერხა. ეს კი განაპირობებს ენერგიული და განათლებული ახალგაზრდობის უფრო მეტად ხელისუფლების რიგებში გაწევრიანებას, ვიდრე ოპოზიციაში გაერთიანებას.

ხანდახან ოპოზიციური პარტიები უფრო მეტად საზოგადოებრივ გაერთიანებებს მოგვაგონებენ, ვიდრე ძალაუფლებისათვის მებრძოლ იერარქიზებულ ორგანიზაციებს. ამრიგად, ოპოზიცია უგულებელყოფს პოლიტიკის მთავარ პრინციპს – სრულ მზადყოფნას ძალაუფლებისათვის საბრძოლველად.

დაბოლოს, წამგებიანია ოპოზიციის პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკაც, რომელიც სამ ძირითად მეთოდს ემყარება – ხელისუფლების შეცდომების იმედად ყოფნას, ოპოზიციის გაერთიანების მცდელობებს და მოსახლეობის მხრიდან ხელისუფლებით უკმაყოფილებაზე კაპიტალიზაციას. ჯერ ერთი, ხელისუფლების შეცდომები ოპოზიციას მოსახლეობის მხარდაჭერას არ მატებს, მეორეც, არაპოპულარული და სუსტი პარტიების გაერთიანება მათ პოპულარობასა და ძალას ვერ გაზრდის და, მესამეც, მუდმივად ხელისუფლების კრიტიკა და საკუთარი ხედვის არქონა ოპოზიციურ პარტიებს პოლიტიკურ კაპიტალს ვერ შემატებს.

6.

საქართველოში, ისე როგორც ყოფილი საბჭოთა სივრცის დიდ ნაწილში, პოლიტიკურად ყველაზე პოპულარული სოციალური პრობლემებია. ამის მიუხედავად, საქართველოში ამ საკითხის პოლიტიკუ-

რი კაპიტალიზაცია თითქმის ვერ ხერხდება. ორად ორი პოლიტიკური ძალა, რომელიც სოციალურ პრობლემატიკას მეტ-ნაკლებად ეფექტურად იყენებს, მმართველი პარტია და ოპოზიციონერი ლეიბორისტები არიან. მმართველი პარტიის ხელში სოციალური პრობლემატიკა რიტორიკულ როლს ასრულებს, ხოლო ლეიბორისტებისთვის იაფი და ეფემერული პოპულარობის წყაროა. თანმიმდევრული, იდეოლოგიური მიდგომა სოციალური საკითხების მიმართ არც ერთ პარტიას არ ახასიათებს.

15 წლის განმავლობაში განვითარების შედეგად ქართული პოლიტიკური სპექტრის ცენტრი მემარჯვენე ლიბერალიზმის გარშემო დამკვიდრდა. ამ მოძრაობისთვის დამახასიათებელია საკმაოდ წრფივი პროგრესული პოლიტიკური განვითარება – საბჭოთა ფეოდალიზმიდან გამსახურდიას კონსერვატიული ნაციონალიზმისაკენ, მერე – შევარდნაძის სოციალური კონსერვატიზმისაკენ, დაბოლოს, სააკაშვილის ეკონომიკური ლიბერალიზმისა და სახელმწიფოცენტრიზმისაკენ. შემდეგი ნაბიჯი სოციალურ სამართლიანობაზე ორიენტირებული ლიბერალიზმი უნდა გახდეს, რომელიც ნაციონალიზმისა და სახელმწიფოცენტრიზმისაგან შედარებით დაცლილი იქნება.

სააკაშვილის ხელისუფლების მარჯვნიდან კრიტიკა, არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მხოლოდ მარგინალების საქმეა. შესაბამისად, ეფექტური კრიტიკა მხოლოდ მარცხნიდან შეიძლება მოდიოდეს. მით უმეტეს, რომ, დროის გასვლასთან ერთად, სააკაშვილის მთავარი ამოცანა არა ქვეყნის მოდერნიზაცია, არამედ ძალაუფლების შენარჩუნება გახდება, რაც არსებულ რეჟიმს სულ უფრო მეტად კონსერვატიულს გახდის და, შესაბამისად, ხელისუფლების პოლიტიკურ სხეულზე უფრო მეტ სუსტ ადგილს მოაშიშვლებს.

7.

წარმატებულმა ოპოზიციურმა პარტიამ საქართველოში იდეოლოგიურ თანმიმდევრულობასა და ეფექტური პოლიტიკური ტექნოლოგიების განვითარებას უნდა მიაქციოს ყურადღება. ოპოზიციის დიდი უმრავლესობა საბჭოთა საზოგადოების ნარჩენია და ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, რომ მათგან შეიძლება ეფექტური პოლიტიკური ძალა აღმოცენდეს.

რეალური და სიცოცხლისუნარიანი ოპოზიცია მომავალში შეიძლება მხოლოდ ახალი თაობის პოლიტიკოსებისგან შეიქმნას. რა თქმა უნდა,

ახალი თაობის პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ან უკვე მთავრობის წევრია, ან, პოტენციურად, მისი ნაწილი გახდება. ამიტომაც, მომავალმა ოპოზიციამ პოლიტიკური იდეებისა და სპექტრის ის ნაწილი უნდა დაიკავოს, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას არ დაუკავებია – სოციალური პრობლემატიკა.

ეკონომიკის განვითარებასთან და კეთილდღეობის ზრდასთან ერთად ორი ცვლილება მოხდება – ჯერ ერთი, გაიზრდება პოლიტიკური ბრძოლისთვის აუცილებელი ეკონომიკური რესურსების ბაზა და, მეორეც, წინ წამოიწევს ამჟამად უგულებელყოფილი სოციალური სამართლიანობის თემა, რაც ახალი ტიპის პოლიტიკური ძალების გაჩენის პირობებს შექმნის.

სავსებით შესაძლებელია, რომ ახალი, სიცოცხლისუნარიანი ოპოზიცია ხელისუფლების გახლეჩის შედეგად შეიქმნას. კითხვა მხოლოდ ისაა, თუ რომელი საკითხის გარშემო მოხდება ეს გახლეჩა – ანუ რა იქნება ის გადაუჭრელი პრობლემა, რომლის გარშემოც ხელისუფლების შიგნით იდეოლოგიური კონსენსუსი დაირღვევა. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს გახლეჩა კონფლიქტების მიმართ დამოკიდებულებამ გამოიწვიოს (ისრაელის მსგავსად, სადაც პარტიათშორისი და შიდაპარტიული დინამიკა ხშირად იმისდა მიხედვით იცვლება, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამა თუ იმ ჯგუფს პალესტინელების მიმართ), რაც შეიძლება ორგანულად დაუკავშირდეს ნაციონალიზმის თემას. ვფიქრობ, დღევანდელი სახელისუფლო პარტიის შიგნით ბზარი გრძელვადიანი ეროვნული პრიორიტეტების განსაზღვრისას შეიძლება წარმოიშვას. ეს სადავო პრიორიტეტები კი შეიძლება იყოს კონფლიქტების მოგვარება, დემოკრატიზაციის დონე და სიჩქარე, სოციალური საკითხები (რესურსების განაწილება პოლიტიკურად მომგებიან სოციალურ პროგრამებსა და ბიზნესს შორის), ეკონომიკური საკითხები (რესურსების განაწილება უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას შორის).

ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ბზარი ხელისუფლებაში საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხმა ან ტერიტორიული მთლიანობის რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის მიერ ეჭვქვეშ დაყენებამ შეიტანოს.

8.

პოლიტიკური სტაბილურობის[5] შენარჩუნება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იქნება ხელისუფლების ლეგიტიმაციის საფუძველი. სასურველია, რომ ლეგიტიმაციის საფუძვლად იქცეს საზოგადოებრივი კონ-

სენსუსი სახელმწიფო მოწყობისა და რესურსების განაწილების თაობაზე და არა, უბრალოდ, ხელისუფლების, თუნდაც, დემოკრატიულად არჩეულის, პროგრესული პოლიტიკური ნება. პროგრესული პოლიტიკური ნება ხელისუფლებაში მყოფი პარტიისათვის (მით უმეტეს, დიდი ძალაუფლების მქონე ჯგუფისთვის) ძალიან ხშირად ამ ნების მოჩლუნგებით და ბანალური კორუფციით მთავრდება. ამ შემთხვევაში კი იწყება არანაკლებ ბანალური, ძალაზე დამყარებული ნახევრად ავტორიტარიზმის ხანა, რომელიც საქართველოს მსგავს სუსტ სახელმწიფოებში ან ხელისუფლების შეცვლით (უკეთეს შემთხვევაში, ხავერდოვანი რევოლუციის, უარეს შემთხვევაში კი, შეიარაღებულ ამბოხის საშუალებით) მთავრდება. გრძელვადიანი სტაბილურობისათვის პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა და მათ საფუძველზე საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევა აუცილებლობას წარმოადგენს.

და მაინც, ძირითადი საფრთხე, რომელიც პოლიტიკურ სტაბილურობას შეიძლება დაემუქროს, საგარეო ინტერვენციაა (ფინეთის, უნგრეთის ან ჩეხოსლოვაკიის მსგავსად), რაც შეიძლება კონფლიქტების განახლებას ან რაიმე პროვოკაციას მოჰყვეს.

სტაბილურობისათვის შექმნილი კიდევ ერთი საფრთხე ეკონომიკური კრიზისია, რამაც შეიძლება სოციალური არეულობა მოიტანოს და, შესაბამისად, პოლიტიკური სისტემა ავტორიტარიზმზე გადაიყვანოს.

მოკლევადიან პერსპექტივაში საქართველოში პოლიტიკური სტაბილურობა, როგორც ჩანს, კვლავ სახელისუფლო პარტიის დომინანტური როლით იქნება განპირობებული. უახლოეს წლებში ძნელი წარმოსადგენია რომელიმე ახალი პარტიის მიერ ძალაუფლების მოპოვება არჩევნების გზით. ძალაუფლებისათვის ბრძოლა მმართველი (უფრო ზუსტად კი – სახელისუფლო) ფრაქციებს შორის გაგრძელდება და მათი მორიგეობით ურთიერთჩანაცვლება მოხდება. ეს შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ ეკონომიკის განვითარების პირობებში ახალი მძლავრი პარტიების შექმნის წინაპირობები შეიქმნება და პოლიტიკური პროცესი პარტიებს შორის ღია ბრძოლის სახეს მიიღებს და არა ბიზანტიური „ხალიჩის ქვეშ ბულდოგების ბრძოლისას“.

პოლიტიკური სტაბილურობის დროებით შენარჩუნება ერთი პარტიის დომინირების პირობებში სავსებით შესაძლებელია – მაგრამ არა ავტორიტარული რეჟიმის დამყარების სახით, არამედ სახელისუფლო პარტიის შიგნით ფრაქციული კონკურენციის წყალობით.

9.

ამ მონაკვეთში, ძირითადად, შევეხები იმას, თუ რა მექანიზმებით ახდენდა გავლენას საერთაშორისო ფაქტორები საქართველოზე და რა შედეგები მივიღეთ ამ ფაქტორების ზემოქმედებით.

საერთაშორისო პოლიტიკის ზეგავლენა საქართველოზე სამი მსხვილი ძირითადი ასპექტით განისაზღვრება: ჯერ ერთი, დემოკრატიზაციის ახალმა ტალღამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სერიოზულად განსაზღვრა საქართველოს იდეოლოგიური კლიმატი; მეორეც, გლობალიზაციის პროცესმა დააჩქარა საქართველოს ჩართვა მსოფლიო ეკონომიკაში და გლობალურ საინფორმაციო სივრცეში (რა თქმა უნდა, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით); და მესამეც, თანამედროვე საერთაშორისო გარემო საქართველოს მსგავსი პატარა და სუსტი ქვეყნების არსებობისთვის უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნის, ვიდრე მეოცე საუკუნის დიდი ნაწილის განმავლობაში და მეოცე საუკუნემდეც.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ საგარეო ფაქტორი (ისე, როგორც ბევრი სხვა ქვეყნის შემთხვევაში) გადამწყვეტი არ ყოფილა ბოლო 15 წლის განმავლობაში. საზოგადოების მზაობა და შიდა პოლიტიკური ცვლილებები ძირითადი წამყვანი ძალა იყო განვითარების საქმეში.

გარდა უცხოეთის (უპირველესად, დასავლეთის) მიზანმიმართული პოლიტიკისა, საქართველოზე ისტორიულმა შემთხვევითობებმაც იქონიეს გავლენა. ამგვარ ისტორიულ შემთხვევითობებს უნდა მიეკუთვნოს 11 სექტემბრის მოვლენები და ამერიკის დაინტერესება ცენტრალური აზიითა და ახლო აღმოსავლეთით, ცენტრალური აზიის ნავთობის ტრანსპორტირების ისტორიული შესაძლებლობა, რუსეთსა და თურქეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები.

უცხოეთის (ძირითადად, დასავლეთის) საქართველოზე გავლენა ბოლო წლებში შემდეგი ფორმებით გამოვლინდა: დასავლეთის საფინანსო ინსტიტუტების მიერ პირობითობის პრინციპის (conditionality) თავს მოხვევა, რამაც ეკონომიკისა და ფინანსების რადიკალური რეფორმა დააჩქარა; სამოქალაქო საზოგადოების დახმარება; საგანმანათლებლო პროგრამები; კომუნიკაციის განვითარებაში ხელშეწყობა; ჰუმანიტარული და სხვა აქციები (რამაც გარკვეული სოციალური დახმარების ქსელი შექმნა მოსახლეობისათვის და ამით მთავრობას საშუალება მისცა, მეტი ეფექრა სტრატეგიულ და განვითარების საკითხებზე); პირდაპირი სამხედრო, ინფრასტრუქტურული და ფინან-

სური დახმარება; საერთაშორისო ორგანიზაციებში და ფორუმებზე პოლიტიკური მხარდაჭერა; კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა და ეკონომიკაში ინვესტირება.

ცალკე დგას რუსეთის თემა. რუსეთის ჩარევა საქართველოს ცხოვრებაში, ცხადია, სერიოზულად აფერხებდა ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ, მეორე მხრივ, რუსულმა პოლიტიკურმა წნეხმა სერიოზული წვლილი შეიტანა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, და ქართველების, როგორც პოლიტიკური ერის, ფორმირებაში, აგრეთვე, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში.

ამ სხვადასხვა ტიპის გავლენის შედეგად მიღებული შედეგები შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს: მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, იმიჯი (თუ 1990-იან წლებში საქართველოს არშემდგარი ქვეყნის სახელი ჰქონდა, 2000-იანი წლების შუახანებისათვის „დემოკრატიის შუქურად“ იქცა); გაიზარდა საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე (რაც ქვეყანას დამოუკიდებლობის შენარჩუნების ისტორიულად უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს); შეიქმნა მმართველობის უნარის მქონე ახალგაზრდა კადრების გარკვეული რაოდენობა, რომელმაც კრიზისის შემთხვევაში მართვის საკუთარ თავზე აღება გაბედა; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩარევის წყალობით, მოხდა ეკონომიკის შესამჩნევი ლიბერალიზაცია, რომელმაც შეიძლება გრძელვადიანი დივიდენდები მოიტანოს (ლიბერალიზაციის გარეშე ეკონომიკას, საერთოდ, მომავალი არ ექნებოდა); სერიოზულად გაიზარდა ადამიანის უფლებების დაცვის დონე; დამკვიდრდა დემოკრატია, რომელიც სულ უფრო შეუქცევად სახეს იღებს და საკმაოდ სწრაფადაც; განვითარდა პოლიტიკური კულტურა – შეიქმნა მანამდე არარსებული პოლიტიკური დისკუსიის კულტურა, გაიზარდა პოლიტიკური და იდეოლოგიური ტოლერანტობის დონე, მოსახლეობის მიერ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დონე.

ამასთან, საგარეო გავლენა ორი მიმართულებით წამგებიანი აღმოჩნდა ქვეყნისთვის (სულ ცოტა, მოკლევადიან პერსპექტივაში მაინც): პირველ ყოვლისა, კონფლიქტების არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე და მათი მანიპულირება საგარეო ძალების (მაგალითად, რუსეთის) მხრიდან სერიოზულ გავლენას ახდენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების სიმცირეზე. მეორეც, გლობალიზაციის პროცესმა საკმაოდ წინააღმდეგობრივი გავლენა მოახდინა საქართველოზე – სახელმწიფოების მხრი-

დან ფინანსურ ნაკადებზე კონტროლის დაკარგვასთან ერთად ვეღარ მოხერხდა საქართველოში ინვესტიციების პოლიტიკური გადაწყვეტილებით მოზიდვა. ეს ორი ასპექტი ეკონომიკას სერიოზულ პრობლემებს უქმნის (ვიმეორებ, სულ მცირე, მოკლევადიან პერსპექტივაში მაინც).

შეიძლება ითქვას, რომ საგარეო გავლენა საქართველოზე მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი იყო. და ეს გავლენა, საბოლოო ჯამში, ბევრად უფრო მეტ დადებით ნიშანს შეიცავდა, ვიდრე უარყოფითს.

10.

ვინაიდან საქართველო ჯერ არ ჩამოყალიბებულა სრულყოფილ სახელმწიფოდ, ხელისუფლების პრიორიტეტად კვლავ ეროვნული და ადამიანური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა დარჩეს. ეს უსაფრთხოება, უპირველესად, საქართველოს ნატო-ში გაერთიანებასთანაა დაკავშირებული. ნატო-ში წევრობა დამოუკიდებლობის გარანტიებს მისცემდა საქართველოს, რის შემდეგაც განვითარების სხვა პრიორიტეტებიც დადგება დღის წესრიგში.

მეორე მხრივ, ნათლად იკვეთება, რომ საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (მათ შორის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად) მარტო საერთაშორისო ალიანსები არ იქნება საკმარისი. საქართველომ, ისრაელის მსგავსად, უნდა შეძლოს ეფექტური თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის განვითარება. ამ საქმეში პრიორიტეტული უნდა გახდეს ეროვნული სამხედრო განათლების ინსტიტუტები, რომლებიც თავდაცვისა და განათლების სისტემების განვითარების მთავარ ამოცანებად შეიძლება იქცნენ.

ეკონომიკის განვითარება უდავო პრიორიტეტია, რისთვისაც სასურველი იქნებოდა სააკაშვილის ხელისუფლების მინიმალისტური მიდგომის (მხოლოდ პრივატიზაციაზე დამყარებული ეკონომიკური ხედვის) უფრო გაფართოება და გარკვეული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება – მაგალითად, ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების დასახელება და საერთაშორისო შრომის დანაწილებაში ნიშის ძიება (და არა, უბრალოდ, დეკლარირება იმისა, რომ ბაზარი თვითონ მოძებნის პრიორიტეტებს, რაც უკვე მოძველებული დოქტრინაა ყველაზე ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშიც კი).

გრძელვადიანი პროექტებიდან ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (განსაკუთრებით, საკომუ-

ნიკაციო ინფრასტრუქტურის – რაც ხდება კიდეც) და ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების და იდეოლოგიის შესახებ საზოგადოებრივი კონსენსუსის შექმნაზე (რაც არ ხდება). საზოგადოებაში მოგებულთა და წაგებულთა შორის ზედმეტად ფართო ნაპრალის გაჩენამ შეიძლება ქვეყნის არა მარტო სტაბილურობას და განვითარებას, არამედ ერთიანობასაც კი შეუქმნას საფრთხე (საქართველო ჯერ ისევ რჩება საკმაო მყიფე სახელმწიფოდ, ამიტომ, არათანაბარი განვითარება, მაგალითად, რეგიონების მიხედვით შეიძლება საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს).

დემოკრატიის განვითარება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყნის სამართავად პროფესიონალი (და არა პოლიტიზებული) ბიუროკრატიის შექმნა შეიძლება დანარჩენ პრიორიტეტებად დავასახელოთ.

შენიშვნები:

[1] „მიღწევების“ წარმატების საზომად აქ ვიყენებ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში მოსახლეობის უმრავლესობისა და ინტელექტუალური ელიტის მიერ საქართველოს განვითარების შესახებ ჩამოყალიბებული კონსენსუსით აღიარებულ ძირითად ინდიკატორებს, რომლებიც მოიცავდა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას საქართველოს სსრ-ის აღიარებულ საზღვრებში, საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრაციას, ლიბერალური ეკონომიკის განვითარებას და თვითმყოფად კულტურულ განვითარებას.

[2] შემოკლებით „სამხრეთ ოსეთი“.

[3] პროდასავლური ორიენტაციის არჩევაში ნაციონალიზმის როლს ქართული ეროვნული იდენტობის თავისებურებებს (ქრისტიანული წარსულის მითოლოგიზაცია) უნდა ვუმადლოდეთ.

[4] ქართული ნაციონალიზმის ეს თვისება გამოავლინა და კარგად აღწერა პროფესორმა სტივენ ჯონსმა. იხ.: Stephen Jones, “Georgian Nationalism: A Reassessment”, *Analysis of Current Events* (Slavic and East European Studies, Baylor University, ტ. 12, N5-6 სექტემბერი 2000).

[5] პოლიტიკურ სტაბილურობაში ვგულისხმობ საქართველოს დემოკრატიული წყობის შეცვლას – თავად ხელისუფლების მიერ, ოპოზიციის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების, თუ საგარეო ინტერვენციის შედეგად.

ავთო ჯოხაძე

წარმოდგენილ სტატიაში შევეცადე საქართველოს ბოლოდროინდელი პოლიტიკური ევოლუცია ისტორიულ წარსულთან შემეპირისპირებინა; შევეცადე მეჩვენებინა, რომ, ერთი მხრივ, „წეს-რიგის“ ნოსტალგია და, მეორე მხრივ, ქართულ კულტურაში ჩაკირული ძალაუფლების სამამულო სისტემის დანაშრევი ის წინააღმდეგობრივი მემკვიდრეობა გამოდგა, რაზეც ზოგიერთი ლიდერის პიროვნული თვისებებით დაღდასმული ახალი პოლიტიკური სისტემა დაშენდა.

აგრარული და პოსტინდუსტრიული ეპოქების ურთიერთგანსხვავებული პირობების მიუხედავად, საქართველომ უახლოეს თხუთმეტწლიან მონაკვეთში, ფილოგენეზისის შემოკლებულ ვადებში გამმეორებელი ემბრიონივით, ხელახლა და შებრუნებული თანამიმდევრობით გადაიმეორა წინა ათასწლეულის სახელმწიფოებრიობის მოდუსები და მეცამეტე საუკუნეში სახელმწიფოს უარყოფის გზით დამკვიდრებული ძალმომრეობა და ანარქია ოცდამეერთე საუკუნეში კვლავ აღდგენილი სახელმწიფოებრიობით უარყო.

მეცამეტე საუკუნეში საქართველოს პოლიტიკური ევოლუცია დასკვნით ფაზაში შეწყდა და სახელმწიფო ხომალდი დაიმსხვრა. ოცდამეერთე საუკუნეში დიდი ხომლადის ნარჩენებიდან შეკოწიწებული კატარღის გადარჩენილ მგზავრებს შესაძლებლობა გვეძლევა შემდგომი სრულყოფის ნავსაყუდელს მივაღწიოთ.

„წეს-რიგის“ ნოსტალგია

რა შორეულ პარალელადაც არ უნდა გვეჩვენოს, საქართველოს სახელმწიფო მშენებლობაში დღეს შექმნილი ვითარება დავით აღმაშენებლის ბოლომდე ვერგანხორციელებულ პროექტთან პოულობს ისტორიულ ანალოგს...

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში იმთავითვე ძალაუფლების ორი სისტემა გადაეხლართა ერთმანეთს: *სახელმწიფო* და *სამამულო*. აღმაშენებლის სამეფომ ჯერ სამამულო-მიწათმფლობელურ სისტემას ამოსდო ალკაპი, მერე კი ეკლესია და რესპუბლიკური წყობის ქალაქები დაიმორჩილა, რითაც *პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების ექსკლუზიური უფლება მოიპოვა* და, პრაქტიკულად, დააკმაყოფილა სახელმწიფოს არსებობის ვებერისეული, მინიმალისტური პირობა. ერთადერთი, რაც სახელმწიფოს შენების ბოლომდე მიყვანას აკლდა, სამამულო სისტემის რეანიმაციის შესაძლებლობის მოსპობა იყო, რაც წოდებრივი ან აბსოლუტური მონარქიის ფორმით შეიძლებოდა განხორციელებულიყო, მაგრამ ასეთ მორფოლოგიურ სრულყოფილებას ქართულმა სამეფომ მაშინ ვერ მიაღწია. უფრო მეტიც, თამარის გამეფებამდე რამდენიმე ხნით ადრე სახელმწიფომ პოზიციები დათმო.

თამარ მეფის ხანაში ძალაუფლების რამდენიმე სისტემა ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. თამარმა, როგორც ნიჭიერმა პოლიტიკოსმა და მოქნილმა დიპლომატმა, მისი მეფობის მთელი 29 წლის განმავლობაში ძალაუფლების ამ ურთიერთუგუებელი სისტემების (მონარქიზმის, სამამულო წყობილების, რესპუბლიკანიზმის და თეოკრატიის), უმეტესწილად, მშვიდობიანი და ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით წარმატებული თანაარსებობა უზრუნველყო, მაგრამ მისი გარდაცვალების მერე, მემამულეებმა ისტორიული რევანში აიღეს და სახელმწიფოს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგლამენტირების უფლება მკვეთრად შეუზღუდეს. ქვეყანა მამულებად ანუ სათავადოებად დაიშალა.

თავისი სოციალური არსით სეპარატისტი მემამულე-ფეოდალები, უკეთეს შემთხვევაში, სამეფოსთან მხოლოდ *კონფედერაციულ კავშირს* თუ ინარჩუნებდნენ.

მთელი გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაში ლამის სამეფო სახლის დონემდე მინიმიზირებული სახელმწიფო ძველი პოზიციების დასაბრუნებლად ებრძოდა სამამულო სისტემას.

სახელმწიფოებრივი ძალაუფლების რეალიზაციის ინსტრუმენტი კანონი და სამართალია, სახელმწიფო *წესრიგს* მათი მეშვეობით უზრუნველყოფს (სიტყვა „წეს-რიგი“ ძველ ქართულში სწორედ *კანონს* და *კანონმდებლობას* აღნიშნავდა). საპირისპირო იყო ძალაუფლების სამამულო სისტემა. მემამულე, მართალია, სამხედრო და სამეურნეო უფლებამოსილებების გარდა, სასამართლო ხელისუფლებასაც ითავსებდა და საკანონმდებლო ნორმებსაც ადგენდა, მაგრამ იქვე თვითნებურადაც

არღვევდა თავისსავე დადგენილს და აწ უკვე მის პირად მამულად ქცეულ ყოფილ საგამგებლო ტერიტორიას ნებისმიერად მართავდა. მემამულის მოხელეც თვითნებობდა და, შესაბამისად, ურთიერთობის გაბატონებულ ნორმად ძალმომრეობა ყალიბდებოდა.

ქვეყანა, სოციალური ევოლუციის თვალსაზრისით, ჩიხში იყო მომწყვდეული, საიდანაც თავდაღწევას მხოლოდ სამეფო ლამობდა, მაგრამ მას შინა ანტაგონისტების გარდა მეზობელი იმპერიებიც უბრკოლებდნენ სახელმწიფოებრიობის სრული რეანიმაციის განაზრახის სისრულეში მოყვანას. საბოლოოდ, ყველა ამ შინა და გარე ფაქტორის ერთობლივი მეცადინეობის შედეგად, ძალმომრეობა და სრული *ანარქია* პერმანენტულ, თაობიდან თაობამდე უცვლელ ვითარებად დაკრისტალდა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ ერთადერთ სარფიან და წარმატებულ ბიზნესს მთელ იმ სივრცეზე, რასაც ოდესღაც საქართველო ერქვა, ადამიანების მოტაცება და გაყიდვა წარმოადგენდა.

საფიქრალია, რომ შექმნილი ვითარებით კმაყოფილი ვეღარც ერთი სოციალური ფენა და წოდება იქნებოდა, თუმცა კონიუნქტურის გარღვევა – არაერთი თავგანწირული ცდის მიუხედავად – მაინც ვერ მოხერხდა. ასე რომ, *მრავალსაუკუნოვანი მწარე გამოცდილების შედეგად, ქართული საზოგადოების ყველაზე ფუნდამენტურ სოციალურ დაკვეთად „წეს-რიგზე“ მოთხოვნილება ჩამოყალიბდა, ქართულ საზოგადოებას წესრიგი, ანუ სახელმწიფო ენატრებოდა*.

აგრარული ცივილიზაციის პირობებში სახელმწიფო, სანამ მას ურბანული სახელმწიფო არ ჩაანაცვლებს, ორი დიამეტრალურად ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით შეიძლება განვითარდეს: ის ან *აბსოლუტურ მონარქიად* იქცევა ან *აბსოლუტურ ანარქიად*. ქართულ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ვარიანტი რეალიზდა და რაკი უკიდურესობები ემთხვევა ხოლმე, აბსოლუტური ანარქია ისევ აბსოლუტურმა მონარქიამ (ცარიზმმა) ჩაანაცვლა.

ყოფილ ქართულ სივრცეში რუსული იმპერიის დამკვიდრებით ქაოსს და შინაგან უწესრიგობას ლაგამი ამოედო, მაგრამ საზოგადოება მაინც გაწბილებული დარჩა. მოუწესრიგებელი ყოფა ორგანიზებულმა ძალმომრეობამ შეცვალა. მოძალადეებად ამჯერად სახელმწიფო და მისი ჩინოვნიკები მოგვევლინენ. სახელმწიფო საწყისის ძირეული დანიშნულება, შეუქმნას მის მოქალაქეს/ქვეშევრდომს მისი პიროვნული თუ სოციალური შესაძლებლობების რეალიზაციის გარემო, რაც რუსულ აბსოლუტურ მონარქიაში ისევე ნიველირებული იყო, როგორც

ქართულ აბსოლუტურ ანარქიაში. ასე რომ, ცარიზმის მიერ ქართული ქვეყნების ანექსიით ვაის კი გავეყარეთ, მაგრამ უის შევეყარეთ: თუ ქართული სინამდვილე აგრარული სახელმწიფოს ქაოსში კვდომის ვერსია იყო, მეორე საპირისპირო პოლუსზე თავს აბსოლუტიზმი იკლავდა, რაც, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ რუსული საზოგადოება სულ უფრო უკომპრომისო ხდებოდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთხანს, 1917 წლის თებერვლის რევოლუციით, თითქოს ნორმალური ვითარების დამყარების პერსპექტივაც გაჩნდა, რის ფონზეც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად სახელდებულმა დამოუკიდებელმა ქვეყანამაც გაიელვა ისტორიის ცის კაბადონზე, მაგრამ მალე აგრარული აბსოლუტიზმი ინდუსტრიულმა აბსოლუტიზმმა (ტოტალიტარიზმმა) შეცვალა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ცარიზმიც და ტოტალიტარიზმიც ქართულ საზოგადოებას სოციალურთან ერთად ეროვნული ნიშნითაც თრგუნავდა, რამაც გამათავისუფლებელ მისწრაფებას ჯერ (მეოცე საუკუნის დასაწყისში) სოციალისტური შინაარსი შესძინა, ხოლო მერე (მეოცე საუკუნის ბოლოს) ეროვნული მოძრაობის სახე მისცა.

მაინც რა ტიპის სახელმწიფოს მშენებლობა უნდა მოჰყოლოდა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას?

რაკი ტოტალიტარიზმის რღვევამ უკვე საბჭოთა ხანაშივე შეიძინა შეუქცევადი ხასიათი, ახალი ქართული სახელმწიფო, უარეს შემთხვევაში, ტოტალიტარული მაინც ვეღარ იქნებოდა. ამას გარდა, დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შედეგები ქვეყნის აღდგენას *დემოკრატიული* რესპუბლიკის საფუძველზე ითხოვდა და გამოდის, საქართველოს ხალხს წყობის დემოკრატიული რეფორმა სურვებია, მაგრამ მენშევიკური რესპუბლიკა რუსული სოციალ-დემოკრატიული დიქტატის ქვეშ მოქცეული, არშემდგარი (თუმცა რუსეთის და კიდევ რამდენიმე სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებელ ქვეყნად „დე იურე“ აღიარებული) სახელმწიფო იყო და დემოკრატიული მხოლოდ ფასადი ჰქონდა. ფასადურ დემოკრატიას მერე ვერც შევარდნაძის დროინდელი საქართველო ასცდება, რის გამოც მას „პოტიომკინის დემოკრატიის“ სახელითაც მონათლავენ[1], მაგრამ მანამდე, საზოგადოებრივი წყობის გადახალისების (პერესტროიკის) რია-რიაში, გამათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლები, მათ შორის გამსახურდიაც, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მომავალი პოლიტიკური სისტემის ტიპოლოგიური ავ-კარგისგან განყენებულად შეეცდებიან; რაკი დემოკრატიაც ასაშენებელი იყო და დამო-

უკიდებლობაც მოსაპოვებელი, გამათავისუფლებელი მოძრაობის ბაირახტრებმა ამოცანა გაიმარტივეს და მაცდური სახელმძღვანელო იდეა მოიმარჯვეს: „ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია!“[2]

გამსახურდია – აგენტურული ხანის ტრაგიკული მეკვლე

გამათავისუფლებელი მოძრაობის გამსახურდიას დროინდელი მონაკვეთისთვის, ისევე როგროც შევარდნაძის მმართველობის პირველი, 1995 წლის აგვისტომდელი, პერიოდისთვის შეიძლება „აგენტურული ხანაც“ დაგვერქმია.

რუსული პროპაგანდა „შეთქმულების თეორიებს“ ყოველთვის იყენებდა ხალხის ცობიერების სათანადოდ მოსამართად. განგებ გაყალბებული, სააზროვნო თარგების მავნე გავლენის თავიდან ასაცილებლად ელიტარულობაზე პრეტენზიის მქონე ან სულაც პოლიტიკაში ასე თუ ისე გათვითცნობიერებული ადამიანები კეთროვანივით უფრთხიან პოლიტიკური პროცესების ამაგვარ ჭრილში ინტერპრეტირებას, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საბჭოთა იმპერიის რღვევის ხანებში, უშიშროების სამსახურები და მისი აგენტები გულხელდაკრეფილები არ მსხდარან და მათმა გაუნელებელმა აქტივობამ მნიშვნელოვნად განაპირობა მოვლენათა განვითარების სცენარები.

გამსახურდია თავის პოლიტიკურ ოპონენტებს საჯაროდ სდებდა ბრალს „სუკის“ აგენტობაში – ბრალდების საბუთიანობა კი ნაკლებად ადარდებდა. ოპონენტები ამას „ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალის“ დემაგოგიურ გამოვლინებად მიიჩნევდნენ. საერთოდ, საბჭოთა საზოგადოება მართლაც ისე იყო გაჯერებული სხვადასხვა კალიბრის მსტოვრებით, რომ ახალაღმოცენებული გამათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზაციული პირამიდის ზედაშრე ამაოდ ცდილობდა როგორმე დაეზღვია თავისი რიგები არაკეთილმოსურნეების შემოღწევისაგან. აგენტურის გამოვლენის ყველაზე ბუნებრივი ინდიკატორი ამა თუ იმ პირის კონკრეტული ქცევის იმ ნიშნით შეფასება უნდა ყოფილიყო, თუ ვის აძლევდა ხელს ესა და ეს ქმედება (ინფორმაციის გაჟონვა და დამსმენობა აქ ნაკლებად ადარდებდათ, რადგან რაც ხდებოდა, ისედაც საჯარო ხასიათის იყო), მაგრამ მოულოდნელად, უფრო სანდო, ოღონდ, ცოტა არ იყოს, გროტესკული ელ-ფერის ინდიკატორი გამოინახა, – ნაჯდომობა! ქართულ საზოგადოებაში ასე ფართოდ ფეხმოკიდებული ქურდული მენტალობა ახალგამომცხვარი პოლიტიკური ელიტის წრეებში თავისებურად გადამღერდა: *ვისაც ყოფილი პოლიტპატიმრის შარავანდედი არ*

ამბობდა, მისი ნდობა სარისკო იყო და ლიდერობის პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა. მართალია, ამ წესიდან გამონაკლისებიც არსებობდა, ოღონდ ეს ის შემთხვევები იყო, როცა გამონაკლისები წესს ადასტურებდნენ.[3] *ასეთი სტანდარტი მკვეთრად ავიწროებდა გამათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდის ისედაც ციცქნა სელექციურ ბაზას.*

აგენტურული საქმიანობის დატვირთვა და მნიშვნელობა მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო ნათელი ხდებოდა, რომ აგორებული ანტიკომუნისტური ისტერიის წყალობით, კრემლს საქართველოში პოლიტიკური მართვის უმთავრესი ბერკეტი – ოდესღაც თავზარდამცემი კომპარტია – დაჩლუნგებულ და უსარგებლო იარაღად ექცა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ ჰეგემონობას თვითონ გორბაჩოვი უღებდა ბოლოს თავისი გადახალისების (პერესტროიკის) პოლიტიკით. მაგრამ კომუნისტების ადგილმონაცვლე ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ყოვლისწამლეკავ დამოუკიდებლობის მოთხოვნას თავს ვერსაით დააღწევდა. ასე რომ, კრემლს საყრდენებად მისი ყველგან შემღწევი *აგენტურა* და ავტონომიური წარმონაქმნების *ნომენკლატურა*-ღა რჩებოდა; კრემლის სტრატეგია ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის დისკრედიტაციისკენ მიიმართა.

გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტებს შორის გამსახურდია ჯერ კიდევ მისი დისიდენტობის დროინდელი ფიასკოს მერე (ზოგთა აზრით, მანამდეც) სუკ-ის მიერ გადაბირებულ საშიშ ავანტურისტად ითვლებოდა. გამსახურდიას მოქმედება, მისი რიტორიკა თუ პროვოკაციული გადაწყვეტილებები ამ ვარაუდს წამდაუწუმ უმაგრებდა საფუძველს. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ მისი დაჯგუფება თავიდან სხვებთან შედარებით ნაკლებგავლენიანი იყო, მაგრამ კომუნისტური ხელისუფლება მუშათა მოძრაობაში განხეთქილების მიზნით პრივილეგირებული ფენის ხელოვნურად შექმნის ნაცადი პრაქტიკის მიბაძვით მოქმედებდა და აშკარად გამსახურდიას სწყალობდა: პრეტენზიები, რომლებსაც სხვები უყენებდნენ ხელისუფლებას, ხშირად პრეტენზიებადვე რჩებოდა, მაგრამ საკმარისი იყო, იგივე მერე გამსახურდიასაც მოეთხოვა და – მოთხოვნა სრულდებოდა, რამაც ფართო მასები გამსახურდიას ქმედუნარიანობაში და ეფექტურობაში დაარწმუნა. ამ გარემოებამ მისი გავლენა მკვეთრად და სწრაფად გაზარდა, გამათავისუფლებელი მოძრაობა კი გახლიჩა. მისი დიდი ნაწილი საბჭოთა ხელისუფლებასაც და გამსახურდიასაც ერთდროულად დაუპირისპირდა. გამსახურდია კი სულ უფრო მზარდი საზოგადოებრივი მხარდაჭერით სარგებლობდა.

სანამ გამსახურდია კრემლის პოლიტიკური ინტერესების გამტარი იყო (პროვოკაციული მიტინგი ცხინვალთან, რეპატრირებული მესხების დაწიოკება, განხეთქილების შეტანა გამათავისუფლებელი მოძრაობის ინტერპარტიულ ორგანოში – „ეროვნული ფორუმი“, გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების „სუკ-ის“ აგენტობაში საჯარო, დაუსაბუთებელი ბრალდებები და სხვა), რასაკვირველია, ხელისუფლების მხრიდან პრობლემები არ ექმნებოდა, მაგრამ, საყოველთავო რეფერენდუმის საფუძველზე მის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება კრემლმა უკვე მუხანათობად აღიქვა. ამ გადაწყვეტილებას გამსახურდია ვერანაირ გამართლებას ვეღარ მოუძებნიდა მისი „გებეშნიკი“ ტერორიზატორების წინაშე. ამ დღიდან მას პირადი უსაფრთხოების პრობლემა გაუმძაფრდა; ის ძალაუფლების განმტკიცებაზე იწყებს ზრუნვას: ფაციფუცით ცვლის პოლიტიკურ სისტემას და საპრეზიდენტო მმართველობას აკანონებს; გამსახურდია უკვე გრძნობდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას შეეწირებოდა.

ამასობაში, ძველი საბჭოთა სტრუქტურების ადგილს თანდათან (უზენაეს დონეზე მაინც) ახალი იჭერდა. სახელმწიფო მშენებლობის გამსახურდიასეული „პროგრამა“ მისივე პრემიერის, ბესარიონ გუგუშვილის პირით გაცხადდა და ტერმინოლოგიური აბრაკადაბრას (“სახელმწიფო კაპიტალიზმი“) მიუხედავად, აშკარად ავტოკრატიულ მმართველობას გვიქადდა. დემოკრატიამ ჭირი მოგვჭამა, ის უკეთეს შემთხვევაში „მერე“ მოვიდოდა, მაგრამ ქართული ინტელექტუალური ელიტა (პოლიტიკური ელიტა სწორედ ამ ელიტისგან რეკრუტირების გზით ყალიბდებოდა თვალსა და ხელს შუა) ქვეყნის გათავისუფლებას დემოკრატიულ გარდაქმნას უკავშირებდა. და ეს იმის მიუხედავად, რომ სამოქალაქო საზოგადოების რაიმე გამოკვეთილი პროექტი არავის ჰქონია, – ერთადერთი, დასავლური ტიპის საზოგადოებად ჩვენი საზოგადოების ფორმირების *წადილი* არსებობდა. მოგვიანებით საზოგადოება დარწმუნდება, რომ ეს არც ისე იოლმისაღწევი ამოცანა ყოფილა, მაგრამ სოციალური ინჟინერიისადმი ეგზალტირებული რწმენა საბჭოთა მოქალაქეებს კომუნისტური წარსულიდან მოსდგამდათ და თუ ისინი საბჭოთა უტოპიამ გააწბილა, ეს არ ნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი ფსიქიკა მთლიანად შეეცვალათ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ გამსახურდიას განზრახვამ და ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გადადგმულმა ნაბიჯებმა საზოგადოების წამყვანი, გავლენიანი ნაწილი აღაშფოთა. გამსახურდიას არაპოპულარობას ელიტურ წრეებში იმდენად მისი დისიდენ-

ტობის დროინდელი ფიასკო არ განაპირობებდა, რამდენადაც სწორედ ეს დეზორიენტაცია, რასაც მამა ბუშის სიტყვებით, *დინების აღმა ცურვის* კვალიფიკაცია მიეცა. ელიტის მხრიდან მხარდაჭერის არარსებობამ კი დიდად წააქეზა გამსახურდიას გაძევების ინიციატორები.

გარედან (დასავლეთის) მხარდაჭერის გარეშე ახალ ქართულ სახელმწიფოს დიდი დღე არ ეწერა, *სახელმწიფოებრიობის დეფიციტი, ანუ საქართველოსათვის ოდითგანვე ჩვეული ანარქიული მდგომარეობა, კი სულ უფრო იკრებდა ძალას.*

ამასობაში საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ კრემლი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პოლიტიკური პროცესების კონტროლზე იღებდა ხელს. არადა, გაურჩებული გამსახურდია „გეკაჩეპისტების“ წარუმატებელ პუტჩს ხელისუფლების მიერ ინსცენირებულად აცხადებდა, რაც მხოლოდ აღრმავებდა კრემლთან მის განხეთქილებას; დაბოლოს, მან „დესეთე-ს“ წევრობაზეც უარი თქვა (მხოლოდ „საშობაო პუტჩის“ დაწყების მერე გააკეთა ზეპირი განცხადება წევრობაზე, მაგრამ უკვე გვიან იყო), რაც მოსკოვის მიერ ნაკარნახები და პირობადებული თამაშის წესების სრულ უგულებელყოფად აღიქმებოდა. გამსახურდიას, როგორც ჩანს, კრემლთან ურთიერთობის რეგულირების აღარავითარი იმედი აღარ ჰქონდა.

მოსკოვი ეთნოკონფლიქტების გაჩაღებას და სახელმწიფო გადატრიალების გზით მართვადი ქაოსის დამკვიდრებას ლამობდა, რათა ახალწარმოქმნილი სახელმწიფო რუსულ ორბიტაში მჭიდროდ მოექცია. ამასთან, კრემლს ერჩია გარეგნულად მიუმხრობელი არბიტრის პოზაში დარჩენილიყო და ნარი აგენტურის ხელით ეგლიჯა, მაგრამ ხალხის მიერ გამხახურდიას მხარდაჭერის მაღალი ხარისხი ის მტკიცე ზღუდე გამოდგა, რომელზეც კრემლი წაბორძიკდა: საშობაოდ დაგეგმილი „დემოკრატიული რევოლუციისთვის“ შეიარაღებული დაჯგუფებების გადაბირებული ლიდერების მწირი რესურსები საკმარისი არ აღმოჩნდა: საშობაო გადატრიალებას არც კიტოვანის ე.წ. გვარდია ეყო და ვერც ციხიდან გამოხსნილმა იოსელიანმა და მისმა მხედრიონელებმა დაადგეს თავი; დემოკრატიის ამ ქართველი ჩანჩურეთელების მილიტარისტული ფახი-ფუხის მიუხედავად (იოსელიანის კლასიკური სწავლებით: „დემოკრატია ლობიოს ჭამა არ არის!“) მათი რაზმეული სულ უფრო უკან იხევდა, რამაც ამ საშობაო აურზაურის ფარული პროტაგონისტი – რუსეთი, აიძულა საქმეში ღიად ჩარეულიყო: გადატრიალების დილას (6 იანვარს) თბილისის ცენტრი „ზაკვოს“ მუხლუხებიანი ტექნი-

კით გაივსო, საქმე ელვის სისწრაფით მოგვარდა და ჯავშანმანქანებიც გაუჩინარდნენ. გამსახურდია გაძევებულ, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ხელში ჩაგდებულ იქნა, და მანაც რუსეთში, მისი „გებეშნიკი“ მტარვალების ტყვეობაში, გაატარა დარჩენილი თვეები. კრემლმა ის ახლა უკვე შევარდნაძის საპირწონედ გამოიყენა და მხოლოდ თავისი ძირითადი სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის მერე გამოასალმა წუთისოფელს.

გია ნოდიას აზრით, გამსახურდიას რეჟიმის დამხობას ორი უშუალო მიზეზი ჰქონდა: ერთი იყო მისი ახირებული ხასიათი, რაც ფსიქიური აშლილობის ზღვარზე ყოფნას ნიშნავდა და მეორე – ოპოზიციის ქცევაში ანარქიული პოლიტიკური კულტურის წამოწევა.[4] გამსახურდიას გაძევების მერე მალევე გამოჩნდა, რომ ანარქიისადმი ერთგვარი მიდრეკილება მარტო ოპოზიციის ქცევაში არ შეიმჩნეოდა, მწარე ისტორიულმა გამოცდილებამ ყაჩაღურ საძმოებად დარაზმვა და თვითნებობა რიგით – პოლიტიკისგან შორს მდგარ – ქართველებსაც ასწავლა; მრავალსაუკუნოვანმა ანარქიამ და ძალმომრეობამ (სახელმწიფო-მომწესრიგებელი საწყისის არარსებობის პირობებში) თვითგადარჩენის ასეთი, თავისი თავის ამომჭამელი კულტურა განავითარა.

პრინცი

„აგენტურული პერიოდი“ გრძელდებოდა. ქვეყანა სამოქალაქო არეულობის კორიანტელში გაეხვა, მხსნელი კი შევარდნაძის სახით მოსკოვიდან მოვიდა, ყოველ შემთხვევაში, შევარდნაძეზე ბევრი ამყარებდა იმედს, რომელიც მან თავისი მოღვაწეობის პირველ, კიტოვან-იოსელიანის ნიშნით აღბეჭდილ, ფაზაში მაინცდამაინც ვერ გაამართლა.

რასაკვირველია, შევარდნაძე მოსკოვის ყველა კაპრიზს ასრულებდა, მაგრამ შევარდნაძისადმი ელცინის ნდობის დიაპაზონი, მაინც რუსული სიბრძნით „доверяй, но проверяй“ იყო ზღვარდებული: ის არ კმაროდა, რომ შევარდნაძეს მოსკოვიდან გამოყოლილი პრეტორიანული დაცვა ედგა „პირადი უსაფრთხოების“ გარანტად, – მადა ჭამაში მოდის და კრემლიც თავისი გავლენის შემდგომი გაფართოების მიზნით აგენტურას სწორედ შევარდნაძის ხელით ნიშნავდა მინისტრებად თუ სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. შევარდნაძეს იმთავითვე აკლდა ძალაუფლება. მის ლეგიტიმურობაზე ლაპარაკი პირველ ხანებში სრულიად აზრს მოკლებული იყო. მას მხოლოდ პირადი კავშირები და უცხოელი პოლიტიკოსების მხარდაჭერა ჰქონდა. 1992 წლის შემოდგომაზე ჩატარე-

ბული საპარლამენტო არჩევნების მერეც, როცა ფორმალურად მან პარლამენტის თავმჯდომარეობასთან ერთად აღმასრულებელი ხელისუფლებაც დაიქვემდებარა (სახელწმიფოს მეთაური), რეალური ძალაუფლება სამხედრო თავკაცების ხელში რჩებოდა.

ქვეყანაში შეიარაღებული ბანდები და კრიმინალები პარპაშებდნენ. პოლიცია ქურდებთან იყო ორგანიზაციულ ალიანსში. შეიქმნა ვითარება, როცა, უბრალოდ, ქუჩაში გამოსვლაც კი სახიფათო გახდა (კომერციული ტვირთების გადაადგილებაზე ან რაიმე სახის ეკონომიკურ საქმიანობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ). ეკონომიკა მოიშალა. მას მერე რაც, რუსეთმა საქართველო რუბლის ზონიდან გამოაგდო და სასწრაფო წესით დროებითი ვალუტა, კუპონი შემოიღეს – ჰიპერინფლაციამ იფეთქა; კუპონის კურსი დოლართან მიმართებაში საათობრივად ეცემოდა.

მოსახლეობის შრომისუნარიანი და გამრჯე ნაწილი ქვეყნიდან გარბოდა. ენერგეტიკული კოლაფსი. ჩაბნელებული ბინები. გზები გაუვალი. საწარმოები გაჩერებული და გაძარცული. სოფლის მოსახლეობა ნატურალურ მეურნეობას დაუბრუნდა.

ქაოსი, რომელმაც ქვეყანა მოიცვა ისევ სახელმწიფოს არარსებობის მიზეზით იყო გამოწვეული და შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე თავიდან ვერმოცილებული ისტორიული გამოცდილების პოსტინდუსტრიულ ერაში ხანმოკლე გადამეორებას ჰგავდა. ხანმოკლეს იმიტომ, რომ მალე შევარდნაძემ ქვეყანა „მემამულეთა კონფედერაციის“ ფაზაში გადაიყვანა.

რუსეთის სასარგებლოდ მძიმე დათმობების გზით[5] და, რაც მთავარია, დასავლეთის დიდი დახმარების წყალობით შევარდნაძის სტაბილიზაციის პერიოდის საქართველო „სუსტი სახელმწიფოს“, ან, როგორც თვითონ შევარდნაძე უწოდებდა, ნახევარსახელმწიფოს დონეზე დალაგდა.

სტაბილიზაციის პერიოდი მაინც მნიშვნელოვანი შვება იყო ქაოსთან შედარებით: კრიმინოგენული ვითარება, ასე თუ ისე, შესუსტდა – აღიკვეთა ბანდების თარეში; სამხედროებზე კონტროლი დამყარდა; ზრდა დაიწყო ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა. წარმატებით იქნა შემოღებული ეროვნული ვალუტა – ლარი.

ამავე პერიოდში გაჩნდა სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახები: იქმნებოდა არასამთავრობო ორგანიზაციები; ვითარდებოდა მედია, აქა იქ დამოუკიდებელი პროფკავშირებიც შეიქმნა. საერთაშორისო ორგანიზა-

ციებთან უშუალო შეხება ახალ საურთიერთობო კულტურას ქმნიდა. შემოვიდა კომპიუტერით სარგებლობა, ინტერნეტი, რუსულის ადგილი თანდათან ინგლისურმა დაიჭირა. *გლობალიზაციის სასიკეთო გავლენა მერე გადამწყვეტ როლს ითამაშებს იმ გარღვევაში, რაც ვარდების რევოლუციის გზით მოხდება.*

თავისი ხელისუფლების მეორე ფაზაში შევარდნაძე თბილად მოკალათდა, ძირითადად, მისი ნათესავებისგან მოქსოვილი კლიენტელისტური აბლაბუდას ცენტრში და შუა საუკუნეების დროინდელი მემამულეების თანამედროვე ეკვივალენტებთან – ნარკო-, ბანკო-, თუ ენერგომაფიის ნუვორიშებთან და ასლან აბაშიძესთან თანხმობაში მართავდა სახელმწიფოდ სახელდებულ კორუფციულ ულოს, რომლის ყველა წარჩინებული შევარდნაძესთან ურთიერქმედებაში ფუსფუსებდა.

ენა ადვილად იტყვის, მაგრამ ქვეყნის თუნდაც ამ ფორმით მოწესრიგებაც კი აგენტურულ გარემოცვასთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების გარეშე არ მომხდარა. როგორც კი დასავლეთის მხარდაჭერით წაქეზებულმა შევარდნაძემ აგენტურული გარემოცვისგან თავის დაღწევა განიზრახა, ის – მოკლეს! – თუმცა შემთხვევის და მასავით ფერნაცვალი, ყოფილი კომუნისტის, ვახტანგ რჩეულიშვილის წყალობით, მაინც უვნებელი ამოვიდა ალმოდებული მანქანიდან. გაივლის დრო და შევარდნაძისგან გაწბილებული რჩეულიშვილი მიტინგზე შეკრებს ხალხს, რათა მთელი დუნიის გასაგონად სჭექოს:

– სანაგვეზე, შევარდნაძე ისტორიის სანაგვეზე!!!

რჩეულიშვილის ამ წინასწარმეტყველურ ქცევას საზოგადოება მაშინ აღტაცებაში არ მოუყვანია, თუმცა წინასწარმეტყველება მაინც ახდება; ბედის სიმუხთლე კი ის იქნება, რომ რჩეულიშვილი ისევ შევარდნაძეს ედგება მხარში და ამ ჯერზე, ვერამცთუ მას ვერ გადაარჩენს, თვითონ მოხვდება ისტორიის სანაგვეზე.

საქართველოში ვარდების ერა დაიწყება.

მანამდე კი თეთრი მელას ეპითეტით შემკობილი დაუდეგარი კარიერისტი ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის მთავარ პროტაგონისტად დარჩება.

პოლიტოლოგებისთვის მელაკუდა კარგად ცნობილი მეტაფორაა, ის ჯერ კიდევ აღორძინების კლასიკოსმა, მაკიაველიმ დაამკვიდრა, როგორც „პრინცის“ (მთავრის) ნაირსახე.

პოლიტიკოსთა შეფასების კიდევ ერთი ყურადსაღები პარადიგმა ამერიკელ მოაზროვნეს ჯენინქსს ეკუთვნის. მან პოლიტიკოსები სამ

ძირითად თანრიგად დაახარისხა: „*ზეკაცებად*“, „*გმირებად*“ და „*პრინცებად*“.

„ზეკაცები“ იმ პოლიტიკოსებს ეწოდათ, რომლებიც ძველ ღირებულებებს და დრომოჭმულ სოციალურ წესრიგს ამსხვრევენ და ახალს ქმნიან;

„გმირები“ ზეკაცების შემოტანილი მაღალი იდეალების განსამტკიცებლად *იბრძვიან*;

„პრინცები“ კი ყველანაირი საშუალებით ცდილობენ შეინარჩუნონ ძალაუფლება. ეს მათთვის უზენაესი და ერთადერთი იდეალია.

„ზეკაცების“ მაგალითად თომას ჯეფერსონი, აბრაამ ლინკოლნი, ფრანკლინ დელანო რუზველტი, ან თუნდაც ვუდრო ვილსონი გამოდგებოდა.

„გმირების“ სიაში ნელსონ მანდელა ან მიხეილ გორბაჩოვი შეგვეძლო ჩაგვერიცხა, თუმცა ეს უკანასკნელი გმირად, ანუ პოლიტიკური იდეალების გამტარებლად, დასავლეთის თვალსაწიერიდან თუ შეირაცხება, რუსული თვალსაწიერიდან კი „ზეკაცის“ ეპითეტი მოუხდება, რადგან პოლიტიკური იდეალები, რომლისკენაც გორბაჩოვმა საჭე მიატრიალა, რუსეთისთვის სრულიად უჩვეულო, ახალი იყო; ახალი ღირებულებების შემომტანებს კი ჯენინგსმა „ზეკაცების“ მაღალი ტიტული დაუმკვიდრა.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მერაბ კოსტავა ულაპარაკოდ გმირების კატეგორიას განეკუთვნება. „საქართველოს სულიერი მისსიის“ ავტორი გამსახურდია კი – თავს ახალი იდეების დამამკვიდრებლად ანუ „ზეკაცად“ წარმოიდგენდა, მაგრამ მისი „მისსიონერული“ ღირებულებები საზოგადოების ელიტარულ ნაწილს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. ის, როგორც პოლიტიკოსი, უფრო ეროვნული დამოუკიდებლობის გმირის (ზოგიერთის აზრით, ანტიგმირის) შარავანდედს მოიხდენდა და თუ მან ტრაგედიით დაამთავრა, ამაში მოულოდნელი არაფერია; გმირებს ტრაგედია შვენის, გმირები ტრაგიკულად ამთავრებენ ხოლმე.

სხვა საკითხია შევარდნაძე. ის კლასიკური პრინცია.

ტერმინ პრინცს (ანუ მთავარს) ჯენინქსი, როგორც ჩანს, ნიკოლო მაკიაველის ესესხა. მაკიაველი არ იცნობს „გმირებს“ და „ზეკაცებს“, – ესინი უფრო მოდერნული პერიოდის პოლიტიკური გამოცდილების პირმშოებია. მაკიაველი მხოლოდ პრინცებს (მთავრებს) იცნობს და მათ ორ ქვეკატეგორიად ყოფს: „*ძელიებად*“ და „*ლომებად*“. ლომები იმ პოლიტიკოსთა მეტსახელია, რომლებიც ძალის გამოყენებით და

მზაკვრობით ახერხებენ პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებას,[6] მელიები კი ცბიერებით, გარიგებით და გამუდმებული მანევრირებით ინარჩუნებენ საჭეს.

ე.წ. თეთრ მელას (იმავე პრინცს) ოცდაათი წელიწადი ეპყრა ცაცებში საქართველოს პოლიტიკური საჭე; მელიას ოინებით დარეტიანებული ჩვენი საზოგადოებაც ოცდაათი წელიწადი („ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის“ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული) იტყუებდა თავს და პრინცისაგან მუდამ „გმირობას“ (რეფორმების გატარებას, ანუ ახალი ღირებულებების დამკვიდრებას) ელოდა, ხოლო ერთ შემთხვევაში შეეცადა პრინცი, ეიძულებინა გმირობა ჩაედინა („ახალგაზრდა რეფორმატორების" ცდა – გადმოებირებინათ შევარდნაძე). ეს ჩვენი საზოგადოების პრინციპულ შეცდომად უნდა შევრაცხოთ. პრინცი გმირად ვერ გადაკეთდებოდა, საკუთარ თავზე მაღლა ვერც ერთი ადამიანი ვერ დადგება.

როცა ვარდების რევოლუციის მეწინავე რაზმი პარლამენტის სხდომათა დარბაზში შეიჭრა, შევარდნაძეს მამა ღმერთიც ვეღარ შეუნარჩუნებდა სავარძელს, ის კი, ვითომც აქ არაფერი, მოხსენების კითხვას განაგრძობდა და პირადმა მცველებმა ძალის გამოყენებით გაიყვანეს სხდომათა დარბაზიდან. მელა კვდებოდაო და თავი საქათმეში მიჰქონდაო. საქართველოს შეიარაღებული ძალების უკვე ყოფილ მთავარსარდალს ერთი ჯარისკაციც აღარ შერჩა, მან კი მაინც საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რაც სხვა შემთხვევაში შეიძლება ქვეყნისთვის ტრაგიკულად დამთავრებულიყო, მაგრამ, საბედნიეროდ, ამჯერად ისტორიის კომიკურ პასაჟად დარჩა. პრინცმა მაინც ბოლომდე იბრძოლა და კრწანისის რეზიდენციაში ბინა დაინარჩუნა.

ჯენინქსის განმარტების თანახმად, პრინცისთვის ქვეყანა არის სარბიელი, მხოლოდ საშუალება და არავითარ შემთხვევაში მიზანი. ცხადია, ეს ერთნაირად ეხება საბჭოთა კავშირსაც და საქართველოსაც. „ჩემს უძვირფასეს „საგანს“ საქართველო ჰქვია“ – მისი ეს სიტყვები გამომცემლებმა სათაურად წააწერეს შევარდნაძის გამონათქვამების კრებულს (თბილისი 2000. გამომცემლობა „საქართველო“), სიტყვა „საგანი“ პრინცმა მელამ ბრჭყალებში ჩასვა – მის საკუთარ ბრჭყალებში.

შევარდნაძის და მისი წინამორბედის პირობებში, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რუსეთის აგენტურული პოლიტიკა ყველაზე უხვმოსავლიანი სწორედ საქართველოში გამოდგა რუსეთის შემოგარენის სხვა ქვეყ-

ნებთან შედარებით. ყველა სიკეთესთან ერთად, *შევარდნაძის ფსიქოტიპი რაიმე უფრო წარმატებული პოლიტიკის გატარების საშუალებას არ იძლეოდა*. იქ, სადაც გადამჭრელი, გაბედული მოქმედებები იყო საჭირო, მელა მისივე ბუნების თანახმად ფრთხილობდა. მისი სტაბილიზაციის პერიოდი და იოსელიანის თუ კიტოვანის წინააღმდეგ გადამჭრელი მოქმედებები (ისევე როგორც რუსეთის თავდაცვის მინისტრის, პაველ გრაჩოვის პირდაპირი და არაპირდაპირი მნიშვნელობით ნათლულის, ვარდენ ნადიბაიძის მოცილება), მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ეს პატივცემული გვამები მის ფიზიკურ არსებობას დაემუქრნენ. ტერაქტებს იღბლად გადარჩენილი შევარდნაძე თავის თავს აღარ ჰგავდა და გაბედულ საკადრო გადაწყვეტილებებს იღებდა, მაგრამ მერე ისევ ინტრიგების ხლართვის, ჩალიჩის და ხელსაყრელი მომენტის ლოდინის პოლიტიკას აგრძელებდა.

საზოგადოება შევარდნაძეს ხან იმედის და ხან ეჭვის თვალით უყურებდა. პრინცისთვის დამახასიათებელ ეგოიზმს ის ყოველთვის ავლენდა, მაგრამ, ამავე დროს, მთელ დედამიწის ზურგზე ჰქონდა გავარდნილი სახელი, რასაც მისი შეფასებისას ანგარიში ეწეოდა; ხალხი ანგარიშს უწევდა იმას, რომ შევარდნაძეს ანგარიშს უწევდნენ.[7] ამას გარდა, ექსცენტრიკული გამსახურდიას ფონზე შევარდნაძის საერთაშორისო პოლიტიკური გამოცდილება და ის, რომ დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება, საერთაშორისო ორგანიზაციებში ქვეყნის გაწევრიანება და ტრანსნაციონალური პროექტების დაწყება, შევარდნაძის პირადი დამსახურებაც იყო, მის ნომენკლატურულ ფეოდალიზმს, ასე თუ ისე, მოსათმენს ხდიდა. მით უმეტეს, რომ ახლო წარსულში განცდილი და გადატანილი კოშმარის მერე, მისი ეს მინიმალური სტაბილიზაციაც საზოგადოებას ერთი ხანობა სამოთხედ ეჩვენებოდა.

ამის მიუხედავად, ვითარება თანდათან იცვლებოდა, – ვითარება, მაგრამ არა შევარდნაძე, ის იგივე რჩებოდა: არაფერი ახალი და უჩვეულო 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებში მას არ ჩაუდენია – ჩვეულებისამებრ იცრუა და არჩევნების შედეგები გააყალბა. ხალხის მოთმინების ფიალაც აქ აივსო. ზურაბ ჟვანია ჭკვიანი პოლიტიკოსის გუმანით მიხვდა, სადაც უნდა ეშოვა ყველაზე დიდი „სოციალური კაპიტალი“; ის ყველას გულისნადებს გამოხატავდა, როცა ამბობდა: ხალხი *შეურაცხყოფილი* და გაბრაზებულიაო. ხალხის ათასწლოვან ოცნებას მელამ ერთხელაც უკრა თავი ტყუილების გუდაში, მაგრამ მისდა გასაოცრად

ხელი მოეცარა: მისივე მშობელი ხალხის არაერთგზის „გადამგდებელი“ მელაკუდა ამ ჯერზე მისმავე მშობელმა ხალხმა გადმოაგდო პოლიტიკური ოლიმპოდან.

სახელმწიფოს დაბადება სიმართლის სულიდან

შევარდნაძის დამსახურებების ნუსხაში მისი ერთი შემონაქმედი გამორჩევით იწვევს მადლიერების განცდას: ვარდების რევოლუციის დღეებში მან ხალხის ერთსულოვნება და, მაშასადამე, ფუნდამენტური საზოგადოებრივი მოთხოვნის მკაფიო ფორმულირება უზრუნველყო: მისი მმართველობა იმდენად ანტისახალხო და „მაფიოზური“ გახდა, რომ არსებული „წეს-რიგის“ წინააღმდეგ მთელი ქართული საზოგადოება ერთიანად აღდგა, რამაც რევოლუციის წარმატება განაპირობა.

ხალხის ნება მავალდებულებელი გზავნილია ხელისუფლებისთვის. ვარდების გზავნილს ერთადერთი სახელი ერქვა – „სიმართლე!!!“ ეს მესიჯი ხელისუფლებას ჯერ კიდევ როდის გაეგზავნა; “თქვით სიმართლე! – სიმართლის თქმა ყველას გვმართებს!“ – 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომი დღეების ყველაზე პოპულარული ჰიტი, ხალხის პოლიტიკურ იდეალზე მღეროდა. საქართველოს ხალხს წეს-რიგი ანუ სახელმწიფო ენატრებოდა, ოღონდ სამართლიანი, რიგიანი სახელმწიფო და არა პოტიომკინის სოფელი; შესაბამისად – მისი ლიდერიც მართალი პოლიტიკოსი შეიძლებოდა ყოფილიყო და არა – ფლიდი, ვინც არჩევნების შედეგები ტოტალურად გააყალბა.

სხვაგვარი პოლიტტექნოლოიგიის, თუ არა სიცრუეზე აგებულის, შევარდნაძეს, უბრალოდ, არ სწამდა. ცრუპენტელა რიტორიკა და ყალბისმქმნელობა ჩვეულებრივი საბჭოთა პრაქტიკა იყო და გამსახურდიას დროს ანტიკომუნისტური განწყობილების სწრაფი გავრცელებაც კომუნისტური ელიტის ყალბისმქმნელობის მოყირჭებამ და წესიერი (სამართლიანი) პოლიტიკის მონატრებამ განაპირობა. გამსახურდიას ხანაში კომუნისტებმა მცირე ხნით მაინც იბოგინეს ხელისუფლებაში, შევარდნაძის ხანაში კი კომპარტიის გავლენა უკვე გაქარწყლდა, მაგრამ კომუნისტების პარტიული დამღით, სინამდვილეში, ნომენკლატურის კოდური სახელწოდების მქონე ქამელეონი ინიღბებოდა; მისთვის კომუნიზმი, როგორც პოლიტიკური თეორია, მხოლოდ ინსტრუმენტი იყო საკუთარი პლუტოკრატიული ინტერესების სასარგებლოდ; კომუნიზმის გაკოტრებისთანავე ქამელეონმა ფერი იცვალა და, გიორგად გადაქცეული ედუარდის მიბაძვით, გენსეკების პორტრეტების ადგილას კაბინეტებში მარ-

თლმადიდებლური ხატები დაასვენა. შევარდნაძის ელიტას არც კომუნიზმის და არც არანაირი იდეალებისადმი პატივისცემა არასოდეს ახასიათებდა; მას სახელმწიფო მართვის კომუნიზმის დროინდელი ანუ სიყალბეზე და კორუფციაზე აგებული სტილისტიკა ყოველგვარი დოქტრინალური უზრუნველყოფის გარეშეც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. რასაკვირველია, *შევარდნაძის ხელში კორუფცია უნდა აყვავებულიყო და აყვავდა კიდეც.*

პირფერი და ანგარი პოლიტიკის გამო, ხალხი შევარდნაძეს თავის წინამძღოლად (ლიდერად) აღარ აღიქვამდა. ამის საპირისპიროდ, *მიხეილ სააკაშვილის პოპულარობა სწორედ სიმართლის მთქმელი პოლიტიკოსის იმიჯმა განაპირობა. კორუმპირებული მინისტრების სრასახლეების ამსახველი ფოტოების მთავრობის სხდომაზე დემონსტრაციულად გაფრიალება მოქნეულ ხმალზე მჭრელი გამოდგა.*

ვარდების რევოლუციით მობრუნების ერა დაიწყო ქართულ ისტორიაში. უმთავრესი, რაც მოხდა ელიტების დონეზე განხორციელებული ცვლილებაა. შევარდნაძის ელიტას პრინციპულად არ შეეძლო ნორმალური სახელმწიფოს აშენება; შევარდნაძე ძალაუფლების „ფეოდალურ-სამამულო“ (კლანურ-კორუფციული) სისტემის მასაზრდოებელი იყო ახალი დროის საქართველოში (თავის საყვარელ „საგანს“ აკი ნახევარსახელმწიფოს ეძახდა და ეს სწორედ ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა არ ცრუობდა), თუმცა მისი ეს ნახევარსახელმწიფო მაინც სახელმწიფო იყო; ფეოდალურ-მემამულური სისტემისაგან განსხვავებით, რომლის ადეპტებიც თავ-თავის მამულებში ანუ მიწაზე ისხდნენ, შევარდნაძის ნახევარსახელმწიფოს ნომენკლატურული პარაზიტები სახელმწიფო სხეულს ასხდნენ და სახელმწიფოს წოვდნენ სისხლს (ფინანსებს). შევარდნაძის სუსტი, მაგრამ მაინც სახელმწიფო არაერთ მზამზარეულ ინსტიტუტს გულისხმობდა, რომლებიც ახალმა ელიტამ გამოიყენა: ქვეყნის პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემა (კონსტიტუცია, კანონები, პრეზიდენტის ინსტიტუტი, პარლამენტი, ეროვნული ბანკი, პროკურატურა და პოლიცია თუ სხვა) სულაც არ იყო კლანურ და კორუფციულ მმართველობაზე გაწყობილი: სახელმწიფოს იმდენად აშენება არ სჭირდებოდა, რამდენადაც ამოქმედება, ეს კი მმართველი ზედაფენის თავიდან ბოლომდე გადახალისებას მოითხოვდა, რაც ვარდების რევოლუციის შედეგად მოხდა კიდეც. ეს იყო მთავარი, თორემ საკონსტიტუციო ცვლილება და პოლიტიკური სისტემის მორიგი გადაწყობ-გადმოწყობა ყველაზე ნაკლებად საშური საქ-

მე ჩანდა, არადა, ახალმა ხელისუფლებამ (მაშინ ჯერ კიდევ ტრიუმვირატმა) სწორედ ამით დაიწყო.

საერთოდ, საქართველოში სახელმწიფო მშენებლობა ხელოვნური ანუ ზემოდან დაწყებული პროცესია. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ საბჭოური სახელმწიფო ინსტიტუტები, პრაქტიკულად, სრულიად მოიშალა და ახალი საქართველო, როგორც ვნახეთ, ქაოსიდან დაიბადა (ესეც არ იყოს, თვითონ საბჭოური სისტემა იყო რამდენადმე მაინც ხელოვნური ანუ კაბინეტური დოქტრინის თანახმად ზემოდან შექმნილი). ამიტომ სახელმწიფო მშენებლობაში ელიტის (როგორც პოლიტიკურის, ისე სამოქალაქო საზოგადოების ელიტის, პირველ რიგში კი მაინც პოლიტიკური ელიტის) ნება და ორიენტაცია გადამწყვეტია. მთავარი აქ ქართული სინამდვილისთვის ასე მშობლიური „გემაინშაფტ" ორიენტაციის გადალახვაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევ წესრიგის დეფიციტის ხანაში დავბრუნდებით.

ოდესღაც, ქართულ ისტორიაში, სახელმწიფომ ეროზია განიცადა და ინვოლუციის დაღმართს დაუყვა. ახალ დროში სახელმწიფოებრიობა ამ ისტორიული დაღმასვლის უკუპროცესის გზით ღორძინდება, – შემოკლებულ ვადებში და პოსტინდუსტრიული ეპოქის სპეციფიკების ზედ დართვით. ამასთან, თუ თავის დროზე საქართველო, როგორც სახელმწიფო, ქართული თემების სოციალ-ეკონომიკური განვითარების შედეგად წარმოიქმნა, ახლა – პირიქით, საზოგადოების სოციალურ თუ ეკონომიკურ სტრუქტურირებას წინ სახელმწიფო ინსტიტუტების შენება უსწრებს. ამიტომ ეკისრება ელიტას და არა ხალხს გადამწყვეტი როლი. ისტორიულად ჩამოყალიბებული მიზეზის გამო საქართველოს ხალხი ვერც დასავლურ და ვერც ვერანაირ ღირებულებების თარგზე აწყობილ კონკრეტულ პოლიტიკურ პროექტს ხელისუფლებას ვერ შეუკვეთს, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოციალური და ეკონომიკური ნიშნით ლოხი და ამორფულია. სოციალური დაკვეთა კი უკვე ფორმირებული ჯგუფების პოლიტიკური ინტერესის თანახმად ყალიბდება. არა მარტო პოლიტიკური სისტემის მოწყობა, საზოგადოების სოციალური მოდიფიცირებაც მნიშვნელვანწილად პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის გემოვნების და ორიენტაციის საქმე ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შექმნილ პარადოქსულ ვითარებაში მმართველ ელიტას არა მარტო საზოგადოებრივი შეკვეთის შესრულება, არამედ ამ შეკვეთის ფორმირებაც (რამდენამდე მაინც) ეკისრება. ასეთი ამოცანის პირობებში

სოციალური ინჟინერიისთვის ფართო სარბიელი რჩება, მაგრამ კალაპოტი, რომელსაც ის არ უნდა გადასცდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქვემოდან განსაზღვრული და მკაფიოდ გამოკვეთილია – ეს არის ის, რაც ასე ბანალურია, მაგრამ რაც, მიუხედავად ამისა, ასე აკლდა და ენატრებოდა ქართველ ხალხს: *პოლიტიკოსის ხელით აღსრულებული წეს-რიგი, სამართლის ენაზე მოლაპარაკე ლევიათანი ანუ, საბოლოო ჯამში, სამართლებრივი სახელწმიფო*. ამ მოთხოვნისადმი უსიტყვო მორჩილება ის გაუმტყუნარი „სოციალური კაპიტალია," რომელიც ყველა ხელისუფლებამ უნდა დაიუნჯოს, თუკი სურს რაიმე პოლიტიკური პროექტი წარმატებით შეასრულოს.

საფრთხეები

ვარდების ხელისუფლებას საფრთხე სწორედ აქედან ემუქრება. ახალი ელიტა ფუჭად გაფლანგავს ზემოხსენებულ კაპიტალს, ხალხის ნდობას, თუკი კორუფციამ მის რიგებშიც ფეხი მოიკიდა. ხალხს არც ნატო-ში ინტეგრაცია და არც ტერიტორიული მთლიანობა დაუყენებია მთავარი მოთხოვნის რანგში. შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით ხალხმა ყალბისმქმნელობას და კორუფციას, გაუკუღმართებულ პოლიტიკურ მორალს უთხრა უარი. არადა, *ელიტარული* კორუფციის ნიშნები ახალ ხელისუფლებაშიც იმთავითვე შეიმჩნევა. კორუფციის აღმოფხვრის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობის შექმნის მიზნით, ზედა დონის ისტებლიშმენტს – პარლამენტარებს და მინისტრებს – მაღალი ხელფასები დაენიშნა, ცოტა უცნაური კი ის არის, რომ კორუფცია დაბალ დონეზე უფრო შეიკვეცა.[8] პოლიტიკოსთა ახალ, დასავლეთში განათლებამიღებულ და საზოგადოების მოდერნიზაციის ამბიციის მქონე თაობას მრავალსაუკუნოვანი „გემაინშაფტ" კულტურა სერიოზული ცდუნების წინაშე აყენებს. ყბადაღებული სახელმწიფო რეკეტი და საკუთარი ბიზნეს-ინტერესების ლობირება ახალი ნომენკლატურის ფორმირებისაკენ დაქანებული თავქვეა; ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკური ოპოზიციის გარჯის წყალობით, ნაწილობრივ კი თავისი საკუთარი ნებითაც, მმართველმა ბირთვმა ერთი-ორი კორუმპირებული თანაგუნდელი ჩამოიცილა, აღმასრულებელი ხელისუფლების კარუსელიც მოუღლელად ტრიალებს, რაც მინისტრების გაქსუების შესაძლებლობას რამდენადმე მაინც ამცირებს. ამას გარდა, კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ხელისუფლებას ომი ღიად აქვს გამოცხადებუ-

ლი; განათლების რეფორმაც, სხვა სიკეთესთან ერთად, ძლიერი ანტიკორუფციული განაცხადია...

ჯერ-ჯერობით, ალბათ, იმის თქმა უფრო მართებულია, რომ სააკაშვილის ფაზაში სახელმწიფომ არაერთგზის შეუტია კორუფციას და სულ უფრო წარმატებით ახორციელებს ძალადობაზე თავის მონოპოლიურ უფლებას. სააკაშვილის ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით ძალაუფლების განხორციელებაში სერიოზული მოცილე თითქოს აღარ ჰყავს.

მაგრამ ძალაუფლებაც არის და ძალაუფლებაც.

მთავარია, ქვეყანაში დამყარებულ წეს-რიგს დემოკრატიული შინაარსი ჰქონდეს. ჯერ ერთი, ქართველი ხალხი მოითხოვს (მხარს უჭერს) დემოკრატიას (ვარდების რევოლუცია ამის, შეიძლება არა უკამათო, მაგრამ არც მთლად მოკრძალებული საბუთია); მეორეც, გლობალური გავლენები და საგარეო ფაქტორი საქართველოს დასავლური წესრიგისკენ ექაჩება; ამას გარდა, ქვეყნის დემოკრატიული მიმართულებით ევოლუციას, პარადოქსია და, რუსეთიც გვაიძულებს; რუსეთი საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება, რის გამოც დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრირება უსაფრთხოების ერთადერთ რეალურ გარანტიად რჩება. ასეთი ინტეგრირება კი დემოკრატიული რეფორმების გარეშე ვერ მოხდება. *საქართველოს, როგორც ქვეყანას, ან მხოლოდ დემოკრატიული მომავალი აქვს, ან საერთოდ არ აქვს მომავალი. სწორედ დემოკრატიის შესაძლო ეროზიაა ქვეყნის უმთავრესი საფრთხე.*

ქართულ დემოკრატიას ჯერ ძალიან ბევრი ბევრი ნაკლი აქვს: პოლიტიკური სისტემის არასრულყოფილება (სახელისუფლო შტოების არასათანადო გამიჯნულობა და გაუწონასწორებლობა) იქნება ეს, თუ სასამართლო ხელისუფლების სისუსტე; საარჩევნო კანონმდებლობის დაუხვეწაობა, თუ სამოქალაქო საზოგადოების განუვითარებლობა და ისეთი ანტიდემოკრატიული ინსტიტუტის ხელშეწყობა, როგორიც მართლმადიდებელი ეკლესიაა.[9]

სახელმწიფო მშენებლობის სხვა საფრთხეებსა და ნაკლოვანებებს შორის შეგვეძლო დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის, ეთნოუმცირესობების ქართულ საზოგადოებაში სუსტი ინტეგრაციის, ზოგადად, საზოგადოების კონსოლიდირების პრობლემებიც დაგვესახელებინა, მაგრამ საკმარისია...

შენიშვნები:

[1] იხ. Charles King, Potemkin Democracy, *The national Interest* 3. 2001.

[2] საპირისპირო იყო მეოცე საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური მოძრაობის ლიდერების, სოციალ-დემოკრატების, ხედვა: მათი აზრით, ჯერ სოციალური პრობლემა უნდა გადაწყვეტილიყო, ხოლო შემდეგ თავისუფალი მშრომელი ხალხი, ნაციონალურ პრობლემას თავისთავად გადაჭრიდა.

[3] გამონაკლისი იყო, მაგალითად, **ნოდარ ნათაძე** – შემდგომში სახალხო ფრონტის თავმჯდომარე; მას უშიშარი დისიდენტის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ასევე გამონაკლისი იყო **ზურაბ ჭავჭავაძე**; პოლიტპატიმარი ის არ ყოფილა, მაგრამ მოძრაობის ლიდერთა შორის ადგილი თამარ ჩხეიძის დახმარებით დაიმკვიდრა, რომელიც ზურაბთან ტანდემში მოქმედებდა და პოლიტპატიმრის ავტორიტეტული უფლებამოსილების დელეგირებას ახდენდა მასზე; გამონაკლისი იყო თვითონ **გამსახურდია**, რომელმაც მართალია, თავის დროზე აღიარებითი ჩვენების და საჯარო ბოდიშის მოხდით აირიდა სინდისის პატიმრის სახელოვანი, ოღონდ ძნელსათმენი ტიტული, მაგრამ ფართო საზოგადოებამ არასათანადო ინფორმირების, თუ სხვა გარემოების წყალობით, ყიზლარის სამწყემსურში იძულებით გატარებული თვეები გამსახურდიას „ნაჯდომობაში“ მიუთვალა.

[4] იხ. Ghia Nodia, “Putling the State Back Together in Post-Soviet Georgia”, *Beyond State Crisis?* (Woodrow Wilson Center Press, Washington, D.C. 2002).

[5] დათმობები კი, მართლაც, ძალიან მძიმე იყო: შევარდნაძემ დათმო აფხაზეთი, ცხინვალი, რუსეთის ჯარები სამშვიდობოების მანდატით ჩააყენა; დათანხმდა საზღვრების ერთობლივ კონტროლს და სხვა.

[6] ასეთი პრეტენზია შეიძლება **ჯაბა იოსელიანს** ჰქონოდა, თუმცა ის მაინც თეთრი მელიას დაგებულ მახეში გაება. რაც შეეხება „აჭარის ლომს“ **ასლან აბაშიძეს**, მას ლომი მისი თურქული სახელის გამო შეარქვეს (არსლანი თურქულად ლომს ნიშნავს), სინამდვილეში კი ისეთივე მელა იყო, როგორიც შევარდნაძე. საქართველოს „მეორე პოლიტიკური ცენტრის“ ვითომ ლომი, რომელსაც პრეზიდენტმა ელცინმა გენერლის წოდება ღია ეთერში მიანიჭა (?!), თეთრ მელასთან თანხმობაში მართავდა თავის წილ საქართველოს. მელიებს რომ კუდი კუდზე ჰქონდათ გადაბმული, ყველაზე მკაფიოდ ვარდების რევოლუციის დღეებში გამოვლინდა.

[7] ბოსტონის, ჰარვარდის, ატლანტის, ლოს-ანჯელესის, პროვიდენსის, ტრიესტის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, კანტის, ონასისის, ნიქსონის, ჰარვარდის, ვიუნშის, ისრაელის დემოკრატიული ინსტიტუტის პრემიების ლაურეატი და ბერლინის კედლის დამაქცევარი...

[8] ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობის რიგებიდან ოპოზიციაში ხმაურით გადასული ორივე ზურაბიშვილი – სალომეც და დავითიც – ხელისულებას, ფაქტობრივ, ერთსა და იმავეს აყვედრიდა: დავით ზურაბიშვილმა თავისი „განდგომის“ უმთავრეს მოტივად მმართველი გუნდის ახალ კლანად ფორმირების პროცესი დაასახელა; სალომე ზურაბიშვილის თანახმად კი, „საქართველოდან ქაჯები უნდა წავიდნენ“; ქა-

ჯებში მან ის კორუმპირებული მოხელეები იგულისხმა, ვისთვისაც თანამდებობა გამდიდრების იარაღია.

[9] ეკლესია ყველაზე გავლენიანი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა თანამედროვე საქართველოში, ქვეყანაში, სადაც რელიგიური ფანატიზმის მაღალი პოტენციალი არსებობს. ამ ეკლესიასთან ურთიერთობის რეგულირებაზე ქვეყნის მომავალი ევოლუციის ტრაექტორია სერიოზულად არის დამოკიდებული..

ქართული ეკლესია რუსულს ჰგავს და არა მხოლოდ კონფესიური იდენტურობის გამო: ქართულ ეკლესიაზე რუსული ეკლესიის გავლენა დოგმატური და სარწმუნეობრივი საკითხების გარდა პოლიტიკური ღირებულებების და ცივილიზაციური იდენტობის უაღრესად მნიშვნელოვან არჩევანზეც ვრცელდება. რუსული ეკლესია კი ანტაგონისტურად არის მომართული დასავლური საზოგადოებრივი იდეალების მიმართ, რის გამოც ქართულ საზოგადოებაში ძლიერი ანტივესტერნული და შესაბამისად ანტიდემოკრატიული მუხტი გროვდება.

დემოკრატიის თეორია

შერი ბერმანი

როგორ წარმოიშვა დემოკრატიები

გაკვეთილები ევროპიდან

შერი ბერმანი *არის კოლუმბიის უნივერსიტეტის ბარნარდის კოლეჯის ასოცირებული პროფესორი. იგი ავტორია წიგნისა:* პოლიტიკის პრიმატი: სოციალური დემოკრატია და ევროპის მე-20 საუკუნის შექმნა (2006).

დღეს ცოტა სერიოზულ დამკვირვებელს თუ ეპარება ეჭვი, რომ დემოკრატია თანამედროვე პოლიტიკური მმართველობის საუკეთესო ფორმაა. დამაჯერებელმა კვლევებმა აჩვენეს, რომ დემოკრატიები საკუთარი მოქალაქეების უფლებების შელახვისაკენ ნაკლებად არიან მიდრეკილი, თითქმის არ ომობენ ერთმანეთში და ეკონომიკურ განვითარებასაც სხვა რეჟიმებზე არანაკლებ უწყობენ ხელს. განსხვავებით მეოცე საუკუნის უმეტესი ხანებისა, როცა მემარჯვენე და მემარცხენე რადიკალები დემოკრატიის ღირებულებას სკეპტიკურად უყურებდნენ, დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური დისკუსიები მიმდინარეობს არა იმის თაობაზე, რამდენად სასურველია დემოკრატია, არამედ იმის თაობაზე, თუ როგორ მოვახდინოთ მისი პოპულარიზაცია და განვითარება.

ამ მხრივ, ხანგრძლივი დებატები ეგრეთ წოდებულ „პრეკონდიციონისტებს“ (წინაპირობათა თეორიის მომხრეებს) და „უნივერსალისტებს“ შორის მიმდინარეობდა. პირველებს სჯერათ, რომ დემოკრატია, ზოგადად, პირობებისა და გამოცდილების გარკვეული თანხვედრის შედეგად წარმოდგება; მეორენი კი ამტკიცებენ, რომ დემოკრატია ყველა გარემოში და ყველა გზით შეიძლება განვითარდეს. 1950 და 1960-იან წლებში, დებატებში პრეკონდიციონისტები დომინირებდნენ, რომლებიც ყურადღებას სხვადასხვა ეროვნულ წინაპირობაზე და ისეთი ღრმა სტრუქტურული ფაქტორების მნიშვნელობაზე ამახვილებდნენ, როგორიცაა სო-

ციოეკონომიკური განვითარების დონე, სოციოეკონომიკური თანასწორობისა და ჯგუფების პოლარიზაციის ხარისხი, მიწის საკუთრებისა ან სოფლის მეურნეობის წარმოების მოდელები ან ცალკეული რწმენებისა თუ კულტურული თავისებურებების დომინანტობა. სადაც ამ ფაქტორების გარკვეული კონფიგურაცია არსებობდა, მოსალოდნელი იყო დემოკრატიზაციის წარმატება; ხოლო იქ, სადაც ეს თანხვედრა არ ხდებოდა, დემოკრატიზაციის შანსი მცირე იყო. პრეკონდიციონისტების აზრით, პოლიტიკის შემოქმედებს სჭირდებოდათ გათვალისწინება და აღიარება იმ „საკამათო, შეიძლება ტრაგიკული ფაქტისა, რომ მსოფლიოს უმეტეს ნაწილში დემოკრატიის განსავითარებლად და შესანარჩუნებლად პირობები არ არსებობს ან, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ სუსტადაა წარმოდგენილი.“[1]

ამის საპირისპიროდ, უნივერსალისტები ამტკიცებდნენ, რომ დემოკრატია სხვადასხვა გზით და სხვადასხვა ვითარებაში შეიძლება წარმოიშვას და გაიფურჩქნოს. მათ სჯეროდათ, როგორც დანკუართ რასტოუმ აღნიშნა 1970 წელს, რომ მეცნიერებმა „უარი უნდა თქვან *ფუნქციური აუცილებლობების* ძიებაზე და სკეპტიკურად მიუდგნენ იდეას, რომ „ეკონომიკური განვითარების მინიმალური დონე“ ან საზოგადოებრივი სტრუქტურის ცალკეული ტიპები „დემოკრატიის აუცილებელი პრერეკვიზიტებია“.[2] გლობალური დემოკრატიზაციის „მესამე ტალღამ“, რომელიც 1974 წელს დაიწყო, ძლიერი ბიძგი მისცა უნივერსალისტების ხედვას, ვინაიდან ავტორიტარულიდან დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლა ათობით ქვეყანაში განხორციელდა – მათ შორის, ბევრ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც პრეკონდიციონისტები მსგავსი ცვლილებისათვის მზად არ მიიჩნევდნენ. შედეგად, მეცნიერებამ წარმატებულ დემოკრატიასთან დაკავშირებულ *სტრუქტურებს* ნაკლები, ხოლო დემოკრატიული ტრანზიციის *პროცესს* მეტი ყურადღება დაუთმო.

დემოკრატიზაციის ამ ახლებურ ხედვას, თავის მხრივ, დემოკრატიის, როგორც საგარეო-პოლიტიკური საკითხის, წინ წამოწევა მოჰყვა. ვინაიდან „დემოკრატიზაცია, უპირატესად, პოლიტიკური ფაქტორებით არის გამოწვეული“, ამტკიცებდნენ აქტივისტები, „ბევრ ახლად გადემოკრატიებულ და გარდამავალ ქვეყანაში, პოლიტიკურ და სოციალურ ძალებს შორის არსებული მყიფე ბალანსის გათვალისწინებით, საერთაშორისო აქტორებს პოლიტიკური განვითარების კურსზე გავლენის მოხდენის რეალური შესაძლებლობა ექმნებათ.“[3] შედეგად, შეიქმნა მრავალი ორგანიზაცია, საგანგებოდ დემოკრატიის პოპულარიზაცი-

ის მიზნით და მის მხარდასაჭერად. დასავლური სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო და უფრო მეტ თანხას – ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს – მთელ მსოფლიოში უამრავ სამიზნეზე ხარჯავენ.

მოგვიანებით, 90-იან წლებში, როცა რამდენიმე ახალი დემოკრატიული ტრანზიცია მიმდინარეობდა და ზოგიერთი ადრინდელი ჩიხში მოექცა ან საწინააღმდეგო მიმართულებით განვითარდა, გულგატეხილობამ და დაქანცულობამ იჩინა თავი. კლინტონის ადმინისტრაციამ დემოკრატიის პოპულარიზაცია დღის წესრიგის პრიორიტეტად აქცია; დროს არ ჩამორჩა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციაც, რომელიც ხელისუფლების სათავეში 2001 წელს მოვიდა და პირობა დადო გაეტარებინა „თავდაჭერილი" საგარეო პოლიტიკა და მეტი ყურადღება დაეთმო დიდ სახელმწიფოებს შორის ტრადიციული ურთიერთობებისთვის.

11 სექტემბრის თავდასხმამ ვითარება კიდევ ერთხელ შეცვალა; ბევრი დარწმუნდა, რომ დემოკრატიზაციის გავრცელება ისეთი მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს. კლინტონის გუნდის არგუმენტებს, რომ დემოკრატია პოზიტიური რამ არის, ბუშის ახალმა გულმოდგინე გუნდმა დაამატა, რომ დემოკრატიის არქონა საშიშია და ანტიამერიკული რადიკალიზმის შესაძლო წყაროს წარმოადგენს. მათ დემოკრატიისთვის ხელშეწყობა არა უბრალო ღირსეულ დისკრეციულ მოქმედებად, არამედ უსაფრთხოების იმ გადაუდებელი პრობლემების გადაჭრის გზად დასახეს, რომელთაც ტირანია და ტერორიზმი წარმოქმნის. მიუხედავად იმისა, თუ რას ამბობდნენ პრეკონდიციონისტები, ახალი უნივერსალისტები ამტკიცებდნენ, რომ უმთავრესია უმძიმესი პაციენტების – მუსლიმური ახლო აღმოსავლეთის ავტორიტარული რეჟიმების – განკურნება. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ დემოკრატია შეიძლება აყვავებულიყო იქ, სადაც მანამდე არც კი არსებობდა. ისე ჩანს, რომ მათ მართლა სჯეროდათ „შოკური თერაპიისა" და „დიდი აფეთქების" მიდგომებისა[4] – დემოკრატიზაციას წინ არაფერი დაუდგება, გზიდან ჩამოაცილებენ ავტორიტარულ რეჟიმებს. ამის შემდეგ დემოკრატიული სტრუქტურები და ინსტიტუტები სპონტანურად განვითარდება, რადგან ყველა ხალხი ესწრაფვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლად თავის თავის მართვას.

ბუშის ადმინისტრაციის პოსტ-თერთმეტისექტემბრისეული მიდგომა ერაყის ომით გამოიხატა. მაგრამ, რადგან ომის შემდგომი ერაყის დემოკრატიული ექსპერიმენტი შეფერხდა, ხოლო ლიბანსა და პალესტი-

ნაში ჩატარებულმა დემოკრატიულმა არჩევნებმა ხელისუფლების სათავეში ისეთი რადიკალი ისლამისტები მოიყვანა, როგორიც ჰეზბოლა და ჰამასია, ბუშის გუნდის მიდგომა კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა როგორც მიამიტი და დაუფიქრებელი. ამას პრეკონდიციონისტების ახალი ტალღა მოჰყვა. მათ ეჭვი არ ეპარებათ, რომ დემოკრატიამ მართლა შეიძლება მოიტანოს ის სიკეთე, რასაც მას მიაწერენ, მაგრამ პრაქტიკაში დემოკრატია ვითარდება მხოლოდ იქ, სადაც საამისო პირობები არსებობს და ქვეყნები განვითარების გარკვეულ ბილიკს მიჰყვებიან. ფარიდ ზაქარია ამბობს, რომ დემოკრატიული ექსპერიმენტი, რომელიც ისეთ ქვეყანას მოახვიეს თავს, სადაც ლიბერალიზმის ისტორია არ არსებობს (რაც გულისხმობს კანონის უზენაესობას და სახელმწიფოს ნებას და შესაძლებლობას, დაიცვას ადამიანის თავისუფლება), შესაძლებელია ცუდად დამთავრდეს.[5] ედვარდ მენსფილდი და ჯეკ სნაიდერი ხაზგასმით აღნიშნავენ „იმ ხიფათებს, რომლებიც შეიძლება წარმოდგეს, როცა დემოკრატიული ტრანზიცია არ მიმდინარეობს ხელსაყრელი თანმიმდევრობით“, ისეთით, როდესაც „ძლიერი პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც ქმედითუნარიანს ხდიან დემოკრატიას (როგორიცაა ეფექტური სახელმწიფო, კანონის უზენაესობა, ორგანიზებული პარტიები...და პროფესიული მედია)“ უშუალოდ დემოკრატიზაციის დაწყებამდე ვითარდება.[6]

პრეკონდიციონისტებს სჯერათ, რომ დემოკრატიისთვის განურჩევლად ხელის შეწყობა სასიკეთოს არაფერს მოიტანს. ვინაიდან შედეგი არახელსაყრელ შემთხვევებში არის არა პროგრესი, არამედ – არასტაბილურობა და არალიბერალიზმი. მაგალითად, ბევრ შემთხვევაში ზაქარია ღიად უჭერს მხარს ავტორიტარულ რეჟიმებს, რადგან სჯერა, რომ ისინი სუსტ დემოკრატიებზე მეტად შექმნიან წინაპირობას მოგვიანებით წარმატებული დემოკრატიზაციისათვის. მენსფილდი და სნაიდერი ამტკიცებენ, რომ „დემოკრატიზაციის ცუდად მომზადებულმა მცდელობებმა“ იმ ქვეყნებში, „სადაც წარმატებული კონსოლიდაციისათვის ინსტიტუციური წინაპირობები ჯერ-ჯერობით არ არსებობს, . . შეიძლება მოკლე პერიოდში ხარჯიან ომამდე მიგვიყვანოს, ხოლო ხანგრძლივ პერიოდში გადადოს ან ხელი შეუშალოს რეალურ პროგრესს დემოკრატიისაკენ.“[7]

მიუთითებენ რა მესამე ტალღის ჩაცხრომას და მესოპოტამიასა და ლევანტში შექმნილ პრობლემებზე, ახალი პრეკონდიციონისტები საკუთარ თავს რეალისტებად მიიჩნევენ. ირონია აქ ისაა, რომ მათი ხედვის

ძირითად პრობლემას ის წარმოადგენს, რომ ეს ხედვა, სინამდვილეში, რეალისტური სულაც არ არის. ის წარმოაჩენს განვითარების მოდელს, რომელიც ძალიან იშვიათი იყო წარსულში და ასეთივედ რჩება აწმყოში. თითქმის ყველა დემოკრატიის ისტორია გადატრიალებებით, კონფლიქტებითა და ძალადობითაც კი იყო აღსავსე. კაცმა რომ თქვას, მთავარი გაკვეთილები, რასაც ეს ისტორია გვასწავლის, უბრალო პრეკონდიციონისტებისა ან უბრალო უნივერსალისტების ხედვაში ზუსტად ვერ ჯდება: მართლაც, ყველა ჯურის ქვეყანას შეუძლია გაიაროს წარმატებილი დემოკრატიული განვითარება, მაგრამ ეს პროცესი, ჩვეულებრივ, გრძელი და მტკივნეულია თვით ყველაზე ხელსაყრელად განლაგებული ქვეყნებისთვისაც კი. ასე რომ, წარსულის მაგალითების გაგება უმნიშვნელოვანესია საიმისოდ, რომ დემოკრატიზაციისა და დემოკრატიის ხელშეწყობის დღევანდელი დისკუსიები სათანადო ინტელექტუალურ და ისტორიულ კონტექსტში მოექცეს.

დემოკრატიის წინაისტორია

საუკეთესო გზა იმის გასაგებად, თუ როგორ განვითარდა სტაბილური, კარგად ფუნქციონირებადი დემოკრატიები, არის შესაბამისი ქვეყნების მიერ უშუალოდ გავლილი პოლიტიკური ტრაექტორიების ანალიზი. უმეტესწილად, ამას დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის შესწავლისაკენ მივყავართ.[8] მართლაც, ბევრი მიიჩნევს, რომ ინგლისი არის მაგალითი პოლიტიკური განვითარების იმ თანმიმდევრობისა ან მოდელისა, რომელიც სტაბილური დემოკრატიული შედეგისაკენ მიგვიყვანს – მოდელისა, რომელსაც ახასიათებს თანდათანობითი ცვლილება და დემოკრატიაზე გადასვლამდე ლიბერალიზმი და ქმედუნარიანი სახელმწიფო. ამ კატეგორიაში ინგლისთან ერთად ხშირად შეერთებულ შტატებს, სკანდინავიას და ქვემო ქვეყნებსაც (ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი) მოიხსენიებენ, თუმცა ბევრ მეცნიერს გასჩენია კითხვა, თუ რამდენად ეთანადება ჩამოთვლილი ქვეყნებიდან რომელიმე განვითარების აღნიშნულ მოდელს.[9] თანამედროვე განვითარებულ ლიბერალურ დემოკრატიებს შორის ძალიან ცოტამ თუ გაიარა ინგლისისეული გზა. უფრო მეტიც, თუ კარგად გადავხედავთ, წინა ისტორია უმეტესი მათგანისა, ისეთივე მშფოთვარე და უამურია, როგორც ყველაფერი ის, რასაც თანამედროვე განვითარებადი სამყარო გვთავაზობს.

თანამედროვე ბრძოლა დემოკრატიისათვის ევროპაში 1789 წელს საფრანგეთის რევოლუციით დაიწყო. როგორი ზარ-ზეიმითაც შეხვდნენ მთელ მსოფლიოში მეოცე საუკუნის დემოკრატიზაციის მესამე ტალღას, ისეთივე განწყობა სუფევდა მემკვიდრეობითი ავტორიტარული რეჟიმის დამხობის მიმართ საფრანგეთში, რაც ბევრმა თანამედროვემ ახალი ერის გარიჟრაჟად დასახა. მხარდამჭერები მთელს კონტინენტზე იაკობინელი რევოლუციონერების მსგავსად იმოსებოდნენ, ინტელექტუალები კი პარიზს მიაწყდნენ, რათა ძლევამოსილი პროგრესული ხდომილების მონაწილენი გამხდარიყვნენ. როგორც პრელუდიის მეექვსე წიგნში ინგლისელმა პოეტმა უილიამ უორდსუორთმა დაწერა:

სიხარულისგან თრთოდა ევროპა,
ოქროს საათებს მიითვლიდა ფრანგთა ქვეყანა,
თითქოს თავიდან, სულ თავიდან
ადამიანი იბადებოდა.

თუმცა, მალე ყველამ გარდამავლობის მთავარი გაკვეთილი აითვისა: ერთია ავტორიტარული რეჟიმისგან თავის დაღწევა, სხვა რამ – სტაბილური დემოკრატიული რეჟიმის შექმნა.

პრობლემებმა საფრანგეთის *ძველი რეჟიმის* დამხობისთანავე იჩინა თავი. ახალი პოლიტიკური წესრიგის დამყარების პირველი რეალური მცდელობა 1791 წელს განხორციელდა: გამოცხადდა კონსტიტუციური მონარქია შეზღუდული საარჩევნო უფლებით – ერთგვარი ზომიერი რეფორმა, რომელსაც მეცნიერები მიესალმებიან ხოლმე, მაგრამ ხალხს იგი იშვითად აკმაყოფილებს. რეაქციონერებიც და რადიკალებიც წინააღმდეგნი იყვნენ, და ეს უკანასკნელნი ჭარბობდნენ. 1793 წელს მეფე ლუი XVI-ს თავი მოკვეთეს. გამოცხადდა რესპუბლიკა საყოველთაო საარჩევნო უფლებითა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ფართო სპექტრის დანერგვის ვალდებულებით. გაჩნდა ევროპის პირველი თანამედროვე დემოკრატია.

მას დიდი დღე არ ეწერა. ახალი რეჟიმი, რომელიც შინ და გარეთ დემოკრატიის მტრებს განადგურებით ექადნებოდა, მალე საშინაო და საგარეო ომებში გაეხვია. 1793 და 1974 წლებში ტერორის ბატონობა დამყარდა. ისტორიკოსების მიახლოებითი გამოთვლებით, 20 ათასიდან 40 ათასამდე ადამიანი სიკვდილით დასაჯეს „კონტრევოლუციური“ ქმედებებისათვის. რაღაც პერიოდის შემდეგ „იმედგაცრუებული“ უორდსუორთი წერდა, რომ ეს იყო დრო, როცა

...ყველა მკვდარია: მტერი, მოყვარე,
ნებისმიერი პარტიის წევრი,

ნებისმიერი ასაკის თუ ჩინის მქონე,
თავს მოსდევს თავი და, რაც გინდა ბევრი,
ის არასოდეს ჰყოფნის შემკვეთებს.[10]

ეს ის არ იყო, რასაც ხალხის უმრავლესობა ცვლილებათა შედეგად ელოდა. და, აი, 1799 წელს გაუცხოებული და ღონეგამოცლილი საფრანგეთი ახალგაზრდა გენერლის, ნაპოლეონ ბონაპარტის წინამძღოლობით განხორციელებულ სახელმწიფო გადატრიალებას დანებდა.

დაახლოებით ერთი ათწლეულის განმავლობაში საფრანგეთმა განვლო გზა მემვიდრეობითი დიქტატორობიდან დემოკრატიამდე, ომამდე და საშინაო ქაოსამდე, და მერე ისევ უკან დიქტატორობისაკენ – თუმცა უფრო ახალი და, ალბათ, უფრო ავბედითი სამხედრო დიქტატორობის სახით. და მაინც, მიუხედავად ფრანგული დემოკრატიის სწრაფი და სახელგატეხილი დამარცხებისა, მისი მემკვიდრეობა ძლიერი და ხანგრძლივი აღმოჩნდა. ამ მემკვიდრეობას ეკუთვნის, მაგალითად, ტრადიციული აბსოლუტიზმის აღუდგენლობა. მიდგომები და მოლოდინები შეიცვალა; რევოლუციის პერიოდში განხორციელებულმა რეფორმებმა ძველი რეჟიმის მხარდამჭერ ბევრ სოციოეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებს მოუღო ბოლო.[11] როცა 1814 წელს ნაპოლეონი ახალმა მეფემ ბურბონების დინასტიიდან – ლუი XVIII-მ შეცვალა, მისი მეფობა კონსტიტუციით იყო შეზღუდული, რომელიც ორპალატიან პარლამენტს აწესებდა, ყველა ფენის წარმომადგენელ მამაკაცს საარჩევნო უფლებას ანიჭებდა და კანონის წინაშე თანასწორობას, პრესის თავისუფლებას და სხვა სამოქალაქო თავისუფლებებს ადგენდა.

მეორე, მემკვიდრეობიდან ნაკლებ პოზიტიური იყო უკიდურესად გახლეჩილი საზოგადოება, რაც ხშირად პოლიტიკურ არასტაბილურობასა და ძალადობაში იჩენდა თავს. მდგომარეობის სრულად გაკონტროლების შეუძლებლობისა და რეაქციონერების მიერ „თეთრი ტერორის“ გაჩაღების შიშით, ლუი XVIII-მ და მისმა მემკვიდრე შარლ X-მ (ორივე გილიოტინაზე თავმოკვეთილი ლუი XVI-ის ძმა იყო) რეპრესიებს მიმართეს და შეეცადნენ, ალიანსი რელიგიურ კონსერვატორებთან დაემყარებინათ, რომლებიც მხარდაჭერის სანაცვლოდ განათლებაზე, კულტურულ საქმიანობასა და საზოგადოების მორალზე არსებით კონტროლს იღებდნენ. ამ ტენდენციამ კულმინაციას 1829 წელს მიაღწია, როცა შარლ X-მ მთავარ მინისტრად რელიგიური ფანატიკოსი – იული დე პოლინიაკი დანიშნა. მთავრობის ექსტრემიზმა და ხალხის საჭიროებებიდან მოწყვეტამ მომავალ წელს სამოქალაქო ომი გამოიწვია.

საბოლოოდ, შარლ X გააძევეს და 1830 წელს იგი საკმაოდ ზომიერმა და ლიბერალურმა პოლიტიკურმა წესრიგმა შეცვალა ორლეანელთა დინასტიიდან ახალი მეფის – ლუი-ფილიპის – მეთაურობით. ახალმა რეჟიმმა სასულიერო წოდებისა და არისტოკრატიის ძალაუფლების დასუსტება სცადა და ამავდროულად საარჩევნო უფლება საშუალო (მაგრამ არა დაბალი) ფენის წარმომადგენლებსაც მიანიჭა. მაგრამ ასეთმა კურსმა, რასაც ახლა შეიძლება „ლიბერალურ-ავტორიტარული“ ვუწოდოთ, კვლავ ფრანგული საზოგადოების ფართო ფენების პროტესტი გამოიწვია. რეაქციონერები, დემოკრატები და დაბალი ფენების წარმომადგენლები – ყველა თანაბრად პოულობდა მიზეზს ამ კურსის უარსაყოფად. საბოლოოდ, საშუალო ფენის დაკმაყოფილებაც ვერ მოხერხდა. შედეგად, არასტაბილურობა და ძალადობა განახლდა. 1848 წელს, პოლიტიკური ცვლილების განხორციელების ზეწოლამ როგორც საფრანგეთში, ისე დანარჩენი ევროპის უმეტეს ნაწილში კრიტიკულ მომენტს მიაღწია.

1848 წლის რევოლუცია

თავიდან პოლიტიკური არეულობა შედარებით მშვიდობიანი ფორმებით მიმდინარეობდა – საფრანგეთის საშუალო ფენის წარმომადგენლები აწყობდნენ „რეფორმის ბანკეტებს“, სადაც რეჟიმის საწინააღმდეგო მოწოდებები გაისმოდა და ალტერნატიული პოლიტიკა განიხილებოდა. ორლეანის მონარქია შეეცადა, ყურადღება არ მიექცია ამ უკმაყოფილებისათვის, მაგრამ მდგომარეობა რომ გართულდა, ჩახშობა სცადა. ამან მოსახლეობის მზარდი ფენები კიდევ უფრო გააღიზიანა და უფრო დიდ და ფართომასშტაბიან დაპირისპირებას შეუწყო ხელი. ერთი ასეთი ხოცვა-ჟლეტა ბრბოსა და სამთავრობო შენაერთებს შორის ორმოცი ადამიანის სიკვდილით დასრულდა. ამ მკვლელობებს პარიზის ამბოხება მოჰყვა. მზარდი ძალადობის პირობებში მეფე ინგლისში გაიქცა.

როგორც ექვსი ათწლეულის წინ, 1848 წელს ფრანგული რეჟიმის მსხვრევის პოლიტიკური შოკის ტალღებმა მთელ ევროპას გადაუარეს. ნიდერლანდებიდან შვეიცარიამდე და სკანდინავიიდან იტალიამდე პოლიტიკური ცვლილებების მოთხოვნით ხალხი ქუჩებში გამოვიდა. კონტინენტის, ვითომდა, ყველაზე მტკიცე დიქტატორული რეჟიმებიც კი მოწყვლადნი აღმოჩდნენ. მაგალითად, ავსტრიის იმპერიაში იმპერატორი

ფერდინანდი იძულებული შეიქნა გაეთავისუფლებინა კლემენს ფონ მეტერნიხი (რომელიც, არსებითად, ათწლეულების განმავლობაში უძღვებოდა იმპერიას), მიეღო რეფორმები, რომლებიც კვეცდნენ იმპერიის თავადაზნაურობის პრივილეგიებს და იმპერიის შემადგენელ ერებს ეროვნული ასამბლეების არჩევის ნება დართო. ამასობაში, ფერდინანდის პრუსიელი კოლეგა მეფე ფრედერიკ უილიამ IV იძულებული გახდა, ეროვნული ასამბლეის მოწვევისა და რეფორმისტული კონსტიტუტციის მიღების პირობა დაედო. როგორც ერთი მეცნიერი შენიშნავს, „პრუსიის მოვლენებმა თითქოსდა დააგვირგვინა და საბოლოო გახადა აბსოლუტიზმის დამხობა“ ევროპაში.[12]

მიუხედავად იმისა, რომ 1848 წელს პროტესტით გამომსვლელები არსებული ავტორიტარული და ნახევრად ავტორიტარული წესრიგის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთსულოვანნი იყვნენ, სხვა დანარჩენში მათი აზრი არ ემთხვეოდა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ძველი რეჟიმების დამხობა უფრო ადვილია, ვიდრე ახლების სტაბილიზება. 1848 წლის მაისში ფრანკფურტში გერმანულენოვანი მიწების რვაასზე მეტი წარმომადგენელი შეიკრიბა, რათა გერმანიის ისტორიაში პირველი დემოკრატიულად არჩეული პარლამენტი მოეწვია, რომელმაც „ფუნდამენტური უფლებების დეკლარაცია“ გამოსცა. ამით სიტყვისა და რელიგიის თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორობა და წარმომადგენლობითი მთავრობა იქნა აღიარებული. მაგრამ რადიკალები და ზომიერი ფრთის წარმომადგენლები ვერ შეთანხმდნენ დაეფუძნებინათ თუ არა რესპუბლიკა, მაშინ, როცა სხვა ფრაქციები კამათობდნენ იმის თაობაზე, ახალი ქვეყნის ფარგლებში ავსტრია უნდა შესულიყო თუ არა. ფრედერიკ უილიამ IV, უბრალოდ, იცდიდა; მან კარგად იცოდა, რომ, რაც უფრო დიდხანს გაგრძელდებოდა კამათი და გაურკვევლობა რეფორმების გარშემო, მით უფრო გაძლიერდებოდა მისი პოზიცია. როცა საბოლოოდ 1849 წლის აპრილში ფრანკფურტის პარლამენტმა მას ახალი, ლიბერალური და გაერთიანებული გერმანიის გვირგვინი შესთავაზა, მან უარი თქვა, პარლამენტი დაითხოვა და საპასუხო გამოსვლები სისხლში ჩაახშო.

ამასობაში, საფრანგეთში ახლად არჩეული ეროვნული ასამბლეის ამოცანა იყო, უწესრიგობისა თუ რადიკალიზმისათვის ხელი შეეშალა. ასამბლეამ ეროვნულ გვარდიას მოუწოდა, იმ მუშებისათვის მიეხედა, რომლებიც სწრაფ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს ითხოვდნენ. იმ დროსთვის, როცა ყველაფერი ჩაწყნარდა, 4500 ადამიანი იყო

მოკლული და 12 ათასი დაპატიმრებული. ამან საშუალება მისცა ხელისუფლებას, შეენარჩუნებინა კონტროლი, მაგრამ მუშა კლასისა და დაბალი ფენების დიდი ნაწილის გაუცხოების ფასად. როცა 1848 წლის დეკემბერში პირველი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა (საყოველთაო საარჩევნო უფლებით), პოპულისტმა ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტმა (ნაპოლეონ ბონაპარტის დისშვილმა) გაიმარჯვა.

ლუი-ნაპოლეონმა რესპუბლიკის დასუსტება მისი ინსტიტუტების მოტყუებითა და უშუალოდ, ხალხისადმი აპელირებით დაიწყო. როცა ასამბლეამ მისთვის მეორეჯერ ოთხწლიანი საპრეზიდენტო ვადით არჩევის უფლების მისაცემად კონსტიტუციის გადასინჯვაზე უარი განაცხადა, მან გადაწყვიტა, საკანონმდებლო ორგანოზე პირდაპირი იერიში მიეტანა. 1851 წლის დეკემბერში მისმა ერთგულმა სამხედრო შენაერთებმა პარიზი დაიკავეს და მისი მოწინააღმდეგები დააპატიმრეს. ამ თვით-გადატრიალების საწინააღმდეგო გამოსვლების სასტიკად ჩახშობის შემდეგ ლუი-ნაპოლეონმა საზოგადოებას მისი ხელისუფლების დასამტკიცებლად პლებისციტი შესთავაზა. საბოლოო ჯამში, უმრავლესობამ მის თანამდებობაზე დარჩენას დაუჭირა მხარი, და შემდგომ თვეებში ლუი-ნაპოლეონმა ახალი კონსტიტუცია გამოაქვეყნა. ამან საფრანგეთში ერთგვარი პოპულისტურ-ავტორიტარული პოლიტიკური სისტემა შექმნა, რომელშიც პრეზიდენტის ძალაუფლება ძალიან ფართოდ მოიაზრებოდა, საკანონმდებლო შტოს ძალაუფლება კი შესაბამისად დაკნინებული იყო.

პირველი მსოფლიო ომისაკენ

1850-იანი წლების დასაწყისში დემოკრატიულმა ტალღამ, რომელმაც კონტინენტს 1848 წელს გადაურა, მნიშვნელოვნად უკან დაიხია. მაგრამ, როგორც ადრე, მან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ბევრი ევროპელი პირველად გახდა დემოკრატიული პარლამენტების მოწვევის მოწმე და ერთად შეიკრიბა პოლიტიკურ ცვლილებებათა განხორციელების მოთხოვნით. ეს დემოკრატიის შესანარჩუნებლად არასაკმარისი აღმოჩნდა, მაგრამ ავტორიტარულმა მმართველებმა მიიღეს გაფრთხილება, რომ, თუ ისინი საკუთარი მზარდი მობილიზებული და პოლიტიკურად გაცნობიერებული მოსახლეობის მოთხოვნებს ყურადღებას არ მიაქცევდნენ, საფრთხეში ჩაიგდებდნენ თავს. და მართლაც,

გვიანი მე-19 საუკუნე ევროპაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების პერიოდად იქცა.

იტალიასა და გერმანიაში ეროვნული გაერთიანების პროცესებმა პოლიტიკის დღის წერიგში პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული კითხვები დააბრუნა. იტალიაში გაერთიანება მეტ-ნაკლებად 1860-იანი წლებისთვის დასრულდა; ახალ ქვეყანას შეიძლება ითქვას ლიბერალური (მაგრამ არადემოკრატიული) რეჟიმი მართავდა, რომელიც კონსტიტუციურ მონარქიას, საპარლამენტო მთავრობას და შეზღუდული საარჩევნო უფლებით არჩეულ ქვედა პალატას მოიცავდა. მიუხედავად ამისა, ახალი რეჟიმი ახალი ქვეყნის წინაშე არსებულ მილიონობით პრობლემას ვერ გაუმკლავდა და კორუფციისა და არაეფექტურობის თავისებურ ფორმაში – ე.წ. *transformismo*-ში – ჩაეფლო. ფრუსტრაციისა და უკმაყოფილების ზრდას არასტაბილურობის, ექსტრემიზმისა და ძალადობის ათწლეულები მოჰყვა.

გერმანიაში, გაერთიანებულ რაიხში, რომელიც 1871 წელს პრუსიის მიერ საფრანგეთის სამხედრო დამარცხების შემდეგ შეიქმნა, შეიძლება ითქვას, რბილი ანუ ლიბერალური ავტორიტარული რეჟიმი დამყარდა. პრუსიის მეფე, რომელიც კაიზერის (ცეზარის) სტატუსამდე დაწინაურდა, ერთპიროვნულად განაგებდა საგარეო პოლიტიკას, მაგრამ ადგილობრივი ძალაუფლება ორ საკანონმდებლო ორგანოსთან უნდა გაეზიარებინა: უფრო კონსერვატიულ ბუნდესრატთან (რომელიც შედგებოდა დელეგატებისაგან გერმანიის შემადგენელი მიწებიდან, სადაც საარჩევნო უფლება ფართოდან უკიდურესად შეზღუდულამდე მერყეობდა) და დემოკრატიულად არჩეულ რაიხსტაგთან. კაიზერი ქვეყანას არაპირდაპირი წესით განაგებდა – კანცლერის (რომელსაც პარლამენტის თამხმობა მნიშვნელოვანი კანონის მისაღებად სჭირდებოდა, მაგრამ არა თანამდებობაზე დასარჩენად) და კანონის უზენაესობის ფარგლებში მოქმედი საკმაოდ ეფექტური საჯარო სამსახურის მეშვეობით.

ამ პოლიტიკურად ნახევრად შემდგარ უწყებას პრობლემები ოტო ფონ ბისმარკის – გერმანული გაერთიანების შემოქმედის და რაიხის პირველი კანცლერის – 1890 წელს იძულებით პენსიაზე გაშვებამდეც დაეწყო. მოსახლეობის სულ უფრო მზარდი ნაწილი განიცდიდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ვერ აიძულებდა მთავრობას, მისი საჭიროებები და მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. რეჟიმმა პოლიტიკური ცვლილებების ადვოკატების (როგორებიც სოციალ-დემოკრატები და კათოლიკეები იყვნენ) გაჩუმება სცადა, მაგრამ ამან საბოლოოდ ამ პოლი-

ტიკური ჯგუფებისადმი მხარდაჭერა კიდევ უფრო განამტკიცა და გაზარდა. გვიან მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისში ამ ჯგუფებმა და სხვებმა ხალხის მზარდი მხარდაჭერა და ხმები რაიხსტაგში პოლიტიკური რეფორმის გასატარებლად მეტი ზეწოლის განსახორციელებლად გამოიყენეს.

1914 წლისთვის პოლიტიკური ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის მომხრე პარტიებს ამომრჩეველთა უმეტესობა უჭერდა მხარს. მაგრამ ამ ტენდენციასთან ერთად სხვა შემაშფოთებელმა ტენდენციამაც იჩინა თავი: ეროვნული პოლიტიკური ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების ნაკლებობის პასუხად გერმანელთა მზარდმა რაოდენობამ ეროვნულ პოლიტიკურ ასპარეზს ზურგი აქცია და პოლარიზებული და ხშირად ექსტრემისტული სამოქალაქო ჯგუფებისკენ იბრუნა პირი.[13] შედეგად, პირველი მსოფლიო ომის გარიჟრაჟზე გერმანია სამთავრობო კრიზისის, სოციალური დაძაბულობის და მზარდი პოლიტიკური გაუცხოების პირისპირ აღმოჩნდა, აგრეთვე იმ საფრთხის წინაშე, რომ ზოგიერთი კონსერვატორი შეეცადა საზოგადოების ყურადღება დემოკრატიზაციის პროცესიდან სხვა საკითხზე გადაეტანა და ამ მიზნით რისკიანი სამხედრო ავანტიურა წამოეწყო.[14]

პირველ მსოფლიო ომამდე ათწლეულების განმავლობაში მზარდი პოლიტიკური უკმაყოფილება და პოლიტიკური ცვლილებების მოთხოვნა ევროპის სხვა ნაწილებშიც შეიმჩნეოდა. ავსტრიის (უფრო სწორად, 1867 წლის შემდეგ ავსტრო-უნგრეთის) იმპერიამ, მაგალითად, საპასუხოდ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა, მათ შორის, საპარლამენტო ხელისუფლების ფორმირება და ავსტრიაში საარჩევნო უფლების გაფართოება, პროვინციებში საკანონმდებლო ორგანოების აღდგენა და უნგრეთში 1848 წლის კონსტიტუციის აღდგენა. მაგრამ ამ ნაბიჯებმა კრიტიკა ვერ ჩააცხრო და, შესაბამისად, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის იმპერიის პოლიტიკური სტრუქტურები და წესრიგი უკვე ძლიერი დარტყმის ქვეშ მოექცა.

ესპანეთშიც პოლიტიკურ არასტაბილურობასა და ტრანზიციას ჰქონდა ადგილი. 1868 წელს დედოფლის ჩამოგდების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ქვეყანა ვერ შეთანხმდა, თუ ვის ან რას უნდა შეეცვალა იგი. შედეგად, 1873 წლიდან 1874 წლამდე ხანმოკლე რესპუბლიკა დამყარდა, რომელსაც 1876 წელს ახალი კონსტიტუცია მოჰყვა. ეს კონსტიტუტიცია დაახლოებით ბრიტანეთის დაუწერელი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების მიხედვით იყო შედგენილი და შეზღუდულ სა-

არჩევნო უფლებას, ორპალატიან პარლამენტს და საკანონმდებლო ორგანოს წინაშე მთავრობის მინისტრების ანგარიშვალდებულებას ადგენდა. მიუხედავად ამისა, ამ რეჟიმმა, ბევრი მისნაირი თანამედროვე რეჟიმის მსგავსად, ქვეყნის პრობლემებთან გამკლავება ვერ შეძლო და კიდევ უფრო გააუარესა მდგომარეობა დაბალი ფენების მოთხოვნების მუდმივად უარყოფის გზით, რითაც არასტაბილურობისა და ძალადობის ზრდას მისცა დასაბამი.

საფრანგეთში გერმანელებთან სამხედრო მარცხმა და შედეგად ლუი-ნაპოლეონის დამხობამ საფრანგეთის საზოგადოების შიგნით ბრძოლები გააჩაღა. 1871 წლის მაისში პარიზის კომუნამ დედაქალაქი აიღო. როგორც რვა ათწლეულის წინანდელი რევოლუციური პარიზის ქალაქის მთავრობის პირველი კომუნარები, ეს კომუნარებიც რადიკალურ ცვლილებებს ითხოვდნენ და ქვეყნის წინაშე არსებულ პრაქტიკულ პრობლემებს არად აგდებდნენ. ამან კომუნის მოწინააღმდეგეებს საშუალება მისცა, კვლავ მოეპოვებინათ მხარდაჭერა და პარიზზე სამხედრო იერიში მიეტანათ. მოვლენების დასრულების მომენტისათვის 20 ათასი ადამიანი მკვდარი იყო, კომუნა განადგურებული და ქვეყანა კი კვლავ ქმედუნარიანი პოლიტიკური წესრიგის აღდგენას ცდილობდა. 1875 დაფუძნდა მესამე რესპუბლიკა, რომელმაც მომდევნო ათწლეულებში სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების დაცვა და გაფართოება, მუშათა პირობების გაუმჯობესება და მნიშვნელოვანი საგანმანათლებო, კულტურული და ეკონომიკური რეფორმების გატარება შეძლო; მაგრამ მის საქმიანობას კონსერვატორების, მონარქისტების და რელიგიური ძალების მუდმივი მტრობა აბრკოლებდა. ქვეყანაში მდგომარეობას ართულებდა ღრმა პოლიტიკური და სოციალური დაყოფაც, რამაც იფეთქა კიდეც მოგვიანებით, 1894-1906 წლებში, დრეიფუსის საქმის სახით.

ვარსკვლავთა წყობა

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროისთვის, ევროპას აღმავალი პოლიტიკური უკამყოფილების, მზარდი პოლიტიკური მობილიზაციისა და სოციალური დაყოფების გაღრმავების ათწლეულების გამოცდილება ჰქონდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, მაგრამ ცოტა ქვეყანამ თუ შეძლო სრულ პოლიტიკურ დემოკრატიაზე გადასვლა. თავის მხრივ, ომსაც დრამატული, მაგრამ შერეული

პოლიტიკური ეფექტი მოჰყვა. მისმა დასასრულმა ძველი რეჟიმი დაამსხვრია და დემოკრატიული ტალღის წარმოქმნას შეუწყო ხელი, რომელმაც გერმანიას, ავსტრიას, შვედეთს, პოლონეთს, ფინეთს, უნგრეთს, ჩეხოსლოვაკიასა და სხვა ქვეყნებს გადაუარა (მათ შორის, თავდაპირველად რუსეთსაც, თუმცა მოგვიანებით ეს შედეგები კატასტროფულად შეცვალა ბოლშევიკურმა რევოლუციამ). მაგრამ ომის შედეგებმა ამ ახალ რეჟიმებსა და მათ გამოუცდელ საზოგადოებას მემკვიდრეობად უზარმაზარი გამოწვევები დაუტოვა: მშვიდობიანობის საზოგადოებაში ვეტერანთა უზარმაზარი რაოდენობის ინტეგრირება, განადგურებული ეკონომიკა, ინფლაცია და ზოგჯერ რეპარაციების გადახდის ვალდებულება, სასტიკი მემარცხენე და მემარჯვენე ოპოზიციური მოძრაობები და, დამარცხებულთა შემთხვევაში, ეროვნული ღირსების შელახვა.

არაა გასაკვირი, რომ ბევრი ამ ახალგაზრდა დემოკრატიებიდან, უბრალოდ, პრობლემათა სიჭარბემ წალეკა. მათი უმეტესობა სუსტი იყო და არა ერთი მზარდი პოლიტიკური ძალადობის წინაშე აღმოჩნდა. შედეგები საზოგადოდ ცნობილია. 1922 წლიდან მოყოლებული იტალია ფაშიზმში გადავარდა, გერმანია – ეროვნულ სოციალიზმში, ხოლო 1930-იან წლებში ესპანეთი და ავსტრია სამოქალაქო ომსა და დიქტატორულ რეჟიმებში. სხვები, მათ შორის, ჯერ კიდევ სერიოზულად გახლეჩილი საფრანგეთი, დასუსტდა და ნაცისტური საომარი მანქანისათვის, რომელიც პირველად 1939 წელს ჰიტლერმა პოლონეთის წინააღმდეგ გამოიყენა, იოლი ნადავლი აღმოჩნდა. 1940-იან წლებში ბრიტანეთი ნაცისტების პირისპირ თითქმის უიმედო იზოლაციაში მოექცა, ხოლო დემოკრატიული ტალღა, რომელმაც კონტიტენტს სულ რაღაც ერთი თაობის წინ გადაუარა, მხოლოდ მოგონებად იქცა.

ფაქტობრივ, ევროპის ხანგრძლივი ბრძოლა დემოკრატიული განვითარებისათვის საბოლოოდ მხოლოდ 1945 წელს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებასთან ერთად დასრულდა (და ისიც მხოლოდ მის დასავლეთ ნაწილში). ახლა ნათელია, რომ ომმა და მისმა შედეგებმა დემოკრატიის კონსოლიდაციისათვის სრულყოფილი პირობები შექმნეს. კონტინენტის ძველი ავტოკრატიული რეჟიმები საბოლოოდ დამარცხდა და ბევრ შემთხვევაში ისინი ხანგრძლივმა ოკუპაციამ შეცვალა. საზოგადოდ, ავტორიტარიზმი დისკრედიტირებული აღმოჩნდა, ხოლო მისი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა მნიშვნელოვნად შესუსტდა. მსოფლიო უძლიერესმა დემოკრატიამ – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა – ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეკონსტრუქციაში მნიშვნელო-

ვანი წვლილი შეიტანა; ხოლო თავად ევროპული საზოგადოება, სხვადასხვა ალტერნატივის მოსინჯვის შემდეგ მიხვდა, რომ დემოკრატია საუკეთესო პოლიტიკური არჩევანია.

ევროპულმა ერებმა თავისი რეჟიმების მშენებლობის პროცესში საკმაოდ დიდი დემოკრატიული გამოცდილების გაზიარება შეძლეს. თვით ისეთი ქვეყნებიც კი, როგორებიცაა იტალია და გერმანია, სადაც ადგილობრივად აღმოცენებული დიქტატორული რეჟიმები ბატონობდნენ, ძირითადი ინსტიტუტები და დემოკრატიის პრაქტიკა – პოლიტიკური პარტიები, პარლამენტები, ადგილობრივი მმართველობა და თავისუფალი პრესა, როგორც წინა პოლიტიკური ლიბერალიზაციის გადმონაშთები, ნაცრიდან აღსადგენად და გასაცოცხლებლად გამოსადეგი აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს, ვარსკვლავები დაეწყო და ევროპაში საუკუნენახევრის წინ დაწყებული ბრძოლა დემოკრატიისათვის წარმატებით დაგვირგვინდა.

კლაკნილი ბილიკით დემოკრატიისაკენ

რას გვიჩვენებს ეს მოკლე ისტორიული ექსკურსი? თუ სხვას არაფერს, იმას მაინც, რომ, როგორც პრეკონდიციონისტების, ისე უნივერსალისტების უკომპრომისო ხედვა შეუმცდარი არაა. დემოკრატია დასავლეთ ევროპაში სხვადასხვა გზითა და სხვადასხვა ადგილობრივ კონტექსტში განვითარდა. მაგრამ ეს განვითარება ადვილად, მშვიდობიანად ან რაიმე პირდაპირი, საფეხურეობრივი პროგრესიით არასდროს მიმდინარეობდა.

თვით იმ შემთხვევებმა, რომლებიც დემოკრატიული განვითარების ვებერისეული „იდეალური ტიპების“ ყველაზე ახლო შესატყვისადაა მიჩნეული, გაცილებით უფრო მეტი სიძნელე გადაიტანეს, სანამ სტაბილურ და მომწიფებულ დემოკრატიად ჩამოყალიბდებოდნენ, ვიდრე ამას ბევრი აღიარებს. გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, ინგლისში დემოკრატიის განვითარებას ძალიან მშფოთვარე წინაისტორია ჰქონდა. გავიხსენოთ ინგლისის სამოქალაქო ომის ძალადობით აღსავსე პერიოდი (პერიოდული ბრძოლებით 1642-1651 წლებში), რომელიც ოლივერ კრომველის რესპუბლიკურმა, მაგრამ დიქტატორულმა თანამეგობრობამ (1649-53) და შემდეგ პროტექტორატმა (1653-59) შეცვალა; ეს იყო ერთი ადამიანის – ჯერ კრომ-

ველის, ხოლო შემდეგ მისი შვილის – რიჩარდის მმართველობა. ეს უკანასკნელი 1659 წლის მაისში გადადგა. ამას მოჰყვა 1660 წელს სტიუარტების მონარქიის აღდგენა.

როგორც ბარინგტონ მურ უმცროსი და სხვები შენიშნავენ, მე-17 და მე-18 საუკუნის ინგლისში ძალადობისა და ნგრევის გარეშე (ბრიტანეთის კუნძულებზე უკანასკნელი სახმელეთო ბრძოლა 1746 წელს კალოდენ მურზე მოხდა, ირვენესის, შოტლანდიის მახლობლად), მე-19 საუკუნეში დემოკრატიის მშვიდობიანი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა.[15] ნუთუ ინგლისმა იმიტომ აიცილა ის არეულობა, რომელიც ევროპაში 1789-1914 წლებში მიმდინარეობდა, რომ საკუთარი მღელვარების უდიდესი ნაწილი სწორედ მე-17 საუკუნეში გადაიტანა?[16] თავის მხრივ, შეერთებულ შტატებს სამოქალაქო ომის (1861-65) – ყველაზე სისხლიანი კონფლიქტი მის ისტორიაში – გადატანა დასჭირდა, რომ დემოკრატიის ნამდვილ ბილიკზე შეებიჯებინა და შემდეგ კიდევ ერთი საუკუნე, რომ დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებები მთელი თავისი მოსახლეობისთვის გაეზიარებინა.

იდეა, რომ დემოკრატიისაკენ ეტაპობრივი, ლიბერალური გზა არსებობს და არ უნდა ვუბიძგოთ დემოკრატიზაციისკენ ქვეყნებს, რომლებიც ამ გზას არ მიჰყვებიან – ქიმერაა, რომელიც ისტორიის არასწორად წაკითხვასა და გაგებაზეა დამყარებული. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გზა უთუოდ მიმზიდველია თეორიაში, სინამდვილეში, ძალიან ცოტა შემთხვევაა, როცა სტაბილური და ქმედუნარიანი დემოკრატიები ასეთი გზით განვითარებულიყვნენ. მართლაც, უმეტესი დემოკრატიების პოლიტიკური წინაისტორია ბრძოლების, კონფლიქტებისა და თვით ძალადობის ისტორიაა. პრობლემებს და წარუმატებლობებსაც კი დემოკრატიის წარმატებისათვის ხელი არ შეუშლია; რეტროსპექტივაში, პრობლემები და წარუმატებლობები შეიძლება განვიხილოთ როგორც არადემოკრატიული ინსტიტუტების, ელიტების და კულტურების დელეგიტიმაციის, მათი საბოლოოდ აღმოფხვრის და დემოკრატიული წარმატებების დამკვიდრების ხანგრძლივი პროცესის განუყოფელი ნაწილი. ბევრი თანამედროვე ანალიტიკოსი ამას ისტორიული რაკურსის მწირი ცოდნის გამო ვერ აცნობიერებს: ისინი ხშირად უგულებელყოფენ ან არასწორად ხსნიან, ჩვეულებრივ, არეულ და არამიმზიდველ გზას, რომელიც თანამედროვე სტაბილური დემოკრატიების მთელმა დასმა გაიარა.

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დღეს ბევრი ახალგაზრდა დემოკრატია სუსტია, არაფექტური, არალიბერალური და ხშირად ოდნავ მეტი, ვიდ-

რე პარლამენტსგარე და ხშირად სასტიკი გარჩევების ასპარეზი. ბევრი ქვეყნის პირველი ან ადრეული დემოკრატიის ექსპერიმენტები არ იყო მშვიდობიანი. ჰოდა, რატომ უნდა იყოს ახლად გამოჩეკილი დემოკრატიები ასეთი? თუ საფრანგეთს – თანამედროვე ევროპული დემოკრატიის სამშობლოს – 150 წელზე მეტი და არაერთგზისი ძალადობა დასჭირდა მყარი და წარმატებული დემოკრატიული ინსტიტუტების შესაქმნელად, რატომ ველით, რომ მსოფლიოს ბევრ სხვა ნაწილში დემოკრატიის კონსოლიდაცია რამდენიმე წელიწადში მოხდება? როგორც საფრანგეთისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების შემთხვევაში, ასეთი წარუმატებელი ექსპერიმენტები შეიძლება კულტურული სწავლებისა და ინსტიტუტების მშენებლობის ხანგრძლივი პროცესების გადამწყვეტი შემადგენელი ელემენტი აღმოჩნდეს – პროცესების, რომლებიც საბოლოოდ დემოკრატიული მთავრობის წარმოშობისა და აყვავების შესაძლებლობას იძლევა.

რა თქმა უნდა, უნივერსალისტები მართლები არიან, როცა ხაზს უსვამენ, რომ სიკეთეებს, როგორიცაა მშვიდობა, თავისუფლება და კეთილდღეობა, სწორედ დემოკრატიის პირობებში ეძლევათ გაფურჩქვნისა და ზრდის შესაძლებლობა და, რომ დემოკრატიის არარსებობამ შეიძლება, მართლაც, მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის განვითარებასაც კი. თუმცა პრეკონდიციონისტები ასევე მართლები არიან, როცა ამტკიცებენ, რომ დემოკრატიის ამოქმედება მტკივნეული პროცესია და, რომ ფორმალური ინსტიტუტების თავდაპირველი დემოკრატიზაცია ხანგრძლივი და ძნელი პროცესის მხოლოდ პირველი საფეხურია. საბოლოოდ, დემოკრატიის ხელშეწყობაზე მზრუნველი პოლიტიკის შემოქმედები ორი არჩევანის წინაშე დგანან. ერთი, პროგრესულ პოლიტიკურ განვითარებას ზურგი აქციონ, ავტორიტარული სტაბილურობის ზერელე გათვლებს მიენდონ და იმედი იქონიონ, რომ ნებისმიერი ნეგატიური შედეგი მათი სარბიელიდან წასვლის დიდი ხნის შემდეგ და დეტალებში ჩაკირკიტების გარეშე დადგება; მეორე, იმის აღიარებაში მდგომარეობს, რომ დიდია ალბათობა იმისა, რომ ბევრი ახალი დემოკრატია არამიმზიდველი და წარუმატებელიც კი შეიძლება აღმოჩნდეს; და კიდევ იმის გაცნობიერებაში, რომ გარე ძალისხმევის უდიდეს ნაწილს მხოლოდ მარგინალური გავლენა ექნება დემოკრატიზაციაზე ან დემოკრატიულ კონსოლიდაციაზე. ამ ვარაუდების გათვალისწინებითა და იმის გაცნობიერებით, რომ მყარი დემოკრატია დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ კრუნჩხვებისა და ბიძგების და იქნებ დიდი

არეულობის შედეგადაც განვითარდეს, მათ შეუძლიათ მაინც მიიღონ მხარდაჭერის გადაწყვეტილება. არაა საამო სიმართლე, მაგრამ პოლიტიკაში, ისე როგორც ეკონომიკაში, უფასო სადილი არ არსებობს.

შენიშვნები:

[1] Robert A. Dahl, "The Democratic Mystique: How the United States Misconstrues Central America", *New Republic,* 2 აპრილი 1984. ზოგიერთი კლასიკური „პრეკონდიციური" ნამუშევარია Seymour Martin Lipset, *Political Man: The Social Bases of Politics* (Garden City, N.Y.: Doubleday, 1960); Robert A. Dahl, *Polyarchy: Participation and Opposition* (New Haven: Yale University Press, 1971); Gabriel Almond, Sydney Verba, *The Civic Culture: Political Attitudes and Democracy in Five Nations* (Princeton: Princeton University Press, 1963).

[2] Dankwart Rustow, "Transitions to Democracy: Toward a Dynamic Model", *Comparative Politics 2* (აპრილი 1970), 352.

[3] Larry Diamond, *Promoting Democracy in the 1990s: Actors and Instruments, Issues and Imperatives* (New York: Carnegie Corporation, 1995): 60-61.

[4] „დიდი აფეთქების" მიდგომის ახსნისათვის მისი ერთ-ერთი ადვოკატის მიერ, იხილეთ Thomas P.M. Barnett, *The Pentagon's New Map: War and Peace in the Twenty-first Century* (New York: Putnam, 2004). „დიდი აფეთქების" ბარნეტისეული მოკლე განმარტებისათვის იხილეთ www.thomaspmbarnett.com/glossary/htm

[5] Fareed Zakaria, *The Future of Freedom: Illiberal Democracy at Home and Abroad* (New York: W.W. Norton, 2003). ფრენსის ფუკუიამა ასევე ამტკიცებს, რომ „სუსტი ან არშემდგარი სახელმწიფოები მსოფლიოს ბევრი ყველაზე სერიოზული პრობლემის წყაროა" და სჯერა, რომ ასეთ სახელმწიფოებში მცხოვრებ საზოგადოებებს კარგად გამართული დემოკრატიის (ან ეკონომიკის) შენარჩუნება არ ძალუძთ. Francis Fukuyama, *State Building: Governance and World Order in the Twenty-First Century* (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 2004).

[6] Edward Mansfield, Jack Snyder, *Electing to Fight: Why Emerging Democracies Go to War* (Cambridge: MIT Press, 2005).

[7] Edward Mansfield, Jack Snyder, *Electing to Fight,* 3, 265.

[8] დასავლეთის იქით, აღმოსავლეთ აზიის „ვეფხვებს" – განსაკუთრებით, სამხრეთ კორეასა და ტაივანს – ხშირად აქებენ, როგორც განვითარების ასეთი მოდელის მაგალითებს, რომელსაც, სავარაუდოდ, მყარი დემოკრატიისაკენ მივყავართ. ზოგიერთს აღუნიშნავს, რომ მსგავს შემთხვევებში, დემოკრატიისათვის აუცილებელი ყველა წინაპირობა (როგორიცაა კანონის უზენაესობა, ძლიერი სახელმწიფო და ეკონომიკური განვითარება) არსებობდა ტრანზიციის დაწყებამდე. ამას გარდა, ბევრმა ამ წინაპირობების არსებობა ტრანზიციამდე არსებული ავტორიტარული რეჟიმების დამსახურებად ჩათვალა, რითაც კიდევ ერთი ქულა ჩაუწერა მოსაზრებას, რომ დემოკრატიის ინფრასტრუქტურის განსავითარებლად მყარი ავტორიტარული რეჟიმები სუსტ დემოკრატიებზე უკეთესია.

ამ შემთხვევების ყველაზე აშკარა პრობლემა მათი ანომალიური ბუნებაა: ყოველ სამხრეთ კორეას მოიძებნება ჩრდილოეთ კორეა და ყველა ტაივანს – ზიმბაბ-

ვე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაცილებით მეტი მაგალითი არსებობს მტაცებლური, არალიბერალური ავტორიტარული რეჟიმებისა, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ ძალაუფლების შენარჩუნებას და საკუთარი საზოგადოებების ექსპლუატაციას, ვიდრე ავტორიტარული რეჟიმებისა, რომლებიც დემოკრატიის საფუძველს ქმნიან და შემდგომ მშვიდობიანად იფარებიან ისტორიის მტვერით. ევროპის შემთხვევაში, ამ ქვეყნების ანალიზი ხშირად ისტორიული კონტექსტის ცოდნის ნაკლებობით ხასიათდება. მაგალითად, სამხრეთ კორეის პოლიტიკური ისტორია 1972 წელს ჩუნგ ჰის პოლიტიკურ დიქტატორად გახდომასთან ერთად არ დაწყებულა; მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ქვეყანა 1950-1953 წლებში კორეის ომის (რომელიც ბევრ სხვა რამესთან ერთად, სისხლიანი სამოქალაქო ომი იყო) დემოკრატიული, მაგრამ ხანმოკლე მეორე რესპუბლიკის (1960-61) და 1961 წლიდან სულ ცოტა ნაწილობრივი დემოკრატიის მომსწრე გახდა. შესაბამისად, უცნაურია სამხრეთ კორეის წარმოჩენა, როგორც ავტორიტარული რეჟიმის კეთილისმყოფელი მესაჭეობის ქვეშ ეტაპობრივი, ლიბერალურ-პოლიტიკური განვითარების ბილიკზე მავალი ქვეყნისა.

იგივე ტენდენცია იჩენს თავს ჩილეს – მესამე ტალღის დემოკრატიზაციის შედარებით წარმატებული მაგალითის – შემთხვევაში: ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატებები ავგუსტო პინოჩეტის ავტორიტარული რეჟიმის დამსახურებადაა მიჩნეული. ეს უგულებელყოფს ჩილეს ხანგრძლივ, პინოჩეტამდე არსებულ დემოკრატიის ისტორიას, ისე როგორც იმ ფაქტს, რომ ეს ქვეყანა დიდხანს ლათინური ამერიკის ყველაზე ძლიერ და ეფექტურ სახელმწიფოდ იყო მიჩნეული. იხილეთ Arturo Valenzuela და Lucia Dammert, "A 'Left Turn" in Latin Amrica? Problems of Success in Chile", *Journal of Democracy* 17 (ოქტომბერი 2006): 66-67.

[9] ლიტერატურა, რომელიც ინგლისის პოლიტიკური განვითარების დღემდე აღიარებულ მოდელს კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს, საკმაოდ ფართოა. დასაწყისისთვის ორი კარგი ნაშრომია David Blackbourn და Geoff Eley, *Peculiarities of German History (*New York: Oxford University Press, 1984); George Dangerfield, *The Strange Death of Liberal England* (Stanford: Stanford University Press, 1997).

[10] როგორც მოხსენიებულია შემდეგ ნაშრომში: Adam Gopnik, "Headless Horseman: The Reign of Terror Revisited", *New Yorker* (5 ივნისი 2006), 80.

[11] კერძოდ, რევოლუციამ გაანადგურა ფრანგული თავადაზნაურობა და მიწები ჩამოართვა კათოლიკურ ეკლესიას და მნიშვნელოვნად დააკნინა იგი.

[12] Gordon Craig, *Europe, 1815-1914* (New York: Harcourt Brace Jovanovich, 1989), 132.

[13] Sheri Berman, "Civil Society and the Collapse of the Weimar Republic", *World Politics* 49 (აპრილი 1997): 3, 49.

[14] Fritz Fischer, *Germany's Aims in the First World War* (New York: W.W. Norton, 1967); Fritz Fischer, *War of Illusions: German Policies from 1911 to 1914* (New York: W.W. Norton, 1975); Eckert Kehr, *Battleship Building and Party Politics in Germany, 1894-1901* (Chicago: University of Chicago Press, 1983). მართლა ჰქონდა თუ არა გერმანიის საგარეო და სამხედრო პოლიტიკას 1914 წლის ზაფხულში ასეთი საფუძველი, ცხარე კამათის საგანია; საპირისპირო ვერსიების შესახებ იხილეთ: John A. Moses, *The Politics of Illusion* (London: George Prior, 1975).

[15] ჰენს მურმა თავის კლასიკურ დისკუსიას ინგლისის პოლიტიკური განვითარების შესახებ „ინგლისი და ძალადობის წვლილი გრადუალიზმში“ (England and the Contributions of Violence to Gradualism) უწოდა. ეს იყო პირველი თავი მის კონსტრუქციულ ნაშრომში, *Social Origins of Dictatorship and Democracy: Lord and Peasant in the Making of the Modern World* (Boston: Beacon, 1966).

[16] ინგლისისა და ბრიტანეთის დანარჩენი ნაწილის მიერ გადატანილი სისხლიანი არეულობის მასშტაბი უზარმაზარი იყო. ისტორიკოს საიმონ შეიმას მიახლოებითი გამოთვლებით, 1660 წელს, „ბრიტანეთის ომების პირველი რაუნდის“ დასასრულს, შეჯახებათა შედეგად (შიმშილითა და ავადმყოფობით დაღუპულთა ჩათვლით) ინგლისის, შოტლანდიისა და უელსის მასშტაბით, სულ მცირე, 250 ათასი ადამიანი დაიღუპა. მსგავსი, ომთან დაკავშირებული მიზეზების გამო ირლანდიაში დაახლოებით 200 ათასი დაღუპული ადამიანის მიმატების შემდეგ, შეიმა ასკვნის, რომ „სიკვდილიანობა, ბრიტანეთის არქიპელაგის ხუთი მილიონი მოსახლეობის პროპორციასთან მიმართებაში, ბრიტანეთის დანაკარგს პირველ მსოფლიო ომში გაცილებით აღემატება (1914-1918). Simon Schama, *A History of Britain, Vol. II: The Wars of the British, 1603-1776* (New York: Hyperion, 2001), 13.

დაიანა პერკისი აღნიშნავს, რომ „ყოველი ოთხიდან ერთი მამაკაცი [ინგლისის სამოქალაქო ომის დროს] ერთი ან მეორე მხარის ჯარში მსახურობდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასში ქმედუნარიანი მამაკაცების უმრავლესობა იყო ჩაბმული.“ Diane Purkiss, *The English Civil War: Papists, Gentlewomen, Soldiers, and Witchfinders in the Birth of Modern Britain* (New York: Basic Books, 2006), 3.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ სართანიამ

Journal of Democracy, 2007 იანვარი, 1

თომას ქაროდერზი

თანმიმდევრული საფეხურების ილუზია

თომას ქაროდერზი არის კარნეგის ფონდის დემოკრატიის და კანონის უზენაესობის პროექტის დირექტორი და ვიცე-პრეზიდენტი საერთაშორისო პოლიტიკისა და მმართველობის დარგში. მისი ბოლო წიგნია „კონფრონტაცია სუსტ რგოლთან: პოლიტიკური პარტიების დახმარება ახალ დემოკრატიებში“ (2006).

90-იანი წლების მეორე ნახევარში კონტრრეაქცია მოჰყვა დემოკრატიასა და მის განვითარებასთან დაკავშირებულ თავბრუდამხვევ ენთუზიაზმს, რასაც ადგილი ჰქონდა დემოკრატიის მესამე ტალღის პიკის ხანაში – 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში. აღმოჩნდა, რომ გლობალური დემოკრატიზაცია უფრო მეტი ოდენობით იქნა მიწოდებული, ვიდრე იყო მასზე მოთხოვნილება. ამის გაგებას მოჰყვა რამდენიმე პოლიტიკური ექსპერტისა და მკვლევარის დამაჯერებელი სტატიების წყება, რომლებიც პესიმისტურ და ფრთხილ ხედვას გადმოსცემდნენ. ფარიდ ზაქარია შეშფოთებული იყო ახლად არჩეული ლიდერების სახიფათო ქმედებებით, რომლებიც პერუდან და არგენტინიდან მოყოლებული ფილიპინებსა და ყაზახეთამდე ზღუდავდნენ ადამიანთა უფლებებს და ბოროტად იყენებდნენ ძალაუფლებას. ამან ათქმევინა, რომ სწრაფი დემოკრატიზაცია „არალიბერალური დემოკრატიის“[1] შავ ჭირს ავრცელებდა. ყოფილ იუგოსლავიაში, ყოფილ საბჭოთა კავშირსა და კიდევ არაერთგან სისხლიანი კონფლიქტების გამო შეშფოთებული ედვარდ მენსფილდი და ჯეკ სნაიდერი ირწმუნებოდნენ, რომ დემოკრატიის რელსებზე გარდამავალი ქვეყნები უფრო მეტად არიან მიდრეკილი კონფლიქტებისადმი, ვიდრე სტაბილურად ავტოკრატიული სახელმწიფოები.[2] აზიის სხვადასხვა ნაწილში გაჩაღებულმა ეთნოკონფლიქტების საფუძველზე კი ემი ჩუამ დაასკვნა, რომ „ბაზარზე დომინანტი უმცირესობების“ მქონე ქვეყნებში დემოკრატიზაციისა და საბაზრო რეფორმის ერთდროული წარმოება იწვევს ეთნიკურ კონფლიქტს და ანტისაბაზრო რეაქციას.[3]

მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდება ფოკუსის არეალები და ანალიტიკური ჩარჩოები, ეს განსხვავებული მოსაზრებები ერთი ცენტრალური არგუმენტის გარშემო ერთიანდება, რასაც შეიძლება ეწოდოს მოთხოვნა დემოკრატიულ თანმიმდევრობაზე. ამ აზრით, შეცდომაა იმის ფიქრი, თითქოს დემოკრატიზაცია – განსაკუთრებით ღია, ეროვნულ არჩევნებში – ყოველთვის კარგი იდეა იყოს. თუ ქვეყანა საამისოდ მზად არ არის, დემოკრატიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს (და ხშირად იწვევს კიდეც) არასასურველი შედეგები – ხელისუფლებაში არალიბერალი ლიდერები ან ექსტრემისტები, საშიში ნაციონალიზმი, ეთნიკური და სხვა სახის სამოქალაქო კონფლიქტები, ომი სახელმწიფოთა შორის. ასეთი შედეგების თავიდან ასაცილებლად, ვიდრე საზოგადოების დემოკრატიზაცია დაიწყებოდეს, უკვე უნდა არსებობდეს გარკვეული წინაპირობები, უპირველეს ყოვლისა, კანონის უზენაესობა და კარგად ქმედითი სახელმწიფო აპარატი. ამდენად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და, ზოგადად, დასავლეთმა უნდა გადახედოს თავის მიდგომას და ვალდებულებას დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებით. ზოგიერთ ქვეყანაში არსებული ავტოკრატიული რეჟიმის შენარჩუნება უკეთესი ალტერნატივაა. როდესაც გარე აქტორებს სურთ ხელი შეუწყონ არადემოკრატიულ საზოგადოებაში პოზიტიურ პოლიტიკურ ცვლილებას, ისინი უნდა დაეხმარონ იმით, რომ ასწავლონ კანონის უზენაესობა და სახელმწიფოს გამართული ფუნქციობა. მხოლოდ ამ წინაპირობების შემზადების შემდეგ შეიძლება გარე აქტორებმა არჩევნები ჩაატარებინონ და ხელი შუწყონ იმას, რასაც თანამიმდევრული საფეხურების მომხრეები (სეკვენციალისტები) თავშეკავებით „მასობრივ პოლიტიკურ მონაწილეობას“[4] ან „მასობრივ პლებისციტებს უწოდებენ.“[5]

დემოკრატიული სეკვენციალიზმი ერთი ნაწილია დემოკრატიის გლობალური პერსპექტივის მიმართ სკეპტიციზმისა, რამაც პოპულარობა 90-იანი წლების ენთუზიაზმის მესამე ტალღის საპასუხოდ მოიპოვა. ეს უფრო ფართო გაგების „დემოკრატიული პესიმიზმი“ ყველაზე მკაფიოდ ჟურნალისტ რობერტ კაპლანის[6] გახმაურებულ ნაშრომებში ჩანს. ამ მეტად განზოგადებულ პესიმისტურ ხედვაში სეკვენციალიზმმა სასიცოცხლო ადგილი დაიკავა თავისი კონკრეტული პოლიტიკური გათვლებითა და ინტუიციური მიდგომებით. ის ირწმუნება, რომ სწორედ თანმიმდევრული ეტაპებით არის შესაძლებელი დემოკრატიული ცვლილების გონივრული განხორციელება და მისი უსაფრთხოების დაცვა; მხოლოდ კანონებისა და ინსტიტუციების მჭიდროდ ნაკეთებ გალიაში თუ

მოაქცევ ახლად აღზევებული მასებისა და ახლად არჩეული ლიდერების პოტენციურად ფეთქებად, წინასწარ გამოუცნობ ქმედებებს.

სეკვენციალიზმი თბილად მიიღეს საერთაშორისო პოლიტიკურ საზოგადოებაში. ტრადიციული რეალისტები, რომელთაც გულზე არ ეხატებოდათ პროდემოკრატიული პოლიტიკის წინსვლა 80-იან და 90-იან წლებში, მოხარულნი იყვნენ დამატებითი არგუმენტების გაჩენით, რაც დემოკრატიის გავრცელების შეფერხებას ასაბუთებდა და მეგობრულ ავტოკრატიებთან გულითადი ურთიერთობების შენარჩუნებას განამტკიცებდა. ტრადიციული დეველოპმენტალისტები, რომლებიც კვლავ ერთგულებენ ძველი სკოლის მოდერნიზაციის თეორიის იმ აზრს, რომ განვითარება წინ უნდა უსწრებდეს დემოკრატიას და წუხდნენ დემოკრატიის გავრცელების უცაბედი აღზევების გამო, აღაფრთოვანა მოკავშირეთა ახალი გუნდის გამოჩენამ. დაბოლოს, ზოგიერთ არადემოკრატიულ ქვეყანაში ხელისუფლების წარმომადგენლებმა სიხარულით აიტაცეს თანამიმდევრობის ეს იდეა; აქაოდა, ჩვენი მხრიდან პოლიტიკური შეჯიბრის მიუღებლობა, სინამდვილეში, ჯანსაღი დემოკრატიის შენებას ითვალისწინებსო სამომავლოდ.

სეკვენციალიზმი ამ ათწლეულშიც აგრძელებს ყურადღების მიპყრობას და მიმდევრების მოპოვებას. ზაქარიას, მენსფილდის, სნაიდერისა და ჩუას თავდაპირველი სტატიები განივრცო და წარმატებული წიგნების სახე მიიღო.[7] დემოკრატიის მუდმივმა გამოცდებმა და შეჭირვებებმა, დაწყებული ყოფილ საბჭოთა კავშირში მისი ღრჭიალით სვლიდან და დამთავრებული ლათინურ ამერიკაში პოპულიზმის ზრდით, მმართველობის ამ ფორმისადმი პესიმისტურ განწყობას ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა. ამას ზედ დაერთო სავალალო შედეგები ახლო აღმოსავლეთში ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკისა, თითქოს ამ უკანასკნელს აქ ოდენ დემოკრატიის გავრცელების სურვილი ამოძრავებდეს. პოსტ-სადამურ ერაყში დემოკრატიის შენების არცთუ წარმატებულსა და იმედიან მცდელობას სეკვენციალისტები აღიქვამენ როგორც კიდევ ერთ მაგალითს იმისას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს „წინაპირობების გარეშე“ დემოკრატიზაციის დაჩქარებულ დანერგვას. უკანასკნელ ხანებში ეგვიპტეში, ერაყში, ლიბანსა და პალესტინაში გამართულ არჩევნებში ისლამისტების მიერ მოპოვებული წარმატება ზოგიერთ დამკვირვებელს სწორედ იმ საფრთხის მაჩვენებლად მიაჩნია, რომელიც ნაკლები დემოკრატიული ისტორიის მქონე ქვეყნებში არჩევნების წესზე სწრაფად გადასვლას შეიძლება მოჰყვეს.

დემოკრატიული სეკვენციალიზმი დასავლეთის დემოკრატიის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს. ამ მიმართულების გაანალიზებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში და მთელ მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელების და, ზოგადად, დემოკრატიული ფასეულობების შესახებ გაცხარებული დებატების კონტექსტში. დემოკრატიული პესიმიზმის ზოგიერთმა ასპექტმა შეიძლება სასარგებლო კორექტივები შეიტანოს იმაში, რაც, ეჭვგარეშეა, ზედმეტად იყო ასოცირებული დემოკრატიის გავრცელებასთან დაკავშირებულ გაზვიადებულ მოლოდინებთან, თითქოსდა, მას უნდა განეკურნა საერთაშორისო ყველა სენი, მათ შორის, ტერორიზმი. თანამიმდევრული საფეხურების იდეა მაინც პრობლემურია, ისე როგორც აქედან წამოსული პოლიტიკური რეკომენდაციები. თუ გავითვალისწიებთ დემოკრატიზაციისა და დემოკრატიის გავრცელების რისკებსა და გართულებებს, უკეთეს ალტერნატივად უნდა მივიჩნიოთ გრადუალიზმი, რომლის მიზანია ზოგიერთ კონტექსტში დემოკრატიის ნელა მშენებლობა, მაგრამ არა მისი თავიდან აცილება ან უვადოდ გადადება.

ნუ დაველოდებით კანონის უზენაესობას

სეკვენციის იდეა ორნაწილიან მცდარ წინაპირობას ემყარება: ერთი, რომ ავტოკრატების მნიშვნელოვანი ნაწილი შეძლებს და თანახმაც იქნება ხელი შეუწყოს კანონის უზენაესობას და ძლიერი სახელმწიფოს შენებას და მეორე: დემოკრატიზაციის ქვეყნები ბუნებითად ამისათვის არ გამოდგებიან. ავტოკრატია კი, გინდ ლიბერალური, გინდ არალიბერალური, ასევე ბუნებითად დაკავშირებულია კანონის უზენაესობასა და სახელმწიფოს მშენებლობასთან. ახალი დემოკრატიები ან გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნები, უდავოდ, მრავალ სირთულეს აწყდებიან კანონის უზენაესობისა და სახელმწიფოს განმტკიცების გზაზე, მაგრამ ასეთ თანდაყოლილ წინააღმდეგობას არ ხვდებიან და გარკვეული უპირატესობებითაც სარგებლობენ.

პატივს მიაგებენ რა კანონის უზენაესობას, სეკვენციალისტები ამოდიან უპირობო დაშვებიდან, რომ ავტოკრატები – ყოველ შემთხვევაში, ლიბერალები, რომლებზეც აქვთ გათვლები – თავს არ დაზოგავენ რეფორმების გასატარებლად, ან იმიტომ, რომ თვითონ არიან გასხივოსნებულნი და ამდენად ინსტინქტურად არიან რეფორმისადმი მიდრეკილნი,

ანდაც იმიტომ, რომ ამას ეკონომიკური განვითარება კარნახობთ. ჰოდა, ეკონომიკური წინსვლისთვის – იგულისხმება, რომ ეს სჭირდება მათ ქვეყნებს მოქალაქეთა საკეთილდღეოდ – ისინი შეეცდებიან კანონის უზენაესობის გამყარებას: ეფექტური სასამართლო სისტემა, ზუსტი და მკაფიო კანონები და რეფორმის სხვა ელემენტები ეკონომიკური პროგრესისათვის აუცილებელია.

მაგრამ, ვაი რომ, რეალობა სხვაგვარია. სეკვენციალისტების დაჟინებული მოლოდინის მიუხედავად, ერთი-ორი ავტოკრატი თუ არის გასხივოსნებული. უნდა ითქვას, რომ არც ისე ბევრს აქვს რეპრესიები მინიმუმამდე დაყვანილი, პატივს სცემს კანონებს და მყარად აქვს გადაწყვეტილი სერიოზული გრძელვადიანი გარდამავალი პოლიტიკური და მმართველობითი რეფორმების გატარება. უხეშად რომ ვთქვათ, ყოველ სინგაპურის ლი კვან იუ-ზე ათობით და ასობით ხარბი, რეპრესიული ავტოკრატი მოდის, რომლებსაც თავი მოაქვთ რეფორმისტებად, ლიდერებად, რომელთათვის კანონები გიჟის ხალათია, რომელიც, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, უნდა მოიცილონ.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ სწრაფვას ეკონომიკური განვითარებისადმი ბუნებრივად მივყავართ კანონის უზენაესობის რეფორმასთან, გაცილებით სუსტია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ზოგიერთი ავტოკრატიული რეჟიმი სულაც არ არის დაინტერესებული ეკონომიკური განვითარებითა და მოქალაქეების კეთილდღეობით. ამ რეჟიმებს მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნება ანაღვლებთ და საამისოდ მძვინვარე რეპრესიებზეც არ იტყვიან უარს. ბევრი ავტოკრატი დაინტერესებულია ქვეყნის განვითარებით, მაგრამ მასზე მაღლა ბევრ სხვა ინტერესს აყენებს, რომელთაც ზიანი მოაქვთ არა მხოლოდ სოციოეკონომიკური პოლიტიკისთვის, არამედ ძირს უთხრიან კანონის უზენაესობის დამყარების ნებისმიერ სერიოზულ მცდელობასაც. ამდენად, სოციოეკონომიკური პროგრესისადმი ცოტაოდენი თავდადების მიუხედავად, ასეთი ლიდერები დაწაფებულნი არიან სიმდიდრეს, მომართულნი არიან საზოგადოებაში კონკრეტული პრივილეგირებული ჯგუფების ან სექტორების დაცვასა და პოტენციური პოლიტიკური ოპონენტების განადგურებაზე. ეს და სხვა ინტერესები, როგორც წესი, კანონის სისტემურ და მნიშვნელოვან დეფორმირებას მოითხოვს. ის მძიმე სოციოეკონომიკური პირობები და კანონდაუქვემდებარებლობა, რაც ასე ცხადად ჩანს ბევრ განვითარებად ქვეყანაში, ხშირად არის მემკვიდრეობა ავტოკრატიული რეჟიმებისა, რომლებიც ათწლეულობით მართავდნენ მათ; ვითომ ეკონომიკურ განვი-

თარებას ესწრაფვოდნენ, სინამდვილეში, უპირატესობას უფრო ვიწრო, საკუთარ და სხვა ინტერესებს ანიჭებდნენ.

მხოლოდ ერთ მუჭა არადემოკრატიულ მთავრობებს შეუძლიათ ეკონომიკური განვითარება სხვა ინტერესებზე მაღლა დააყენონ და რთული, ძვირადღირებული რეფორმისტული პოლიტიკა აწარმოონ. წარსულშიც და დღესაც წარმატებულად განვითარებული აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, რომლებიც სეკვენციალისტებს მაგალითებად მოჰყავთ, ამ მცირე ოდენობას შეადგენენ. აქაურ მთავრობებს შეგნებული აქვთ, რომ ეკონომიკა მოითხოვს კანონებით მართვას და რეფორმებს, როგორიცაა კომერციული კანონმდებლობის განახლება და ქმედითი კომერციული სასამართლოების შექმნა. მაგრამ ისიც მართალია, რომ მკვეთრი ეკონომიკური პროგრესი კანონის უზენაესობის პროგრესის გარეშეც შესაძლებელია. ამის საუკეთესო მაგალითებს ჩინეთი და ვიეტნამი წარმოადგენენ, რომელთაც დიდ ანგარიშს უწევენ მთელი მსოფლიოს არადემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური ელიტები, როცა საკუთარი განვითარების ვარიანტებს განიხილავენ. ორივე სახელმწიფოს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს ეკონომიკაში, განსაკუთრებით, მოსახლეობის დიდ ნაწილში სიღატაკის დაძლევით; ამას კი კანონის უზენაესობის მნიშვნელოვანი პრინციპების მიღების გარეშეც მიაღწიეს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაშინაც კი, როდესაც ზოგიერთი ავტოკრატიული ხელისუფლება თავს მოვალედ მიიჩნევს, საკანონმდებლო რეფორმა ეკონომიკური განვითარების მოტივით გაატაროს, საქმე მხოლოდ კანონის უზენაესობის მკვეთრად შეკვეცილ ვერსიასთან გვაქვს ხოლმე. ჩვეულებრივ, ეს ვერსია ხაზს უსვამს ისეთ ელემენტებს, რომლებიც კონკრეტულად კომერციულ სფეროს ენათესავება. მეორე მხრივ, ამ ვერსიიდან სრულად არის ამოღებული ისეთი კარდინალური მახასიათებლები, როგორიცაა სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებები, კანონისადმი პოლიტიკური ძალაუფლების დაქვემდებარება და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. ზოგიერთი დასავლელი დამკვირვებელი იმედოვნებს, რომ კომერციულ სფეროში გატარებული რეფორმები დროთა განმავლობაში პოლიტიკურ სფეროსაც გადასწვდება, როდესაც კომერციული კანონმდებლობის რეფორმა ტროას ცხენის როლს ითამაშებს ზოგადად კანონის უზენაესობისათვის ბრძოლაში. რაოდენ მიმზიდველიც არ უნდა იყოს ეს იდეა, ის უფრო მეტად იმედს ემყარება, ვიდრე გამოცდილებას. იმ ქვეყნებში, სადაც დღეს კანონის უზენაესობას ენიჭება უპირატესობა, კომერციული კანონმდებლობის რეფორმა არ

ყოფილა ის კატალიზატორი, რომელმაც კანონის უზენაესობას შეუწყო ხელი. ამავე დროს, საფუძვლიანი ანალიზი იმისა, ხდება თუ არა რეფორმების ერთი სფეროდან მეორეზე „გადადება“ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი, სკეპტიკურ დასკვნებამდე მიდის.[8]

ზოგიერთ ავტოკრატიულ ხელისუფლებას რომ კანონის უზენაესობის რეფორმით თავი მოაქვს, ამ რეფორმის მიზეზი უფრო სხვაა, ვიდრე ეკონომიკური განვითარება. ხშირად მათ ანტიკორუფციული კამპანიების ან კრიმინალის შემამცირებელი პოლიტიკის სახე აქვთ. და ისევ გავიმეორებ, ეს პროგრამები საკმაოდ შეზღუდულია და მოკლებულია კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული რეფორმების ძირითად კომპონენტებს. მაგალითად, ანტიკორუფციული კამპანიები, როგორც წესი, მოიცავენ ტექნოკრატიულ საკანონმდებლო ცვლილებებს, კორუფციის ბოროტების შესახებ ზოგად განათლებას, ანტიკორუფციული კომიტეტის დაარსებას და ის შეიძლება რამდენიმე კორუმპირებული სახელმწიფო მოხელის დასჯითაც გამოიხატოს. კამპანიები იშვიათად იღებენ სერიოზულ ზომებს სისტემური ცვლილებების განსახორციელებლად, როცა მუშაობა ზემოდან ქვემოთ იქნებოდა მიმართული, როცა კანონი სრულად და მიუკერძოებლად იქნებოდა გამოყენებული ყველა საჯარო მოხელის მიმართ და გაუქმდებოდა პოლიტიკური შეზღუდვები და ძირითადი სამართალდამცავი ორგანოების მანიპულაცია. ასეთ კამპანიებს ვერ მივიჩნევთ დემოკრატიზაციის ბუნებრივ წინამორბედებად. პირიქით, ისინი, როგორც წესი, დაცვითი სტრატეგიის ნაწილს ქმნიან, რომლის მიზანიც საზოგადოების უკმაყოფილების დაცხრობა და მტრების განადგურებაა, რაც, საბოლოოდ, ავტოკრატიული ხელისუფლების გაძლიერებას უფრო ემსახურება, ვიდრე შესუსტებას.

ავტოკრატია კანონის უზენაესობის საპირისპიროდ

არსი იმაში მდგომარეობს, რომ კანონებით მართვა და ავტოკრატია (გინდ, ლიბერალური, გინდ, ნებისმიერი) ერთმანეთს ვერ ეწყობიან. კანონის უზენაესობის ძირეული ელემენტები უშუალოდ საფრთხეს უქმნიან ავტოკრატიულ ხელისუფლებას. აღმასრულებელი ხელისუფლების უშუალო ზედამხედველობისაგან თავისუფალი დამოუკიდებელი სამართალწარმოება ძალაუფლებისა და მმართველობის წყაროდ იქცევა. მიუკერძოებელი სასამართლო, რომელიც კანონის წინაშე ყველას სა-

მართლიანად და თანასწორად ეპყრობა, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების პატივისცემა – კანონის უზენაესობის ყველა ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი ზღუდავს ან ართმევს ავტოკრატ მმართველს იმ იარაღს, რომლითაც ისინი, როგორც წესი, აკონტროლებენ პოლიტიკურ ცხოვრებას და ინარჩუნებენ ძალაუფლებას. ავტოკრატებს ახასიათებთ, დაბლოკონ ან, უკეთეს შემთხვევაში, შეკვეცონ კანონებით მმართველობა. ამგვარად, მოსაზრება, რომ ეს უკანასკნელი ავტოკრატიის პირობებში დემოკრატიის ბუნებრივი წინმსწრები პირობაა, გაუგებრობას ქმნის. სწორედ დემოკრატიის არარსებობა, რასაც ბევრ ქვეყანაში ამყარებს ავტოკრატია, წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას კანონის უზენაესობის განვითარების გზაზე.

ამის კარგი მაგალითია ეგვიპტე. 90-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ აიძულა პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი, გაეტარებინა საკანონმდებლო რეფორმები, განსაკუთრებით – სასამართლო სისტემის რეფორმა, რათა ხელი შეეწყო ეგვიპტის მცდელობისათვის, გაეტარებინა რეფორმა ეკონომიკურ სფეროში და საფუძველი ჩაეყარა პოლიტიკური რეფორმისათვის და მომავალში დემოკრატიზაციისათვის. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ იმისათვის, რომ დახმარებოდა ეგვიპტის მთავრობას ამ მიმართულებით, დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროგრამის განხორციელება კანონის უზენაესობის დასამყარებლად.

ამ მცდელობათა მიუხედავად, რეფორმებმა კანონის უზენაესობის გზაზე იმ ხანად ცოტაოდენი პროგრესი კი განიცადეს, მაგრამ დღემდე ბლოკირებულნი არიან. ეგვიპტის ხელისუფლება კვლავ განაგრძობს სასამართლოზე პოლიტიკურ ზეწოლასა და კონტროლს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების განხილვისას და ეწინააღმდეგება მოსამართლეთა მცდელობას – გამოავლინონ მეტი დამოუკიდებლობა. ეგვიპტის უშიშროების სამსახურები კვლავ აგრძელებენ ბნელ და ხშირად ძალადობრივ მოქმედებას. სახელმწიფოში გრძელდება ოცდახუთწლიანი საგანგებო ვითარება, რაც ზღუდავს მოქალაქეთა უმთავრეს უფლებებს და მთავრობას ხელ-ფეხს უხსნის, როგორც უნდა ისე შეატრიალ-შემოატრიალონ კანონები.[9] დასავლელი ექსპერტები თუ ეგვიპტელი ოფიციალური პირები არგუმენტს, რომ დემოკრატიის მშენებლობამდე ეგვიპტემ საფუძველი უნდა ჩაუყაროს კანონის უზენაესობას, სათავისოდ იყენებენ. ეს არგუმენტი საშუალებას აძლევს დასავლეთს, თვალი დახუჭოს ეგვიპტეში დემოკრატიის არარსებობაზე, ხოლო მუბარაქის

მთავრობას ხელ-ფეხს უხნის, არადემოკრატიულად იქცეოდეს. დემოკრატიზაცია ეგვიპტეში ვერ დაელოდება კანონის უზენაესობას. სწორედ რომ, ნამდვილი დემოკრატიზაციის უქონლობა მუბარაქის მთავრობის დამადამბლავებელი ქმედებით ხელს უშლის კანონის უზენაესობას. მხოლოდ მაშინ, თუ ადგილი ექნა სერიოზულ პოლიტიკურ ღიაობას, რომელშიც მოიაზრება თავისუფალი და სამართლიანი შეჯიბრიც პრეზიდენტობისათვის, იარსებებს კანონის უზენაესობის საჭირო რეფორმების გატარების რაიმე იმედი.

რუსეთი მეორე კარგი მაგალითია. როდესაც 2000 წელს პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ხელისუფლების სათავეში მოვიდა, ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ კანონის უზენაესობა გამოაცხადა. ბევრი რუსი და დასავლელი ოფიციალური პირი მიესალმა მის ამ განწყობას, რადგან, მათი რწმენით, რუსეთმა შეცდომა დაუშვა, როცა 90-იან წლებში დემოკრატიის რელსებზე ზედმეტად სწრაფად მოინდომა გადასვლა, ისე, რომ არ გააჩნდა კანონის უზენაესობის შესაბამისი სტრუქტურა. თუმცა, პუტინის სწრაფვა კანონის უზენაესობისადმი კრახით დასრულდა. დღეს რუსეთში კანონის მოქმედებას სერიოზული, სისტემური ხარვეზები სდევს თან, რომლებიც პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენების პუტინისმიერი მიდგომიდან მომდინარეობს. მათ შორისაა კანონების პოლიტიზირებული გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების დასასჯელად, ჩრდილოვანი და არაანგარიშვალდებული უშიშროების ელიტის განუხრელი ზრდა, რომელიც მთელ სახელმწიფო აპარატშია განფენილი, პოლიტიკური ფავორიტიზმი და სასამართლო ხელისუფლებაში ჩარევა.

პუტინის მიერ დემოკრატიის გზიდან გადახვევა ასაზრდოებს კანონის უზენაესობის მართვის სფეროში წარმომდგარ პრობლემებს. პრესის თავისუფლების შეზღუდულობა, კნინი ტოლერანტობა პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ და ელექტორული მექანიზმების მოშლა, რომელთაც შეეძლოთ დაემყარებინათ ელემენტარული პოლიტიკური ანგარიშვალდებულების სისტემა – ყოველივე ეს ხელს უშლის, რომ რუსეთის საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს და წინ აღუდგეს კანონის ბოროტად გამოყენებას და კანონების უზენაესობის ხარვეზებს. ეგვიპტის არ იყოს, რუსეთშიც მეტი კანონის უზენაესობის წამოყენება თანდათანობითი დემოკრატიზაციის წინაპირობად შეცდომაა: პირიქით, მეტი დემოკრატიზაცია ნიშნავს კანონის უზენაესობის გამყარებას.

ავტოკრატიასა და კანონის უზენაესობას შორის შინაგანი დაძაბულობის ხაზგასმა არ ნიშნავს იმას, რომ კანონის უზენაესობის დამყარება

მარტივი ან გარდაუვალი იქნება დემოკრატიის პირობებში. დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ ქვეყნებს დიდი ჯაფა ადგათ, რომ კანონის უზენაესობაში წინ წაიწიონ და უამრავ შემთხვევაში ჩავარდნაცა აქვთ. დემოკრატიზაციის სხვადასხვა ასპექტს შეუძლია უშუალო გავლენა მოახდინოს კანონის უზენაესობის პრობლემებზე. ყოფილ დახურულ საზოგადოებაში არჩევნების პირველად ან ხელახლა შეტანამ შესაძლოა გაზარდოს პოლიტიკური პატრონაჟი სასამართლო სფეროში. ავტორიტარული კონტროლის შესუსტებამ შეიძლება, ზოგადად, კანონაღსრულების სისტემაც დაასუსტოს, ამას კი კრიმინალის ზრდა მოჰყვება. ახალ დემოკრატიებში პოლიტიკური პარტიების ბრძოლა ძალაუფლებისათვის წარმოაჩენს შემაშფოთებელ ტენდენციას, რაც კორუფციული დაფინანსებისა და გავლენის არხად შეიძლება გაადაიქცეს.

ამავე დროს, დემოკრატიზაციის სხვა ასპექტები ხელს უწყობს კანონის უზენაესობის დამკვიდრებას. როგორც რებეკა ბილ ჩავესის მიერ არგენტინის ორ პროვინციაში კანონის მდგომარეობის შესახებ ჩატარებული შესანიშნავი კვლევა აჩვენებს, ძალაუფლების ცვლილება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კანონმმართველობის პროგრესს იმით, რომ ხელს უწყობს ძალაუფლების დიდი ხნის კონცენტრაციების დაშლას.[10] მოქალაქეთა და სახელმწიფოს შორის ანგარიშვალდებულების ის ხაზი, რომელსაც არჩევნები ქმნის, რამდენად არასრულყოფილიც არ უნდა იყოს ის, აძლიერებს საჯარო მოხელეთა მიერ კანონის დაცვის ვალდებულებას, რაც კანონის უზენაესობის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის აღსრულებაში მრავალი ჩავარდნის მიუხედავად, დემოკრატიაზე გარდამავალი ძალიან სუსტი მთავრობებიც კი, როგორც წესი, ამცირებენ, ავტორიტარ წინამორბედებთან შედარებით, ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებს.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ავტოკრატიებისაგან განსხვავებით, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას შორის არ არსებობს თავდაპირველი კონფლიქტი. პირიქით, ეს ორი ცნება გადაწნულია ერთმანეთში. მათ აქვთ საერთო შემადგენელი კომპონენტები, როგორიცაა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების პატივისცემა და კანონებისადმი ხელისუფალთა დაქვემდებარება. დემოკრატიზაციის ბევრი ელემენტი ხელს უწყობს კანონის უზენაესობის პროგრესს და – პირიქით. მთელ მსოფლიოში რომ კანონის უზენაესობასა და კონსოლიდირებულ დემოკრატიას შორის მჭიდრო კავშირია, დამთხვევა არ არის. როგორც მარკ ფ. პლატნერი ამტკიცებს, კანონებზე ორიენტირებული

ლიბერალიზმისა და ლიბერალური დემოკრატიის განცალკევების მცდელობა ამაო გარჯაა: კარგად დამკვიდრებული დასავლური დემოკრატიების ისტორია სწორედ მათი ერთდროული განვითარებისა და ურთიერთგანმტკიცების ისტორიას მოგვითხრობს.[11]

სახელმწიფო მშენებლობის გამოწვევა

იგივე არგუმენტები ეხება სახელმწიფოს მშენებლობას, რომელსაც, როგორც დემოკრატიის მეორე წინაპირობას ხშირად წამოაყენებენ ხოლმე სეკვენციალისტები. რაც მართალია, მართალი, დემოკრატიის ბევრმა გამავრცელებელმა სათანადოდ ვერ შეაფასა ქმედუნარიანი სახელმწიფო. ძალიან დიდი დრო გავიდა, სანამ ისინი შეეშვებოდნენ მესამე ტალღის პიკის წლებში გავრცელებულ აზრს, რომლის თანახმად, ავტორიტარიზმისგან გათავისუფლებულ ქვეყნებში დემოკრატიის მშენებლობის მთავარი სირთულე ზედმეტად ძლიერი სახელმწიფო აპარატის დასუსტება ან დაბალანსება იყო.[12] მრავალ ავტოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ხელი ძლიერი და რეპრესიულია, მაგრამ სუსტია ძირეული შესაძლებლობის მხრივ იმ მიზეზების გამო, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ. ამდენად, პოსტავტორიტარული კონტექსტების უმრავლესობაში, სახელმწიფოს ქმედუნარიანობის გაძლიერება დემოკრატიზაციასთან ერთად მთავარ პრიორიტეტად უნდა განიხილებოდეს.

გარკვეულ სიტუაციებში დემოკრატიზაცია არ უნდა დაელოდოს სახელმწიფოს ფორმირებას. იქ, სადაც სახელმწიფო სრულად მოიშალა ან არ შედგა სამოქალაქო კონფლიქტის ანდაც დაგროვილი თუ მწვავე სატკივარის გამო, ღია პოლიტიკური შეჯიბრისა და არჩევნებისაკენ სწრაფვას აზრი ეკარგება. სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს მინიმალურ ფუნქციებს მაინც, როგორიცაა, მაგალითად, ძალაზე მონოპოლია, სანამ ის მყარი, პლურალისტური პოლიტიკური განვითარების გზას დაადგება.

და მაინც, სეკვენციალისტები ცდებიან, როცა ავითარებენ იმ აზრს, რომ დემოკრატიზაციამ უნდა მოიცადოს, სანამ, არა მხოლოდ ადეკვატური, არამედ ძლიერი ქმედითი სახელმწიფო არ შედგება, რომელსაც ექნება უნარიანი, მიუკერძოებელი ინსტიტუციები და დიდი შესაძლებლობა განვითარებისა, საკანონმდებლო საქმიანობისა და ეფექტური პოლიტიკის წარმოებისა. ეს მცდარი იდეა ემყარება მიმზიდველ, მაგრამ

ილუზიურ ცნებას, რომ ავტოკრატები ბუნებითად სახელმწიფო აპარატის მშენებლები არიან, შეუპოვარი, ფხიზელი გონების მქონე, ძლიერი ადამიანები, რომელთაც ამოძრავებთ სახელმწიფოს შენების ეთოსი მსგავსად მუსტაფა ქემალ ათათურქისა ან ოტტო ფონ ბისმარკისა. კანონის უზენაესობის გამტარებელთა არ იყოს, გასული საუკუნის ეფექტური სახელმწიფოს ყოველ ძლიერ მშენებელზე მოდიოდა ბევრად მეტი ავტოკრატი, რომელთა ეგოცენტრული, არათანმიმდევრული ლიდერობის შედეგად შეიქმნა დაუძლურებული სახელმწიფოები, სავსე პატრონაჟით, კორუფციითა და არაკომპეტენტურობით.

როგორც აღნიშნავს ჯოელ მიგდალი განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფოს მშენებლობის შესახებ ნაშრომში, ავტოკრატები, სინამდვილეში, არ შეეფერებიან სახელმწიფოს მშენებლობის მეორე ფაზას, როცა ხდება გადასვლა ძალის მონოპოლიიდან სახელმწიფოს სტრუქტურის განვითარებაზე იმისათვის, რომ შეიქმნას ეფექტური, თანამედროვე სახელმწიფოს რომ მოეთხოვება, ისეთი მრავალფუნქციური ბიუროკრატია.[13] ამ მეორე ფაზაზე აკეთებენ აქცენტს სეკვენციალისტები, როდესაც საუბრობენ დემოკრატიზაციამდე „მიუკერძოებელი ადმინისტრაციის განვითარებული ინფრასტრუქტურის“ აუცილებლობაზე.[14] სახელმწიფოს შენება, მსგავსად კანონმმართველობის განვითარებისა, რომელთანაც ის მჭიდრო კავშირშია, ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება ავტოკრატიულ მმართველობას. ავტოკრატები, ჩვეულებრივ, სახელმწიფოს იყენებენ საკუთარი თავისა და ახლობელთა წრისათვის კორუფციული შემოსავლის წყაროდ, კრიტიკოსებისა და მოწინააღმდეგეთა დასჯის და შევიწროების იარაღად, გამორჩეული მეგობრებისა და ჯგუფების თავშეყრის ადგილად. ჩვეულებრივ, სახელმწიფოს მშენებლობის მიზნები, როგორებიცაა ეფექტურობა და მიუკერძოებლობა, სახელმწიფო აპარატს ნაკლებად მოქნილს ხდის ავტოკრატის მიზნებისათვის. ეფექტურ სახელმწიფოს საკმაო პოლიტიკური ავტონომია აქვს, ისე როგორც საკუთარი ლეგიტიმურობა და უფლებამოსილება. სხვაგვარად, ასეთი სახელმწიფო ბევრ რამეში ძალაუფლების პოლიტიკური ბერკეტებისაგან თავისუფალია და, ამდენად სახიფათოა ავტოკრატი ლიდერისათვის. ეს არ ნიშნავს, რომ ავტოკრატიულ მთავრობებს არ შეუძლიათ სახელმწიფოს შენება, მაგრამ შევცდებით, თუ მათ ამ პროცესის ბუნებრივ წარმმართველებად მივიჩნევთ.

ახალფეხადგმული დემოკრატიული მთავრობებიც აწყდებიან სირთულეებს სახელმწიფოს შენებისას. მსგავსად კანონის უზენაესობის განვი-

თარებისა, დემოკრატიზაციის სხვადასხვა ასპექტსაც შეუძლია ეს ამოცანა გაართულოს. ახალმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც ძალის შემატების წყაროს ეძებენ, შეიძლება ბოროტად გამოიყენონ სახელმწიფო სტრუქტურა საკუთარი პატრონაჟის ქსელის შესაქმნელად. სუსტი, გარდამავალი კოალიციური მთავრობების პერიოდმა შესაძლოა შეაფერხოს ინსტიტუციების მშენებლობა და მდგრადი პოლიტიკის განხორციელება. მაგრამ, ამავე დროს, დემოკრატიზაციის პროცესის ზოგიერთმა ასპექტმა, შესაძლოა ხელი შეუწყოს სახელმწიფოს მშენებლობას. ხმის მიცემის გზით საჯარო ანგარიშვალდებულებამ შესაძლოა შექმნას მოტივაცია კარგი სახელმწიფოებრივი ქმედებისათვის. დახურული მედიის გადაქცევა ღია მედიად ხელს შეუწყობს სახელმწიფოს ცუდად მომუშავე მხარეების საჯარო განხილვას. დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებისათვის სივრცის დათმობა საშუალებას მისცემს უფლებადაცვით ჯგუფებს, აწარმოონ სახელმწიფოს მუშაობის მონიტორინგი და კრიტიკა, ითანამშრომლონ სახელმწიფოსთან და ამ უკანასკნელს ახალი იდეები შესთავაზონ.

სახელმწიფოს მშენებლობა ყოველთვის წარმატებული არ არის ახალ დემოკრატიებში. თუმცა, ავტოკრატიებისაგან განსხვავებით, აქ ადგილი არ აქვს ძირეულ, შიდა დაპირისპირებას ეფექტურ სახელმწიფოსა და წარმატებულ დემოკრატიულ ხელისუფლებას შორის. შემთხვევითი არ არის, რომ დღეს ყველაზე ეფექტური სახელმწიფოები დემოკრატიულ ქვეყნებშია. როგორც კანონის უზენაესობის შემთხვევაში, პირველი ეტაპის გავლის შემდეგ სახელმწიფოს შენება დემოკრატიზაციასთან ერთად საუკეთესო შედეგს იძლევა, განსაკუთრებით, თუ ცდილობენ ერთმანეთის პატივისცემასა და გაძლიერებას. ეს, რა თქმა უნდა, ბევრ სირთულეს ბადებს, მაგრამ ალტერნატივა – ფიქრი, რომ ავტოკრატიული ხელისუფლება თავიდან აიცილებს ფუნქციების მოშლას, რამაც წარსულში მრავალ ავტოკრატიას მოუღო ბოლო – კიდევ უარესია.

გარეშე პირთა როლის გადაჭარბებული შეფასება

სეკვენციალისტური მიდგომის უფრო სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ის მოსაზრება, რომ ბევრ ქვეყანაში, ჯობია, დემოკრატიზაცია სხვა უკეთესი დროისათვის გადაიდოს, თუ შეერთებული შტატე-

ბი და სხვა დასავლური მთავრობები შეწყვეტენ იქ ძალისხმევას დემოკრატიზაციისათვის. სეკვენციალისტთა ნაშრომებიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ დემოკრატიის გლობალური ტალღის დიდი ნაწილი მხოლოდ არჩევნებთან დაკავშირებული აღტკინებაა, რომელსაც დასავლეთი იწვევს იმით, რომ განურჩევლად ყველას მთელ მსოფლიოში არჩევნების ჩატარებისკენ უბიძგებს. ეს მოსაზრება არასწორი ინტერპრეტაციაა მესამე ტალღისა; მას განსაკუთრებით უჭირს, სათანადოდ შეაფასოს ნორმატიული ცვლილება არჩევნების სასარგებლოდ, რაც მსოფლიოს მასშტაბით შეინიშნება. სამაგიეროდ, გადაჭარბებულად აფასებს, თუ რა ზომითა და თანმიმდევრულობით უჭერს მხარს დასავლეთი არჩევნებსა და დემოკრატიას განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.

დემოკრატიის მესამე ტალღა ნამდვილად არც ისე შედეგიანი და წარმატებული გამოდგა, როგორც ბევრი იმედოვნებდა. და მაინც, მან ასახა დემოკრატიის მიმართ ბევრი ადამიანის წრფელი, ხშირად ძლიერი იმპულსი მკვეთრად განსხვავებულ რეგიონებსა და ქვეყნებში. უცაბედი დემოკრატიზაცია, რაც ხშირად გამოიხატებოდა სასწრაფოდ არჩევნების ჩატარების მცდელობაში, ხდებოდა, ჩვეულებრივ იმიტომ, რომ ასე უნდოდათ ამ ქვეყნის მოქალაქეებს. ეს მოხდა იქ, სადაც მოქალაქეები აღდგნენ დიქტატორთა მოსაშორებლად, სადაც ადამიანებმა მოახერხეს მობილიზება არა მხოლოდ არსებული რეჟიმის შესაცვლელად, არამედ იმისთვისაც, რომ თვითონ გაძლიერებულიყვნენ პოლიტიკურად, თვითონ აერჩიათ თავიანთი ლიდერები. ასე ხდებოდა მაშინაც, როცა დიქტატორული რეჟიმი ინგრეოდა ლიდერის გარდაცვალების გამო. ასე მოხდა 1998 წელს ნიგერიაში და 2005 წელს ტოგოში. ამგვარ ვითარებაში უეცარ პოლიტიკურ მომენტს მოქალაქეები გამოეხმაურნენ ძალუმი, მყის გამოღვიძებული სურვილით, ჩაეტარებინათ არჩევნები; და ეს სურვილი მათ თავზე კი არ მოახვიეს გარედან, არამედ წამოვიდა მათივე შეგრძნებიდან: „ახლა ჩვენი ჯერია“.

მესამე ტალღას ეკუთვნოდა იდეა, რომ არჩევითობა ხელისუფლების ლეგიტიმურობის საფუძველია; და ეს იდეა მსოფლიოს მოედო. თუმცა, ლეგიტიმურობა, რომელსაც არჩევნები იძლევა, როგორც წესი, გაცილებით არამყარია, ვიდრე ამას დემოკრატიის ხელშემწყობნიცა და არჩეულებიც იმედოვნებდნენ. არჩევნებმა კი ზოგიერთ ახლად გადემოკრატიებულ ქვეყანაში, დემოკრატიული ანგარიშგების კარგად

მომუშავე მექანიზმების ჩამოყალიბების მხრივ, მოსალოდნელზე ბევრად ნაკლებს მიაღწია. ერთი მუჭა არადემოკრატიული მთავრობები ჯერაც ინარჩუნებენ საკმაო ლეგიტიმურობას არჩევნების გარეშეც იმის წყალობით, რომ ან მემკვიდრეობითი ძალაუფლების შესახებ არსებული კულტურული ნორმები ქმნის საამისო ნიადაგს, ან კარგად აქვთ აწყობილი ეკონომიკა (ან, ყოველ შემთხვევაში, გონივრულად ანაწილებენ ნავთობის შემოსავლებიდან მიღებულ სიმდიდრეს), ანდაც იმიტომ, რომ უცხო მტრებთან ეროვნული ბრძოლის იმიჯს ქმნიან. რაოდენ მყიფე და პრობლემურიც არ უნდა იყოს არჩევნები, პოლიტიკური ლეგიტიმურობის მოპოვების პროცესში ის დღევანდელ მსოფლიოში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ამ ფაქტს ადასტურებს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირში, ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში და სხვაგან ნახევრად ავტორიტარ ლიდერებს ურჩევნიათ, სულ არჩევნების გარეშე მართვას, დიდი ჭაპანწყვეტითა და მიკიბულ-მოკიბული გზებით ოდნავ დამაჯერებელი არჩევნები მაინც ჩაატარონ. ბევრგან გაწბილება მოჰყვა დემოკრატიული ანგარიშვალდებულებისათვის ლტოლვას არჩევნების გზით, მაგრამ ავტოკრატიის პირობებში ანგარიშვალდებულების მიღწევის შანსები, კიდევ უფრო კნინია. შეიძლება მართალი იყოს, რომ ბევრ ქვეყანაში არჩევნები თამაშგარეთ ტოვებს დემოკრატიას, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს დემოკრატია არჩევნების გარეშე.

აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს დასავლეთი თავქუდმოგლეჯილი ყოველი ღონით ესწრაფვის დემოკრატიას, მსოფლიოს ბევრ კუთხეში ადამიანებში ცინიკურ ღიმილს გამოიწვევდა. რასაკვირველია, გასული ათწლეულების მანძილზე შეერთებულ შტატებს და დასავლეთის სხვა ქვეყნებსაც (ნაკლები ზომით) გლობალური დემოკრატიის მიმართ საკუთარი თავდადების შესახებ ხშირად უსაუბრიათ აღმატებული ტონით. მაგრამ რიტორიკის მიღმა ერთობ ჩახლართული პოლიტიკური რეალობა დგას. დასავლეთის მხარდაჭერას იღებს ის ქვეყანა ან რეგიონი, რომლის დემოკრატიული ცვლილებები შეესაბამება დასავლეთის ეკონომიკურ ან უსაფრთხოების ინტერესებს. ბევრ სხვა მხარეში კი მიზეზთა და მიზეზთა გამო შეერთებულ შტატებსაც და ევროპასაც სავსებით აკმაყოფილებთ ავტოკრატიულ მთავრობათა მმართველობა.

როცა ცხადი ხდება, რომ სადღაც დემოკრატიზაციის პროცესი დაიწყო, დასავლეთის ქვეყნების გაერთიანება და სხვა ორგანიზაციები, როგორც წესი, ზურგს უმაგრებენ მას. თუმცა, ბევრად იშვიათია, და-

სავლეთმა გაუსწროს პოლიტიკურ მრუდს და სტაბილურ ავტოკრატიაში ცვლილებას შეუწყოს ხელი. კარგი მაგალითია ინდონეზიაში პრეზიდენტ სუჰარტოს მმართველობის ბოლო ხანა. როდესაც სუჰარტომ დაკარგა მართვის სადავეები, ამერიკის შეერთებულმა შტატებსა და სხვა დასავლურ მთავრობებს თავი არ გამოუდვიათ დემოკრატიის გავრცელებაზე. მათ ბოლომდე უერთგულეს ლიდერს, რომელიც მათ მიმართ კეთილგანწყობილი იყო. გარდა ამისა, არ იცოდნენ, მის შემდეგ ვინ გახდებოდა მმართველი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინდონეზიელებმა გადააგდეს მმართველი, დასავლეთმა დაიწყო მნიშვნელოვანი დიპლომატიური და მატერიალური დახმარება დემოკრატიის დასანერგად.

დემოკრატიაზე გარდამავალ პროცესებში გარე ძალთა როლი, როგორც წესი, საკმაოდ შეზღუდულია. მთავრობათა ფართო წრე, საერთაშორისო ორგანიზაციები, დამხმარე ჯგუფები, ტრანსნაციონალური არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც წესი, უზრუნველყოფენ არაკონფრონტაციულ დახმარებას დემოკრატიისათვის. მათ შეუძლიათ დაარწმუნონ, სთხოვონ ან ძალა დაატანონ ქვეყნის ოფიციალურ პირებს, დემოკრატიული რეფორმებისათვის საჭირო ნაბიჯები გადადგან. დასავლური დემოკრატიის გამავრცელებლებს ასობით არჩევნებისთვის დაუჭერიათ მხარი ახალ და გარდამავალ დემოკრატიებში არჩევნების ადმინისტრირებით, შიდა და საერთაშორისო დამკვირვებლებით და პოლიტიკური პარტიების ტრენინგებით. ამ დემოკრატიული პროგრამებისა და პოლიტიკის უმეტესობა სასარგებლოა, მაგრამ მათ მხოლოდ მხარდამჭერი და არა წამყვანი როლი ენიჭებათ. რაოდენ დიდი არ უნდა იყოს თანამედროვე დემოკრატიის გამავრცელებელთა საზოგადოება, უმეტეს შემთხვევაში ის ვერც მართავს და ფორმასაც კი ვერ მიანიჭებს მსოფლიო პოლიტიკურ ტრანზიციებს. პირიქით, ისინი ზურგს უმაგრებენ მათ, ცდილობენ დაეხმარონ ადგილობრივ ძალებს, მიაღწიონ თავ-თავიანთ მიზნებს.

ჩვეულებრივ, ეს ამართლებს მაშინაც, როდესაც გარე როლი ხმამაღალია და, ერთი შეხედვით, დიდიც. შეცდომა იქნება, მაგალითად, ბოლო ორი წლის განმავლობაში არაბულ სამყაროში ჩატარებული არჩევნები ამერიკის ზეწოლას მივაწეროთ. ეს დაშვება, როგორც წესი, კრიტიკის სახით გამოიხატება – ბუშის ადმინისტრაციამ აიძულა არაბული ქვეყნები, ჩაეტარებინათ არჩევნები – და შედეგად მიიღო ისლამისტთა გამარჯვება გამარჯვებაზე. პალესტინელებმა თავად იძალეს და ჩაატარეს არჩევნები 2004 წელს იასირ არაფატის გარდაცვა-

ლების შემდეგ, რომელიც თავის დროზე – რვა წლის წინ არჩევნების გზით მოვიდა ხელისუფლების სათავეში. ეგვიპტეში რეგულარული საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდა 1976 წლიდან. 2005 წელს ჩატარებული არჩევნები, როდესაც მუსლიმთა საძმომ მოიპოვა გამარჯვება, ერთ-ერთი რიგითი მოვლენა იყო (თუმცა პრეზიდენტ მუბარაქის გადაწყვეტილება, იმ წელს პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები ჩაეტარებინათ, ვინძლო ნაწილობრივ აშშ-ის ზეწოლასაც მივაწეროთ). ლიბანის 2005 წლის არჩევნებიც მანამდე დაწყებული საარჩევნო ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი იყო.

ცოტაა შემთხვევა, როცა გარე აქტორები დემოკრატიაზე გადასვლის პროცესის წამოწყებაში ან მიმდინარეობაში დიდ როლს თამაშობენ. შეერთებული შტატები და რამდენიმე ევროპული სახელმწიფო გამოკვეთილ პოლიტიკას აწარმოებს ოპოზიციური მოძრაობის მხარდასაჭერად იმ ქვეყნებში, სადაც დასავლეთისთვის მიუღებელი ხელისუფალი ცდილობს ხელახლა იქნეს არჩეული. სერბეთში 90-იანი წლების ბოლოს პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩის და მიმდინარე ათწლეულში ბელორუსიაში პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს მოწინააღმდეგე მოძრაობების დასავლური მხარდაჭერა ამის მკაფიო მაგალითია. თუმცა, ასეთი შემთხვევები იშვიათობას წარმოადგენს. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში დასავლეთი პოლიტიკური საზღვრების ურღვევობას იცავს, ის არ ცდილობს არჩევნები იმ ადგილებში ჩატარდეს, სადაც ეს ადგილობრივად არ არის დაგეგმილი, არამედ უფრო იმას ცდილობს, უკვე დაგეგმილ არჩევნებზე მოახდინოს გავლენა.

პოლიტიკური ცვლილებებისას საერთაშორისო ბობოლების ჩარევის სხვა ტიპური შემთხვევებია ძალადობრივი ინტერვენცია საერთაშორისო კონფლიქტურ სიტუაციებში, როდესაც აშშ და ზოგიერთი მისი პარტნიორი ქვეყანა სამხედრო ძალით ჩაერია დიქტატორის გადასაგდებად და მისი მმართველობის ნაცვლად დემოკრატიული სისტემის დამყარება სცადა, როგორც ეს მოხდა პანამაში, ავღანეთსა და ერაყში. სხვა შემთხვევაში გაერო ან რომელიმე მრავალმხრივი საერთაშორისო ორგანიზაცია ერთვება სამოქალაქო ომის დასამთავრებლად და რჩება რეგიონში პოსტკონფლიქტური პოლიტიკური რეკონსტრუქციის პროცესის მნიშვნელოვან მონაწილედ, როგორც ეს იყო კამბოჯაში, მოზამბიკსა და ბოსნიაში 90-იან წლებში.

ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში გარე აქტორები წინ წამოწევენ ხოლმე არჩევნების იდეას; ხოლო არჩევნებს ხშირად მოცემული ქვეყნიდან

თავიანთი გასვლის სტრატეგიის ნაწილად იყენებენ. ამ შემთხვევებშიც კი, არჩევნების ჩატარების, როგორც პოლიტიკური რეკონსტრუქციის ცენტრალური კომპონენტის, იდეა აუცილებლობით გარედან არ მოდის: ის რაღაც ისეთია, რასაც მოქალაქეები და მთავარი პოლიტიკური აქტორები მოელიან და უნდათ. ამაზე მეტყველებს სწორედ ერაყის შემთხვევა. სადამ ჰუსეინის დამხობის შემდეგ აშშ-ის მეთაურობით მოქმედი კოალიციის დროებითმა მთავრობამ სცადა არჩევნების გადადება. და მაინც, ერთი შეხედვით უზარმაზარი ამერიკული გავლენის მიუხედავად, ერაყელი ხალხის მოთხოვნამ აიძულა დროებითი მთავრობა, უკან დაეხია და დათანხმებოდა, ვადაზე ადრე ჩაეტარებინათ არჩევნები.

მოკლედ, შესაძლებელიც რომ იყოს კანონის უზენაესობის განვითარება და ეფექტური სახელმწიფომშენებლობა ავტოკრატიული რეჟიმების პირობებში, სეკვენციალიზმი მაინც პრობლემური იქნებოდა. თეორიულად, განვითარების რომელი გზაც უნდა იყოს მისაღები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ადამიანებს პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება სურთ ახლა და არა რაღაც განუსაზღვრელ მომავალში. არჩევნები, რაც არ უნდა პირობების შეუმზადებლად და ნაჩქარევად ჩატარდეს, მაინც თვალსაჩინო ხორცშესხმაა თვითმმართველობისკენ მათი სწრაფვისა, საქმის გადაუდებლობის მათეული შეგრძნებისა.

თუ ვინმეს მორალურად მისაღებად მიაჩნია, რომ თაობებმა კიდევ რამდენიმე ათეული წელი აიტანონ ავტოკრატიული რეპრესია, რადგან ამან შეიძლება სამომავლოდ მეტი სიკეთე მოიტანოს, ეს მაინც ვერ იქნება საფუძველი იმისა, რომ ადამიანები დაარწმუნო, არ მიიღონ მონაწილეობა თავისუფალ არჩევნებში. ხშირად ამგვარი რამ არანაირ ალტერნატივას არ წარმოადგენს. თანმიმდევრული საფეხურების მომხრეთა არგუმენტი პარადოქსულია – ერთი მხრივ, გვირჩევენ სიფრთხილეს და მინიმალიზმს დემოკრატიის გავრცელებასთან დაკავშირებით იმ მოტივით, რომ დემოკრატიზაციის არაპროგნოზირებად პროცესებზე კონტროლის მოპოვება ან გავლენის მოხდენა დასავლეთის ძალებს აღემატება; მეორე მხრივ, მათი მთავარი არგუმენტი ემყარება რწმენას, რომ დასავლეთს შესწევს ძალა, მიმართულება მისცეს პოლიტიკურ ცვლილებას სხვა საზოგადოებებში, უფრო ზუსტად კი, შეუძლია დაარწმუნოს იმედგაცრუებული, მობილიზებული მოქალაქეები, თვალი დახუჭონ – შეიძლება ათობით წლითაც – მათივე გულითად სურვილზე, ღიად და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გრადუალიზმი და არა სეკვენციალიზმი

სეკვენციალისტების მოსაზრებები დემოკრატიის წინაპირობების შესახებ შორს მიდის. თუმცა, ამ საკითხის წამოწევას გარკვეული სიკეთეც ახლავს თან. ის გამოკვეთს იმის საჭიროებას, რომ ყურადღება მიექცეს იმ გავლენას, რომელიც შეუძლია მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ, სტრუქტურებმა და ისტორიულმა მემკვიდრეობამ დემოკრატიული ტრანსფორმაციის წარმატების შანსებზე. მესამე ტალღამ თავდაყირა დააყენა 1960-იანი წლების მოარული სიბრძნე დემოკრატიის წინაპირობებზე, რომელიც ხაზს უსვამდა საშუალო ფენის არსებობისა და ეკონომიკური განვითარების სხვა ატრიბუტების აუცილებლობას. დემოკრატიის ხელშემწყობებმა 1980-იან და 90-იან წლებში სიხარულით გაიზიარეს მოსაზრება, რომ დემოკრატია ყველგან შეიძლებოდა წარმატებით დამყარებულიყო და თანაც სწრაფად. მათ ყურადღება გაამახვილეს ტრანზიციაზე, როგორც წარმატების გადამწყვეტ ფაქტორზე. ამგვარად, მათ სათანადოდ ვერ შეაფასეს ის გართულებები, რაც განსხვავებულ ქვემდებარე პირობებს შეეძლო შეექმნა, სამაგიეროდ, ზედმეტად შეაფასეს არჩევნები, როგორც თავისთავად საკმარისი რამ ფუნდამენტური პოლიტიკური ცვლილების უზრუნველსაყოფად.

რაკი მესამე ტალღა მოძველდა და ბევრ „გარდამავალ ქვეყანასაც“ იმედგაცრუება დაეუფლა, დემოკრატიის წარმატებისათვის წინა პირობებისა და სტრუქტურების მნიშვნელობა სულ უფრო თვალსაჩინო შეიქნა. ასეთ ფაქტორთა დიდი ნაწილი რელევანტურია, მაგრამ ბოლო წლები გვიჩვენებს, რომ მათგან ხუთს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა:

- *ეკონომიკური განვითარების დონე*: ზოგადად, რამდენადაც უფრო მდიდარია სახელმწიფო, მით მეტი შანსები აქვს დემოკრატიაზე წარმატებით გადასასვლელად.
- *ეროვნული სიმდიდრის წყაროების კონცენტრაცია*: სახელმწიფოები, რომელთა ეროვნული სიმდიდრე მოდის მაღალი კონცენტრაციის წყაროებიდან, როგორიცაა, მაგალითად, ნავთობის ან მინერალების საბადოები, მეტ დაბრკოლებას აწყდებიან დემოკრატიზაციის პროცესში.
- *იდენტობაზე დამყარებული გაყოფა*: ქვეყნებს, რომელთა მოსახლეობა დაყოფილია ეთნიკური, რელიგიური, ტომობრივი ან კლანური

მიჯნებით, უფრო უჭირთ დემოკრატიაზე გადასვლა, ვიდრე უფრო ჰომოგენურ საზოგადოებებს.

- *პოლიტიკური პლურალიზმის ისტორიული გამოცდილება*: ქვეყნებს, რომელთაც პოლიტიკური პლურალიზმის გამოცდილება ცოტა ან სულაც არ გააჩნიათ, თითქმის ყოველთვის უფრო უძნელდებათ დემოკრატიზაცია, ვიდრე ასეთი გამოცდილების მქონე ქვეყნებს.
- *არადემოკრატიული მეზობლები*: ქვეყნებს ისეთ რეგიონებში ან სუბრეგიონებში, სადაც მეზობელი ქვეყნების უმრავლესობა არადემოკრატიულია, ჩვეულებრივ, ძალიან უჭირთ დემოკრატიზაცია, ვიდრე ქვეყნებს – დემოკრატიულ სამეზობლოში.

ეს ხუთი ფაქტორი არ უნდა ჩაითვალოს წინაპირობად, რაც ხშირად საკმაო გაუგებრობას იწვევს ანალიტიკოსთა შორის. ეს ფაქტორები არ წარმოადგენს უპირველეს მოთხოვნებს, რომელთა გარეშეც დემოკრატიზაცია ვერ შედგება. ისინი უფრო ხელშემწყობი ან შემაფერხებელი პირობებია, რომლებიც უნდა აღვიქვათ როგორც დემოკრატიზაციის გამაადვილებელი ან გამართულებელი გარემოებები. როდესაც რამდენიმე ან ყველა მათგანი გარკვევით პოზიტიური მხარისაკენ იხრება, ქვეყანას მეტი შანსი აქვს წარმატებისა დემოკრატიზაციის პროცესში, ვიდრე იმ შემთხვევებისა, როცა ისინი საპირისპიროდ არიან მიმართულნი. თითოეულს გარკვეული გრადაცია ახასიათებს. ვერც ერთზე ვიტყვით, ეს არ არის შავი ან თეთრი. ერთად აღებული, ისინი ქმნიან დემოკრატიული წარმატების შესაძლებლობის მუდმივას და არა ბიპოლარულ დაყოფას იმ ქვეყნებად, რომლებიც შეიძლება გახდნენ დემოკრატიული და რომლებიც არ შეიძლება გახდნენ.

ეს ფაქტორები რომ წინაპირობებს არ წარმოადგენს, სათანადო მაგალითების მოხმობითაც შეიძლება ვაჩვენოთ. ბოლოს და ბოლოს, დემოკრატიული ქვეყნების სიაში ღარიბი სახელმწიფოებიც შედიან: არა მხოლოდ ინდოეთი, ყველას რომ პირზე აკერია, არამედ ასევე პანამა, სურინამი, ბოტსვანა, ლესოტო და სენეგალი. სულ მცირე ერთ წარმატებულ დემოკრატიულ სახელმწიფოს – ნორვეგიას აქვს კონცენტრირებული ეროვნული სიმდიდრის წყარო (ჩრდილოეთის ზღვის ნავთობი). ბევრ დემოკრატიულ და ამასთან ხანგრძლივი დემოკრატიის ქვეყანაში როგორებიცაა შვეიცარია, კანადა და ბელგია, იდენტობაზე დამყარებული დაყოფა ღრმად არის ფესვგადმული. პოლიტიკური პლურალიზმის ნაკლებობამ, უდავოდ, ავნო მესამე ტალ-

ღის დემოკრატიზაციის მცდელობებს, თუმცა რამდენიმე ქვეყანამ, რომელსაც არ ჰქონდა ეს გამოცდილება (მონღოლეთი, საქართველო, უკრაინა), მოახერხა ნაწილობრივ წარმატებული დემოკრატიის გზაზე შედგომა. არადემოკრატიული სამეზობლოები პრობლემური, მაგრამ არა შეუვალი ზღუდეა, როგორც ინდოეთის პოსტკოლონიალური ცხოვრების პირველმა რამდენიმე დეკადამ აჩვენა. ამასვე აჩვენებს კოსტა რიკას მაგალითი 1960-იან და 70-იან წლებში და ისრაელისაც წლებისა და წლების მანძილზე.

დემოკრატიის გამავრცელებელთა „უწინაპირობო" ენთუზიაზმთან ასოცირდება ტრანზიციის ის მოდელი, რომელსაც ახასიათებს გადამწყეტი გარდატეხა: ძველი რეჟიმი ემხობა, საზოგადოება ესწრაფვის ღია ეროვნულ არჩევნებს, ამას მოსდევს თანდათანობით სახელმწიფოს რეფორმირება და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება. ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ მოახერხა ამ მოდელით განვითარება და ისინიც (როგორც ცენტრალურ ევროპაში) კარგად ერგებოდნენ ხელშემწყობ ფაქტორთა გაგებას. სხვაგან ტრანზიციათა მცდელობამ განსხვავებულ შედეგებამდე მიგვიყვანა – მათ შორის, ჰიბრიდულ პოლიტიკასთან; ზოგ შემთხვევაში კი მოხდა ავტოკრატიულ რეჟიმში დაბრუნება. ასე რომ, დემოკრატიის მხარდამჭერები ალტერნატიულ მიდგომებს ეძებენ იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დემოკრატიზაციისათვის არასახარბიელო პირობებში იმყოფებიან.

ამ ძიების ერთ-ერთ გზას დემოკრატიზაციისა და დემოკრატიის გავრცელების გრადუალურ მიდგომასთან მივყავართ. დემოკრატიული გრადუალიზმი სეკვენციისაგან განსხვავდება. ამ მიდგომის მიხედვით, არ შეიძლება ათწლეულობით ანდაც გაურკვეველი ვადით გადაიდოს ის, რაც დემოკრატიის გულისგულია – პოლიტიკური შეჯიბრისა და არჩევანის სამართლიანი და ღია პროცესების განვითარება. აღნიშნული პოზიცია გულისხმობს ამ პრინციპის ახლავე გამოყენებას, მაგრამ არა ერთბაშად, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ და თანდათანობით. გრადუალიზმმა კონტექსტის მიხედვით შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს.

რაც შეეხება ძალადობრივი კონფლიქტიდან გამოსულ საზოგადოებებს, მაგალითად, ბოლო წლებში საინტერესო დებატები მიმდინარეობს დემოკრატიის გავრცელების მომხრეთა შორის „ნაადრევი არჩევნების" საფრთხეთა შესახებ. ასეთ კონტექსტებში არჩევნებისაკენ შედარებით ნელი სვლის მომხრეები არ ითხოვენ ამ პროცესის უვადო გადადებას მყარი სტრუქტურების შექმნამდე. მათი აზრით, არჩევნები უნდა გადა-

იდოს რამდენიმე წლით, რათა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს ჰქონდეთ დრო მოსალაპარაკებლად, ხოლო ძირითადმა პოლიტიკურმა ძალებმა ისწავლონ ერთმანეთთან მშვიდობიანი თანაარსებობა და შეთანხმდნენ თამაშის წესებზე არჩევნების ჩატარებამდე.[15] მაგალითი იმისა, რომ 1990-იან წლების დასაწყისში არ უჩქარიათ არჩევნების ჩატარება სამხრეთ აფრიკაში, ერთ რამეს კარგად ცხადყოფს: მოქალაქეები, რომელთაც ერთი სული აქვთ, არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, კიდევ მოიცდიან არჩევნებამდე, თუ ზუსტად იქნება დასაზღვრული ვადა და თუ ეს დრო საჭიროა ეროვნული კონსენსუსის მისაღწევად.

ავტორიტარული მთავრობები, რომლებიც ალალად არიან დაინტერესებულნი, უპირატესად, ეკონომიკური რეფორმებით, ხშირად თავს გრადუალური დემოკრატიის მომხრეებად წარმოაჩენენ ხოლმე. ჩვეულებრივ, ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ფსევდოდემოკრატიული გრადუალიზმის იარლიყი, რომელსაც ავტორიტარული მმართველები იწებებენ, აზვიადებს იმ პოლიტიკურ გავლენას, რაც ეკონომიკურმა რეფორმებმა შეიძლება მოიტანონ და პოლიტიკურ რეფორმებს მინიმუმამდე ზღუდავს. ისეთ ადგილებში, როგორებიცაა ჩინეთი და ახლო აღმოსავლეთი, დემოკრატიის გამავრცელებლები სულ უფრო ხშირად ეძებენ ოქროს შუალედს უეცარი პოლიტიკური ღიაობისკენ არარეალისტურ მოწოდებებსა და მცირე რეფორმების ზედმეტ ქებას შორის. ეს ახალი მიდგომა წარმოაჩენს მცირე, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯების საჭიროებას, რომლებიც შექმნიან სივრცეს და მექანიზმებს ნამდვილი პოლიტიკური კონკურენციისათვის და გზას გაკვალავენ მმართველთა ძალაუფლების მონოპოლიის საბოლოო დასასრულისაკენ. ასეთ ნაბიჯებად შეიძლება განხილულ იქნეს შემდეგი: დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც დაკავებულნი არიან პოლიტიკური ხასიათის უფლებათა დაცვით; მმართველი პარტიისაგან განსხვავებული პოლიტიკური ასოციაციები; სხვა ტიპის პროტოპარტიები; ადგილობრივი ან სამხარეო არჩევნების ჩატარება, სადაც მმართველ პარტიასთან ერთად ეს პარტიული ასოციაციები ან დამოუკიდებელი კანდიდატებიც მიიღებენ მონაწილეობას; ღია საზოგადოებრივი სივრცის შექმნა, სადაც, მართლაც, დამოუკიდებელი მედია იმუშავებს და მმართველი ხელისუფლების კრიტიკა ხმის უფლებით ისარგებლებს.

ნახევრად ავტორიტარულ სახელმწიფოებში, ძალაუფლების მქონენი, ხშირად გრადუალიზმის ცნებას ბოროტად იყენებენ და აცხადებენ, რომ მათი ნაწილობრივი პოლიტიკური ლიბერალიზაცია აუცილებელი

გზის ნახევარია, რომელიც მათ დემოკრატიამდე მიიყვანს; სინამდვილეში კი, ეს ნიშნავს ისეთი ფართო პოლიტიკური ცვლილებების თავის არიდებას, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიდნენ ნახევრად ავტორიტარულ მმართველობას. დემოკრატიის გამავრცელებლებმა, რომელთაც არ სურთ ხელი შეუწყონ ამგვარ ყალბ გრადუალიზმს, ყურადღებით უნდა მოეკიდონ ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც გათვლილი იქნება არსებული პოლიტიკური კონკურენციის შენარჩუნებაზე. ასეთი სტრატეგიების სიაში შევიდოდა საარჩევნო ადმინისტრაციის მართლაც დამოუკიდებელი სისტემის შექმნა; განდევნილი პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაცია; ისეთი ინსტიტუციების გაძლიერება, როგორიცაა საკანონმდებლო სისტემა, რომელშიც რეალური პლურალიზმი გარკვეული ხარისხით უკვე მოცემულია; უზრუნველყოფა დამოუკიდებელ მოქალაქეთა ჯგუფების უფლებისა, რომ განიხილონ და გააკრიტიკონ არჩევნები, მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები; კონსტიტუციური რეფორმის გზით პოლიტიკური ძალაუფლების იმ ზონების შემცირება, რომლებიც კონკურენციის პროცესიდან გამორთულები არიან. [16]

გრადუალიზმი ჯადოსნური ტყვია არ არის. ის შეიძლება ადვილად გამოიყენონ იმათაც, ვინც ავად ფიქრობს დემოკრატიის შესახებ. ის არ აძლევს დემოკრატიის გამავრცელებელთ გავლენის ახალ, გამორჩეულ ფორმებს, რომელთა გამოყენებაც გაზრდიდა მათ მოკრძალებულ როლს. ის არ ნიშნავს, რომ დემოკრატია არასოდეს განიცდის კრახს ან გააცრუებს იმედებს. ის არც უნივერსალური გამოყენებისაა – კვლავ იქნება ქვეყნები, სადაც არჩევნებისაკენ სწრაფი სვლა გამართლებული იქნება და იქნება ქვეყნები, სადაც პოლიტიკური პლურალიზმის ნიშნები საერთოდ არ იარსებებს. მაგრამ გრადუალიზმი სასიცოცხლოდ აუცილებელი დამატებითი მიდგომაა; იგი უნდა განვითარდეს როგორც ნაწილი უფრო ფართო დემოკრატიის განვრცობისა, და განსხვავდებოდეს სტანდარტული გარდამავალი ნიმუშისაგან. გრადუალიზმსა და სეკვენციალიზმს შორის განსხვავება თავდაპირველად შეიძლება ოდნავი ან უბრალოდ სემანტიკური ჩანდეს, მაგრამ, სინამდვილეში, ეს განსხვავება ფუნდამენტურია. გრადუალიზმი განსხვავებული გზაა ახლავე დემოკრატიზაციის პროცესში ჩართვის ან ამ პროცესისკენ მიმართვისა. გრადუალიზმი დემოკრატიული შესაძლებლობების რწმენას ემყარება. სეკვენციალიზმი არის დემოკრატიის გაურკვეველ დრომდე გადადების მეთოდი, რომელსაც ასაზრდოებს დემოკრატიის ფასეულობებისა და შანსების მიმართ სკეპტიციზმი.

შენიშვნები:

[1] Fareed Zakaria, "The Rise of Illiberal Democracy", *Foreign Affairs* 76 (1997 ნოემბერი-დეკემბერი): 22-43.

[2] Edward D. Mansfield, Jack Snyder, "Democratization and the Danger of War", *International Security* 20 (1995 ზაფხული): 5-38.

[3] Amy Chua, "Markets, Democracy, and Ethnicity": Toward a New Paradigm for Law and Development, *Yale Law Journal* 108 (1998 ოქტომბერი): 1-108

[4] Edward D. Mansfield, Jack Snyder, *Electing to Fight: Why Emerging Democracies Go to War* (Cambridge: MIT Press, 2005), 273.

[5] Fareed Zakaria, *The Future of Freedom: Illiberal Democracy at Home and Abroad* (New York: *Norton*, 2003), 15.

[6] მაგალითისთვის იხილეთ, Robert Kaplan, "Was Democracy Just a Moment?" *Atlantic Monthly* (1997 დეკემბერი): 55-80.

[7] Zakaria, *The Future of Freedom;* Mansfield, Snyder, *Electing to Fight;* Amy Chua, *World on Fire: How Exporting Free Market Democracy Breeds Ethnic Hatred and Global Instability* (New York: Doubleday, 2003).

[8] Matthew Stephenson, "A Trojan Horse in China?" Thomas Carothers (რედ.), *Promoting the Rule of Law Abroad: In Search of Knowledge* (Washington, D.C.: Carnegie Endowment, 2006), თავი 8.

[9] U.S. Department of State, *2005 Country Reports on Human Rights Practices* (Washington, D.C.: US Department of State 2006).

[10] Rebecca Bill Chavez, "A Construction of the Rule of Law in Argentina: A Tale of Two Provinces", *Comparative Politics 35* (2003 ივლისი): 417-37.

[11] Mark F. Plattner, "From Liberalism to Illiberal Democracy", *Journal of Democracy* 10 (1999 ივლისი): 121-34.

[12] Thomas Carothers, "The End of the Transition Paradigm", *Journal of Democracy* 13 (2002 იანვარი): 5-21.

[13] Joel S. Migdal, *Strong Societies and Weak States: State-Society Relations and State Capabilities in the Third World* (Princeton: Princeton University Press, 1988).

[14] Mansfield Snyder, *Electing to Fight,* 278.

[15] იხილეთ Krishna Kumar და Marina Ottaway, "General Conclusions and Priorities for Policy Research", წიგნში Krishna Kumar (რედ.), *Postconflict Elections, Democratization, and International Assistance* (Boulder, CO: Lynne Reinner, 1998), თავი 13.

[16] Marina Ottaway, *Democracy Challenged: The Rise of Semi-Authoritarianism* (Washington, D.C.: Carnegie Endowment, 2003), თავი 7.

ინგლისურიდან თარგმნა სალომე წერეთელმა

Journal of Democracy, 2007 იანვარი, 1

ჩარლზ ჰ. ფერბენკსი

რევოლუციების გადააზრება

ჩარლზ ჰ. ფერბენკსი ვაშინგტონის ჰუძონის ინსტიტუტის მოწვეული მკვლევარია, არის Journal of Democracy-ს სარედაქციო გამგეობის წევრი. იგი ახალხანს იმყოფებოდა საქართველოში როგორც ფულბრაიტის სახელობის მკვლევარი და 2003 წლის ნოემბრის არჩევნებში დამკირვებლის სტატუსით მიიღო მონაწილეობა.

2006 წლის ზამთარში ქართველები და უკრაინელები აღნიშნავენ – და ბევრი იზეიმებს კიდეც – მოვლენებს, რომელთაც ზოგიერთმა საკმაოდ ძველმოდური ტერმინი, „რევოლუცია“ უწოდა: ვარდებისა და ნარინჯისფერი რევოლუციები. საოცარია, რომ ამ ისტორიულმა ძვრებმა არ უბიძგა ერთ დროს პოპულარული ცნების, რევოლუციის, გადაზრებას. თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია, როგორსაც ჩვენ დღეს ვიცნობთ, მას შემდეგ გაჩნდა, რაც „რევოლუციის უფლება“ მთელი საუკუნის განმავლობაში სულ უფრო მეტად მტკიცდებოდა და ბოლოს, 1776 წელს ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციამდე მიგვიყვანა. შემდეგი ორი საუკუნის განმავლობაში რევოლუცია იყო ის იმედი, რომელსაც ელოლიავებოდნენ მსოფლიოს ხან ერთ, ხან მეორე ნაწილში. რევოლუცია იყო ნუგეში იმათთვის, ვისაც სჯეროდა ხალხის მმართველობისა და გზამკვლევი მათი მცდელობისა. ზოგი მომდევნო რევოლუცია საოცრად წარმატებული იყო, მაგალითად, ამერიკის რევოლუცია, ხოლო ზოგი კი სასტიკი გაცრუება აღმოჩნდა; ნაწილობრივ იმის გამო, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რევოლუციური ენთუზიაზმი უფრო მოჩვენებითი იყო. კომუნიზმის კრახისას საბჭოთა ბლოკში სუფევდა იმის განწყობა, რომ რევოლუციების დრო წავიდა. ყოფილ საბჭოთა კავშირში მომხდარი ბოლოდროინდელი „ფერადი რევოლუციები“ გვაძლევს საშუალებას, ვკითხოთ საკუთარ თავს, მართლაც ასეა ეს და კიდევ, რევოლუცია თავისთავად არის კარგი თუ ცუდი იდეა.

მკაცრი განსაზღვრებით (რასაც შეიძლება „კლასიკური რევოლუცია“ ვუწოდოთ) რევოლუციას რამდენიმე ძირეული თვისება აქვს. პირ-

ველი: ძველი მმართველობა საჯაროდ დისკრედიტირებული უნდა იყოს, რომ ის სასწრაფოდ შეცვალოს ახალმა მმართველმა ორგანომ – კლასმა ან ადამიანთა ჯგუფმა (მდიდრებმა, მთელმა ხალხმა, კომუნისტებმა, მოლებმა), რომლებიც პოლიტიკაში მონაწილეობენ და, შესაბამისად, მართავენ კიდეც. მეორე: რევოლუცია გულისხმობს მმართველი ჯგუფის სწრაფ შეცვლას მთელი საზოგადოების სახელითა და მისი საშუალებით, რომელიც ამ საზოგადოების უმრავლესობით არის წარმოდგენილი. მესამე, ახალი მმართველები უნდა შეირჩნენ და მიეცეთ ლეგიტიმაცია რაიმე დოქტრინისა ან იდეოლოგიის მიერ. მეოთხე, რევოლუციამ სახელმწიფოს მიერ შექმნილი ახალი სისტემა უნდა დააფუძნოს: რევოლუციების დამახასაითებელი ტენდეციაა, გააკონტროლოს სახელმწიფო და გამოიყენოს ის უფრო დიდი ცვლილებების განსახორციელებლად. მეხუთე: რევოლუციის დროს ახალი მმართველები და ინსტიტუტები მოიპოვებენ ძალაუფლებას ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

ამ განმარტების სამი ელემენტი ცალკე გამოყოფას იმსახურებს: 1) რევოლუცია ხანმოკლე უნდა იყოს და კარგად უნდა იყოს გამიჯნული წინა და მომდევნო პერიოდებისგან, რაც გამოარჩევს მას თანდათანობითი რეფორმებისგან. 2) გარდა ამისა, რევოლუცია მიიღწევა არა მხოლოდ ლიდერების მიერ, არამედ ადამიანთა უფრო ფართო ჯგუფის ენერგიის წყალობით. ზოგჯერ მმართველები შეიძლება მოეშვნენ და გააფართოონ თავიანთი მმართველობის არეალი, რასაც ხშირად ზეწოლის შედეგად აკეთებენ. სახელმწიფო გადატრიალების ლიდერებმა შეიძლება განაცხადონ დემოკრატიული სისტემის შექმნის სურვილი (როგორც ეს მოხდა მავრიტანიაში 2005 წელს), მაგრამ ასეთ შემთხვევებს ვერ ვუწოდებთ რევოლუციებს ტრადიციული გაგებით. ვინაიდან რევოლუციაში ადამიანთა ძალიან დიდი ჯგუფი მონაწილეობს, მათ შეუძლიათ იამაყონ იმით, რასაც მიაღწევენ. 3) დაბოლოს, ძალადობა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო რევოლუციებისთვის. ამ დასკვნის განახლებული შთამბეჭდავი ფორმულირება მოახდინა საიმონ შამამ საფრანგეთის რევოლუციის მეორასე იუბილეზე: „ტერორი მხოლოდ 1789 წელს იყო. მან უამრავი ადამიანი შეიწირა. პირველივე წლიდან ცხადი შეიქნა, რომ ძალადობა უბრალოდ უბედური თანმდევი ეფექტი არ იყო. . . ის იყო რევოლუციის კოლექტიური ენერგიის წყარო.“[1]

ძალადობის გამოყენებას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს. მუსლიმური მსოფლიოს გარეთ თანამედროვე ადამიანს აღარ იზიდავს რევოლუციური (ან ომის) ძალადობა. ასეთი ძალადობა დემოკრატიული ტრანს-

ფორმაციისთვის უდიდეს საშროებას წარმოადენს. მაგრამ იმისათვის, რომ განვმარტოთ კლასიკური რევოლუციების შემთხვევები, აუცილებელია გავარკვიოთ ძალადობის ფუნქცია წარსულის დემოკრატიულ რევოლუციებში. ძალადობა აძლიერებს პოლიტიკური ცვლილების დრამატიზმს, ყოფს ადამიანებს მეგობრებად და მტრებად. ის ქმნის მაგალითებს – ტრაგიკულს, გმირულს, ავაზაკურს – რის საფუძველზეც ადამიანები ახდენენ საკუთარი ხასიათის რეკონსტრუქციას. გავიხსენოთ რევოლუციური ხატები, მაგალითად, ჟაკ-ლუი დავიდის 1793 წელს დახატული „მარატის სიკვდილი". თუ ვიკითხავთ, როგორ ხდებიან პოლიტიკის პასიური მსხვერპლნი პოლიტიკის მესაკუთრენი და წარმმართველები, მივხვდებით, რომ რევოლუციური ძალადობის ეს ხატები და ისტორიები, გმირობები და თავგანწირვები, მნიშნვლოვან როლს ასრულებენ. ძნელია იმის თქმა, არის თუ არა რევოლუციური სიმბოლიზმისთვის არაძალადობრივი მომენტები ისეთივე დასამახსოვრებელი, როგორც ძალადობრივი შეჯახებები. ნებისმიერ შემთხვევაში, არაძალადობის სიმბოლიზმი დამოკიდებულია იმ რეჟიმების ძალადობაზე, რომელთაც იგი ეწინააღმდეგება და თითქმის არაფერს ამბობს იმ არაძალადობრივი სამყაროს შესახებ, რომლისკენაც მიისწრაფვის.

ძალადობა ქმნის აშკარა გამყოფ ზოლს წარსულსა და მომავალს შორის. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმ ფაქტს, რომ იაპონია, გერმანია და იტალია დემოკრატიული ქვეყნებია, თუმცა ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი ფაქტი თანამედროვე ისტორიაში. მას ნამდვილად აქვს რაღაც კავშირი მეორე მსოფლიო ომის წარმოუდგენელ ძალადობასთან, რომელმაც არა მხოლოდ წარსულის ცუდი ასოციაციები შექმნა, არამედ ჩაანაცვლა რევოლუციური ძალადობა წარსულსა და მომავალს შორის გამყოფი ხაზის გავლებით. ამის საპირისპიროდ, პოსტკომუნისტური რუსეთი ჩარჩენილია რუხ, გაურკვეველ სახელმწიფოში, რომელიც აფრიალებს და პატივს სცემს როგორც წითელ დროშას, ისე იმპერიულ სამფერს; ისაა სახელმწიფო, რომელიც არც კომუნისტურია და არც ანტიკომუნისტური.

რევოლუციის საწინააღმდეგო მოსაზრებები

რევოლუციის საწინააღმდეგოდ მრავალი საფუძვლიანი მოსაზრება არსებობს, რომლებიც გასულ საუკუნეში ჩრდილში იყო მოქცეული, რადგან მათი საუკეთესო ფორმულირება უფრო ადრე ისტორიის ფილოსოფოსებ-

მა მოახდინეს. ესენი იყვნენ თუკიდიდე, დევიდ იუმი, იპოლიტ ტენი და ფრანსუა გიზო. ეს მოაზროვნეები რევოლუციიდან წარმომდგარ პრობლემებს გაცილებით დაფიქრებულად და სწორად განიხილავდნენ, ვიდრე ამას თანამედროვე სოციალური მეცნიერების მიერ გაკეთებული ანალიზი გვთავაზობს. დავიწყოთ იმით, რომ ამ მწერალთა უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ რევოლუცია არღვევს ინსტიტუტების მიმართ პატივისცემას და ჩვევაში გადასულ კანონმორჩილებას. თომას ბაბინგტონ მაკოლის „ინგლისის ისტორიაში" ფორმულირებული შესანიშნავი აზრი გვეხმარება, ბევრი რამ გავიგოთ რევოლუციის შესახებ, როგორც მის დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე: „რევოლუციებში ადამიანები სწრაფად ცხოვრობენ. წლების გამოცდილება რამენიმე საათში ჯამდება, ძველი ჩვეულებები და მოსაზრებები ძალის მეშვეობით უქმედება."[2] შემდეგ ის აგრძელებს და ამბობს, რომ რევულიციის საკუთრივი „პრინციპია აჯანყების გამართლება. თავად მისი არსებობა ადასტურებს, რომ რევოლუცია შეიძლება იყოს წარმატებული."[3] ამრიგად, რევოლუციამ შეიძლება გამოიწვიოს დაუსრულებელი ინოვაცია, უშედეგო და დამღლელი. როგორც იუმმა თავის უფრო ადრინდელ ინგლისის ისტორიაში ჩამოაყალიბა: „ყოველი მომდევნო რევოლუცია შემდეგის წინამორბედი ხდებოდა."[4] ჩვენი თანამედროვე ჩარლზ ტილი ასკვნის, რომ საფრანგეთმა, „გარკვეულწილად, ოთხი სხვადასხვა რევოლუცია განვლო 1789 – 1799 წლებში."[5]

სიტუაციის მომთავრება აუცილებელი ხდება, როდესაც, ისევ მაკოლის მიხედვით, „მთელი პოლიტიკური სამყარო ფორმისა და სივრცის გარეშე რჩება – უწყვეტ ბზრიალ-ტრიალშია მტრული ატომები, რომლებიც ნებისმიერ მომენტში ახალ კომბინაციას ქმნიან."[6] ანუ, პოლიტიკოსებს აღარ შეუძლიათ აპელირება რომელიმე მყარ პოლიტიკურ პარტიაზე, ამომრჩევლებზე ან ინტერესებზე ძალაუფლების მოსაპოვებლად; მათ აღარ გააჩნიათ ძალაუფლების რაიმე ეფექტური ბერკეტი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი დროებით მოიპოვებენ სახელმწიფოზე კონტროლს. ეს იყო რუსული პოლიტიკის მწარე რეალობა 1990-იან წლებში. თითქმის აღარ გვახსენდება დემოკრატიის ყოფილი გმირები (გავრილ პოპოვი, სერგეი სტანკევიჩი, ანატოლი სობჩაკი, ოლეგ რუმიანცევი და სხვები). ჩვენ მოხიბლულები ვიყავით ამ ადამიანებით, შემდეგ კი, რაღაც მომენტში დავივიწყეთ და არც გვიფიქრია, აგვეხსნა ჩვენი საქციელი. რა დაემართათ მათ? ზოგი ჩვენი თვალთახედვიდან დაიკარგა, დანარჩენები, სამწუხაროდ, ოპორტუნისტებად და ქურდებად იქცნენ. მათი ფერიცვალების მიზეზი ნაწილობრივ ის უნდა იყოს, რომ მათი

პოლიტიკური გარემო დამყარებული იყო შემთხვევითობებზე, ხოლო მათი ყველა ნაბიჯი იყო სლიპინა. ამდენად, ისინი იძულებული ხდებოდნენ, თავი დაენებებინათ პოლიტიკისათვის, ან იქით წასულიყვნენ, საითაც ქარი დაუბერავდა. რევოლუციებს, როგორც წესი, ისეთი ადამიანები მოჰყავს ხელისუფლებაში, რომელთაც არ გააჩნიათ გამოცდილება მათ ხელთ არსებული პოლიტიკური რესურსების გამოყენებაში (მაგალითად, ზვიად გამსახურდია საქართველოში და აბუფაზ ელჩიბეი აზერბაიჯანში). თანამედროვე სახელმწიფო თითქმის მთლიანად არის ჩვევებისა და იმის მოლოდინების სტრუქტურა, რომ ზოგიერთი ოფიციალური თანამდებობის პირი დაექვემდებარება სხვა თანამდებობის პირს და, რომ ოფიციალურ ქმედებებს გარკვეული შედეგი ექნება. ამ ჩვევებსა და მოლოდინებს ანგრევს რევოლუცია.

რევოლუცია აჩენს ენთუზიაზმს, ქმნის უზარმაზარ იმედებს და გარდაუვალ გაწბილებებს. ამგვარად, ის მთავრობისათვის არამდგრადი და სუსტი საფუძველია. როგორც იუმი ამბობს, „ვნების ბუნება იმგვარია, რომ ის თანდათანობით ქრება, ხოლო სხვადასხვა ინტერესი ინარჩუნებს მუდმივ გავლენას და ძალაუფლებას.“[7] სხვა სიტყვებით, ინტერესი უკეთესი საფუძველია პოლიტიკური ინსტიტუტებისათვის, ვიდრე ენთუზიაზმი. ენთუზიაზმმა ადვილად შეიძლება გამოიწვიოს სულ უფრო მეტი უკიდურესი პოლიტიკური პოზიცია და გაამწვავოს მათ შორის ერთმანეთის ჯობნის სურვილი. მრავალი რევოლუცია სწორედ ამაზე მოგვითხრობს. როგორც კი რევოლუციური გზნება განელდება, გაწბილება ადვილად წარმოქმნის პოლიტიკურ ცინიზმს. თანამედროვე საზოგადოებები იშვიათად არიან ჩართული პოლიტიკაში მთელი მოცულობით. ექსტრემისტული პოლიტიკის გაჩენის შედეგად თავად რევოლუციონერთა უმრავლესობაც კი თანდათან გადის პოლიტიკური სცენიდან. ერთი იაკობინელი კანონმდებელი ჩივის: სულ რაღაც რამდენიმე წლის შემდეგ „იმის ნაცვლად, რომ რევოლუციის მეგობართა რიცხვი სულ უფრო გაზრდილიყო, როგორც ეს რევოლუციის პროცესში ხდებოდა... ჩვენი რიგები თხელდება და თავისუფლების ადრინდელი დამცველები გვტოვებენო.“[8] ტენიც იმას ამბობს, რომ მმართველებს თავი ვაკუუმში ჰგონიათ, ვინაიდან გრძნობენ საზოგადოებრივი სულის სისუსტესა და სოციალური სოლიდარობის სიმცირესო.

სწორედ ეს იწვევს რევულუციების პარანოიას: ლიდერებს ეუფლებათ სასოწარკვეთა, რადგან იციან, რომ რეალურად მათ მხარდაჭერა არ გააჩნიათ. საბოლოოდ, ანუ უფრო ადრეც, მმართველები საკუთარ, პი-

რად ინტერესს გამოკვეთენ. დირექტორია (მცირე ჯუფი, რომელთა წევრებიც ფლობდნენ ძალაუფლებას საფრანგეთში 1795-99 წლებში) შედგებოდა ყოფილი იაკობინელებისგან, რომლებიც მას შემდეგ, რაც რევოლუციამ ამოწურა თავისი თავი, პირველ რიგში დაინტერესეულნი იყვნენ საკუთარი ფულისა და მდგომარეობის შენარჩუნებით.[9] ეს ფაქტი კარგად ხსნის პოსტსაბჭოთა კლეპტოკრატიასაც. საბოლოოდ, ძნელია გაუძლო ცდუნებას და არ გამოიყენო ძალაუფლება იმისათვის, რომ შეავსო სიცარიელე, რომელიც რჩება რევოლუციური ენთუზიაზმის გაქრობის შემდეგ. ძალაუფლების ხელში ჩაგდების კულმინაციად კი შეიძლება გახდეს ისეთი დიქტატორის გაჩენა, როგორიცაა კრომველი, რობესპიერი, ნაპოლეონი ან ლენინი. ეს არის პროცესი, რომელიც შემაშფოთებლად ხშირად მეორდება.

შეუძლებელია, რევოლუცია იყოს კანონიერი ან კონსტიტუციური, რადგან რევოლუცია რეჟიმის შეცვლას ნიშნავს, ხოლო კანონებს რეჟიმი ქმნის. ვარდებისა და ნარინჯისფერი რევოლუციები გულისხმობდაა გაყალბებული არჩევნების იურიდიულად გაუქმებას, მაგრამ ამის მისაღწევად მოქალაქეთა ქუჩაში გამოსვლა გახდა საჭირო. სინამდვილეში, ძალადობა, რომელიც კლასიკური რევოლუციების განუყრელი ნაწილია, გარკვეულწილად მაინც პოვებს გამოძახილს „ფერად რევოლუციებშიც“. მიხეილ სააკაშვილი არაძალადობრივი ვარდების რევოლუციის ლიდერი იყო, მაგრამ 2005 წელს, რევოლუციის ორი წლისთავის აღნიშვნისას მან აჩვენა ფილმი იმის შესახებ, თუ რა მოხდა ზუგდიდში; ეს იყო ერთადერთი პუნქტი, სადაც ადგილი ჰქონდა ძალადობას: ნიღბიანმა კაცებმა ესროლეს მომიტინგეებს, დაჭრეს ორი და მოკლეს ერთი ადამიანი. ზეიმზე სააკაშვილმა, რომელმაც ძალიან კარგად იცის რევოლუციური სიმბოლოების ძალა, აჩვენა ქალი, რომელმაც მამაცურად ჩამოხსნა ნიღაბი ერთ-ერთ ანონიმურ მსროლელს. სააკაშვილს ესმის, რომ რევოლუციას სჭირდება გმირები და არამზადები – საჭიროება, რომელიც ძნელად ეთავსება მის არაძალადობრივ პრინციპს.

როდესაც რევოლუციის მიმდევრები მოდიან ხელისუფლებაში, ისინი განასახიერებენ ფეთქებად პარადოქსს. მათი პრესტიჟი ემყარება რევოლუციურ იდეებს, სიმბოლოებს და მოტივებს, თუმცა მათ უნდა შეძლონ მყარ მთავრობებად ჩამოყალიბება. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მმართველები ცდილობენ მოძებნონ რაიმე გზა რევოლუციური განწყობის აღსადგენად. ერთი ასეთი საშუალება შეიძლება იყოს ტერორი, რომელიც ხელახლა დაყოფდა საზოგადოებას მეგობრებად და მტრე-

ბად და შექმნიდა ძალადობით გამოწვეულ მღელვარებას. სტალინმა განახორციელა „მეორე რევოლუცია“, მაო ძედუნმა კი კიდევ უფრო აშკარად სცადა სახალხო ომანყების პერიოდის აღდგენა „კულტურული რევოლუციის“ გზით. რევოლუციის წინააღმდეგ უნდა აღვნიშნოთ ის გზაც, რომელსაც ის ირჩევს – ტერორი. რევოლუცია შეიძლება შევადაროთ ქვას, რომელიც პატარა გუბეში ჩავარდა; ეს არის ფენომენი, რომელსაც ურიცხვი რამ მოჰყვება შედეგად.

რევოლუცია არის იდეა, რომელიც ლეგიტიმურობას ანიჭებს არაკონსტიტუციურ და ხშირად ძალადობრივ გზას ძალაუფლებისკენ. ეს არის საჩუქარი ამბიციური და ხარბი ადამიანებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ თავისი coups d’ etat სახალხო რევოლუციების სახელით შენიღბონ. ისტორიის კველვა გვიჩვენებს, რომ რევოლუციების ამგვარი ბოროტად გამოყენება სულ უფრო ხშირი ხდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რევოლუციები გასცდა ევროპის ფარგლებს (და ევროპული მოსახლეობის მიერ კოლონიზირებულ ადგილებს), სადაც მას უფრო ღრმა სოციალური და იდეოლოგიური ფესვები ჰქონდა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოხდა რევოლუციური ტრადიციების თანდათანობითი განადგურება. მაგალითად, 1911 წელს ჩინეთის რევოლუციამ ჩამოაგდო მანჩუს დინასტია. ეს რევოლუცია ვერ მოიპოვებდა წარმატებას ახალი, ევროპული მოდელის ჯარის მეთაურის, იუან შიკაის გარეშე. იუან შიკაის რევოლუციისადმი ერთგულება უფრო ნათელი გახდა 1913 წელს, როდესაც მან სცადა თავად გამხდარიყო იმპერატორი და ახალი დინასტია დაეფუძნებინა. 1990-იან წლებში რევოლუციის დროშას ეფარებოდნენ ისეთი დაჯგუფებები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ლიდერების ამბიციებსა და ძარცვის სურვილს ემსახურებოდნენ, როგორიც იყო, მაგალითად, გაერთიანებული რევოლუციური ფრონტი სიერე ლეონეში. რამდენ არაკეთილსინდისიერსა და მოძალადე ადამიანს მისცა ძალაუფლება რევოლუციურმა იდეამ!

დაბოლოს, დასავლური რევოლუციური ტრადიციის ერთი უცნაური რწმენა მდომარეობს იმაში, რომ შევიწროება, ცუდი პირობები, რაც აზიანებს ადამიანის ბუნებასა და შესაძლებლობებს, არის აუცილებელი პრელუდია უკეთესი სიტუაციის მისაღწევად. ეს რწმენა სრულიად ზუსტად არის გადმოცემული მარქსისტულ დოქტრინაში, რომლის მიხედვითაც პროლეტარიატის მზარდი გაჭირვება არის რევოლუციური აღორძინების დასაწყისი. ზოგადად კი, ასეთი დამოკიდებულება ყველა რევოლუციისთვის საერთოა; თითოეული მათგანი აჩვენებს, რომ იგი – რე-

ვოლუცია – არის რეაქცია შევიწროებაზე. თუმცა, არ არის ცხადი, რატომ უნდა დაბადოს უარესმა უკეთესი. კარგი ძაღლი ან ცხენი რომ გაზარდო, არ იწყებ იმით, რომ ცემ ან აშიმშილებ. ძალზე უცნაურია ვარაუდი, რომ გაჭირვება და შევიწროება იწვევს ადამიანის ხელახალ დაბადებას. შეიძლება ასეთი რევოლუციური რწმენა მომდინარეობს იესოს ჯვარცმიდან და აღდგომიდან, რომელიც თავისთავად უდიდეს პარადოქსად ითვლება.

რევოლუციები, როგორც ზემოთ განვსაზღვრეთ, იტორიის გარკვეულ მონაკვეთში და ადგილას გაჩნდა (მკვლევართა უმეტესობის აზრით, ევროპის ადრინდელი მოდერნის დროს). კლასიკურ ანტიკურ ხანაში, მრავალი წინაპირობა არსებობდა რევოლუციებისათვის – მწვავე კლასობრივი კონფლიქტები, რეჟიმის უეცარი ცვლილებები და ურთიერთდაპირისპირებული მხარეები ფილოსოფიური პოზიციებით (სოკრატეს ფილოსოფია და ოლიგარქია, სტოიციზმი რომაელ იმპერატორთა საწინააღმდეგოოდ), მაგრამ რევოლუცია არ მომხდარა. ეს საინტერესო ისტორიული ფაქტი ბადებს კითხვას, შეიძლება თუ არა, რომ რევოლუციები ოდესმე საბოლოოდ გაქრეს. ეს კითხვა გაამწვავა იმ გზამ, რომელმაც კომუნისტური მმართველობა დანგრევამდე მიიყვანა 1989 – 91 წლებში.

პოსტკომუნისტური ცვლილებები

კომუნისტი ოლიგარქების გადაყენებამ, რამაც მართლა გამოიწვია რეჟიმის ცვლა, მიუხედავად იმისა, რომ შედეგად მაინც ავტორიტარული მმართველობა დარჩა, პირველ რიგში (რუსეთის შემთხვევის გარდა) ნაციონალური დამოუკიდებლობის საკითხი დააყენა და არა სათანადო მმართველი რეჟიმისა. მიხეილ გორბაჩოვმა ამ ცვლილებებს ზემოდან მისცა ბიძგი. სახალხო აჯანყებებს ადგილი არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით რუმინეთის შემთხვევას, ისიც შეზღუდული სახისას. პოლონეთში ათწლიანი სოლიდარობის კამპანია, რომელიც ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა და ზედმიწევნით კარგად იყო ორგანიზებული, ყველაზე მეტად ჰგავდა ტრადიციულ რევოლუციურ მოდელს. თუმცა კი ერთობ დამაფიქრებელი იყო (და ბევრი აღმოსავლელევროპელი დისიდენტის მიერ ჭარბსიტყვიერად გამოთქმული), რომ ეს მოვლენები არ მომხდარა მთავრობის რაიმე იდეოლოგიის ან თეორიის სახელით. ეს უცნაუ-

რია, რადგან, როგორც ფლობერი აღნიშნავს თავის რომანში „ბუვარი და პეკუშე“, თანამედროვე ცხოვრება იდეებისაგან შედგება: ჩვენი ინსტინქტები იღებენ ეგალიტარიზმის, ფემინიზმის, პროფესიონალიზმის ფორმას. ეს ყველაფერი უბრალოდ გრძნობები კი არა, იდეებია. დაბოლოს, გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირი დაიშალა, არსებითად, უსისხლოდ. იყო რამდენიმე მცირემასშტაბიანი გამონაკლისი – რუმინეთში ათასი ადამიანის დაღუპვა 1989 წელს და ჩეჩნეთის 1992 წლის ამბები, მაგრამ არც ერთი მათგანი ყოფილა ტრადიციული ძალადობრივი რევოლუცია.

პოსტკომუნისტური გადატრიალებები შეიძლება განვიხილოთ როგორც „ხავერდოვანი რევოლუცია“ ან არაძალადობრივი რეჟიმის შეცვლა, თუმცა აქვე აუცილებლად უნდა გავითვალიწინოთ, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიაში ამ გადატრიალებათაგან ცხრას მოჰყვა ეთნიკური წმენდა, მეტწილად – ძალადობის გამოყენებით. უნდა გაირკვეს, არის თუ არა ეს ეთნიკური ძალადობა დაკავშირებული რეჟიმის ცვლასთან და, შესაბამისად, წარმოადგენს თუ არა ის კლასიკურ რევოლუციას. ეს არის ძირითადი კითხვა თანამედროვე პოლიტიკის ბუნების შესახებ. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მივედი იმ აზრამდე, რომ კომუნიზმის გადავარდნა ამ ქვეყნებში არ უნდა განიხილებოდეს ტრადიციულ რევოლუციებად. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ახალ, მეტწილად, ეთნიკური ნიშნით განსაზღვრულ პოლიტიკურ საზოგადოებათა ჩამოყალიბებას ხშირად წინ უსწრებდა ეთნიკური ძალადობის გამოვლინებები. გამონაკლისს წარმოადგენდა აზერბაიჯანი და მთიანი ყარაბაღი, სადაც ძალადობა უფრო ადრე ან ზუსტად თანადროულად გამოვლინდა და განაპირობა ახალი, არასაბჭოთა საზოგადოებების ჩამოყალიბება. მაგრამ სხვა შემთხვევებში, საზოგადოება (“ჩვენ, ადამიანები“) არ აჯანყებულა იმისათვის, რომ ახალი პოლიტიკური ფორმა განესაზღვრა. უფრო მეტად, ძველი ფორმები გადაგვარდა და ფორმის არარსებობამ საჭირო გახადა ეთნიკური სეპარაცია ახალი პოლიტიკური საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. განსაზღვრების საჭიროება რაიმე კონკრეტული რევოლუციური იდეოლოგიის არარსებობისგან მოდის, რომელიც შეძლებდა მოეხდინა ამა თუ იმ ადამიანთა მიერ სხვა ადამიანების მართვის ლეგიტიმაცია: მაგალითად, ხალხის მიერ მეფისა და არისტოკრატების მართვა ან მუშათა კლასის და მათი ავანგარდის მიერ სხვა კლასების მართვა.[10]

საოცარია, რომ ეთნიკური წმენდის შედეგად შექმნილ ახალ პოლიტიკურ საზოგადოებათა ლიდერები, განსხვავებით, ტრადიციული რევო-

ლუციური ლიდერებისაგან, არა ცდილობდენ იმ სახელმწიფოს გაძლიერებას, რომლის სათავეშიც აღმოჩნდნენ. ისეთი ლიდერები, როგორებიც არიან ალია იზეტბეგოვიჩი ბოსნიაში, იბრაჰიმ რუგოვა კოსოვოში, ჯორხარ დუდაევი ჩეჩნეთში, ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძე საქართველოში, ვლადისლავ არძინბა აფხაზეთში, ლუდვიგ ჩიბიროვი სამხრეთ ოსეთში და აბულფაზ ელჩიბეი აზერბაიჯანში, ხელმძღვანელობდნენ ახალ რეჟიმებს, სადაც სახელმწიფოს აღმშენებლობის იმპერატივი ძალიან სუსტი იყო. კოსოვოში ახალ პოსტკომუნისტურ მთავრობას არც კი უცდია უნიფიცირებული სუვერენულობის დამყარება საკუთარ ტერიტორიაზე ძალის მონოპოლიის, ანუ ჯარის, მეშვეობით. პირიქით, იბრაჰიმ რუგოვას ალბანელმა მმართველებმა ჩამოაყალიბეს პაციფისტური ადმინისტრაცია, რომელმაც კოსოვოს ცხოვრების უმეტესი ასპექტის ორგანიზება მოახდინა და სერბულ მთავრობასთან პარალელურად თანაარსებობდა (რომელიც მხოლოდ სერბულ უმცირესობას წარმოადგენდა). 2005 წლის ყირგიზული აჯანყება ჰგავდა კომუნიზმის დამხობას იმით, რომ ისედაც სუსტი ყირგიზეთის სახელმწიფო კიდევ უფრო დაასუსტა.

დანარჩენი ორი „ფერადი რევოლუცია“ საქართველოსა და უკრაინაში დაუბრუნდნენ იმ რევოლუციურ პრაქტიკას, რომელიც სახელმწიფოს გაძლიერებაზეა მიმართული. ეს განსაკუთრებით მართალია საქართველოს შემთხვევაში, სადაც სააკაშვილმა მის 2004 წლის იანვრის საინაუგურაციო მიმართვაში განსაკუთრებულად გაამახვილა ყურადღება სახელმწიფოს გაძლიერებაზე და მის აუცილებელ ინსტრუმენტზე, ჯარზე. შემდგომში აჭარაზე საქართველოს ეფექტური სუვერენიტეტის აღდგენამ და გადასახადების შეგროვების დრამატულმა ზრდამ საქართველო უფრო მეტად დაამსგავსა ტრადიციულ პოსტრევოლუციურ ქვეყანას.

თანამედროვე აზრი და რევოლუცია

კომუნიზმის გადავარდნამდეც კი, კლასიკური რევოლუციის იდეა საზრვნო სივრციდან იყო გაძევებული. თეორიული წანამძღვრები, რომლებიც აკვალიანებდნენ იმათ, ვინც კომუნისტურ ქვეყნებში ცვლილებას ესწრაფვოდნენ, ძირითადად, იმ სამი საზრვნო მიმართულებისგან წარმოდგა, რომლებმაც თავი 1970-იან წლებში იჩინეს.

ამ სამი მიდგომიდან პირველი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის დისიდენტურ აზროვნებაში განვითარდა. კომუნისტური რეჟიმისაგან განთავისუფლების პირველი სტრატეგია ტრადიციული რევოლუციური მოდელებით იყო ნაკარნახევი და ომისშემდგომი ხანგრძლივი აჯანყებები გამოიწვია პოლონეთში, უკრაინასა და ლიტვაში. მაგრამ უნგრეთის რევოლუციის დამარცხებამ 1956 წელს და დასავლეთის მხრიდან წარუმატებელმა დახმარებამ ერთგვარი გადამწყვეტი როლი ითამაშა. თანდათანობით დისიდენტებმა უარყვეს რევოლუციური ძალადობა, რადგან ირწმუნეს, რომ საბჭოთა კავშირთან დაჭიდებას აზრი არ ჰქონდა. ამის ნაცვლად, თავიანთი ძალისხმევა წესიერი, არაიდეოლოგიური „სამოქალაქო საზოგადოების“ შენებაზე მიმართეს, რომელშიც ადამიანები უფრო მეტი თავისუფლებით ისარგებლებდნენ. ყველა დისიდენტი არ იზიარებდა ამგვარ მიდგომას და მას არასდროს მოუხდენია დიდი გავლენა თავად საბჭოთა კავშირში. ყველაზე შთამბეჭდავი საბჭოთა დისიდენტი, ალექსანდრ სოლჟენიცინი, მხარს უჭერდა ბანაკებში ამბოხს და იმ აზრსაც, რომ დამსმენები დაეხოცათ.

მეორე ძლიერი მიმართულება ბაზრის მნიშვნელობაზე აკეთებდა აქცენტს და სოციალიზმს განიხილავდა როგორც შეცდომას. ამან შეაფერხა ტრადიციული სახალხო რევოლუციის იდეის განვითარება. არავინ ელოდა, რომ ხალხი ენთუზიაზმით მოეკიდებოდა კომუნისტური კეთილდღეობის სისტემის აღმოფხვრას ან მის ძირეულ ტრანსფორმაციას.

მესამე მიდგომა დასავლელ სოციალურ მეცნიერთაგან მომდინარეობს. მათ ახლებურად გაიაზრეს, თუ რა ცვლილებები იყო საჭირო დემოკრატიის მიმართულებით. ამგვარი მიდგომის მოთავენი იყვნენ ფილიპ შმიტერი და გილერმო ო'დონელი. ისინი ვუდროუ ვილსონის ლათინური ამერიკის პროგრამის ეგიდით მუშაობდნენ 1970-იან წლების ბოლოს. მათ სრულიად უარყვეს პოლიტიკური ცვლილების ძალადობრივი და რევოლუციური გზა. მათ მემარცხენეებს ურჩიეს: „ერთადერთი რეალისტური ალტერნატივა მემარცხენეებისათვის არის ის, რომ მიიღონ ზემოხსენებული შეზღუდვები“ (ანუ, იმუშაონ თანდათანობით და მოლაპარაკებით ან „შეთანხმებით“ გარდაქმნაზე, და იმედი არ დაკარგონ).[11] ამ მიდგომიდან წარმოდგა ფართოდ გარცელებული აზრი, რომლის მიხედვითაც დემოკრატიები ზემოდან უნდა „წამოვიდეს“. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დემოკრატიაზე ტრანზიციის ყველა გავლენიანი თეორეტიკოსი არ გამორიცხავდა რევოლუციას, როგორც რეჟიმის შეცვ-

ლის ერთ-ერთ საშუალებას. ხუან ლინცი მას *ruptura*-ს (წყვეტის) ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავს, ხოლო სემუელ ჰანტინგტონს ის „ჩანაცვლების“ კატეგორიაში შეჰყავს.[12] თუმცა, ლინცის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ „უმეტეს ავტორიტარულ რეჟიმებში“ ვერც ტრანსფორმაციასა და ვერც „წარმატებულ *ruptura*-ს“ მხოლოდ „ძალაუფლებაში მყოფები ან მხოლოდ ოპოზიციონერები ვერ განახორციელებენ.“[13] ამის თანდათანობითი შედეგი იყო ის, რომ დემოკრატიული ტრანზიცია წარმოდგა როგორც ახალი ცნება, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ დესკრიფციულად მოიცავდა რევოლუციას, როგორც იშვიათ და მცირე შემთხვევას, პრაქტიკულად, დემოკრატიის აქტივისტებს არ უბიძგებდა რევოლუციისაკენ.

„დემოკრატიული ტრანზიციის“ ცნება, როგორც რევოლუციის ცნების მემკვიდრე, დიდი მიზიდულობის აღმოჩნდა უამრავი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ლენინური და ფაშისტური რევოლუციების შედეგები კატასტროფული გამოდგა. მეორეც, მუსლიმური საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის გარდა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით იზრდებოდა ძალადობისადმი ძლიერ უარყოფითი დამოკიდებულება. მესამეც, არსებობდა იდეოლოგიებისადმი გაუცხოება, რისი მიზეზიც იყო როგორც ანტიდემოკრატიული იდეოლოგიის სამწუხარო გამოცდილება, ისე პირველადი დემოკრატიული იდეოლოგიები, რომელთა სახელმწიფოს ბუნებისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების ძირეული ცნებები ძალიან მოძველდა და აღარ შერჩა ის ინტელექტუალური ძალა, რომლითაც მეთვრამეტე საუკუნეში საზრდოობდა. მას მერე ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობაზე მითითება ხელოვნურად თავს მოხვეული მდგომარეობის საწინააღმდეგოდ, ძალიან დაასუსტა ისტორიციზმისა და რელატივიზმის აღზევებამ. მეოთხე ფაქტორი უფრო დაწვრილებით განხილვას საჭიროებს ჩვენგან, ანუ სოციალურ მეცნიერთაგან. თავად ჩვენ ელიტების წარმომადგენლები ვართ და იდეა, რომ პოლიტიკური პროცესები ზემოდან იმართება, ჩვენთვის ძალიან კომფორტულია. ამის საწინააღმდეგოდ, მასების სპონტანურობა – ხალხის გამოსვლა ქუჩებში, ყვირილი და სროლა – ჩვენშიც ისეთსავე არაკომფორტულობას იწვევს, როგორსაც იწვევდა იგი მეთვრამეტე საუკუნის არისტოკრატებში. მეხუთე, დემოკრატიული ტრანზიციის იდეა უზომოდ მიმზიდველია როგორც იმ მთავრობებისათვის, რომლებიც, მათი სიტყვით, დემოკრატიაზე გადადიან, ისე დასავლური მთავრობებისთვის, რომლებიც მათ ეხმარებიან. ადამიანთა უფლებების დარღვევის შემთხვევებისა და დემოკრატიაში დაშვებული

მრავალი შეცდომის გამო განგაშს არავინ ტეხს, რადგან იტყვიან: „არა უშავს, ქვეყანა ჯერ კიდევ ტრანზიციის პერიოდშია.“

დემოკრატიულ ტრანზიციას ისეთივე მიმზიდველობა ჰქონდა, რაც ინგლისურ იდეოლოგიას ანუ „ვიგების ისტორიის კონცეფციას“ – იდეას, რომელიც თანდათანობით განვითარდა 1215 წლის Magna Carta-ს დროიდან, გამოიარა 1688 წლის დიადი რევოლუვია და მიაღწია საპარლამენტო სარეფორმო დეკლარაციებს მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში. ამგვარად, წარსულისადმი გარკვეული მოწიწება ინოვაციის სურვილს ერწყმის. დემოკრატიულ ტრანზიციასაც მსგავსი ხიბლი აქვს: იგი არ მოითხოვს მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას, ნეგატიურად არ განსჯის სხვა კულტურებს და არც კომუნიზმს, თუმცა ის რეფორმებისადმი სრულიად ცალსახა დამოკიდებულებას მოიცავს – სხვა საზოგდოებების სულ უფრო მეტად გაუმჯობესების იდეას. ამ კონცეფციის ხიბლი თანამედროვე ადამიანის ფსიქიკის სიღრმეში უნდა ვეძიოთ. შესაძლოა დემოკრატიული ტრანზიციის იდეა, გარკვეულწილად, თანამედროვეობის მიერ ბუნდოვანებისა ან უზუსტობისადმი ზოგადი სიყვარულით არის განპირობებული. ავიღოთ თუნდაც ევროპის კავშირი; გაურკვეველია, რა არის ის: ფედერაცია, კონფედერაცია თუ ალიანსი – როგორღაც ის ამ ყველაფრის შუაში მერყეობს. ჰუმანიტარული ჩარევა არც ომია და არც დახმარების ოპერაცია, არამედ რაღაც ამათ შორის. როგორც ალან ბლუმი აღნიშნავს, სასიყვარულო რომანები ჩაანაცვლა „რუხმა და უფორმო“ რაღაცეებმა, რასაც ურთიერთობებს უწოდებენ.

რევოლუცია არის იდეა, რომელიც გულისხმობს უეცარ წყვეტს და გადასვლას ახალი რეჟიმისკენ. თუ არ დამყარდა ახალი რეჟიმი, ესე იგი, რევოლუცია ვერ შედგა. ამის საპირისპიროდ კი, დემოკრატიული ტრანზიციისთვის აუცილებელი არაა საამპროცესოდ დროის განსაზღვრა; ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე იყო გაგებული ეს იდეა ბალკანეთის ქვეყნებსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში. პრაქტიკაში მან გარკვეულწილად დამახინჯება განიცადა. თავდაპირველი იდეა კი რუპტურა-ს და გარღვევას მოიცავდა და რომლის თვალში საცემი შემთხვევებიც სწრაფი ტრანზიციები იყო. 1992 წელს ყველას ეგონა, რომ რუსეთმა ძირეული ცვლილება განახორციელა დემოკრატიის მიმართულებით; სინამდვილეში კი, რუსული „ტრანზიცია“ დიდად არ განსხვავდებოდა ესპანეთისა და სამხრეთ აფრიკის ტრანზიციებისგან. 2006 წელს ცხადი შეიქნა, რომ რუსეთის სიტუაცია ერთობ განსხვავებულია.

ჩარლზ ჰ. ფერბენკსი

დემოკრატიული ტრანზიცია ყოფილ სსრკ-ში

დემოკრატიულმა ტრანზიციამ, როგორც მიდგომამ, ადეკვატურად იმუშავა აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში და არაკომუნისტურ აღმოსავლეთ აზიაში. მაგრამ სულაც ვერ იმუშავა ყოფილ საბჭოთა კავშირში, ფედერალურ იუგოსლავიაში, ალბანეთში, ჩინეთში, კამბოჯაში, ახლო აღმოსავლეთში, სუბსაჰარულ აფრიკაში. „ტრანზიტული ქვეყნების“ უმრავლესობათა შემთხვევაში ეტაპების მოსალოდნელ თანმიმდევრობას კი არ ჰქონდა ადგილი (დასაწყისი, გარღვევა, კონსოლიდაცია), არამედ ცხადი მიმართულების გარეშე რთულსა და გაუგებარ პროცესს. ყოფილ საბჭოთა კავშირში ისეთი ლიდერების პერიოდში, როგორებიც იყვნენ ბორის ელცინი და შევარდნაძე, დემოკრატიზაციაზე მიმართული რეფორმები ხშირად იცვლებოდა. თუმცა ეს რეფორმები სულ უფრო მეტად იხრებოდა ავტორიტარული მმართველობის საბოლოო კონსოლიდაციისკენ. დემოკრატიის დიდი გმირები, ყირგიზი ასკარ აკაევისა და ელცინის მსგავსნი, აღმოჩნდნენ ავტორიტარული მმართველები ან გადასცეს ძალაუფლება ისეთ ადამიანებს, რომელთაგანაც ავტორიტარულ მმართველობას მოელოდნენ, მაგალითად, რუსეთში ვლადიმერ პუტინს. გამაოგნებელია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ ტრანზიციაში არც ერთმა მმართველმა არ არჩია, ძალაუფლება მისთვის გადაეცა, ვინც უფრო დემოკრატიული მმართველი იქნებოდა.

ფორმის არქონა დემოკრატიული ტრანზიციის ძირეული პრობლემაა. თუ ტრანზიცია შეიძლება სწორად ან მცდარად განიმარტოს როგორც ხანგრძლივი პროცესი, წარმატების ან წარუმატებლობის ამოსავალი პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების მიმდინარეობაშია. იგი წააგავს პარტიზანული ომის წარმოებას: ძნელია იმის ცოდნა, თუ როდის იმარჯვებ, ვინაიდან არ არსებობს დიდი გამარჯვებები ან დამარცხებები, რომლებიც საზომად გამოდგებოდა. სამწუხაროდ, დემოკრატიული ტრანზიციის შესახებ კლასიკურ გაზრებათა ზოგიერთი ასპექტი ამ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ჰანტინგტონმა თქვა, რომ „ბრაზილიის ტრანფორმაციის გენიალობა იმაში მდომარეობს, რომ შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა ეტაპზე შეწყდა ბრაზილიაში დიქტატურა და დამყარდა დემოკრატია.“[14]

განსაკუთრებულად უარყოფითი როლი ითამაშა დამატებით „უკეთესი“ ან „უარესი“ არჩევნების ცნების შემოტანამ, რომელიც დაამკვიდრა

თანდათანობითი ტრანზიციის კონცეფციამ. როგორც დემოკრატიული ტრანზიციის ადრინდელი თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, არჩევნები დემოკრატიული განვითარების ნათელი მაგალითი შეიძლება იყოს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი საყოველთაოდ სამართლიანია ან მოულოდნელი შედეგებით მთავრდება. დასავლურმა დემოკრატიის ხელშეწყობის პროგრამებმა უხვად წარმოადგინეს ტექნიკური საშუალებები, როგორებიცაა გამჭვირვალე საარჩევნო ყუთები, რაც შეიძლება გაუმჯობესებად ჩაითვალოს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც პასუხი მნიშვნელოვან კითხვაზე, ცდილობს თუ არა მთავრობა გააყალბოს შედეგები. დასავლურ მთავრობებს, რომლებსაც „ტრანზიტულ“ ქვეყნებთან ფრთხილი ურთიერთობა აქვთ, ისევე როგორც არჩევნების მონიტორინგის ჯგუფებს, რომლებიც ძალიან ხშირად ანგარიშს აბარებენ ამ მთავრობებს, შემდგომ შეუძლიათ ილაპარაკონ „გაუმჯობესებათა“ შესახებ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არჩევნების საერთო შედეგი მთავრობის მანიპულაციებით იყო განსაზღვრული. დემოკრატიული ტრადიციების არმქონე ქვეყნებში არჩევნები ყოველთვის იქნება არასრულყოფილი, დაკავშირებული ისეთ ჩვევებთან, როგორიცაა მამის მიერ მთელი ოჯახის მაგივრად ხმის მიცემა ან სოფლის ავტორიტეტების მიერ ამომრჩევლებზე არაპირდაპირი ზემოქმედება; მაგრამ მთავარი მაინც ისაა: ცდილობს თუ არა მთავრობა შედეგების გაყალბებას და წარმატებულია თუ არა ამ საკითხში. „ტრანზიციის“ ცნება პოლიტიკური ცვლილების ბევრ ისეთ მომენტს მოიცავს, რაც სახიფათოა დემოკრატიისათვის.

თომას ქაროდერზმა ტრანზიციის პარადიგმას ინტელექტუალური ეპიტაფია დაუწერა *Journal of Democracy*-ის 2002 წლის იანვრის ნომრის გამოქვეყნებულ ერთობ მნიშვნელოვან სტატიაში „ტრანზიციის პარადიგმის დასასრული“. ამის მიუხედავად, გვამი მაინც აგრძელებს სიცოცხლეს: აკადემიური სტატიები, კონფერენციები და დემოკრატიული მთავრობები განუწყვეტლად ღაღადებენ დემოკრატიული ტრანზიციის შესახებ. სოციალური მეცნიერების აღწერით ყველაზე მარტივი და დადებითი ცვლილება იმ ქვეყნებში, სადაც ამჟამად კონსოლიდირებული დემოკრატია არ არსებობს, იქნებოდა დემოკრატიული ტრანზიციის კონცეფციის სრული აღმოფხვრა. ამ ცნების ერთ-ერთი ყველაზე საშიში ასპექტია იმის დაშვება, რომ დემოკრატიის დამყარება ძალიან ნელა შეიძლება. ამ ვარაუდის მაგალითებია ბრაზილია და ინგლისი, მაგრამ უფრო მეტია მაგალითები იმ ქვეყნებისა, სადაც ხანგრძლივი, უფორმო

„ტრანზიცია“ ავტორიტარიზმის და მისი უცხოელი მეგობრების გამართლებას ემსახურება. და თუ დემოკრატიული ტრანზიცია ასეთი პრობლემურია, უპრიანი ხომ არ არის ვიკითხოთ: იქნებ აქვს კლასიკურ რევოლუციას უპირატესობანი?

დემოკრატიული ტრანზიციის გაურკვევლობით უკმაყოფილება და რევოლუციებისადმი სიმპათია ყოფილ საბჭოთა კავშირში „ფერადი რევოლუციების“ სახით გამოვლინდა: საქართველოში 2003 წლის ნოემბერში, უკრაინაში ერთი წლის შემდეგ და ბოლოს ყირგიზეთში 2005 წლის თებერვალსა და მარტში. უზბეკეთში 2005 წლის მაისში ანდიჟანთან და მის სიახლოვეს ორივე მხრიდან ძალადობა ყირგიზული რევოლუციის წარუმატებელ იმიტაციად შეიძლება განვიხილოთ. ამ გადატრიალებებს რამდენიმე საერთო ნიშანი ჰქონდა, რაც საუკეთესოდ აღწერა მაიკლ მაკფოლმა.[15] იგი მიუთითებს, რომ ყველა ფერადი რევოლუცია ყალბ არჩევნებს მოჰყვა, თუმცა გარკვეული დასკვნები აქედან არ გამოაქვს. თავისუფალი არჩევნები განასახიერებს თავისუფლებას, ხოლო ყალბი არჩევნები ცრუ თავისუფლებას. თუ ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ „ფერადი რევოლუციების“ მთავარი მიზანი იყო თავისუფლება, როგორც ასეთი (ეროვნული დამოუკიდებლობისგან განსხვავებით), უფრო მკაფიოდ, ვიდრე 1989-91 წლების გადატრიალებების დროს. „ფერადი რევოლუციები“ იყო უფრო რადიკალური, უფრო გულწრფელად ფოკუსირებული თვითმმართველობაზე, ვიდრე კომუნიზმის დასასრულს მიმდინარე ცვლილებების დროს.

როგორც მაკფოლი აღნიშნავს, ყველა „ფერადი რევოლუცია“ მოხდა რბილ ავტოკრატიულ ან კონკურენტულ ავტორიტარულ რეჟიმებში. ისინი აგრეთვე მიმართულნი იყვნენ ძალიან არაპოპულარული მმართველების წინააღმდეგ. ყველა პოსტკომუნისტური კონკურენტული ავტორიტარული მმართველი, მათ შორის პუტინი, ძირეულად არალეგიტიმურია, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ არც კომუნისტური და არც დემოკრატიული ლეგიტიმაცია. (კლეპტოკრატია, რომელიც არსებობს ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, ყველაზე ნაკლები ლეგიტიმურობის რეჟიმია, ვინაიდან მოქალაქეები გრძნობენ, რომ ეს სისტემა არღვევს მათ პირად უფლებებს და მოთხოვნებს.) „ფერად რევოლუციებში“ გადამდებობა და იმიტაცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ქართული რევოლუცია მოჰყვა სერბებისას, მეორე ორთოდოქსი ქრისტიანი ერისა, რომელმაც ცუდად წარმართა თითქმის ყველაფერი და ეთნიკური ომებიც წაგო. საქართველომ აჩვენა, რომ დემოკრატიის მიღწევა ყოფილი სსრკ-ის

მიწაზეც შეიძლება, რამაც წააქეზა სხვა ორთოდოქსი ერი, უკრაინელები. უკრაინამ თავის მხრივ წააქეზა ყოფილი საბჭოთა, მაგრამ მუსლიმური ყირგიზეთი, რომელსაც შემდგომ მიბაძა (თუმცა უფრო ძალადობრივი ფორმით) მუსლიმურმა უზბეკეთმა ფერგანას ველის მიდამოებში. ყველა „ფერადი რევოლუცია“ იყო არაძალადობრივი – თუმცა არაძალადობრიობა ორაზროვანი იყო.

საბოლოო თვისება, რომელსაც გამოყოფს ჰენრი ჰეილი,[16] არის ის, რომ ყველა ამ რევოლუციამ იფეთქა მაშინ, როდესაც ქვეყნები ცვლილების პერიოდში შედიოდნენ და ჰყავდათ ლიდერი, რომელიც ან ძალიან მოხუცი იყო, ან ძალიან არაპოპულარული, ან მეტისმეტად ეშინოდა, რომ კანონიერად ვადას ვერ გაიგრძელებდა. ყველა შემთხვევაში ადამიანებმა იცოდნენ, რომ მოვიდოდა ახალი ლიდერი. როგორც ჰეილი ამტკიცებს, ავტორიტარული პრეზიდენტების პატრონაჟების ქსელები პერსონალურია და ეს ქსელები იმ მომენტიდან ირღვევა, როდესაც ცხადი ხდება, რომ ესა თუ ის კონკრეტული ინდივიდი ძალაუფლებას ჩამოსცილდება. შეიძლება დავამატოთ, რომ ასეთი ავტორიტარი ლიდერები გაურბიან გაურკვევლობის შიშს, რომელსაც ახლა უფრო მეტი საფუძველი აქვს, რადგან ცხოვრება გაცილებით უფრო არაპროგნოზირებადია, ვიდრე საბჭოთა მმართველობის დროს იყო. როგორც კი ლიდერის შეცვლის შესახებ დგება საკითხი, გაურკვევლობის შიში ისადგურებს და ხალხიც ალტერნატიული შედეგების წარმოდგენას იწყებს. იმის გამოცხადება, რომ ახალი ლიდერი აირჩევა, თავისთავად არის ის ამოსავალი წერტილი, რომელიც აიძულებს ხალხს, გადააფასოს საკუთარი ზოგადი კმაყოფილება ან უკმაყოფილება, რადგან მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება მომავლის და აგრეთვე აწმყოს შესახებ.

„ფერადი რევოლუციები“ რევოლუციურია?

“ფერადი რევოლუციები“ ნამდვილი რევოლუციებია? აკმაყოფილებენ კი ისინი რევოლუციურობის მოთხოვნებს? „ფერად რევოლუციებს“ ნამდვილად აქვთ კლასიკური რევოლუციების მრავალი ნიშანი. გასაოცარია, რომ ეს ტერმინი ხალხმა აიტაცა. პოსტსაბჭოთა საზოგადოებები „რევოლუციებისადმი“ მაინცდამაინც რომანტიკულად არ ყოფილან განწყობილნი, რადგან ისინი ამ სიტყვას (ისევე როგორც სიტყვა „პარტი-

ას“) ძველ და სასტიკ რეჟიმებთან აკავშირებდნენ. არც საქართველოში და არც უკრაინაში ეს ტერმინი პირველად თავად აჯანყების მოთავეებს არ გამოუყენებიათ. საქართველოში ეს იარლიყი პირველად მეგობრულმა სატალევიზიო წამყვანმა მიაკერა, ხოლო უკრაინაში ტერმინი – ნარიჯისფერი რევოლუცია იანუკოვიჩის მომხრეებმა ამომრჩევლების დასაშინებლად გამოიყენეს როგორც რამ საფრთხობელა. თუმცა, ორივე ქვეყანაში ხალხმა მიიღო ეს ტერმინი და ჩათვალა, რომ ამ სიტყვას სწორი მნიშვნელობით იყენებენ.

სამივე „ფერადი რევოლუცია“ ძველი წყობის საჯარო დისკრედიტაციას მოიცავდა. არც ერთ შემთხვევაში არ იქნებოდა შესაძლებელი მოვლენების ცვლილება, რომ არა მაშინდელი მთავრობის თანდათანობითი დეგენერაცია. „ფერადი რევოლუციები“ აშკარად მასობრივი მოძრაობებიც იყო, რომლებმაც მობილიზაცია გაუკეთეს მოსახლეობის უზარმაზარ ნაწილს, თუმცა შეუძლებელია ზუსტად განსაზღვრო რევოლუციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა რიცხვი. უკრაინაში განმეორებითი არჩევნების შედეგებმა (იგი ჩატარდა მას შემდეგ, რაც უზენაესმა სასამართლომ 2004 წლის ნოემბერში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ბათილად ცნო), აჩვენა, რომ უკრაინის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში იუშენკოს საკმაოდ დიდი ოპოზიცია ჰყავდა. თუმცა უკრაინაშიც კი, ორდინარული რუტინის გაწყეტა მასობრივი დემონსტრაციებით, რასაც მოულოდნელი და ყოვლისმომცველი პოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა, ერთგვარი წყალგამყოფი აღმოჩნდა პოლიტიკურ მომავალსა და წარსულს შორის.

ფერადი რევოლუციონერები იდეოლოგიების წინააღმდეგ იბრძოდნენ, რაც ზოგიერთი ახალგაზრდული ჯგუფების სახელებშიც ჩანს (საქართველოში „კმარა“ და უკრაინაში „პორა“, ანუ „დროა“). ამ სახელებში აშკარად ჩანს რევოლუციური გადაუდებლობის სულისკვეთება. ისინი გამოხატავენ გრძნობას, რომელიც საერთოა ყველა იდეოლოგიური რევოლუციისათვის: რევოლუციის წინარე და შემდგომი სისტემები ძირეულად უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. თუმცა ისინი არ აზუსტებენ, ძველი რეჟიმის კონკრეტულად რომელი ნაწილი არის მიუღებელი და რა გახდება ცვლილებების ობიექტი.

თუ ჩვენ შევადარებთ ამ ბოლოდროინდელ აჯანყებებს ჩვენ მიერ რევოლუციის თავდაპირველ განსაზღვრებებს, პირველ, ყველაზე თვალსაჩინო განხვავებას იმაში დავინახავთ, რომ არ ყოფილა გამოყენებული ძალადობა, გარდა წარუმატებელი ანდიჟანის აჯანყებისა. რეჟიმის არა-

ძალადობრივმა ცვლილებებმა შეიძლება ძალადობრივი იმიტაციები გამოიწვიოს. ყირგიზეთის მოვლენების შესახებ ზოგიერთი წერს, რომ აქ გადატრიალება ძალადობრივი იყო, ვინაიდან პრეზიდენტ აკაევის მიერ დაქირავებული ხულიგნები ებრძოდნენ დემონსტრანტებს იარაღის გამოუყენებლად მანამდე, სანამ პრეზიდენტი გაიქცეოდა. საქართველოსა და უკრაინაში ძალადობის ხელმისაწვდომობას დიდი როლი ენიჭებოდა, რადგან ძველი რეჟიმების ბედი სწორედ იმიტომ გახდა გაურკვეველი, რომ მათი დაცვა და ჯარი უარს ამბობდა დაეშალათ დემონსტრანტები.[17] უკრაინაში ერთი სამთავრობო შენობა აიღეს; იულია ტიმოშენკოს უნდოდა, მეტი შენობა აეღოთ, მაგრამ იუშენკო, რომლისთვისაც, როგორც ქრისტიანისათვის, ძალადობა მიუღებელია, არ დაეთანხმა. საქართველოში სააკაშვილის მიმდევრებმა ძალის გამოყენებით გაიკვალეს გზა პარლამენტის შენობისაკენ და დაშალეს კანონმდებლები, რომელთაც გაყალბებული არჩევნების შედეგები წუთი-წუთზე ფორმალურად უნდა გამოეცხადებინათ. სამივე შემთხვევაში იარაღის ხანგრძლივი გამოყენება შეასუსტებდა რევოლუციის სახალხო მხარდაჭერას, ვინაიდან პოსტსაბჭოთა ხალხებს სძულთ ძალადობა, ჯარი და პოლიცია. თუ „ფერადი რევოლუციები“ ნამდვილად რევოლუციებია, მაშინ ისინი წარმოადგენენ ახალ და სრულიად არაძალადობრივი რევოლუციის ქვესახეობას. უმნიშვნელოვანეს ასპექტში ისინი განსხვავდებიან კლასიკური რევოლუციებისაგან.

ძალადობა კლასიკური რევოლუციების ის თვისებაა, რაც თავის თავში ყველაზე დიდ საფრთხეებს მოიცავს. ზოგადად, ძალადობის უარყოფა, როგორც დემოკრატიის მიღწევის საშუალება, დადებითად უნდა შეფასდეს. ამავე დროს, იმათ, ვისაც დემოკრატიის ბედი ანაღვლებს, უნდა ესმოდეთ, რომ ნახტომის გაკეთება დემოკრატიისკენ ძალიან რთულია (ან თუნდაც მისი წინასწარ დაგეგმვა). ასეთი ნახტომები, სავარაუდოდ, უეცარი და ქაოტურია და ყოველთვის არის შანსი, რომ გადაიზარდოს ძალადობაში. მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება, ზუსტი ზღვარი გავავლოთ ძალადობასა და არაძალადობას შორის. არაკანონიერი დემონსტრაციები ადვილად შეიძლება გადაიზარდოს შენობების ძალით აღებასა და პოლიციასთან შეჯახებაში, რაც, თავის მხრივ, შეიძლება იარაღის გამოყენების და შემდეგ შეიარაღებული ჯგუფების ორგანიზების მიზეზი გახდეს. ამგვარ არეულ სიტუაციაში დემოკრატიის აქტივისტების და გარე ქვეყნების დემოკრატიული მთავრობების მხრიდან ავტორიტარული მთავრობების გადაყენების მხარდაჭერა – მაშინაც

კი, თუ არ გეგმავდნენ პროცესების ასეთ განვითარებას – ალბათ, ჯანმრთელი ინსტინქტია. საკამათოა მხოლოდ ჩვენთვის ზოგადად დამახასიათებელი ტენდენცია, ნაკლები ყურადღება მივაქციოთ ახლად მოსული მთავრობების ქმედებებს.

არაძალადობრივი რევოლუციების მხრივ თავის დადება დემოკრატიაზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვაა, რაც დამოკიდებულია ადგილობრივ ტრადიციებსა და პოლიტიკურ გამოცდილებაზე. რევოლუციამ შეიძლება კატასტროფული შედეგი იქონიოს მუსლიმურ ქვეყნებში, რადაგან ძალადობა და ექსტრემიზმი კიდევ უფრო მიმზიდველია ახლა, ვიდრე საშინელი მემარცხენე ნაციონალისტური რევოლუციის პერიოდში (ისლამური მმართველობით იმედგაცრუებული ირანის მოსახლეობა, შეიძლება გამონაკლისად მივიჩნიოთ). აფრიკა, ალბათ, ის რეგიონია, სადაც რევოლუციურმა მოვლენებმა შეიძლება გააძლიეროს პასიური საზოგადოებები და შეწყვიტოს მთვლემარე მონაცვლეობა დეფექტურ დემოკრატიასა და დეფექტურ სამხედრო მმართველობებს შორის, მაგრამ მრავლისმომცველი ძალადობა იქ შეიძლება უფრო მიმზიდველი აღმოჩნდეს და შედეგიც შესაბამისი იყოს. სამხედრო მმართველობაც ამ რეგიონში უფრო მეტად არის მოსალოდნელი. ჰუგო ჩავეზი წარმოაჩენს რევოლუციური ტრადიციის შესაძლო საფრთხეებს ლათინურ ამერიკაში, თუმცა ასევე საშიშია, რომ არადემოკრატიულმა ძალებმა აღკვეთონ პოპულისტური პროტესტები. ზოგიერთი, ეკვადორში რომაა, ისეთი – შეთანხმებაზე დამყარებული ტრანზიციები, გრძელვადიანი თვალსაზრისით, არ აკმაყოფილებს მათ საზოგადოებებს. ეს კი, ალბათ, ტოვებს შანსს დემოკრატიული რევოლუციებისათვის.

რევოლუციების დემოკრატიული პოტენციალი ყველაზე მეტად ყოფილ კომუნისტურ რეგიონებში არსებობს, შესაძლოა, რუსეთის ჩათვლით (და ერთ დღესაც, ალბათ, კუბასა და ჩინეთში). ასეთ ადგილებში დემოკრატიისათვის ყველაზე დიდ დაბრკოლებას ხალხის უმწეობის შეგრძნება და ყველაფერი საჯაროსაგან გაუცხოვება წარმოადგენს. ის ძალა, რასაც ბადებს ხალხმრავალი დემონსტრაციები და სხვა რევოლუციური მოვლენები, შეიძლება ერთობ დასაფასებელი აღმოჩნდეს. საქართველოსა და უკრაინის მაგალითები აჩვენებს, რომ პოსტრევოლუციურმა უცილობელმა გაწბილებამ არც იმდენი ზიანი მოიტანა, რამდენიც შეიძლება გვევარაუდა. ამ ქვეყნებში პოსტტოტალიტარული ალერგია ძალადობაზე ამცირებს მცირე შეჯახებათა შესაძლებლობას და შე-

ირაღებულ ძალებს პოლიტიკის გარეთ ტოვებს, ყოველ შემთხვევაში, მოცემულ პერიოდში. მაგრამ, ამავე დროს, ძალადობის უფრო დიდი ხარისხი ზრდის სახალხო მობილიზაციის დიკსრედიტაციის რისკს. ყირგიზეთი ნათლად აჩვენებს იმ საფრთხეს, რაც შეიძლება რევოლუციურმა დინამიკამ მოიტანოს, თუ ჟჯანყება პირადი ინტერესებით არის განპირობებული. ეს საფრთხე ენდემიურია იმ ადგილებისათვის, სადაც კომუნისტებმა, საჯარო სფეროს დისკრედიტაციას რომ ახდენდნენ, პოლიტიკა პირადი გამორჩენის საშუალებად აქციეს. როგორც ჩანს, პოსტკომუნისტურ ავტორიტარულ ქვეყნებში წარმატებული მასობრივი ორგანიზება დემოკრატიული გარღვევის წინაპირობას წარმოადგენს.

მართლა შეიცვალა რეჟიმი?

რჩება კიდევ ერთი კითხვა: არის თუ არა „ფერადი რევოლუციების“ შედეგად განხორციელებული ცვლილებები *მდგრადი*. სამივე ქვეყანაში ახალი ლიდერები არიან ოფიციალური პირები, რომლებიც გამოეყვნენ ყოფილ მთავრობებს; თუმცა, საქართველოში მთავრობაში მოვიდა მრავალი ისეთი ფიგურა, რომელიც ადრე არასამთავრობო ორგანიზაციებში მოღვაწეობდა. ამან კი ნაწილობრივ მაინც შეცვალა მმართველი ადამიანის ტიპი. კიდევ უფრო რთულ კითხვებს ბადებს სამივე ქვეყნის უფრო ადრინდელი პრეზიდენტების საკითხი. კუჩმა უკრაინაში, გამსახურდია და შევარდნაძე საქართველოში და აკაევი ყირგიზეთში, სამივე მათგანი ერთსა და იმავე დროს თითქოს ახერხებდა დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლას, მაგრამ ავტორიტარულ ცდუნებასაც ვერ უძლებდა. კონსოლიდირებული დემოკრატიის შანსი ყირგიზეთში ძალიან დაბალია, რადგან „ტიტების რევოლუციამ“ მხოლოდ გამოცვალა ყოფილი კომუნისტი აპარატჩიკი ნაკლებ გასვრილი ადამიანით და ჩრდილოეთი ელიტა – უფრო პროვინციული სამხრეთი ელიტით. სამივე სახელმწიფოში დემოკრატიის ისეთი აუცილებელი ნიშანი, როგორიცაა ჭეშმარიტი კანონის უზენაესობა, თითქმის სრულიად უგულებელყოფილია.

დემოკრატიულ კონსოლიდაციას ეწინააღმდეგება მრავალი პრობლემა როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში. ძალიან რომ გავამარტივოთ, საქართველოს პრობლემა ავტორიტარული მმართველობის ცდუნებაში მდგომარეობს, ხოლო უკრაინისა კი ეფექტური რეფორმების სიმცირესა

და ძველი ძალების დაბრუნებაში. იანუკოვიჩი, 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ავტორიტარი კანდიდატი, იუშენკოს მმართველობისას 2006 წელს პრემიერ-მინისტრად დაინიშნა. საქართველოში სააკაშვილის მთავრობა დაბალი დონის კორუფციის შემცირებასა და გადასახადების შეგროვებაში ისეთი წარმატებული აღმოჩნდა, როგორც არავინ სხვა. ამან საკმაოდ შეუწყო ხელი ძალიან სუსტი სახელმწიფოს გაძლიერებას. მაგრამ სააკაშვილის რეფორმატორებს ბოლომდე არ გაუაზრებიათ ოპოზიციის არსებობის აუცილებლობა, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილების მქონე ახლანდელმა ოფიციალურმა პირებმა, რომლებმაც ძალიან კარგად იციან სოციალური მეცნიერებები, დიდი სიამოვნებით დაარქვეს ახალ რეჟიმს „დომინანტური პარტიის სისტემა“. უკრაინაში, სადაც სახელმწიფო თავიდანვე უფრო ძლიერი იყო და სადაც ოპოზიციის არსებობა თითქმის გარდაუვალი იყო ქვეყნის სიდიდის, მისი ეთნოისტორიული მრავალფეროვნების და საბჭოთა დროში მრავალი სახელისუფლებო ცენტრის არსებობის გამო, იუშენკო საკუთარ თავს ხედავდა უფრო როგორც ინსპირაციულ ლიდერს და არა როგორც ადმინისტრატორს. რევოლუციის შემდეგ, პირველ სესიაზე იუშენკომ უფრო ნაკლები კანონპროექტები წამოაყენა, ვიდრე ოდესმე უკრაინის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. შეიძლება თუ არა, რომ „ფერადი რევოლუციები“ ნამდვილ რევოლუციებად იქცეს, საკამათოა, მაგრამ მათ დააბრუნეს ნამდვილად ის რევოლუციური იმპულსები, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ თითქმის სრულად მიეცა დავიწყებას.

„ფერადი რევოლუციების“ საფუძველზე ჩამოყალიბდა რევოლუციის ახალი გაგება. ეს „ფერადი რევოლუციები“ შეიძლება განვიხილოთ იმ ტერმინებში, რა ტერმინებშიც აღწერენ ანთროპოლოგები „გადასვლის ცერემონიებს“, ანუ ისეთ რიტუალებს, როგორებიცაა: ქორწილები, ინიციაციის ცერემონიები და დაკრძალვები. ეს რიტუალები ერთმანეთისგან გამიჯნავს და სიმბოლურობას ანიჭებს ორ განსხვავებულ პერიოდს. რაც შეეხება „დემოკრატიისკენ ტრანზიციას“, აქ ადგილი აქვს ბუნდოვან გაურკვევლობას. პოსტკოლონიალური ქვეყნების მოსახლეობისათვის, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის ამგვარი რიტუალები ბევრს ნიშნავს: ისინი ანიჭებენ ადამიანებს ეფექტურობის შეგრძნებას და პრობლემების გადაჭრის ენერგიას. როგორც აზერბაიჯანელმა დემოკრატმა ლეილა ალიევმა აღნიშნა, სოციალურ მეცნიერებს რატომღაც არ ესმით საზეიმო ცერემონიების აუცილებლობა.

რევოლუციები ქმნიან ახალ ეროვნულ გმირებსა და არამზადებს, ისინი ხელახლა აყალიბებენ ეროვნულ ტრადიციებს. კიევში 2005 წლის ნოემბერში ინტერვიუების ჩატარების დროს ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა შემდეგმა გარემოებამ: მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიის აქტივისტები ყველა პრობლემაზე საუბრობდნენ (იუშენკო არ იყო რეფორმატორი, ტიმოშენკო იყო დემაგოგი და ასე შემდეგ), ისინი ერთხმად აცხადებდნენ, რომ კუჩმას ავტორიტარული წლების დაბრუნება შეუძლებელია. იმ იმედგაცრუებათა მიუხედავად, რაც მოჰყვა ნარინჯისფერ რევოლუციას, ის მაინც ნიშანსვეტად რჩება. სხვადასხვაგვარად ფიქრობენ უკრაინის სხვადასხვა ქალაქში, სხვადასხვა აზრი აქვთ ქართველ დემოკრატებს, მაგრამ საშუალო ფენის ქართველები, მაშინაც კი, როდესაც სააკაშვილს აკრიტიკებენ, რევოლუციას უკავშირებენ ახალ განწყობას – ხალხს შეუძლია მოახდინოს ცვლილება. ბევრი ისეთი ობიექტური პრობლემა, რომლებიც მხნეობას უკარგავენ დემოკრატიის დამცველებს, განსაკუთრებით, სომხეთის, კამბოჯის, გვინეის ან თუნდაც ჩინეთის მაგალითების შემხედვარეთ, ასევე არსებობდა საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში. საქართველოშიცა და უკრაინაშიც სჯერათ, რომ უკანსვლა აღარ მოხდება. შესაძლოა, თანამედროვე ტიპის არაძალადობრივი რევოლუციის ფუნქცია ისაა, რომ იარსებობს როგორც ჭიშკარმა, რომელიც მხოლოდ ერთი მიმართულებით იღება, რითაც ხალხს ანიჭებს იმის ენერგიას, რომ ეროვნული ისტორიის ახალ საფეხურზე გადავიდნენ და სამუდამოდ მიუხურონ კარი საკუთარ არადემოკრატიულ წარსულს.

შენიშვნები:

[1] Simon Schama, *Citizens: A Chronical of the French Revolution* (New York: Alfred A. Knof, 1989), 447.

[2] Thomas Babington Macaulay, *The works of Lord Macaulay: History of England*, vol. 3 (London: Longmans, Green and co., 1898), 115.

[3] Thomas Babington Macaulay. Dumont's Life of Mirabeau, წიგნში *Critical and Miscellaneous Essays*, ტ.2 (New York: D. Appleton and Co.,1857), 140.

[4] David Hume, *The History of England from the Invasion of Julius Caesar to the Abdication of James II, 1688, ტ.5* (Boston: Aldine, n.d.), თ. 59, 330.

[5] Charles Tilly, *European Revolutions* (Oxford: Blackwell, 1993), 166.

[6] Macaulay, *Essays*, 140.

[7] Hume, *The History of England*, ტ.2, 402.

[8] ციტირებულია იპოლიტ ადოლფ ტენთან, Hippolyte Adolphe Taine, *The Origins of Contemporary France: The French Revolution* (Gloucester, Mass.:Peter Smith, 1962), 3: 473; შეადარეთ 14, 22-29, 44, 113, 472-75.

[9] Taine, *The Origins of Contemporary France*, 440-50

[10] ეთნიკური წმენდის ამ ინტერპრეტაციისათვის იხილეთ G.M. Tamás, "Ethnarchy and Ethnoanarchism", *Social Research* (No. 1, 1996): 147-90; Charles H. Fairbanks, JR., "Wars of Hatred and the Hatred of War," *Weekly Standard*, 19 აპრილი 1999, 22-27.

[11] Guillermo O'Donnell, Philippe C. Schmitter, *Transitions from Authoritarian Rule: Tentative Conclusions About Uncertain Democracies* (Baltimore: Johns Hopkins University Press, 1991).

[12] იხილეთ Juan J. Linz, "Tranisition to Democracy", *Washington Quarterly 2* (1990 წლის ზაფხული): 145-59; Samuel P. Huntington, *The Third Wave: Democratization in the Late Twentieth Century* (Norman: University of Oklahoma Press, 1991), 121, 142, 148.

[13] Linz, "Transitions to Democracy", 151.

[14] Huntington, *The Third Wave*, 126. მის სიაში ბრაზილიის „ტრანსფორმაცია" თითქმის ყველაზე ნელა მიმდინარეობს, ბოლო ადგილზე კი პოსტსაბჭოთა „ტრანზიციებია".

[15] Michael McFaul, "Transitions from Postcommunism", *Journal of Democracy* 17, (ივლისი 2005): 5-19.

[16] Henry Hale, "Regime Cycles: Democracy, Autocracy, and Revolution in Post-Soviet Eurasia", *World Politics* 58 (ოქტომბერი 2005): 133-65; Fairbanks, "Wars of Hatred and the Hatred of War", 112.

[17] იხილეთ C.J. Chivers, "How Top Spies in Ukraine Changed the Nation's Path", *New York Times*, 17 იანვარი 2005; Charles H. Fairbanks, Jr., "Georgia's Rose Revolution", *Journal of Democracy* 15 (აპრილი 2004): 116-17.

ინგლისურიდან თარგმნა ელენე ნოდიამ

Journal of Democracy, 2007 იანვარი, 1

რელიგია და სახელმწიფო

ლევან აბაშიძე

საქართველო 2003-2006: რელიგია, საზოგადოება, სახელმწიფო

წინამდებარე სტატია არის შედეგი კვლევისა, რომელიც ჩატარდა 2003-2006 წლებში კავკასიის ინსტიტუტის მიერ ფონდ *კორდეიდის* მხარდაჭერით.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები ექსპერტებთან, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან, რელიგიური ორგანიზაციების მესვეურებთან და რიგით წარმომადგენლებთან თბილისში, თელავში, ქუთაისში და ბათუმში. შემდგომში მოხდა მიღებული მასალის სისტემატიზება და ანალიზი.

1. შედეგების შეჯამება

კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიური თავისუფლების, თანასწორობის და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის საკითხები აქტუალური რჩება საზოგადოებაში.

2003 წლის რევოლუციის შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. წინა ხელისუფლების პერიოდში რელიგიურ უმცირესობების მდგომარეობას ერთგვარ ტონს აძლევდა ბასილი მკალავიშვილის ჯგუფის მიერ რელიგიურ უმცირესობათა დარბევები, რასაც თან ახლდა ფიზიკური ძალადობა და ქონების განადგურება. ამ ჯგუფის მსხვერპლი ყველაზე ხშირად იყო იეღოვას მოწმეების გაერთიანება, და ასევე სხვა ქრისტიანული და არაქრისტიანული კონფესიები. უმთავრესი პრობლემა იყო ის, რომ ხელისუფლების ყველა შტო – აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო – არაფერს აკეთებდა ამ ძალადობის შესაჩერებლად. საზოგადოების მიერ ეს აღიქმებოდა როგორც რელიგიური შუღლისა და რელიგიურ ნიადაგზე არ-

სებული ძალადობის წახალისება. რელიგიური უმცირესობები თავს დაუცველად გრძნობდნენ.

მრავალრიცხოვან პროტესტს სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო უფლებებისდამცველი ორგანიზაციებისა და უცხო სახელმწიფოთა მხრიდან შედეგები არ მოჰქონდა.

რევოლუციის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. ბასილი მკალავიშვილის დაკავება და გასამართლება იყო მკაფიო გზავნილი ყველა ძალადობის მომხრეს მიმართ და იმის ნიშანი, რომ ხელისუფლება ძალადობას არ დაუშვებდა. ამან საგრძნობლად გააუმჯობესა რელიგიურ ორგანიზაციათა მდგომარეობა, თუმცა ღია და აშკარა ძალადობის აღკვეთის შემდეგაც დარჩა პრობლემები, დაკავშირებული რელიგიურ შეუწყნარებლობასა და რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციასთან.

ამ პრობლემათა ანალიზისას გამოიყო რამდენიმე მიმართულება:

1. რელიგიური უფლებები: პოლიტიკური ელიტის მიდგომა რელიგიის საკითხებისადმი;
2. რელიგიური უფლებები: დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით;
3. რელიგიური უფლებები: რელიგიური კანონმდებლობა და სასამართლო გადაწყვეტილებები;
4. რელიგიური უფლებები: რელიგიის, როგორც ეროვნული ტრადიციის, დაცვა და ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ როგორც პოლიტიკურ ელიტაში, ისე საზოგადოების დიდ ნაწილში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ტრადიციულ სარწმუნოებას, მართლმადიდებელ ქრისტიანობას განსაკუთრებული ადგილი უნდა ეკავოს საზოგადოებაში. ამასთან, ამგვარი განსაკუთრებული ადგილის დამკვიდრება და შენარჩუნება არ არის გაგებული როგორც ეკლესიის მორალური ავტორიტეტი, რომელსაც სჭირდება ეკლესიის ყოველდღიური ძალისხმევა. ის გაგებულია როგორც განსაკუთრებული უფლებები, პრივილეგიები და ინსტრუმენტები, რომელსაც სახელმწიფომ ეკლესიას უნდა მიანიჭოს. ამავე დროს, ამ პრივილეგიებზე უარი უნდა ეთქვათ სხვა რელიგიებსა და კონფესიებს, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე შეექმნება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტურ როლს.

ღია და დაუსჯელი ძალადობის ეპოქის დამთავრების შემდეგ გრძელდება დისკრიმინაცია შეფარული ფორმებით. ამგვარი დისკრიმინაციის უშუალო მიზეზი ხშირად არის გავრცელებული აზრი, რომ საზოგადო-

ებაში ყველა ეთნიკური ქართველი მართლმადიდებელი უნდა იყოს, ხოლო სხვა ეთნოსების წარმომადგენლები – მათთვის ტრადიციული რელიგიის მიმდევრები. ამის მაგალითია ის შემთხვევები, როდესაც სკოლაში ტარდება ლოცვა და სხვა რელიგიური მსახურება, რაც იმ ბავშვთა დისკრიმინაციას წარმოადგენს, რომლებიც არამართლმადიდებელი ოჯახებიდან არიან. ასევე არის შემთხვევები, როდესაც არამართლმადიდებელ მორწმუნეებს პრობლემები ექმნებათ გარკვეული სამსახურის (მაგალითად, მასწავლებლის) მიღებასა და შენარჩუნებაში.

საზოგადოებაში რელიგიური შემწყნარებლობისა და რელიგიური უფლებების პატივისცემის პრინციპების დამკვიდრება განსაკუთრებით აქტუალური ამოცანაა და მისი გადაწყვეტა მნიშვნელოვანია საზოგადოებაში სამოქალაქო შეგნების დასამკვიდრებლად.

2. ქვეყანაში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიების პოზიციები რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებაში

კვლევის სამიზნე ჯგუფად შერჩეულ იქნა დღეისათვის ყველაზე გავლენიანი ექვსი პოლიტიკური პარტია: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რესპუბლიკელები, საქართველოს კონსერვატორები, საქართველოს ლეიბორისტული პარტია, ახალი მემარჯვენეები, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს. შერჩევის კრიტერიუმს წარმოადგენდა გავლენის ხარისხი პოლიტიკურ პროცესებზე, რისი ინდიკატორები იყო ბოლო საპარლამენტო და მუნიციპალურ არჩევნებზე ნაჩვენები შედეგები და წარმომადგენლობა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში. (ზემოთ მითითებულ ორ პარტიას: რესპუბლიკელებს და საქართველოს კონსერვატორებს აღნიშნულ არჩევნებზე დამოუკიდებელად მონაწილეობა არ მიუღიათ და, შესაბამისად, პირველ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებენ, თუმცა ორივე მათგანს ჰყავთ წარმომადგენლობა ქვეყნის პარლამენტში.) ინფორმაციის მისაღებად ჩატარდა ჯგუფური ინტერვიუები მითითებული პარტიების ხელმძღვანელ პირებთან.

ერთ-ერთი მთავარი დასკვნა, რომლის გაკეთებაც შესაძლებელია მიღებული მასალის საფუძველზე, არის შემდეგი: ისე, როგორც საზოგადოების ფართო ფენებში, გამოკითხულ პარტიათა დიდ ნაწილში (რესპუბლიკელებსა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ეს თეზისი ყველაზე ნაკლებად ეხება) დასავლური კულტურული ღირებულებების

და ნორმების შემოსვლა, დამკვიდრება და გავრცელება იწვევს ეთნიკური და კულტურული იდენტობის შესუსტების ან საერთოდ დაკარგვის შიშს. მათ მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესებს თან უნდა ახლდეს სახელმწიფოს ჩამოყალიბებული კულტურული პოლიტიკა, რომლის მიზანიც იქნება ადგილობრივი კულტურული ღირებულებებისა და ტრადიციების დაცვა-განვითარება.

ეს მიდგომა ვრცელდება მართლმადიდებელი ეკლესიისადმიც, განიხილება რა ეს უკანასკნელი, როგორც ქართული კულტურის შემადგენელი და მისი განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფენომენი. გარდა ამისა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღიქმება როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვანი ისტორიული მოკავშირე, რაც დამატებით არგუმენტს წარმოადგენს ზოგიერთი პარტიისათვის (მაგალითად, ასეთი აზრი დაფიქსირდა საქართველოს ლეიბორისტულ პარტიასთან შეხვედრის დროს), რათა მხარი დაუჭირონ სხვა რელიგიური ორგანიზაციებისაგან განსხვავებულ, "განსაკუთრებულ" სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას "საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის" მიმართ. აქ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვევა მემარჯვენე და მემარცხენე ორიენტაციის პარტიების ხედვა.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: საქართველოს კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერის, დეპუტატ ჯუმბერ თავართქილაძის სიტყვებით: "მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, მხედველობაში მაქვს გლობალიზაცია, დღის წესრიგში აყენებს ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემას, ჩნდება საფრთხე წაიშალოს პოლიტიკური, ეთნიკური, კულტურული განსხვავებები, საზღვრები და მოხდეს უნიფიკაცია. ჩვენ არ უნდა გავითქვიფოთ სხვებში, უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი სახე, ეკლესია, ღირებულებები, ტრადიციები, ცხოვრების წესი."

ახალი მემარჯვენე დეპუტატ მამუკა კაციტაძის აზრით: "... მართლმადიდებლობას საქართველოსათვის აქვს კულტურის ფუნქციაც და, აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი რელიგიათაგანი ვერ იქნება."

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის მდივნის, თბილისის კოორდინატორისა და თბილისის საკრებულოს წევრის პაატა ჯიბლაძის თქმით:

"არ უნდა იყოს იგნორირებული და დავიწყებული მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქვეყნის ისტორიაში... დომინანტი როლი ქვეყა-

ნაში უნდა ეკავოს მართლმადიდებელ სარწმუნოებას, მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ მოიყვანა ქართველი ერი დღემდე...“

სიტუაციის მსგავსი აღქმა და შეფასება უბიძგებს აღნიშნულ პარტიებს, დაიკავონ მეტ-ნაკლებად კლერიკალური პოზიციები. მათი ძირითადი მოთხოვნები ეყრდნობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის 2002 წელს გაფორმებულ კონკორდატის პირობებს. ეს მოთხოვნები შემდეგი სახისაა: მოგვარდეს ეკლესისადმი კომუნისტური ხელისუფლების დროს ჩამორთმეული სხვადასხვა სახის ქონების რესტიტუციის საკითხი; პენიტენციალურ სისტემასა და თავდაცვის სამინისტროში შემოღებულ იქნეს ე. წ. კაპელანის ინსტიტუტი, რაც, იდეის ავტორების გაგებით, გულისხმობს მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის კარის გახსნას ციხეებში, კოლონიებსა და სამხედრო ნაწილებში; რიგი საგნების სასწავლო პროგრამების შედგენისას გათვალისწინებულ იქნეს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია და არა სხვა კონფესიებისა; სახელმწიფომ იზრუნოს იმ ეკლესია-მონასტრებზე, რომლებიც ერის კულტურულ ფასეულობას წარმოადგენენ, რაშიც, ასევე, მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილი ნაგებობები იგულისხმევა.

რიგი ოპოზიციური პარტიები ასევე აყენებენ მოთხოვნას, დაცულ იქნეს მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოს მხრიდან ღია თუ ფარული ჩარევებისაგან ან ასეთის მცდელობისაგან. (მითითებულ ოპოზიციურ პარტიებს მიაჩნიათ, რომ სასულიერო სემინარიის სტუდენტთა პროტესტი სასწავლებელში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით 2003 წელს ინსპირირებული იყო რიგი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ და შორსმიმავალ მიზნებს ისახავდა.)

ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხული პარტიების დიდი ნაწილი ცალსახად დადებითად აფასებს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგამოყოფის პრინციპს, თუმცა ეს პრინციპი შემდეგნაირად ესმის: სახელმწიფო არ ერევა ეკლესიის საქმეებში, მაგრამ ამ უკანასკნელს რიგ შემთხვევებში აქვს უფლება, გარკვეული სახით ჩაერიოს სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციობაში (აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების სამინისტროს ფუნქციებში ჩარევის მოთხოვნა, მაგალითად, სასწავლო პროგრამების შედგენისას), ასევე ითხოვენ სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ დახმარებას მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, მისთვის გარკვეული პრივილეგიების უზრუნველყოფას.

ამის საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტარ ფიქრია ჩიხრაძის მოსაზრება: "ჩვენი პარტია მხარს უჭერს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთჩაურევლობას ერთმანეთის საქმიანობაში, თუმცა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეკლესიის განვითარებას." ურთიერთობის ასეთი მოდელი, გარკვეული თვალსაზრისით, შეიცავს სახელმწიფოს და ეკლესიის დაახლოების, ასევე უმცირესობაში მყოფ რელიგიურ ორგანიზაციათა დისკრიმინაციის საფრთხეს.

საყურადღებოა საქართველოს ლეიბორისტული პარტიის მდივნის, თბილისის კოორდინატორისა და თბილისის საკრებულოს წევრის პაატა ჯიბლაძის პოზიცია, რაც ტიპურია საქართველოს თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრისთვის: "დომინანტი როლი ქვეყანაში უნდა ეკავოს მართლმადიდებელ სარწმუნოებას... თუმცა უნდა იყოს დაცული მოქალაქეთა აღმსარებლობის თავისუფლება." დასაზუსტებელია, რას ნიშნავს დომინანტი როლი და ვინ უნდა უზრუნველყოს ამ როლის თამაში – თვით ეკლესიამ, თავისი ტრადიციით, წევრთა სიმრავლით და ძალისხმევით თუ ხელისუფლებამ, შესაბამისი კანონმდებლობის მიღებით და შესაბამისი ღონისძიებებით.

ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფის შესახებ მკაფიო პოზიცია გამოთქვა რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა: "პარტიის წევრთა დიდი ნაწილი ნეგატიურად შეხვდა სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებულ კონკორდატს. ასეთი დამოკიდებულების მიზეზი ერთ შემთხვევაში იყო შიში იმისა, რომ მსგავსი ხელშეკრულებით ეკლესია უფრო დაუახლოვდა სახელმწიფოს და საფრთხე შეექმნა მის ავტონომიურობას, ხოლო, მეორე მხრივ, არათანასწორ პირობებში ვარდებოდნენ საქართველოში მოქმედი სხვა კონფესიები, რომლებსაც იმ დროისათვის რეგისტრაციის უფლებაც არ ჰქონდათ."

რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაში პარტიების დიდი ნაწილის პოზიცია ზუსტად შეიძლება დახასიათდეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტარ გიგა ბოკერიას სიტყვებით: "პარტიის წევრებს შორის არის ფართო კონსენსუსი რელიგიური უმცირესობების მიმართ ძალადობის არდაშვების, როგორც მინიმუმ, მათი ნეგატიური თავისუფლების, გარანტირების საკითხზე."

3. რელიგიურ უმცირესობათა დისკრიმინაციის და შევიწროების საკითხი

2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ სიტუაცია გარკვეულწილად გამოსწორდა. ღია ძალადობას და ხელისუფლების უმოქმედობას აღარ აქვს ადგილი. ყველაზე ოდიოზური ფიგურა, ბასილი მკალავიშვილი, რომელიც იყო თავდასხმების მთავარი ორგანიზატორი, ამჟამად სასჯელს იხდის.

მაგრამ ზოგადად რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის და დევნის პრობლემა ისევ რჩება. ამას აღნიშნავენ როგორც რელიგიური ორგანიზაციების მესვეურები, ისე ექსპერტები. მოვიყვანთ რამდენიმე ციტატას, რომლებიც ტიპურია და საერთო სურათს კარგად ასახავს.

პაატა ზაქარეიშვილი (ექსპერტი): „განსხვავება დღევანდელ და წინა ხელისუფლებას შორის იმაში მდგომარეობს, რომ ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო ექსტრემიზმის დასჯა. მაგრამ მის გამომწვევ მიზეზებზე მუშაობა ჯერჯერობით არ დაწყებულა. პირიქით, ხშირად ფსევდომართლმადიდებლობა პიარ კამპანიის ნაწილად გვევლინება. ქართულ საზოგადოებაში, საზოგადოების საზღვრებს მიღმა რჩებიან სხვა ეთნიკური, რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები. ეს გაუცხოება დღესაც იგრძნობა, რადგანაც არ ხორციელდება არანაირი ინტეგრაციული პროცესები.“

ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო (კათოლიკე ეკლესია): „რელიგიის მიმართ ყველაფერი გაჩერებულია. არავინ არ ღებულობს თავის თავზე ინიციატივას რელიგიური პრობლემების მიმართ, არ არის ყურადღება. ადრე, ზოგჯერ გვქონდა საუბარი მინისტრებთან პრობლემებზე, მაგრამ დღეს ყველაფერი გაჩერებულია. ამჟამად სახელმწიფოს არ სურს ჩაერიოს რელიგიურ საკითხებში. ჩვენ გავგზავნეთ წერილები, გვინდოდა ლაპარაკი პრეზიდენტთან, მაგრამ არც ერთზე პასუხი არ მიგვიღია.“

“არის ხუთი ჩვენი ეკლესია, რომელიც გადაეცათ მართლმადიდებლებს. არც ერთს არ გვიბრუნებენ. ახალციხეში დიდი ხანია ვაპირებ ეკლესიის აშენებას, არის მიწა, მაგრამ ვერ ავაშენეთ, რადგან პრობლემას გვიქმნის მართლმადიდებელი მთავარეპისკოპოსი. მე მივედი ეპისკოპოსთან და ვუთხარი, რომ ვაპირებ ეკლესიის აშენებას და გვინდა, რომ თქვენ იყოთ საქმის კურსში. მან მითხრა, რომ არ არის წინააღმდეგი, მაგრამ ხალხი იქნება წინააღმდეგი და დაიწყება ომიო, და ამის გამო ნუ დაიწყებთ მშენებლობასო. მე ვუთხარი მას, რომ არ იქნებოდა ასეთი პრობლემები. შემდეგ გავგზავნე ხალხი მათთან, რადგან ამ საქ-

მისათვის მისი კურთხევა მჭირდებოდა. მოვიდნენ პოლიციიდან და მითხრეს, რომ ხალხი იკრიბება და იქნება პრობლემებიო. ამის შემდეგ ვიყავი გამგებელთანაც და მანაც იგივე პასუხი გამცა, რომ თუ გინდათ, დაიწყეთ, მხოლოდ იქნება პრობლემებიო.

ახალციხეში ცხოვრობს კათოლიკე მოსახლეობა, ვისთვისაც გვინდა ამ ეკლესიის აშენება. მათ ხალხთან პრობლემები არ აქვთ, მაგრამ ვფიქრობ, როდესაც დავიწყებთ შენებას, პრობლემები ხელოვნურად შეექმნებათ როგორც მათ, ასევე ჩვენც.“

იეღოვას მოწმეთა წარმომადგენელი: “სკოლის პრობლემები ადრე იყო [2004 წლამდე]. მაგალითად, რელიგიის მასწავლებელი აძალებდა ბავშვს, რომ ესწავლა მართლმადიდებლური რელიგია და გარკვეული რიტუალები აღესრულებია. იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი [ოჯახიდან მიღებული სარწმუნოების გამო] უარს ეუბნებოდა, მას მასწავლებელი ორიანს უწერდა. იყო უფრო რთული სიტუაციებიც სხვადასხვა რეგიონში, როდესაც ბავშვებს იეღოვას მოწმეების ოჯახებიდან, კლასში ტოვებდნენ. ამის თაობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებმა მხარი დაგვიჭირეს, წერილების გაგზავნა, სახალხო დამცველის ინსტიტუტიც ჩაერთო და საკითხი მოგვარდა.

ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ სიტუაცია საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა პრობლემები რჩება, რომელიც, ალბათ, ზოგიერთი მასწავლებლის მსოფლმხედველობით და ინიციატივით არის განპირობებული და ხელისუფლების მიმართულ პოლიტიკას არ უნდა მივაწეროთ. პრობლემა გვქონდა ჰიმნთან დაკავშირებით მარნეულში, როდესაც ქართულის მასწავლებელი ბავშვს აძალებდა, რომ ჰიმნი ესწავლა და ემღერა. უარის გამო ბავშვს ორიანებს უწერდა. ეს საკითხიც მოგვარდა.“

სახელმწიფო პოლიტიკა ამ საკითხში ამჟამად ხასიათდება უმცირესობების დაცვით ღია და აშკარა ძალადობისაგან. სხვა საკითხებში გარკვეული პროგრესი შეინიშნება, თუმცა რჩება მრავალი პრობლემა. მაგალითად, ხელისუფლება უპასუხოდ ტოვებს სომხური ეკლესიის მოთხოვნას თბილისში ტაძრების დაბრუნებაზე. ასევე უპასუხოდ რჩება სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის თხოვნები მიეცეთ უფლება ეკლესიის აშენებისა, მაშინ, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესია მსგავს შემთხვევებში სრული მხარდაჭერით სარგებლობს.

4. რელიგიურ გაერთიანებათა სამართლებრივი სტატუსი

არის კიდევ ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც რელიგიური უმცირესობების უფლებებს არღვევდა და რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ გადაილახა 2005 წელს. ამ პრობლემაზე ყველა რელიგიური უმცირესობის მესვეური საუბრობს. ეს არის რელიგიურ ორგანიზაციათა სამართლებრივი სტატუსი ან, უფრო სწორად, სტატუსის მოპოვების პრობლემა.

დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკის მიხედვით, რელიგიური გაერთიანებებისთვის შესაძლებელია არსებობდეს ორი ან მეტი დონის იურიდიული სტატუსი. პირველი, ეგრეთ წოდებული, საბაზისო დონის სტატუსი, რელიგიურ ორგანიზაციას აძლევს საშუალებას გახდეს იურიდიული პირი, თუმცა არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან პრივილეგიებს და შეღავათებს. შემდგომი დონის სტატუსი ითვალისწინებს მეტ პრივილიგიებს და შეღავათებს, მაგრამ, ამავე დროს, ითვალისწინებს მეტ ვალდებულებას სახელმწიფოს მიმართ. საქართველოს შემთხვევაში საბაზისო სტატუსად შეიძლება ჩაითვალოს „კერძო სამართლის იურიდიული პირის“ სტატუსი, ხოლო შემდგომი დონის სტატუსად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის“ სტატუსი.

მაღალი დონის სტატუსის მიღების კრიტერიუმები შეიძლება სხვადასხვა იყოს და ამ კრიტეტიუმებს აქ არ განვიხილავთ. მაგრამ საბაზისო დონის სტატუსის მიღება უნდა იყოს მაქსიმალურად გაადვილებული. ეს ემყარება პიროვნების თავისუფლების პრინციპს: ადამიანის უფლება, აღიაროს თავისი რელიგია „სხვებთან ერთად“, არ არის სახელმწიფოს მიერ გაღებული საჩუქარი. ეს უმთავრესი უფლებაა და ის არ უნდა იყოს დამოკიდებული ფორმალურ მოთხოვნებზე. იმისათვის, რომ სახელმწიფომ რელიგიური ორგანიზაცია აღიაროს, არ უნდა არსებობდეს ხელოვნურად შექმნილი ბარიერები. მორწმუნეთა რაოდენობის სიმცირე, ქვეყანაში მათი ყოფნის მცირე ხანგრძლივობა, კანონის არარსებობა და სხვ. მხოლოდ საბაბია მათთვის უარის თქმისა.

სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველოში კატასტროფული მდგომარეობა იყო. ვერც ერთმა რელიგიურმა ორგანიზაციამ, გარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, 2005 წლამდე ვერ მოახერხა სახელმწიფოს მხრიდან აღიარების (რაიმე სამართლებრივი სტატუსის) მოპოვება, მაშინ, როდესაც ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას თუ პარტიას შეეძლო ეს პროცედურა ორ კვირაში გაეარა.

2005 წლამდე სამოქალაქო კოდექსის 1509 მუხლის ერთ-ერთი პუნქტი შემდეგნაირად იკითხებოდა: „რელიგიური ორგანიზაცია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.“ ეს სრულიად გაუგებარი ნორმა იყო. ჯერ ერთი, არ იყო განსაზღვრული, რა არის რელიგიური ორგანიზაცია? ამასთან, კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირის რეგისტრირების პროცედურას და მის ფუნქციობას, სრულიად შეუსაბამო იყო რელიგიური ორგანიზაციებისთვის. და, რაც მთავარია, გაუგებარი იყო, რატომ უნდა გამხდარიყო რელიგიური ორგანიზაცია უსათუოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუ თვით ეს ორგანიზაცია ითხოვს მისთვის დაბალი, საბაზისო სტატუსის მინიჭებას?

ამ იურიდიულ კაზუსს ამძიმებდა სასამართლოების გადაწყვეტილებები, უმაღლესი სასამართლოს ჩათვლით. როგორც აღვნიშნეთ, მაღალი სტატუსის მოპოვება შეუძლებელი იყო რელიგიური ორგანიზაციებისთვის, ვინაიდან არ იყო შემუშავებული შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. ხოლო, როდესაც რელიგიური ორგანიზაცია შეეცდებოდა დაბალი იურიდიული სტატუსის მიღებას, ამაზეც უარს ეუბნებოდნენ იმ საბაბით, რომ მას, როგორც რელიგიურ ორგანიზაციას, სამოქალაქო კოდექსის 1509 მუხლის მიხედვით, მაღალი სტატუსი ეკუთვნოდა. ეს იგივეა, რომ მღვდელს უარი უთხრა ეკონომიური კლასის ბილეთის შეძენაში, ვინაიდან მას, როგორც მღვდელს, პირველი კლასის ბილეთი ეკუთვნის, ხოლო პირველი კლასის ბილეთის ყიდვაზე მას ასევე უარს ეუბნებიან, ვინაიდან თვითმფრინავზე ამ კლასის ადგილები საერთოდ არ არის!

სწორედ ეს სიტუაცია გათამაშდა უზენაესი სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილებაში, როდესაც მან გააუქმა იეღოვას მოწმეების რეგისტრაცია. უზენაესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაეყრდნო არა საქართველოს კონსტიტუციას და საერთაშორისო კონვენციებს, რომელთა მიხედვით ადამიანს და ადამიანთა ჯგუფს უფლება აქვთ, დაუბრკოლებლად აღასრულონ რელიგიური საქმიანობა, არამედ სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებულ მკვდრადშობილ ნორმას.

2005 წელს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი პუნქტი, რაც იყო იმის ნიშანი, რომ ხელისუფლება უშვებს რელიგიურ ორგანიზაციათა რეგისტრაციას და სთავაზობს მათ საბაზისო სტატუსს, ანუ კერძო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებას. როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი სტატუსი, როგორც წესი, აქვთ არასამთავრობო, არაკომერციულ ორგანიზაციებს.

გამოირკვა, რომ რელიგიური ორგანიზაციები არ ჩქარობენ მიიღონ ამგვარი რეგისტრაცია. ამის მიზეზი რამდენიმეა:

ა) ჯერ ერთი, წლების განმავლობაში, როდესაც სახელმწიფო, ფაქტობრივ, უარს ეუბნებოდა რელიგიურ ორგანიზაციებს რეგისტრაციაზე, მათ შექმნეს საკუთარი (აფილირებული) არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობითაც აწარმოებდნენ თავის საქმიანობას (უძრავი და მოძრავი ქონების დაკანონება, საქველმოქმედო-საგანმანათლებლო საქმიანობა და სხვ.). ახლა, მათ სთავაზობენ შექმნან ასეთივე სტატუსის კიდევ ერთი ორგანიზაცია, რომლის სახელი შეიძლება იყოს რელიგიური შინაარსის და მასზე გადააფორმონ უძრავ-მოძრავი ქონება. რელიგიური ორგანიზაციები ვერ ხედავენ აზრს ამგვარ რეგისტრაციაში (მაგ. ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი, ევანგელისტური-ბაბტისტური ეკლესია).

ბ) კიდევ ერთი მიზეზი არის ის, რომ ზოგიერთ რელიგიურ ორგანიზაციას (ეკლესიას) არ აკმაყოფილებს არასამთავრობოს დონის სტატუსი და უფრო მაღალი სტატუსი უნდა, როგორიც მათ აქვთ სხვა ქვეყნებში, სადაც ისინი ასევე უმცირესობას წარმოადგენენ (მაგ. ლუთერანული ეკლესია, სომხური სამოციქულო ეკლესია). ამ მოთხოვნას მხარს უჭერს ის, რომ ერთმა რელიგიურმა ორგანიზაციამ, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ (საქართველოს საპატრიარქომ), მოიპოვა საკმაოდ მაღალი სტატუსი საკონსტიტუციო ხელშკრულების საფუძველზე.

გ) ის რელიგიური ორგანიზაციები, რომლებმაც გადაწყვიტეს რეგისტრაციის მიღება, წააწყდნენ წინააღმდეგობას იმ ჩინოვნიკების მხრიდან, რომელთაც ევალებათ ამგვარი რეგისტრაციის განხორციელება (მაგ. ბაბტისტური ეკლესია, ხუცესი ზაალ ტყეშელაშვილი). თუმცა ეს წინააღმდეგობა მათ გადალახეს.

რელიგიური სიტუაციის ამგვარი მოუწესრიგებლობის მიზეზი საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოს განსაკუთრებულად ფრთხილი და თავდაჭერილი მიდგომაა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ, როდესაც საქმე ეხება მათი უფლებების პრაქტიკულ განხორციელებას. როგორც კვლევა აჩვენებს, თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია განსაკუთრებულ სიმპათიებს გამოხატავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ და მეტ-ნაკლებ ტენდენციას ავლენს სხვა რელიგიური ორგანიზაციების დისკრიმინაციის მიმართულებით.

სტატუსის მინიჭების მიმართ ხელისუფლების მიდგომა, ერთი მხრივ, იმპერატიულია: ხელისუფლება ცალმხრივად იღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორი სტატუსი უნდა ჰქონდეს რელიგიურ ორგანიზაციას; ყველას უნდა ჰქონდეს ერთნაირი სტატუსი, განურჩევლად მათი ბუნებისა და სურვილისა – ჯერ იყო მაღალი, თუმცა განუხორციელებელი სტატუსი, ხოლო ახლა საბაზისო სტატუსია. ხელისუფლება უშვებს გამონაკლისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახით, რომლის განსაკუთრებულად მაღალი სამართლებრივი სტატუსი კონსტიტუციით არის განსაზღვრული. მეორე მხრივ, ხელისუფლების სამივე შტო პასიურ წინააღმდეგობას უწევს რელიგიურ ორგანიზაციებს (ერთის გარდა) იმით, რომ იგნორირებას უკეთებს მათ კანონიერ უფლებებს, რომელთა დაცვაც გარანტირებულია ქვეყნის კონსტიტუციით და საერთაშორისო კონვენციებით.

სავარაუდოდ, პრობლემა იმაშია, რომ ხელისუფლება არ წარმართავს რეალურ დიალოგს რელიგიურ ორგანიზაციებთან, და ისე იღებს გადაწყვეტილებებს, რომ არ ითვალისწინებს მათ თხოვნებს და კანონიერ ინტერესებს. შედეგად, თავისი ქმედებებით და უმოქმედობით ხელისუფლება ამძიმებს რელიგიურ ორგანიზაციათა მდგომარეობას.

პოლიტიკურ წრეებში მიღებულია მოსაზრება, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პრივილეგიების მინიჭება და ყოველმხრივი სახელმწიფო მხარდაჭერა თავისთავად სიკეთეა ეკლესიისთვის და მის გაძლიერებას ემსახურება. თუმცა ექსპერტთა უმეტესობა გამოთქვამს აზრს, რომ ამგვარი პრაქტიკა ზიანს მოუტანს ეკლესიას, ვინაიდან ამ უკანასკნელს სათბურის პირობებში მოაქცევს და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას დააკარგვინებს; ამას კი საზოგადოებაში ავტორიტეტის დაკარგვა მოჰყვება. რელიგიური თანასწორობის პრინციპის გატარება და სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის განყოფის პრინციპის დაცვა სასიკეთო იქნება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. ეს პრინციპი არ ეწინააღმდეგება ეკლესიის მიერ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულებას და სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თანამშრომლობას საზოგადოების საკეთილდღეოდ.

5. დასკვნა

საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოება გარდამავალ პერიოდში იმყოფება. 2003 წლის ნოემბრის რევოლუციის შედეგად გაჩნდა

იმედი, რომ მოხერხდება ლიბერალურ-დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

უწინდელი რეჟიმის პირობებში რელიგიური თავისუფლება, გარკვეულწილად, სამწუხარო გამონაკლისს წარმოადგენდა სხვა უფლებებთან შედარებით. ყველაზე ხშირად სწორედ რელიგიურ უმცირესობებზე ხდებოდა დაუსჯელი თავდასხმები, რელიგიურმა ერთობებმა, ერთის გამოკლებით, ვერ მოახერხეს სახელმწიფოს მხრიდან აღიარება (სამართლებრივი სტატუსის მოპოვება).

ახალ პირობებში, თუმცა სიტუაცია საგრძნობლად გაუმჯობესდა, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის და რელიგიური უფლებების დაცვის პრობლემები რჩება. საზოგადოების და, კერძოდ, სამოქალაქო სექტორის ამოცანაა ადამიანის რელიგიური უფლებების დაცვა, რელიგიური ნიშნით პიროვნების და ჯგუფების დისკრიმინაციის აღმოფხვრა და საზოგადოებაში რელიგიური ტოლერანტობის განმტკიცება.

ლიტერატურა:

1. Г. Нижарадзе, Э. Джгеренаиа, Я. Качкачишвили, Р. Мшвидобадзе, Г. Хуцишвили. “Городское население Грузии о вопросах, связанных с религией” კრებულში: *Роль Православия в государствах и обществах Грузии и России* (Тбилиси, 2006).
2. ლევან აბაშიძე. რელიგიური კანონმდებლობის პერსპექტივები საქართველოში. კრებულში: *რელიგია, საზოგადოება და სახელმწიფო* (ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, თბილისი), 2006.
3. რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრის ბიულეტენი, N 2, 2005.
4. ქართული საზოგადოების ღირებულებები. ანგარიშები, ანალიზი, რეკომენდაციები N7.

წიგნების მიმოხილვა

გიორგი ბაბუნაშვილი

რეცენზია წიგნზე: გია ნოდია, ალვარო პინტო სქოლტბახი. „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“

პოლიტიკური პარტიები თანამედროვე დემოკრატიების განუყოფელ ატრიბუტს წარმოადგენს. მათი მოქმედების არეალში შედის ისეთი არსებითი ფუნქციები, როგორიცაა ინტერესთა აგრეგაცია და რეპრეზენტაცია, ხელისუფლებისა და ოპოზიციის ფორმირება, მოქალაქეებისათვის პოლიტიკური იდენტურობის შექმნა. აქედან გამომდინარე, პარტიათა შესწავლას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებაში.

საქართველოს პარტიული სისტემა არსებობის 18 წელს ითვლის. ამ სისტემის შესწავლის და მისი ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობის მიზნით მუშაობენ როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ისე ქართული არასამთავრობო სექტორი და მკვლევარები; გამოცემულია რამდენიმე ცნობარი ქართულ პარტიებზე. ამ სფეროში განხორციელებული კვლევითი და ანალიტიკური პროექტებიდან აღსანიშნავია პოლიტიკურ პარტიებზე თეორიული სასემინარო მასალა,[1] პარტიების შიდა ორგანიზაციების და პარტიული სისტემის კვლევა,[2] საზოგადოებრივი დებატების სერიის ფარგლებში მომზადებული ანალიტიკური მასალა ქართულ პარტიულ სისტემაზე[3]. მიუხედავად ამისა, ქართული პარტიების შესახებ ფართო ანალიტიკური ნაშრომის საჭიროება არსებობს და ამ საჭიროებას პასუხობს წიგნი „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“.

ნაშრომი „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“ ავტორთა სიტყვით, მიზნად ისახავს „გარკვეული მეგზურობა გაუწიოს პოლიტიკოსებს, პოლიტიკურ ლიდერებს, ორგანიზაციებს და საერთაშორისო აქტორებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პოლიტიკის განვითარებით“ (გვ. 4). ნაშრომი აღწერს ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, მათ პოზიციებს პოლიტიკურ

ველზე, შიდა ორგანიზაციულ სტრუქტურებს, ფუნქციურ რეჟიმს და მათ ხელთ არსებულ რესურსებს. ავტორებმა ექვს საპარლამენტო პარტიასთან ინტერაქტიული მუშაობის მეთოდით შეისწავლეს პარტიათა როგორც ცენტრალური, ისე რაიონული ორგანიზაციები. პროექტში ჩართული იყვნენ დამოუკიდებელი ექსპერტებიც, რომელთა მოსაზრებებიც ავსებს და ზოგიერთ შემთხვევაში აბალანსებს პარტიათა მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. აქცენტი კეთდება რეპრეზენტაციაზე, შიდაპარტიულ დემოკრატიაზე, ქალთა ჩართულობასა და პოლიტიკური იდენტიფიკაციის ფუნქციებზე. როგორც ნაშრომის სახელწოდება მიანიშნებს, ნაშრომი მიზნად ისახავს არა მარტო ქართული პარტიული სისტემის, არამედ იმ საშინაო და საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კონტექსტის ანალიზსაც, რომელიც გავლენას ახდენს პარტიული სისტემის ფუნქციობაზე. ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციურ გაძლიერებას (გვ. 252).

ნაშრომში დანართის სახით გამოყოფილია პარტიების შესახებ შეგროვებული მონაცემები (გვ. 291), პოლიტიკურ პარტიათა განვითარების ისტორიის ზოგადი მიმოხილვა და ამ ფენომენის შესწავლის თეორიული და პრაქტიკული ჩარჩოები, რაც არასპეციალისტ მკითხველს ეხმარება ნაშრომში მოყვანილი კონცეპტების უკეთ აღქმაში (გვ. 270) ამ მიზანს ემსახურება როგორც ზემოაღნიშნული დამატება, ასევე ის, რომ სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებისას ავტორები მაქსიმალურად ცდილობენ ახსნან მოცემული ტერმინები და ამით ნაშრომი ხელმისაწვდომი გახადონ არასპეციალისტი მკითხველისთვისაც. ნაშრომის გაცნობას აადვილებს ისიც, რომ ცალკე არის გამოყოფილი თავების მოკლე შინაარსები და რეკომენდაციები, თუმცა, სამწუხაროდ, არ არის ნათელი, თუ ვინ არიან ტექსტების ავტორები.

ნაშრომის პირველ ნაწილში მკითხველი ეცნობა საქართველოს უახლესი ისტორიის საკვანძო მომენტებს. ეს ეხმარება მათ, ვინც ნაკლებად იცნობს დამოუკიდებლობის პერიოდის საქართველოში განვითარებულ პროცესებს, გარკვეული წარმოდგენა შეექმნას იმ გარემოზე, რომელშიც ვითარდებოდა ქართული მრავალპარტიული სისტემა. აღწერილია არა მარტო პოლიტიკური პროცესები, არამედ დომინანტური სოციალური და ეკონომიკური ტენდენციებიც, კომპაქტურად არის გადმოცემული პარტიათა ფუნქციობის მარეგულირებელი იურიდიული ჩარჩოები, უხვადაა წარმოდგენილი ფაქტობრივ-რიცხობრივი მასალა, რაც გამოადგე-

ბა ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს (გვ. 51-66). ძირითადი ყურადღება გადატანილია ფორმალური ჩარჩოების შესწავლაზე. ამიტომ მკითხველი, რომელიც კარგად არ იცნობს საქართველოში არსებულ ვითარებას, შეიძლება ვერ გაერკვეს არაფორმალურ კონტექსტში და იმაში, თუ რის საფუძველზე კეთდება გარკვეული დასკვნები.

ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა უშუალოდ ქართული პარტიებისა და მრავალპარტიული სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციურ ანალიზს. ანალიზის დონე ორია: სისტემური (პოლიტიკურ პარტიათა სისტემა, როგორც მთლიანი) და უშუალოდ პარტიების დონე.

სისტემური ანალიზის დონეზე ავტორები ცდილობენ აღწერონ პარტიული სისტემა და მისი ფუნქციური რეჟიმი ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორიცაა პარტიათა რაოდენობა (გვ. 109), სტაბილურობა (გვ. 112), რეპრეზენტაცია (გვ. 113), ლეგიტიმაცია (გვ. 115), ფრაგმენტაცია (გვ. 117), პოლარიზაცია (გვ. 119), სისტემის ელემენტებს შორის ურთიერთობა (გვ. 121).

რაოდენობრივი კრიტერიუმის მიხედვით, ავტორები ცდილობენ, ქართული პარტიული სისტემა კლასიკურ კატეგორიებს დაუკავშირონ: ერთპარტიული, ორპარტიული და მრავალპარტიული სისტემები. ავტორებს მოჰყავთ დეფინიცია იმისა, თუ რას გულისხმობენ ისინი ამ კატეგორიებში: „ერთპარტიულ სისტემებში, კანონიერად მხოლოდ ერთი ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია ფუნქციობს, რომელიც მთლიანად აკონტროლებს ხელისუფლებას. მსგავს სისტემაში არ არსებობს პოლიტიკური კონკურენცია და ხშირად მას სისტემადაც არ მოიხსენიებენ. დანარჩენი ორი კატეგორიის სისტემები მეტ-ნაკლები შეჯიბრებითობით ხასიათდება. ორპარტიული სისტემა ორი, ასე თუ ისე, თანაბარი სიძლიერის პოლიტიკური ორგანიზაციის მოქმედების ასპარეზია. ასეთ სისტემებში კანონმდებლობა არ ზღუდავს ახალი პარტიების ჩამოყალიბებას, თუმცა ორი ძლიერი პარტიისათვის კონკურენციის გაწევა პრაქტიკულად შეუძლებელია. რაც შეეხება მრავალპარტიულ სისტემას, ანალიტიკოსთა თქმით, იგი მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ მასში, სულ მცირე, სამი ძლიერი აქტორი ფუნქციობს“ (გვ. 109). აღნიშნული დეფინიცია აქცენტს აკეთებს არა მარტო რაოდენობრივ კრიტერიუმზე, არამედ ფუნქციურ ასპექტზეც – როგორია ასეთ სისტემაში შემავალ ელემენტთა ურთიერთმიმართება. ამრიგად, ავტორები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ რაოდენობრივი კრიტერიუმის მიხედვით სისტემის აღწერით და ცდილობენ უფრო სიღრმისეული, შინაარსობრივი კატეგორიებით დაა-

ხასიათონ ქართული პარტიული სისტემა. ფუნქციურ კრიტერიუმზე დაყრდნობით, ავტორებს გამოაქვთ დასკვნა, რომ „საქართველოს შემთხვევაში, დარეგისტრირებულ პარტიათა რიცხვი ავტომატურად არ მიუთითებს მრავალპარტიული სისტემის არსებობას“ (გვ. 110). ავტორები ახასიათებენ ქართულ პარტიულ სისტემას როგორც „დომინანტური პოლიტიკური პარტიის სისტემას“, რომელიც ხასიათდება ფორმალურად არსებული მრავალპარტიული შეჯიბრებადობით, მაგრამ ამავე დროს მისი მუშაობის რეჟიმი ხასიათდება ერთი პარტიის დომინირებით, რომელთან მიმართებაში სხვა პარტიები არათანაბარ კონკურენტულ მდგომარეობაში იმყოფებიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინფორმაციულ რესურსებზე წვდომის მიხედვით. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ხელისუფლების ცვლილების წესზეც. კონსტიტუციურ ფარგლებში ხელისუფლების ცვლილების შესაძლებლობა დემოკრატიის მდგრადობის ხარისხის უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია, პარტიული სისტემის მდგრადობის ინდიკატორი კი არის ის, თუ რამდენად სტაბილურნი არიან პოლიტიკური აქტორები მათ მიერ სახელისუფლებო სტატუსის ცვლილებისადმი. ამ უკანასკნელი ფაქტორის გათვალისწინებით, ძნელია საქართველოს პარტიული სისტემა დახასიათდეს როგორც მდგრადი. მნიშვნელოვანია არა მარტო არჩევნებში მონაწილე პარტიათა რაოდენობის დინამიკა, არამედ ისიც, თუ რა გავლენა აქვს ხელისუფლების ცვლის პროცესს პარტიების ფუნქციობაზე, რასაც აღნიშნავენ ნაშრომის ავტორები. მათი სიტყვებით, ხელისუფლების ცვლილებისას „დამარცხებულები კარგავენ ყველაფერს (მათ შორის, შესაძლოა, კერძო საკუთრებას და პირად თავისუფლებას), როდესაც მთელი ძალაუფლება გამარჯვებულთა ხელში გადადის“ (გვ. 111).

პარტიული სისტემის ფუნქციური ღირებულება მდგომარეობს მის მიერ რეპრეზენტაციის და საზოგადოების ხელისუფლებასთან კომუნიკაციის არხის ფუნქციის შესრულებაში. დღეს, როდესაც ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებში ექსპერტები სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ პოლიტიკური პარტიების კრიზისს, საქართველოში, სადაც პარტიული სისტემა ჯერ კიდევ შორსაა კონსოლიდირებული მდგომარეობისგან, აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მეტ გამოწვევას უქმნის დემოკრატიის განვითარებას. ამიტომ, ავტორების ყურადღების გამახვილება პარტიების საზოგადოებრივ მიჯაჭვულობაზე უაღრესად აქტუალურია (გვ. 113). ამავე კონტექსტშია გააზრებული დემოკრატიული სისტემის ლეგიტიმურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვა-

ნესი ინდიკატორი – არჩევნებისადმი საზოგადოების ნდობის დონე, რომელიც გაანალიზებულია საზოგადოებრივი აზრის კვლევებზე დაყრდნობით (გვ. 116).

პარტიული სისტემის ერთ-ერთი საკვანძო მახასიათებელია ფრაგმენტაციის დონე და პოლარიზაცია. იმ დროს, როდესაც ფრაგმენტაცია აჩვენებს პოლიტიკური ველის უკიდურეს ღირებულებით პოზიციებს შორის განთავსებულ აქტორთა რაოდენობას, პოლარიზაცია აღნიშნავს თავად ამ ველის საზღვრებს, რომელსაც განაპირობებს ველის ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსებზე განთავსებულ აქტორებს შორის მანძილი ღირებულებით შკალაზე. ავტორები მართებულად მიიჩნევენ, რომ არასწორი იქნებოდა სისტემის ფრაგმენტაციის დონეზე საუბარი დარეგისტრირებულ პარტიათა რაოდენობის მიხედვით და მხოლოდ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პარტიები ჰყავთ მხედველობაში. ამის მიხედვით, ავტორები ფრაგმენტაციის დონეს აფასებენ როგორც მაღალს (გვ. 118), ამავე დროს აღნიშნავენ იდეოლოგიური განსხვავებების დაბალ პოლარიზაციას. შეჯიბრებადობა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის ნაკლებად ატარებს პროგრამატულ ხასიათს და უფრო მეტად კონიუნქტურულია, რაზეც მიუთითებენ ავტორები, როდესაც აღნიშნავენ: „მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პარტიულ სისტემას იდეოლოგიისა და პოლიტიკის საკითხებში პოლარიზაციის დაბალი დონე ახასიათებს, პოლიტიკური ცხოვრება, კონფრონტაციის თვალსაზრისით, მაღალი პოლარიზაციით გამოირჩევა“ (გვ. 120). მოცემულ კვლევაში პოლარიზაციის დონის განსაზღვრა უკავშირდება მემარცხენე-მემარჯვენე სპექტრზე პარტიების პოზიციონირებას, რაც თავად პარტიათა თვითშეფასებას ეფუძნება. შეიძლება დავეთანხმოთ ავტორებს, რომ ქართული პარტიული სისტემა ნაკლებად პოლარიზებულია, თუმცა არსებობს განსხვავებული მიდგომაც, რომლის მიხედვით არადასავლური დემოკრატიების შეფასებამ დასავლური პოლიტიკური რეალობისადმი დამახასიათებელი ტრადიციული კრიტერიუმებით (მემარცხენე – მემარჯვენე) შესაძლოა რეალობის არაადეკვატურ აღწერამდე მიგვიყვანოს. „მემარცხენე, მემარჯვენე, ცენტრისტი“ – ის ტერმინებია, რომელთა გამოყენება ფრთხილად უნდა მოხდეს ჩვენს რეალობაში. საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა მეცნიერული კვლევა აჩვენებს, „რომ ქართული პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა თვისობრივად განსხვავებული ფენომენია დასავლური პარტიებისგან. ეს ქმნის ტერმონოლოგიურ, მეთოდოლოგიურ სირთულეებს კომპარატივისტული კვლევებისას. ამ სისტემის სპე-

ციფიკურობა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოში არსებული ინ-სტიტუტები არსობრივად განსხვავდება კლასიკურ დემოკრატიაში ფუნ-ქციონირებადი პარტიული ინსტიტუტებისგან. ნაშრომში პოლარიზაცი-ის დონის გაზომვა ხდება ევრომორფულ კონტინიუმზე, რომლის პოლუ-სებიც ტრადიციული დასავლური სოციალ-ეკონომიკური მოძღვრებებია: სოციალიზმი და კონსერვატიზმი. ეს კი შესაძლოა ნაკლებ როლს თა-მაშობდეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. პრობლემა ამ შემთხვევაში მეთოდოლოგიურია, რამდენადაც სხვა ღირებულებითი შკალის შემოტა-ნამ, რომელიც შესაძლოა უფრო ადეკვატურად აღწერდეს ქართულ სა-ზოგადოებაში არსებულ ღირებულებებს (მაგ. დაყოფა ტრადიციის და მოდერნიზაციის მომხრეებად, მდიდრებად და ღარიბებად და ა. შ.), შესაძლოა პოლარიზაციის განსხვავებული დონე აჩვენოს; ასევე შესაძ-ლებელია პოლარიზაციის გაზომვისას ისეთი ინდიკატორის გათვალისწი-ნება, როგორიცაა სისტემის ფარგლებში ანტისისტემური განწყობის მქონე პარტიების არსებობა, ანუ პარტიების, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ დემოკრატიული სისტემის ლეგიტიმურობას, ამ სისტემაში „თამაშის წესებს“. საქართველოში მსგავსი განწყობების არსებობაზე საუბრის სა-ფუძველს ქმნის ნაშრომში მოყვანილი ჩანართიც: „ნაციონალურმა მოძრაობამ წამოაყენა ინიციატივა, პოლიტიკურ აქტორებს შეემუშავე-ბინათ ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ღი-რებულებებსა და ინტერესებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული იქნე-ბოდა სახელისუფლებო და ოპოზიციური ქართული პარტიების საერთო ხედვა. ოპოზიციურმა პარტიებმა ამ წინადადებაზე უარი თქვეს და სა-ხელისუფლებო პარტიის ეს ქმედება საზოგადოებრივი ყურადღების მიპ-ყრობის მცდელობად შეაფასეს“ (გვ. 127). პარტიული სისტემის აქტო-რების შეუთანხმებლობა ფუნდამენტურ საკითხებზე ამ სისტემის ლეგი-ტიმურობის არასათანადოდ მაღალ დონეზე მიუთითებს.

პარტიების მიერ რეპრეზენტაციული ფუნქციების შესრულება პირ-დაპირ დამოკიდებულებაშია მათ იდეოლოგიურ პრინციპულობასთან. პარტიათა პოლიტიკური იდენტიფიკაცია განისაზღვრება მათი მდება-რეობით იდეოლოგიურ ველში, თუმცა საქართველოს შემთხვევაში იდეოლოგიური მიმართულებები ნაკლებადაა გამოკვეთილი, რის გა-მოც მათი კვლევა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ავ-ტორები ცდილობენ ამ სირთულის გადალახვას საქართველოში აქ-ტუალური საკითხების გარკვეული სპექტრის მიმართ პარტიათა და-მოკიდებულებების შესწავლის გზით. კვლევის ამგვარი მიმართულება

შესაძლოა უფრო ეფექტური იყოს საქართველოს შემთხვევაში. გარკვეულ ბუნდოვანებებს შესაძლებელია შეიცავდეს მხოლოდ მეთოდი, რომელიც გამოყენებულია პარტიათა პოზიციის გასასაზღვრად იდეოლოგიურ ველში (გვ. 141). აღნიშნული მეთოდი გულისხმობს პარტიების განთავსებას იდეოლოგიურ ველზე, მათი თვითშეფასების და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე. ექსპერტების და პარტიათა მიერ მოცემული შეფასებები საკმაოდ განსხვავებულია, რაც თვალსაჩინოს ხდის დისტანციის არსებობას პარტიების მიერ დეკლარირებულ ღირებულებებსა და პოლიტიკური იდეოლოგიების ველში მათ მიერ რეალურად დაკავებულ პოზიციებს შორის. ავტორებს ასევე აღნიშნული აქვთ, რომ საზოგადოება პარტიებს უფრო მათ მიერ წამოჭრილ სპეციფიკურ თემებთან აკავშირებს, ვიდრე იდეოლოგიებთან (გვ. 148). ეს თემები იშვიათად თავსდება ტრადიციული დასავლური დისკურსების საზღვრებში. აქედან გამომდინარე, ისეთი ევრომორფული კატეგორიების შემოტანამ ქართულ პოლიტიკურ რეალობაში, როგორიცაა მემარცხენე-მემარჯვენე კონტინუუმი და მაზე განლაგებული პოლიტიკური მოძღვრებები: ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და სოციალიზმი, მეთოდოლოგიური კუთხით ერთგვარი გაუგებრობა შესაძლოა შექმნას. მიუხედავად ამ საფრთხის არსებობისა, ნაშრომში მოცემულია პარტიათა იდეოლოგიური პოზიციების ვიზუალიზაცია, რაც ასახავს პარტიათა მდებარეობას ერთმანეთის მიმართ. აღნიშნულ სქემაზე ჩანს, რომ საქართველოში რამდენიმე პარტია ცდილობს დაიკავოს ერთი და იგივე იდეოლოგიური პოზიცია, თუმცა არ გვხვდება საქართველოში ეკონომიკურად მემარცხენე და კულტურულად ლიბერალური პარტიები. ავტორებს დავეთანხმები იმაში, რომ საქართველოში ეკონომიკური და ინდივიდუალური ლიბერალიზმი აღიქმება საბჭოთა წარსულისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე და ეს ორი მიმართულება ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებაზე ორიენტირებული პარტიები არ ესწრაფვიან იდეოლოგიურ იდენტურობას, რადგან ცდილობენ მოიცვან ყველა სოციალური ჯგუფი (გვ. 136)

პარტიების შიდა ფუნქციური რეჟიმი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ფუნქციობაზე პოლიტიკურ არეალში, რის გამოც შიდაპარტიული სისტემების და რესურსების კვლევა პარტიების კვლევებში საგრძნობ ნაწილს იკავებს. ნაშრომში აღწერილია პარტიათა ხელთ არსებული ფინანსური და ადამიანური რესურსები, ორგანიზაციული სტრუქტურა. დიდი

მოცულობის ემპირიული მასალის საფუძველზე გაანალიზებულია საერთო ტენდენციები – პარტიათა ცენტრალიზაცია (გვ. 160), ქვედა ერთეულების არაეფექტურობა (გვ. 161), არაფორმალური ურთიერთობების პრევალირება შიდაპარტიული ურთიერთობებში (გვ. 167), პარტიების ზემოდან ქვემოთ მოწყობა, ლიდერების არჩევითობის ფორმალურობა და პრაქტიკაში განუხორციელებლობა, (გვ. 168-173), გაწევრიანების და წევრებთან ურთიეთობის ინსტიტუტები პარტიებში (გვ. 175).

ნაშრომში ყურადღება ეთმობა ქალთა ჩართულობის საკითხს პოლიტიკაში. ავტორები აღნიშნავენ, რომ ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი შორს არის „სამართლიანი საზოგადოების“ სტანდარტებისგან. ქალთა არასათანადო ჩართულობა პოლიტიკურ პროცესში შეიძლება აიხსნას, საერთოდ, რეპრეზენტაციული არხების ნაკლოვანებებით და არა მარტო გენდერული ფაქტორებით (გვ. 199)

პარტიათა ინსტიტუციური ურთიერთობა საზოგადოებასთან მათი რეპრეზენტაციული ფუნქციების განხორციელების საფუძველია, რომელშიც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი საარჩევნო სტრატეგიებს უჭირავთ. პარტიები ცდილობენ „შეფუთონ“ საკუთარი იმიჯი ისე, რომ მიიღონ ხმების მაქსიმალური რაოდენობა. ნაშრომი აღწერს ქართული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სტრატეგიებს (გვ. 216), ფართოდაა გადმოცემული საარჩევნო კამპანიის მეთოდების სხვადასხვა სახე. წიგნში მოცემული დესკრიპტიული მასალა შესაძლოა ბევრ მკვლევარს გამოადგეს საქათველოში პარტიული სისტემის კვლევისას.

ნაშრომში დაწვრილებით არის აღწერილი ქართული პოლიტიკური პარტიების საერთაშორისო ურთიერთობები. არის მიმოხილული პარტიების ურთიერთობა როგორც საერთაშორისო დონორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ისე მონათესავე პარტიებთან სხვა ქვეყნებში. აღწერილია საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა, რომელიც პარტიათა ინსტიტუციურ გაძლიერებას ისახავს მიზნად და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები. ავტორები დონორ ორგანიზაციებს ურჩევენ ისეთი პროგრამების განხორციელებას, რომლებიც გააძლიერებენ არა მარტო ცალკეულ პარტიებს, არამედ ხელს შეუწყობენ ცივილიზებული პარტიათშორისი ურთიერთობების დამყარებას (გვ. 234). პარტიათა აქტიურ საერთაშორისო ურთიერთობების აუცილებლობას ხაზს უსვამენ ავტორები, როდესაც აღნიშნავენ, რომ „ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა საქართველოს დემოკრატიული განვითარების ქვაკუთხედია. ეს ქართული დემოკრატიული რეფორ-

მების ყველაზე ძლიერ მოტივაციას წარმოადგენს“ (გვ. 241). საერთაშორისო ურთიერთობები მართლა ასრულებენ გარკვეული კატალიზატორის ფუნქციას საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესში, მაგრამ შევნიშნავ, რომ დემოკრატიული განვითარება ვერ იქნება მდგრადი, თუ მას მხოლოდ გარედან მიღებული იმპულსები ასაზრდოებს და არ იყენებს განვითარების იმანენტურ პოტენციალს.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ავტორები იძლევიან რეკომენდაციებს, რაც პარტიული სისტემის ინსტიტუციურ გაძლიერებას, პარტიული იდენტურობის განვითარებას, საზოგადოებასთან დაშორების შემცირებას და დემოკრატიული „თამაშის წესების“ დამყარებას შეუწყობს ხელს. ამ რეკომენდაციებიდან ყურადღებას იპყრობს პარტიისა და სახელმწიფოს ინსტიტუტებს შორის გამიჯვნის აუცილებლობა, რამდენადაც წინააღმდეგ შემთხვევაში ზიანი ადგება სახელმწიფოს ლეგიტიმურობას (გვ. 252). ავტორები ცდილობენ შესთავაზონ რეკომენდაციები ასევე საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო დონორებს, თუ რა მიმართულებით იქნებოდა მუშაობა ეფექტური დემოკრატიული პარტიული სისტემის განვითარებისათვის საქართველოში (გვ 260).

„საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“ პირველი ფართომასშტაბიანი ნაშრომია ქართულ პოლიტიკურ პარტიებზე. იგი დაწვრილებით აღწერს არა მარტო ქართულ პარტიებს, არამედ საერთო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კონტექსტს ქვეყანაში და შეიცავს ბევრ ღრმა დაკვირვებას აქტუალურ საკითხებზე. მისი გამოსვლა უაღრესად დროულია და ვფიქრობთ, იგი დიდ დახმარებას გაუწევს ამ სფეროს შემსწავლელ მკვლევარებს და საფუძველს მოამზადებს შემდგომი კვლევებისთვის ამ მიმართულებით.

შენიშვნები:

[1] გია ჟორჟოლიანი „პოლიტიკური ინსტიტუტები: ანალიზი“, სოციალურ მეცნიერებათა სერია, 11-18, 24-27.

[2] Gia Jorjoliani, Marina Muskhelishvili, International IDEA, Center for Social Studies, Country Report based on Research and Dialogue with Political Parties, http://www.idea.int/parties/loader.cfm?url=/commonspot/security/getfile.cfm&PageID=15044.

[3] Ghia Nodia, Political Parties in Georgia, Building Democracy in Georgia, Developing a Democratic Community in Georgia, Discussion Paper 7, 8-14.

გიგა ზედანია

სოციალური კაპიტალის მრავალგანზომილებიანობა

რეცენზია წიგნზე: რობერტ დ. პატნემი. „როგორ ვამუშაოთ დემოკრატია“. თარგმანი ზ. ჭიაბერაშვილისა, ლოგოს-პრესი, თბილისი, 2005

იტალიელი მაფიოზი იხსენებს, რომ ერთხელ მას ბავშვობაში მამამ – ასევე მაფიის წევრმა – კედელზე აცოცება სთხოვა, შემდეგ კი არწმუნებდა, გადმოხტი, დაგიჭერო. ბავშვი ჯერ უარზე იყო, მაგრამ რადგან მამა დაჟინებით მოითხოვდა, დაუჯერა, კედლიდან გადმოხტა და მიწას დაენარცხა. არავის უნდა ენდო, არც საკუთარი ოჯახის წევრებს – ასეთი იყო მამის გაკვეთილი.[1]

ეს ამბავი შეიძლება კარგი დასაწყისი იყოს რობერტ პატნემის წიგნის შესახებ საუბრისათვის, რადგან ეს წიგნი, ჯერ ერთი, იტალიას ეხება, და მეორეც, მის ერთ-ერთ მთავარ თემას სწორედ ნდობა წარმოადგენს.

წიგნის ავტორი 1941 წელს დაბადებული ამერიკელი პოლიტოლოგია. ის ჰარვარდის უნივერსიტეტში ასწავლის პოლიტიკის მეცნიერებას, საერთაშორისო ურთიერთობებსა და საჯარო პოლიტიკას. პატნემი განთქმული გახდა სტატიით, რომლის სათაურიც იყო „ბოულინგი მარტოდ“.[2] ყურადღება ამ სტატიამ (ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ – იმავე სათაურით გამოსულმა სქელტანიანმა წიგნმა[3]) თანამედროვე ამერიკულ საზოგადოების დიაგნოზის გამო დაიმსახურა – მასში ნაცადი იყო იმის მტკიცება, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულსა და წინწასულ ქვეყანაში სამოქალაქო ჩართულობის ტრადიციები გაქრობის პირასაა.

„როგორ ვამუშაოთ დემოკრატია“ პირველად 1993 წელს გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე. ის შეიცავს მდიდარ მასალას იტალიაში განხორციელებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესის შესახებ. საქმე ისაა, რომ აქ რეგიონული მთავრობების ჩამოყალიბების პროცესი 1970 წელს დაიწყო. მანამდე სახელმწიფო, ფრანგული მოდე-

ლის შესაბამისად, უაღრესად ცენტრალიზებულ სტრუქტურას წარმოადგენდა. იტალიაში სულ 20 ასეთი მთავრობა ჩამოყალიბდა, რომელთაგან ზოგიერთი სრულიად წარუმატებელი აღმოჩნდა და ჩაეფლა კორუფციაში, ზოგიერთი კი – ძალზე ეფექტიანი. პატნემი და მისი კოლეგები, რომლებიც ჩასახვის პერიოდიდან მოყოლებული აკვირდებოდნენ ამ პროცესს, აღმოჩნდნენ კითხვის წინაშე – რამ გამოიწვია წარმატების ეს სრულიად განსხვავებული განაწილება რეგიონებს შორის?

მიზეზი ვერ იქნებოდა მთავრობების განსხვავებული სტრუქტურები – პირიქით, ყველა მათგანი ფორმის მიხედვით იდენტური იყო; ოღონდ რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ის კონტექსტები, რომლებშიც მოხდა მათი ჩამოყალიბება. ეს განსხვავებები ეხებოდა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულსა და პოლიტიკურ რეალობებს. ზოგიერთი ამ მთავრობათაგანი კათოლიკურ რეგიონებში ჩამოყალიბდა, ზოგიც – კომუნისტების მიერ მართულში, ზოგი, ეკონომიკური თვალსაზრისით, აგრარული საზოგადოების განვითარების დონეზე იდგა, ზოგსაც პოსტმოდერნული ეკონომიკისთვის მიეღწია. მაგრამ პატნემის მიხედვით, პარტიულ იდეოლოგიას არც წარმატებაში შეუსრულებია განსაკუთრებული როლი და არც – ჩავარდნაში. არც სიმდიდრე ყოფილა პირდაპირ კორელაციაში რეგიონული მთავრობის წარმატებასთან. ეს რომ ახსნას, პატნემი ალექსის დე ტოკვილს, კლასიკური ნაშრომის „დემოკრატია ამერიკაში" ავტორს, მიმართავს. გადამწყვეტი ამა თუ იმ ახლადგამოჩეკილი მთავრობის წარმატებაში აღმოჩნდა სამოქალაქო ჩართულობა, რომლის გასაზომად პატნემი შემდეგ ინდიკატორებს გვთავაზობს: არჩევნებში მონაწილეობა, გაზეთის მკითხველთა რიცხვი, ნებაყოფლობით საზოგადოებებში (მაგ., ფრინველთა დაცვის საზოგადოება, სიმღერის ანსამბლი, საჭადრაკო კლუბი) გაწევრიანებულთა რაოდენობა.

რეგიონებში, სადაც მრავალი ასეთი ორგანიზაცია არსებობს, საზოგადოების წევრებს შორის ნდობა სუფევს, ხოლო სოციალური და პოლიტიკური ქსელები ჰორიზონტალურადაა ორგანიზებული და არა – იერარქიულად. ამის საპირისპიროდ, „არასამოქალაქო" რეგიონებში სოციალურსა და კულტურულ ასოციაციებში გაწევრიანებულთა რიცხვი მცირეა. საჯარო საქმე აქ საზოგადოების ჩვეულებრივ წევრებს კი არ ეხებათ, არამედ ბოსებს. უმრავლესობა თავს არ მიიჩნევს ბედნიერად, თვლის, რომ მასზე არაფერია დამოკიდებული, რომ კანონი დასარღვევადაა შექმნილი. ამიტომაც ეშინია სხვების და მეტ სიმკაცრეს მოითხოვს ხელისუფლებისაგან.

პატნემი რეგიონებს შორის ამ განსხვავებებს ისტორიულ საფუძველს უძებნის. იტალიის ჩრდილოეთში (ფლორენცია, ბოლონია, გენუა) მოყო-

ლებული მე-11 საუკუნიდან არსებობდა ქალაქ-რესპუბლიკები – ზუსტად იქ, სადაც დღეს მაღალია სამოქალაქო ჩართულობა და ეფექტიან მმართველობას სერიოზული დაბრკოლებები არ ხვდება. ეს ჩართულობა, პატნემის აზრით, მემკვიდრეა გილდიების, რელიგიური საძმოებისა და მსგავსი სახის შუასაუკუნეობრივი გაერთიანებებისა. ეს მაშინ, როდესაც ქვეყნის სამხრეთში იმავე პერიოდში არსებობდა ნორმანთა ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო, რომლის ღერძს იერარქიული სტრუქტურა წარმოადგენდა. მაგრამ ამ სახელმწიფოს მიერ დატოვებული მემკვიდრეობა არ აღმოჩნდა სასარგებლო დემოკრატიული ტიპის საზოგადოებისათვის.

იტალიის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სერიოზული სხვაობა არსებობს მატერიალური დოვლათის თვალსაზრისით. მაგრამ, პატნემის მიხედვით, მდიდარი რეგიონების სიმდიდრე კი არ უდევს საფუძვლად მათ სამოქალაქო განვითარებას, არამედ პირიქით, მათმა „სამოქალაქო“ ხასიათმა გამოიწვია მათი სიმდიდრე.

როგორ ხდება სამოქალაქოობის გარდაქმნა მატერიალურ სიმდიდრედ? სწორედ აქ შემოდის სოციალური კაპიტალის ცნება, რომელსაც ემყარება პატნემის მთელი არგუმენტაცია.

* * *

სოციალური კაპიტალის ცნება უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში, როგორც მინიმუმ, შვიდჯერ იქნა შემოტანილი სოციალურ მეცნიერებებში – და, თითქმის გამონაკლისის გარეშე, ცნების დამკვიდრების ეს მცდელობები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი იყო.[4]

ცნების პირველი გამოყენება ეკუთვნის ლ. ჯადსონ ჰანიფენს, მე-19 საუკუნის ახალგაზრდა ამერიკელ განმანათლებელსა და რეფორმატორს, რომელიც – ქვეყნის საუკეთესო უნივერსიტეტებში განათლების მიღების შემდეგ – დაუბრუნდა მშობლიურ დასავლეთ ვირჯინიას და საკუთარი ერთობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ანალიზისას მივიდა დასკვნამდე, რომ ამ პრობლემების ძირში სოციალური თანამშრომლობის ძველი ტრადიციების დავიწყება იყო. სოციალური კაპიტალის ტერმინის შემოტანით ის აღნიშნავდა „კეთილ ნებას, ამხანაგობას, სიმპათიასა და სოციალურ ურთიერთობას ინდივიდებსა და ოჯახებს შორის, რომლებიც შეადგენენ სოციალურ ერთობას“.

როგორც თანამედროვე მკვლევარები აღნიშნავენ, სოციალური კაპიტალის ცნების ჰანიფენის მიერ ამ საოცრად თანამედროვე განსაზღვრებას არანაირი კვალი არ დაუტოვებია სოციალური მეცნიერებებში. 1950-იან

წლებში ცნება თავიდან შექმნეს კანადელმა სოციოლოგმა ჯონ სილიმ და მისმა კოლეგებმა, რომლებიც წერდნენ, რომ კლუბებისა და ასოციაციების წევრობა მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ვერტიკალური მობილობისათვის. ამერიკელი ურბანისტი ჯეინ ჯეიკობსი იყენებდა ტერმინს 1960-იან წლებში თანამედროვე დიდ ქალაქებში არაფორმალური სამეზობლო კავშირების აღსანიშნავად. 1970-იან წლებში ამერიკელი ეკონომისტი გლენ ლური იყენებდა მას იმისათვის, რათა აღენიშნა ის გარემოება, რომ აფრო-ამერიკელებისათვის – მონობისა და სეგრეგაციის შედეგად – სოციალური კავშირები არ იყო მისაწვდომი.[5] ფრანგი სოციოლოგი პიერ ბურდიო საუბრობს სოციალურ კაპიტალზე, როგორც იმ რესურსების აგრეგატზე, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის წევრობასთან.[6] გერმანელი ეკონომისტი ეკეჰარტ შლიხტი იყენებდა ცნებას ორგანიზაციების ეკონომიკური ღირებულების აღსანიშნავად. ხოლო ამერიკელი სოციოლოგი ჯეიმს ქოულმენი წარმოადგენს ტერმინის დღევანდელი გამოყენების უმნიშვნელოვანეს წყაროს. სწორედ ქოულმენმა 80-იანი წლებში ჩაატარა ემპირიული გამოკვლევა,[7] რომლის მიზანიც იყო დაედგინა განსხვავების მიზეზი საჯარო და კერძო სკოლებში მოსწავლეების რაოდენობებს შორის, რომლებიც წყვეტდნენ სწავლას. აღმოჩნდა, რომ ეს რაოდენობა კერძო სკოლებში, განსაკუთრებით კი კათოლიკურ სკოლებში ბევრად უფრო დაბალი იყო, ვიდრე საჯაროში. ქოულმენმა ამ გარემოების მიზეზედ დაასახელა არა კერძო სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდების ოჯახების უფრო მაღალი შემოსავალი, არამედ ის, რომ, ჩვეულებრივ, კერძო სკოლებში მოსწავლეების განკარგულებაში უფრო მეტი სოციალური კაპიტალია. ეს სოციალური კაპიტალი მდგომარეობს უფრო ახლო კონტაქტში მშობლებსა და ბავშვებს შორის, მაგრამ ის ასევე ახდენს გავლენას ოჯახსგარეთ არსებულ ჯგუფში მოსწავლეების ჩართვაზე. სწორედ ქოულმენის მიერ შემუშავებულ თეორიას, რომელიც გადმოცემულია ამერიკელი სოციოლოგის ფუნდამენტურ ნაშრომში *სოციალური თეორიის საფუძვლები*[8] (1990), ეყრდნობა პატნემი.

უკანასკნელ წლებში სოციალური კაპიტალის ცნებამ ნამდვილი ინფლაცია განიცადა – 1996-სა და 1999 წლებს შორის ამ თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომების რიცხვი ათასს აღემატებოდა. ცნების გამოყენება გასცდა აკადემიის ფარგლებს და იქცა გასათვალისწინებელ ფაქტორად პოლიტიკის შემუშავებისას, რასაც ადასტურებს მსოფლიო ბანკის პროგრამები.

თეორიულ დონეზე სოციალური კაპიტალის ცნება მნიშვნელოვან დამაკავშირებელ როლს ასრულებს, ერთი მხრივ, სოციოლოგიურ, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკურ მიდგომებს შორის. სოციოლოგიური

თეორია ადამიანს განიხილავს როგორც სოციალურ კონტექსტში ჩართულ აქტორს, რომლის ქმედებებიც სოციალური ნორმების, წესებისა და ვალდებულებების გავლენას განიცდის. ამის საპირისპიროდ, ეკონომიკური მიდგომის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ აქტორი განიხილება როგორც არსება, რომელიც რაციონალურად მოქმედებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად, მოქმედების პრინციპს კი სარგებლიანობა წარმოადგენს. ეს მიდგომა დამახასიათებელია არა მხოლოდ ეკონომიკური თეორიისათვის, არამედ ისეთი პოლიტოლოგიური თეორიებისათვის, როგორებიცაა კონტრაქტის თეორია ან უტილიტარიზმი.

იმისათვის, რომ ზუსტად განვსაზღვროთ სოციალური კაპიტალის ცნების მოცულობა, უნდა გავარჩიოთ ის კაპიტალის სხვა ფორმებისაგან. ეკონომიკაში გამოყოფენ სამ საწარმოო ფაქტორს. ესენია: ბუნებრივი რესურსები, შრომა და კაპიტალი. ჩვეულებრივ, კაპიტალი განისაზღვრება, როგორც საწარმოო საშუალებები (ინსტრუმენტები). მაგრამ უკანასკნელ პერიოდში დაიწყო სჯუბარი ადამიანურ კაპიტალზეც, რაც წვრთნის შედეგად გამომუშავებულ შრომის უნარს გულისხმობს. სოციალური კაპიტალი კი წარმოადგენს საზოგადების წევრების უნარს, ითანამშრომლონ ერთმანეთთან. სოციალური კაპიტალი გამოირჩევა იმით, რომ მის დასაგროვებლად ხანგრძლივი დროა საჭირო, მისი გამოყენება მას არ ცვეთს, პირიქით, გამოყენების გარეშე სოციალური კაპიტალი ქრება.

სოციალური კაპიტალის ცნების ძირითადი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური კავშირები და ქსელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც მათთვის, ვინც ასეთი ქსელების ნაწილია, ისე მათ გარეთ მყოფი ადამიანებისათვის. ცნობილი ფაქტია, რომ სამუშაოს შოვნისას – არა მხოლოდ საქართველოში – ისეთივე მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის იცნობ, როგორც იმას, თუ რა იცი (whom you know matters as much as what you know). მაგრამ ეს არაა მხოლოდ კერძო სიკეთე – თუ სოციალური კავშირები სამეზობლოში კრიმინალის მინიმიზაციას უწყობს ხელს, ამით ისინიც ხეირობენ, ვინც იმავე რაიონში ცხოვრობს, მაგრამ ქსელში ჩართული არაა.

ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ სოციალური კაპიტალის რამდენიმე ფორმა:

ა) „თხელი“ და „სქელი“ სოციალური კაპიტალი. რაც უფრო ძლიერია კავშირები ერთობის წევრებს შორის, მით უფრო ნაკლებია მისი სამოქალაქოობის ხარისხი და პირიქით – ესაა პატნემის თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაშვება;

ბ) შემადუღაბებელი (bonding) და „შემაკავშირებელი“ (bridging) სოციალური კაპიტალი. პირველი მათგანი კრავს ერთი და იმავე ტიპის ადამიანებს, ხოლო მეორე მოწოდებულია გადალახოს საზღვრები და ნაპრალები ჯგუფებს შორის;

გ) ფორმალური და არაფორმალური სოციალური კაპიტალი. პროფკავშირები, ფორმალურადაა ორგანიზებული, განსხვავებით, მაგალითად, ოჯახური სადილებისაგან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი ტიპის არაფორმალური სოციალური კაპიტალი მნიშვნელობასაა მოკლებული. არსებობს მიზნები, რომლებიც სწორედ ამ ტიპის სოციალური კაპიტალის გამოყენებით მიიღწევა.

შესაჯამებლად შეიძლება ითქვას, რომ სოციალური კაპიტალი მრავალგანზომილებიანი ცნებაა და ნებისმიერმა კონცეპციამ, რომელსაც ამ ფენომენის თეორეტიზირების პრეტენზია ექნება, ეს განზომილებები მხედველობაში უნდა მიიღოს.

* * *

ამ თეორიული წიაღსვლის შემდეგ – რომელიც, ძირითადად, სოციალური კაპიტალის თეორიის განვითარების იმ მონაცემებს ეყრდნობოდა, რომლებიც 1993 წელს ჯერ კიდევ არ არსებობდა – დავუბრუნდეთ პატნემის წიგნს. შეიძლება ითქვას, რომ მისი ავტორი ერთი ძირითადი წანამძღვრიდან ამოდის: სოციალური კაპიტალი მიზეზობრივ კავშირშია ეფექტიან და დემოკრატიულ მმართველობასთან. მაგრამ ეს წანამძღვარი არაა უდავო. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური კაპიტალისა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა სულაც არაა აუცილებელ კავშირში დემოკრატიულ მმართველობასთან. შერი ბერმანი,[9] რომელიც პატნემის ერთ-ერთ გამორჩეულ კრიტიკოსს წარმოადგენს, ამტკიცებს, რომ ნაციზმის გავრცელება 20-იანი და 30-იანი წლების გერმანიაში სწორედ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობასთან იყო დაკავშირებული, საზოგადოებისა, რომელსაც საპირწონედ არ გააჩნდა ძლიერი პოლიტიკური ინსტიტუტები. შედეგად, სახელმწიფო ვერ ახერხებდა დინამიკური სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც პოპულისტური მოძრაობების წისქვილზე ასხამდა წყალს. საბოლოო ჯამში, ბერმანის არგუმენტის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოების არსებობა სწორედ ნაციზმს გამოადგა დინამიკური პოლიტიკური სისტემის შექმნის საქმეში.[10]

კიდევ უფრო სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ პატნემი სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბრისას იფარგლება მხოლოდ იმ ორგანი-

ზაციებით, რომლებიც პოლიტიკურად ნეიტრალურია, თუმცა მათი გავლენა მოქალაქეების სწორედ პოლიტიკურ ჩართულობაზე აინტერესებს. პატნემის მიხედვით, ეფექტიანი მმართველობისათვის ის ასოციაციებია სასარგებლო, რომლებიც ხიდს დებენ პოლიტიკურსა და სოციალურ ზღვრებს შორის. როგორც ჩანს, ამ დაშვებას საფუძვლად უდევს წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც, თუ ორგანიზაციები ამ სოციალური და პოლიტიკური ნაპრალების (cleavage) მოხაზულობას მიჰყვება, ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ სოლიდარობას და, ამის გამო, ეფექტიან მმართველობას. მაგრამ ასეთი აპოლიტიკური სამოქალაქო საზოგადოება მხედველობაში არ იღებს ამ საზოგადოების პოლიტიკურ პოტენციალს, რომელიც სახეზეა, როდესაც ხდება, მაგალითად, ავტორიტარული მმართველობის შეცვლა საზოგადოების აქტივობის შედეგად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არაა აუცილებელი, სამოქალაქო ჩართულობის წყარო ექსკლუზიურად არაპოლიტიკურ გაერთიანებებში ვეძიოთ, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებს, სადაც პოლიტიკური სტაბილობა და პოლიტიკური ჩართულობა ძნელი შესათანხმებელია.

პატნემის წიგნის ნებისმიერ ქართველ მკითხველს თვალში მოხვდება მსგავსებები სამხრეთ იტალიასა და საკუთარ ქვეყანას შორის: ნდობის მცირე რადიუსი, მისწრაფება იერარქიული და არა ჰორიზონტალური ქსელებისაკენ, პასიურობა (რისი ინდიკატორიცაა ჩვენს ქვეყანაში გაზეთების მკითხველთა სიმცირე, ტელევიზიის მაყურებელთა სიმრავლის საპირისპიროდ). ეს მსგავსებები აუცილებლად მოითხოვს შესწავლას. თუმცა ამ პერსპექტივამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს სოციალური კაპიტალის პატნემისეული თეორიის (ვგულისხმობ თეორიას, რომელიც 1993 წელს გამოქვეყნებულ წიგნშია გადმოცემული და არა მის განვითარებასა და დახვეწას) პრობლემების დანახვაში. არის თუ არა ეს თეორია „სამოქალაქო კულტურის“ ძველი (და, ბევრისათვის დისკრედიტირებული) თეორიის სახეცვლილი ვარიანტი?[11] ხომ არ ნიშნავს აქტორების ღირებულებებზე და მიმართებებზე კონცენტრირება სოციალური სტრუქტურის როლის უგულებელყოფას? გარდა ამისა, ხომ არ ახდენს პატნემი სოციალური კაპიტალის მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიური მხრიდან განხილვას და თვალთახედვიდან ხომ არ კარგავს მოვლენის ნეგატიურ ასპექტებს?

მიუხედავად ამ კითხვებისა, რომლებსაც პატნემის ეს წიგნი აჩენს, უნდა აღინიშნოს: ქართულ ენაზე მისაწვდომი გახდა უკანასკნელი ათწლეულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი სოციალურ მეცნიერებებში. ასეთი სახის თარგმანების კატასტროფული ნაკლებობის პირობებში და

იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელი პერიოდში თარგმნილი ტექსტები ხშირად იმდენად არაადეკვატურია ორიგინალთან მიმართებაში, რომ მათი გამოყენება შეუძლებელი ხდება, რობერტ პატნემის წიგნს აქვს პოტენციალი, არა მხოლოდ ქართული სოციალური მეცნიერებების განვითარებაზე მოახდინოს პოზიტიური გავლენა, არამედ ასევე პოლიტიკის შემუშავებაზეც. მნიშვნელოვანი გაკვეთილი, რომელიც ამ წიგნიდან შეიძლება იქნეს გამოტანილი, იმაში მდგომარეობს, რომ ინსტიტუტები ვერ იქნებიან ეფექტიანნი, თუ ისინი არახელსაყრელ კულტურულ-სოციალური კონტექტში მოხვდნენ. მაგრამ ეს არ არის იმის აღიარების ტოლფასი, თითქოს ამ კონტექსტის შეცვლა შეუძლებელი იყოს.

შენიშვნები:

[1] Francis Fukuyama, "Trust", წიგნში: Lawrence E. Harrison, Samuel P. Huntington, *Culture Matters: How Values Shape Human Progress* (New York, Basic Books, 2001), 98.

[2] Robert D. Putnam, "Bowling Alone: America's Declining Social Capital", *Journal of Democracy* (1995, 6): 65-78.

[3] Robert D. Putnam, *Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community* (New York: Simon and Schuster, 2000).

[4] ტერმინის ისტორიის გადმოცემისას ვეყრდნობი სტატიას: Robert D. Putnam, Kristin A. Goss, Introduction, წიგნში: *Democracies in Flux: The Evolution of Social Capital in Contemporary Society* (Oxford: Oxford University Press, 2002): 3-19.

[5] იქვე, გვ. 5.

[6] Pierre Bourdieu, "Ökonomisches Kapital, kulturelles Kapital, soziales Kapital", წიგნში: Reinhard Kreckel (Hrsg.), *Soziale Ungleichheiten (Soziale Welt, Sonderheft 2)*, (Goettingen: Otto Schartz & Co.): 183-98.

[7] James Coleman, "Social Capital in the Creation of Human Capital", *American Journal of Sociology*, 94, 95-120.

[8] James Coleman, *Foundations of Social Theory* (Cambridge: Harvard University Press, 1990). სოციალური კაპიტალის შესახებ განსაკუთრებით გვ: 300-325.

[9] Sheri Berman, "Civil Society and the Collapse of the Weimar Republic", *World Politics*, 49 აპრილი 1997): 401-429.

[10] გვიანდელ ტექსტში პატნემი ახსენებს კუ-კლუქს-კლანს, როგორც „სოციალური კაპიტალის ფორმას, და აღიარებს, რომ სოციალურ კაპიტალს ავტომატურად არ მივყავართ დემოკრატიული მმართველობისაკენ". Rober Putnam, Kristin Goss, „Introduction", წიგნში: *Democracies in Flux: The Evolution of Social Capital in Contemporary Society* (Oxford: Oxford University Press, 2002), 9.

[11] ასეთია კრიტიკა, რომელსაც სოციალური კაპიტალის შესახებ არსებული ერთ-ერთი კრებულის ავტორები მიმართავენ პატნემისა (და ტოკვილის) თეორიის წინააღმდეგ: Bob Edwards, Michael W. Foley, Mario Diani, *Beyond Tocqueville. Civil Society and the Social Capital Debate in Comparative Perspective* (Hanover: Tufts University, 2001).

CIPDD-ის ბიბლიოთეკა

1. შარლ ლუი მონტესკიე. *კანონთა გონი*, 1994, 864 გვ.

2. *რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე* (ს. ფრანკი, ნ. ბერდიაევი, ს. ბულგაკოვი), 1994, 240 გვ.

3. *დემოკრატიის კლასიკური დოკუმენტები*, 1994, 48 გვ.

4. Мераб Мамардашвили. *Классический и неклассический идеалы рациональности*, 1994, 96 გვ.

5. *ჭკუა ვაისაგან*, 1995, 160 გვ. (სოციალური და პოლიტიკური კვლევების ალმანახი)

6. გია ნოდია. *სით?* (პოლიტიკური პუბლიცისტიკა), 1995, 208 გვ.

7. *Грузия. Данные о вооруженных силах* (материалы русской разведки 1921 г.), 1995, 48 გვ.

8. ვაცლავ ჰაველი. *ძალა უძალოთა*, 1995, 96 გვ.

9. *საზოგადოება და პოლიტიკა I*, 1996, 272 გვ. (სოციალური და პოლიტიკური კვლევების ალმანახი)

10. მოშე დაიანი. *ცხოვრება ბიბლიით*, 1996, 136 გვ.

11. ჟან ჟაკ რუსო. *საზოგადოებრივი ხელშეკრულება*, 1997, 152 გვ.

12. იოჰან ჰაიზინგა. *Homo Ludens*, 1997, 260 გვ. (ნაშრომი კულტუროლოგიაში)

13. მერაბ მამარდაშვილი. *ლექციები ფსიქოანალიზის შესახებ*, 1998, 64 გვ.

14. *საქართველოს პოლიტიკური სისტემა* (ცნობარი), 1998, 280 გვ.

15. დავით ლოსაბერიძე. *თვითმმართველობა საქართველოში*, 1998, 131 გვ.

16. ფრენსის ფუკუიამა. *ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი*, 1999, 400 გვ.

17. გია ნოდია. *კონფლიქტი აფხაზეთში – მიზეზები და გაარეკვა*, 1999, 74 გვ.

18. *საზოგადოება და პოლიტიკა II*, 1999, 236 გვ. (სოციალური და პოლიტიკური კვლევების ალმანახი)

19. *საზოგადოება და პოლიტიკა III*, 2000, 232 გვ. (სოციალური და პოლიტიკური კვლევების ალმანახი)

20. *სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები საქართველოს მაგალითზე*, 2000, 290 გვ.

21. ედვარდ ჰელეტ კარი. *რა არის ისტორია?*, 2001, 144 გვ.

22. *საზოგადოება და პოლიტიკა IV*, 2002, 288 გვ.

23. ქ. ს. ლუისი. *უბრალოდ ქრისტიანობა*, 2002, 200 გვ.

24. *მუშაობა კონფლიქტზე: უნარ-ჩვევები და სტრატეგიები* (სახელმძღვანელო), 2002, 224 გვ.

25. Ф. Куне. *НАТО и Южный Кавказ*, 2003, 116 გვ.

26. *სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები*, 2005, 72 გვ.

27. *საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმების პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები,* 2005, 176 გვ.

28. *საქართველოს რეგიონული მედია-რუკა*, 2005, 310 გვ.

29. *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი: პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები*, 2006, 352 გვ.